


გუნად თანჯიკი



სპირაქანი

# პროლოგი

ოქტომბრის თბილი და მშვიდი საღამო იდგა. მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო. გაყვითლებული ფოთლები დროდადრო ოდნავ ირხეოდნენ. მხოლოდ მათ თითქმის შეუმჩნეველ მოძრაობაზე თუ მიხვდებოდა კაცი, საიდანღაც ძალზე სუსტი ნიავი რომ ჰქროდა. ჰქროდა ხანგამოშვებით, საკმაოდ დიდი შუაღედებით. თითქოს დედამინა მშვიდად სუნთქავდა, ხოლო ნიავად გარდაქმნილი ამონასუნთქი გამველ-გამომველთ საამოდ ელამუნებოდა.

ნიავი იმდენად სუსტი იყო, ფოთლების მოძრაობაზე ვერავინ გაარკვევდა, საიდან უბერავდა, ფოთლები კი არ ირხეოდნენ, თითქმის უზარმაზარ ჭადრებს რაღაც ამოუცნობი სიამოვნებისაგან ტანში აწრუოლებდა.

აკადემიკოსი დავით გიორგაძე დილიდანვე შეიპყრო უცნაურმა გრძნობამ. თვითონვე უკვირდა თავის აღტკინება. დროდადრო ეჩვენებოდა, რომ რაღაც ამაღლებული გრძნობა ეუფლებოდა, დროდადრო კი სევდა შემოაწვებოდა, გული უმძიმდებოდა. საქმეს თავს ვეღარ აბამდა. ჩვეული სიდიხე თითქოს გაჰქრობოდა. განკარგულებებსაც ნაჩქარევად იძლეოდა, სანერ მაგიდასთან ცმუკავდა. ტელეფონის ყურმილს ხელს დაავლებდა, მერედა ახსენდებოდა, რომ მოფიქრებულიც არ ჰქონდა, ვისთვის და რატომ უნდა დაერეკა.

„რა ამბავია ჩემს თავს? - უკვირდა მოხუც აკადემიკოსს და ცდილობდა გამოეცნო, სიამოვნებდა თუ აღიზიანებდა თავისი უცნაური ატაცებული განწყობილება. შემდეგ თითქმის მიხვდა, რაღაცის მოლოდინი დაეუფლა. ოღონდ ინტუიციით ვერ იგრძნო, გულმა და გონებამ ვერ გამოიცნო, სანყენი ელოდა თუ გასახარელი.

ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტიდან, ჩვეულებისამებრ, მარტო გამოვიდა. არ უყვარდა, როცა ვინმე დაემგზავრებოდა ან გამოაცილებდა. მანქანა შესასვლელთან

ელოდა. ორმოციოდე წლის მაღალი, თხელი, უღვაშებიანი შოფერი გაზეთს კითხულობდა.

დავით გიორგაძემ უკანა კარი გამოაღო. შოფერმა გაზეთი უმაღლვე დაკეცა, გვერდით სავარძელზე დადო და გასაღები გადაატრიალა.

მოხუცი მეცნიერი შეყოყმანდა, მანქანაში ჩაჯდომა გადაიფიქრა, რატომღაც ფეხით გასეირნება მოუნდა. ზეცას ახედა, ღრუბლის ნაფლეთიც არსად ჩანდა. ჩამავალი მზის სხივებით ავსებული ზეცა ლურჯად ლივლივებდა.

- ფეხით წავალ! - თქვა უცებ დავითმა და მანქანის კარები მიაჯახუნა.

გაკვირვებულმა შოფერმა ძრავა გამორთო, მანქანის კარი გამოაღო, ცალი ფეხი ფილაქანზე გადმოდგა, წამოიშრათა და დავით გიორგაძეს მანქანის ზემოდან გახედა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს შეშფოთებული ეკითხებოდა, ხომ არაფერი მომხდარაო.

დეკემბერში ათი წელი უსრულდებოდა, რაც მასთან მუშაობდა. დავით გიორგაძის ხასიათსა და ჩვეულებებს კარგად იცნობდა. ისიც მშვენივრად იცოდა, მოხუცი მეცნიერი უზუსტესი მანქანასავით მოქმედებდა. მეცნიერის ყოველდღიური საქმიანობა თითქმის ერთხელ და სამუდამოდ იყო დაპროგრამებული.

ათი წლის მანძილზე გიორგაძეს არასდროს მოსვლია აზრად შინ ფეხით წასვლა.

შოფრის გაოცებული მზერა პასუხის ღირსად არ ჩათვალა (იქნებ ვერც შეამჩნია) და წასვლა გადაწყვიტა. ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უკან შემობრუნდა, მანქანის კარი ისევ გამოაღო და წიგნებით სავსე, საკმაოდ შელანძღული პორტფელი სავარძელზე ფრთხილად დადო.

- შინ მიიტანე. ჩვენებს უთხარი, რომ მალე მოვალ. ბევრი-ბევრი, ერთი საათი მოვანდომო სახლამდე მისვლას. - კარი ისევ მიაჯახუნა და ნელი ნაბიჯით ქუჩას გაუყვა.

მძლოლმა ერთხანს გაოცებულმა უყურა დავით გიორგაძეს. მერე მანქანაში ჩაჯდა. გასაღების გადატრიალებას არ ჩქარობდა. ვინ იცის, იქნებ აკადემიკოსმა გადანყვეტილება შეიცვალოსო.

ბოლოს მანქანა მაინც დაძრა, დავით გიორგაძეს ერთ წუთში წამოეწია, უმაღვე დაამუხრუჭა, ეუხერხულა უფროსისათვის გადაეხსნო, საჯე მკვეთრად შემოატრიალა, მანქანა უკან შემოაბრუნა და ინსტიტუტის დირექტორის სახლისაკენ გაცილებით შორი გზით გაემართა.

აკადემიკოსი ფიქრმა გაიტაცა. ქუჩაში მოსიარულეთ ვერც კი ამჩნევდა. მისი ფიქრი და გონება კვლავ მეცნიერულ მუშაობასა და გადასატრულ პრობლემებს დასტრიალებდა. მერე, თითქოს ერთბაშად გამოერკვა, თავისი თავი დატუქსა, განა ახლა მეცნიერულ პრობლემაზე ფიქრის დროა? განა ფეხით იმიტომ არ წამოვედი, შემოდგომის ეს ლამაზი საღამო რომ შემეგრძნო და თვალისთვის წყალი დამელევიწინებინაო?! თავი ისე ენერგიულად გაიქნია, თითქოს ფიქრები წყლის წვეთებივით დაიბერტყა, და გაყვითლებულ ფოთლებს ახედა. სახეზე გაოცება დაეუფლა. ყვითელმა ფოთლებმა მიახვედრა, რომ წელიწადი ხელში შეუმჩნევლად შემოლეოდა.

უცებ დაღლილობა იგრძნო, მაღაზიის ვიტრინებისკენ გადაინაცვლა და კედელს მიეყრდნო. დაღლილობას მთლად ასაკს ვერ დააბრალებდა. სამოცდაათოთხმეტი წლის მეცნიერს ენერგია როდი აკლდა, მაგრამ ბოლო წლებში ფეხით სიარული თითქმის აღარ უწევდა.

იდგა და გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა. ზოგნი გამალებული მიიჩქაროდნენ, ზოგნი ნელა მიაბიჯებდნენ. ახალგაზრდები უდარდელად, სიცილით და ხმამაღალი

ლაპარაკით მიიზღაზნებოდნენ. გოგონებს ხელში ყვავილები ეჭირათ, ეტყობოდა, სტუდენტები იყვნენ. მზემე გარუჯალი, დაკუნთული ბიჭები ჯიშინი ცხენებივით ჭიხვინებდნენ.

„თურმე როგორი მაღალი და ლამაზი თაობა მოდის, - გაოცდა დავით გიორგაძე, - როგორი ჩაცმულები არიან, უდარდელეები და ხალისით სავსენი“.

თავისი სტუდენტობა გაახსენდა. უნებურად შეეცადა წარმოედგინა გაცვეთილშარვლიანი და იდაყვებში გამომდნარპერანგიანი, მაღალი, ავადმყოფივით გამხდარი და ყვრიმალებამოვარდნილი სტუდენტი დავით გიორგაძე.

მანქანების მუხრუტის ხმა ყოველთვის აღიზიანებდა. თვითონვე გაოცდა, ახლა რა სიამოვნებით მისჩერებოდა ფერად-ფერად გაკრიალებულ მანქანებს. თითქოს ისინიც ცოცხალი არსებანი იყვნენ, ქუჩაში მოსიარულეთა ხალისიან განწყობილებას რომ აძლიერებდნენ, რიტმსა და ფერადოვნებას რომ მატებდნენ.

ადამიანებისათვის ჩვეულებრივი და მომაბეზრებელი ყოველდღიური სურათი რაღაც ჯადოსნური სამყაროსავით გადაიშალა მოხუცი აკადემიკოსის წინაშე. ქუჩაში ერთმანეთის სანინალმდეგოდ ლითონის ორი ფერადი მდინარე მიემართებოდა. რკინის მდინარეების აქეთ-იქეთ კი ნაირფერებში გამონწყობილი ადამიანების მძლავრი ნაკადიც მიედინებოდა. ეს ორი ურთიერთსანინალმდეგოდ მდინარება ხელს სრულებითაც არ უშლიდა მოძრაობას. წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, შავი, მტრედისფერი და, ვინ მოსთვლის, კიდევ რა ფერები, ერთმანეთში ირეოდნენ, ლივლივებდნენ, ბზინავდნენ.

„რატომ აქამდე არ მომსვლია აბრად, ერთხელ მაინც ფეხით წავსულიყავი შინ!“ - სინანული შეეპარა დავით გიორგაძეს.

კვლევითი ინსტიტუტი, კაბინეტი, ლაბორატორია, სახლი - ასეთი იყო მისი ყოველდღიური მარშრუტი და იშვიათად თუ დაირღვეოდა იგი მივლინებაში, სიმპოზიუმებზე თუ აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე წასვლისას.

საფიქრალი და თავსატეხი იმდენი ჰქონდა, მანქანის ფანჯრიდანაც კი გადაეჩვია ქუჩაში ცქერას. მოიკალათებდა თუ არა უკანა სავარძელზე, უმაღვე ფიქრს მიეცემოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მანქანაში ჩაჯდომამდე ეთიშებოდა ფიქრებს. ავტომატურად მოძრაობდა, ინსტიტუტიდან ისე გამოვიდოდა და მანქანის კარს ისე გამოაღებდა, ლაბორატორიაში წამოჭრილი ფიქრი არ უწყდებოდა, ისევ საკვლევ პრობლემებს დასტრიალებდა მოხუცი მეცნიერის გონება. სხვა მოქმედებას მხოლოდ მექანიკურად აწესრიგებდა. შეეძლო, დერეფანში ოცი კაცისთვის დაეკრა თავი. შემდეგ რომ გეკითხათ, ვის მიესალმეო, ალბათ ვერცერთს ვერ გაიხსენებდა.

კედელს მიყრდნობილმა საკმაოდ დაისვენა, მაგრამ წასვლას მაინც არ ჩქარობდა, კვლავ ქუჩის სილამაზით ტკებოდა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს კვლევით ინსტიტუტში, მის პირქუშ ლაბორატორიებში სულ სხვა ხალხი მუშაობდა, ხოლო ისინი, ვისაც ახლა ქუჩაში ხედავდა, სულ სხვანი იყვნენ, რომლებიც დღენიადაც მხოლოდ ქუჩაში სეირნობდნენ და მეტს არაფერს აკეთებდნენ. თითქოს მათთვის უცხო იყო დაწესებულების მკაცრი კედლები და ერთფეროვანი სამუშაოს მოწყენილობა.

უცებ დავით გიორგაძის ყურადღება მოფარფატე, ყვითელმა ფოთოლმა მიიპყრო. შეუმჩნეველი ნიავიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ტოტს მოსწყვეტოდა. მეცნიერმა ყურადღებით მიადევნა თვალი ფოთოლს. იგი თითქოს მიცეკვავდა, ჰაეროვან პირუტებს აკეთებდა, დროდადრო, წამიერად, თითქოს მაღლაც მიიწევდა, მაგრამ ნელ-ნელა მაინც ქვაფენილისაკენ ეშვებოდა.

როცა ყვითელი ფოთოლი ქვაფენილზე დავარდა და ვილაც გამვლელის ფეხქვეშ უნებურად გაისრისა, დავით გიორგაძემ თავი სინანულით გაიქნია. თვითონაც, მუშაობით

გადაღლილი სამოცდაათობმეტი წლის მეცნიერიც ხომ ამ ფოთოლს ჰგავდა. ალბათ ერთი სუსტი ნიავი მისთვისაც იქნებოდა საკმარისი, რომ სამუდამოდ დამშვიდობებოდა ქვეყნიერებას.

ღრმად ამოისუნთქა, უფრო სწორად, ამოიოხრა, თუმცა შეეცადა, ამოიხვრის გამომხატველი ბგერები არ აღმოხდენოდა და გზა წელა განაგრძო.

ერთბაშად ჩამობნელდა. მზე ისე მოულოდნელად და უეცრად ჩაქრა, თითქოს ელექტროლილაკის გადატრიალებით გამორთესო. ირგვლივ ყველაფერი გაიცრიცა. ადამიანები იმ პოზაში გაქვავდნენ, მზის გამორთვის მომენტში რომ იყვნენ. მანქანები ადგილზე გაიყინნენ, ფოთლები მკვდარ ხეებზე უსიცოცხლოდ გაქვავებულ თხელი შუშის ნატეხებს დაემსგავსნენ.

დავით გიორგაძეს ცივმა ოფლმა დაასხა, ვერ გაიგო რა მოხდა. ტროტუარებზე იდგა ასობით ადამიანის ქანდაკება. ერთი შეხედვით, ყველა ძალზე პლასტიკური იყო, გარკვეულ მოძრაობას გამოხატავდა, მაგრამ ახლოდან რომ დააკვირდებოდი, საშინელი გრძნობა გიპყრობდა, - მათ პლასტიკაში სიცოცხლე კი არ გამოსჭვიოდა, როგორც ქვის ან ბრინჯაოს ქანდაკებაში, არამედ სიკვდილი. ისინი თითქოს მოძრაობის სიკვდილს, პლასტიკის გარდაცვალებას გამოხატავდნენ.

ერთთავად შიშის ოფლში განურული მოხუცი გარდაცვლილ ქანდაკებებს შორის შემოიღვივით დააბიჯებდა. ცდილობდა, ისე ევლო, არავის მიჰკარებოდა. გულისმომკველელ სიჩუმეში მხოლოდ საკუთარი ფეხის ხმა, გულის ძგერა და ქოშინი ესმოდა.

შიშმა თანდათან კიდევ უფრო დარია ხელი. თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, უნდოდა, ერთი ცოცხალი არსება, ერთი მოძრავი ავტომობილი ან თუნდაც ნიავისაგან შერხეული ფოთოლი მაინც დაენახა, მაგრამ ამაოდ. თითქოს ეს გაქვავებული ადამიანები,

რამდენიმე წუთის წინ სიცოცხლით რომ იყვნენ სავსენი, ერთბაშად გადაიქცნენ უსულო, მექანიკურ არსებებად, თითქო ისინი მზის ენერგიით თუ ელექტროდენით მუშაობდნენ, რამდენიმე წუთის წინ კი ვიღაცის ხელმა მზე რომ გამოართო, ყველაფერი ერთ ადგილზე გაქვავდა და გაიყინა.

მოხუცმა აკადემიკოსმა ფეხი ფილაქანს წამოჰკრა და წინ მდგომ ორმოციოდე წლის ქალს დაეჯახა.

- უკაცრავად! - წამოიძახა დაბნეულმა და შეშინებულმა დავითმა. ქალი ცივი იყო, ყინულივით ცივი. მისი უსიცოცხლო, შუშის თვალები სადღაც უაზროდ იცქირებოდნენ.

დავითი რატომღაც უკან შემობრუნდა და გაიქცა, თუკი სირბილი შეიძლება დავარქვათ სამოცდაათოთხმეტი წლის კაცის ძუნძულს.

თვითონაც გაუკვირდა, უკან რატომ გაიქცა, ალბათ ადამიანში ჩაბუდებული თავის გადარჩენის ინსტიქტით ერთბაშად მოვარდნილ ძლიერ მტერს გაექცა.

სულ ორიოდ წუთში დაიღალა, შეჩერდა, მძიმედ სუნთქავდა. გული ისე უფართხალებდა, ნეკნებს ეხეთქებოდა. მიხვდა, გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ყველგან სიკვდილი იყო გამეფებული. ირგვლივ უმწოდ მიმოიხედა. მის გვერდით კაცი იდგა, ხელში პორტფელი ეჭირა. იგი თითქოს იმ დროს გამოართეს, მარჯვენა ფეხი ჰაერში რომ ჰქონდა აწეული. ცოტა უკან ბავშვიანი ქალი გაშეშებულიყო. გულზე მიხუტებულ ორიოდ წლის ბავშვს თითი სადღაც გაეშვირა. დედასაც თითის მიმართულებით ჰქონდა თვალები გაშტერებული. დავით გიორგაძეს ისევ გააჟრუოლა შიშისა და შემადრწუნებელი განცდისაგან.

დავით გიორგაძეზე ყველაზე უფრო გაქვავებული ადამიანების უაზრო გამოხედვა მოქმედებდა. სხივამქრალი, გაყინული თვალებიდან სიკვდილი იმზირებოდა. ირგვლივ



ჩამონოლილი დუმილი აუტანელი ხდებოდა. მიხვდა, ყურის ბარაბნები უჩვეულო სიჩუმეს ვერ უძლებდა. შინაგანი წნევისაგან თითქოს გარეთ გამოებერა და სადაცაა დასკდებოდა. მშინებულმა ყურებზე ხელისგულები მიიჭირა.

უცებ ადამიანის ფეხის ხმა მოესმა. იმედმა ერთბაშად დაჯაბნა სასონარკვეთილება.

„ეტყობა, კიდევ გადარჩენილა ვიღაც ცოცხალი“. - სიხარულმა ნელ-ნელა გაუთბო სხეული, მშობრუნდა და იქით გაიხედა, საიდანაც ნაბიჯების ხმა მოდიოდა.

კვლავ ვერავინ დაინახა, ქუჩა მხოლოდ გაქვავებული ადამიანებით იყო სავსე.

ნაბიჯების ხმა კი თანდათან ძლიერდებოდა.

იქნებ არც კი იყო ნაბიჯის ხმა?

სულერთია, რაც უნდა ის ყოფილიყო, ოღონდ კი ამ გაქვავებულ, გარდაცვლილ ქალაქში მოძრავა რამ დაენახა.

არა, ნამდვილად ადამიანის ფეხის ხმა იყო. ვიღაც ნელა, მაგრამ ენერგიულად უახლოვდებოდა. აი, მათ შორის მანძილი ათი მეტრიდა თუ იქნებოდა, მაგრამ რატომ ვერ ხედავდა?

მათ შორის ხუთი მეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი, რომ ერთბაშად დაინახა სრულიად ახალგაზრდა კაცი, ალბათ ოცდაერთი-ოცდასამი წლისა, მაღალი, ჩაფსკვნილი, მოხდენილი ჭაბუკი. გრძელი და სწორი ნაბლისფერი თმა, დიდი, თაფლისფერი თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი უხეში და ძლიერი ადამიანის იერს აძლევს.

მოდიოდა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით, თან მოხუც აკადემიკოსს თვალს არ ამორებდა.

ისეთი მრისხანე გამოხედვა ჰქონდა, დავით გიორგაძე სიხარულის ნაცვლად შიშმა შეიპყრო. წელან თითქო მან გამორთო მზე, მან გააქვავა პლანეტაზე მთელი სიცოცხლე და მოხუცს გაოცებული, თან განრისხებული მისჩერებოდა, შენ როგორღა გადამირჩიო. ფეხის ხმა მიწყდა. ჭაბუკი ინსტიტუტის დირექტორის წინ იდგა და დოინჯემოყრილი მეცნიერს თვალეში ჩასჩერებოდა. იგი მთელი თავით მაღალი იყო მოხუც მეცნიერზე. დავით გიორგაძე აცახცახებული ასცქეროდა ახალგაზრდა კაცის მრისხანე და აცახცახებულ სახეს. ორი ლაზერის სხივი, ჭაბუკის თვალეზიდან რომ გადმოდიოდა, მეცნიერის ტვინის უჯრედებში უბოდიშოდ დაფათურობდა.

დავით გიორგაძეს მუხლებში ძალა ეცლებოდა, გრძნობდა, კიდევ ცოტაც და დაეცემოდა.

უცებ, თითქოს მზე ისევ ჩართესო, ქუჩა კვლავ აივსო ოქროსფერი სხივებით, ერთბაშად დაიძრნენ მანქანები, ერთბაშად ამოძრავდნენ ადამიანები, ისევ გააურუოლა ხეებს, ისევ შეირხნენ ფოთლები. მანქანების ხმამ, ხმამალლა ლაპარაკმა და ახალგაზრდების სიცილ-ხარხარმა სადღაც გადაკარგა ირგვლივ გამეფებული ცივი დუმილი.

ქუჩის ორომტრიალში მხოლოდ ორნი იდგნენ უძრავად, აკადემიკოსი დავით გიორგაძე და ოცდასამი წლის წარმოსადგენი უცნობი ჭაბუკი.

დავითზე დამთრგუნავად მოქმედებდა ყმანვილის სიმაღლე და დამცინავი, თავხედური გამოხედვა. უნებურად ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაჭირვებით ამოილულულა:

- რა გნებავთ, ყმანვილო?

- მე რა მნებავს? - ზიზღიანი ხმით წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა, - პირიქით, ბაბუაჩემო, პირიქით! მე მაინტერესებს, თქვენ რა გნებავთ?!

- მეე? - დაიბნა მეცნიერი, - მე არაფერი!

- აბა რატომ გამაჩერეთ! - გაოცდა ჭაბუკი.

- მე გაგაჩერეთ? - სულ დაიბნა დავით გიორგაძე.

- დიას, თქვენ!

- ღმერთო, შეშენიე! ბოდიშს გიხდით... გთხოვთ, მაპატიოთ! - დავით გიორგაძემ კიდევე ერთხელ შეხედა უცნობის დამცინავად მომღიმარ სახეს და წასვლა დააპირა. ერთი ნაბიჯი გადადგა კიდეც, მაგრამ ისევ ჭაბუკისკენ შემობრუნდა.

- მართლა მე გაგაჩერეთ?

- წარმოიდგინეთ, რომ მართლაც თქვენ გამაჩერეთ!

- უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ, კიდევე ერთხელ გიხდით ბოდიშს!

ახალგზარდა კაცმა მხრები აიჩეჩა, სანახევროდ შემობრუნდა, უცნობს ერთხანს თვალი გაადევნა, მერე გაოცებულმა თავი გაიქნია და გზა განაგრძო:

„როდის გავაჩერე, ან რატომ გავაჩერე?“

„რატომ მომეჩვენა, რომ მზე გამორთეს და მთელი ქვეყანა ადგილზე გაქვავდა?“

„იქნებ ჰალუცინაციებმა დამრია ხელი, ან იქნებ დროებით გავითიშე?“

„ხვალვე ექიმთან უნდა მივიდე, ალბათ მათთვის უცხო არ იქნება ასეთი მოვლენები...“

„მოჩვენებებმა რომ შემაშინა და თავგზა ამიბნია, ის ჭაბუკი იქნებ იმიტომ გავაჩერე, იქნება მინდოდა შველა მეთხოვა?“

დავით გიორგაძემ ვერც კი შენიშნა, ფიქრიდან ლაპარაკზე როდის გადავიდა, ასაკისათვის შეუფერებლად სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა. გამვლელთა ირონიულ ღიმილს ვერ ამჩნევდა. თუმცა გამვლელთა ღიმილს კი არა, თვით გამვლელებსა და ავტომობილებსაც ვერ ხედავდა.

„ამდენი წელია, ქუჩაში ნაბიჯი არ გადამიდგამს. ჰალუცინაციები ალბათ გადაღლამ და უჩვეულო გარემომ აღძრა ჩემში. თავბრუ დამეხვა და გამოვითიშე“, - დაასკვნა ინსტიტუტის დირექტორმა.

დაასკვნა და დაიჯერა.

დაიჯერა და დამშვიდდა კიდევ. თითქოს უმძიმესი ტვირთი მოეხსნა, უზარმაზარი შვება იგრძნო. დაღლილობა თითქოს სადღაც გაქრა, ქუჩაში მხნედ და ენერგიულად მიაბიჯებდა.

## თავი პირველი

ზურაბ თორაძეს მძიმე ტყავის სავარძელი სანერი მაგიდიდან ცოტა უკან დაენია და შიგ ღრმად მოკალათებულყო. თვალი ჭერისკენ მიეპყრო. ხელში სიგარეტი ეჭირა. საფერფლე მასიური სავარძლის სახელურზე მოეთავსებინა. ეტყობოდა, ღრმა ფიქრებში იყო წასული. მერე თითქოს უეცრად გაახსენდა, სიგარეტს რომ ეწეოდა. მოქაჩა. სიგარეტი ჩამქრალიყო. კვესი იქვე ედო, მაგიდაზე, მაგრამ მოწვევა რატომღაც გადაიფიქრა და სიგარეტი საფერფლეზე დააგდო. შემდეგ საფერფლე მაგიდაზე დადგა, სავარძელიც მიაჩოჩა, მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელეებში ჩარგო.

მძიმე, დერმატინგადაკრული კარი ფრთხილად გაიღო. მდივანი ქალი შემოვიდა. მთავარი ეჭიმი რომ ასე ღრმად ჩაფიქრებული დაინახა, შეჩერდა, აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს, ისევ უკან გაბრუნება გადაწყვიტა.

- გისმენ! - უთხრა უცებ ზურაბმა ისე, რომ თავი არ აუწევია.

მდივანი მიხვდა, მთავარ ეჭიმს არ გამოჰარვია მისი შემოსვლა. ქერა თმაზე ხელი გადაისვა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა.

- თქვენთან კორესპონდენტია მოსული.

- კორესპონდენტი?

- დიახ, ახალი ამბების სააგენტოდან გახლავთ.

- ახლა მე კორესპონდენტისათვის არ მცალია. და, საერთოდ, შენ ხომ მაინც იცი მშვენივრად, რომ არ მიყვარს კორესპონდენტებთან საუბარი.

- ყველაფერი ავეუსენი, მაგრამ ასე თქვა, ბატონმა ზურაბმა ჩემს უფროსს ინტერვიუზე თანხმობა განუცხადაო.

- საიდან არის? - იკითხა ფიცხლად მთავარმა ექიმმა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავი ასწია და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

- ახალი ამბების სააგენტოდან ვარო!

- ჰო, ჰო, მართალია... გამახსენდა... უთხარით, შემოვიდეს, ისიც გააფრთხილეთ, რომ მხოლოდ ათი წუთი შემიძლია დავუთმო.

- ბატონი ბრძანდებით.

ის იყო მდივანს კარი უნდა გაეხურა, რომ კვლავ მთავარი ექიმის ხმა შემოესმა.

- ქალია თუ კაცი?

- ახალგაზრდა ქალია.

- კარგი, კარგი შემოვიდეს!

მდივანმა უკანა კარი ღია დატოვა და წინა კარი გააღო თუ არა, შემობრძანდითო, ღიმილით უთხრა კორესპონდენტს.

კორესპონდენტი ძალზე ახალგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი. თმა მოდურად ჰქონდა შეკრეჭილი, მაჯებს, თითებს და მკერდს იაფფასიანი, მაგრამ დიდი გემოვნებით შერჩეული სამკაულები უმშვენებდა.

ბურაბ თორაძეს ერთბაშად მოეწონა ქალიშვილი. მოეწონა მისი გრძელი ხელები, მოკლედ შეკრეჭილი თმა და იერი. ქალიშვილს ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ სპორტული მიხრა-მოხრა და ენერგიული გამოხედვა ძალზე ლაღ იერს აძლევდა. მოცისფრო შარვალი ეცვა. მოყვითალო, უხეშად ნაქსოვი სქელი ჯემპრი შარვალზე ბემოდან ჰქონდა გადაშვებული.

„ნეტავ როგორი ფეხები აქვს?“ - ეს იყო პირველი, რაც მთავარმა ექიმმა გაიფიქრა და მანამ წამოდგა, სანამ კორესპონდენტი მაგიდასთან მივიდოდა.

- გამარჯობათ! - თქვა ქალიშვილმა და ხელი გაუწოდა.

- გაგიმარჯოთ. გთხოვთ, დაბრძანდეთ, - ბურაბი მაგიდას მოშორდა, დასაჯდომად გამზადებულ ქალიშვილს კუთხეში პატარა მაგიდასთან მიდგმული სავარძლებისაკენ მიანიშნა, თვითონ წინ გაუძღვა და სავარძელი შესთავაზა. როცა ქალიშვილი სავარძელში ჩაჯდა, თვითონ სანერი მაგიდისაკენ გაბრუნდა, სიგარეტის კოლოფი, კვესი და საფერფლე წამოიღო, პატარა მაგიდაზე დააღაგა და მოპირდაპირე სავარძელში მოკალათდა.

კორესპონდენტ ქალიშვილს უჩვეულო ეჩვენა იქაურობა. მთავარი ექიმის კაბინეტი არ ჰგავდა იმ კაბინეტებს, რომლებიც დღემდე ენახა. ბეტონის სქელ კედლებში ჩამჯდარი სწორკუთხა, დიდი, მუქი მინები, ბეტონის კონსტრუქციული დირეები, ამ დირეებს შუა შემალული დღის სინათლეები, გრძელი, ერთი შეხედვით უპროპორციოდ გრძელი კაბინეტი, კედლებში შემალული წიგნებით სავსე თაროები, ტყავის რბილი ავეჯი და მასიური შავი ხის უბრალოდ გარანდული მაგიდები იქაურობას ძალზე მკაცრ იერს აძლევდა. ყოველივე ამას თითქოს არ ეხამებოდა ბურაბ თორაძის კეთილი გამოხედვა, მისი დიდრონი, მომწვანო და ჭკვიანი თვალები.

უცბე კორესპონდენტის ყურადღება უკანა კედლებში ჩატანებულმა მოყავისფრო რკინის

კარმა მიიპყრო. კარს გამოსაღები სახელური არ ჰქონდა, მის თავზე კი სქელი, ვიწრო მინის უკან წითელი და მწვანე ნათურები ციმციმებდნენ. ისინი ხან ქრებოდნენ, ხან ინთებოდნენ. ერთმანეთს რაღაც კანონზომიერებით ენაცვლებოდნენ. მთავარი ექიმი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მთელი კაბინეტი სპილოსძვლისფრად იყო შეღებილი, ჭერი კი თეთრად ქათქათებდა. მაგრამ ეს ფერებიც ვერ არბილებდა იმ სიზვიადესა და სიცივეს, კაბინეტში რომ მეფლობდა. აქ თითქოს ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული რაღაც საიდუმლოებით იყო აღსავსე და მიუჩვეველ კაცს უსიამოვნო გრძნობით, იქნებ შიშითაც ავსებდა.

- სიგარეტს ხომ არ მოსწევთ? - ზურაბ თოიძემ კორესპონდენტს სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

გოგონამ თანხმობა რაღაც ლამაზი გრიმასით გამოხატა და გრძელი თითები სიგარეტის კოლოფისაკენ ნაზად წაიღო.

მთავარმა ექიმმა კვეცი შეაშველა და საფერფლე ახლოს მიუწია.

კორესპონდენტმა სიგარეტი ხარბად მოქაჩა, თან სპორტული, მოცისფრო ტყავის ხელჩანთიდან ბლოკნოტი და კალმისტარი ამოიღო.

ზურაბ თორაძეს წელანდელი ენთუზიაზმი ჩაუქრა. ისე სტანდარტული იყო ქალიშვილის ყოველი მოძრაობა, ისეთი ფაღბი მოეჩვენა მისი მანერები, რომ მიხვდა, კორესპონდენტის გარეგნული იერი და მისი სულიერი სამყარო უღმერთოდ შორი-შორს იდგნენ ერთმანეთისაგან. საერთოდ ენაწყლიანი და პათეტიკის მოყვარული მთავარი ექიმი ერთბაშად შეიპყრო სევდამ.

- რა გაინტერესებთ? მე ძალზე ცოტა დრო მაქვს.



კორესპონდენტს სახეზე წყენა გამოეხატა. სიგარეტი საფერფლეზე დინჯად დადო და კალმისტარი მოიმარჯვა.

- დავინწყებ პირდაპირ. რამდენადაც ცნობილია, თქვენს ლაბორატორიებში წარმატებით მიდის თავის ტვინის გადანერგვის ოპერაციები ცხოველებს შორის.

- დიახ.

- გაქვთ რეალური შედეგები?

- აკი თქვენ თვითონ ბრძანეთ, რამდენადაც ცნობილია, თქვენს ლაბორატორიებში წარმატებით მიდის თავის ტვინის გადანერგვის ოპერაციებით. ესე იგი, გვქონია რეალური შედეგებიც.

- ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ ტვინის გადანერგვის შემდეგ?

- პირველი წარმატებული გადანერგვა სამი წლის წინ მოვახდინეთ. ის ძალღი დღესაც ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს.

უცებ რკინის კარის თავზე ყვითელი სინათლე აინთო და ზარის უცნაური წკრიალიც გაისმა. მთავარი ექიმი წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა და დისტანციური მართვის ლილაკს თითი დააჭირა. მძიმე, ყავისფერი რკინის კარი ნელ-ნელა მალლა წავიდა და ბეტონის კედელში გაუჩინარდა. კაბინეტში ახალგაზრდა ექიმი შემოვიდა. გამხდარ სახეზე გამოკვეთილ ცხვირს ზემოთ ძველებური, წვრილი, მოოქროვილჩარჩოიანი სათვალე ელექტრონის შუქს უცნაურად ირეკლავდა. ასეთი სათვალე მხოლოდ კინოფილმებიდან ახსოვდა ახალგაზრდა კორესპონდენტს. ექიმი დაღლილი ნაბიჯებით მიუახლოვდა ზურაბ თორაძეს და გამჟღავნებული ფირი გაუნოდა. მთავარმა ექიმმა ფირი რაღაც ხელსაწყოში ჩადო და ლილაკს თითი დააჭირა. ფირი განათდა. კორესპონდენტი

ვერ მიხვდა, შუქი საიდან სცემდა. იგი ხან მთავარი ექიმის დაძაბულ სახეს აკვირდებოდა, დროდადრო კმაცოფილების იერი რომ გადაჰკრავდა, ხან კი ახალგაზრდა სათვალთან ექიმს შესცქეროდა.

ზურაბ თორაძემ ღილაკს თითი დააჭირა, ფირი ხელსაწყოდან ფრთხილად გამოიღო, კვლავ ახალგაზრდა ექიმს დაუბრუნა, კმაცოფილების ნიშნად თავი დაუქნია და მხარზე ხელი მოუტყაპუნა.

სათვალისანი ექიმი გაბრუნდა და მალე კარს უკან გაუჩინარდა. ზურაბ თორაძემ დისტანციური მართვის ღილაკს ისევ თითი დააჭირა და მძიმე კარი ნელ-ნელა დაბლა დაეშვა.

ყურადღებას მიჩვეული ქერა ქალიშვილი განაწყენდა. მიხვდა, სათვალისანი ექიმს იგი არც კი შეუმჩნევია, ან თუ შეამჩნია, არაფრად ჩაუგდია.

ზურაბ თორაძე კვლავ თავის სავარძელს დაუბრუნდა და კორესპონდენტს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, ბარემ მკითხე, რა გაინტერესებს, ხომ ხედავ, არ მცალიაო.

- ქალაქში ხმა დადის, რომ თქვენ უკვე შეგიძლიათ ადამიანებსაც გადაუნერგოთ ტვინი. მართალია?

- იქნებ მართალიც იყოს! - გაიცინა მთავარმა ექიმმა.

- გადაუნერგეთ ტვინი ვინმეს? - ცნობისმოყვარეობა ვერ დაიოკა ქალიშვილმა

- არა, ტვინის გადანერგვა ასე იოლი არ არის. ჩვენ უკვე მივალნიეთ ტრავმის შედეგად დაზიანებული ტვინის მონაკვეთების შეცვლას.

- ვერ დავგისახელებთ კონკრეტულ მაგალითებს?

- ეგ შეუძლებელია. ტვინის ნაწილების ტრანსპლანტაციით განკურნებულ ავადმყოფებს არ სურთ გაამჟღავნონ თავიანთი ვინაობა. მე მხოლოდ შემიძლია აგისნსათ ოპერაციის იდეა და მექანიზმი.

- გისმენთ, - ქალიშვილმა კალმისტარი მოიმარჯვა.

- ადამიანის სხვადასხვა ორგანოების გადანერგვის დარგში მედიცინა აშკარად ძალზე შორს წავიდა, და მაინც ამ მეთოდის ტვინის ქსოვილზე გავრცელების შესაძლებლობა ბევრისთვის ფანტაზიის სფეროში რჩებოდა. მაგრამ ნეირობიოლოგიაში მოპოვებულმა ხუთი წლის წინანდელმა მიღწევებმა შეგვაძლეს ტვინის ქსოვილის გადანერგვა. ეს განსაკუთრებულ მეცნიერულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ნერვული ქსოვილების რეგენერაციის უნარი გაცილებით მცირეა.

ნერვული ქსოვილების თვითგანკურნების შეზღუდული უნარი უწინარეს ყოვლისა იმითაა განპირობებული, რომ ძუძუმწოვართა შორის ნერვული უჯრედების - ნეირონების დაყოფა ჩანასახის სტადიაში წყდება. ეს თავისთავად გულისხმობს დაზიანებული ნერვული ქსოვილის თვითგანკურნების შესაძლებლობათა შეზღუდვას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს ცენტრალური ნერვული სისტემა დაზიანებისას აბსოლუტურად უმწეო იყოს. აღმოჩნდა, რომ დაზიანებულთა მეზობლად განლაგებული ჯანსაღი ნერვული ბოჭკოები ზრდას იწყებენ და დაზიანებულთა ადგილს იკავებენ.

მთავარმა ექიმმა სიგარეტი ღრმად მოქაჩა და მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ გააგრძელა:

- დღემდე გაურკვეველია, როგორ გებულობენ ჯანმრთელი ნერვული ბოჭკოები, რომ საჭიროა შეენაცვლონ დაზიანებულთ, და როგორ აგნებენ შესაბამის განთავისუფლებულ ადგილს. ამ კითხვებზე პასუხს ეძიებენ ნეირობიოლოგები, რომლებიც იკვლევენ ტვინის განვითარების მექანიზმს, ანუ როგორ წარმოიშობა და ორგანიზდება ცალკეულ

ნეირონებსა და ნერვული სისტემის ცალკეულ მონაკვეთებს შორის კავშირი. ამ დარგში გამოკვლევების ჩატარებისას ქსოვილის გადანერგვის მეთოდს ვიყენებთ. ვფიქრობთ, ტვინის ქსოვილის სამკურნალო მიზნით გადანერგვა ახლო მომავლისათვის ჩვეულებრივი ამბავი იქნება.

მთავარი ექიმი გაჩუმადა, რაღაც ფიქრმა გაიტაცა.

კორესპონდენტმა უკანასკნელი სიტყვა ჩაიწერა და ბურაბ თორაძეს შეხედა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

ქალიშვილი მიხვდა, მთავარი ექიმი რომ ღრმა ფიქრში იყო წასული და ხმის ამოღება ვეღარ გაბედა. უცებ ბურაბ თორაძემ თავი გაიქნია, თითქოს ფიქრი თავიდან მოიშორაო და კვლავ ქალიშვილს შეხედა.

- ყველაფერი გასაგები იყო, რაც მოგახსენეთ?

- თითქმის ყველაფერი! - გაიღიმა ქალიშვილმა. - ოღონდ ერთ რამეზე კიდევ უნდა მიპასუხოთ.

- რაკი ერთ რამეზე, ესე იგი უკანასკნელზე, არა? გისმენთ.

ბურაბ თორაძეს სახე უცებ მოელუშა. აშკარად აღიზიანებდა ქალიშვილის გრძელ თითებს შორის გარტობილი სიგარეტი და ერთმანეთზე შემოდებული ფეხები.

მთავარი ექიმის კეთილი სახისათვის იმდენად არაბუნებრივი იყო მკაცრი და პირქუში გამოხედვა, თითქოს სახეზე სხვისგან ნათხოვარი ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული.

- დაახლოებით რამდენიმე წელია საჭირო, რომ ერთი ადამიანის ტვინი მეორეს გადაუწერონ?

ბურაბმა დაკვირვებით შეხედა კორესპონდენტს. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, საერთოდ ენაწყლიან მთავარ ექიმს ქალიშვილი აღარ აინტერესებდა და ყოყმანობდა, ვრცლად გაეცა პასუხი, თუ რაიმე სტანდარტული ფრაზით მოეშორებინა სტანდარტული სახის, ჩაცმულობისა და ნიჭის კორესპონდენტი.

- ასეთ საკითხებზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ შეიძლება.

- რაიმე სახელმწიფოებრივი საიდუმლოებაა?

- არავითარი.

- აბა, რა გვიშლის ხელს?

- ბევრი რამ. მათ შორის მხოლოდ ორ უმთავრეს ფაქტორს გამოვყოფთ. პირველი: ტვინის გადანერგვა ურთულესი საქმეა. და მეორე, კიდევ უფრო რთული და ძნელი გადასაწყვეტია პრობლემა: გვაქვს თუ არა უფლება, ერთი ადამიანის ტვინი მეორეს გადავუწეროთ?

- რატომ? - კორესპონდენტმა ლამაზი იაპონური კალმისტარი ტუჩებთან მიიტანა.

ბურაბ თორაძემ თვალებში შეხედა ქალიშვილს. კვლავ უინტელექტო ეჩვენა მისი გამოხედვა, ბედაპირული და თანაც პრეტენზიული.

„ღირს კი ამ გოგონასთან გულწრფელი საუბარი?“ - ლაპარაკის სურვილი საბოლოოდ დაეკარგა ენაწყლიან და პათეტიკურად მოსაუბრე მეცნიერს.

- თუკი გულის და თირკმლის გადანერგვა შეიძლება? - გააგრძელა წელანდელი შეკითხვა კორესპონდენტმა.

- გულის და თირკმელის გადანერგვის უფლებას გვაძლევს თუ არა ღმერთი, თუნდაც ბუნება, ჯერჯერობით ესეც არ იცის კაცობრიობამ. ტვინი კი თირკმელი არ არის. ადამიანის ხელოვნური გული და თირკმელი კარგა ხანია შექმნა მეცნიერებამ. ხელოვნური ტვინის შექმნა კი შეუძლებელია. გული დეტალია, უფრო სწორად, სხეულის მოტორი, გნებავთ ტუმბო. გული ყველა ერთნაირია, განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ ჯანმრთელობის თვალსაზრისით იყოს. ტვინი კი თვით ადამიანია, მისი ხასიათია, ინტელექტია, ნიჭია, და ვინ იცის, იქნებ სულიცაა...

- ღმერთი გნამთ

ზურაბ თორაძე შეკრთა, უფრო სწორად, გამოარკვია და გააოცა ქალიშვილის შეკითხვამ.

- ამ შეკითხვაზე პასუხიც აინტერესებთ გაზეთის მკითხველს? - ირონიული ღიმილით შეხედა კორესპონდენტს.

- არა, ეს შეკითხვა მკითხველისათვის არ დამისვამს, მე თვითონ მაინტერესებს.

- მე მნამს ადამიანის აბროვნება. ყველა სხვა სასწაულთან ერთად ადამიანის აბროვნებამ შექმნა თვით ღმერთი.

უცებ მთავარი ექიმის კაბინეტში გამეფებული სიჩუმე ზუმუნისმაგვარმა ხმამ დაარღვია.

კორესპონდენტმა უკანა კარს შეხედა, მაგრამ უმაღვე მიხვდა, ხმას მთავარი ექიმის საწერ მაგიდაზე დადგმული სამართავი პულტი გამოსცემდა.

ბურაბ თორაძე წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა და სამართავი პულტის ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა.

კაბინეტში სინათლე ჩაქრა. ორმაგი ფანჯრებიდან შემომავალი მუქი მწვანე შუქი ოდნავ ანათებდა იქაურობას.

„ნეთუ მეორე სართულზე ვართ?“ - უსიამოდ გააჟრჟოლა კორესპონდენტს. მიხვდა, გაჩახახახებული ფანჯრებიდან წელან მზე კი არ ანათებდა, დღის სინათლე ყოფილა ორმაგ ჩარჩოებში მიმაღული.

გაისმა შრიალის ხმა. კაბინეტის მარჯვენა გვერდითი კედელი თითქოს შუაზე გაიყო, ერთმანეთს დაშორდა, ხოლო მის უკან ცისფერი შუქი აციმციმდა. სინამდვილეში, კედლისფრად შეღებილი ხის ორი დიდი კარი დაშორდა ერთმანეთს, ცისფერმა შუქმა კი ერთ წამში მიიღო მოციმციმე ტელეეკრანების სახე. თორმეტი ეკრანი გადათვალა კორესპონდენტმა, ოთხ-ოთხი ცალი სამ რიგად. ყოველ მათგანზე რაღაც ელექტრული დიაგრამები ისახებოდნენ.

ბურაბ თორაძე დაძახული მისჩერებოდა თითოეულ მათგანს. ეკრანიდან წამოსული ცისფერი შუქი უფრო რელიეფურსა და საიდუმლოებით აღსავსეს აჩენდა მთავარი ექიმის სახეს.

კორესპონდენტი შიშმა აიტანა. ჯერ წარმოიდგინა, რომ მიწაში უსასრულოდ ღრმად, ჩაბნელებულ, მძიმე ბუნკერში იმყოფებოდა. მერე მიხვდა, მთავარი ექიმის კაბინეტი სრულებითაც არ ჰგავდა ბუნკერს. ახლა ქალიშვილს თავი ოკეანის სიღრმეში ჩაშვებულ წყალქვეშა გემზე ეგონა.

უცებ გვერდით კიდევ ერთი ეკრანი აინთო. იგი გაცილებით დიდი იყო დანარჩენ ეკრანებთან შედარებით. ეკრანზე დიაგრამების ნაცვლად ის სათვალისანი ჭაბუკი ექიმი გამოისახა, წელან რომ შემოვიდა ბურაბ თორაძესთან.

- ფრთხილად, წნევამ დაინია! - წარმოსთქვა უცებ მთავარმა ექიმმა.
- ვიცი, ბევრი სისხლი დაკარგა. - უპასუხა ევრანიდან სათვალთანმა ჭაბუკმა.
- დიაგრამა სტაბილური ხდება, ვფიქრობ საშიში არაფერია. სისხლის გადასხმა მაინც საჭიროა.
- ყველაფერი მზადა გვაქვს.

მთავარი ექიმი ნანყვეტ-ნანყვეტ იძლეოდა განკარგულებებს.

კორესპონდენტმა ევრანზე ჭაბუკ ექიმთან ერთად ორი ქალიც გაარჩია და ურთულეს აპარატურას შორის ჩაჭედო რკინის სანოლზე ავადმყოფის სილუეტიც დალანდა.

ბურაბ თორაძე მოკლე განკარგულებებს იძლეოდა. კორესპონდენტისათვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, თუმცა, კაცმა, რომ თქვას, არც კი ცდილობდა გარკვეულიყო, ღრმად ჩასწვდომოდა მთავარი ექიმის განკარგულებებს. მის გონებას ევრანზე მოციმციმე დიაგრამები და ჭაბუკი სათვალთან ექიმის მოძრაობა უფრო იტაცებდა. ახალგაზრდა ექიმის მოქმედება და ევრანებზე დიაგრამების ცვალებადობა თითქოს ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. მთლიანად კი ჩაბნელებული ბეტონის დირეები, პირქუში კაბინეტი, მთავარი ექიმის დაძაბული, რელიეფური სახე და მოციმციმე ევრანები საიდუმლოებით აღსავსე და რაღაცის მოლოდინით დამუხტულ განწყობილებას ქმნიდა.

უცებ ყველა ევრანი ერთბაშად გამოირთო და კაბინეტი კვლავ დღის სინათლის შუქმა ააჩახჩახა. ორი ფარი ნელ-ნელა დაუახლოვდა ერთმანეთს, ტელეევრანები მათ უკან გაუჩინარდა და კედელიც გამოვლიანდა. კორესპონდენტი ამაოდ ეძებდა კედლისაგან ფარების გამომყოფ უწვრილეს ხაზებს, ყველაფერი ისეთი სიზუსტით იყო გაკეთებული.



ზურაბ თორაძე კვლავ პატარა მაგიდასთან მივიდა, ოღონდ სავარძელში აღარ ჩამჯდარა, სიგარეტის კოლოფს დასწვდა და ქალიშვილს გაუნოდა:

- გმადლობთ, აღარ მინდა! - მიუგო ქალიშვილმა.

მთავარმა ექიმმა თვითონ ამოიღო სიგარეტი, ცეცხლი მოუკიდა და ხარბად მოქაჩა.

- კიდევ რა გაინტერესებთ?

- არაფერი! - კორესპონდენტმა კალმისტარი და წიგნაკი ხელჩანთაში ჩააგდო, - უბრალოდ, მწყინს, რომ ინტერვიუ არ გამოგვივიდა.

- რატომ?

- რაც მთავარია და სენსაციური, მისი გამოქვეყნების უფლებას არ იძლევი.

- ეს ჩემი ჭირვეულობის ბრალი არაა. წელან აგიხსენით, რომ ამ თემაზე საუბარი ბევრ მორალურ ფაქტორთან არის დაკავშირებული.

- გასაგებია! - გაიღიმა ქალიშვილმა და ფეხზე წამოდგა.

- ვწუხვარ, რომ იმედები გაგიმტყუნეთ!

კორესპონდენტი მიხვდა, ზურაბ თორაძემ ეს ფრაზა მექანიკურად, ბრდილობისათვის წარმოსთქვა. არც შემცდარა. მან კორესპონდენტთან საუბარი ფსიქოლოგიურად უკვე დაამთავრა და იმავე წუთში სხვა საქმეზე გადაერთო. აკადემიკოსი დავით გიორგაძე გაახსენდა, ნაინფაქტარი რომ იწვა საავადმყოფოს საგანგებო პალატაში.

- შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ?

ბურაბ თორაძე ქალიშვილის ხმამ უცებ გამორთო ფიქრიდან.

- ბრძანეთ!

- როგორ არის აკადემიკოსი დავით გიორგაძე?

- დავით გიორგაძე? - შეკრთა მთავარი ექიმი.

კორესპონდენტისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბურაბ თორაძის სახეზე გამოსატული მძაფრი რეაქცია.

- დიახ, დავით გიორგაძე, ხომ არაფერია სახიფათო?

- როგორ გითხრათ,- დაიოკა მღელვარება მთავარმა ექიმმა. ხმა კვლავ მშვიდი და მტკიცე გაუხდა. - რთული სიტუაციაა. ინფარქტი ამ ათი დღის წინ დაემართა, აბა ჯერ რა შეგვიძლია ვთქვათ. ყველაფერი ჩვენზეც არაა დამოკიდებული. თუ ინფარქტს ვძლიეთ, მოხუცი აკადემიკოსის სხეულმა არ უნდა გვიმტყუნოს...

- ესე იგი, იმედი არის.

- რასაკვირველია. უიმედობა ღმერთმა ნუ ქნას. ბატონი დავითი თქვენი ნათესავია?

- არა, მე მას არც კი ვიცნობდი. ალბათ გახსოვთ, ამ სამი თვის უკან თბილისში ასტროფიზიკოსების საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა. ჩვენი სააგენტოსთვის აკადემიკოსს ინტერვიუ მე ჩამოვართვი. ძალიან მომეწონა მოხუცი მცენიერი, იშვიათად მინახავს ასეთი ყურადღებიანი, გონებამახვილი და განსწავლული კაცი. გავიგე, რომ ათი დღის წინ ინფარქტი დამართნია. ძალიან მენწყინა. დავით გიორგაძე ძალზე დიდ პრობლემას ყოფილა შეჭიდებული, როგორც თქვენ, არც მან ინება ნაადრევი საუბარი

თავისი გამოკვლევების ირგვლივ. ოღონდ დამპირდა, რომ ნაპრომის გამოქვეყნებისთანავე მე მომცემდა პირველ ინტერვიუს. ჩემი ტელეფონის ნომერიც კი ჩაინერა. ძალზე დამწყდა გული...

- დავით გიორგაძეზე თუ ინტერვიუზე, რომელიც შეიძლება აღარ შედგეს? - დამცინავად გაიღიმა ბურაბ თორაძემ.

- გულწრფელად გეტყვით, ორთავეზე! - გამომწვევად მიუგო მთავარი ექიმის დამცინავი ტონით განაწყენებულმა კორესპონდენტმა. - კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალიშვილი შებრუნდა და გასასვლელი კარისკენ გაემართა. მთავარი ექიმი მიხვდა, კორესპონდენტი გაანაწყენა, მაგრამ ეს ამბავი გულთან დიდად არ მიუტანია. მისი გონება სულ სხვა ამბავზე ააფორიაქა. როცა ქალიშვილი გაუჩინარდა, მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

ღმერთო ჩემო, დავით გიორგაძე! რა იყო ეს? ტელეპატია? მე ხომ ბუსტად იმ წუთში თავში აკადემიკოსის სახელმა და გვარმა გამიელვა, სანამ კორესპონდენტი შემეკითხებოდა, დავით გიორგაძე როგორ არისო? იქნებ, უბრალოდ, დამთხვევა იყო და მეტი არაფერი?.. რატომ მაინცდამაინც დღეს? .. რატომ მაინცდამაინც მაშინ, როცა მასზე ვფიქრობდი?"

ფეხზე წამოდგა. სიგარეტის ნამწვავი საფერფლეზე დააგდო და კვლავ კოლოფს დასწვდა.

„აკადემიკოსი დავით გიორგაძე!... ვითომ უბრალო დამთხვევა იყო? რატომ თავშივე არ მკითხა, ან სადღაც საუბრის შუაში? რაღა მაინცდამაინც იმ წუთში გაახსენდა, მე რომ გონებაში გავივლე აკადემიკოსის სახელი და გვარი? იქნება რაიმე იმპულსი გადავეცი, ან პირიქით, იქნებ მან გადმომცა იმპულსი, წინასწარ მეგრძნო, წინასწარ მივმხვდარიყავი,

ვისი ჯანმრთელობის ამბავიც აინტერესებდა?.. დამთხვევაა ... არა, ეს არ არის მხოლოდ დამთხვევა...”

ბურაბ თორაძემ ნელ-ნელა უმატა ნაბიჯს და ბოლოს სირბილით მოჰყვა ბოლთის ცემას.

სახე ოფლით დაენამა. გულიც გამალებით უცემდა. დაღლილობა იგრძნო, მაშინდა მიხვდა, კაბინეტში რომ გამმაგებით დააბიჯებდა. შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და სავარძელს მიაშურა.

უკან, რკინის კარის თავზე კვლავ აინთო ყვითელი სინათლე და ისევ გაისმა ზარის უცნაური წკრიალი.

მთავარ ექიმს თითქოს არც გაუგონია ზარის ხმა.

სავარძლის საბურგეს მიაწვა, თვალები დახუჭა და ღრმა ფიქრებში ჩაიძირა.

## თავი მეორე

ჩაბნელებულ თეთრ პალატას მხოლოდ სამედიცინო აპარატურის წითელი და მწვანე შუქი ანათებდა. ამ ხელსაწყოთა შორის, ოთახის შუაგულში სანოლი იდგა. სანოლი თავისთავად რთულ მექანიზმს წარმოადგენდა, რომლის წყალობითაც, საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მისი რეგულირება სასურველი სიმაღლისა და სასურველი დახრილობის მისაღწევად. სანოლის ირგვლივ საკმაოდ ადგილი იყო, რომ ექიმებს სრულიად დაუბრკოლებლად, თავისუფლად ემოქმედნათ. სანოლის თავს უკან კედლისაკენ სანახევროდ შებრუნებული ტელეეკრანი ციმციმებდა, მასზე გულის მუშაობის რიტმის გამომსახველი ხაზები გარკვეული კანონზომიერებით ერთმანეთში იხლართებოდა. შემდეგ ეს გადახლართული ხაზები, რაღაც სიმეტრიულ ფიგურებსაც რომ წააგავდნენ, ეკრანის ერთი ნაპირიდან მეორისკენ გარბოდნენ და ეკრანის იქით, შავ სივრცეში ინთქმებოდნენ.

სანოლში წვერმოშვებული მოხუცი კაცი იწვა. ავადმყოფობისაგან დაუძლურებული, ერთი შეხედვით, ოთხმოც წელს გადაცილებულს ჰგავდა. სინამდვილეში კი სამოცდაათოთხმეტისა იყო. სათვალე ეკეთა, სიბნელეში თვალები ჭერისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ისე გაუნძრევლად იწვა, კაცი ვერ მიხვდებოდა, თვალღიას ეძინა, თუ ღრმა ფიქრებში იყო წასული.

აკადემიკოსი დავით გიორგაძე უკვე მესამე თვეა, სიკვდილს ებრძოდა. მოულოდნელმა ელდამ, რაც მისი ერთადერთი შვილის უბედურებასთან იყო დაკავშირებული, გულის ორთავე მხარე გაუხლიჩა.

თავდაპირველად აღარავის ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი, მაგრამ ექიმებმა მაინც სძლიეს ავადმყოფობას. ახლა ყველაფერი მოხუცი მეცნიერის ორგანიზმზე იყო დამოკიდებული. შესძლებდა კი მოხუცი მეცნიერის თითქმის სამი თვის წოლისაგან და მკურნალობის რეჟიმისაგან დაუძლურებული და გამოფიტული სხეული გამოჯანსაღებას?

დავით გიორგაძეს სახის სწორი ნაკვეთები ჰქონდა, ცივი და მკაცრი, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში თბილი და ყურადღებიანი კაცი იყო. თმასა და წვერში, მიუხედავად ასაკისა, თეთრი არ ერია, თუ არ ჩავთვლიდით ოდნავ შევერცხლილ საფეთქლებს. მის შემხედვარეს შეიძლება ისიც კი გეფიქრა, მოხუცი აკადემიკოსი თმას ხომ არ იღებავსო. შავი თმა და წვერი სიმკაცრესთან ერთად ბრძენი კაცის გამოხედვასაც აძლევდა აკადემიკოსის სახეს. ამდენი ხნის მწოლიარეს სისუსტე ძალზე მორეოდა და თვალებიც - დიდი, ჭკვიანი შავი თვალებიც ჩავარდნოდა. იმდენად ჩავარდნოდა, რომ სიგამხდრისაგან ჩაღრმავებულ ფოსოებში თვალები ისე ეწყო, თითქოს არაფერზე აღარ იყო დამაგრებული. უნებურად კაცს შიში იპყრობდა, მოხუცი არ გადაბრუნებულიყო და თვალები ბურთულებივით არ გაგორებულიყვნენ ლოგინში ან იატაკზე.

საკმარისი იყო, ვინმე გამოლაპარაკებოდა, დავით გიორგაძის სახე უმაღლვე ივსებოდა ენერგიითა და ირონიით. მაშინ მნახველი ან ექიმი ვეღარც კი აღიქვამდა მოხუცის ჩაღამებულ თვალებსა და სისუსტისაგან ამოჩრილ ყვრიმალეებს. მაინც რა აძლევდა მეცნიერის სახეს ენერგიას? სხარტი, ღონიერი და ელვარე ფრაზა, მისი ახალგაზრდული ტვინის გამონაკვესი, და სხივი, რომელიც ლაპარაკის დროს თვალებში ჩაუდგებოდა ხოლმე.

უცებ სადღაც სიღრმეში კარმა საიდუმლოდ გაიჟღარუნა და ნელ-ნელა გაიღო. პალატის იატაკზე კარის სიგანეზე ელექტროშუქი ფიანდაზად გაეფინა.

მძიმე, ლითონის მოყავისფრო კარის დახურვისთანავე საწოლის თავთან, მარჯვენა მხარეს პატარა ნათურა აინთო. შუქი ავადმყოფს უკანიდან სცემდა და ნათურის ელვარება არ აწუხებდა. ნათურა მხოლოდ დავით გიორგაძის სახეს ანათებდა. ახლა იგი აკლდამაში დასვენებულ მიცვალებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე საავადმყოფოს პალატაში მწოლიარე ავადმყოფს.

დავით გიორგაძე ნათურის შუქზე მიხვდა, რომ ოთახში ვიღაცა შემოვიდა. ისიც იცოდა, ეს „ვიღაც“ რომ მთავარი ექიმი იყო.

ზურაბ თორაძე ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ავადმყოფს

ჭერისაკენ თვალუბაპყრობილი დავით გიორგაძე კვლავ უძრავად იწვა.

პატარა ნათურაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ცივი აპარატურით ამოჭედილ პირქვეშ პალატას ერთბაშად შეეძინა სიმყუდროვე.

ზურაბ თორაძე ფრთხილად მივიდა სანოლთან და იქვე მდგომ სკამზე კიდევ უფრო ფრთხილად ჩამოჯდა.

ავადმყოფს სახე არ შერხევია, ისევ ჭერს შესჩერებოდა. სათვალის მინებზე ელექტრონის შუქი ირეკლებოდა და თვალები არ მოუჩანდა.

მთავარი ექიმი ცდილობდა სიჩუმე არ დაერღვია, თუმცა კარგად იცოდა, დავით გიორგაძეს არ ეძინა. ჯერ კიდევ აქ შემოსვლამდე აპარატურამ დიაგრამების საერთაშორისო ენაზე დანჯვრელებით მოუთხრო არამართო ავადმყოფის ძილ-ღვიძილის ამბავი, არამედ მისი განწყობის, აღგზნებისა თუ დეპრესიის ხარისხიც.

ზურაბ თორაძე მიხვდა, თუ თვითონ არ დაილაპარაკებდა, აკადემიკოსი ხმის ამომღები არ იყო.

- დილამშვიდობისა, ბატონო დავით!

- უკვე დილაა?! - მცირეოდენი პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა დავით გიორგაძემ.

- დიახ, ცხრა საათია!

- და თქვენ ცხრა საათს დილას ეძახით? - ოდნავ შესამჩნევად ჩაიცინა ავადმყოფმა.

უფრო სწორად, სცადა, მაგრამ ვერ ჩაიციხა. მხოლოდ გამოთქმული ფრაზის ინტონაციამ მიახვედრა მთავარი ექიმი, რომ აკადემიკოსს ირონიული ჩაყინების სურვილი დაეხატა.

- ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი დილა ხუთი საათიდან იწყებოდა.

- თქვენ აქ მართო მოსასალმებლად არ შემოხვიდოდით, - ავადმყოფის ინტონაციას სუსხი შეეპარა, - მე, ბოლოს და ბოლოს, კატეგორიულად მოვითხოვ, გულახდილად დამიხატოთ ჩემი დაუძღვრებული სხეულის შესაძლებლობანი. სისხლხორცეულად მაინტერესებს და თქვენ ზუსტად უნდა მითხრათ, რამდენ ხანს ვიცოცხლებ, საერთოდ, თუკი მიწერია კიდევ სიცოცხლე, მე სიკვდილისა არ მეშინია! მეშინია მხოლოდ ერთი რამის: ვერ მოვასწრო ჩემი სათქმელ, ვერ მივცე სათანადო მითითებანი კოლეგებს, ამხანაგებს, რომლებმაც უნდა გააგრძელონ დანყებული საქმეები. ინფარქტი ორდღებში მიმალული ცოფიანი ძაღლივით მუხანათურად დამეტაკა. სიკვდილს ჯერ არ ვაპირებდი და ბევრი მოსაზრება, რომელთა მნიშვნელობაშიც ეჭვი არ მეპარება, არავისთვის გამიბიარებია. არ მინდა ისინი ჩემთან ერთად მოკვდნენ, გასაგებია? ამიტომ უფლება არა გაქვთ, რაიმე დამიმალოთ.

- ნუ ღელავთ, ბატონო დავით, თქვენ არ გაქვთ დაეჭვების საფუძველი. ძალიან გთხოვთ, ნუ ინერვიულებთ. ნერვიულობის, დაძაბულობისა და მღელვარების ფაქტორები მთლიანად უნდა გამოვითხოოთ, თუ გვინდა, რომ სავსებით გამოვჯანმრთელდეთ და სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ. მეორეც, თქვენ ნუ ღელავთ, შესანიშნავად ვიცი, ვისთან მაქვს საქმე. ამიტომაც მინდა, ჩემი ყოველი სიტყვა დაიჯეროთ.

- რომში ყოფილხართ? - ჰკითხა უცებ დავით გიორგაძემ.

- რა ბრძანეთ? - დაიბნა მთავარი ექიმი. ეგონა ყურმა მომატყუაო.

- რომში თუ ყოფილხართ-მეთქი?



- დიახ, ვყოფილვარ!

- მაშინ გემახსოვრებათ, იქაურ ტურისტულ ფირმებს აქვთ რამდენიმე პროგრამა: „რომი სამი დღით ჩამოსული ტურისტებისათვის“, „რომი ხუთი დღით ჩამოსული ტურისტებისათვის“ და ასე შემდეგ. მეც ზუსტად უნდა ვიცოდე ჩემი სამოქმედო პროგრამა სამი, ხუთი თუ რამდენი დღით უნდა შევადგინო. ამიტომაც პირდაპირ მიპასუხეთ. რამდენ ხანს ვიცოცხლებ კიდევ? რამდენიმე დღე, თვე თუ წელიწადი?

მთავარი ეჭვიმე შეცბა. შევითხვის ასე შუბივით ძგერებას არ ელოდა. შეყოყმანდა, ერთბაშად ვერ მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა.

- ახალგაზრდავ, პასუხისთვის თუ მზად არ ხართ, მე შემძლია მოვითმინო რამდენიმე წუთი.

- „ახალგაზრდავ!“ - როგორ ეხამუშა ეს სიტყვა ორმოცდათორმეტი წლის კაცს.

დავით გიორგაძეს იქნებ ასაკი აძლევდა კიდევ ამ სიტყვის თქმის უფლებას, მაგრამ ეჭვიმიხვდა, ასაკი აქ არაფერ შუაში იყო. პატრიარქობას მიჩვეული კაცის ნათქვამს უფრო ჰგავდა ქედმაღლურად წარმოთქმული „ახალგაზრდავ!“

- როგორ გეკადრებათ. მე მზად ვარ ახლავე გაგცეთ პასუხი შევითხვაზე. ჩემი ხანმოკლე პაუზა სასაუბრო თემის მოულოდნელ შებრუნებას მოჰყვა. ერთბაშად ვერ მოვიფიქრე, როგორ დამეწყო. პირდაპირ გეტყვით, თითქმის სამი თვის დაძაბული მკურნალობის შედეგად თქვენ უკვე გამოძვერით კრიზისიდან.

„გამოძვერით“, - გულში მწარედ გაეღიმა მოხუც აკადემიკოსს.

- ორი კვირის შემდეგ უკვე მოგცემთ ნამოკლომის უფლებას. ხოლო თვენახევრის ან ორი თვის შემდეგ შინ გაგიშვებთ.

- თქვენი აზრით, საბოლოოდ განვიკურნები?

- თქვენს ასაკში ინფარქტისაგან საბოლოოდ განკურნება შეუძლებელია.

- საბოლოოდ, როცა ამბობთ, გულისხმობთ, რომ ერთ წელიწადს მაინც ვიცოცხლებ?

დუმილი.

მთავარმა ექიმმა მხრები აიჩეჩა.

დავით გიორგაძეს მისი მოძრაობა და სახის გრიმასები არ დაუნახავს, მაგრამ დუმილმა ბევრი რამ მიანიშნა.

- ყველაფერი გასაგებია! - თქვა მშვიდად და მტკიცედ (ალბათ უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა „მკაცრად“), - ამიტომ კიდევ გიმეორებთ, არა, კი არ გაიმეორებთ, კატეგორიულად მოვითხოვ, ზუსტად მითხრათ, კიდევ რამდენ დღეს ან თვეს ვიცოცხლებ!

მოხუცმა აკადემიკოსმა სახე შემოაბრუნა და ზურაბ თორაძეს თვალებში შეხედა. მთავარმა ექიმმა დაინახა, მინებს უკან, ამოღამებულ უპეებში დინამიტის პატრუქივით როგორ აინთო ორი დიდი თვალი.

- მგონი უკვე გითხარით, თქვენი ნერვიულობა არ შეიძლება-მეთქი, - ზურაბ თორაძე თვითონვე გააკვირვა თავისმა მკაცრმა ხმამ, - გართულება ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. არც დღევანდელი დღეა გამორიცხული, რომ საბედისწერო არ იქნება თქვენთვის. შანსი, რომ თქვენ აქედან ვერ გაენერებით, ოცი პროცენტია ოთხმოცის წინააღმდეგ. დღევანდელ პირობებში ეჭვი არ გვეპარება, რომ ვძლევთ და დავამარცხებთ ამ ოც პროცენტს, მაგრამ როცა შინ გაგწერთ, აღსასრული მაინც ყოველდღე იქნება მოსალოდნელი. თქვენი გული სუსტ ძაფზე ჩამოკიდებულ მძიმე გირასავითაა...

- გასაგებია, - შეწყვეტინა დავით გიორგაძემ, - ეს უკვე საქმიანი ლაპარაკია. მე დღეიდან ვინც მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, გამოიძახოთ ჩემთან სასაუბროდ პროფესორი ოთარ კახიშვილი.

- ვიცი, თქვენი საუბარი მძაფრი და ემოციური იქნება. მხოლოდ ორი დღის შემდეგ თუ მოგცემთ ასეთი საუბრის უფლებას. საჩქარო არაფერია. მით უმეტეს, რომ ჩვენ დღეს უფრო დაძაბული საუბარი გველის! ზედიზედ ორი მომქანცველი საუბარი კი მეტისმეტი იქნება.

დავით გიორგაძე გააცოცხა მთავარი ექიმის მტკიცე და თვითდაჯერებულმა ხმამ.

- ახალგაზრდავ, გაიხსენეთ მარკუს ავრელიუსი - „რას ვახმარ ახლა ჩემს სულს?“ მე, მე რას ვახმარ ჩემს სულს ამ დღეებში? ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვ, დღესვე მომიყვანოთ პროფესორი ოთარ კახიშვილი. დღეიდან, ამ წუთიდან ჩემთვის ყოველი წამი ძვირფასია!

- ბატონი ბრძანდებით. მაგ სურვილს იოლად შეგისრულებთ. (პაუზა) თუმცა მე... როგორც უკვე მოგახსენეთ, უფრო მნიშვნელოვან საქმეზე მინდოდა მოგლაპარაკებოდით.

დავით გიორგაძემ კვლავ თვალი გაუსწორა მთავარ ექიმს. სათვალის მინებს მიღმა ისევ აინთო დინამიტის ორი პატრუქი.

- გისმენთ!

ზურაბ თორაძეს შუბლზე ოფლმა დაასხა. არ იცოდა, სათქმელი როგორ დაეწყო. ორი ღამის ნაფიქრ-ნაწვალეები, დალაგებული და ათასჯერ აწონ-დანონილი გამოთქმები სადღაც გაეთანტა.

მთავარი ექიმი სიბნელეში იჯდა, მაგრამ ავადმყოფი მაინც მიხვდა, მთავარ ექიმს ფერი როგორ ეცვალა.

„რა მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მომლაპარაკებოდა მომავლად კაცს?“ - მოხუცი აკადემიკოსი მოუთმენლობამ შეიპყრო. თითქოს ქვეშეცნულად იგრძნო, ზურაბ თორაძეს მისთვის მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც, ძალზე მნიშვნელოვანი, ძალზე უჩვეულო წინადადება უნდა მიეცა.

- ყურადღებით გისმენთ. ოღონდ ეგ ნათურა გამოთიშეთ, თავზე რომ დამნათის. სიბნელეში თქვენ სანგარში მჯდომ ჯარისკაცს ჰგევხართ, მე კი ჩემი თავი ცოცხალი სამიზნე მგონია.

- ბატონი ბრძანდებით!

მთავარმა ექიმმა ნათურა გამოთიშა, პალატის აპარატურის პატარა ნათურების მწვანე და წითელი შუქი ოდნავლა ანათებდა. ავადმყოფისა და ექიმის სილუეტები მოწითალო და მომწვანო ფერებად ბზინავდა.

- გისმენთ! - გაიმეორა დავით გიორგაძემ.

- გმადლობთ! - მთავარი ექიმი სალაპარაკოდ მოემზადა.

- რასაც ახლა გეტყვით, - დაიწყო მცირეოდენი პაუზის შემდეგ, - ძალზე უჩვეულოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ლაპარაკს ნუ შემანწყვეტინებთ, ბოლომდე ყურადღებით მომისმენთ და შემდეგ გამოთქვით თქვენი აზრი. თუ ჩემი წინადადება რეალური მოგეჩვენებათ, პასუხს მაშინვე მაინც ნუ მეტყვით. კარგად აწონ-დაწონეთ, ბოლომდე გაანალიზეთ ყველაფერი. (პაუზა) ერთი რამ მინდა კიდევ წინასწარ გითხრათ. თუ ჩემს წინადადებაში რაიმე მკრეხელობას დაინახავთ, ნუ მინწყენთ. ჩვენ

მეცნიერები ვართ, თანაც მაღალი რანგის მეცნიერები. ამიტომაც, ბუნებრივია ამოსახსნელი პრობლემის, გადასატრევი ამოცანის სირთულე და მომხიბვლელობა გამბედაობასა და თავგანწირვას მოითხოვს!

აკადემიკოსმა თავი შემოაბრუნა და ზურაბ თორაძეს შეხედა. სიბნელეში ვერ ამჩნევდა, მაგრამ გრძნობდა, მთავარი ექიმს აღელვებისაგან სახის ნაკვეთები როგორ უთრთოდა. ეს არ იყო შიშით ან მორიდებით გამოწვეული მლეღვარება. მთავარი ექიმის ინტონაციაში სიამაყე და საკუთარი თავის რწმენა, წინასაბეიშო განწყობილება იკვეთებოდა. სწორედ ამ დროს ხდებოდა ზურაბ თორაძის აზროვნება პათეტიკური. ერთი შეხედვით დაფიქრებული და დინჯი ექიმი სიხარულისაგან ატაცებულ ყმაწვილს ემსგავსებოდა. მისი სული ისე ბოხოქრობდა, გეგონებოდათ, სადაცაა გადმოიდვრებაო.

უკანასკნელი სიტყვების შემდეგ პაუზა კარგა ხანს გაგრძელდა. მთავარი ექიმი თითქოს ელოდა, დავით გიორგაძე საუბარში ჩაშერთვებაო. დავით გიორგაძეს ხმა არ ამოუღია, ოღონდ მისი შემობრუნებული თავი და მთავარი ექიმისაკენ მიმართული დაჟინებული მზერა მონშობდა, რომ ზურაბ თორაძის სიტყვებმა მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. მთავარი ექიმის გამოცდილ თვალს არ გამოჰარვია დავით გიორგაძის დაძაბული, დაინტერესებული გამოხედვა. კიდევ უფრო იგრძნო საკუთარი თავის ძალა, აკადემიკოსის მოლოდინით აღსავსე თვალებმა მეტი ენერჯია და რწმენა შემატა.

- თქვენი სახელი საქვეყნოდაა ცნობილი, - მტკიცედ განაგრძო მთავარმა ექიმმა, - და თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, მეც კარგად მიცნობენ საბჭოეთშიც და საზღვარგარეთაც. ჩემი მონოგრაფიები გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში და იაპონიაში. სხვა ქვეყნებს აღარ ჩამოვთვლი. ცხოველების ტვინის გადანერგვის სფეროში მე და ჩემი ლაბორატორია, კიდევ ერთხელ გთხოვთ კვენხაში ნუ ჩამომართმევთ, მონინავედ ვითვლებით მსოფლიოში. თუკი პრესაში სამედიცინო ხასიათის ინფორმაციებს ყურადღებას აქცევთ, ჩვენი მიღწევები თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს.

- შეიძლება ნაწილობრივ, მაგრამ მე ვიცი თქვენი მიღწევების ამბავი! - თქვა გიორგაძემ მშვიდად.

მისმა წყნარმა ტონმა კიდევ უფრო გაამხნევა ბურაბ თორაძე. მიხვდა, მოხუცი აკადემიკოსის ცნობისმოყვარეობას თანდათან იმორჩილებდა. დავით გიორგაძის უკანასკნელი ფრაზა მოწმობდა, რომ იგი მზად იყო სერიოზული მეცნიერული საუბრისათვის. მართალია, ერთი შეხედვით კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ცხოველი ინტერესი არ გამოუჩენია, მაგრამ მთავარი ექიმი მიხვდა, რომ დავით გიორგაძე ცდილობდა, ცნობისმოყვარეობა შეენიღბა.

მთავარი ექიმი არ შემცდარა. მართალია დავით გიორგაძე ჯერ ვერ ხვდებოდა, ბურაბ თორაძე სად და რას უმიზნებდა, ის კი იგრძნო, უჩვეულო რამ უნდა მოესმინა.

- ძალიან კარგი! რაკი თქვენ იცნობთ ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის მიღწევებს, თუნდაც ნაწილობრივ! (ეს ბოლო ორი სიტყვა მთავარმა ექიმმა მაშინ ჩაურთო ხაზგასმულად, როცა შენიშნა, რომ დავით გიორგაძე რაღაცის თქმას აპირებდა) დიახ, თუნდაც ნაწილობრივ! მით უფრო ვბედავ პირდაპირ გითხრათ, რომ მე და ჩემი ასისტენტები დღეს უკვე მზად ვართ, ადამიანს ტვინი გადავუნერგოთ.

- რა ბრძანეთ! - აღმოხდა გიორგაძეს და თან შეეცადა ლოგინზე წამოშვადარიყო.

- გთხოვთ, დამშვიდდეთ! - მთავარი ექიმი ფეხზე წამოიჭრა და აკადემიკოსს წამოჯდომის საშუალება არ მისცა. - აი, ასე, თუ გნებავთ, ბალიშით თავს აგინვეთ. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ აწერვიულდებით.

დავით გიორგაძე დაემორჩილა მთავარ ექიმს, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ... ბედს. მიხვდა, წავიდა ის დრო, როცა შეეძლო უჩვეულო, მისთვის დამახასიათებელი სიფიცხით ჩაბმულიყო საუბარში თუ კამათში.

- მე შესანიშნავად ვიცი, რომ ჩვეულებრივ, ორდინალურ ადამიანს არ ველაპარაკები, - მიუხედავად პაუზისა, სკამზე ჩამოჯდომის შემდეგ ბურაბ თორაძემ წელანდელი საზეიმო ინტონაციით გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი, - თქვენ, როგორც დიდი მკვლევარი, მეცნიერებაში ყოველგვარი სიახლისა და რევოლუციური ნაბიჯების გადადგმისათვის ფსიქოლოგიურად დიდი ხანია მომზადებული ბრძანდებით. ნუ გეგონებათ, რომ ადამიანისათვის ტვინის გადანერგვა მეცნიერებაში უფრო ნაკლებრევოლუციური მოვლენაა, ვიდრე ვთქვათ, ასტროფიზიკაში სამყაროს არასტაციონარულობის აღმოჩენა!

- ხომ არ გეშლებათ, მე გული მაქვს სუსტი, ტვინი კი ახლა უფრო სადი მაქვს და ცინცხალი, ვიდრე ახალგაზრდობაში. იქნებ სჯობდა, გულის გადანერგვაზე გეფიქრათ? - მოხუცი მეცნიერი საბოლოოდ მიხვდა, საით მიჰყავდა საუბარი ბურაბ თორაძეს. მთავარი ექიმიც მიხვდა, რომ დავით გიორგაძისთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

კვლავ წამიერი დუმილი ჩამოვარდა. კვლავ გაისმა აპარატურის ხმადაბალი ზუზუნი.

- თქვენ ვერ გამიგეთ... უფრო სწორად, შესანიშნავად მიმიხვდით, რა წინადადების შემოთავაზებაც მინდოდა. გულის გადანერგვა დღეს იოლი საქმეა, იმდენად იოლი, რომ იგი ჩვეულებრივ ოპერაციად იქცა. სამწუხაროდ, თქვენი სხეული ძალზე დაუძღურებელია. დაუძღურებელი და, ნუ მინწყენტ ამ სიტყვებს, ასაკისაგან გამოფიტული. სისხლძარღვებიც იმდენად გახისტებულია და შევიწროებული, ინსტრუმენტის მიკარებისას შეიძლება დაიმსხვრეს კიდეც. თქვენი სხეული ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიგუებს უცხო, ახალგაზრდა გულს. უფრო მეტსაც გეტყვით, თქვენი სხეული სულ მოკლე დროში სასიკვდილოდაა განწირული. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია და სავალალო, რომ ტვინი მართლაც ახალგაზრდული გაქვთ, რეაქციები იდეალური!

ბურაბ თორაძემ ვერც კი შენიშნა, ორატორობამ როგორ გაიტაცა. თვალები კიდეც უფრო წამოუნთო, ხმას აუნია, ლაპარაკსაც უმატა. სულ გადაავიწყდა, ვის ელაპარაკებოდა

სიკვდილზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ორთავენი ვიღაც მესამე კაცის ბედზე მსჯელობდნენ.

- კმარა! - წამოიძახა დავით გიორგაძემ, - კმარა!

კვლევიითი ინსტიტუტის დირექტორმა თავი შეაბრუნა და თვალები კვლავ ჭერს მიაპყრო.

სათვალის მინებზე უცნაურად ბზინავდა აპარატურიდან მონადენი მკრთალი წითელი და მწვანე შუქი.

მთავარი ექიმი შეცბა. მიხვდა ღრმად შესტოპა.

- ბოდიშს გიხდით, ნამდვილად ვერ მოვზომე... - ერთბაშად ორი ოქტავით დაბლა ჩამოვიდა ზურაბ თორაძე, საუბრის რიტმიც ორჯერ შენეულდა, მდორე გახდა, - რასაკვირველია, უტაქტობა იყო ჩემის მხრივ ასეთი გულახდილი, პირდაპირი და მკაცრი სინამდვილის გამომხატველი საუბარი, მაგრამ თქვენ ისეთი პიროვნება ბრძანდებით ... თქვენ ხომ უბრალო ადამიანი არა ხართ ... თქვენთან მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს აზრი არა აქვს. თქვენმა სანიმუშო მეცნიერულმა ბიოგრაფიამ და დიდმა ინტელექტმა მიბიძგა, ვყოფილიყავი თამამი და ასე თავისუფლად მეთქვა თქვენთვის ძალზე უსიამოვნო ამბავი...

- შეეშვით მეცნიერულ ტრაქტატებს, პირდაპირ მითხარით, რას მთავაზობთ. - მწარედ ჩაეცინა დავით გიორგაძეს. უფრო სწორად, კვლავ სცადა ჩაეცინება მოხუცმა მეცნიერმა.

ზურაბ თორაძე კიდევ უფრო დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა.

- რატომ დუმხართ? ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, - თქვა უცებ დავით გიორგაძემ მშვიდად და მტკიცედ, - კვლავ გიმეორებთ შეკითხვას, რას მთავაზობთ?



- ახლავე მოგახსენებთ, - შვებით ამოისუნთქა ზურაბ თორაძემ. მიხვდა, რომ ბარიერი ადვილად გადალახა, ყველაზე ძნელად სათქმელი უკვე ნათქვამი იყო. თანაც ძალზე იოლად და მხოლოდ მცირეოდენი შინაგანი ღელვის საფასურად. მთავარმა ექიმმა ჩაახველა და ერთი ოქტავით ისევ მაღლა ავიდა. - მე და ჩემმა ასისტენტმა გადავწყვიტეთ, რასაკვირველია, თუკი თანახმა იქნებით, თქვენი ტვინი გადავუნერგოთ ვინმე ახალგაზრდა კაცს.

- უფრო დელიკატური იქნებოდა, თუ იტყოდით, რომ ჩემს ტვინზე გადმონერგავდით ვინმე ახალგაზრდის სხეულს!

- მოხიბლული და აღტაცებული ვარ თქვენი იუმორის გრძნობით თვით ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც კი! - აღტაცება ვერ დამალა მთავარმა ექიმმა. ადფრთოვანებას ისიც აძლიერებდა, რომ ავადმყოფის იუმორს მიღმა ოპერაციამ დათანხმების სუნი სცემდა.

- მაინც ვის გაბედნიერებას აპირებთ ჩემი ტვინით და ინტელექტით?

- დამცინით?! - შეშფოთდა უცებ ზურაბ თორაძე. ამჯერად მოეჩვენა, რომ აკადემიკოსის ირონიული ტონი მისი წინადადებისა და მთელი წელანდელი მსჯელობისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას გამოხატავდა.

- არა, სრულიად სერიოზულად გეუბნებით!

პალატაში დუმილი ჩამოწვა. ძალზე მკრთალ შუქზე მთავარ ექიმს არ შეეძლო ავადმყოფის სახეზე წაეკითხა, რამდენად გულწრფელი იყო მისი პასუხი.

- ჯერ მინდა ვიცოდე, თანახმა ხართ, თქვენი ტვინი გადავუნერგო ახალგაზრდა კაცს? - მთავარი ექიმის ხმა, თითქოს ადიდებული მდინარე კვლავ კალაპოტში ჩადგო, ჩვეულებრივად მტკიცე და დინჯი გახდა.

- მე მგონი, ცოტა გულუბრყვილობაა, ასეთ წინადადებაზე თანხმობა ახლავე, ამ ნუთში მომთხოვოთ. მეტსაც გეტყვით, მეცნიერული გულუბრყვილობა! თქვენი წინადადება იმდენად უჩვეულოა და მოულოდნელი, სინამდვილისა და ხუმრობის ზღვარზე დგას. მე კი მათ გამყოფ წვრილ ხაზზე ვარ ჯამბაზივით წამოწოლილი. რომ დაგთანხმდეთ, უნდა დამარწმუნოთ, რომ ასეთი ოპერაცია საერთოდაა შესაძლებელი. (პაუზა) და კიდევ ერთი: ბუნებრივია, რაკი ასეთ წინადადებას მაძლევთ, ის ახალგაზრდა, ვისაც ჩემი ტვინი უნდა გადაუწერგოთ, უკვე აქვე გყავთ და, რაც მთავარია, დაგთანხმებით კიდევ ოპერაციაზე. როცა ასეთ წინადადებას მე მთავაზობთ, გასაგებია და ლოგიკური. ბოლოს და ბოლოს, რას ვკარგავ? თქვენი შესაშური გულახდილობის წყალობით უკვე ვიცი, რომ ბევრი-ბევრი კიდევ სამი-ოთხი თვე ვიცოცხლო. ის ახალგაზრდა კი რატომ მიდის ასეთ რისკზე? იქნებ მის თანხმობაში რაიმე საიდუმლოება იმალება? და მეორე... გთხოვთ, ბოლომდე მათქმევინოთ ჩემი სათქმელი! დიახ, გთხოვთ მეორე შეკითხვაზეც გამცეთ პასუხი. ვინ არის ის ახალგაზრდა, რომელიც არ სჯერდება საკუთარ ტვინს და უნდა უფრო ჭკვიანი, უფრო განათლებული გახდეს? ხუმრობა ხომ არაა, რამდენიმესაათიანი ოპერაცია და იგი ერთბაშად შეიქმნება იმ ცოდნის მფლობელი, რომლის შექმნასაც მე ათეული წლები შევალე; გახდება იმ მეცნიერულ სიახლეთა აღმოჩენი, რომლებსაც მთელი ჩემი ჯანმრთელობა, ნერვები და, საბოლოო ჯამში, მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე! - აკადემიკოსის ხმაში ორ მდინარესავით ერთვოდა ერთმანეთის ირონია და სიბრაზე. ლაპარაკობდა ხმადაბლა, დინჯად, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მისი ავადმყოფი გულის მლეღვარება.

- ბატონო დავით! - მცირე პაუზით ისარგებლა მთავარმა ექიმმა, - მე კვლავ ქედს ვიხრი თქვენი იუმორის წინაშე. მეორეს მხრივ კი მინდა ერთი რამ მოგახსენოთ, სხეულს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს პიროვნებისათვის. დიახ, გთხოვთ, კარგად დამიგდოთ ყური. მინდა მთავარ არსს ჩასწვდეთ. მაშინ იქნებ აღარ მოგეჩვენოთ ჩემი მოსაზრებანი უცნაური და აბსურდული. მთავარია, ვისი სული და ვისი ინტელექტია სხეულში დაბინავებული. მთავარია, ვინ ამროვნებს ხორცის, ძვლების, ნერვების და სისხლის ამ ერთულებს მექანიზმში. ასე რომ, ის ახალგაზრდა სხეული არ იქნება სხვა ვინმე. ის

იქნებით თქვენ, აკადემიკოსი დავით გიორგაძე, საქვეყნოდ განთქმული მეცნიერი! - ზურაბ თორაძეს თვალები წამოენთო, საკუთარი სიტყვებით კმაყოფილი, დარწმუნებული იყო, რომ მოხუც აკადემიკოსზე ეფექტი მოახდინა.

- ისე უბრალოდ და იოლად მსჯელობთ, თითქოს საქმე საპალტოეს ყიდვას ეხებოდეს! - თვალებით დამცინავად გაიღიმა მოხუცმა მეცნიერმა.

დავით გიორგაძის სიტყვებმა ერთბაშად განმუხტა აღგზნებული მთავარი ექიმი.

- თქვენ, ბატონო მთავარო ექიმო და დიდად პატივცემულო პროფესორო, - განაგრძო მცირეოდენი პაუზის შემდეგ გიორგაძემ, - ერთი ადამიანის ტვინის გადანერგვას მეორე სხეულში მხოლოდ სამედიცინო ოპერაციად თვლით, ქირურგიისა და, საერთოდ, მედიცინის ყველაზე უდიდეს გამარჯვებად. დიახ, მე ხაზს ვუსვამ, უდიდეს, არნახულ, გაუგონარ, დაუჯერებელ გამარჯვებად, მაგრამ ადამიანი ხომ ცხოველი არ არის, იგი მოაზროვნე არსებაა.

- დიახ, სავსებით გეთანხმებით.

- გმადლობთ, ჩემი მოსაზრების გაზიარებისათვის, მაგრამ გიფიქრიათ, რას სჩადიხართ, როცა ერთი ადამიანის გონება და ინტელექტი, ემოციები და რეაქციები, პიროვნული თვისებები და მოვლენებისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებანი მეორე ადამიანის სხეულში გადაგაქვთ?

- თქვენ წელან იუმორით ბრძანეთ, მაგრამ ამ იუმორში იყო დიდი ფილოსოფიური სიმართლე. მართალია, ფიზიკურად ტვინი გადაგვაქვს სხვა ადამიანის სხეულში, მაგრამ ფაქტიურად მას მხოლოდ ვაბინავებთ სხვა თავის ქალაში. და თუ ფიზიოლოგიურად შევხედავთ, თქვენი წელანდელი თქმისა არ იყოს, ფაქტიურად სხვის სხეულს ვნერგავთ თქვენს ტვინზე. დიახ, დიახ, უკვე სხეული იქნება არა ის ადამიანი, რაც და ვინც აქამდე

იყო, არამედ ის, ვისი ტვინიც წარმართავს მის შემდგომ მოქმედებას! დიახ, ადამიანი მოაზროვნე არსებაა. რით აზროვნებს იგი? ნება მიბოძეთ, უფრო ფართოდ გავშალო წელან შეკუმშულად თქმული ჩემი მოსაზრება. რით აზროვნებს იგი? ტვინით! მე მჯერა, რასაც სულს ეძახიან, ისიც ტვინია. უფრო სწორად, ტვინი წარმოადგენს ადამიანის გონიერებისა და სულის მთლიანობას. პროცესს, გნებავთ, პრობლემას თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ, ოპერაციის შედეგად ტვინი იცვლის გარესამოსელს, იცვლის, უხეშად რომ ვთქვათ, ბინას... რით განსხვავდება ადამიანი ყველა დანარჩენი ცხოველისაგან? ტვინით, მხოლოდ და მხოლოდ ტვინით, ესე იგი, თვით ტვინია ადამიანი. როგორცაა ტვინი, ისეთია მისი პატრონიც. შეიძლება გამოცვალოთ გული, თირკმელი, ფილტვი, ხელი, ფეხი და ასე შემდეგ... თითქმის მთლიანად რომ განაახლოთ ადამიანი, იგი მაინც იგივე პიროვნებად დარჩება, მაგრამ რომ გამოუცვალოთ ტვინი, იგი უკვე აღარ იქნება იგივე ადამიანი. მთელი სხეული უცებ გახდება მისი კუთვნილება, ვის ტვინსაც გადავწერგავთ ამ სხეულში. იმავე წუთიდან მთელი სხეული, როგორც ავტომობილი შოფერს, ისე დაემორჩილება გადანერგილ ტვინს! დიახ, სხეული იქცევა იმ მეორე ადამიანად, ვისი ტვინიც დაიდებს ბინას პირველის თავის ქალაში!

- გეთანხმებით. სავსებით გეთანხმებით. ძალზე საქმიანად და ლოგიკურად მსჯელობთ, მაგრამ რა დააშავა იმ ახალგაზრდა კაცმა, ვის ჯანსაღ სხეულშიც უნდა გადანერგოთ ვთქვათ ახალგაზრდულად მოაზროვნე, მაგრამ დიდი ასაკისა და ხანგრძლივი, დაძაბული შრომისაგან გადაღლილი ტვინი? იქნებ ის ახალგაზრდა მომავალი მხატვარი ან მუსიკოსია? კი, ბატონო, ვთქვათ, ტექნიკური სფეროს წარმომადგენელია. იქნებ მომავალი მეცნიერია? მეცნიერული კარიერის მოპოვებას წლები სჭირდება, დაძაბული შრომით, მაგრამ მაინც სიხარულით აღსავსე წლები, რატომ ვუსპობთ მას შემოქმედებითი პროცესით ტკბობას? და, საერთოდ, მორალური თვალსაზრისით, განა სამართლიანია, რომ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც თანამედროვე შეხედულებანი და გემოვნება აქვს, რომელსაც ვიღაც უყვარს, ვიღაცას მეგობრობს, მოხუცი კაცის, მართალია, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოსის, მაგრამ თანამედროვეობისათვის უკვე ჩამორჩენილის, დღევანდელი დღისათვის საკმაოდ კონსერვატორისა და ძველმოდური ადამიანის ტვინი გადაუნერგოთ?

- ბატონო დავით! - ისეთი ღიმილით წარმოთქვა მთავარმა ექიმმა, თითქოს წინასწარვე ზემოდასკნა თავისი მოსაზრებების უძლეველობას, - ბუნებრივია, არავითარი სურვილი არ მაქვს, აჩქარებული, დაუფიქრებელი კაცის შთაბეჭდილება დავტოვო. ხომ არ გგონიათ, ტვინის გადანერგვის იდეა მაშინ მომივიდა თავში, როცა ჩემს კვლევით ინსტიტუტში აღმოჩნდით?! არამც თუ თქვენ, იმედი მაქვს არ მინყნთ, რომ ჩემს წინ რომ თვით უკვდავი ნიუტონი ან აინშტაინი ყოფილიყო, მაშინაც კი ვერ გავგებდავდი ასეთი ნაბიჯის გადადგმას, თუკი ამ პრობლემის გადასატრელად სამი ათეული წელი მაინც არ მექნებოდა თავი გადადებულო.

ადამიანის ტვინის გადანერგვის იდეა ჯერ კიდევ მაშინ ჩამესახა, როცა სკოლაში ვიყავი. სამედიცინო ფაკულტეტიც ამიტომ ავირჩიე. ერთი ამრი არ მასვენებდა ძილში თუ ღვიძილში, თუკი კანის, გულის ან თირკმლის გადანერგვა შეიძლება, რატომ ვერ უნდა შევძლოთ ადამიანის ტვინის გადანერგვა? რაკი გადაინერგა გული, საკითხი პრინციპულად გადაწყდა. აი, თქვენ ასტროფიზიკოსი ბრძანდებით. ადამიანი უკვე იყო მთვარეზე, დადგება დრო და, მტკიცედ მჯერა, სულ მალე იგი მიაღწევს მზის სისტემის რომელიმე პლანეტამდე: კვლავ გავა დრო, ალბათ ძალზე დიდი დრო, და ადამიანი გახდება ჩვენი გალაქტიკის რომელიმე მზის სისტემის სტუმარი. ასეა მედიცინაშიც, გადაინერგა გული, გადაინერგა თირკმელი... ლოგიკურია და რეალური, რომ გადაინერგება ტვინიც. თუ შევადარებთ წელანდელ მაგალითებს და გულის გადანერგვას მთვარეზე გაფრენას დავეუწვილებთ, მაშინ ტვინის გადანერგვა შეიძლება მზის სისტემის რომელიმე პლანეტაზე გადაფრენის ტოლფასად ვივარაუდოთ, და, თქვენ წარმოიდგინეთ, იქნებ უფრო მეტადაც კი.

- თქვენ პირდაპირ არ უპასუხეთ ჩემს შეკითხვას და მსჯელობა სულ სხვა გზით წარმართეთ. დამშვიდდით, ნუ ღელავთ, ამ საკითხს მე ისევ დავუბრუნდები. ახლა კი, რაკი თქვენი მსჯელობა სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც ჩემთვის არანაკლებ საინტერესოა, ბარემ დავასრულოთ კიდევ. ამიტომაც მინდა გამოვთქვა ერთი ვარაუდი, ადამიანის მზის სისტემის პლანეტაზე, ვთქვათ, ვენერაზე ან მარსზე გამგზავრება მინიმუმ

ერთი ათეული წელი არ მოხერხდება. რაკი ტვინის გადანერგვის ოპერაცია ამ გამგზავრების ტოლფასია და როგორც თქვენ სამართლიანად ბრძანებთ, უფრო მეტიც, ვაითუ ამ ოპერაციის განხორციელებაც მხოლოდ ათეული წლის შემდეგ გახდეს შესაძლებელი?

- ეგ შეკითხვა ფილოლოგს ან მუსიკოსს რომ მოეცა, არ გამიკვირდებოდა. მაგრამ თქვენ, თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი, ჩემი აზრით, უფრო ანალიტიკურად უნდა აბროვნებდეთ!

მთავარ ექიმს დაავიწყდა, რომ ავადმყოფს ელაპარაკებოდა, რწმენამ და საკუთარი ძალების შეგრძნებამ პოლემიკის გუნებაზე დააყენა.

- განა თქვენთვის ახალ ამბავს წარმოადგენს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის გარკვეული დარგები ძალზე სწრაფად მიდიან წინ, ზოგიერთი დარგი კი თითქმის გასული ოცნლეულის დონეზე დგას?

- ნუ ღელავთ, საწყენად არ მითქვამს! - ავადმყოფის მშვიდმა ტონმა საკამათოდ აღგზნებული მთავარი ექიმიც დააცხრო. - ჩემი თუნდაც გულუბრყვილობამდე მისული შეკითხვები ნუ აგადელვებთ. ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, მე ვაპირებდე თქვენი ტვინის გადანერგვას რომელიმე ჭაბუკის თავში. დარწმუნებული ვარ, არც თქვენი შეკითხვები იქნებოდა ღრმად მეცნიერული და ბოლომდე გაანალიზებული. იმდენად უჩვეულოა და დაუჭერებელი თქვენი წინადადება, რომ ბევრს შეიძლება მასხრად აგდებად ან ცუდლუტურ ხუმრობად მოჩვენებოდა. მე რომ პირველივე ნუთებიდან დაგიჯერეთ, უკვე ბევრ რამეს ნიშნავს.

დავით გიორგაძემ ხელი საბნიდან გამოაცოცა და სათვალე გაჭირვებით მოიხსნა. მერე სათვალისანი ხელი ისევ გაშალა.

მთავარმა ექიმმა მიზინდული მონიტალო-მომწვანო შუქზე კარგად გაარჩია აკადემიკოსის დიდრონი შავი თვალეები, ბურთულევივით რომ ეყარა ამომხმარ უპეებში. უმწეო და უსიცოცხლო ეჩვენა მისი სახე. სადღა იყო დინამიტის პატრუქების ნაპერწკლოვანი ცეცხლი. ცეცხლს ვინ დაეძებდა, ჩაფერფლილ სახესა და თვალეებში თითქოს უკანასკნელი სასიცოცხლო სხივიც კი ჩამქრალიყო.

- ბოდიშს ვიხდი, იქნებ გამინმინდოთ სათვალე. ხავერდის ნაჭერი აგერ დევს, ტუმბოზე.

მთავარი ექიმი ფიცხლად წამოიჭრა, სათვალე ჩამოართვა და თითების ნაბი, დახვეწილი მოძრაობით ფაქიზად განმინდა.

„ოპერაციის დროს ალბათ იუველირივით მუშაობს“, დაასკვნა დავით გიორგაძემ. მერე გულში თვითონვე გაედომა თავის შედარებაზე. „იუველირივით“ ოდითგან დამკვიდრებული ტრადიციული გამოთქმაა, თორემ რომელი იუველირი მივა ახლოს იმ ურთულეს და უფაქიზეს ოპერაციებთან, ზურაბ თორაძე რომ ატარებს?

- ხომ არ გაგიკეთოთ?

- არა, გმადლობთ, ხელში მომანოდეთ.

მთავარი ექიმი უკმაყოფილო იყო, რომ კარგად აწყობილი საუბარი ყველაზე საჭირო მომენტში განწყდა.

პალატაში დუმილი ჩამონვა, კვლავ გამოიკვეთა აპარატურის მონოტონური ზუმუნი.

მთავარმა ექიმმა აღარ იცოდა, განწყვეტილი ძაფი როგორ გაემთელებინა და ტელეეკრანი შეათვალეირა. ყველაფერი რიგზე იყო, დიაგრამის სიმეტრიულობა და პერიოდულობა არ ირღვეოდა. ეს მოხუცი აკადემიკოსის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა

და სულიერ სიმშვიდეს მონშობდა. ამდენი ხნის პოლემიკურმა საუბარმა, მოულოდნელმა, ამადლელებელმა და ფსიქოლოგიურად ძნელად გადასატრელმა წინადადებამ გულის მუშაობის აღმნუსხველ დიაგრამებში თითქმის ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა.

დავით გიორგაძემ თვალი დახუჭა და თავი სანახევროდ კედლისკენ შეაბრუნა.

„ჩაეძინა“, - სინანულით გაიფიქრა მთავარმა ექიმმა. გუნება მოეშხამა, წელანდელი ამადლელებული განწყობილება სადღაც გაქრა, საუბრის სურვილი დაეკარგა.

- სად შევჩერდით? - თითქოს შორიდან ჩაესმა ავადმყოფის ხმა.

ბურაბ თორაძე ისევ გამოცოცხლდა.

- იქნებ დაიღალეთ? მოდით, დავისვენოთ და ხვალ მოვილაპარაკოთ?

- არა, დადლილობას არ ვგრძნობ მაინცდამაინც. გთხოვთ, დაამთავროთ თქვენი სათქმელი.

- მთელი ჩემი საუკეთესო წლები ტვინის გადანერგვის პრობლემებს შევწირე, - გააგრძელა შეწყვეტილი სიტყვა ბურაბ თორაძემ, - ჩემი მოსაზრებანი, როგორც წელან გითხარით, გაიზიარა თითქმის მთელმა მსოფლიომ. ოცი წლის მანძილზე ყოველდღიურად ვატარებდი ექსპერიმენტებს. პირველმა მე და ჩემმა კოლეგებმა დავამუშავეთ ადამიანის ტვინში ქსოვილების გადანერგვის ოპერაცია და პრაქტიკულადაც შევასხით მას ხორცი. მსოფლიოში პირველად მე გავაკეთე ძაღლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია, რომელმაც სახელმწიფო პრემია მომიტანა. ის ძაღლი დღესაც ცოცხალია.

- გულწრფელად მომილოცავს! - თავი ისევ შემოაბრუნა დავითმა და სათვალე გაჭირვებით გაიკეთა. - ოღონდ ერთ რამეს გთხოვთ, ოპერაციის დროს გაითვალისწინეთ, რომ ის ძაღლი იყო, მე კი ადამიანი ვარ.



მთავარი ექიმი შეცბა. ვერ მიხვდა, დავით გიორგაძემ იხუმრა თუ ოპერაციაზე თანხმობა განაცხადა.

- დიახ! - გააგრძელა დაბნეულად, - დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ თქვენი ტვინის გადანერგვის იდეა მაშინ როდი მომივიდა, ჩემს ინსტიტუტში რომ მოგიყვანეს. ორი წელია მტკიცედ მჯერა, რომ ფსიქოლოგიურად, მეცნიერულად და პრაქტიკულად უნარი შემწევს გავაკეთო ადამიანის ტვინის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია. არ ჩამოვთვლი, რამდენი გვამი შევისწავლე, რამდენი ასეული და ათასეული დეტალი დავაზუსტე. თქვენ იცით, ჯერ ჩვენს კანონმდებლობას არ გაუთვალისწინებია ადამიანის ტვინის გადანერგვის უფლება. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წელი, შესაძლოა მთელი ათი წელიწადიც კი გავიდეს, სანამ ოფიციალურად ჩათვლიან კანონიერად ადამიანის ტვინის გადანერგვას. როცა კაცობრიობა გლობალურად დარწმუნდება და ფსიქოლოგიურად მოემზადება მსგავსი ოპერაციებისათვის, ოფიციალური წრეები მხოლოდ მაშინ ჩათვლიან მიზანშეწონილად, იმჯელონ ტვინის გადანერგვის აუცილებლობასა და კანონიერებაზე.

მე კი დღესვე შემწევს ძალა გავაკეთო ურთულესი და გაუგონარი ოპერაცია. რატომ უნდა ველოდო საკითხის თანდათანობით მომწიფებას? რატომ უნდა დავუთმო პირველობა სხვას? დიახ, მე ადამიანი ვარ და მაქვს ადამიანური სისუსტეები, მეც მკლავს პირველობის ჭია. ჩემი პატივმოყვარეობა სრულებით არ მესაძრახისება. მე მეცნიერი ვარ და მინდა ჩემი სიტყვა დღესვე ვთქვა, ვთქვა პირველმა. მე თქვენ ვერც მოგატყუებთ და არც დაგიმალავთ. წინასწარ ვტკბები ჩემი მომავალი გამარჯვებით, ჩემი ტრიუმფით.

- წინასწარ გილოცავთ გამარჯვებას, თუმცა, რამდენადაც ვხვდები, ამ გამარჯვებაში მეც მომეკუთვნება დაფნის გვირგვინი. ახლა კი ნება მიბოძეთ, ერთი რამ გკითხოთ. თუკი ტვინის გადანერგვა არ არის სახელმწიფო კანონით ნებადართული, როგორ ბედავთ ოპერაციის გაკეთებას?

- მაგისა ნუ გედარდებათ! - მთავარი ექიმი რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა, თუმცა ჩურჩულით გამოთქმულ მის სიტყვებს ძალა და შთაბეჭდილება არ დაჰკლებია, - ოპერაციას საიდუმლოდ ჩავატარებთ მე და ჩემი უერთგულესი ასისტენტები. მე მათზე დიდი ამბავი მიმიძღვის. მათი კარიერა და მომავალიც ჩემს ხელშია. ოპერაციის გაკეთების შემდეგ ისინიც უშუალოდ ხდებიან შეთქმულების მონაწილენი. მერნშენთ, ძალგვის საიდუმლოების დაცვა.

- და თუ ოპერაციის ამბავი ვერავინ გაიგო, საიდან მოიპოვებთ მსოფლიო აღიარებას?

- როცა კანონი ნებას დაგვრთავს, გავაკეთოთ ტვინის გადანერგვის ოპერაციები, მაშინდა გავამხელთ საიდუმლოს. მაშინ წარვედგენთ საზოგადოებას ახალგაზრდა აკადემიკოსს დავით გიორგაძეს.

- თქვენ ფიქრობთ, რომ კაცობრიობა ათი წლისთავზე ადამიანის ტვინის გადანერგვას აუცილებლად ჩათვლის კანონიერად?

- ეჭვიც არ მეპარება. შეიძლება კიდევ უფრო ადრეც. ათი წელი მაქსიმუმია, ამ დასკვნას მედიცინის განვითარების დღევანდელი ტემპები და შესაძლებლობანი მიდასტურებს.

- თუკი ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, სანამ საიდუმლოება გამჟღავნდებოდეს, საგანგებოდ უნდა მომიაროთ და შემინახოთ. ხომ შეიძლება სხვა ავადმყოფობამ მომკლას ან ავტოკატასტროფაში დავიღუპო?

- თქვენ ისევ ხუმრობთ, ბატონო დავით, მე კი ნელ ცეცხლზე ვიწვი! - განაწყენდა მთავარი ექიმი.

- მაპატიეთ, მაგრამ ნამდვილად გულწრფელად გკითხეთ! - მობოდიშებით თქვა დავით გიორგაძემ.

- ოპერაციის შემდეგ ათი დღეც რომ იცოცხლოთ, არ გაგვიჭირდება ჩვენი პრიორიტეტის დამტკიცება, ამაზე თქვენ ნუ სწუხართ.

- კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს!

ხანმოკლე დუმილი.

- ვხედავ, ძალზე დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში, - წამოიწყო დავით გიორგაძემ,  
- რწმენა გამარჯვების საწინდარია, მაგრამ არ ითვალისწინებთ წარუმატებლობას?

- არ დაგიშალავთ, თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ. წარმატების შანსია ოთხმოცი ოცზე.

- უფრო მარტივად, ოთხი ერთზე.

- უფრო მეტიც, ბატონო დავით, გაცილებით უფრო მეტიც. მე უკიდურესი ზღვარი მოგახსენეთ.

- თუნდაც ცხრა ერთზე იყოს, მაინც ყოფილა დაღუპვის შანსი.

- თქვენთვის ხომ ჩვენს წარუმატებლობას თითქმის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა? თქვენ დაკარგავთ მხოლოდ სამი, მაქსიმუმ ოთხი თვის სიცოცხლეს. და თუ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თქვენ იქნთ მეორე სიცოცხლეს, მეორე ახალგაზრდობას, დაუდგრომელ, ტემპერამენტთან სიჭაბუკეს. ისიც გაითვალისწინეთ, ახალგაზრდობა დაგიბრუნდებათ დიდი ცოდნის, გამოცდილების და ინტელექტუალური ტრიუმფის პერიოდში. უნდა დამეთანხმოთ, ღირს რისკად!

უკანასკნელი ფრაზები თვალგებანთებულმა წარმოთქვა ზურაბ თორაძემ. მისი მგზნებარე ინტონაციით გაოცებულმა ავადმყოფმა თავი მთავარი ექიმისაკენ შემოაბრუნა.

- ბრავო, ბრავო, პროფესორო, მე აღტაცებული ვარ არამართო თქვენი მეცნიერულ-პრაქტიკული ხელოვნებით, არამედ გამბედაობით, უდრევი რწმენით. ბედი კი ყოველთვის გამბედავ ადამიანებს სწყალობდა. (პაუზა) იცით, ადრეულ ახალგაზრდობაში ერთი ქალიშვილი შემიყვარდა. ცოტა უცნაური და თამამი გოგონა იყო. ვერ იქნა და ვერ გავბედე მისი შერთვა. დიდხანს ვიყოყმანე, ბოლოს ჩემი სატანჯველი მეგობარს გავუზიარე. ვთხოვე წამომყოლოდა, ჩემი სათაყვანებელი ქალიშვილი გაეცნო და თავისი აზრი გამოეთქვა.

- დავითმა თავი ისევ შემოატრიალა და თვალეები ჭერს მიაპყრო.

- შემდეგ? - მოუთმენლად ჰკითხა მთავარმა ექიმმა. მას დავით გიორგაძის სიყვარული იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც მისი კავშირი მეცნიერულ გამბედაობასთან.

- შემდეგ არაფერი. ერთი კვირის თავზე ისინი დაქორწინდნენ, ეს იყო და ეს!

ბურაბ თორაძეს უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. მაინც ვერ მიმხვდარიყო, მოხუცი აკადემიკოსი დასცინოდა თუ მასთან საუბრით ერთობოდა. ერთბაშად ჩაიფუშა, ლაპარაკის სურვილი დაკარგა. ვაი, რა ტყუილად გავცდიო, გაიფიქრა. მოღლილობა იგრძნო და წამოდგომა დააპირა.

- ვინ არის ის ყმანვილი, რომლის სხეულში ჩემი სული და ინტელექტი უნდა გადაბრძანდეს?

დავით გიორგაძის ხმამ მთავარი ექიმი ისევ სკამს მიაჯაჭვა. მიხვდა, ამ სანახევროდ ხუმრობით ნათქვამი ფრაზის უკან სერიოზული შეკითხვა იდგა ყურებდაცქვეტილი.

- ოცდაორი წლის ახალგაზრდა გახლავთ, ჯანდონით სავსე ჭაბუკი, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. ბრგე, მაღალი, დაკუნთული. მამაკაცური მკაცრი სილამაზე ჰარმონიულად ერწყმის მის სპორტულ აღნაგობას.

- რა გვარია?

- კორინთელი, რამამ მიხეილის ძე კორინთელი.

- კორინთელი! ვერ დავიწუნებ. კარგი გვარია. ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში „რამამ მიხაილოვიჩი“ გავხდები არა?

- დიახ! - თქვა წყნარად მთავარმა ექიმმა. ვითომ ვერ გაიგო აკადემიკოსის ირონია, - და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ არ გავამუღავნებთ ჩვენს საიდუმლოს.

- აი, ახლა მინდა დავუბრუნდე იმ შეკითხვას, თავში რომ მოგეცით. მაშინ არ მიპასუხეთ, საუბარი სხვა გზით წარმართეთ. ამჯერად ამომწურავ პასუხს მოვითხოვ!

- ალბათ შეკითხვას ვერ მიგიხვდით. მე არაფრისა მეშინია, ტვინის გადანერგვის პრობლემა ყველა კუთხიდან მაქვს შესწავლილი. ვიცი, მისი განხორციელება სუფთა სამედიცინო პრობლემების დაძლევის გარდა, ფსიქოლოგიური და მორალური თვალსაზრისითაც არის გადასატრეული.

- მართალი ბრძანდებით. თქვენ დაახლოებით მიხვდით ჩემს გულისწუხილს. - დავით გიორგაძე შეჩერდა, სული ოდნავ მოითქვა და ისევ განაგრძო. - თქვენ წელან ბრძანეთ და მეც სავსებით ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, რომ ადამიანი ტვინია. დიახ, ტვინია, რადგანაც ტვინი აზროვნებს, ტვინი განსაზღვრავს ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ხასიათს, მისწრაფებებს, სიყვარულს, სიძულვილს და ათას ისეთ თვისებას, რომელიც ადამიანს განასხვავებს ცხოველისაგან. ერთი სიტყვით, ტვინია ადამიანი. როგორცაა ტვინი, ისეთია ადამიანიც. და თუ თქვენ მართლა აპირებთ, ჩემი ტვინი ახალგაზრდა კაცის თავში გადანერგოთ, რას უშვებით მის ტვინს? ალბათ ჩემს თავში გადმონერგავთ, არა?

- დიახ, მართალი ბრძანდებით.

- დიას, მართალი ბრძანდებით.

- აი, აქ ხომ არ ვცოდავთ ღმერთს? ჩემს ბებერ ტვინს გადანერგავთ თუ არა ახალგაზრდა სხეულში, მე, აკადემიკოსი დავით გიორგაძე ვხდები ოცდასამი წლის ჭაბუკი. ხოლო რამაზ კორინთელის ტვინს როგორც კი გადანერგავთ ჩემს მოხუც, დაუძღვრებულ სხეულში, იგი იმავე წუთში გახდება მიხრწნილი მოხუცი რამაზ კორინთელი, რომელიც სამ-ოთხ თვეში გარდაიცვლება. ერთი სიტყვით, თქვენ თქვენი ოპერაციით ორი ადამიანისგან ქმნით ერთ ადამიანს. და თქვენ, ექიმს, ყველაზე კეთილშობილი პროფესიის მსახურს, გაქვთ ამ ოპერაციის მორალური უფლება? ან მე, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თუნდაც უბრალოდ, ადამიანს, მაქვს სხვისი სიცოცხლის მიტაცების უფლება?

კვლევეთი ინსტიტუტის დირექტორს სიტყვა არც კი ჰქონდა შუამდე მიყვანილი, რომ ზურაბ თორაძეს სახეზე ღიმილი გადაეკრა. იგი მიხვდა, მოხუც მეცნიერს რაც აწუხებდა და პასუხიც მზად ჰქონდა.

- წელან მოგახსენეთ, ყველაფერი შესწავლილი და გაანალიზებული მაქვს-მეთქი. შეგიძლიათ შვიდად იყოთ. რამაზ კორინთელმა, ამ ორი თვის წინ მიიღო განუკურნებელი ტრავმა. ინსტრუმენტული ქარხნის საამქროში ხიდური ამწეს კავი მოხვდა თავში. რა არ ვიფიქრებ, რა არ გავაკეთებ, ახალგაზრდა კაცს აზროვნება მაინც ვერ დაუბრუნებ. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტე ჭაბუკის ჯანსაღ სხეულში გადამენერგა თქვენი სადი, ახალგაზრდული ტვინი, ხოლო თქვენს დაძაბუნებულ, დაუძღვრებულ და მომაკვდავ სხეულში რამაზ კორინთელის დადამბლავებული, ფაქტიურად მკვდარი ტვინი. შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, ბატონო აკადემიკოსო, თქვენ მართალი იქნებით ღმერთის, ერისა და საკუთარი თავის წინაშე.

ზურაბ თორაძე გამარჯვებას წინასწარ ზემოთბოდა. იცოდა მოხუც აკადემიკოსს ყველა გზა გადაუჭრა.

დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. მთავარი ექიმი არ ცდილობდა, დუმილი დაერღვია. რაც მეტ ხანს იქნებოდა ჩუმად დავით გიორგაძე, მით უფრო აშკარა გახდებოდა მისთვის მთავარი ექიმის მოსაზრებათა ჭეშმარიტება.

უცებ დავით გიორგაძე შეინძრა, გვერდი იცვალა და წამოჯდომა მოინდომა. მთავარი ექიმი ფეხზე წამოიჭრა.

- ფრთხილად, ფრთხილად თქვენი მკვეთრი მოძრაობა არ შეიძლება!

- კედლისკენ შემაბრუნეთ.

ზურაბ თორაძემ ზურგის ქვეშ მარჯვენა ხელი ფრთხილად ამოსდო, მარცხენათი მკლავში ჩაეჭიდა და აკადემიკოსი კედლისკენ შეაბრუნა. სკამზე აღარ დამჯდარა, იდგა და აკადემიკოსს დასჩერებოდა. სათქმელი მთლიანად ითქვა. ახლა მხოლოდ ერთი კითხვა დაარჩა პასუხგაცემელი; თანახმა იყო თუ არა დავით გიორგაძე, მისი ტვინი ჭაბუკის თავში გადაენერგათ.

მთავარი ექიმი დაიბნა, აღარ იცოდა შეკითხვა პირდაპირ დაესვა თუ შემოსავლელი გზები ეძებნა.

- ვთქვათ, ჩვენ მორალურად მართლები ვართ ჭაბუკის წინაშე... - ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა დავით გიორგაძემ.

- დიახ! - დაიძაბა მთავარი ექიმი.

- მართალნი ვიქნებით, საერთოდ, ღმერთის წინაშე? გჯერათ, რომ მომავალში ძლიერნი ამა ქვეყნისანი ბოროტად არ გამოიყენებენ კაცობრიობის წინააღმდეგ ადამიანის გონების ამ უდიდეს მონაპოვარს?

- ღმერთი გნამთ? - ზურაბ თორაძეს უნებურად ის შეკითხვა მოუვიდა თავში, ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა რომ დაუსვა ამ ორი თუ ორთვენახევრის წინ. საშინელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, სახელგანთქმული ასტროფიზიკოსი რა პასუხს გასცემდა ამ შეკითხვაზე. რამდენად განსხვავებული ან მსგავსი იყო მათი შეხედულებანი.

- ღმერთი? არა, ღმერთი არ მნამს. ისე, კაცმა რომ თქვას, სწავლულებიდან ღმერთთან ყველაზე ახლოს მაინც ასტროფიზიკოსები და ასტრონომები არიან. მე კი ერთიც ვარ და მეორეც, მოგეხსენებათ, ასტროფიზიკოსი გახლავართ. ღმერთი, რასაკვირველია, არ მნამს, მაგრამ მნამს კოსმოსური წესრიგი და კანონზომიერებანი, მნამს ბუნების ძალა, მის მიერ შექმნილი გლობალური ბალანსები. სხვა დიდი საქმეებით დაწყებული და თქვენი ოპერაციით დამთავრებული, ძალიან ხომ არ ვერევით ბუნების საქმეებში? ხომ არ გვაზიწყდება, რომ ჩვენ თვითონ ბუნების შვილები ვართ და შემქმნელი დედაბუნება ბედმეტ თავხედობას არ გვაპატიებს?

- ღმერთისა არ მეშინია. საქმე, რომელიც ადამიანის გონების ზეიმს წარმოადგენს და ადამიანისვე საკეთილდღეოდ კეთდება, შიშს არ უნდა იწვევდეს. მე ვაცობრიობის პროგრესისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის ვიბრძვი. სინდისიც ნათელი მაქვს და მჯერა კიდევ ჩემი სიმართლისა!

- კეთილი და პატიოსანი, მე ამოვწურე შეკითხვები.

- მაშინ მე მაქვს ერთი შეკითხვა! - მთავარ ექიმს გაეხარდა, რომ საუბარი ბუნებრივად გაგრძელდა.

- ბრძანეთ.

- თანახმა ხართ, გადავწერო თქვენი ტვინი?

დუმილი.



მთავარი ექიმი მღელვარებამ შეიპყრო. აპარატურის ზუზუნშიც კი გარკვევით გაიგონა საკუთარი გულისცემა.

- პასუხს არ გაჩქარებთ. თუ გნებავთ, ამ საღამომდე იფიქრეთ, უკიდურეს შემთხვევაში, ხვალ დილამდე, თორემ დრო აღარ ითმენს.

- აუცილებელია, რომ მისი დადამბლავებული ტვინი ჩემს თავში გადანერგოთ?

მთავარი ექიმი გაოცებისაგან გაშეშდა. ასეთ შეკითხვას აღარ ელოდა.

- დიახ, აუცილებელია. სხვანაირად, თქვენი სხეული იმავე წუთში მოკვდება, თქვენ დიდი, სახელოვანი ადამიანი ბრძანდებით, დაინიშნება სახელმწიფო ექსპერტიზა. წარმოიდგინეთ, რა ამბავი დატრიალდება, თქვენი თავის ქალაში ტვინს რომ ვერ იპოვიან. მაპატიეთ, რომ ასე უხეშად და ნატურალისტურად გიხსნით. სჯობია, თავიდანვე პირდაპირ შეხედოთ სიმართლეს თვალებში.

- კეთილშობილურია თქვენი მიზანი, სამოცდაათობმეტი წლის ვაცი მაქციოთ ოცდასამი წლის ყმაწვილად. ჩემი ბებერი ტვინი მთარგოთ ტემპერამენტით და ენერგიით სავსე სხეულს. როგორ შეეგუებიან ისინი ერთმანეთს? თუ ტვინმა დაიმორჩილა სხეული, მაშინ რაღა აზრი აქვს ოპერაციას?! მოხუცი, ძველმოდური შეხედულებების ტვინი, თავის დროზე ავანგარდული, მაგრამ დღევანდლობასთან შეფარდებით კონსერვატული აზროვნება სწრაფად მოაბერებს ახალგაზრდა სხეულს. ხოლო თუ სხეულმა დაიმორჩილა ტვინი, მაშინ ხომ მე მე აღარ ვიქნები? მაშინ ხომ ჩემი გამოცდილება, ცოდნა, ნიჭი და უნარი, აზროვნება და ინტელექტი უცხო სხეულის მონურ სამსახურში ჩაებმება? განა ეს არ იქნება დიდი პიროვნული ტრაგედია, რომელმაც, ადვილი შესაძლებელია, თვითმკვლელობამდე მიმიყვანოს?

- ერთი წუთით...

- გთხოვთ, ნუ შემანწყვეტინებთ, ბოლომდე მათქმევინეთ ჩემი სათქმელი!

მოხუცმა აკადემიკოსმა შეისვენა. პალატაში კვლავ დუმილი ჩამონვა, მაგრამ მთავარმა ექიმმა მაინც ვერ გაბედა ხმის ამოღება.

დავითმა მარცხენა ხელი ოდნავ წამოსწია და მთავარ ექიმს ანიშნა, ისევ გულაღმა გადმომბარუნეო. ზურაბ თორაძე შეეშველა. აკადემიკოსმა ბალიშს, როგორც იქნა, მოარგო თავი და თვალი ისევ ჭერს გაუმტერა.

- მე მესმის თქვენი, - დაიწყო სუსტი ხმით, - ქირურგი ბრძანდებით. დიდებული სპეციალისტი, ძიებისა და მიგნების წყურვილით აღსავსე მეცნიერი, გაბედული პრაქტიკოსი და საერთოდ, გაბედული ადამიანი. თქვენ პირველ რიგში გხიბლავთ თვით ოპერაციის სირთულე, მიღებული შედეგი. თქვენი მეცნიერული და მამკობელი ბუნება სავსებით დავამაფოფილდება, როცა ურთულესი ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდება.

- ნუ მიწყენთ, მაგრამ მე მართო ქირურგი არ გახლავართ, რომელიც თავისი კარგად გაკეთებული ურთულესი ოპერაციებით ტრაბახობს და ყელყელაობს. ჩემი არჩევანი თქვენზე იმიტომ შეჩერდა, რომ მენანება თქვენი სიკვდილი. უდიდეს ექსპერიმენტთან ერთად მინდა, თქვენი ინტელექტი გადავარჩინო. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ახალგაზრდა სხეული და თქვენი ახალგაზრდული ტვინი შეჰქმნიან ერთ მთლიან პარმონიულ პიროვნებას. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, თუმცა ჯერ მე ადამიანის ტვინი არ გადაამინერგავს, მჯერა, ოპერაცია წარმატებით ჩაივლის. მე სწორედ ის მხიბლავს, რომ სხვისი სხეულისა და სხვისი ტვინის საშუალებით მივიღო მსოფლიოში პირველი უნიკალური ადამიანი. შევექმნა ახალგაზრდა კაცი, სიჭაბუკეში მზამზარეულად მიღებული დიდი ცოდნითა და გამოცდილებით. მე მჯერა, რომ დიდ საქმეს ვაკეთებ. მე მჯერა, რომ არ ვარღვევ განგების პარმონიას. და თუ საკითხს უფრო მინიერად, უფრო ბუღალტრულად მივუდგებით, ერთი მომავდავი აკადემიკოსისაგან და ერთი ტვინდადამბლავებული უბრალო ახალგაზრდისაგან მე შევექმნი ერთ ჯანმრთელ, უდიდესი ცოდნით, ტალანტითა და ინტელექტით აღსავსე ადამიანს!

- პირველი მე ვარ, ვისაც ტვინის გადანერგვა შესთავაზეთ?

- დიახ, დიახ, პირველი ბრძანდებით, მაგრამ ყველაფერს აქვს თავის მიზეზი. კანდიდატურები მყავდა, მაგრამ ორი მოსაბრების გამო ვიკავებდი თავს. ჯერ ერთი, ადამიანის ტვინი უნდა ღირდეს გადასარჩენად. მეორეც ისა, რომ ყველა როდი გრძნობს მეცნიერებაში გიგანტური ნაბიჯების გადადგმის სიდიადეს. თანაც ყველა როდია ისეთი უშიშარი, როგორც თქვენ ბრძანდებით.

დავით გიორგაძემ ამჯერად მოახერხა ჩაცინება.

- მე ვერ ვიტან და არც ვაფასებ დაბადებით უშიშარ ადამიანებს. მეც ისეთივე მშიშარა ვარ, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი. ვაუკაცობა სწორედ შიშის დაძლევაა. ჰო, მართლა, ვთქვათ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ოპერაციის შემდეგ ვინ ვიქნები მე?

- თქვენ თქვენ იქნებით, - განაწყენდა ბურაბ თორაძე, - თავიდან დავინწყოთ ყველაფერი? განა უკვე არ შევთანხმდით, ადამიანი რასაც ნიშნავს?! ადამიანი ტვინია, ხოლო ყველაფერი დანარჩენი ამ რთული ორგანიზმის მომსახურე დეტალები!

- მაგას არ გეკითხებით. ოფიციალურად, პასპორტით ვინ ვიქნები?

- სანამ საიდუმლოება გამჟღავნდება, რამაზ კორინთელი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს პასპორტში რა გენერებათ?

- ძალიან ბევრი. პირველი, რომ ოფიციალურად მე მე აღარ ვიქნები, რომ მე მეყოლება ახალგაზრდა მშობლები, და-ძმანი...

- მხოლოდ და, ერთადერთი და, რომელიც ცალკე ცხოვრობს. თქვენ გექნებათ ერთოთახიანი, უფრო სწორად, ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

- კი ბატონო, მეყოლება მხოლოდ ერთი და, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, მშობლების, ბებების და ბაბუების, მეზობლების, ნაცნობ-მეგობრებისა და თანაკურსელების სახელები და გვარები?

- ნუ გედარდებათ, ბატონო აკადემიკოსო, მაგის ნუ გედარდებათ: ჩვენ ყველაფერი გათვლილი და გათვალისწინებული გვაქვს, - მთავარი ექიმის კილოს მხიარული ტონი შეეპარა. უკვე გრძნობდა, დავით გიორგაძის თანხმობა შორს აღარ იყო. - ოპერაციის შემდეგ თანმიმდევრულად ჩაგიტარებთ სათანადო კონსულტაციებს. თავის ტვინის ტრავმის შემდეგ მედიცინამ ბევრი იცის მაგალითი, რომ კაცს ცნობიერება, გონება დაუბრუნდება, მაგრამ სრულიად აღარ ახსოვს წარსული. თქვენ ყველასთან თავაზიანი იქნებით, მაგრამ მწუხარე სახით იტყვით, რომ არავინ და არაფერი აღარ გახსოვთ. თავს რატომ იქნევთ, არა გჯერათ?

- რა ვიცი, როგორ გითხრათ. ჩემი აზრით, ძალზე უხერხული სიტუაცია შეიქმნება. აღარ მახსოვს და, ნაცნობ-მეგობრები, საკუთარი სახლი. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ასტროფიზიკა, უამრავი მეცნიერული პრობლემა და უცხო ენები, რაც რამაზ კორინთელმა არასდროს არ იცოდა!

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ძალიან კარგად ვუკრავ პიანინოზე. ალბათ იცით, ჩემი მშობლები მუსიკოსები იყვნენ. მამა სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა ვიოლინოზე. გულით სურდათ, მუსიკოსი გამოვსულიყავი. ათწლეულები დამამთავრებინეს. მე მაინც ფიზიკისკენ გამიწია გულმა, თუმცა მუსიკასაც ვერ შეველეი. ჩემი დასვენებისა და განმუხტვის ერთადერთი საშუალება მუსიკაა. და აი, ოპერაციის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი და, ნათესავები და მეგობრები პიანინოსთან მიმჯდარს რომ დამინახავენ, განა უცნაური არ იქნება?

- ეგ ყველაზე იოლად გადასალახავი ბარიერი გახლავთ, ბატონო დავით. მთელი თვის მანძილზე, სანამ ყველა „თქვენიანს არ გაიხსენებთ“, ნუ გამოამუღავნებთ თქვენს

განსაკუთრებულ განსწავლულობასა და ინტელექტს. შემდეგ თქვენც და ჩვენც შევქმნით ლეგენდას, რომ განსაკუთრებული მკურნალობის შედეგად თქვენმა გონებამ ათვისების საოცარი უნარი შეიძინა. ჩაუჯდებით ფიზიკას, ასტრონომიას და რამდენიმე თვეში ყველა დაიჯერებს, რომ თქვენმა ნიჭმა ახალი და საოცარი ძალით იფეთქა. ადამიანს უყვარს სენსაცია. უყვარს, როცა ირღვევა ყოველდღიური რუტინა. მერწმუნეთ, ისე დაიჯერებენ ყველაფერს, რომ თვითონვე გაგეცინებათ. ოცდახუთი წლის ასაკში პირდაპირ დაიცავთ სადოქტოროს, თქვენი სახელი გაეხვევა დიდების საოცარ ბურუსში, გახდებით უპოპულარესი ადამიანი, ქალების კერპი...

- „ქალების!“ - მეორედ მოახერხა ჩაცინება დავით გიორგაძემ, თუმცა ამ ჩაცინებაში ირონიას საკმაოდ დიდი ნაკადით შეერია რაღაც შინაგანი სიამოვნების გრძნობაც, რაც ალბათ ქალთან იყო დაკავშირებული.

- დიახ, დიახ, თქვენი გიგანტური ნაბიჯები მეცნიერებაში თქვენს ირგვლივ შექმნის აუიოტაუსა და სენსაციურ ისტორიებს!

მთავარი ექიმი უცებ შეჩერდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

- თანახმა ხართ?

- ვთქვით, რამდენიმე წლის შემდეგ ოფიციალურად იქნება ნებადართული ტვინის გადანერგვის ოპერაცია, - დავით გიორგაძემ პასუხს კვლავ თავი აარიდა, - მაშინ ხომ თქვენ გაამუღავნებთ საიდუმლოს ... მაშინ ხომ...

- მიგიხვდით, რისი თქმაც გინდათ. საშიში არაფერია. დიახ, მაშინ უკვე გავამუღავნებთ თქვენს ვინაობას, წარმოგიდგინიათ, რა ამბავი ატყდება? აი, მაშინ გახდებით უნიკალური და უპოპულარესი ადამიანი, თქვენ, დავით გიორგაძე, რომლის ტვინიც პირველად

გადანერგეს მთელს მსოფლიოში, სამუდამოდ შერჩებით ჩვენი პლანეტის დღევანდელი და მომავალი თაობების მახსოვრობას!

დავით გიორგაძე კვლავ ჭერს შესჩერებოდა.

- მაშ, თანახმა ხართ? - რატომღაც ჩუმად და შთაგონებით წარმოთქვა მთავარმა ექიმმა.

- განა ასე იოლია ამოდენა ამბის გადახარშვა და, მით უმეტეს, თანხმობის განცხადება?!

- დრო აღარა გვაქვს, ბატონო დავით, დრო! კი, ბატონო, იფიქრეთ, კიდევ იფიქრეთ. კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. პასუხი კი ამ საღამოს უნდა მითხრათ, უკიდურეს შემთხვევაში ხვალ, დილის ცხრა საათზე, გასაგებია?

დუმილი.

- გასაგებია? - გაღიზიანებულმა გაიმეორა მთავარმა ექიმმა.

- ნუ ბრახობთ. პასუხს საღამოს მიიღებთ, დილამდე არაფერია საფიქრალი. ღამეს ფიქრში ვერ გავტეხავ, მინდა, კარგად გამოვიძინო.

- ძალიან კარგი. მომწონს თქვენი სიმშვიდე. იუმორის გრძნობას კი არასდროს არ კარგავთ. ეს თქვენი ხასიათის სიმტკიცეა და სიმამაცეზე მიგვითითებს! - უცებ გამოუკეთდა გუნება მთავარ ექიმს, - და კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ. ჩემის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია. ოპერაციის თაობაზე საბუთებისა და მოვლენების დაწვრილებით აღნუსხვას დღეიდან ვიწყებთ, უფრო სწორად, იმ წუთიდან დაიწყო, როცა მე თქვენთან შემოვედი. მთელი ჩვენი დიალოგი მაგნიტოფონის ფირბეა აღბეჭდილი. იგი ხუთ ეგზემპლარად გამრავლდება და ხუთ სხვადასხვა ადგილზე შეინახება მანამ, სანამ საშუალება არ მოგვეცემა საიდუმლოს გამჟღავნებისა.

- მომწონს თქვენი გამჭრიახობა და ოპერატიულობა.

მჯერა, ოპერაცია წარმატებით ჩაივლის.

- გამდლობთ, ბატონო დავით, თქვენი რწმენა კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს რწმენას. დღევანდელი დღიდან თქვენ ისტორიული პიროვნება ხდებით. თქვენი სახელი ეცოდინება პლანეტის ყველა მოქალაქეს. ნუ გეწყინებათ და ტვინის გადანერგვა თქვენ უფრო დიდ სახელს მოგიტანთ, ვიდრე თქვენი ასტროფიზიკური აღმოჩენები და თეორიები.

- სახელის მაძიებელი არასდროს ვყოფილვარ. მე, უბრალოდ, მიზიდავს ის საოცარი, გაუგონარი ფერისცვალება, ტვინის გადანერგვას რომ მოჰყვება. მიზიდავს ისევ და ისევ მეცნიერული თვალსაზრისით.

- სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდი. ხომ ხედავთ, არჩევანშიც არ შევმცდარვარ. კარგად ბრძანდებოდეთ. საღამოს ცხრა საათზე გეახლებით. მე მჯერა თქვენი. წინასწარ ვიცი, რომ თანხმობას განაცხადებთ.

დავით გიორგაძემ თვალეები დახუჭა. მარტო დარჩენის სურვილი მოეძალა. არაფერზე აღარ ფიქრობდა. ელოდა, როდის მიწყდებოდა ექიმის ფეხის ხმა. რკინის მძიმე კარი ჯერ ზუზუნით გაიღო, შემდეგ კვლავ დაიხურა.

მოსუცმა მეცნიერმა თავისუფლად ამოისუნთქა, დიდი გაჭირვებით მხარი იცვალა. ეტყობა, დღემდე გაუგონარმა და უცნაურმა დიალოგმა ძალზე გადაღალა. ძილმა უმაღვე დარია ხელი.

\* \* \*

ზურაბ თორაძე საწერ მაგიდასთან იჯდა სავარძელში. ჩვეულებისამებრ, მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა და თავი ხელებში ჩაერგო. იქვე ისხდნენ მისი ერთგული მეგობრები და კოლეგები, ამ საიდუმლო ოპერაციის მომავალი მონაწილენი, ორი კაცი და ორი ქალი. ოთხივენი დაძაბულნი შესჩერებოდნენ მთავარ ექიმს, მაგნიტოფირზე ჩაწერისას მათ ერთი სიტყვაც კი არ გამოჩენიათ მოლაპარაკებისა. როცა ზურაბ თორაძე კაბინეტში შემოვიდა, ყველას უნდოდა მივარდნოდა, თითქმის საბოლოო ნერტილამდე მიყვანილი გამარჯვება მიელოცა, მაგრამ მთავარ ექიმს ისეთი დაღლილი, მოქანცული სახე ჰქონდა, თვალები ისე ჩაცვივნოდა, ხმის ამოღება ვეღარ გაბედეს. არც შემცდარან. ზურაბ თორაძემ აკადემიკოსთან საუბრისას ყოველ ფრაზაში, ყოველ სიტყვაში იმდენი ენერგია, სულიერი დაძაბულობა და ემოცია ჩააქსოვა, რომ მხოლოდ კაბინეტში გამოსვლისას იგრძნო, როგორ დაიცალა და გამოიფიტა. დუდილისაგან ამომშრალი ჩაიდანივით მთელი სხეული საშინლად უხურდა, ასე იყო კარგა ხანს, სიგარეტიც კი არ გახსენებია.

ექიმები გაშეშებულებივით ისხდნენ სკამებზე. განძრევას ვერ ბედავდნენ.

ზურაბ თორაძეს თითქოს დაავიწყდა მათი არსებობა. თვითონაც არ ინძრეოდა, ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, დაძაბული გონება ცოტა დაესვენებინა.

უცებ ტელეფონმა დარეკა. ოთხმა წყვილმა თვალმა ტყვიასავით გახვრიტა ტელეფონის თეთრი აპარატი. მხოლოდ მთავარი ექიმი არ განძრეულა,

ექიმები დაიბნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ, აედოთ ყურმილი და მთავარი ექიმისთვის მიეწოდებინათ, თუ თვითონ გაეცათ პასუხი. ან იქნებ სულაც სჯობდა, ყურმილი გვერდზე გადაედოთ.

ზარი კი წკრიალებდა და წკრიალებდა. ყოველი მისი განწკრიალება მთავარი ექიმის კაბინეტში მყოფთ უსიამო ურჯოლას ჰგვრიდა.



როგორც იქნა, დადუმდა ტელეფონი.

გავიდა კიდევ ორი წუთი, დაძაბული და დუმილით გამძაფრებული ორი წუთი.

- გია! - წარმოსთქვა უცებ მთავარმა ექიმმა ისე, რომ თავი არ აუნევიდა.

- გისმენთ, ბატონო ზურაბ!

- დავით გიორგაძეს თქვენი პასუხისმგებლობით მიხედავენ. დღეიდან ყველას, მის მეუღლესაც კი ეკრძალება პალატაში შესვლა. მეუღლე და ახლო მეგობრები რომ არ დავაფრთხოთ, მიზეზი შედარებით უბრალო უნდა იყოს. ვთქვათ, წნევის მომატება.

- გასაგებია, ბატონო ზურაბ.

- დღეს საღამოს შვიდი საათისათვის ყველანი ჩემს კაბინეტში იყავით. ალბათ მიხვდით, ვინ ყველანი.

ექიმები თავის დაქნევით დაეთანხმნენ.

- წრთობა და ფსიქოლოგიური მომზადება არ გაკლიათ, მაგრამ დღეიდანვე განენწყვეთ ოპერაციისათვის. თქვენ, ალბათ, ყველამ მოისმინეთ ჩვენი ლაპარაკი. მტკიცედ მჯერა, დღეს საღამოს ცხრა საათზე, დავით გიორგაძე ოპერაციაზე თანხმობას განაცხადებს, დიადი ნაბიჯის გადადგამდე ორიოდ დღეა დაგვრჩა!

მთავარმა ექიმმა თავი ასწია და თანამზრახველები შეათვალიერა.

- ხომ არ შეშინდით?

- პირიქით, ბატონო ზურაბ! - თქვა გიამ.

დანარჩენებმა პასუხი ღიმილით გამოხატეს.

- აბა, გთხოვთ მიბრძანდეთ და ცოტა ხანს მართო დამტოვოთ!

ყველანი წამოიშალნენ და მთავარი ექიმის კაბინეტიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.

ზურაბ თორაძემ სამართავ პულტს დახედა და მწვანე ღილაკი მონახა. კედელი ნელ-ნელა, ყურისათვის ოდნავ გასაგონი შრიალით გაიხსნა. მთავარმა ექიმა სინათლე გამორთო და ტელეეკრანებს თვალი შეავლო. ყველაფერი ისე იყო, როგორც ელოდა. წინასწარ იცოდა, იმ დაძაბული საუბრის შემდეგ ავადმყოფი გარკვეულ ნერვიულ დატვირთვას მიიღებდა, არც არსებით ცვლილებებში არ გადაიზრდებოდა. მთავარი ექიმის ვარაუდი გამართლდა, დავით გიორგაძემ შედარებით გადაიტანა დიდი ემოციური და ფსიქოლოგიური ვნებათაღელვა.

ზურაბ თორაძემ აპარატურა გამორთო და საათს დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. აკადემიკოსის საბოლოო პასუხამდე ათი საათი რჩებოდა.

# თავი მესამე

- ბედნიერი ხართ? - ჰკითხა მოულოდნელად დავით გიორგაძეს ახალგაზრდა კორესპონდენტმა.

- ჩემი ბედნიერება-უბედურების ამბავი ვითომ ძალზე აინტერესებს ქართველ მკითხველს? - გაიღიმა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა.

- თქვენ წარმოიდგინეთ, აინტერესებს, - ქალიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, - როცა პიროვნება პოპულარულია, მისი ცხოვრების შტრიხები, ცალკეული დეტალები და ნიუანსები უფრო სრულყოფილს ხდიან მეცნიერის შემოქმედებით პორტრეტს.

დავით გიორგაძემ ყურადღებით შეხედა კორესპონდენტს, უნდოდა გამოეცნო, მაღალფარდოვნად წარმოთქმული ფრაზა ახლა მომწიფდა ამ, ერთი შეხედვით, ლამაზი ქალიშვილის გონებაში თუ უნივერსიტეტში ნასწავლი და გაზეპირებული წინადადება ამოხტა ტვინიდან.

კორესპონდენტმა კალმისტარი ტუჩებთან მიიტანა და დავით გიორგაძეს ყურადღებით შეხედა.

- მე მგონი, ბედნიერი ვარ. ალბათ იმიტომ, რომ უბედური არასდროს ვყოფილვარ. გულწრფელად რომ გითხრათ, მსგავს პრობლემებზე არასდროს მიფიქრია. ალბათ, არ მეცალა და იმიტომ. ან ვინ იცის, იქნებ ფილოსოფიური თვალთახედვით არ ვუყურებ ცხოვრებას და არ ვაანალიზებ განვლილ წლებს. რასაკვირველია, ბედნიერი ვარ. მაქვს კარგი ლაბორატორია და მუშაობისათვის საუკეთესო პირობები. ბევრი, ძალიან ბევრი სიხარული მომანიჭა ჩემმა გამოკვლევებმა, აღმოჩენებმა. მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?

დავით გიორგაძემ თვალები დახუჭა.

„მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?“

„მეტი რა უნდა...“

ვერა და ვერ მოიშორა აკვიატებული ფრაზა. ვედარც იმ კორესპონდენტი ქალიშვილის სახე ამოიგდო გონებიდან, ამ ექვსი თვის წინ რომ ესტუმრა ინტერვიუს ჩამოსართმევად.

„მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?“

„ბევრი რამ უნდა თურმე, ბევრი რამ“.

„სად არის ახლა ჩემი შვილი? სად იმალება? იქნებ დაიჭირა კიდეც მილიციამ და მე არ მიმხელენ?“

„რა ბედნიერი იყო ჩემი მეუღლე, ჩემი ანა. რა მადლობას სწირავდა ღმერთს სიკეთისათვის, მფარველობისათვის. ახლა კი... დინამიტით აფეთქებული კლდესავით ხევში ჩაიშალა მთელი მისი ცხოვრება. დაკარგა ერთადერთი ვაჟიშვილი დათო, დაკარგა მეუღლე“.

„მე ბევრი-ბევრი, კიდეც სამი-ოთხი თვე ვიცოცხლო. ტვინის გადანერგვის ოპერაციამ წარმატებითაც რომ ჩაიაროს, მაინც სამუდამოდ ვარ დაკარგული მეუღლისათვის“.

„დათო ხომ ცოცხალია? თუ ცოცხალია და დაიჭირეს, შეიძლება ექვსი ან შვიდი წელი მიუსაჯონ. იქნებ ნაკლებიც. ან იქნებ ადრეც გამოვიდეს ციხიდან. ის მაინც ეყოლება ანას.“

„საბრალო ქალი!“ - დავით გიორგაძემ მწარედ ამოიოხრა.

„მაინც რა ხუხულასავით დაინგრა ჩემი ცხოვრება!“

ყოველი მხრიდან წამოშლილ ფიქრებს შეებრძოლა. ცდილობდა გათიშულიყო, გონება დაესვენებინა, ძალა მოეკრიბა.

თითქოს შესძლო კიდეც. თითქოს სადღაც გადაიკარგნენ ყოველი მხრიდან ამოსვეტილი შავი კითხვის ნიშნები.

„ერთის მხრივ, კარგია მარტოობა, ფიქრს და ოცნებას არავინ გიშლის!“ - გაიფიქრა დავით გიორგაძემ

„ვარ კი მართო?“ - გულში მწარედ ჩაიციხა. იცოდა, მისი გული, ფილტვი, ძარღვი და, ღმერთმა იცის კიდეც რა ორგანო, ურთულეს აპარატურასთან იყო შეერთებული. ამ აპარატურის ეკრანები კი სხვადასხვა ოთახში ციმციმებდნენ. ხშირად ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს დანაკუნებული და ასო-ასო აქნილი მისი სხეული ერთდროულად რამდენიმე ოთახში იყო დანაწილებული.

ერთადერთი რამ, რაც ჯერჯერობით მონიტორის ეკრანზე არ გამოისახებოდა, მისი აზრები იყო, აზრები, რომლებსაც ახლა თვითონვე გაურბოდა.

ფიქრი, საერთოდ, უყვარდა დავით გიორგაძეს. უყვარდა სრულიად ბუნებრივი მიზეზების გამო. იგი ფიქრში ეჭიდებოდა ურთულეს პრობლემებს, ფიქრშივე პოულობდა მათი გადაჭრის ურთულეს გზებს. ინფარქტის შემდეგ უჩვეულო რამ დასჩემდა. თვალნათლივ ხედავდა, რასაც ფიქრობდა. თვით ფიქრს ხედავდა. როცა აბსტრაქტულ, უსხეულო საგნებზე ფიქრობდა, ამ უსხეულო საგნებსაც კი ხედავდა. რანაირნი იყვნენ ეს უსხეულო საგნები? ალბათ ვერ იტყოდა და ვერც აღწერდა, მაგრამ ფიქრის პროცესში ნამდვილად ხედავდა.

ახლა კი მთელი არსებით ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. აღარც უპატრონოდ მიტოვებულ მეუღლეზე, აღარც უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილზე, მილიცია რომ

დაეძებდა. უნდოდა გათიშულიყო. უნდოდა რამდენიმე წუთით მაინც გაეჩერებინა ის ტელეტაიპი, ტვინში რომ გამუდმებით მუშაობდა და უთავბოლო, უსისტემო ფიქრების უწყვეტ ნაკადს უხილავ ფირზე აღბეჭდავდა.

მხოლოდ ორიოდ წუთს შესძლო, ელექტროქსელიდან გამოთიშულ მანქანას დამსგავსებოდა. მხოლოდ ორიოდ წუთს გაეთიშა სამყაროს. მერე ვიღაცის უხილავმა ხელმა ისევ ჩართო ელექტროქსელში, ისევ დატრიალდა აკადემიკოსის ტვინში კბილანა ბორბლების ურთულესი სისტემა. სადღაც ისევ იფეთქა ვულკანმა, ლავასავით ისევ ამოიფრქვა უთვალავი შავი კითხვის ნიშანი. ისინი ჯერ ისე გაიშალნენ, საზეიმო სალუტის დროს ცაში ერთ კონად ატყორცნილი მაშხალები რომ იშლებიან ხოლმე. შემდეგ კი დამსხვილებულები და დამძიმებულები ბომბებივით დაემგნენ დაბლა.

შეშინებულმა დავით გიორგაძემ თვალეხი ისე მაგრად დახუჭა, ლამის ქუთუთოები შეანება ერთმანეთს. აღარ უნდოდა დაენახა, მილიონი კითხვის ნიშანი მილიონი ბომბივით რომ მოისწრაფვოდა მისკენ.

უცებ მიხვდა, მოჩვენება და კომპარი რომ გამჭრალიყო, თვალი უნდა გაეხილა.

პალატაში ფუტკრის სკასავით ძველებურად ბუზუნებდა ელექტროაპარატურა. იქაურობას ოდნავ ანათებდა აპარატურის მწვანედ და წითლად მოციმციმე რამდენიმე პატარა ნათურა.

ოდნავ დამშვიდდა. მარჯვენა ხელით დანამული შუბლი მოიწმინდა და მწარედ ამოიოხრა.

„ბედნიერი ხართ?“ - მოულოდნელად კვლავ ჩაესმა ყურში ახალგაზრდა კორესპონდენტის ნაცნობი ხმა.

\*\*\*

- ბედნიერი ხართ? - ჰკითხა მოულოდნელად დავით გიორგაძეს ახალგაზრდა კორესპონდენტმა.

აკადემიკოსის გონებაში ვიდეოფირი კვლავ თავიდან დატრიალდა.

- ჩემი ბედნიერება-უბედურების საკითხი ვითომ ძალზე აინტერესებს ქართველ მკითხველს? - გაელიმა დავით გიორგაძეს.

- თქვენ წარმოიდგინეთ, აინტერესებს, - ქალიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, - როცა პიროვნება პოპულარულია, მისი ცხოვრების შტრიხები, ცალკეული დეტალები და ნიუანსები უფრო სრულყოფილს ხდიან მეცნიერების შემოქმედებით პორტრეტს...”

...- თქვენი უკანასკნელი დიდი მეცნიერული გამარჯვება ათი წლით უკან გვაბრუნებს. შემდგომ აკადემიკოს დავით გიორგაძისათვის ნაყოფიერი, მაგრამ მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობის წყნარი პერიოდი დადგა. თუ ჩემს მიერ შემოთავაზებული ტერმინი ხელოვნური არ მოგეჩვენებათ, აფეთქებას ადგილი აღარ ჰქონია. დიდმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, თქვენ ხომ უზარმაზარი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებით, და, მომიტევეთ უტაქტობისათვის. თქვენმა ასაკმა ხომ არ განაპირობა მეცნიერული სინყნარის ათი წელიწადი?

დავით გიორგაძეს გაელიმა, თვალი მაგიდას დაასო და ჩაფიქრდა.

კორესპონდენტ ქალიშვილს ამაყი გამოხედვა ჰქონდა. თვითონვე მოსწონდა დასმული შეკითხვა. საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი მძიმედ დააფიქრა. პროფესიული ღირსებით აღსავსე მოთმინებით ელოდა აკადემიკოსის პასუხს.

- პირიქით... რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, პირიქით მოხდა ყველაფერი. ჩემი უმთავრესი თეორიული განგარიშება და შემდგომ მისი ექსპერიმენტული

დადასტურება სწორედ ახლა განხორციელდა, წლევიანდელ წელს. უფრო ზუსტად, წელს შევქელი იმ თეორიის დადასტურება, რომელსაც ბოლო ხუთი წელია ვუტრიალებ.

დავით გიორგაძე წამოდგა, დაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა, მერე ისევ დაჯდა და თვალი ქალიშვილს გაუსწორა.

- ერთ რამეში მართალი ბრძანდებით. აი, ახლა, თქვენი შეკითხვის შემდეგ, გონებაში წამიერად თვალი გადავაკვლე ყველა დიდ აღმოჩენათა ისტორიას. რევოლუციური თეორიებისა და ექსპერიმენტების ავტორები, თითქმის ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. გამონაკლისი, ალბათ, ყოველთვის იყო და იქნება. მე თავს არ ვუტოლებ მსოფლიოს უდიდეს მეცნიერებს. უბრალოდ, ჩემს თავზე მოგახსენებთ. უკანასკნელი გამოკვლევა, რომელსაც, ალბათ, სულ მალე გამოვაქვეყნებ, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულებისა იქნება ჩემს ცხოვრებაში. და თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, არა მართლ ჩემს ცხოვრებაში.

- სიამოვნებით მიმაქვს უკან ჩემი სიტყვები, წინასწარ გილოცავთ გამარჯვებას და ვიტოვებ იმედს, რომ ორიოდ სიტყვით გაესაუბრებით მკითხველებს თქვენი ახალი აღმოჩენის თაობაზე.

- რომელი გაზეთიდან ბრძანდებით? - ჰკითხა უცებ დავით გიორგაძემ.

- ახალი ამბების სააგენტოდან გახლავართ.

- აჰა! მაშასადამე თქვენი წერილი სულ სხვადასხვა ხასიათის გაზეთებში დაიბეჭდება, არა?

- დიახ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.



- მერჩია, რომელიმე კონკრეტული გაზეთიდან ყოფილიყავით. გაზეთის თავისებურებებიდან და მკითხველიდან გამომდინარე, ვიცი ხოლმე სათქმელი რა ჩარჩოებში და რა სიღრმით ჩამოვაცალიბო. ახლა რაღაც საშველი უნდა გამოვნახო, არა?

- ნუ შეიზღუდებით. ყველა წერილს თავისი მკითხველი ჰყავს! - დაამშვიდა ღიმილით კორესპონდენტმა.

- კეთილი, მაშინ გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ!

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დაფიქრდა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. ქალიშვილი ჩასანერად მოემზადა, მაგრამ დავით გიორგაძე არ ჩქარობდა. იქნებ მეცნიერი გონებაში მოკლედ აყალიბებდა სათქმელს? არა იგი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. თავდაპირველად კორესპონდენტი ძალიან მოეწონა. თანდათანობით მიხვდა, რომ ქალიშვილი არც ისეთი ლამაზი იყო, თავიდან რომ მოეჩვენა. ეტყობა, მისი გამოხედვა, ვარცხნილობა, ჩაცმულობა და მანერა მხოლოდ ნუთიერად ახდენდა ეფექტს.

„ვაითუ მისი ცოდნა და ჟურნალისტური ალღოც ასეთივე ნუთიერია? რა დონეზე, რა სიღრმეზე უნდა ვესაუბრო ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს და, საერთოდ კორესპონდენტებს, ერთ თარგზე მოჭრილივით რომ ჰგვანან ერთმანეთს?“

- იცით, რისი მეშინია? - თქვა უცებ დავით გიორგაძემ.

გაოცებულმა ქალიშვილმა თავი ასწია და მეცნიერს შეხედა.

- მოდით, ერთ საკითხზე შევთანხმდეთ. როცა წერილს დაწერთ, აუცილებლად წამაკითხეთ. მეშინია, რაიმე მეცნიერული უზუსტობა არ გაგვეპაროს.

„გაგვეპაროს“, - ქალიშვილს მოეწონა მოხუცი მეცნიერის ტაქტიანობა.

- აუცილებლად წაგაკითხებთ. ხვალ თუ არა, ზეგ მაინც მოგართმევთ.

- კეთილი და პატიოსანი! მაშ დავიწყოთ. ჩემს მიერ ექსპერიმენტით დადასტურებული თეორიული მოსაზრებანი უკვე დანერგულია და სეიფში დევს. მხოლოდ წვრილმანი საქმეებიღა დარჩა მოსაგვარებელი. ვფიქრობ, შემოდგომაზე ანგარიშით წარვსდგები აკადემიაში და ნაშრომსაც გამოვაქვეყნებ.

- ეტყობა, ბედი მქონია. მე მხვდა წილად ბედნიერება თქვენი გამოკვლევის თაობაზე პირველი ვესაუბრო მკითხველს.

- მიჭირს საგაზეთო ვარიანტის ჩამოყალიბება, თუმცა შევეცდები ყველაზე იოლი ფორმებით დავხატო აღმოჩენის არსი.

დავით გიორგაძემ ისევ მაგიდას გაუშტერა თვალი. კორესპონდენტმა შენიშნა, მეცნიერს საფეთქლებზე ძარღვები როგორ დაეხერა.

- 1826 წელს აღმოჩენილ იქნა რადიოაქტიურობა. რა არის რადიოაქტიურობა? მოგეხსენებათ, ყოველ შემთხვევაში, იმ მკითხველებს მოეხსენებათ, რომლებიც ასეთი ინფორმაციებით არიან დაინტერესებულნი, რომ ატომგულს ახასიათებს დაშლა, რაც გამოწვეულია მისი არამდგრადობით. სხვათა შორის, სხვადასხვა ქიმიური ელემენტების ამჟამად ცნობილი ორი ათასი იზოტოპიდან მხოლოდ სამასია მდგრადი. დანარჩენი უკლებლივ რადიოაქტიურნი არიან. აქამდე, ესე იგი დღევანდელ დღემდე, ცნობილია ოთხი სახის გამოსხივება: ალფა-დაშლა, ბეტა-დაშლა და სპონტანური დაყოფა. მეოთხე ტიპის დაშლა ჯერ კიდევ რებერფორდის დროიდან ივარაუდეს. ეს იყო პროტონური რადიოაქტიურობა.

დავით გიორგაძემ თავი ასწია, სავარძლის საბურგეს მიანჯა და კორესპონდენტს ასაკისათვის უჩვეულოდ ცეცხლოვანი თვალები მიანათა.

- მე ვივარაუდე მუხუთე ტიპის რადიოაქტიური გამოსხივებაა. ბუნებრივია, ჯერ თეორიულად. მას შემდეგ გავიდა ხუთი წელი. დაძაბული შრომით აღსავსე ხუთი წელი! პრობლემის ექსპერიმენტით დასადასტურებლად თითქმის ყოველდღე ვმუშაობდი. ჩემს ტვინში სხვა პრობლემისათვის პატარა კუნჭულიც კი არსად დარჩა. თქვენ რომ წელან ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული მუშაობა ახსენეთ, აი, ასეთი მუშაობის დროსაც კი მხოლოდ გამოსხივების ახალ, მუხუთე ტიპზე ვფიქრობდი.

- ექსპერიმენტმა დაადასტურა თქვენი თეორიის სიმართლე? - მოულოდნელად ჩაეჭრა ქალიშვილი.

გაოცებულმა დავითმა ყურადღებით ჩახედა შეღებულ თვალებში.

- მე მგონი, წელან უკვე მოგახსენეთ, რომ ექსპერიმენტმა დაადასტურა თეორიული მოსაზრებანი და ნაშრომი სეიფში დევს-მეთქი დანერვილი...

- უკაცრავად, ეტყობა, სათქმელი ვერ ჩამოვაცალიბე. რა ტიპის გამოსხივებაა თქვენს მიერ აღმოჩენილი რადიოაქტიურობა?

მეცნიერის ანთებული თვალები, თითქოს ტრანსფორმატორს დაუწიესო, ნელ-ნელა ჩაქრა.

- რომელი ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული?

- ფილოლოგიური. ჟურნალისტიკის განხრით. - დაამატა მცირე პაუზის შემდეგ.

- მე რომ მუხუთე ტიპის რადიოაქტიური გამოსხივება აგისხნათ, არ ვიცი, რამდენად ჩასწვდებით მის ფიზიკურ ბუნებას.

- ჟურნალისტები ყველაფერს თავისებურად ვწვდებით, - გაელიმა კორესპონდენტს, - ვწერთ ფარდობითობის თეორიაზე და არ ვიცით, რა არის ფარდობითობის თეორია. ვწერთ კვანტურ ფიზიკაზე და არ ვიცით, რა არის კვანტი. ასე რომ, სულ თავისუფლად შემოძლია დავწერო მეხუთე ტიპის რადიაქტიურ გამოსხივებაზე და საერთოდ არ მეცოდინება რა არის რადიოაქტიურობა.

- მომწონს თქვენი გულახდილობა. გარდა ამისა, იქნებ ჯერჯერობით სჯობია კიდევ თავი შევიკავოთ ჩვენი დღევანდელ ინტერვიუს გამოქვეყნებისაგან. სანამ გამოკვლევას დასრულებული, საბოლოო სახით არ წარვადგენ და აკადემიაში მოხსენებას არ გავაკეთებ, არ ღირს აუიოტაჟის ატეხვა. ტრაბახა კაცი არ გახლავართ, მაგრამ ამოდენა აღმოჩენის საგაზეთო ინფორმაციის სახით გამოქვეყნება პრობლემის გაუბრალოება მგონია.

ქალიშვილმა წყენა ვედარ დამალა.

- მას, ხელცარიელს მიშვებთ? ეტყობა, რაღაც განწყენით.

- არაფერი, ქალიშვილო, უბრალოდ, მივხვდი, რომ არ ღირს მარტივი ინფორმაციის გამოქვეყნება.

კორესპონდენტმა ჯიბის წიგნაკი და კალმისტარი ჩანთაში ჩადო.

- კიდევ გთხოვთ, ნუ მიწყენთ! - ნამდვილად შეწუხდა აკადემიკოსი.

- არ გინწყენთ, თუ ერთ პირობას მომცემთ. - გაელიმა ქალიშვილმა.

- გისმენთ.

- გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ პირველი ინტერვიუ მე უნდა ჩამოგართვათ.

- პირობას გაძღვეთ! - თავისუფლად ამოისუნთქა დავით გიორგაძემ.

ქალიშვილი ფეხზე წამოდგა, თავი მოხდენილად მოიქნია და შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან მოისროლა.

- კარგად ბრძანდებოდეთ! იმედი მაქვს, სიტყვას არ გატეხავთ!

- კარგად ბრძანდებოდეთ!

დავით გიორგაძე ქალიშვილს წინ გაუძღვა. ქალიშვილი უკან მოჰყვა. გააოცა აკადემიკოსის დუნე მიხრა-მოხრამ, გამხდარმა, დასუსტებულმა სხეულმა. როცა დავით გიორგაძეს წინიდან, სახეში შესცქეროდა, მეცნიერის ენერგიული გამოხედვა და ცოცხალი თვალები ანეიტრალეზდა, აქარწყლებდა ამ უძღურებას.

დავითმა კაბინეტის კარი გამოაღო და კორესპონდენტს ღიმილით უთხრა:

- იმედი მაქვს, უკვე გაგიარათ წყენამ.

- მეტი რა გზა მაქვს! - გაიღიმა ქალიშვილმა, - მომავალ შეხვედრამდე!

დავით გიორგაძემ თვალი მანამ გააყოლა ქალიშვილს, სანამ მისაღების კარი არ გაიხურა. მდივანი ქალი ფეხზე წამოდგა, თითქოს რაღაც ბრძანებას ელოდა. დავითის სახეზე ღიმილი ნელ-ნელა წაიშალა. აკადემიკოსმა კარი მიხურა, მაგიდასთან მივიდა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

გონებაში ისევ ამოტივტივდა კორესპონდენტის შეკითხვა:

„ბედნიერი ხართ?“

რა საოცარია, არასდროს არ უფიქრია ამ თემაზე. თავისი პასუხიც გაიხსენა, უბედურება არასდროს მიგრძენია, ესე იგი, ბედნიერი ვარო. კვლავ მოეწონა ფორმულასავით ჩამოყალიბებული პასუხი. თავი კმაყოფილებით გაიქნია.

უცებ შეეშინდა. შეიძლება კი, ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ბედნიერი იყოს? ნუთუ ამ დაძაბულ და ნერვიულ, ყოველდღიური ხიფათით აღსავსე ეპოქაში არიან გამონაკლისები?

ბოლოს და ბოლოს, რა არის ბედნიერება?

მოხუცი აკადემიკოსი საკუთარ ბედნიერებას მხოლოდ მეცნიერულ მუშაობაში ხედავდა. ბედნიერიც ალბათ იმიტომ იყო - უმარმაზარი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ხომ არც სამუშაო პირობები აკლდა და არც მეცნიერული აღლო, არც აღმოჩენათა სიხარული, არც სახელი და აღიარება.

ორმოცდახუთი წლისა იყო, ოჯახს რომ მოეკიდა. ანას მაშინ ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა. მანამდე აღარც თვითონ ანას სჯეროდა, რომ გათხოვდებოდა, და აღარც დავით გიორგაძეს, რომ როდესმე ცოლს მოიყვანდა. მათი დაქორწინება სრულიად მოულოდნელად მოხდა.

ერთმანეთს დიდი ხანია იცნობდნენ. ანას თითქოს გულის სიღრმეში მოსწონდა კიდევ დავითი, თუმცა არასდროს არ უფიქრია მისი ცოლობა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ უკვე სახელოვანი მეცნიერი ცოლს აღარ შეირთავდა, რომ მას, უბრალოდ, ოჯახისათვის აღარ ეცალა.

ერთხელ, მეგობრის ოჯახში სრულიად შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. ძველი ნაცნობები მაგიდასთანაც ერთად დასხდნენ. წვეულების შემდეგ ანა დავითმა გააცილა. მანქანაში მეცნიერი ცუდად შეიქნა, თავბრუ დაეხვა და გული აუჩქარდა.

- რა დაგემართა? - შეშინდა ანა და მაჯაზე ხელი წაავლო. პულსი უჩვეულოდ სწრაფი ჰქონდა.

- ახლავე მოაბრუნე მანქანა, - თითქმის ბრძანებით მიმართა შოფერს, - ჯერ ბატონი დავითი მივიყვანოთ!

„ბატონი“ შოფერის გასაგონად უწოდა.

მეცნიერს წინააღმდეგობა არ გაუწევია. შოფერმა მანქანა შემოაბრუნა.

- რა დაგემართა? - გაუმეორა შეკითხვა ანამ.

- არაფერი, გადავიღალე, დღეს ძალზე რთული დღე მქონდა!

- მერე აქ რაღას მოდიოდი?

- უხერხული იყო, რომ არ მოვსულიყავი. ან კი რა ვიცოდი, თუ ცუდად გავხდებოდი. პირიქით, რომ დავისვენებდი, ცოტას განვიმუხებოდი...

დავითი უცნაურმა სიამოვნებამ შეიპყრო, როცა ანას გრძელი თითები ჯერ მაჯაზე შემოესაღტა, შემდეგ კი შუბლზე შეეხო.

- სიცხე არ უნდა გქონდეს, თუმცა მაჯა გაქვს ძალზე აჩქარებული.

- ყველაფერი გადაღლის ბრაღია!

სადარბაზოსთან შოფერმა მანქანა ფრთხილად დაამუხრუჭა, თვითონ მკვირცხლად გადმოვიდა და კარი გამოუღო. გადმოსვლისას მეცნიერს ხელი შეაშველა. დავითმა ვერც იგრძნო, მეორე მხრიდან ანა გვერდში როგორ ამოუდგა.

- არცერთის აცილება არ მინდა, მე თვითონ ავალ! - თქვა უცებ და შოფერს მიუბრუნდა, - ქალბატონი ანა წაიყვანე. ხვალ, ჩვეულებისამებრ, ცხრის წახვევარზე მოდი!

- ასე ვერ მიგატოვებ, ამოვალ, ვალერიანის წვეთებს დაგალევიან და წავალ! - იუარა ანამ.

დავითმა ხმაზე შეატყო, ანას გადანყვეტილებას ვერავინ შეაცვლევინებდა და დამორჩილდა. შოფერს კი ანიშნა, მანქანაში დარჩიო.

ანამ წიგნებით გაჭედვილ ოთახებს მხოლოდ მაშინ შეავლო თვალი, დავითი რომ ლოგინში ჩააწვინა. საავადმყოფოს ექიმს უხერხულობა სულაც არ უგრძნია, მართოხელა კაცს რომ გახდაში ეხმარებოდა. იგი ახლა თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა.

დავით გიორგაძე სხვა დროს არავის, მით უმეტეს ქალს, არ დაანებებდა, ტანსაცმლის გახდაში რომ შემველებოდა. ახლა ხმას არ იღებდა, ქალის ყველა მითითებას მორჩილად ასრულებდა. მეცნიერი უცებ მიხვდა, რომ ანას შეხება სიამოვნებდა, მისი მზრუნველობა თავბრუს ახვევდა.

ანამ სკამი მოიტანა და დავითის სასთუმალთან ჩამოჯდა.

- მგონი, უკეთ ხარ, არა?

- ახლა არა მიშავს რა, თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა.

უბრალოდ, გადაიღალე. ჯობია, ხვალ თუ არ წახვალ სამსახურში.

დავით გიორგაძემ თვალი დახუჭა. პირველად იგრძნო თავისი მართლობა. გული შეეკუმშა. ანა ფეხზე წამოდგა. მეცნიერს თვალი არ გაუხელია, მაგრამ მიხვდა, ქალი წასვლას აპირებდა.



- ანა! - წამოსცდა უნებურად ხმამაღლა.

- გისმენ! - ქალი გააოცა კაცის უცნაურმა ინტონაციამ. ადგილზე გაშეშდა და დავითს მიაჩერდა.

ოთახში დუმილი ჩამონვა.

დავითი კვლავ თვალდახუჭული იწვა.

- გისმენ, დავით! - თქვა წყნარად ანამ და სანოლთან მივიდა.

რა შვების მომგვრელი იყო ქალის ხმა, რა თბილი, რა ახლობელი!

- ანა! - თქვა ისევ დავითმა. თვალი კვლავ არ გაუხელია. ეშინოდა, ანას რომ შევხედავ, ვაი თუ სათქმელს თავი ვერ მოვაბაო. ასე ერჩია. თითქოს სიბნელეს ელაპარაკებოდა. თვალდახუჭულს არავინ და არაფერი ხელს არ უშლიდა.

ქალს ხმა აღარ ამოუღია. დაიძაბა, რაღაცის მოლოდინით დაიმუხტა, რისი მოლოდინით? მერე გამოუტყდა თავის თავს. წინასწარ მიხვდა, დავითი რასაც ეტყოდა, თუმცა იმ წუთში ისე შეიპყრო რაღაც სასიამოვნო, მაგრამ ამოუცნობმა მოლოდინმა, განსჯისათვის აღარ ეცალა.

- ანა, დარჩი ჩემთან. დარჩი სამუდამოდ!

დავით გიორგაძე მიხვდა, რაკი გულმა ამ სიტყვების წარმოთქმას გაუძლო, აწი ველარაფერი შეაკავებდა. ერთბაშად დამშვიდდა, გულის ძგერაც თანდათან ისე მინელდა, აღარც კი ესმოდა.

ანა პასუხს აგვიანებდა.

დავითი მშვიდად იყო. რატომღაც სჯეროდა, ანა უარს არ ეტყოდა.

ქალი კვლავ სასთუმალთან ჩამოჯდა და დავითს ხელზე ხელი მოჰკიდა. დავით გიორგაძემ იგრძნო, როგორ თრთოლდნენ ანას გრძელი თითები და თვალზე ცრემლი მოადგა.

ანა მორჩილი და მოყვარული მეუღლე გამოდგა. მეუღლეს თვალეში შესცივინებდა, მისი წარმატებებით ამაყობდა. ცდილობდა, ყოველგვარი ოჯახური საქმისაგან გაეთავისუფლებინა, რომ დავითს მეცნიერულ საქმიანობაში ხელი არ შეშლოდა. მეცნიერულ კვლევაში გადავარდნილი კაცისათვის მეუღლეს და ერთ წელიწადში შეძენილი ვაჟიშვილიც მალე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უფრო სწორად, მეუღლეს და ერთადერთი ვაჟიშვილიც თავდავინწყებამდე უყვარდა, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის თითქოს საქმე განაწილდა. ოჯახის პატრონობა და შვილის აღზრდა მთლიანად ანამ იკისრა. საავადმყოფოში მუშაობას თავი დაანება. ცდილობდა, მეუღლისათვის იდეალური პირობები და სიმყუდროვე შეექმნა.

დავით გიორგაძემ არ იცოდა, რა იყო ოჯახური პრობლემები, არც ის იცოდა, ათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმე, ოჯახს რომ სჭირდებოდა, რამოდენა შრომასა და გარჯას მოითხოვდა. საუბმე, სადილი, ვახშამი, აბაზანა, კაბინეტში მუშაობა და ძილი, აი, რა იყო, მისთვის ოჯახი.

ერთხელ, მაშინ მეცნიერი უკვე სამოცდახუთს იყო გადაცილებული, შინ ადრე მოვიდა. ანამ კარი რომ გააღო, ელდა ეცა. ამდენი წლის მანძილზე დავით გიორგაძე არასდროს დაბრუნებულა შინ სამუშაო საათებში. მგონი გრიპი შემეყარაო, დაამშვიდა აფორიაქებული მეუღლე დავითმა და პოლში შეაბიჯა.

ოთახებში ყველაფერი თავდაყირა იდგა. სკამები მაგიდეებზე შემოენწყოთ, ფარდები ჩამოეხსნათ, სასადილო ოთახში დიდი ხალიჩა აეკეცათ. გაოცებული შეჩერდა. ოთახები

მოათვალისწინებ. ერთბაშად ვერ მიხვდა, რატომ იყო სკამები მაგიდაზე, რატომ გამოენიათ მოჩუქურთმებული სერვანტი, რატომ ჩამოეხსნათ ფარდები...

დიდი ოთახის შუაგულში ნაგავი მოეგროვებინათ. დავით გიორგაძე გაოცდა. აქამდე ვერ წარმოედგინა, თუ ბინაში ამდენი მტვერი და ნაგავი შეიძლება ყოფილიყო. მეცნიერმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და კაბინეტში შევიდა. დიდი პორტფელი მაგიდაზე დადო, თვითონ სავარძელში ჩაეშვა. გუნება გაუფუჭდა. ანერვიულებული იცდიდა, სანამ ყველაფერი ძველებურ სახეს მიიღებდა. სოფლის დედაკაცივით თავნაკრული მეუღლეც აღიზიანებდა. მაშინ მიხვდა, ოჯახი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, არავითარი კორექტივი ამ ცხოვრებაში მას არ შეჰქონდა. თითქოს ახლადა მოაგონდა, ერთი თვე მაინც იქნებოდა, ვაუიშვილი არ ენახა. როცა თვითონ იღვიძებდა, დათოს ეძინა. როცა თვითონ იძინებდა, დათო მას შემდეგ ბრუნდებოდა შინ. დიდი ხანია, ვაუიშვილი დედას აღარ ემორჩილებოდა. ანა იძულებული გახდა, ქმრისათვის შეეჩვილა, ჩვენი ერთადერთი ვაუიშვილი ცოლის მოყვანაზე არ ფიქრობს, სამაგიეროდ, დამის სამ საათამდე, ხშირად გამთენიამდეც, სად დაეხეტება, კაცმა არ იცის. ცოლი თვითონაც გვიან მოიყვანა და ალბათ ამიტომაც ანას ნათქვამს მაინცდამაინც არ აუღელვებია. დათო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა, შვილის ნიჭსა და უნარზე დიდი ამრისა არასდროს არ ყოფილა, მაგრამ ის კი სჯეროდა მტკიცედ, ჩემი ვაუიშვილი ცუდ გზას არ დაადგებაო. უფრო სწორად, ვერც კი წარმოედგინა, ასეთი საშიშროება თუ ელოდა.

აი, ახლა, სავარძელში რომ იჯდა ჩაფიქრებული და გაღიზიანებული, თითქოს ერთბაშად მიხვდა, რომ ოჯახთან სულიერად არაფერი ჰქონდა საერთო. მეუღლე რომ მეუღლეა, ასე რომ უყვარდა და უმისოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, მის სულშიც კი არასდროს ჩაუხედავს ღრმად. მეუღლეც და შვილიც გულით უყვარდა, ხოლო გონებით ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის საიდუმლოებით აღსავსე სამყაროში ტრიალებდა. სიყვარულისა და ყურადღების გამოსახატავად მას არ ეცალა, არც მეუღლე აწუხებდა. პირიქით, ცდილობდა, ბევრი უსიამოვნო ამბავი დავითის ყურამდე არ მიეტანა. ხანდახან

თუ წამოსცდებოდა შვილზე საყვედური. გულს როგორც კი მოიხებდა, უმაღვე ნანობდა, მეუღლე რატომ ავაფორიაქეთ. შემდეგ, ვითომც აქ არაფერიო, დაწყებულ საუბარს აღარ აგრძელებდა. დავით გიორგაძეც უმაღ ივინყებდა მეუღლის გულისტკივილს და კაბინეტში კვლავ წიგნებში ეფლობოდა.

აი, ახლაც, ოჯახური ამბებიდან ერთბაშად გადაერთო თავის მეცნიერულ საქმიანობაზე. სიამოვნების განცდა დაეუფლა. ოჯახზე ფიქრი მხრებიდან ჩამოიხერტყა და კვლავ ყოველდღიურ მეცნიერულ საბრუნავში ჩაეფლო. განდიდების მანია არასდროს ჰქონია. საკუთარი მეცნიერული აღმოჩენების პირველი და უტყუარი შემფასებელი თვითონ იყო. დავით გიორგაძემ ყველაზე კარგად თვითონ იცოდა თავის მეცნიერული გამოკვლევის ფასი. ისიც მშვენივრად იცოდა, უკანასკნელი აღმოჩენა მთელ მსოფლიოში როგორ დაიქუხებდა.

„იქნებ, დავკარგე ზომიერების გრძნობა?“

„იქნებ, ამდენმა წარმატებამ თავბრუ დამახვია და ვეღარ ვსაზღვრავ ჩემი ახალი გამოკვლევის მნიშვნელობას?“

არა, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ მეცნიერის გუნებაში დაიბადა აზრი, ატომგულიდან არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი პროტონის ან ორი ნეიტრონის გამოსხივებისა თავდაპირველად შეშინდა კიდევ, იმდენად გაბედული ეჩვენა თავისი ჰიპოთეზა. ცდილობდა, აღარ ეფიქრა ამ პრობლემაზე. ერთხელ და სამუდამოდ თავიდან ამოეგდო ატომგულიდან ერთდროულად ორი პროტონის ან ორი ნეიტრონის გამოსხივების შესაძლებლობა.

ვერ ამოიგდო.

თითქოს ყურში ვიღაც უხილავი არსება ჩასძახოდა, ნუ გეშინია, შენი მეცნიერული ალლო არც ამჯერად გლაღატობსო.

შემდეგ ფიქრი, დღედაღამ ფიქრი.

გავიდა თვეები, წლები...

თეორიული ნაწილი ნელ-ნელა იხვეწებოდა. ათასობით ექსპერიმენტი იმედებით ადავსებდა, რომ სულ მალე საიდუმლოებას ფარდა აეხდებოდა. ატომგულის თვისებების ანალიზმა დაარწმუნა, რომ უნდა არსებობდეს მენდელეევის სისტემის წყვილი ელემენტების ათობით იზოტოპი, რომლებსაც უნარი ექნებათ ორპროტონიანი რადიოაქტიურობისა. ამ ელემენტების ატომგულები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ და გაცილებით იოლიც უნდა იყოს ერთდროულად გამოასხივონ ორი პროტონი, ვიდრე ისინი ერთმანეთს დააშორონ.

ხუთი წლის თავზე დადასტურდა დავით გიორგაძის თეორიული ვარაუდი. აკადემიკოსმა იცოდა, რადიოაქტიურობის ახალი, მუხუთე ტიპის აღმოჩენა ერთბაშად ჩააყენებდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა რიგში.

უხაროდა თუ არა ამოდენა წარმატება?

რასაკვირველია, უხაროდა, თუმცა ამაყობდა, რომ სულსწრაფობა არ სჩვეოდა. დავით გიორგაძის ადგილზე სხვა ალბათ ქვეყანას შეჰყრიდა!

აკადემიკოსი არ ჩქარობდა. უნდოდა, ყველაფერი ჩამოეყალიბებინა, უწვრილმანესი დეტალები დაეზუსტებინა, მეცნიერული ნაშრომის სტილი რომ სტილია, ისიც კი უბადო უნდა ყოფილიყო.

სწორედ მაშინ, ყველაფერი რომ უკან იყო მოტოვებული, აკადემიკოსს გულმა უმტყუნა. დაწერილი და გადაბეჭდილი ნაშრომი, ათასობით ექსპერიმენტის აღმუნსხველი ფურცლები, დიაგრამები და ფირები გერმანული ფირმის უმარამაზარ და უძველეს სეიფში იყო მოთავსებული.

\* \* \*

- ბედნიერი ხართ? - ჰკითხა მოულოდნელად დავით გიორგაძეს ახალგაზრდა კორესპონდენტმა.

მესამედ დატრიალდა მის გონებაში ვიდეოფირი...

ღამის სამი საათი იყო, ბარმა რომ დარეკა:

დავით გიორგაძე მხოლოდ შეირხა ბარის ხმაზე. მიჩვეული იყო, ვაჟიშვილი ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა. კარს ჩვეულებრივ, ანა აღებდა, რომელსაც, აგერ უკვე თხუთმეტი წელი, მართო ეძინა სანოლ ოთახში. აკადემიკოსი ძილს თავის კაბინეტში ამჯობინებდა საგანგებოდ შეძენილ ფართო დივანზე, სანერი მაგიდის გვერდით რომ იდგა ფანჯარასთან.

ანა წელა წამოდგა, გრძელი ხალათი შემოიცივა, თვალები მუჭებით ამოისრისა და კარის გასაღებად გაემართა.

ბარი განმეორდა.

- მოვდივარ! - წყნარად თქვა ანამ.

კარი ისე გამოაღო, არც დაუნახავს, იქ ვინ იდგა. ისევ თვალებს ისრესდა და გვერდზე გამდგარი შვილის შემოსვლას ელოდა.

- უკაცრავად, ქალბატონო! - მოესმა უცებ უცნობი ხმა.

შემკრთალმა ახლალა დაინახა, ზღურბლს იქით სამი კაცი რომ იდგა. ორი მილიციელი,

ერთიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოცდაათი ოდენი წლის მაღალი, მკაცრი შესახედლობის ახალგაზრდა. შეშინებულმა ამან უმაღლეს შენიშნა, რომ ამ უკანასკნელს ასაკთან შეუფერებელი დადინჯებული გამოხედვა ჰქონდა. ახალგაზრდა მილიციელებზე ნინ იდგა და ეტყობოდა, მათი უფროსი იყო.

- რა ამბავია ჩემს თავს? - იკვილა შეშინებულმა ანამ და ხელები ლოყაზე ჩამოისვა.

- ნუ დეღავთ, ქალბატონო, საშიში არაფერია! შიძლება, შემოვდეთ?

- შემოდით! - ძლივს ამოღერდა ანამ და უმაღლეს ქმრის კაბინეტს მიაშურა. - მილიციაა, ადექი!

- მილიცია? - გაოცდა დავით გიორგაძე, მაგიდაზე ხელით სათვალე მონახა, გაიკეთა და სწრაფად წამოდგა.

თავბრუ დაეხვა. შეჩერდა, შეეშინდა არ წავიქცეო და ხელით მაგიდას დაეყრდნო.

ანა ისევ სასადილო ოთახში გავიდა. ახალგაზრდა სკამზე იჯდა მაგიდასთან. მილიციელები შემოსასვლელში იდგნენ და სასადილო ოთახს ათვალიერებდნენ.

მათმა წყნარმა სახეებმა ანა ოდნავ დაამშვიდა. ამასობაში დავითიც გამოვიდა. ახალგაზრდა კაცი ფეხზე წამოდგა და აკადემიკოსს თავი დაუკრა.

- მილიციის გამომძიებელი გახლავართ, გივი ნაკაშიძე.

- რა მოხდა, უბედურება, ხომ არაფერია? - შეაგება პასუხი დავით გიორგაძემ.

- ბოდიშს გიხდით, რომ უდროო დროს შეგანუხეთ, მაგრამ მეტი გამოსავალი არა გქვონდა. რას იზამთ, ასეთია ჩვენი სამსახური.

- ცოცხალია? - ჰკითხა გამოძიებელს დავითმა, თან ანიშნა, დაბრძანდითო.

- ნუ ღელავთ, ცოცხალია! - მიუგო გამოძიებელმა.

- აბა, რა მოხდა?

- არ ვიცით. უბედურებაც ისაა, რომ არ ვიცით. - გამოძიებელი სკამზე აღარ დამჯდარა. - თქვენი ვაჟიშვილის მანქანით ვილაცამ გაიტანა კაცი. ჯერ ვერ დავადგინეთ, საჭეს თქვენი ვაჟიშვილი უჯდა თუ სხვა ვინმე. როგორც მონმეებმა დაინახეს, მანქანაში მხოლოდ ერთი კაცი იყო. დაჯახებისთანავე იგი მანქანიდან გადმოხტა და მიიმალა. ვიფიქრე, იქნებ მანქანა ვინმემ გაიტაცა-მეთქი. რაკი თქვენი შვილი შინ არ არის, უკვე გვაქვს ეჭვის საფუძველი, რომ მანქანის საჭეს თვითონ უჯდა. თუმცა ჩვენი ვარაუდი სულაც არ ნიშნავს, რომ საჭეს მაინცდამაინც თქვენი ვაჟიშვილი უჯდა. იქნებ იგი ვინმე თავის მეგობართანაა და არც კი იცის, რომ მისი მანქანა გაიტაცეს. იქნებ ვარაუდით გვითხრათ, ასე გვიან ვისთან შეიძლება იყოს თქვენი ვაჟიშვილი?

- სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, მე არ ვიცნობ მის მეგობრებს.

- საჭესთან ნასვამი ხშირად ჯდებოდა?

- არ ვიცი!

დავით გიორგაძეს პირველმა შიშმა გაუარა. მიხვდა, შვილი ცოცხალი იყო. შერცხვა. საბოლოოდ დარწმუნდა, შვილის ცხოვრებას სრულებით არ იცნობდა; არც მისი მისწრაფებებით, მიზნებით და ხასიათით დაინტერესებულა როდესმე. ვაჟიშვილი ძალიან უყვარდა და აქამდე გულწრფელად ეგონა, რომ მხოლოდ სიყვარული იყო მთავარი და საკმარისი.

- სამწუხაროა! - გამოძიებელმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.



- იქნებ მართლა ვინმემ გაიტაცა ჩემი შვილის მანქანა, ის კი რომელიმე მეგობართან ან ქალთან არის ახლა?

„ქალთან“, - დავითს უსიამოდ გააურჯოლა. მეუღლისგან იცოდა, შვილი რომ ვიღაც ქალებთან ერთობოდა. მაშინ ანას სიტყვებისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, იმდენად ბუნებრივად მოეჩვენა ოცდაათ წელს მიღწეული შვილის საქციელი, მერე საერთოდ გადაავიწყდა კიდევ. რატომღაც ღრმად იყო დარწმუნებული, მისი შვილი არ შეიძლებოდა გზას ასცდენოდა. ამ უყურადღებობას მართო თავდავიწყებამდე მისულ მეცნიერულ მუშაობას ვერ დააბრალებდა. თვითონ ძალზე წყნარი ყმაწვილი იყო და მშობლებს ნერვიულობის საბაბს არ აძლევდა. ალბათ ამიტომაც არ აგონდებოდა, რომ შვილის აღსაზრდელად ყოველდღიური მზრუნველობა იყო საჭირო, ყოველდღიური სიფხიბლე და ყურადღება.

- შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, - მხრები აიჩეჩა გამომძიებელმა, - მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე მცირე შანსი რჩება ვივარაუდოთ, რომ მანქანა გატაცებულია.

- რატომ?

გამომძიებელმა ჯიბიდან მანქანის გასაღები ამოიღო და აკადემიკოსს დაანახა.

- გამტაცებლებს ვინ მისცემდა გასაღებს? ძალზე საეჭვოა, თქვენს ვაუიშვილს გასაღები მანქანაში დარჩენოდა!

- ვის დააჯახა მანქანა?

გამომძიებელმა პიჯაკის ჯიბიდან ცელოფანში გახვეული პასპორტი ამოიღო და აკადემიკოსს გაუჩინა.

დავითმა პასპორტი გაშალა. ელდა ეცა, გული შეეკუმშა. სურათი სისხლით იყო მოსვრილი. ერთხანს ვერ გაარჩია, სურათზე ქალი იყო გამოსახული თუ კაცი. უფრო სწორად, სურათს დასჩერებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. სისხლიანი პასპორტი თითებს უდაღავდა. წელ-წელა გონება მოიკრიბა და სურათს დააკვირდა. პასპორტიდან ოცდაათიოდე წლის კაცი შემოჰყურებდა. თითქოს ეცნო კიდეც. შეეშინდა, სურათიდან შემომცქირალი თვალების გამოხედვას ვერ გაუძლო. უმაღვე სახელი და გვარი მონახა. უცნობი აღმოჩნდა. დაბადების წელს დახედა. გუნებაში გადათვალა.

„ორმოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა, - გაიფიქრა სინანულით, - ალბათ პასპორტი თხუთმეტიოდე წლის წინ აქვს აღებული“.

„ორმოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა, - გაიფიქრა სინანულით, - ალბათ პასპორტი თხუთმეტიოდე წლის წინ აქვს აღებული“.

- ძალიან დაიმტვრა? - იკითხა მისუსტებული ხმით.

დუმილი.

გამომძიებელმა ჯერ მოხუც აკადემიკოსს შეხედა, მერე მის მეუღლეს, სასიკვდილო განაჩენივით რომ ელოდნენ შეკითხვაზე პასუხს. ახალგაზრდა კაცმა შენიშნა, ორთავეს სახეზე კუნთები როგორ ძიგიგებდა.

- ძალიან დაიმტვრა? - გაიმეორა შეკითხვა ხმამაღლა. ეგონა, გამომძიებელმა წელან ჩემი შეკითხვა ვერ გაიგონაო. გულდამძიმებულმა პასპორტი დაკეცა და გამომძიებელს გაუწოდა.

- ადგილზევე გარდაიცვალა.

- გარდაიცვალა?!

მთიდან შავი თოვლის ზვაგი მოაწყდა და გრიალით დაბლა დაეშვა. აკადემიკოსი ხედავდა, უზარმაზარი ტალღა სადაცაა თავზე დაეცემოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა. ფეხებზეკრული მაღლა იცქირებოდა და მოახლოებული შავი თოვლის მონყვეტილ მთას მონუსხულივით შესჩერებოდა.

ცოტაც და, უზარმაზარი, შავი და ცივი ზვაგი თავზე დაემხო. გიგანტურმა ტალღამ ააგორა და უფსკრულისაკენ გაიტაცა. ცივი თოვლის ზვაგი გულზე აწვებოდა, სული ეხუთებოდა. დაყვირება უნდოდა, ხმა აღარ ამოსდიოდა. უფსკრულისკენ დაქანებული ზვაგი საშინელი სისწრაფით ატრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ზვაგი უფსკრულის ფსკერს დაეხეთქა, და, თითქოს ათასი ბომბი ერთად აფეთქდაო. დედამინა შეატორტმანა.

- მიშველეთ! - იკვილა ანამ და იატაკზე უგონოდ გაშხლართულ ქმარს მივარდა.

- ფრთხილად, არ გაანძრიოთ! - ხელი სტაცა გამოძიებელმა და ფეხზე წამოაყენა. - ახლავე სასწრაფოს გამოვეძახოთ. ეტყობა, ინფარქტმა დაარტყა!..

# თავი მეოთხე

სალამოს ცხრა საათზე ზურაბ თორაძე მოხუცი აკადემიკოსის სანოლთან იდგა.

დავით გიორგაძეს ღრმა ძილით ეძინა.

მთავარმა ექიმმა არ გააღვიძა, გადანყვიტა, იქვე დალოდებოდა, სანამ ავადმყოფი თვალს გაახელდა. სკამს დასწვდა, სანოლიდან მოშორებით დადგა და ფრთხილად ჩამოჯდა.

ღელავდა. მართალია, სჯეროდა, უფრო სწორად, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ დავით გიორგაძე ტვინის გადანერგვაზე დასთანხმდებოდა, მაგრამ საათის ისრები რომ ცხრას მიუახლოვდა, ეჭვი მაინც შეეპარა.

„ვაითუ, ბოლო წუთს შეშინდეს?“

„ყოვლად შეუძლებელია! ავადმყოფს, უბრალოდ, უკან დასახევი გზა აღარა აქვს“.

„იქნებ ჰგონია, ვატყუებ, სამ-ოთხ თვეში მოკვდები-მეთქი, რომ ვეუბნები, და მაინც გაურჩდება სიცოცხლის იმედი?“

„ხედავთ, რა მშვიდად სძინავს? რკინის ნერვები ჰქონია. ასეთი ნერვებისა და ნებისყოფის მქონე კაცი უკან არ დაიხევს!“

დავით გიორგაძეს სათვალე არ ეკეთა. უსათვალოდ მისი გამხმარი, ოდნავ კეხიანი ცხვირი უფრო დიდი მოეჩვენა.

„სად დადო სათვალე?“ - ჰკითხა თავის თავს ზურაბმა, როცა სათვალეს სანოლზეც

ვერსად მოჰკრა თვალი. ფეხზე ფრთხილად წამოდგა. ლოგინს ფეხაკრეფით შემოუარა. სათვალე იატაკზე ეგდო, მარჯვენა მხარეს. ეტყობა, აკადემიკოსმა იგი მოიხსნა და მარჯვენა ხელში ეჭირა. როცა ჩაეძინა, სათვალე ხელიდან გაუვარდა.

ზურაბ თორაძემ სათვალე აიღო, სანოლს ისევ ფეხაკრეფით შემოუარა, სკამზე დაჯდა და ავადმყოფის მკაცრ, მაგრამ შთაგონებულ სახეს დააკვირდა.

დავით გიორგაძემ თითქოს იგრძნო დაჟინებული მზერა, შეიმუშუნა და ქუთუთოები მძიმედ ამოძრავა. ჩაბნელებულ პალატაში ერთბაშად ვერაფერი გაარჩია. თანდათანობით სიბნელეს თვალი შეაჩვია და აპარატურის მიერ გამოყოფილ მოციმციმე მწვანე და წითელ შუქზე ხელმარცხნივ ზურაბის სილუეტი დალანდა.

ზურაბ თორაძე წამოდგა და სათვალე გაუწოდა.

- საღამო მშვიდობისა.

- თქვენ უკვე აქა ხართ? ბარემ პატივი დამდეთ და სათვალე გამიკეთეთ.

- ზუსტად რვა საათზე გეახელით, მაგრამ არ გაგაღვიძეთ. სიზუსტე ჩვენი პროფესიის აუცილებელი თვისებაა. თანაც ორგვარი სიზუსტე: დროისა და მოქმედებისა. ალბათ მიმიხვდით, ოპერაციას ვგულისხმობ! - მთავარმა ექიმმა სათვალე გაუკეთა და ისევ სკამზე ჩამოჯდა.

მოხუცმა აკადემიკოსმა ზურაბს შეხედა. ამჯერად უკეთ გაარჩია მთავარი ექიმის ენერგიული სახის კონტურები; კეთილი, მაგრამ ცოცხალი თვალები.

- ოპერაცია როდის გაქვთ გადანწყვეტილი? - იკითხა უცებ. იკითხა ისე სხვათაშორის, თითქოს კინოში ან სტადიონზე წასვლის დრო აინტერესებდა.

უფლება მაქვს დავასკვნა, რომ თქვენ თანახმა ხართ. - აღმოხდა ზურაბს.

- თანხმობამდე კიდევ ბევრ საკითხზე ვართ შესათანხმებელი, მცირეოდენი პრობლემები მაინც გვაქვს გასარკვევი. მაგრამ, ვთქვათ, დაგეთანხმეთ. პრაქტიკულად როდის შეგიძლიათ ოპერაციის გაკეთება?

- ოთხი დღის შემდეგ, ტვინის გადასანერგად მე უკვე სამი წელია მზადა ვარ. თქვენი ჯანმრთელობა კი აშკარად გვაძლევს ოპერაციის გაკეთების საშუალებას.

- მაშ გასარისკი არაფერია?

- მე ვგ არ მითქვამს. ერთხელ უკვე გითხარით და ისევ ვიმეორებ, გადარჩენის შანსია ოთხმოცი ოცზე. ან როგორც თქვენ ბრძანეთ, ოთხი ერთის წინააღმდეგ. ისიც მინდა დავძინო, ჩვენც არანაკლებ ვიგდებთ ხიფათში თავს. თქვენი დალუპვის შემთხვევაში ადვილად გამომუღავნდება ჩვენი ნამოქმედარი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებით! ხალხი და ხელისუფლება ანათემას გამოგვიცხადებს, სისხლის სამართლის კოდექსით გვაგებინებენ პასუხს, მაგრამ მაინც მივდივართ რისკზე. იულიუს კეისრისა არ იყოს, „წილი ნაყარია“, ბედს სასწორზე ვაგდებთ, მაგრამ გვჯერა გამარჯვებისა.

- ოპერაციას ოთხი კაცი გააკეთებთ?

- ჩემს გარდა, ოთხი!

- ის ოთხიც თქვენსავით ფიქრობს და გამარჯვებისა მათაც თქვენსავით სჯერათ?

- ოთხივეს! სხვანაირად არ შეიძლება. მხოლოდ თავისი საქმის ფანტიკოსებსა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ადამიანებს შეუძლიათ ასეთი თავგანწირვა. წლების

მანძილზე ვარჩევდი მედიცინაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ახალგაზრდებს. დღეს ისინი უკვე ახალგაზრდები აღარ არიან, ზოგმა ორმოცსაც გადააბიჯა. წლების მანძილზე ერთად შრომამ და ფიქრმა შეგვადუღაბა სამუდამოდ, ერთმა მიზანმა და მისწრაფებამ დაუკავშირა ჩვენი სულები ერთმანეთს.

დუმილი.

- როგორც ვატყობ, ჩვენი დილანდელი საუბარი არ ყოფილა ამომწურავი! - ისევ მთავარმა ექიმმა დაარღვია სიჩუმე, - კიდევ რა პრობლემა გაფიქრებთ ან განუხებთ?

- ვთქვათ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მე გავხდები კორინთელი, ის კი - დავით გიორგაძე, გონებადამბლავებული დავით გიორგაძე; აკადემიკოსის ახალი უბედურების ამბავი ერთ დღეში მოედება მთელ საქართველოს. ეს, მეც ვხვდები, არაა საშიში. თქვენი ავტორიტეტული ჯგუფი იტყვის, რომ თავში სისხლი ჩამექცა, ან რაღაც ამის მაგვარს... მთავარი კი ისაა, რომ მეცნიერის სხეული, რომელსაც რამაზ კორინთელის ტვინი აამოძრავებს, კიდევ სამ-ოთხ თვეს იცოცხლებს. ხომ შეიძლება ამ დროის განმავლობაში აზროვნებაც დაუბრუნდეს?!

- გამორიცხულია ორი მიზეზის გამო. პირველი: რამაზ კორინთელის ტვინი კარგად შევისწავლეთ, მისი აღდგენის შანსი ნულის ტოლია. მეორე: ვთქვათ, რაღაც მესად ნილში შევცდით. მაშინ ტრავმირებული ტვინის ნაწილობრივ აღდგენას წლები დასჭირდება. თქვენი სხეული კი, როგორც არაერთხელ მოგახსენეთ, ყველაზე დიდი - ოთხ თვეს იცოცხლებს.

- ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანს ვიქნები საავადმყოფოში?

- ორი თვე მაინც, თუ მეტი არა.

- ორი თვის მანძილზე, მე, ამჯერად რამაზ კორინთელი , ხომ შეიძლება სადმე გადავეყარო ჩემს ძველ სხეულს?

- გარანტიას გაძლევთ, ეს არ მოხდება!

დუმილი.

- კიდევ ხომ არაფერი გაქვთ შესაკითხი?

- მილიონი, მაგრამ თავს ვიკავებ. უფრო სწორად, უაზრობად მეჩვენება ამდენი კითხვა-პასუხი.

- რატომ?

- იქნებ ოპერაცია ჩაფლავდეს. წინასწარ რატომ ვინერვიულო და ვიმტვრიო თავი?

- მაშ, თქვენ თანახმა ხართ, არა?

- დიახ, თანახმა ვარ. იმასაც გეტყვით, თანახმა ვიყავი პირველივე წუთიდან, როცა ასეთი მომხიბვლელი წინადადება შემომთავაზეთ. მიხარია, რომ თუნდაც ოპერაციის წარუმატებლობის შემთხვევაში ჩემი ბებერი და დაუძლურებული სხეული მაინც გამოადგება მეცნიერებას. შემდგომი ოპერაცია ხომ გაცილებით უკეთ ჩაივლის. მთელი სიცოცხლე ტვინით ვემსახურებოდი მეცნიერებას, სიკვდილის წინ კი სხეულითაც არ დავრჩები ვალში.

- კაცი, რომელსაც ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც არ დალატობს განსჯის უნარი, დიდი, ძალიან დიდი პიროვნებაა. - ეს სიტყვები ალალი აღტაცებით წარმოთქვა ზურაბ თორაძემ, - მე მჯერა, რომ გადავარჩენ ამ პიროვნებას, გადავარჩენ მის დიდ ტალანტსა და ინტელექტს!



მთავარი ექიმი ფეხზე წამოიჭრა. აღტაცებისგან აბობოქრებულ სხეულში გული ისე უცემდა, შეეშინდა აკადემიკოსმა დაგა-დუგის ხმა არ გაიგონოსო და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

დავით გიორგაძე ლოგინში შეინძრა, შებრუნება სცადა. მთავარი ექიმი ერთბაშად დაცხრა.

- მოგეხმართ?

- ბალიში შემისწორეთ.

ზურაბმა ბალიში მარჯვედ ამოსდო თავქვეშ.

დუმილი ჩამოვარდა.

დავით გიორგაძე მიხვდა, მთავარი ექიმი წასვლას არ აპირებდა.

-მე თანახმა ვარ. მეტი აღარაფერი მაქვს გასარკვევი. ვატყობ, ამჯერად თქვენ გინდათ რაღაცის თქმა.

- დიახ, გამოიცანით. ერთი აუცილებელი საკითხი დარჩა მოსაგვარებელი.

- წერილი უნდა დამიწეროთ, რომ თქვენი სურვილით დათანხმდით, თქვენი ტვინი გადამენერგა რამაშ კორინთელის თავში.

- ბატონი ბრძანდებით, წერა თუკი შევძელი.

- ტექსტი უკვე დაწერილიცაა და გადაბეჭდილიც. ქვეშ მხოლოდ თქვენი ხელმოწერაა საჭირო.

- ყოჩაღ, ახალგაზრდავ! ნამდვილად მჯერა, რომ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის. მომეცით ტექსტი!

- თქვენის ნებართვით სინათლეს ავანთებ.

მთავარმა ექიმმა ღილაკს თითი დააჭირა და ის ნათურა აანთო, ავადმყოფს რომ დასჩერებოდა თავზე.

დავით გიორგაძეს სინათლემ თვალი მოსჭრა. რამდენჯერმე დახუჭა და ისევ გაახილა თვალები. იგრძნო დამძიმებული, ქვად ქცეული ქუთუთოები როგორ უკანრავდა თვალის სითხეგამშრალ გარსს.

როგორც იქნა, შეეჩვია თვალი სინათლეს.

- მომეცით ტექსტი. თან ერთი დავალებაც უნდა მოგცეთ.

- დიდი სიამოვნებით!

- უნდა დავწერო ანდერძი და კიდევ ორი წერილი. შემომიტანეთ ფურცლები და სამი კონვერტი.

- ახლავე შემოვიტანო, თუ ჯერ წერილს წაიკითხავთ?

- ჯერ წერილს წაიკითხავ. ვნახოთ, რაზე მანერინებთ ხელს. იმ სამი კონვერტიდან კი, თუ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, სამთავეს მე მომიტანთ უკან. ხოლო თუ მოვკვდი, მაშინ ერთს, ანდერძი რომელშიც იქნება, ინსტიტუტს ჩააბარებთ, დანარჩენ ორს კი წაუკითხავად გაანადგურებთ. გასაგებია?

- გასაგებია.

- უფრო დაწვრილებით მაშინ ვილაპარაკოთ, როცა კონვენტებს ჩაგაბარებთ. ახლა კი მომეცით ტექსტი.

ბურაბ თორაძემ პრიალა ფურცელი გაუწოდა.

მოხუცმა აკადემიკოსმა ქაღალდი ძლივს მიიტანა თვალებთან. ტექსტი წაიკითხა და მწარედ ჩაიციხა.

- ყოველთვის მომწონდა თავი ჩემი ქართულით. ამ ტექსტს ხელს ვერ მოვანერ. მომეცით კალმისტარი, რომ ჩავასწორო.

მთავარმა ექიმმა ჯიბიდან უმაღლვე იძრო იაპონური კალმისტარი.

- ექიმი კარგი ბრძანდებით, მაგრამ ვერ ყოფილხართ კარგი მოქართულე.

- ხომ იცით, ძირითადად რუსულ და უცხო ენებზე გვიხდება ლიტერატურის გაცნობა. ამიტომაც თანდათან ვკარგავთ მშობლიური ენის ნიუნანებს!

- ენა ერის ნამუსია, ბატონო მთავარო ექიმო, ნამუსის დაკარგვა კი არ შეიძლება.

ბურაბ თორაძეს სიმწრის ოფლმა დაასხა, დასჯილი ბავშვივით გაჭიმული იდგა საწოლთან. ასე უმწეოდ, ალბათ, არასდროს უგრძვნია თავი. უმწეოდ და დამნაშავედ. დავით გიორგაძემ ტექსტი ყურადღებით ჩაასწორა, მერე კალმისტარი ფურცელზე დადო და მთავარ ექიმს ანიშნა, წაიღეთ.

- როგორც ხედავთ, ტექსტი საფუძვლიანად ჩავასწორე. მე ვერ ვიტან ღვარჯნილ სტილს. ხუჭუჭა სტრიქონებში ავტორის სისხლს უჭირს მოძრაობა. ხელახლა გადააბეჭდინეთ. მინდა, ჩემი უკანასკნელი ხელმოწერა „აკადემიკოსი დავით გიორგაძე“ გამართული ქართული ენით დაწერილ ფურცელზე დავტოვო!

## თავი მეხუთე

- დღეს უკვე შეგიძლიათ ფეხზე წამოდგომა! - ბურაბ თორაძის ხმა საზეიმოდ უღერდა. - ორ წუთში პარიკმახერს შემოგიყვანთ. გაპარსვის შემდეგ დადგება ისტორიული წუთი, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება თქვენს გონებაში და არამართო თქვენს გონებაში, იგი სამუდამოდ აღიბეჭდება მედიცინის და, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში. თქვენ ჩაიხედავთ სარკეში და გახდებით მხილველი საოცარი ფერისცვალებისა!

დუმილი.

ბურაბ თორაძე აკადემიკოსს სახეზე დააკვირდა, უნდოდა ავადმყოფის თვალებში ამოეკითხა, რა ეფექტი მოახდინა მისმა სიტყვებმა.

დავით გიორგაძეს სახე მოექუფრა. ამ წუთს იგი უკვე ერთი თვეა ელოდა, ელოდა განსაკუთრებული შიშით. არა, შიში ის სიტყვა არაა, ელოდა განსაკუთრებული ძრწოლვით. ამიტომაც ცდილობდა, სარკეში ჩახედვამდე ფიქრი თავიდან ამოეგდო.

ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გონს მოვიდა, უმაღლე იგრძნო უჩვეულო სხეული. ახალგაზრდული, ღონიერი, გაცილებით დიდი სხეული, ვიდრე მას თუნდაც სიჭაბუკეში ჰქონდა. ხშირად ისეთი განცდაც ეუფლებოდა, თითქოს მასთან ერთად ლოგინში ვიღაც სხვა ადამიანიც იწვა. ცდილობდა, საკუთარ სხეულზე, უფრო ზუსტად, ახალ სხეულზე აღარ ეფიქრა. საკუთარ თავს სასტიკად ებრძოდა, რომ ნებისყოფის უმძაფრესი დაძაბვის ფასად მხოლოდ მეცნიერების სამყაროში გადაეტანა ფიქრი და განსჯა. თითქმის ახერხებდა კიდევ მიზნის მიღწევას, ძირითადად თავისი უკანასკნელი გამოკვლევის ირგვლივ ტრიალებდა, რაღაც დეტალებს აზუსტებდა, უკვე დანერგილ ნაშრომში სტილსაც ასწორებდა, გონებაში უფრო მოქნილ ფრაზებს აყალიბებდა, წარსულ სიმპოზიუმებსა და მეცნიერულ დისპუტებს იგონებდა. საბოლოოდ მაინც არაფერი გამოსდიოდა. გრძნობდა, ფიქრებს გარდა საკუთარი აღარაფერი ჰქონდა.

შიშმა შეიპყრო. მიხვდა რომ გაახალგაზრდავდა, დარწმუნდა, რომ გადარჩა, ახალი და ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძინა, მაინც შიშმა შეიპყრო, სხვა ადამიანად გარდაქმნის შიშმა, უჩვეულოდ მძლავრმა სხეულმა თითქოს შეისრუტა, თითქოს გადაყლაპა აკადემიკოსის პიროვნება. ამიტომაც ცდილობდა, საერთოდ არ ეფიქრა ოპერაციამზე, თავის ახალ, სინთეზურ თუ დამყნულ პიროვნებაზე, არ ეფიქრა მეუღლეზე, ერთადერთი და უგზო-უკვლოდ გადაკარგული ვაჟიშვილის ბედზე.

მეორე, რამაც არანაკლებ შეაძრწუნა, საკუთარი ხმა იყო. უჩვეულო ბარიტონმა ისე დააბნია, აღარც კი ახსოვს, რა წარმოსთქვა პირველად. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მის სათქმელს ვიღაც სხვა ლაპარაკობდა. მერე მიხვდა, ჯერ კიდევ ავადმყოფობისგან შესუსტებული, მაგრამ დავით გიორგაძისათვის უჩვეულოდ მძლავრი და ახალგაზრდული ხმა მისი ხორხიდან ამოდიოდა. უნებურად ხელი ყელთან მიიტანა. კვლავ ცივმა ოფლმა დაასხა, არაბუნებრივად სქელი და დაკუნთული ეჩვენა საკუთარი ყელი და კისერი.

მანამდე მხოლოდ ხელებს ხედავდა, მძლავრ მაჯებს, გრძელ და ენერგიულ თითებს. ძალიან ცდილობდა, რომ არც მათთვის შეეხედა, მაგრამ არ გამოუდიოდა. თავდაპირველად, ჭაბუკის ღონიერი ხელები რომ დაინახა, სხვისი ეგონა. უნებურად ლოგინში ხელების პატრონსაც კი დაუნყო ძებნა. რაოდენ დიდი იყო აკადემიკოსის გაკვირვება, როცა ჭაბუკის მძლავრი ხელები მის სურვილს დაემორჩილა. პირველად, როცა ცხვირსახოცის გაოფლილ შუბლთან მიტანა გადანწყვითა, ასე ეგონა, ვიღაც ახალგაზრდის ხელმა აიღო სასთუმალთან მიდგმულ სკამზე მოთავსებული ცხვირსახოცი და ფრთხილად ჩამოსწმინდა დანამული შუბლი.

მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ აღიქვა, რომ ახალგაზრდის მძლავრი ხელი მისი საკუთარი მარჯვენა იყო.

მაშინ აღმოაჩინა, რომ მარცხენა ხელის არათითზე გიპრისთვლიანი ოქროს ბეჭედი ეკეთა. უსიამო გრძნობა დაეუფლა. ბარს თითი დააჭირა, ეჭიმი გამოითხოვა და თითქმის ისტერიული ხმით უბრძანა, ბეჭედი ახლავე მომხსენითო.

ზურაბ თორაძემ საღამოს ბეჭედი ისევ შემოუტანა და უთხრა:

- ბატონო დავით, თქვენ უკვე უნდა შეეგუოთ ბედს, ახალ ცხოვრებას. ჯერჯერობით ბეჭედი აქ იყოს, ტუმბოს უკრაში, მაგრამ გახსოვდეთ, შემდეგ მაინც მოგიწევთ მისი გაკეთება.

- სათვალე მომანოდეთ! - მიუგო პასუხად დავით გიორგაძემ.

მთავარმა ექიმმა მონყალედ გაიღიმა, თან სასიხარულო ინფორმაციის შემცველ დიმილში სიამაყევ და ირონიაც საკმაოდ დობით გაურია.

- სათვალე უკვე აღარ გჭირდებათ, ბატონო დავით, ხომ არ გავიწყდებათ, რომ თქვენ ახლა სამოცდაათოხმეტს მიღწეული დავით გიორგაძე კი არა, ოცდასამი წლის რამაბ კორინთელი ბრძანდებით?! იქნებ სჯობდეს კიდევ დღეიდან თქვენი ახალი სახელით და გვარით მოგმართოთ?

- კმარა! - დავით გიორგაძე ლოგინში ნერვიულად შებრუნდა. მასთან ერთად შებრუნდა უცნობი მძლავრი სხეულიც.

- კარგით, კარგით, დანყნარდით. სულ მალე დეპრესიას სიხარული შეცვლის! - დაამშვიდა მთავარმა ექიმმა.

პირიქით მოხდა. დეპრესია უფრო გაუძლიერდა. თვალდახუჭული ათენებდა და აღამებდა, რომ ხელებისათვის არ შეეხედა. ლოგინში მასთან ერთად მწოლიარე უცნობის სხეულს კიდევ უფრო მძაფრად განიცდიდა. უნდოდა რაც შეიძლება მალე დამდგარიყო ის დღე, როცა სარკეში საკუთარ, გაახალგაზრდავებულ თავს დაინახავდა, უფრო სწორად, სხვის სხეულში გადასახლებულ აკადემიკოსს ვეღარ დაინახავდა. დავით გიორგაძე მიხვდა, რომ დიდი, ვინ იცის იქნებ უსაშველოდ დიდი დრო სჭირდებოდა,

სანამ ერთი კვირის მანძილზე მიღებული გადაწყვეტილებისა და უჩვეულო გამბედაობით გადადგმული ნაბიჯის არნახულ შედეგს საბოლოოდ შეიმეცნებდა, ფსიქოლოგიურად შეეგუებოდა.

- დღეს თქვენ სარკეში დაინახავთ აკადემიკოს დავით გიორგაძის უზარმაზარ და უჩვეულო მეტამორფოზას! - ჩვეულებრივად ენაწყლიანობდა ზურაბ თორაძე, ყოველ სიტყვას არტისტულად წარმოსთქვამდა, აქცენტებს ზომიერად და სწორად სვამდა. - თქვენ დღეს მოწმე გახდებით მსოფლიოში უნიკალური მოვლენისა, როგორ იქცა სამოცდაათოთხმეტი წლის მოხუცი ოცდასამი წლის ჭაბუკად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტ რამაზ კორინთელად. იქცა ისე, რომ იგი კვლავ დარჩა აკადემიკოსად, დარჩა დავით გიორგაძედ! დიახ, ბატონებო! - ექსტაზში შესულ მთავარ ექიმს დაავინყდა, რომ აუდიტორიაში მხოლოდ ერთადერთი მსმენელი ჰყავდა, - იქცა ისე, რომ იგი კვლავ დავით გიორგაძედ დარჩა. იოტისოდენა ცვლილებაც კი არ განუცდია მას, როგორც პიროვნებას, ოდნავადაც არ დაზარალებულა აკადემიკოსის ცოდნა და ინტელექტი, ემოციური და ინტელექტუალური სამყარო!

მთავარი ექიმის საბეიშო ხმამ კიდევ უფრო გააღიზიანა დავით გიორგაძე.

„რა მემართება, რატომ ვღელავ, სულს რატომ მიმფოთებს რაღაც საშინელი განცდის მოლოდინი? განა არ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, განა არ გავითვალისწინე ყველა მოსალოდნელი უსიამოვნო შეგრძნება? მე, რომელიც ასეთი გამბედავი ვიყავი მეცნიერული ჰიპოთეზების წამოყენებისა და შემუშავების დროს, როცა ყველაზე დიდ რისკს ვწეოდი ექსპერიმენტული კვლევისას, როცა არ ვერიდებოდი ჩემი მეცნიერული სითამამით გამონვეულ შურიან კოლეგათა ქილიკს, დღეს რა მემართება?“

დავით გიორგაძემ თვალები დახუჭა.

„ბოლოს და ბოლოს, განა ისევ ჩემი მეცნიერული და სულიერი გამბედაობის შედეგი არ იყო, ტვინის გადანერგვის დღემდე გაუგონარ ოპერაციას რომ დავთანხმდი? განა პიროვნული გმირობა არ იყო და ამ გმირობით არ შევიტანე დიდი წვლილი მედიცინის ყველაზე დიდი, თითქმის წარმოუდგენელი და დაუჯერებელი პრობლემის გადაჭრაში? განა სიცოცხლე არ გავწირე? მართალია, როგორც მთავარი ექიმი ამბობს, კიდევ ოთხ თვეს თუ ვიცოცხლებდი, მაგრამ ხომ ვიცით, რას ნიშნავს ადამიანისათვის სიკვდილამდე დარჩენილი ოთხი თვე? თანაც, თუ არა ოპერაცია, ვის წამოსცდებოდა, მხოლოდ ოთხი თვის სიცოცხლე დაგრჩაო?! ადამიანი ხომ იმედით ცოცხლობს?

მთავარი ექიმი შეაშინა ავადმყოფის ცუდმა ფერმა და სევდიანმა განწყობილებამ.

- თავს ცუდად ხომ არ გრძნობთ? წამოდგომა და სარკეში ჩახედვა ხვალისთვის გადავდოთ?

- გადადებას აზრი არა აქვს, - გაახილა უცებ თვალი გიორგაძემ, - ჩემი სევდა და მღელვარება ადვილი ასახსნელია, დღეს ხომ პირველად უნდა გავიცნო ჩემი თავი, მსოფლიოში უნიკალური პიროვნება. მე ხომ ჩემი ტვინით და აზროვნებით აკადემიკოსი დავით გიორგაძე ვარ, ხოლო სხეულით, პასპორტით და სხვა ოფიციალური მონაცემებით რამაზ კორინთელი! რამაზ მიხეილის ძე კორინთელი, რამაზ მიხაილოვიჩი...

- როგორც ექიმს, სრულებითაც არ მიკვირს თქვენი სევდა და მღელვარება, მაგრამ მჯერა თქვენი სიმტკიცის. თქვენ ხომ თვით კრიტიკულ წუთებშიც კი არ კარგავთ იუმორის გრძნობას. იუმორის გრძნობა კი ყველაზე უფრო გამოხატავს ადამიანის სულიერ სიძლიერეს. მაშ, ნებას მაძლევთ, შემოვიყვანო პარიკმახერი?

- ბატონი ბრძანდებით.

- ოღონდ ერთი პირობით. თქვენ დღეიდანვე, ამ წუთიდანვე უნდა დაივიწყოთ, რომ ერთი



თვის, უფრო სწორად, ოცდარვა წლის წინ აკადემიკოსი დავით გიორგაძე ბრძანდებოდა. ვინც ხართ და რაც ხართ, ეგ მხოლოდ ჩვენ და ჩემი კოლეგების საიდუმლო უნდა იყოს. როგორც წელან თვითონვე თქვით, ოფიციალურად დღეიდან ბრძანდებით და ამ წუთიდანა მეც ასე მოგმართავთ, რამაზ კორინთელი!

ზურაბ თორაძემ წასვლა დააპირა.

- მოითმინეთ. ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ.

მთავარი ექიმი შეჩერდა.

- თქვენ რამდენიმე დღის წინ მითხარით, მეორე ოპერაციამაც წარმატებით ჩაიარაო.

- დიახ, უნაკლოდ!

- როგორ არის.. ის... - აკადემიკოსს ენა დაებორკა.

- კარგად, ოღონდ დამბლადაცემული გონება დამბლადაცემულ გონებად დარჩა.

- შინაურებმა მოაკითხეს?

- მხოლოდ მეუღლემ. ვაჟიშვილის ასავალ-დასავალი ჯერაც ვერავინ გაიგო.

- მერე?

- მერე არაფერი. ავეხსენით, რომ მოხუცი აკადემიკოსის ტვინში სისხლმა გაჟონა და, რომ, ალბათ მოხუცი კაცის დაზიანებული ტვინის უჯრედები ვეღარ შეასრულებენ თავის ფუნქციას.

- კარგად დაგიმედეხათ!

- დაიმედეხას რა აზრი აქვს, - მთავარმა ექიმმა ხელი უდარდელად ჩაიქნია. - ჯობია, ახლავე შეეგოს, რომ გონებადაკარგული მეუღლე მხოლოდ რამდენიმე თვეს იცოცხლებს.

- მერე?

- რა მერე?

- როგორ შეხვდა გიორგაძის მეუღლე ამ საშინელ ახსნა-განმარტებას?

- ნორმალური ადამიანების ემოციები დაახლოებით თანაბარია. მეტნაკლებია მხოლოდ მათი გამოხატვის ფორმები. ზოგს არტისტიკაში ახასიათებს, ზოგს ჩუმი ტკივილი უღრღნის გულს. აკადემიკოს დავით გიორგაძის მეუღლე ინტელიგენტი ქალი გახლავთ. ისტერიკები არ დაუმართავს. თვალეები გულწრფელი ცრემლებით ავესო. ერთ წამს ისიც კი მომეჩვენა, რომ სახე გაუშეშდა. არაფერი უთქვამს. სკამზე ჩამოჯდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს დასჩერებოდა მეუღლის დასუსტებულ, დალეული სანთელივით ჩამოღვენილ სახეს.

დუმილი.

რამაზ კორინთელის სხეულში ჩასახლებულმა მოხუცმა მეცნიერმა ყელში მოწოლილი ბურთი გადაყლაპა და გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა.

ბურაბ თორაძემ აღარ იცოდა, რა ექნა. ჩაეთვალა დიალოგი დამთავრებულად და წასულიყო პარიკმახერის მოსაყვანად, თუ დალოდებოდა, სანამ ავადმყოფი კიდევ ჰკითხავდა რამეს.

- თქვენ პოეტი, თუ არა, მწერალი მაინც იქნებით! - თქვა მოულოდნელად დავით გიორგაძემ.

- ჩემი მწერლობა აქ რა მოსატანია? - შეცბა მთავარი ექიმი.

- ისე, სხვათა შორის გითხარით. თქვენი აბროვნების სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აუცილებლად გექნებათ კალამი ნაცადი.

- მწერლობა ექიმების სუსტი ადგილია, - გამოტყდა ზურაბ თორაძე.

დუმილი.

დავით გიორგაძემ ისევ დახუჭა თვალები.

მთავარმა ექიმმა ამჯერად საბოლოოდ დაასკვნა, დიალოგი დამთავრებულიაო, შებრუნდა და წავიდა.

ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ დავით გიორგაძის ყრუ და ტკივილით სავსე ხმამ კვლავ ადგილზე გააქვავა.

- ფეხზე დადის?

მთავარი ექიმი მიხვდა, გიორგაძე ვისაც გულისხმობდა.

- ჯერ არა. ათი დღის შემდეგ ალბათ შესძლებს ფეხზე წამოდგომას.

- აზრი სრულებით არ ექნება?

- იაბროვნებს ინსტიქტების დონეზე.

- მე კიდევ რამდენ ხანს მომიწევს აქ დარჩენა?
- თუ ჯანმრთელობა ამ ტემპით გაგიუმჯობესდებათ, ერთ თვეში გაგწერთ.
- არის შანსი, რომ სადმე შევეჩვიო?
- ააა, არავითარი. იგი ახლა სულ სხვა სართულზე გადავიყვანეთ.
- მაინც რომელზე? მინდა ყველაფერი ვიცოდე.
- მეშვიდე სართულზე. თქვენ ჯერჯერობით პირველ სართულზე ხართ. მალე მეორე სართულზე გადაგიყვანთ.

დუმილი.

- კიდევ ხომ არაფერი გაინტერესებთ? - აღარ იჩქარა წასვლა მთავარმა ექიმმა.
- არაფერი. შეგიძლიათ წახვიდეთ!
- ბატონი ბრძანდებით, ოღონდ კიდევ ერთხელ გთხოვთ გახსოვდეთ, ვინ ხართ. პარიკმახერი უსარკოდ გაგპარსავთ. არ მინდა პატარა სარკემ გააფუჭოს მთლიანი ეფექტი. გაპარსვის შემდეგ ფეხზე წამოგაყენებთ და დიდ სარკესთან მიგიყვანთ, რომელიც ამ დილით მოვიტანეთ საგანგებოდ. მთავარმა ექიმმა თითი კედლისკენ გაიშვირა.

დავით გიორგაძემ თვალი ბურაბ თორაძის თითს გააყოლა და კედელთან უკუღმა მიდგმული ვაცის სიმაღლე სარკე დაინახა. ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა, რაღაც შეუცნობელის მოლოდინმა ნერვები უკიდურესობამდე დაუძაბა.

\* \* \*

სარკიდან მაღალი, დაკუნთული, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი შემოსცქეროდა. უცნობ ახალგაზრდას თაფლისფერი თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა. შესამჩნევად გრძელი ნიკაპი და ტუჩების ენერგიული მოხაზულობა რამაზ კორინთელის სახეს მკაცრ გამომეტყველებას ანიჭებდა.

თავდაპირველად ვერც კი წარმოედგინა, რომ სარკეში გამოსახული ჭაბუკი თვითონ იყო. იფიქრა, იქნებ მთავარ ექიმს რომელიმე თავისი ახალგაზრდა ასისტენტი შემოჰყვავო და მისი ფიგურის უკან საკუთარ თავს დაუწყვო ძებნა. როდესაც თავი გაანძრია და სარკეში გამოსახულებამაც იგივე მოძრაობა გაიმეორა, მიხვდა, რომ სარკიდან რამაზ კორინთელი შემოსცქეროდა.

უნებურად ხელი ასწია მაღლა და წამიერად შეაჩერა. შემდეგ ხელის მტევანი ოფლით დაცვარულ შუბლზე გადაისვა. სარკეში გამოსახულმა ჭაბუკმა იგივე გაიმეორა. საეჭვო აღარაფერი იყო, დაიჯერა, რომ სასწაული უკვე მოხდა. ახლა იგი ოცდასამი წლის ჭაბუკად გარდაქმნილი იდგა სარკის წინ, იდგა და საკუთარ თავს გაოცებული შესჩერებოდა. გაოცებული და შეშინებული.

წამოდგომის წინ მთავარმა ექიმმა ავადმყოფს პიუჟა გახადა და სპორტული ტრუსი ჩააცვა. მეცნიერმა თვალები დახუჭა, არ უნდოდა თავისი ახალი ფეხები და ტანი დაენახა. არ უნდოდა საკუთარი ფერიცვალება ნაწილ-ნაწილ აღექვა.

მთავარმა ექიმმა, თითქოს დავით გიორგაძის ფიქრი გამოიცნო:

- ხედავთ, რად გაქციეთ? ოცდასამი წლის ლამაზ, ჯანმრთელ, დაკუნთულ ჭაბუკად. ახლა უმთავრესიც უნდა დავამატოთ, თქვენს, ახალ, კამაზ სხეულში ხომ მართლაც ლამაზი სული დგას. ამ სილამაზეს დავუმატოთ თქვენი უზარმაზარი ტალანტი, ცოდნა და გამოცდილება! განა სასწაული არ მოვახდინეთ?!

დავით გიორგაძემ მარჯვენა ხელით შუბლი დინჯად მოინმინდა, შემდეგ გრძელი თითები ღონიერ მკერდზე ჩამოიცურა და მარცხენა მკლავის კუნთი მოსინჯა. ძლიერმა სხეულმა სიხარულის მაგიერ ჯერ სევდა მოჰგვარა, შემდეგ დააფრთხო კიდეც.

„მე სადლა ვარ? - გაიფიქრა უნებურად. - ალბათ, ამ ცოცხალი კარადის რომელიმე თაროზე ვარ შეკუჭული“.

სიტყვის თქმის ემინოდა. დაახლოებით იცოდა, როგორი ხმაც ჰქონდა. წინა დღეებში, როცა ლაპარაკობდა, საკუთარ სხეულს ვერ ხედავდა. ახლა, კი როცა ჯერ კიდეც არ სჯეროდა, რომ სარკეში გამოსახული ყმანვილი კაცი თვითონ იყო, მისი მძლავრი მკერდიდან ამოსული შთამბეჭდავი ახალგაზრდული ბარიტონი აღარ არსებობდა. ან თუ არსებობდა, ამ დიდ და ღონიერ ჭაბუკს ჰყავდა გადაყლაპული.

„მე სადლა ვარ?“ - წამოიქოჩრა ისევ ავბედითი ფიქრი.

„მე სადლა ვარსებობ და სად ვაზროვნებ?“

უნებურად სარკეში ჭაბუკის შუბლს დაასო მზერა.

„მე იქ ვარ, თავის ქალაში, გამოკეტილი და გამომწყვდეული. ამ შუბლს მიღმა ვარსებობ და ვაზროვნებ. ეს არის და ეს!“

ტანში მილიონმა ჭიანჭველამ დაუარა, მილიონი წვრილი, მაგრამ ცხარე ნესტრის ჩხვლეტა იგრძნო.

„და თუ მე მართლ ამ შუბლს მიღმა ვიმყოფები, ჭაბუკი კაცის თავის ქალაში სამუდამოდ გამომწყვდეული, რატომ ვგრძნობ სხეულზე მილიონი ჭიანჭველის მწარე ჩხვლეტას? რატომ მიმაქანებს უფსკრულისაკენ გულზე ჩამოკიდებული უზარმაზარი ცივი და გლისინა ლოდი?“

დავით გიორგაძემ ისე, მთავარ ექიმს რომ არ შეემჩნია, მარცხენა ხელით ბარძაყზე იჩქმიტა.

ეტკინა.

კიდევ იჩქმიტა, ამჯერად უფრო მაგრად.

უფრო მაგრად ეტკინა.

ცოტა დამშვიდდა.

„სხეულს ვგრძნობ, აქედან გამომდინარე, საეჭვო არაფერია. ეს მძლავრი მკერდი, ხელები და ფეხები ნამდვილად მე მემორჩილებს და მე მეკუთვნის“.

„მაგრამ...“

„მაგრამ, სხეული წარმართავს ჩემს ტვინს თუ ტვინი წარმართავს სხეულს?“

„რასაკვირველია, ტვინი სხეულს!“

„ან კი საერთოდ რატომ უნდა შემპარვოდა ეჭვი, რომ მე სადღაც თავის ქალაში ვარ სამუდამოდ გამომწყვდეული?“

„რასაც მე მოვინდომებ, სხეულიც იმასვე მოიმოქმედებს!“

„აი, მინდა თავზე ხელი გადავისვა და გადავისვამ კიდევ!“

გიორგაძე ცოტა დამშვიდდა და სარკეში საკუთარ თავს ოდნავ გაუღიმა კიდევ. როცა

ჭაბუკის ბაგეებზე გამოსახული ღიმილი დაინახა, უმაღვე მოიღუშა. რატომღაც არ უნდოდა მთავარ ექიმს დაენახა, როგორ იღიმებოდა ახალგაზრდა აკადემიკოსი.

ზურაბ თორაძე ამდენი ხნის მანძილზე ისე იდგა, სარკეში რომ არ გამოჩენილიყო. არ უნდოდა თავისი გამოსახულებით გიორგაძის ყურადღება დაეფანტა. მოშორებით მდგომი არც ლაპარაკით უშლიდა ხელს. იცოდა, ავადმყოფი ასე უფრო მალე მოვიდოდა გონს, უფრო სწრაფად შეიგრძნობდა თავის ახალ სხეულს, უფრო იოლად შეეგუებოდა ახალ ხვედრს. სამაგიეროდ, დიდი ყურადღებით აკვირდებოდა, ცდილობდა გიორგაძის გამოხედვაში, გრემასებში ხელისა თუ თვალების მოძრაობაში მისი სულის მოძრაობა, ფიქრები და განცდები ამოეცნო, რაც მკურნალობის მართვაში მოეხმარებოდა.

გამოცდილმა ექიმმა ისიც იგრძნო, გამოლაპარაკების დრო როდის დადგა.

- ხომ არ დაიღალეთ?

დავით გიორგაძეს თითქოს ახლა გაახსენდა, რომ მთავარი ექიმი იქვე იდგა. ფიცხლად შემოტრიალდა. თვითონვე გაუკვირდა თავისი სისწრაფე. მართალია, დიდხანს წოლით და ურთულესი ოპერაციით საკმაოდ იყო დასუსტებული, მაგრამ თავისი მოძრაობა მაინც უჩვეულოდ სხარტი და ახალგაზრდული ეჩვენა.

- დიახ, ცოტა დავიღალე! - თქვა ახალგაზრდა ბარიტონმა.

ამჯერად აღარ მოსჩვენებია, რომ მისი სიტყვებით ვიღაც სხვამ უპასუხა მთავარ ექიმს.

- ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდი, - მთავარმა ექიმმა მაჯაზე წაატანა ხელი, - მაინცდამაინც მტკივნეულად არ განგიცდიათ თქვენი ფერიცვალება. პულის ნორმალური გაქვთ. ვერც სახეზე გამჩნევთ მღელვარებას. დღიდან ყოველდღიურად მოგცემთ წამოდგომის საშუალებას, უფრო მეტ ხანს შეგეძლებათ სარკის წინ დგომა და საკუთარ სხეულთან შეგუება.



აკადემიკოსი დავით გიორგაძე საკმაოდ კერვეტი მოხუცი იყო, ავად იშვიათად თუ გახდებოდა. სამაგიეროდ, კბილები ჰქონდა სუსტი. წლების მანძილზე განამებული იყო მკურნალობით. უნებურად ისევ სარკისკენ იბრუნა პირი. მთავარ ექიმს რომ არ შეემჩნია, ბაგეები ოდნავ ასწია და კბილები შეათვალიერა. საღი, საკმაოდ მსხვილი კბილები თეთრად უბრწყინავდა.

უცებ სიცილი აუტყდა. სიცილი თანდათან ხარხარში გადაიზარდა, ლოგინისაკენ გაიმართა, თავდაღმა დაემხო და თავი ბალიშში ჩარგო. თვითონაც ვერ გავგო, რა აცინებდა, ტრაგიკული, დღემდე გაუგონარი უჩვეულო ხვედრი თუ პირიქით, გაახალგაზრდავებით გამოწვეული სიხარული. იქნებ არც ერთი და არც მეორე. თვითონვე გრძნობდა, ხარხარი მალე ისტერიულ ტირილში გადაებრდებოდა. იქნებ ხარხარი სულაც იმიტომ აუტყდა, რომ ამ მართლაცდა წარმოდგენილი სიტუაციის დროს, როცა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო სიზმარში იყო თუ ცხადში, როცა ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, კვლავ აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო, თუ ოცდასამი წლის სტუდენტი რამაზ კორინთელი, პირველ რიგში კბილები გაახსენდა?

მერე რა ხმამაღლა ხარხარებდა! ხმამაღლა და ამაზრზენად!

ხარხარებდა კი თვითონ?

იქნებ სულაც რამაზ კორინთელი ხარხარებდა და დასცინოდა მის თავის ქალაში შესახლებულ და კრუსივით ჩაბუდებულ დავით გიორგაძეს?

იქნებ...

იქნებ გამარჯვებული ეშმაკი ხარხარებდა ნაცთუნევი აკადემიკოსის ახალ სხეულში?! გამწარებულმა თავი ისე მაგრად ჩარგო ბალიშში და ხმა ისე სწრაფად მოგუდა, კასრის ნახვრეტიდან გამოვარდნილ წყლის ნაკადს რომ მოაშთობ ხის საცობით.

- რა დაგემართათ? - შესძახა სასონარკვეთილმა მთავარმა ექიმმა.

შეშინებულმა წელან ვერც კი მოასწრო ახალგაზრდა დავით გიორგაძისთვის ხელი შეეშველებინა და ლოგინში ისე ჩაენვინა.

„ვაითუ მკვეთრმა მოძრაობამ ახლად გადანერგილ ტვინზე ცუდად იმოქმედოსო?“

„ვაითუ რაღაც ისე ვერ გავაკეთეთ და აკადემიკოსის ტვინმა აზროვნება შეწყვიტოსო?“

- ბატონო დავით, რა გაცინებთ? - ხელები ფრთხილად შეავლო მოთახთახე მხრებზე.

„ბატონო დავით!“ - განა წელან თვითონ არ თქვა, დღეიდან თქვენ რამაზ კორინთელი ბრძანდებით და მხოლოდ ამ სახელით და გვართი მოგმართავთო?“

„აღბათ, შიშის გამო მივმართე ასე აკადემიკოს დავით გიორგაძეს და არა იმ სხეულს, ვის ძველ პატრონთანაც არასდროს მილაპარაკნია“.

- რა გემართებათ, ბატონო დავით, გემუდარებით, დანყნარდით!

სანახევროდ დამშვიდებულ აკადემიკოსს არ მოეწონა ზურაბ თორაძის ხმაში გარეული სასონარკვეთილება. მისი მხრები ოდნავლა თახთახებდა. მთავარი ექიმი მიხვდა, ავადმყოფი აღარ იცინოდა. დავით გიორგაძემ თავი წამოსწია და ბალიშს ლოყით მიეხუტა.

- ნუ ღელავთ, ექიმო. თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ! - თქვა წყნარად ავადმყოფმა.

ზურაბ თორაძის ტვინში ავარდნილი და შედედებული სისხლი ნელნელა ისევ შეთხელდა და ძარღვებში დაიფანტა.

დუმილი ჩამონვა.

დავით გიორგაძე ფიქრმა გაიტაცა.

მთავარმა ექიმმა ხმის ამოღება ველარ გაბედა, იქვე, სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაჰკიდა.

ავადმყოფის საქციელი იმდენად უცნაურად მოეჩვენა, რომ წამიერად ისიც კი გაიფიქრა, ყველაფერი დაიღუპაო.

- შეგიძლიათ წაბრძანდეთ, თქვენც დაწყნარდებით და მეც დავისვენებ! - თქვა მცირე დუმილის შემდეგ სრულიად დამშვიდებულმა დავით გიორგაძემ.

ბურაბ თორაძე ნირნამხდარი წამოდგა. შერცხვა, რომ ამდენი ხნის მანძილზე პირველად იგრძნო სასონარკვეთილება, პირველად შეერყა რწმენა და შეეპარა შიში, ვაითუ ამდენი წვალემა წყალში გადამეყარაო.

ავადმყოფისათვის აღარც მაჯა გაუსინჯავს, არც შუბლზე დაუდვია ხელი, აშკარად სჩანდა, დავით გიორგაძე თავს კარგად გრძნობდა.

- ერთი სასიამოვნო თუ უსიამოვნო ამბის თქმას ვაპირებდი, მაგრამ მგონი, გადაიღალეთ. იქნებ ჯობდეს, ხვალ მოგახსენოთ?

- ახლა მითხარით! - ჩუმაღ, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა გიორგაძემ.

- ინგა დაუინებით მოითხოვს თქვენს ნახვას. - მთავარი ექიმის ხმაში აღარ გამოსჭვიოდა საზეიმო ინტონაცია. - საბრალო გოგონა ძალზე შეშინებულია. არცაა გასაკვირი, მთელი თვეა არ უნახხარათ.

- ინგა ვინ არის? - გაოცდა დავით გიორგაძე.

- თქვენი და გახლავთ, ინგა კორინთელი.

- ჰოო, ჩემი და! - გაელიმა ავადმყოფს.

- თუ თქვენ თანახმა იქნებით, პალატაში შემოსვლის ნებას სამი დღის შემდეგ დავრთავ, ხვალ კი მოვალ და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თქვენი ავტობიოგრაფიული დეტალები. მართალია, რამაზ კორინთელმა ტრავმის შემდეგ მესსიერება მთლიანად დაკარგეთ, მაგრამ არის ადამიანის ცხოვრებაში რაღაც მოვლენები, უმძაფრესი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებანი, რომლებიც განკურნების შემდეგ ბუნდოვნად მაინც უნდა აღდგეს. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ!

ზურაბ თორაძე სარკესთან მივიდა, პირით კვლავ კედლისკენ შეაბრუნა და პალატიდან გავიდა.

- სამ საათს მაინც ნურავის შემოუშვებთ! - მიაძახა აკადემიკოსმა მთავარ ექიმს.

- ბატონი ბრძანდებით!

რკინის მძიმე კარიც დაიხურა და დავით გიორგაძემ შვებით ამოისუნთქა.

თვითონვე უკვირდა, თავს ისე მშვიდად გრძნობდა. მართო დარჩენაც უხაროდა. შეეძლო თავისუფლად ეფიქრა, საკუთარ თავთან ემსჯელა, დღევანდელი განცდები შეეფასებინა.

„ნუთუ ასე იოლად გადავითანე ყველაფერი? - უკვირდა თვითონ. - ნუთუ ისე ვარ გამოფიტული და დაცლილი, რომ წარმოუდგენლად იოლად შევეგუე ჩემს უცნაურ და გაუგონარ ხვედრს? შეიძლება წინასწარმა ფიქრმა, განსჯამ და მთავარ ექიმთან კამათმა ჯერ კიდევ ოპერაციამდე შემაჩვია მოსალოდნელ უჩვეულო ცხოვრებას?“

„იქნებ სულ ესაა ადამიანის ემოციური შესაძლებლობანი? იქნებ მეტი უნარი არც გაგვანჩნია ტრაგიკულის ან სიხარულის აღქმისა?“

უცებ რაღაც გაახსენდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. შეშინებული ლოგინზე წამოჯდა და სარკეს გახედა.

- არა, არა! - წაიბურტყუნა უნებურად. თან თავი გაიქნია და ისევ გულაღმა გადანვა - შეუძლებელია, შეუძლებელი!

უნდოდა ხმამაღლა ეყვირა, მაგრამ თავს დროზე მოერია. იცოდა, აპარატურა ჩართული იყო და ალბათ მორიგე ექიმი ყველაფერს ხედავდა.

თვალი დახუჭა. ცდილობდა გათიშულიყო და არაფერზე აღარ ეფიქრა. ვერ მოისვენა. დინჯად წამოდგა, ჯერ დიდი ნათურა აანთო, შემდეგ სარკესთან მივიდა, ისევ შემოაბრუნა, მხოლოდ სინათლე ჩააქრო, ლოგინთან მივიდა და ფრთხილად წამოწვა.

„ღმერთო, სად მინახავს ეს ყმანვილი!“

„იქნებ მეშლება?“

„არა, არ მეშლება. ისეთი განცდა მაქვს, მგონი, მისაუბრია კიდევ მასთან!“

სარკესთან ახლოს მივიდა, ცალი ხელით ჩამოეყრდნო და საკუთარ გამოსახულებას თვალებში დაუინებით ჩააცქერდა.

სისუსტე იგრძნო. სარკე აღარ შეუბრუნებია, მხოლოდ სინათლე ჩააქრო, ლოგინთან გაჭირვებით მივიდა და ფრთხილად წამოწვა.

უმალვე თვალი დახუჭა. გონება ისევ დაძაბა. ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ეს მაღალი, ლამაზი, მაგრამ მკაცრი შესახედაობის ნაბლისფერთმიანი ჭაბუკი, ვის სხეულშიც ახლა მისი სული წყალქვეშა გემივით ცურავდა.

„საიდან მახსოვს ჭაბუკის ბოროტად გამომზირალი თვალები?!

„ან საიდან მაგონდება მისი თავხედური ღიმილი?“

„საიდან მახსოვს? საიდან მახსოვს? საიდან მახსოვს?...“

ვერ გაიხსენა.

„ვთქვით, მართლა მახსოვს. მერე რა მოხდა?! თბილისი პატარა ქალაქია, იქნებ შემხვედრია კიდეც სადმე!“

„ვინ იცის, იქნებ რალაციტ მიიქცია კიდეც ჩემი ყურადღება!“

„აბა, მაშინ რა ვიცოდი... აბა მაშინ რას მიხვდებოდი და წარმოვიდგენდი, რომ გაივლიდა დრო და...“

„შეიძლება, მომეჩვენა კიდეც. ახლა ისე ვარ გაღიზიანებული და აღგზნებული, ადვილი შესაძლებელია, რომ მომეჩვენა!“ დაასკვნა ბოლოს და ერთბაშად, თითქოს ელექტროქსელიდან გამოთიშესო, ღრმად ჩაეძინა.

\* \* \*

დავით გიორგაძე, ანუ დღეიდან უკვე რამაზ კორინთელი, უჩვეულო გრძნობამ შეიპყრო.

მაინც რა დაემართა?

დასთან შეხვედრამ რატომ აუფორიაქა სული და გონება?

იქნებ გულუბრყვილო შეკითხვებს უსვამდა თავის თავს?

ვერ გარკვეულიყო, გაახარა თუ შეაშინა ინგას ნახვამ.

ინგა კორინთელი განა მართლა და იყო მისი!

თუმცა იგი იმ დღიდან, უფრო სწორად, იმ წუთიდან, რაც რამაზ კორინთელი გახდა, უკვე ძმად ეკუთვნოდა ინგას.

თითქოს ბუნებრივი იყო, პირველი შეხვედრისას მღელვარება რომ დაუფლებოდა. ცდილობდა, თავი დაემშვიდებინა, ნერვები მოეთოკა. არაფერი გამოსდიოდა.

წინასწარ იცოდა, ინგასთან შეხვედრას რა მღელვარება და ვნებათაღელვა მოჰყვებოდა. ორი დღის მანძილზე ფსიქოლოგიურად თითქოს მოემზადა კიდევ დასთან შესახვედრად.

ეტყობა, ვერ მოემზადა.

„იქნებ ვერავითარი ფსიქოლოგიური მომზადება ვერ გაანელებდა დასთან შეხვედრის მღელვარებას?“

„ვითომ დასთან შეხვედრამ აუფორიაქა სული და გონება? თუ სულ სხვა, გამოუცნობი განცდა დაეუფლა?“

შეშინებულმა თვალი დახუჭა. უნდოდა ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ თვალწინ ინგა წარმოუდგა, საშუალო სიმაღლის ქერა გოგონა. საოცარი სიცხადით დაინახა მისი ცისფერი, გულუბრყვილო, ლამაზი თვალები. ძმის მსგავსად ოდნავ გრძელი ყბა თითქოს

არაპროპორციულს აჩენდა მის ნაბ სახეს, მაგრამ სწორედ ეს არაპროპორციულობა მოეწონა რამაზ კორინთელს. ინგა შვედ ან ნორვეგიელ ქალიშვილს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე ქართველს. უცხო იერმა, თხელი, გრძელი ხელების ნატიფმა მოძრაობამ უცნაურად შესძრა და ააფორიაქა.

რამაზ კორინთელი მონოლილ გრძნობებს ებრძოდა. უნდოდა, მღელვარება მხოლოდ თავისი უცნაური ბედისათვის დაებრალეებინა. არაფერი გამოსდიოდა. ისევ აგონდებოდა დის თხელი, ნაზი მკერდი, სიფრიფანა სხეული, ჰაეროვანი მოძრაობა და მიხვდა, ჭაბუკის თავში რომელიღაც ბორბალი უკუღმა დატრიალდა.

როცა მთავარ ექიმს ნება დართო, ინგა შემოუშვითო, ლოგინზე წამოჯდომა გადანწყვიტა. წამოჯდა კიდევ, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და ძველებურად გულაღმა დანვა. თვალეზი დახუჭა. საკუთარი გულის ფეთქვის ხმა სადღაც შორიდან ესმოდა. ცდილობდა, მღელვარება დაეოკებინა, ფიქრი სხვა ამბებზე გადაიტანა, ინსტიტუტი და მოახლოებული საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსენა. თითქოს შეძლო კიდევ თავი დაემორჩილებინა და კარის გაღების ნაცნობი ზუზუნიც გაისმა.

თვალი უმაღვე გაახილა.

კარი ისევე მძიმედ და საფუძვლიანად დაიკეტა, როგორც გაიღო. ლითონის მუქ ფონზე ნათლად გამოიკვეთა ქერა, თხელი, ჰაეროვანი ქალიშვილი, ხელში რომ ხილით სავსე ბადე და ყვავილები ეჭირა.

ქალიშვილი ერთხანს კართან იდგა გაშეშებული, არ იცოდა, საით წასულიყო. ოთახის უცნაურმა კონსტრუქციამ აკლდამის შთაბეჭდილებას რომ უფრო სტოვებდა, ვიდრე საავადმყოფოს პალატისას, ძალზედ დააბნია. მკრთალ შუქზე ბოლოს მაინც დაინახა უცნაური, მექანიზმებიანი სანოლი და ალბათ თვითონაც აღარ ახსოვდა, როგორ მიიღბინა სანოლთან. ხილი და ყვავილები ტუმბოზე დაყარა, სანოლს მივარდა და ძმა ფრთხილად ჩაიკრა გულში.



რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა, რადგან ჩახუტებული დის სახეს მაინც ვერ ხედავდა, შუბლზე ცრემლი დაეცა. ქალიშვილის მკერდის ცახცახზე მიხვდა, ინგა სიხარულისგან ტიროდა.

რამაზ კორინთელის გულში სწორედ მაშინ იფეთქა უცნაურმა გრძნობამ. ქალიშვილის მოთახთახე სხეულმა საოცარი ნეტარება მოჰგვარა. პატარა, მაგრამ მკვრივი ძუძუებმა მკერდი დაუდალა. დის ნაშმა ლოყამ მთელი სხეული ისე აუფორიაქა, ზენა ქარი მდორე მდინარეს ზედაპირს რომ დაუხორკლავს ხოლმე.

შეკრთა. მიხვდა, ეს არ იყო დის სიყვარული, ეს არ იყო ის გრძნობა, დის ჩახუტებასა და კოცნას რომ მოჰყვება ხოლმე.

გონებიდან სხეულში მძიმე შლანგით ჩაეშვა ცივი წყალი.

რკინის სიმებივით გადახურებისაგან დანითლებულ ძარღვებზე აშიშინდა და აორთქლდა წყლის ჭავლი. მერე შიშინმა თანდათან იკლო, ფოლადის სიმებმა ჯერ სინითლე დაკარგა, შემდეგ სიმხურვალე და რამაზ კორინთელიც თანდათან ჩაცხრა და ჩანწნარდა.

- ნუ დამახრჩე! - ეს იყო პირველი სიტყვები, დას რომ უთხრა.

- სულ დამავინწყდა, რომ სუსტად ხარ, მაპატიე, სიხარულისაგან ველარ მოვზომე. - ინგამ ძმას საბანი შეუსწორა და სკამზე ჩამოჯდა, - ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ვიყავი. იმედი თითქმის გადაწურული გვექონდა. უცებ კი - ამოდენა ბედნიერება! არ გიკვირს, სრულ ჭკუაზე რომ ვარ?

ინგა ფეხზე წამოიჭრა, ყვავილები წყლიან ბროლის ვაზაში ჩადო.

რამაზ კორინთელს გაეღიმა. დილით ვერ მიხვდა, მთავარმა ექიმმა წყლით სანახევროდ

გავსებული ბროლის ვაზა რატომ შემოიტანა. უფრო სწორად, დასთან შეხვედრის მოლოდინით აღელვებულმა ერთი კი შეავლო თვალი ვაზას, მაგრამ არც გაუთვითცნობიერებია, ზურაბ თორაძემ რატომ ან რისთვის დადგა იგი ტუმბოზე.

- ხილი ხომ არ გინდა!

- არა, ჯობია მელაპარაკო. ჭამას ყოველთვის მოვასწრებ.

- არა მჯერა, რომ გამოჯანსაღდი. შენ ხომ არ იცი, როგორ ვიტანჯებოდი. უფრო ის მანამებდა, რომ შველა არ შემეძლო. ახლა რა კარგად გამოიყურები! - ინგა სკამიდან ისევ წამოიჭრა და ძმა გულში ჩაიკრა.

ფოლადის სიმები ისევ განითლდა სიმხურვალისაგან. მკერდმა ისევ იგრძნო ქალიშვილის პატარა, მაგრამ მკვრივი ძუძუები და მდორე მდინარეს ზენა ქარზე ისევ დაეხორკლა ზედაპირი.

- კარგი-მეთქი! ხომ გითხარი, ამდენი არ შემიძლია.

- მაპატიე! - ინგამ ძმას ნაზად აკოცა ლოყაზე და ისევ სკამზე ჩამოჯდა. - სიარული შეგიძლია?

- როგორ არა, თუ გინდა ახლავე ავდგები, მაგრამ დღეს პალატაში ბევრი მასეირნეს და მთავარმა ექიმმა ხვალამდე ამიკრძალა ფეხზე წამოდგომა.

- არა, არავითარ შემთხვევაში არ წამოდგე! - შეშინდა ინგა. - მეც მალე წავალ. ემოციებით აღარ გადაგლი. არ მჯეროდა, რომ გადარჩებოდი. ვერ გავიგე, მთელი თვის მანძილზე რატომ არ შემომიშვეს შენს სანახავად. ხან რით მამშვიდებდნენ და ხან რით. არ მჯეროდა, რომ ოპერაციამ შედეგი გამოიღო. ახლა საბოლოოდ დავმშვიდდი და ახლა

ისეთი ბედნიერი ვარ, თავი სიზმარში მგონია. მეშინია, არ გადაგვალო. როცა შემომითვლი, მაშინ მოვალ სანახავად.

- თუკი შეგიძლია, ყოველდღე მოდი! - წამოსცდა უცებ რამაზ კორინთელს. - ახლა კი ჯობია ნახვიდე!

ინგამ ძმას ნაზად აკოცა და წავიდა. რკინის მძიმე კარი მანამ გაიღო, სანამ ქალიშვილი იქამდე მივიდოდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, მთავარი ექიმი აპარატურით აკვირდებოდა და-ძმის შეხვედრას. ბუნებრივი მოეჩვენა მთავარი ექიმის ცნობისმოყვარეობა. მაინც გაღიზიანდა.

ინგამ ღიმილით შემოხედა, გამოთხოვების ნიშნად ძმას ხელი დაუქნია და პალატიდან გავიდა.

რკინის მძიმე კარი ნელა დაიხურა.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა.

თავისი უკანასკნელი სიტყვები გაიხსენა, თუკი შეგიძლია, ყოველდღე მოდიო, და შეკრთა.

საკუთარმა სიტყვებმა შეაკრთო. თვალები დახუჭა.

„რატომ ყოველდღე“.

„ამ ერთი საათის წინ ხომ სიკვდილივით არ მინდოდა მასთან შეხვედრა?“

„მაშ, რა მოხდა?“

„იქნებ გონებამ ერთბაშად დაიმორჩილა ჩემი ახალი სხეული და დანახვისთანავე ჩამინერგა დის...“

ტანში გააურუოლა.

„იქნებ...“

რამაზ კორინთელი შეჩერდა, ფიქრის გაგრძელების შეეშინდა. მხოლოდ ერთ წუთს ჩაუდგა ჯებირი მდინარეს, მხოლოდ ერთ წუთს შეაჩერა მისი მძლავრი ნაკადი!

უცებ ახალი ძალით იხევლა მღვრიე მვირთებმა.

„იქნებ მართლა დაიმორჩილა გონებამ სხეული და...“

ფიქრი ვეღარ გააგრძელა. თითქოს ისევ იგრძნო პატარა, მაგრამ მკვრივი ძუძუების შეხება...

თვალი გაახილა. თავზე მთავარი ექიმი ადგა, გაოცდა. ვერ გაიგო, როდის შემოვიდა.

- ხომ არ გაგაღვიძეთ?

- არ მძინებია, უბრალოდ, თვალები მქონდა დახუჭული.

- როგორ ჩაიარა პირველმა შეხვედრამ?

რამაზ კორინთელი მთავარი ექიმის თვითდაჯერებულმა გამოხედვამ და ოდნავ თავხედურმა ღიმილმა გააღიზიანა.

- მშვენივრად იცით, როგორც ჩაიარა!

- რასაკვირველია, ვიცი. და თუ თქვენი პალატა ჩართული მქონდა და თქვენს ლაპარაკს ყურს ვუგდებდი, არც უნდა გაგიკვირდეთ.

თქვენი ყოველი სიტყვა, განწყობილების ცვალებადობა, სევდა ან სიხარული, მე, როგორც თქვენს ექიმს, ბევრ ინფორმაციას მანვდის, რომლის მიხედვითაც უნდა წარვმართო შემდგომი მკურნალობა. და თუ გავაანალიზებთ ჩემს დაკვირვებებს, ყველა მიზეზი მაქვს სიხარულისა. უკვე იგრძნობა თქვენი სულიერი გამოცოცხლება, დაგეუფლათ სიმსუბუქე და სიხარული, დასთან შეხვედრამ თქვენში მხოლოდ დადებითი ემოციები აღძრა. უნდა აღიაროთ, რომ მართალი ვარ!

რამაზ კორინთელმა მთავარ ექიმს თვალი თვალში გაუყარა. უნდოდა მის მრგვალ, თაფლისფერ თვალებში ამოეკითხა, იგრძნო თუ არა ზურაბ თორაძემ ის შეუცნობელი, უცნაური განცდა, დის ჩახუტებისას რომ დაეუფლა.

„მე მგონი, ვერაფერს მიხვდა!“

„ანდა, საიდან მიხვდებოდა?“

„თუმცა რას უნდა მიმხვდარიყო, განა მე მართლა..“ - აღარ დაამთავრა ფიქრი კორინთელმა, არ უნდოდა, ყველაფერი ბოლომდე გაეაზრებინა და იმ გრძნობისათვის, წელან დის მკერდზე შეხებისას რომ იგრძნო, თავისი სახელი ეწოდებინა. თავისი თავისათვის ისიც ვერ ეპატიებინა, წელან რომ რაღაც გაიფიქრა.

მერე რა, რომ ინგა არ იყო მისი და, იმ სხეულის და ხომ იყო, სადაც ახლა დავით გორგაძის სული ბინადრობდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამოცდაათობმეტ წელს მიღწეული გონებისათვის ძნელად წარმოსადგენი, უფრო სწორად, ამაზრზენი და ამორალურიც იყო შვილიშვილის ტოლა გოგონას მკერდით და თოთო ლოყის შეხებით აღძრული განცდები.

ისევ შეხედა თვალებში მთავარ ექიმს. გამარჯვებით ატაცებული მეცნიერის მრგვალი, თაფლისფერი თვალებიდან ისევ იფრქვეოდა ნაპერწკლებიანი სხივები.

„რასაკვირველია, ვერაფერს მიხვდა, ანდა, რას უნდა მიმხედარიყო!“ დაასკვნა საბოლოოდ დამშვიდებულმა.

- ნამდვილად უნდა აღიაროთ, რომ მართალი ვარ! - კარგა ხნის პაუზის შემდეგ ისევ გაიმეორა ექიმმა ადრე წარმოთქმული ფრაზა.

- თუ ჩვენმა საუბარმა ამდენი ინფორმაცია მოგანოდათ, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ ძალიან დავიღალე და ლაპარაკის თავი აღარა მაქვს.

- კეთილი. მე ახლაც ვწავალ. დაისვენეთ, გამოიძინეთ, საღამოს კიდევ გეახლებით. და რაც მთავარია, ბატონო რამაზ, - „ბატონის“ თქმა ცოტა უხამუშა მთავარ ექიმს, ოცდასამი წლის ჭაბუკისათვის შეუფერებლად ეჩვენა ასეთი პატივი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფაქტიურად რამაზ კორინთელს კი არა, აკადემიკოს დავით გიორგაძეს ელაპარაკებოდა.  
- დიახ, რაც მთავარია, მივდივარ გახარებული, რწმენით აღსავსე და გამარჯვებაში დარწმუნებული!

ახლა კი, ნება მიბოძეთ, დროებით ისევ დაგატყვევოთ, ისე შეგიერთოთ აპარატურა. დღეს ჩემს ასისტენტებს დიდი სამუშაო ელით. უნდა გაანალიზონ, როგორ გადაიტანს თქვენი სხეული და გონება დღევანდელ დიდ ემოციებს და განცდებს. თუმცა წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ სანერვიულო და ასაღელვებელი არაფერი გვაქვს.

მთავარმა ექიმმა უკანასკნელი აპარატიც ჩართო, წელში გაიმართა და ავადმყოფს გაუღიმა.

- მე წავედი. ძილი ნებისა, ბატონო რამაზ!

„ბატონო რამაზ!“ - მწარედ ჩაეღიმა რამაზ კორინთელს.

მთავარი ექიმი წავიდა. რკინის კარები მძიმედ დაეშვა. კორინთელის სურვილით სინათლეს გამოირთო. აქა-იქ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ აპარატურის წითელი და მწვანე ნათურები ციმციმებდნენ.

სქელი ბეტონის კედლებიან, აკლდამისმაგვარ პალატაში სიჩუმემ დაისადგურა. თუმცა ეს პირველი შთაბეჭდილება იყო. ცოტა ხნის შემდეგ გარკვევით გამოიკვეთა აპარატურის მონოტონური, სკის მაგვარი ზუმუნი.

რამაზ კორინთელი საშინელმა სევდამ შეიპყრო. ისევ წარმოიდგინა თავისი თავი ცალკეულ ორგანოებად დაშლილად და სხვადასხვა ოთახში მოციმციმე ტელეეკრანზე დანაწილებულად.

უცებ აპარატურის ზუმუნი შეწყდა, მწვანე და წითელი ნათურებიც გამოირთო. ირგვლივ საშინელი სიბნელე და სიჩუმე ჩამოწვა.

რამაზ კორინთელი შიშმა შეიპყრო. აქამდე მტკიცედ სჯეროდა, რომ სიჩუმეს თავისი ხმა არ ჰქონდა. ახლა კი... აშკარად გაარჩია სიჩუმის უცნაური ხმა. თითქოს სადღაც შორს, ამავე დროს იქვე, მის ყურის ძირთან რომ იბადებოდა.

რამაზ კორინთელმა მარჯვენა ხელი სახეზე ჩამოისვა და შეეცადა სველი სიბნელე მოეშორებინა, კანზე რომ ღრუბელივით ეკვროდა.

უცებ ხმაური შემოესმა, შეკრთა. იგი არ ჰგავდა რკინის მძიმე კარის გაღების ხმას. მოპირდაპირე მხარეს ბეტონის კედელი შეინძრა და გაიბზარა. პირველად ელვასავით გაანათა, შემდეგ თანდათან გაფართოვდა. უცებ ვილაცამ ნაპრალში უზარმაზარი ბანჯგვლიანი ხელები შემოჰყო და კედლები ერთმანეთს ღრჯილით დააშორა. პალატაში

მზის სხივები შემოიჭრა. კაშკაშა სინათლემ პირველად თვალი მოსტრა, მაგრამ თანდათანობით მაინც შეეჩვია ოქროსფერი სხივების ელვარებას.

უცებ...

„ღმერთო ჩემო, ნუთუ მეჩვენება?!“

მზის სხივებში გახვეული, ღიმილით მომავალი ინგა დაინახა. თეთრ ტანსაცმელში გამონყობილ ქალიშვილს თავზე მოცისფრო შარავანდედი ადგა. შენელებული კონოკადრებივით დინჯად მოაბიჯებდა. ხელში გვირილების დიდი კონა ეჭირა, წელზე მოცისფრო ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ახლად მიხვდა, ინგა ფეხს მიწას კი არ აბიჯებდა, მზის სხივების ფიანდაზზე მოიწინებდა.

უცებ, თითქოს კინოფირი უკულმა დატრიალდა, სხივები უკან გაიკრიფნენ და მომღიმარე ინგაც თან გაიტაცეს. კედლის ნაპრალში ისევ გამოჩნდა უზარმაზარი ბანჯგვლიანი ხელები და უმაღვე გაუჩინარდა. ისევ გაისმა ღრტიალი, ნაპრალი ნელ-ნელა შევიწროვდა და კედელი ძველებურად გამოთლიანდა.

გაოცებულმა და შეშინებულმა რამაზ კორინთელმა წამოდგომა სცადა. უმაღვე ვიღაც თმაში სწვდა და ლოგინს მიაჯატვა. ლორწოიანი, საცეცებივით გრძელი თითები ყელში წაუჭირა და ბოროტად ჩაიხითხითა. ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, დაყვირება უნდოდა, ვერ შეძლო. უჰაერობას საშინელი ტკივილი დაემატა. სველი საცეცები ყელზე სალტესავით ჰქონდა შემოჭდობილი. ცივი, სველი სალტე თანდათან ვიწროვდებოდა. ცოტაც და კისრის მალეების მტვრევის ხმა ჩაესმა ყურში. ვიღაცამ რკინის პალოს ურო დაჰკრა და ტვინში ჩაურტო.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ბანჯგვლიან სველ საცეცებს მთელი ძალით ჩაებლაუჭა. ამოდ, ვერ ქნა და სლიპინა საცეცებს ვერ ჩაავლო მაგრად ხელი. ვიღაცამ ისევ დაჰკრა



პალოს ურო. სიბნელე ისევ გაანათა ნაპერწკლებმა. ცივმა ოფლმა დაასხა, ტკივილისაგან გამწარებული ლორწოიან საცეცებს კიდევ ერთხელ ჩაებლაუჭა, არაადამიანური ძლით გაქაჩა და როგორც იქნა, ერთმანეთს დააშორა.

შვებით ამოისუნთქა, ფილტვებში ისევ იგრძნო უანგბადის მაცოცხლებელი ნაკადი.

თვალი გაახილა.

პირველი ვინც დაინახა, ბურაბ თორაძე იყო. მის უკან ორი ექიმი იდგა.

„სინათლე ვინ აანთო, ან ექიმები როდის შემოვიდნენ?“ გაოცდა რამაზ კორინთელი.

„ნუთუ, რაც ვნახე, ყველაფერი მოჩვენება იყო?“

- რომ იცოდეთ, როგორ შეგვაშინეთ! - ახლა ხომ კარგად გრძნობთ თავს? - ჰკითხა ღიმილით ბურაბ თორაძემ.

მოეჩვენა, რომ ექიმის აღელვებულ სახეს არაბუნებრივი ღიმილი ქაფივით ჰქონდა მოგდებული.

- ცუდი სიზმარი ვნახე, ალბათ იმიტომ ვბორგავდი, - თქვა ჩუმად. - შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ!

ბოლო სიტყვები მტკიცედ წარმოთქვა, ექიმების ყურადღებიანი სახეები აღიზიანებდა. უნდოდა მართო დარჩენილიყო.

- ცუდი სიზმრებისგან ჯანმრთელი კაციც არ არის დამღვეული. გთხოვთ, ნურაფერზე ნუ იფიქრებთ, სხვა მხრივ სახიფათო არაფერია!

ზურაბ თორაძე გატრიალდა. ექიმებმა უფროსი წინ გაუშვეს და თვითონაც დუმილით მიჰყვნენ.

რკინის კარი მძიმედ დაიხურა.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა, გულზე სევდა შემოაწვა. სხვის სხეულში შეყუჟულმა დავით გიორგაძის აღგზნებული ტვინის უკრედება საგანგაშო იმპულსები დაიჭირა. იგრძნო, რომ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი. და ერთსაც მიხვდა: საქმე გაცილებით რთულად იყო, ვიდრე მას ან მთავარ ექიმს ეგონა.

# თავი მეექვსე

- აი, ესაა თქვენი ბინა! - თქვა ზურაბ თორაძემ და რამაზ კორინთელს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, მართალია, აკადემიკოს დავით გიორგაძის ბინისთანა ვერაა, მაგრამ ახალგაზრდა კაცის პირობაზე მშვენიერი ბინააო.

ეს იყო ერთი კვირის წინ.

ზურაბ თორაძემ ჯერ კიდეს საღამოთი აუნცა კორინთელს, ხვალ დილით გაგნერთო.

იმ ღამეს თითქმის არ სძინებია. ღელავდა, ცოტა ეშინოდა კიდეც. მიხვდა, ფაქტიურად ხვალ დილიდან შეუდგებოდა თავის ახალ ცხოვრებას.

ზუსტად ცხრა საათზე ზურაბ თორაძე და სამი ახალგაზრდა ექიმი პალატაში შემოვიდნენ. ოთხივეს საზეიმო გამოხედვა ჰქონდა, მაგრამ მთავარ ექიმს მაინც გამორჩეულად უბრწყინავდა სახე.

- დადგა ისტორიული წუთი. ნახევარ საათში თქვენ დატოვებთ საავადმყოფოს შენობას და შეუდგებით სრულიად ახალ ცხოვრებას.

„ეს კაცი ექიმი რომ არ გამოსულიყო, მშვენიერი მსახიობი დადგებოდა“, - გაიფიქრა რამაზ კორინთელმა.

- დღევანდელი დღიდან, მართალია, შინ იცხოვრებთ, მაგრამ ჩვენი ყურადღება არ მოგაკლდებათ. მე და ასევე ჩემი კოლეგები პირველ თვეს ალბათ ყოველდღიურად გესტუმრებით, კონტროლი მაინც აუცილებელია. მართალია, საშიში არაფერია, მაგრამ ხომ მოგახსენებთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივთ. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დაგიბრუნოთ თქვენი სამივე კონვერტი. როგორც ხედავთ, ანდერძი აღარ დაგვჭირდება. -

მთავარმა ექიმმა თეთრი ხალათის ჯიბიდან კონვერტები ამოიღო და რამაზ კორინთელს გაუწოდა.

კორინთელს სახეზე რაღაც უსახური, არაფრისმთქმელი ღიმილი გამოეხატა, მთავარ ექიმს ხელი გაუწოდა და კონვერტები თითქოს დარცხვენით ჩამოართვა. უცებ სახეზე ღიმილი ნელ-ნელა წაეშალა, კონვერტებს გულდასმით დახედა. ორი პიუჟამოს ჯიბეში ჩაიღო. ერთი ნაკუნად აქცია. რატომღაც ნაკუნებიც ჯიბეში ჩაიკვუჭა და მთავარ ექიმს შეხედა.

- ახლა კი გთხოვთ, ჩაიცვათ. აი, თქვენი ტანსაცმელიც. - ზურაბ თორაძემ ერთ-ერთ ექიმს ჩანთა ჩამოართვა და ტანსაცმელი თავისი ხელით ამოალაგა.

- მოგეშველოთ ჩაცმაში?

- არა, ჩმით ცავიცვამ.

რამაზ კორინთელმა დაკვირვებით შეათვალიერა ტანსაცმელი, მიხვდა, ვისიც იყო. თავი ვერ მთოკა, სახეზე ზიზღი გამოეხატა. ხმა მაინც არ ამოიღო და შარვალს ხელი შეავლო.

მთავარ ექიმს არ გამოჰპარვია რამაზ კორინთელის ზიზღით აღსავსე გამოხედვა. უმაღლვე შეეცადა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

- ებოში ინგა გველოდება. ბინა უკვე გაამზადა, საჭმელიც გააკეთა. მე დავარიგე და ჩამოვუნერე, პირველ თვეს რა უნდა ვჭამოთ. ისე, ვაცმა რომ თქვას, არც შემიზღუდია. თქვენი ჯანმრთელობა გვაძლევს იმის მტკიცე საფუძველს, რომ ცოტა ღვინოც კი დალიოთ.

„ინგა!“ - მთავარი ექიმის სიტყვები შიგ გულში მოხვდა.

რატომ იმოქმედა ასე მძაფრად ინგას ხსენებამ? რატომ დაეუფლა რაღაც გაუთვისებელი სასიამოვნო მოლოდინი? ერთს კი მიხვდა რამაზ კორინთელი, ეს არ იყო დასთან შეხვედრის მოლოდინით გამოწვეული სიხარული.

მამ რა გრძნობამ აუჩქროლა სისხლი?

„სისულელეა!“ - დატუქსა საკუთარ თავი და ფიქრი სხვა საგნებზე გადაიტანა. არაფერი გამოუვიდა, თვალწინ კვლავ წერა, ცისფერთვალეუბა ინგა ედგა.

საავადმყოფოს ებოში, ინგა რომ კისერზე ჩამოეკიდა, თითქმის დარწმუნდა, რომ არ სცდებოდა. ქალიშვილის პატარა, მაგრამ მკვრივმა მკერდმა და ნაზმა ლოყამ კვლავ ვნებით წამოანთო. რამაზ კორინთელი არამართო გრძნობდა, ძარღვებში სისხლი როგორ დაუდიოდა, ხედავდა კიდევ აღმა-დაღმა მბრუნავ წითელ ნაკადებს.

ძმის გამოჯანმრთელების სიხარულით ატაცებულ ინგას კოცნაზე არ უპასუხა და კისერზე ჩამოკიდებული და უხეშად მოიშორა. ბედნიერებით გონებადაკარგულ ქალიშვილს არც უგრძნია ძმის უხეშობა.

„აი, ესაა თქვენი ბინა“ - ისევ ჩაესმა ყურში მთავარი ექიმის მიერ ერთი კვირის წინ წარმოთქმული ფრაზა.

იქაურობა მოათვალისწინებდა, თითქმის პირველად ხედავდა ერთთაბიანი, უფრო სწორად, ოთახნახევრიანი, სადად მონყობილ ბინას. თითქოს ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად არ იცოდა.

შვიდი დღის მანძილზე ან ინგა, ან სავარძელში მოკალათებული ყოველი მხრიდან მოზღვავებულ ფიქრებს იგერიებდა. უნდოდა, ზეციდან ფიფქებივით მომავალი ფიქრები ერთ გუნდად შეეკრა. თვითონაც გრძნობდა, გუნდა გიგანტური გამოსდიოდა. ზვავს უფრო ჰგავდა იქაურობას ნალექვით რომ ემუქრებოდა.

„აი, ესაა თქვენი ბინა“.

ოთახნახევრიანი ბინა.

ოთახის ერთი ფანჯარა ქუჩაში გადიოდა, მეორე ეზოში.

ჭერზე იაფფასიანი აბაჟური.

დივანი, ორი სავარძელი, წიგნების კარადა, მომცრო სერვანტი, პატარა გარდერობი, მაგიდა და ექვსი სკამი.

ყველაფერს გერმანული დამლაჰქონდა დაკრული.

„აღბათ, ესაა ეგრეთ წოდებული „საცხოვრებელი ოთახი, - გაიფიქრა კორინთელმა და ცარიელ წიგნების კარადას დაასო მხერა. მხოლოდ ერთ თაროზე ეყარა დაუდევრად ხუთიოდე წიგნი და კონსპექტები.

სამზარეულოს ერთი კედელი, იქ სადაც გაზის ქურა და ონკანიცაა მოთავსებული, აგრეთვე ტუალეტი და აბაზანა, თეთრი კაფელით იყო მოპირკეთებული, სამზარეულოში პატარა ცისფერი მაგიდა, ხის ოთხი ცისფერ ტაბურეტი და მაცივარი იდგა.

სულ ეს იყო რამაზ კორინთელის ავლადიდება. ბინაში ყველაფერი უბრალო და სადა ჩანდა, მაგრამ სიკოხტავე, ხალვათობა, სისუფთავე და სიმყუდროვე იგრძნობოდა, რაც ინგას დამსახურება იყო.

ამ ფონზე გაცილებით უფრო მეტიც, შეუსაბამოდ მდიდრულად გამოიყურებოდა რამაზ კორინთელის გარდერობი. პირველი ექვსი დღე არც დაინტერესებულა შეესწავლა თავისი ავლადიდება. ერთგვარ მიზლსაც კი გრძნობდა ყველაფრის მიმართ. ეზიზღებოდა ლოგინი, რომელშიც იწვა, ჭურჭელი, რომლითაც ჭამდა...

მხოლოდ მეშვიდე დღეს გადაწყვიტა გამოეღო გარდერობის კარი. ნაფტალინის უსიამო სუნი ეცა. ფანჯარა გამოაღო და ისევ კარადასთან მივიდა. კანადური ქურქი, ტყავის პალტო, , ტყავისავე შიჯაკი და კურტკები, ორი საბაფხულო და ორი ზამთრის ძვირფასი საფირმო კოსტიუმი, საფირმო პერანგები, სვიტრები და ფეხსაცმელები, ჯინსები, „ადიდასის“ სხვადასხვა თარგისა და სხვადასხვა ფერის პიჟამოები, სპორტული ფეხსაცმელები. იქვე, დაბლა იდო „ადიდასისავე“ ჩანთა, რომელშიც საჩოგბურთო კოსტიუმი და ჩოგანი ეწყო.

კარადის უკრა გამოაღო. ძვირფასი პირსახოცის შეკვრა ამოიღო. ემძიმა, პირსახოცები მაგიდაზე დაყარა და გაშლა დაუნწო.

უცებ გაოცებისაგან გამეშდა. პირსახოცების შეკვრის შუაგულში ცელოფანის პარკი იდო რევოლვერის ვაზნებით სავსე.

შემფოთებული სავარძელში ჩაჯდა. ცელოფანის პარკი ისევ ხელში ეჭირა.

„ნეტავ რომელი რევოლვერისაა?“ - გაიფიქრა და პარკში ხელი ჩაყო.

მოზრდილი ვაზნები ხელისგულზე აათამაშა.

„ტტ“ -სას ჰგავს“, - დაასკვნა და პარკი მთლიანად საწოლზე გადმოცალა. ვაზნები დათვალა, ორმოცდაათი იყო.

„სადაც ვაზნებია, იქ რევოლვერიც იქნება!“ - გაიფიქრა და ანერვიულებულმა მთელი ბინა გადააქოთა. რევოლვერი ვერ იპოვა. ცოტა დამშვიდდა. სანამ დაჯდებოდა, წიგნების კარადასთან მივიდა. სულ ხუთი წიგნი ეგდო იქ დაუდევრად, ხუთად ხუთი წიგნი! ხუთივე სანახევროდ დაგლეჯილი სახელმძღვანელოები აღმოჩნდა უმაღლესი მათემატიკასა და ფიზიკაში.

მწარედ ჩაიღიმა. ყდამოგლეჯილი წიგნი თვითონაც დაუდევრად შეაგდო კარადაში.

„ვინ არის რამაზ კორინთელი?“

„უფრო სწორად, ვინა ვარ მე?“

რევოლვერის ვაზნები, ყდამოგლეჯილი, გაქუცული სახელმძღვანელოები და მდიდრული ტანსაცმელი იძლეოდა დაფიქრებისა და განსჯის საბაბს.

ბოლოს გაბედა და უჭრიდან რამაზ კორინთელის პასპორტი ამოიღო. იქვე მანქანის მართვის უფლების წიგნაკიც აღმოჩნდა.

მთავარმა ექიმმა საავადმყოფოში პასპორტი რომ გაუნოდა, მედაც არ დაუხედაია.

ბურაბ თორაძე მიხვდა, აკადემიკოსის გონებაში რა ვნებათაღელვაც იფაფრებოდა და პასპორტი ისევ ჯიბეში ჩაიღო. შინ რომ მოიყვანა, მის დასანახად უტრაში ჩადო.

პასპორტისა და მართვის უფლების სურათებიდან კიდევ უფრო ახალგაზრდა რამაზ კორინთელი შემოსცქეროდა. იგრძნო, სურათები მიზლს ჰგვრიდა. თუმცა ვერ გაეგო, ენერგიული, ჯანსაღი, საკმაოდ ლამაზი ყმანვილი კაცის პორტრეტები ასე რატომ აღიზიანებდა. მიხვდა, მიუხედავად ბევრი ფიქრისა და ანალიზისა, მაინც ძნელი იყო აღექვა, რომ ის ბიჭი თვითონ გახლდათ, სურათებიდან რომ გამომწვევად შემოსცქეროდა.

უტრა გამოსწია. პასპორტი და მანქანის მართვის უფლების წიგნაკი დაუდევრად ჩაყარა და სავარძელში ჩაეშვა.

„უედდამო, ახალგაზრდა დის პატრონი, უნივერსიტეტის დაუსწრებელი ფაკულტეტის



სტუდენტი განა სად მუშაობდა, რომ ასეთი ძვირადღირებული მოდური ტანსაცმლის შესაძენი სახსრები გააჩნდა? განა მუშებს რა ხელფასები აქვთ თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში?

„იქნებ მშობლებმა დაუტოვეს მემკვიდრეობა?“

„რამდენადაც მთავარი ექიმისაგან კარგად ვარ გათვითცნობიერებული, მამაპაპური სახლი სოფელში ისევ შვილების კუთვნილებაა, არ გაუყიდიათ“.

რამაზ კორინთელს კვლავ მწარედ გაეღიმა. ის სახლი ხომ ახლა მისი კუთვნილება იყო.

„არა, ახალგაზრდა კაცი ამდენ ფულს პატიოსანი შრომით ვერ იშოვიდა!“

გველნაკბენივით წამოდგა, ვაზნებით სავსე ცელოფანის პარკი კვლავ პირსახოცებში გაახვია და უჯრაში ჩადო.

ინგა პირველ ორ დღეს ძმას არ სცილდებოდა, თავს ევლებოდა. რამაზ კორინთელი გრძნობდა, დის შემხედვარეს სხეული ცხელი სისხლით ევსებოდა. საკუთარ თავს ებრძოდა. არაფრით არ უნდოდა, შემოწოლილი გრძნობისათვის სახელი დაერქმია, არ უნდოდა თავის თავს გამოსტყდომოდა, რომ და... უყვარდა, უყვარდა არა როგორც და, არამედ როგორც ქალი.

ბოლოს განერვიულებულმა სრულიად უმიზეზოდ თეფში იატაკზე დაახეთქა და წამსხვრევებად აქცია.

- რა დაგემართა? - შეშინდა ინგა.

- არაფერი! - შეწუხდა რამაზ კორინთელი, - მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება. ახლა

ნადი. სამ დღეში ერთხელ მომაკითხე. ასე ჯობია, ხომ ხედავ, ჯერ კიდევ ვერ გამოვჯანმრთელდი. ყველაფერი მაღიზიანებს, ნერვებზე მშლის. მარტო რომ ვარ, უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს. ნელ-ნელა მიბრუნდება მეხსიერება... ბოდიშს გიხდი, უნებურად განწყენინე!

- ოღონდ შენ იყავი კარგად, მე ახლავე წავალ.

რამაზ კორინთელი სავარძელში ჩაჯდა და თავი ჩაჰკიდა.

ინგამ თეფშის ნამსხვრევები მოხვეტა, ვედროში ჩაყარა და გარეთ გაიტანა. მალე შემობრუნდა, სააბაზანოში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა და ძმასთან მივიდა.

- ახლა როგორ ხარ? - გაუღიმა სევდიანად.

- უკეთ. კიდევ გიხდი ბოდიშს. ხომ გჯერა, რომ შენი განაწყენება არ მინდოდა, თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

- არა უსავს. ყველაფერი კარგად იქნება. თუ დაგჭირდე, არ მომერიდო, იმავე წუთში დამირეკე.

- აუცილებლად დაგირეკავ. და, საერთოდ, მანამ ნუ მოხვალ, სანამ არ დაგირეკავ, კარგი?

ინგამ პასუხად გაუღიმა, აკოცა და წავიდა. წავიდა და ბინა უცებ დაცარიელდა. რამაზ კორინთელს გულზე სევდა შემოაწვა. ერთბაშად მტანჯველი გრძნობა დაეუფლა. სხეული რაღაცას სთხოვდა. ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა, რა იყო ეს „რაღაცა“. ერთს კი მიხვდა, სხეული იმ „რაღაცას“ განსაკუთრებით მაშინ სთხოვდა, როცა რაიმე გაანერვიულებდა. აი, ახლაც, ინგას წასვლის შემდეგ, ისევ შეიპყრო ტანჯვამ, ისევ გაუხურდა სხეული.

ენერჯიანართმეული დივანზე მიეგდო, თვალეზი დახუჭა და ფიქრმა გაიტაცა.

რას სთხოვდა სხეული? იქნებ ქალთან წოლა სურდა?

რასაკვირველია სურდა, მაგრამ ახლა რომ სხეული უხურდა, ქალის წყურვილით არ იყო გამონვეული.

ქალისადმი ლტოლვა თან უხაროდა, თან ეუხერხულებოდა კიდევ.

ვნების სიმხურვალე პირველად ოპერაციიდან მეთუ დღეს იგრძნო, როცა ექთანმა ნემსი გაუკეთა. პატარა, შემოდგომის მწყერივით ჩასუქებულ გოგონას თეთრი ხალათის ცალი საყელო შიგნით ჩაჰკეცოდა და მკვრივი, ნახევარსფეროსებრი მარცხენა ძუძუ თითქმის მთლიანად მოუჩანდა.

ოფლმა დაასხა, ლოყაზე ალი მოედო, ეგონა, ისეთი მკრთალი ფერის ცეცხლით იწვოდა, სპირტი რომ იწვის ხოლმე. ერთი სული ჰქონდა, ხელი ეტაცნა, ლოგინზე წამოეწვინა, თეთრი ხალათი მთლიანად ჩაეხსნა და მკერდზე დაჰკონებოდა.

უცებ საშინელმა სირცხვილის გრძნობამ შეიპყრო, გონებამ უხილავი თოვით შეკრა და განძრევის იმედიც გადაუწერა. ვნებამ ზღვის უკუქცევასავით უკან დაიხია. რამაზ კორინთელმა თავისი თავი მკაცრად დატუქსა და ფიქრი სხვა საგანზე გადაიტანა.

თავდაპირველად ეგონა, თავი იოლად დავიმორჩილეო, მაგრამ ხვდებოდა, ზღვის უკუქცევის შემდეგ კვლავ მოქცევა იწყებოდა. ზღვა თითქოს უთვალავ ფეხზე დგებოდა და ნაპირისკენ წელა, მაგრამ მძლავრად მოისწრაფოდა.

მხოლოდ ახლა, ამ წუთში მიხვდა, რომ მის არსებაში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა გონებასა და სხეულს შორის.

ოცდასამი წლის ხომ ადრეც ყოფილა? განა მაშინ აკლდა ტემპერამენტი?

ვნებათაღელვის ნაკლებობას არასდროს უჩიოდა, მაგრამ ყოველთვის თავშეკავებული ჭაბუკი იყო. საკუთარი ვნებების მოთოკვა არასდროს გასჭირვებია.

ახლა?

ახლა როცა სხვის სხეულში გადაბარგდა, ძველებურად დაიმორჩილებს მონოლილ ვნებას და ნერვებს?

იქნებ თავშეუკავებლობა და ექსპანსიურობა რამაზ კორინთელის სხეულის თვისებაა? მისი გენია?

კიდევ რა თვისებებს გამოამჟღავნებს მისი სხეული?

და თუ გიორგაძე-კორინთელის არსებაში მართლაც გაჩნდა ანტაგონიზმი, თუ მისი ჭაბუკური ორგანიზმი და შვიდი ათეული წლის მანძილზე დაბრძნებული გონება ვერ მორიგდნენ? თუ ა რ მოხდა ტემპერამენტის და ინტელექტის ბალანსირება, მაშინ?

„მაშინ?“

„მაშინ?“

„მაშინ?“

რამაზ კორინთელი ფიცხლად წამოიჭრა და საფეთქლებზე ხელები მოიჭირა. გამწარებულს უნდოდა დამურებივით წამოშლილი ფიქრები ერთმანეთზე მიეჭყლიტა და ჩაეხოცა.

\* \* \*

კედლები თითქოს ნელ-ნელა ჩამოინგრა. მთელი ქალაქი სადღაც გაქრა, უკიდევანო უდაბნოში ჩაიშალა. საავადმყოფოს რკინის სარეცელზე მწოლიარე მაღლა იცქირებოდა. ზემოდან, უსასრულო სიმაღლიდან შორეულ, წრიულ ჰორიზონტამდე, შავი წყვდიადის ნახევარსფერო ჰქონდა გადმომხობილი.

უცებ ჰორიზონტზე ნახევარსფეროს ნაპირები მენამულად შეიღება. მენამულ ფერსა და შავ ფერს შორის დიდი მუქი ცისფერი, უფრო სწორად, მოლურჯო ფერის სარტყელი გაჩნდა.

მენამული ფერი თითქოს ქვემოდან აწვებოდა მოლურჯო სარტყელს და სულ მაღლა და მაღლა მიიწვდებოდა, შავ ფერს თანდათანობით ავიწროებდა. ბოლოს მენამულმა ფერმა ჯერ შავი ფერი განდევნა, შემდეგ გუმბათის წვერზე მოქცეული ლურჯი ფერიც თანდათან მაღლა აისროლა და მთლიანად მენამულ გუმბათად გადაიქცა, თავზე კი ლურჯი რგოლის გვირგვინი დაიდგა.

საიდანღაც ადამიანის ჩუმი ლაპარაკი შემოესმა.

„ღმერთო ჩემო, ვინ არიან?“

ხმებზე გაარჩია, ოთხი თუ ხუთნი უნდა ყოფილიყვნენ.

ისინი ჩუმად და საქმიანად ლაპარაკობდნენ. ერთი თითქოს ბრძანებებს იძლეოდა. რაღაც რკინის ინსტრუმენტის ჩხაკუნის ხმაც კარგად გაიგონა. ერთხანს სხეული ისევ შეიგრძნო, ლაპარაკიც უფრო ხმამაღალი მოეჩვენა, კედლის ქვეშ ათასმა ჭინჭარმა დასუსხა, მერე თითქოს ვიღაც თავის ქალიდან თმის ძირებს სწინწნიდა.

უცებ სხეულში ისევ დაუარა სითბომ, ისევ დაკარგა სხეულმა წონა, ისევ სივრცეში გადაეშვა ლაღად. ნარინჯისფერი გუმბათი უფრო ამაღლდა, ნელნელა გიგანტური კონუსის სახე მიიღო, მისი წვერი ლურჯი რგოლის შუაში აძვრა და შავი ლაპლაპა სივრცე გახია. ნარინჯისფერი კონუსის ირგვლივ მოლაპლაპე შავი სივრცე ვიდაცის უხილავმა ხელმა შავ ფარდასავით ჩამოხია და კონუსის წვერი ვარსკვლავებს შესწვდა.

დავით გიორგაძეს თავბრუ დაეხვა. მიხვდა, უკიდევანო სივრცეში საშინელი სისწრაფით მიჰქროდა.

არ იცის, რამდენ ხანს იფრინა ასე აღმა-დაღმა.

ირგვლივ საშინელი სიჩუმე იყო გამეფებული. ყურში მხოლოდ რაღაცის ოდნავ გასაგონი შხული ჩაესმოდა. მერე სხეული თითქოს ნელნელა დაუმძიმდა და ქვესკნელში დაეშვა. შხული გაძლიერდა, ყურებმა წივილი დაუნწო, საფეთქლები დახეთქვაზე ჰქონდა. შიშმა აიტანა, ზეცას გახედა. ვარსკვლავებით მოგუმბათებული ცა აღარ ჩანდა. ყველაფერი მოლაპლაპე შავმა ფერმა დაიმონა. ქვემოთ მაინც გაარჩია უზარმაზარი კლდე, თანდათან ზემოთკენ რომ მოისწრაფოდა. შიშისაგან თვალები დახუჭა, ცოტაც და ქიშ საშინელი ძალით დაენარცხა. თვალი გაახილა და კარგად დაინახა, დაცემის ხმა წყლის ზვირთებივით როგორ აიჭრა თვალუნვდენელ სიმაღლეზე.

მერე კლდეც გაქრა, ირგვლივ სიცარიელე გადაიშალა. ეს არ იყო სივრცე. ეს იყო მხოლოდ სიცარიელე, აბსოლუტური სიცარიელე, გრავიტაციიდან დანწყებული, ყველა იმ მოვლენის გარეშე, რაც დღევანდელმა ასტროფიზიკამ იცოდა, სივრცე - დროის ირგვლივ. სამყარო იქცა არაფრად.

„იქნებ ესაა სიკვდილი?“

„აღბათ, ვერ გააკეთა ოპერაცია. აღბათ სძლია დალუპვის ოცპროცენტიანმა შესაძლებლობამ გადარჩენის ოთხმოცპროცენტიან შანსს?“

„და თუ მოვკვდი, როგორღა ვაზროვნებ?“

„სული?“ იქნებ მართლა არსებობს სული, რომელიც მიისწრაფვის დროისა და სივრცის მიღმა?“

„რამდენი დრო გავიდა? მაგრამ გადის კი დრო იქ, სადაც არ არსებობს დრო?“

„რა ხმები მესმის? თითქოს ადამიანები ლაპარაკობენ“.

„ამ, მიწიერ ადამიანისთვის წარმოუდგენელ სიჩუმეში მეჩვენება, თუ მართლა ლაპარაკობენ ჩემს ირგვლივ?“

ოპერაცია თითქმის მთავრდებოდა, თვალი რომ გაახილა. მისმა თვალებმა ფოტოაპარატის ობიექტივით უგრძობლად დაინახა ყველაფერი. ტვინი ჯერ კიდევ გამოთიშული იყო.

გავიდა კიდევ რამდენიმე საათი და სხეულმა უმნიშვნელო ტკივილი იგრძნო, ტკივილი ნელ-ნელა იზრდებოდა. თვალებიც უკვე ამჩნევდნენ საგნებს, ამჩნევდნენ ბუნდოვნად, ერთ ფერში და ერთმანეთში გათქვეფილად. ნაოპერაციევ სხეულს თანდათან დაუბრუნდა ბუნებრივი ფერი, სახეზე ჯერ ლოყები გამოცოცხლდა, შემდეგ ტუჩები, ცხვირი და ბოლოს თვალის უპეებსაც დაეტყო სიცოცხლის ნიშანწყალი.

თვალის ფოკუსები ვიდაცის უხილავმა ხელმა ძალზე ნელა, უმნიშვნელოდ ნელა, მაგრამ მაინც გაასწორა.

ავადმყოფი არ განძრეულა, არც თვალები დაუხამხამებია, პირდაპირ იყურებოდა და მხოლოდ იმ საგნებს ხედავდა, რომლებიც მისი თვალებიდან სივრცეში გასული კონუსის ფარგლებში იყო მოქცეული.

პირველ პლანზე ხუთი თეთრი ფიგურა გაარჩია.

„რა ხდება? სადა ვართ?“

„განძრევა რატომ არ შემოიძლია? ვითომ შეკრული მაქვს ხელ-ფეხი?“

„ხელ-ფეხი რომ შეკრულიც მქონდეს, განძრევას მაინც მოვახერხებდი?“

„იქნებ ხის დაფაზე დამანებეს რაღაც საშინელი ნებოთი?“

„ეს ხუთი თეთრი ფიგურა რაღაა ან ვინაა? ნუთუ ადამიანები არიან?!“

„ასე რატომ მცევა თავზე?“

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავზე ყინულის სქელი ფენა ჰქონდა შემოკრული.

ყინული ნელ-ნელა გადნა. სითბო ჯერ კანმა იგრძნო, მერე ტვინშიც შეაღწია.

ვიღაცამ ფოკუსი კიდევ უფრო გაასწორა.

საეჭვო აღარაფერი იყო, თავზე ხუთი თეთრხალათიანი კაცი ადგა.

ყინული მთლიანად გადნა, ტვინი კიდევ უფრო გაუთბა, ოდნავი შვება იგრძნო, მაგრამ დროებით. თუ აქამდე ყინულის მარწუხებს გრძნობდა, ახლა თავი ერთბაშად გავესოცხელი ორთქლით, ასე რომ აწვებოდა კეფასა და საფეთქლებს.

თავის ტკივილმა ისევ დაუბნელა თვალი. მოშიშინე ორთქლი ყურებიდან და საფეთქლებიდან თითქოს გამოვარდნას ლამობდა.



წნევა უფრო და უფრო იზრდებოდა. ყურები საშინლად უწიოდა. საფეთქლის ძარღვები ასფალტზე ამოხეთქილ ხის ფესვებს დაემსგავსა.

უცებ თავში ვიღაცამ წემსის სისხო ელექტრობურღით ხვრელი გაუკეთა, საიდანაც ერთბაშად გაიჭრა ცხელი ორთქლი.

ენით აუნერელი შვება იგრძნო. ცხელი ორთქლით დათუთქული და გამლღვალი ტვინის ზედაპირი ნელ-ნელა ისევ დაუნაოჭდა. გარკვევით გაიგონა ადამიანების ჩურჩულის მაგვარი, მაგრამ მტკიცე და საქმიანი ლაპარაკი. დაძაბულმა უფრო მიუგდო ყური მათ ნანწყვეტ-ნანწყვეტ გამონათქვამებს. საეჭვო არაფერი იყო. ბრძანებებს ზურაბ თორაძე იძლეოდა.

\* \* \*

„რა ვქნა ახლა?“

ეს იყო ალბათ მემილიონე, ამავე დროს პირველი შეკითხვა, რომელიც ოპერაციის შემდეგ თავის თავს დაუსვა.

- რა ვქნა ახლა? - გაუმეორა იგივე შეკითხვა მორიგ შემონმებაზე მოსულ ზურაბ თორაძეს.

- როგორ თუ რა ქნათ? - გაოცდა მთავარი ექიმი და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. ამ შეკითხვას მისვამთ ოცდასამი წლის ჭაბუკი და, ამავე დროს, აკადემიკოსი?

- საქმე უფრო რთულადაა, ბატონო მთავარო ექიმო, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ!

ზურაბ თორაძემ ღრმა ნაფაზი დაარტყა, ბოლი ცხვირიდან ორ ტოტად გამოუშვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეუბნებოდა, ილაპარაკე, გისმენო.

რამაზ კორინთელი ისევ შეიპყრო იმ ნაცნობმა უსიამოვნო გრძნობამ, მხურვალე წყურვილმა, განსაკუთრებით ნერვიულობის დროს რომ ეუფლებოდა ხოლმე. სხეულს თითქოს რაღაც აკლდა, ორგანიზმი თითქოს რაღაცას სთხოვდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, რას სთხოვდა. ვერ მიმხვდარიყო, რით მოიპოვებდა იმ უსიამო განცდას, გუნებას რომ უნამლავდა, ღამით რომ ძილს უტეხავდა.

თითქოს ერთბაშად გაუნათდა გონება, როგორც კი ნიკოტინის სუნი იგრძნო, მიხვდა, სხეული რასაც სთხოვდა.

- სიგარეტი მომანწვინეთ!

ზურაბ თორაძემ პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გაუნოდა. რამაზ კორინთელმა ისე ოსტატურად ამოაძრო სიგარეტი და ისე ლამაზად მოუკიდა, თვითონაც ვერ დამალა გაოცება.

რა ნეტარებით დააბრტყა პირველი ნაფაზი. რა ნეტარებით ამოისუნთქა სხეულმა!

- როგორ, თქვენ ეწვეით? - უცებ გამოერკვა მთავარი ექიმი.

ვინ მე?

- თქვენ... - დაიბნა ზურაბ თორაძე, საშინლად არ მოეწონა რამაზ კორინთელის ბოროტი გამოხედვა.

- აი, ხედავთ, თქვენც კი ვერ გაგიკვევიათ ბოლოს და ბოლოს, ვინა ვარ მე. აკადემიკოსი დავით გიორგაძე თამბაქოს არ ეწეოდა, რამაზ კორინთელის სხეულს კი ნიკოტინის ცხოველმყოფელი ზემოქმედების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ამდენი ხნის მანძილზე რაღაც მანუხებდა, რაღაც მტანჯავდა. ვხვდებოდი, სხეული რაღაცას მთხოვდა.

ვერაფრით ვერ გამოვიცანი, რა მიღრღნიდა გულსსხეული რაღაცას მთხოვდა. ვერაფრით ვერ გამოვიცანი, რა მიღრღნიდა გულს. ვერ გამოვიცანი, რადგან არ ვიცოდი, თუ ნიკოტინის წყურვილი ასეთი უსიამო გრძნობით მუღინთავდა, თავბრუს მახვევდა, გუნებას მინამლავდა. აი ახლა, უკვე მესამე ნათაბი რომ დავარტყი, საოცარი შვება ვიგრძენი. თქვენ რომ დღეს ჩემთან სიგარეტი არ მოგენიათ, რაც სხვა დროს არ გაგიკეთებიათ, ალბათ ქუჩაში გასვლამდე ვერ მიხვდებოდი, რა მანამებდა. აი, რა მალეღვებს და მაცოფებს მე!

- ეგ ხომ ბუნებრივი მოვლენაა! - გაღიმება სცადა მთავარმა ექიმმა.

- უფრო მეტი, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ბუნებრივი მოვლენა! - გაცოფდა რამაზ კორინთელი, - მოდით, ვიმსჯელოთ. მე თამბაქოს არასდროს არ ვწვნიდი, თქვენ კი მარწმუნებდით, მართო ტვინია ადამიანიო, ტვინი განაგებს სხეულს, ყველა დანარჩენი ორგანო დეტალებიაო. როგორც ხედავთ, დეტალებს ჰქონია თვისებები, საკუთარი მოთხოვნილებები. სხვათა შორის, მე რომ ახლა ასე გაცოფებული ვლაპარაკობ, ესეც ამ სხეულის გულისა და ნერვული სისტემის მიზეზითაა გამოწვეული. ადრე ქვეყანაზე არავის უნახავს გაცოფებული დავით გიორგაძე!

დუმილი ჩამოვარდა.

ბურაბ თორაძე დაიბნა. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა.

- ბუნებრივია, - დაიწყო უცებ ისეთი ხმით, თითქოს თავს იმართლებსო, - ბევრ მოვლენას, უფრო ზუსტი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ბევრ წვრილმანს ვერ გავითვალისწინებდით. რასაკვირველია, სხეულის, თანაც სხვისი სხეულის სიახალგაზრდავე და სიჯანმრთელე ბევრ ახალგაზრდულ თვისებას გამოავლენს, რაც თავდაპირველად უჩვეულო და შეუფერებელი მოეჩვენება თქვენს გონებას. ოპერაციიდან ხომ სულ ორიოდე თვე გავიდა. ასე ერთბაშად როდი დაბალანსირდება სიდარბაისლე და სიჭაბუკე. ვფიქრობ, რამდენიმე

თვის, ბევრი-ბევრი, ერთი წლის თავზე გარკვეული ფუნქციური ანტაგონიზმები თქვენს არსებაში სამუდამოდ გახდება ჰარმონიული. კიდევ ხომ არ ინებებთ სიგარეტს?

რამაზ კორინთელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. განვდილი კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და კვლავ ხარბად გააბოლა.

- ჯობია, სიგარეტის კოლოფი მთლიანად მე დამიტოვოთ. თქვენ კიდევ იყიდით ქუჩაში! - წარმოთქვა უცებ როყიოდ, თითქმის ბრძანებით.

მთავარმა ექიმმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ისევ ამოიღო და ჭაბუკს გაუნოდა.

რამაზ კორინთელმა კოლოფი ჩამოართვა და დაუდევრად მიაგდო მაგიდაზე.

- იქნებ ეგ იაპონური კვესიც გეჩუქებინათ ჩემთვის?

- ბატონი ბრძანდებით.

ზურაბ თორაძემ კვესი ამოიღო და კორინთელს გაუნოდა.

რამაზმა კვესი დაკვირვებით შეათვალიერა, რამდენჯერმე აანთო და ბოლოს ისიც მაგიდაზე დადო.

- კიდევ რით შეგიძლიათ დამამშვიდოთ? - ჰკითხა მთავარ ექიმს დამცინავად.

- მე ვარგად მესმის თქვენი ნერვიულობის მიზეზები, - მცირეოდენი პაუზის შემდეგ ძლივს ამოღერდა შეფიქრანებულმა მთავარმა ექიმმა, - ახლა თქვენს არსებაში ერთმანეთს ებრძვის ორი ხასიათი, ორი პიროვნება. არა, მე არ ვამეტებ! ორი პიროვნება კი არა, ერთი პიროვნება, ოღონდ რთული, გაორებული. გაორებული, მხოლოდ ჯერჯერობით.

გარკვეული დროითი, რამდენიმე თვით, თუნდაც, მაქსიმუმ, ერთი წლით. გაორებული უცხო სხეულის გამო, რომელიც ჯერ თქვენ ვერ აღიქვით, ვერ შეიგუეთ. ხომ ჩაგისვამთ კბილები? - ჰკითხა უცებ კორინთელს.

- ვის? მე, რამაზ კორინთელს? - დამცინავად წარმოთქვა ჯაბუკმა და თან ბურაბ თორაძეს თავისი მსხვილი, ჯანსაღი, თეთრი კბილები დაანახა.

- სრულებითაც არ ვარ ხუმრობის გუნებაზე! - უცებ კოპები შეიკრა მთავარმა ექიმმა, - თქვენ, დავით გიორგაძეს, ხომ ჩაგისვამთ ადრე კბილები? განა ჩასმის დღიდანვე შეპყვებიხართ უცხო სხეულს პირის ღრუში? ხშირად ორი და მეტი თვეცაა საჭირო, რომ ხელოვნური კბილები თქვენი სხეულის ორგანული ნაწილი გახდეს. განა შეიძლება ტვინის გადანერგვა კბილის ჩასმას შევადართო და გავუთანაბროთ? არა და არა! არასგმის არა! ასე რომ, ნუ ღელავთ. დრო ყველა უსიამოვნო შეგრძნებას დაგავინწყებთ.

- დამავინწყებს ვი? უკვე ეჭვი მეპარება. მე არ ვიცი, რა იქნება ხვალ და ზეგ!

ისევ დაუღრინა მთავარ ექიმს რამაზ კორინთელმა. ისევ ბოროტად გაიელვა მსხვილმა, თაფლისფერმა თვალებმა, წელან რომ ასე არ მოეწონა ბურაბ თორაძეს.

- ჯერ კიდევ ოპერაციის წინ შევეგუე, რომ გადავსახლდებოდი სხვის სხეულში. ვიცოდი, რომ ვიღაც ქალიშვილი, რომელიც არასდროს არ მენახა, გახდებოდა ჩემი და. სამაგიეროდ, ჩემი მეუღლე აღარ იქნებოდა ჩემი მეუღლე. ჩემი შვილი აღარ იქნებოდა ჩემი შვილი. აღარ მექნებოდა რეგალიები, წოდებები, პრემიები, ჯილდოები. ოპერაციის პირველი დღიდანვე მე ვხდებოდი რამაზ კორინთელი. დიახ, ბატონო მთავარო ექიმო, ამ ფერიცვალებას მე კარგად ვიყავი შეგუებული. უფრო მეტიც! ჩემი დღევანდელი ცხოვრება იმ ჯაშუშის ან სისხლის სამართლის ბოროტი დამნაშავის მდგომარეობა არ გეგონოთ, სხვისი პასპორტით რომ დანავარდობს. მოგეხსენებათ, პასპორტი არ ცვლის საქმის ვითარებას. მე ჯერ სხეული შევიცვალე და მერე პასპორტი. დიახ, ყველაფერი ეს

მშვენივრად ვიცოდი და შევეგუე კიდევ. მაგრამ მთავარი თურმე წინ ყოფილა! მართლა, როგორ არის ჩემი უნივერსიტეტის საქმე? - მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა რამაზ კორინთელმა.

მთავარ ექიმს გულზე მოეშვა. მიხვდა, უსიამოვნო საუბარი დამთავრდა.

- კარგად, ძალიან კარგად! რექტორმა ყურადღებით მომისმინა. გულწრფელად რომ გითხრათ, არც კი დაიჯერა თქვენი ცოდნის და ნიჭიერების ამბავი. სექტემბერში საშუალებას მოგცემთ, მესამე კურსი დახუროთ. მერე განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აგიყვანთ. ერთი სიტყვით, წინ დიდი მომავალი გაქვთ! - ზურაბ თორაძემ შეთქმულივით ჩაიცინა. - მანამდე კი, აი, ეს ინებეთ...

მთავარმა ექიმმა კორინთელს კონვერტი გაუწოდა.

კორინთელმა კითხვის ნიშნით შეხედა.

- ცოტაოდენი ფულია, გთხოვთ, ნუ იუხერხულებთ. ბიულეტენით ხელფასის ნაწილი გერგებოდათ. თუ ტრავმა დაუდევრობით არ მიგიღიათ, ბოდიშს ვიხდი, თუ ტრავმა ჭაბუკ რამაზ კორინთელს თავისი დაუდევრობით არ მიუღია, პენსიაც კი გერგებათ. აბა, ბიულეტენი რას გიშველით. ამიტომ განსაზღვრულ თანხას ყოველთვიურად მიიღებთ. თქვენ ხომ არავითარი წყარო არ გაგაჩნიათ შემოსავლისა. აქ იმდენი არ არის, რომ აკადემიკოს დავით გიორგაძეს ეყოს, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ჭაბუკი რამაზ კორინთელი დააკმაყოფილოს.

- სასტიკად ცდებით, ბატონო მთავარო ექიმო! - კორინთელმა უკვე მოასწრო კონვერტში ჩახედვა და დაუთვლელად გამოიყნო, იქ რამდენიც იდო, - თქვენს მიერ შემოთავაზებული თანხა თავისუფლად ეყოფოდა აკადემიკოს დავით გიორგაძეს. მესამე კურსის სტუდენტ რამაზ კორინთელს კი ერთ კვირასაც არ ეყოფა. ასე რომ, მოგინევთ

საბოძვარი ხუთჯერ მაინც გამიზარდოთ! - რამაზ კორინთელმა ფული ჯიბეში ჩაიდო, ხოლო კონვერტი უკან დაუბრუნა მთავარ ექიმს.

- ეს როგორ გავიგოთ?

- განა მე ორაზროვნად ვთქვი რამე?

- კი, მაგრამ...

- არავითარი მაგრამ! - შეაწყვეტინა კორინთელმა.

ბურაბ თორაძე ისევ დათრგუნა ჭაბუკის სახეზე გამოსახულმა ზიზღნარევმა მრისხანებამ.

- ვარგად მოგეხსენებათ, რა ჯდება ბაჭიებისა და ძაღლების შენახვა საექსპერიმენტოდ. ჩემისთანა საექსპერიმენტო „მასალა“ კი, დამერწმუნებით, მსოფლიოში არავის ჰყოლია. მე თქვენ მოგანიჭეთ მეცნიერული უკვდავება. კეთილი ინებეთ და თვიური ნორმა ხუთჯერ გამიზარდეთ. ახლა კი წაბრძანდით, საღამოსათვის სიგარეტები და ერთდროული „დახმარება“ მომიტანეთ. იცოდეთ, თანხა სოლიდური უნდა იყოს, თორემ ხომ არ გავიწყდებათ, კანონი არ ითვალისწინებს ტვინის გადანერგვის ოპერაციას. იმედი მაქვს, საქმეს საშანტაჟოდ არ გამიხდით. გაოცებული ნუ მომჩერებხართ, თქვენ ახლა გელაპარაკებათ არა აკადემიკოს დავით გიორგაძის გონება, არამედ რამაზ კორინთელის გენი!

მთავარმა ექიმმა რამაზ კორინთელის გამოხედვაში ისევ დაიჭირა ბოროტების პატარა შავი ნაპერწკლები.

\* \* \*

მეორე საღამოს ერთბაშად გადაწყვიტა, ქუჩაში გამოსულიყო. არად ჩააგდო მთავარი ექიმის დარიგება, კიდევ ხუთიოდე დღე თავი შეიკავე ქუჩაში სეირნობისგანო. მღელვარებამ შეიპყრო. ფეხზე სწრაფად წამოდგა და გარდერობისკენ გაემართა. ცდილობდა, მღელვარება დაეოკებინა. ეშინოდა, ვაითუ გარეთ გასვლა გადავიფიქროო.

გარდერობთან ფიცხლად მივიდა, კარი გამოაღო და ტანსაცმელი ჩაათვალიერა. ხაკისფერი შარვალი ჩამოიღო, სამხრეებიანი საფირმო პერანგი შეარჩია და სწრაფად ჩაიცვა. ჯერ კიდევ საავადმყოფოში ჩატარებულმა სამკურნალო ვარჯიშებმა, შემდეგ კი ერთი კვირის მანძილზე ეზოში სეირნობამ სწრაფად მოაღონიერა სპორტული აღნაგობის ჭაბუკი. ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო გამოჯანმრთელებული, მაგრამ ახალგაზრდა სხეულის მოქნილობამ და ძალამ ნეტარების ბურანში გაახვიო. ფული, სიგარეტის კოლოფი და იაპონური კვესი ჯიბეში ჩაიდო და კარი დინჯად გამოაღო. კიბეზეც დინჯად ჩავიდა, თუმცა მისი მუხლები სისუსტეს უკვე დიდი ხანია აღარ გრძნობდა.

ტაქსის გაჩერებასთან მივიდა.

- რუსთაველებე! - დინჯად უთხრა შოფერს, საზურგეს მიანვა და სიგარეტი ნეტარებით გააბოლა.

საღამოს შვიდი საათი თუ იქნებოდა. მაისის ბოლო იყო, მაგრამ საკმაოდ გრილოდა.

რამდენიმე წუთში ტაქსმა რუსთაველის მოედანზე დაამუხრუჭა. რამაზ კორინთელი ჯერ გადმოვიდა, ფული მერე გადაიხადა. ტროტუარზე დინჯად ავიდა და ირგვლივ მიმოიხედა. ნაცნობი ვერავინ დაინახა. ისევ შეიპყრო მღელვარებამ, რამდენი წელი იქნებოდა, რუსთაველის პროსპექტზე ფეხით არ გაველო. ალბათ, ოცდაათი წელი მაინც, თუ მეტი არა. შავი ფიქრები ისევ წამოიშალნენ ყოველი მხრიდან, ისევ ჩამობნეულა ცა, მაგრამ შავი, სველი და მძიმე ღრუბელი მზის სხივებით უმაღლვე გაიფლითა და გონებაში ღურჯი ფერი ჩაიღვარა. თანდათან იმატა ღურჯმა ფერმა. შავი და სველი, უსაშველოდ მძიმე ღრუბლები მთებს იქით გადაიკარგნენ.



ენით აუნერელი შვება და ხალისი იგრძნო. სიამოვნებდა ტანის სიმსუბუქე. გრძნობდა, ძარღვებში სისხლი ხალისით უჩქეფდა. სისუსტე კუნთებს აღარ უბორკავდა. სხეულის ელასტიურობა და ღონე ნეტარებით ავსებდა. ყველაფერი მოსწონდა რამაზ კორინთელს, მანქანების ხმაურიცა და ფეხით მოსიარულეთა ურიაშულიც, ბალერინების მსახიობური ყელმოღერებელი ქალიშვილებისა და თავანუელი, ცოტა გამომწვევი სიამაყითა და უდარდელი ნაბიჯებით მოსეირნე ჯაბუკებიც.

„რა ლამაზები არიან, რა მოქნილები, რა მშვენიერი და კარგი თაობა გვეზრდება!“ - ამბობდა გუნებაში და მერეღა აგონდებოდა, რომ თვითონაც მათი ასაკისა იყო, მათი ტოლი. მერე რა, რომ დაბრძენებული კაცის განსჯა და განათლება ჰქონდა. განა ეს კიდევ უფრო არ ამშვენებდა მის პიროვნებას, მის სიტაბუკს, მის ახალგაზრდა დაკუნთულ სხეულს?

დავით გიორგაძე მიხვდა, რომ დღეს, ახლა, ამ წუთში პირველად შეიგრძნო ბოლომდე თავისად სხვისი სხეული; პირველად, სამუდამოდ და მტკიცედ შეერთდა ორი გამოსახულება ერთ ნათელ, მკაფიო გამოსახულებად, როგორც ეს ფოტოაპარატის ფოკუსის დაყენების დროს ხდება ხოლმე.

პროსპექტს მსუბუქად, მაგრამ მშვიდად ჩაუყვია. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, უნდოდა ვინმე ნაცნობი დაენახა. რომელიმე მეგობართან შეხვედრის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, იმასაც კი აღარ ფიქრობდა, რომ შეხვედროდა, რა უნდა ექნა: მისალმებოდა, შეეჩერებინა, გამოლაპარაკებოდა...

ნაბიჯი შეანელა, წელში კიდევ უფრო გაიმართა, მკერდი წინ გამოაგდო. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს უნდოდა ყველა ჯაბუკისათვის ეგრძნობინებინა თავისი უპირატესობა.

ვილაც მიესალმა.

ვერ იცნო, ვინ იყო. თავი მძიმედ დაუქნია.

„ალბათ, ვინმე შორეული ნაცნობი იყო, ჩემი ავადმყოფობის ამბავი რომ არ იცოდა, თორემ გამაჩერებდა და მომიკითხავდა“, - დაასკვნა კორინთელმა და უცებ შეკრთა. მიხვდა, რაც გაიფიქრა, მიხვდა, ვინც მიესალმა, რამაზ კორინთელის ნაცნობი იყო, ხოლო დასკვნა, რომელიც მან გამოიტანა, რამაზ კორინთელს ეკუთვნოდა და არა აკადემიკოს დავით გიორგაძეს. მიხვდა, რომ იგი ახლა უკვე ნამდვილად რამაზ კორინთელი იყო.

უცერად ვიღაცის ორმა თვალმა ზურგი გაუხვრიტა.

რამაზ კორინთელი შედგა და შემდეგ ვითომც აქ არაფერიყო, ნელა შემობრუნდა.

უცნობი ჭაბუკი, ვინც ასე დაუინებით მიშტერებოდა, „ბარია ვოსტოკას“ შენობის გვერდით იდგა.

რამაზ კორინთელმა ჯერ თვალი გაუსწორა უცნობს, მაგრამ უმაღლვე აარიდა. ჭაბუკის გამოხედვამ ისე დასწვა, როგორც გამადიდებელი შუშის ფოკუსში თავმოყრილი სხივები სწავს ხოლმე შეშვერილი ხელის მტევანს.

„ასე დაუინებით რომ მომჩერებია, ვითომ მიცნობს?“

შემკრთალი დინჯად შებრუნდა და გზა წელანდელივით ნელი ნაბიჯით გააგრძელა.

„თუ ნაცნობია ან მეგობარი, რატომ არ მოვიდა და არ მომესალმა?“

„იქნებ ჩემგან ელოდა სალამს?“

„ავად მე ვიყავი, ეგ ხომ არ ყოფილა. ნესით, თუ მართლა ნაცნობია ან მეგობარი, უნდა გავჩერებინე, მოვეკითხე“.

„იქნებ მომეჩვენა? ან იქნებ ვიღაც თავის შორეულ ნაცნობში ამრია?“

ოცდახუთი თუ ოცდაათი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ისევ უკან მიიხედა.

აღარც რედაქციის შენობა ჩანდა, აღარც ის უსიამოვნო გამომეტყველების ჯაბუკი.

„რასაკვირველია, ვიღაცაში ავერიე!“ - შვებით ამოისუნთქა კორინთელმა.

რატომღაც გადანწყვიტა შემობრუნებულყოფი და უკან წასულიყო. უნდოდა, საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ იმ უსიამოვნო სახის მქონე ჯაბუკის თვალები და მისი თვალები შემთხვევით შეეჯახნენ ერთმანეთს.

ათიოდე ნაბიჯის შემდეგ რედაქციის შენობა ისევ გამოჩნდა. მღელვარება ოდნავ, მაგრამ მაინც შეეპარა.

„რატომ ვღელავ?“ დარწმუნებული ვარ, რომ იქ აღარც დამხვდება“, - დაასკვნა უცებ და მღელვარების ნაცვლად სიბრაზე მოერია.

„თუ კიდევ იქ დგას და კვლავ უტიფრად შემომხედავს, პირდაპირ მივალ და შუაზე გავაპობ!“

შენობის კუთხეში აღარავინ იდგა.

რამაზ კორინთელმა იქაურობა დინჯად მოათვალიერა. საეჭვო ვერავინ შენიშნა.

„რასაკვირველია, ნაცნობი ვეგონე და იმიტომ დამაშტერდა, - დაასკვნა საბოლოოდ, - მაგრამ რა უცნაური თვალეები ჰქონდა!“

აკადემიის წინ ორ ქალიშვილს შორიდანვე მოჰკრა თვალი. შეიძლება იმიტომაც მიაქცია ყურადღება, რომ ძალზე მოდურად, მოხდენილად ეცვათ. ასეთი ჩაცმულობა სხვა დროს ალბათ ამაზრბენი და გამომწვევი მოეჩვენებოდა.

„სხვა დროს!“

თვითონვე მიხვდა, „სხვა დრო“ აღარ დაბრუნდებოდა.

ორივე ქალიშვილი ლამაზი იყო, მაგრამ მაინც ერთი მოენონა განსაკუთრებით, ღია ნაბლისფერთმიანი, მარჯვნივ რომ იდგა ბღვაზე გარუჯული და მხარზე გადაკიდებული ჩანთის სახელურს რომ აწვალვებდა.

„მაისის თვეში ნეტავ სად მოასწრო ბღვაზე გარუჯვა? - გაიფიქრა რამაზ კორინთელმა.

თითქოს სასწაული მოხდა. მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდნენ. ქალიშვილის სახეზე სიხარულმა იფეთქა, მეგობარი მიატოვა და კორინთელისაკენ გამოემართა.

- რამაზ!

კორინთელმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ ქალიშვილის მკლავებში აღმოჩნდა.

- როგორა ხარ, რამაზ, როდის გამოგწერეს საავადმყოფოდან? - ეკითხებოდა ქალიშვილი და თან ისე ჰკოცნიდა, თითქოს ქუჩაში ამ ორს გარდა არავინ იყო.

ჭაბუკის სხეულმა ისევ გაშალა იაღქნები. მიხვდა, ქალიშვილის კოცნა უბრალო ნაცნობის, მეგობრის ან ნათესავის კოცნას რომ არ ჰგავდა.

- როგორ ხარ, შე უსინდისო. სამჯერ მოვედი შენს სანახავად. არ შემომიშვეს. საერთოდ ამიკრძალეს იქ მოსვლა. მერე დასასვენებლად წავედი. ცოტა ნაადრევად კი მომივიდა წასვლა, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა. მე ხომ ყოველთვის აგვისტოში მივდიოდი გაგრამი, მაგრამ წელს ჩემი დისშვილი აბარებს და აგვისტოში აქ უნდა ვიყო. ორკვირიანი საგზური მხოლოდ მაისის თვისა ვიშოვე. მაინც ხომ კარგად გავირუჯე მზეზე, არა? წელი! - გასძახა უცებ მეგობარს, იქვე რომ იდგა ორ ნაბიჯზე, - წელი, აი ეს არის რამაზ კორინთელი, მე რომ გეუბნებოდი.

- სასიამოვნოა! - წელი ჭაბუკს მიუახლოვდა და ხელი ნაზად გაუწოდა. - ლალი. მე წავალ!

„ლალი“, - დაიმახსოვრა რამაზ კორინთელმა.

- სად წახვალ. ერთად გავისეირნოთ სადმე. ხომ გცალია? - ჰკითხა უცებ კორინთელს.

- მცალია! - რამაზ კორინთელი სიხარულს ვეღარ მალავდა. დიმილს ბაგეზე თავს ვეღარ უყრიდა.

- მთელი ორი კვირა გაგრამი წელის ყურები გამოვუჭედე შენზე ლაპარაკით. რამაზ, ცოტა ფერი კი გაქვს მკრთალი, მაგრამ კარგად გამოიყურები. როდის გამოგნერეს?

- ორი კვირის წინ, - თან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალზე გაახარა ქალიშვილთან შეხვედრამ.

კაცმა რომ თქვას, არც სტყუოდა. ნეტარების სასიამოვნო ბურანში გახვეული თვითონაც ვეღარავის ამჩნევდა ამოდენა პროსპექტზე. აღარც მანქანების ხმაური ჩაესმოდა. აღარც, მოსეირნე ახალგაზრდების ჟრიამული.

- „ივერიაში“ გადავიდეთ, კაფეში.

- ბატონი ბრძნდებით.

- მე წავალ!- თქვა უცებ ნელიმ.

- რატომ? - ჰკითხა ბრძნდობისთვის ლალიმ. სახეზე კი აშკარად ენერა, რომ რამაზ კორინთელთან მართო დარჩენა სწყუროდა.

- სასწრაფო საქმე მაქვს. ამხანაგი მელოდება. კარგად იყავით.

- კარგად ბრძნდებოდეთ! - თავი მოხდენილად დაუკრა კორინთელმა.

ლალიმ ჭაბუკს ხელკავი გამოსდო და მიწისქვეშა გასასვლელისაკენ წაიყვანა.

- არც კი მჯერა, რომ გიყურებ!

- თქვენ როგორ ბრძნდებით? - ჰკითხა უცებ რამაზმა.

ქალიშვილი ადგილზე გაშეშდა და კორინთელს შეხედა.

- შენ რა, დამცინი?

- რატომ უნდა დამცინოდეთ?

- როდის აქეთ დამიწყე ლაპარაკი თქვენობით?

რამაზ კორინთელი შეცდომას მიხვდა და ხმამაღლა გაიცინა.

- საავადმყოფოს ბრაღია. უფალმა ეჭიმებმა თქვენობით ლაპარაკს მიმაჩვიეს. თანაც,

მინდა წინასწარ გაგაფრთხილო, მე ხომ მესხიერება დავკარგე. ბევრი რამ აღარ მახსოვს. ჯერჯერობით მხოლოდ შენი სახელი და სახე აღვიდგინე. ალბათ იმიტომ, რომ შეგხვდი. გუშინ, მაგალითად არ მახსოვდა. თუმცა გუშინ კი არა, დღესაც, სანამ არ დაგინახე, არ მახსოვდა.

- მართლა? - ქალიშვილმა გულწრფელი თანაგრძნობით შეხედა რამაზ კორინთელს.

- რას იზამ. რაც მთავარია, გადავრჩი. ალბათ ყველაფერი გამოსწორდება და ადრე თუ გვიან ისევ ძველებური რამაზ კორინთელი ვიქნები.

ქალიშვილი ისევე ერთბაშად დამშვიდდა, როგორც შენუხდა.

ეტყობოდა, მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა დარდიანი ბუნება.

მინისქვეშა გვირაბი ისე გაიარეს და „ივერიის“ ფოიეში ისე შევიდნენ, ენა არ გაუჩერებია. სულ რამდენიმე წუთში მოასწრო ეამბნა, როგორ დაისვენა; იმ პერიოდში რამაზ კორინთელი რომ საავადმყოფოში იწვა, თავს რა გადახდა. ოცამდე ქალიშვილსა და ჭაბუკის სახელი ახსენა, რომლებიც, ლალის საუბრიდან გამომდინარე, რამაზ კორინთელს კარგად უნდა სცნობოდა. ზოგიერთი, ეტყობა, მეგობარიც კი უნდა ყოფილიყო.

დავით გიორგაძე „ივერიის“ კაფეში ადრე არასდროს ყოფილა. ვესტიბიულშივე დაიბნა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, არ იცოდა საით წასულიყო. გადანწყობა ქალიშვილი წინ გაეშვა. ლალი დახვეულ კიბეებზე ავიდა, კორინთელი ფეხდაფეხ მიჰყვა. ქალიშვილმა, ჯერ კიდევ არ იყვნენ მალლა ასულნი, რომ კისერი წაიგრძელა და კიბის მოაჯირის ღრიჭოებში გააპარა მზერა.

- ჩვენი მაგიდა თავისუფალია! - თქვა სიხარულით და დარჩენილი საფეხურები თითქმის სირბილით აათავა.

„აჰა, ეს ყოფილა ჩვენი, კერძოდ, ჩემი საყვარელი მაგიდა“, - გულში გაეღიმა კორინთელს. დარბაზი მოათვალიერა. უმაღვე შენიშნა, მაგიდებს მხოლოდ ახალგაზრდები უსხდნენ. რატომღაც ყველანი იცინოდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. იქაურობა სიგარეტის ბოლში იყო გახვეული.

რამაზ კორინთელმა მექანიკურად მონახა ჯიბეში სიგარეტის კოლოფი.

- შენ რა „კოსმოსს“ ეწევი? - გაოცდა ლალი.

- აბა რას უნდა ვწვოდე? - დაიბნა კორინთელი.

- ორი წელი „უინსტონის“ გარდა სიგარეტი არ მოგიწევია!

- მართალი ხარ, მაგრამ უკანასკნელი კოლოფი ამ დღით მოვწიე. რას იზამ, გამითავდა. სიარული არ შემეძლო. ხვალ ალბათ მომიტანენ.

- საავადმყოფოში თავაზიანობა დაგიკარგავს?

- რატომ?

- მომანოდე სიგარეტი.

- ბოდიში. ახლა ყველაფერი უნდა მაპატიო. მე ხომ მეხსიერება დაკვარგე: ნელ-ნელა ალბათ ყველაფერი გამახსენდება! - მწარე ღიმილით უპასუხა რამაზ კორინთელმა და სიგარეტის კოლოფი გაუნოდა.

„მამ „უინსტონი?!“ ყოჩაღ, რამაზ კორინთელო! ნეტავ, კიდევ რა მიყვარდა გამორჩეულად?“



- გოგის ხედავ? - ჩემად ანიშნა ლაღიმ მოპირდაპირე კუთხისაკენ.

- რომელ გოგის?

- ჩვენს გოგის, ჭელიძეს, ვითომ ვერ დაგვინახა! ცოლი გაუშვა და ახლა ამ თივით გატენილ ტომარას აეკიდა.

- რა მოგართვათ? - სიგარეტის ბოლით, ღრიანცელითა და მუშაობით დაღლილი ოფიციანტი მაგიდას დაეყრდნო, თან სიმძიმე მარცხენა ფეხზე გადაიტანა, რომ მარჯვენა ფეხი ოდნავ მაინც შეესვენებინა.

კიდევ არაფერი შემეშალოსო, გაიფიქრა რამაზ კორინთელმა და ქალიშვილს შეხედა, რას ისურვებო.

- შენ ხომ შამპანური გიყვარს. შამპანური დავლით.

- საჭმელი?

- საჭმელი რაცაა კაფეში, არ იცი? საუბრე და ხორციანი ღვებელი მოიტანოს.

ოფიციანტი წავიდა.

„მაშ შამპანური და „უინსტონი!“

- აგერ, რებო და ნანა მოდიან! - გაუბრწყინდა თვალები ლალის.

- რომელი რებო და ნანა?

- რებო დონაძე და მისი ნანა, გვარი აღარ მახსოვს.

რამაზ კორინთელმა დახვეულ კიბეზე ამომავალი ქალ-ვაჟი შეათვალიერა.

- არ აგრძნობინო, რომ ნაწყენი ხარ.

- რატომ ვარ ნაწყენი? - შემფოთდა და შეშინდა კორინთელი.

- არ გახსოვს, იმ დღეს რა მოხდა?

- არ მახსოვს.

რამაზ კორინთელმა ისევ მათკენ გაიხედა. რეზოს ქალიშვილისთვის ხელი გადაეხვია და თვალით თავისუფალ მაგიდას დაექებდა.

ვიღაცეებმა მისალმების ნიშნად ხელი დაუქნიეს. ზოგიერთები ფეხზეც წამოდგნენ და მაგიდასთან მიიპატიუეს.

რეზო ყველას ხელის აწევით მიესალმა. დარბაზში თავისუფალი მაგიდა აღარ იყო. უკან გაბრუნება არ უნდოდა. ვერც გადაეწყვიტა ვისთან მისულიყო.

უცებ ერთი დაბალი, მსუქანი ბიჭი წამოდგა, რეზოსთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

- ჩვენთან მობრძანდით! - ამ სიტყვების წარმოთქმისას ქალიშვილს ისე შეხედა, აშკარად წაიკითხავდით მის მრგვალ და პუტკუნა სახეზე, იმედი მაქვს, უარს არ მეტყვიოთ.

სიტყვიერი თანხმობის გარეშე რეზო და ნანა მათი მაგიდისაკენ გაემართნენ.

რამაზ კორინთელი მიხვდა, დარბაზში მსხდომნი მუდმივი სტუმრები იყვნენ და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

- რა ბედნიერი ვარ, რომ ისევ შენს გვერდით ვზივარ! - ჩაცხმა უცებ ქალიშვილის ხმა.

ოფიციალტმა სწრაფად გაშალა სუფრა.

ლალიმ ჟაკეტი გაიხადა და სკამზე გადაფინა. კორინთელმა შამპანურით შეავსო ჭიქები.

ლალიმ ჭიქა ასწია, რამაზს უსიტყვოდ, ხელის მოძრაობით ანიშნა გაგვიმარჯოსო, თან გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და სასმისი ლამაზად მიიტანა ტუჩებთან.

რამაზ კორინთელს თვალი მოსჭრა ზღვაზე გარუჯულმა, შოკოლადისფერმა მკერდმა და ლამაზმა, მკვრივმა მკლავებმა. გონება ყველაზე უფრო აუმღვრია თეთრმა ზოლმა, რომლის ქვემოთ თეთრად აელვარებულნი ძუძუები კაბაში იმალებოდა. მოშიშვლებულ ზურგს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა მის სიგლუვესა და ყავისფერ, კრიალა კანს. კორინთელმა ჭიქა სწრაფად დაცალა. უნდოდა წლების მანძილზე დავინწყებული და ახლა ერთბაშად მოვარდნილი სანეტარო ჟრუანტელი დაეთრგუნა, სხეულიდან განედევნა. ჭიქა შეივსო.

- შენ რა, არ სვამ?

პასუხად ქალიშვილმა ჭიქა სანახევროდ მოსვა და მაგიდაზე დადო. კორინთელმა პირთამდე შეავსო.

მესამე ჭიქაზე უკვე იგრძნო, რომ მთვრალი იყო. ალკოჰოლს გადაჩვეულ და ავადმყოფობით დაღლილ სხეულს ღვინო იოლად მოეკიდა. თავს ვეღარ იმორჩილებდა. ანთებული თვალებიდან გამოსული სხივები მოურიდებლად ეალერსებოდა შოკოლადისფერ სხეულს. საცთუნებელივით ელავდა თეთრი ზოლი და მკვრივ ძუძუებს შორის ჩანოლილი ღარი. ერთი სული ჰქონდა, საკინძეში სწვდნოდა, ჩაეხია და გარუჯულ სხეულზე თეთრ გუმბათებად ამოხეთქილ ძუძუებზე დასწაფებოდა.

- წავიღოთ შამპანური და ავიდეთ ჩემთან! - თქვა უცებ რამაზ კორინთელმა.
  - ვიყოთ ცოტა ხანს. ათი წუთიც არაა, რაც შემოვედით.
  - მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, ძალიან მომენატრე.
  - მოიცა, რებო მოდის შენსკენ.
  - ვინ რებო? - უკმაყოფილოდ იკითხა კორინთელმა.
  - ვინ რებო და დონაძე, წელან რომ გითხარი. ძალიან გთხოვ, აქ ჩხუბი არ დაუნყო.
  - საჩხუბარი რა მაქვს?!
  - ჩუმაღ, გაიგონებს!
- რებო მაგიდასთან მოვიდა და რამაზ კორინთელს ხელი ღიმილით გაუნოდა.
- გამარჯობა, რამაზ!
  - გამარჯობათ! - ფეხზე წამოდგა კორინთელი.
  - რა მოხდა, თქვენობით რატომ მელაპარაკები?
  - ბოდიში, შამპანურის ბრალია, ცოტა მომეკვიდა.
  - გამარჯობა, ლალი! - ჭაბუკი დაიხარა და ქალიშვილს ლოყაზე აკოცა.

ლალის ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ღიმილით დაუქნია თავი, მერე კვლავ შამპანურით სავსე ჭიქას დასწვდა, ტუჩებთან მოხდენილად მიიტანა და წრუპვა დაუწყო.

რემო მიპატივებს არ დაელოდა, თავისუფალი სკამი გამოსწია და მაგიდას მიუჯდა.

რამაზ კორინთელი კვლავ ფეხზე იდგა.

- გეწყინა ჩემი მოსვლა? - ჰკითხა რემომ.

- არა, როგორ გეკადრებათ! - დაიბნა კორინთელი და სკამზე ჩამოჯდა.

- მე მართალი არ ვიყავი. ბიჭებმა საქმე გაარჩიეს. ამიტომ ბოდის გიხდი, მაგრამ არც შენ იყავი მართალი.

- რაში არ ვიყავი მართალი, ახალგაზრდავ? - აღშფოთდა რამაზ კორინთელი.

- დამცინი? - თვალეხი წამოწია რემოს.

- რატომ დამცინი? - შეცბა კორინთელი. მიხვდა, მართლაც ძალზე დამცინავად უღერდა თავისი კბილა ჭაბუკისადმი მიმართული სიტყვა „ახალგაზრდავ!“

„მე ახლა რამაზ კორინთელი ვარ. ერთი წუთითაც, ერთი წამითაც არ უნდა დამავიწყდეს, რომ ახლა მე რამაზ კორინთელი ვარ, რამაზ კორინთელი, და სხვა არავინ! - ჩაიჭვდა თავში ლურსმანივით.

- მაპატიე, ღვინო მომეკიდა. მე ხომ მეხსიერება დამეკარგა ტრავმისაგან. ჩემი ტვინი ძლივსძლივობით იხსენებს რაღაც ამბებს. თითქოს ბურანში ვარ. შენი ნათქვამი სიზმარს მაგონებს, დიდი ხნის წინათ ნანახ და უკვე დავიწყებულ სიზმარს.

ოფიცინტმა რეზოს ჭიქა მოუტანა. ჭაბუკმა ბოთლს ხელი წამოავლო და ჭიქა შეივსო.

- უკაცრავად, მე უნდა დამესხა.

- არა უშავს. შენს გამოჯანმრთელებას გაუმარჯოს. რამდენიმე დღეში დაგირეკავ. ფხიბლებმა ვილაპარაკოთ. ჩვენ შორის შავმა კატამ რატომ უნდა გაირბინოს?

რეზომ დალია.

რამაზ კორინთელმა ბოლომდე ამოაშრო ჭიქა. შეთვრა, მაგრამ სხეული კიდევ სთხოვდა ალკოჰოლს.

- მეტს აღარ შეგანუხებთ, - რეზომ თავი მოხდენილად დაუკრა ლალის, ფეხზე წამოდგა და კორინთელს თვალელებში ჩახედა, - თუ დამირეკავ, კარგი იქნება.

რეზო თავის მაგიდას მიუბრუნდა. რამაზ კორინთელმა თვალი გააყოლა და ჭიქა ისევ შეივსო.

- რატომ ან რაში არ ვიყავი მართალი? - ჰკითხა ლალის.

- არ გახსოვს?

- მე მგონი უკვე რამდენჯერმე გითხარი, რომ ავადმყოფობისას მესხიერება მთლიანად დავკარგე - კორინთელს ხმაში სიბრაზე შეეპარა.

- ვიცი, მაგრამ შენ ახლა კარგად ხარ.

- რასაკვირველია, კარგად ვარ, ოღონდ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ მახსოვს.

- მე მინდა ვიცოდე, რა მოხდა იმ დღეს! - კორინთელს თვალეხი რისხვით წამოეწო.
  - ისეთი არაფერი ყოფილა. შენ რომ რევოლვერი არ ამოგეღო, ალბათ არც გართულდებოდა საქმე.
  - რევოლვერი?! - ყურებს არ დაუჯერა კორინთელმა.
  - ჰო, რევოლვერი! რატომ გაგიკვირდა?
  - გამახსენდა, გამახსენდა. მთლად ნათლად არა, მაგრამ მაინც გამახსენდა! - კორინთელმა სავსე ჭიქას ჩახედა და დაფიქრდა. - ხომ არ მისვრია?- იკითხა მცირეოდენი პაუზის შემდეგ.
  - არა, არ გისვრია. ბიჭებმა დროზე დაგანწყნარეს.
  - „ღმერთო ჩემო, რევოლვერი! ვინ არის ბოლოს და ბოლოს რამაზ კორინთელი? უფრო სწორად, ვინა ვარ მე?
  - იარაღის ამოღება რატომ დამჭირდა?
  - თუ არ გახსოვს, ნურც გაიხსენებ. ისეთი არაფერი ყოფილა. ახლაც თანა გაქვს?
  - არა, არ წამომიღია! - თქვა კორინთელმა და ჭიქა ლალის ჭიქას მიუჭახუნა.
- არაფერი არ უთქვამს, ისე დალია. ჭიქა მაგიდაზე დადგა და დაფიქრდა.
- „ან საიდან უნდა წამომეღო? არის კი სახლში? არა მგონია. ყველა კუნჭული გადავაბრუნე, რევოლვერი მაინც ვერ ვიპოვე. ეტყობა, რომელიმე ჩემს ამხანაგს აქვს. როცა ხელიდან გამომგლიჯეს, ალბათ აღარ მომცეს“.

მწარედ გაელიმა.

„რომელიმე ჩემს ამხანაგს!“

თვალში ისევ მოხვდა ლალის მკვრივი მკერდი. ისევ აემღვრა სისხლი. ოფიცინტს ანიშნა, აქ მოდიო.

- ორი ბოთლი შამპანური და შოკოლადი გაგვიხვით, შინ მინდა წავიღო.

ოფიცინტი უსიტყვოდ გაბრუნდა.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა და ლალის ანიშნა, წავედითო.

ლალიმ სიგარეტი საფერფლეზე დააგდო, ხელჩანთიდან სარკე ამოიღო, თმა შეისწორა, ტუჩები ოსტატურად შეიღება და ფეხზე წამოდგა.

კიბესთან ოფიცინტი შეეგებათ. შამპანური და შოკოლადის ფილები ცელოფანის პარკში ჰქონდა გახვეული.

- რამდენი მოგართვათ? - ჰკითხა კორინთელმა.

- უკვე გადახდილია, რეზომ გადაიხადა.

რამაზ კორინთელმა იმ მაგიდისაკენ გაიხედა, რეზო რომ ეგულეებოდა.

- ერთი წუთით მობრძანდით! - მიიპატიუა რეზომ.

ქალიშვილმა კორინთელს ხელი მოჰკიდა და რეზოს მაგიდისაკენ წაიყვანა.



ბიჭები ფეხზე წამოდგნენ და სტუმრებს მოკრძალებით მიესალმნენ. არ წამომდგარა მხოლოდ ორი ქალიშვილი და ერთი წვერმოშვებული უცხოელი. რამაზ კორინთელმა გაკვირვებით შეათვალიერა შუახნის ქერა წვეროსანი. კარგად ახსოვდა, თავიდან იგი არ ყოფილა სუფრასთან. არც დარბაზში შემოსვლისას შეუმჩნევია იგი. კიდევ ერთი ბიჭი არ შეუმჩნევია თავიდან, ბოლებიანი სვიტრი რომ ეცვა.

„ეტყობა, ეს ორნი მერე შემოემატნენ“, - დაასკვნა და რეზოს გამონვდილი ჭიქა ჩამოართვა.

- თავს არ შეგანყენთ, ყველანი ერთხმად გადღეგრძელებთ, - თქვა ღიმილით რეზომ, მისალმების ნიშნად ჭიქა მალა ასწია.

ბიჭებმა ხმადაბლა თქვეს, გაგიმარჯოთო და ჭიქები დასცალეს.

- ეი, დალიე! - რეზომ მხარზე ხელი დაჰკრა უცხოელს და თან მიანიშნა, სტუმრები ადღეგრძელო.

წვეროსანი მიხვდა, რასაც სთხოვდნენ. ჭიქა ასწია და სადღეგრძელო გერმანულად წარმოთქვა.

- გერმანელი ხართ? - ჰკითხა უცებ გერმანულად რამაზ კორინთელმა.

- დიახ! - მშობლიური ენის გაგონებაზე სიხარულით გაიბადრა წვეროსანი.

- ძალიან სასიამოვნოა. ამ ბიჭებთან საიდან მოხვდით?

- სრულიად შემთხვევით. რესტორანში მინდოდა შესვლა. არ შემიშვეს, ადგილი არ არისო. აი, ამ ჭრელსვიტრიანმა ბიჭმა დაინახა ჩემი გასაჭირი და აქ ამომიყვანა.

ლალი და ბიჭები გაოცებისაგან გაქვავდნენ. ამ წუთამდე ხომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რამაზ კორინთელმა თუ გერმანული ენა იცოდა.

უცებ გერმანელმა პატარა ხელჩანთიდან, მარცხენა ხელის მაჯაზე რომ ეკიდა, უბის წიგნაკი და პასტიანი კალამი ამოიღო და რამაზ კორინთელს გაუწოდა, და სთხოვა, იქნებ თქვენი ტელეფონის ნომერი მომცეთო. კორინთელმა სტუმარს წიგნაკში ტელეფონის ნომერი ჩაუწერა, მერე ყველას თავი ღიმილით დაუქნია.

- ჩვენ წავალთ. დიდი მადლობა მიპატიუების და, საერთოდ, ყველაფრისათვის.

ბოლო სიტყვა რებო დონაძისთვის იყო განკუთვნილი. რამაზ კორინთელი სუფრის გასტუმრებას გულისხმობდა.

- როდის იყო, წვრილმანებზე მადლობას ვიხდით? - გაიცინა რებომ და კორინთელს მხარზე ხელი შემოჰკრა.

- გერმანული თუ იცოდი, ერთხელ მაინც რატომ არ გითქვამს ჩემთვის? - ჰკითხა ლალიმ, „ივერიის“ მოედანზე რომ გამოვიდნენ.

- რატომ უნდა მეთქვა? - რამაზ კორინთელი ახლავდა მიხვდა, მისი გერმანული ბიჭებში რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა.

- რატომ არავინ არ ვიცოდით?

- მანამდე არ დამჭირვებია გერმანულად ლაპარაკი და საიდან გაიგებდით?

- ბიჭები კინაღამ გადაირივნენ, ვერ შეატყვე?

- რამ გადარიათ. თბილისში, რა, ცოტამ იცის გერმანული?

- გერმანული ბევრმა იცის, მაგრამ შენ თუ იცოდი, ამას კი აღარ მოელოდნენ.
  - რატომ? - შეჩერდა რამაზ კორინთელი და ქალიშვილს დამცინავი ღიმილით ჩახედა თვალებში.
  - იმიტომ, რომ შენ შენ ხარ!
  - რას ნიშნავს მე მე ვარ! - არ ესიამოვნა კორინთელს მისი პიროვნების განმსაზღვრელი ფორმულა. არ უნდოდა ეფიქრა და ემკითხავა, ვინ იყო რამაზ კორინთელი. გრძნობდა, სასიკეთოს ვერაფერს დაასკვნიდა და ვერც სხვისგან გაიგონებდა რაიმე სანუგეშოს.
  - კარგად იცი, რასაც ნიშნავს.
  - მაშინ უბრალოდ, ცნობისთვის გეუბნები, ინგლისურიც მშვენივრად ვიცი და ფრანგულიც.
  - მართლა? - წამოიძახა შემკრთალმა ქალიშვილმა.
  - იპოვე ქუჩაში ვინმე ინგლისელი ან ფრანგი და ახლავე გაგიფანტავ ეჭვებს.
  - რამაზ! მე მეშინია შენი!
  - ნუ გეშინია, ძვირფასო, აგერ ტაქსიც!
  - რომელი საათია?
  - რვა.
- ტაქსის შოფერმა პირდაპირ კორინთელის წინ დაამუხრუტა.

- რამაზ!

შემოესმა მანქანიდან.

შავგვრემანმა უღვაშებიანმა ჭაბუკმა კარი გამოაღო და კორინთელს გადაეხვია.

- გავიგე, რომ კარგად ხარ. ძალიან გამიხარდა შენი ნახვა.

ამჯერად რამაზ კორინთელი არ დაბნეულა. ჭაბუკს თვითონაც აკოცა ლოყაზე და მხარზე ხელი მოუტყაპუნა.

- სად მიდიხარ? - ჰკითხა კორინთელს, თან შოფერს ჩასძახა, - მოიცა, ჯერ არ დაიძრა!

შემდეგ ისევ რამაზ კორინთელს მიუბრუნდა.

- ხომ არ შევბრუნდეთ? რამდენი ხანია აღარ მინახიხარ! - თან ლალის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. - თუ არ გცალკია, მაშინ ეს ტაქსი მიგიყვანს ადგილზე.

- დიდი მადლობა, მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე.

- გასაგებია. შენ რა ავადმყოფობა გამოგცვლიდა! - ჩაიცინა შავულვაშა ჭაბუკმა, თან ისევ ლალის გადახედა, ჯობიდან თუმნიანი ამოიღო და ტაქსში წინა საჯდომზე ჩააგდო. - ამ ხალხს იქ მიიყვან, სადაც გეტყვიან.

- გმადლობ! - თქვა უხერხულად რამაზ კორინთელმა.

- მშვენივრად გამოიყურები. - მიუგო პასუხად ჭაბუკმა, - ერთი, გვერდზე გავიდეთ.

უცნობმა კორინთელს ხელკავი გაუკეთა, გვერდზე გაიყვანა და ჯიბიდან ფულის დასტა ამოიღო.

- არ ვიცოდი, თუ შეგხვდებოდი. ორი ათასს ახლავე გაგისტუმრებ, დანარჩენს, თუ გინდა ხვალვე მოგიტან.

რამაზ კორინთელი შეცბა.

- აიღე, აიღე. მოთამაშემ წაგებაც უნდა იცოდეს და გადახდაც. როგორც გითხარი, დანარჩენს თუ გინდა, ხვალვე ამოგიტან.

- კარგი იქნება. თუკი საშუალება გაქვს, მომიტანე. მე ახლა ფული ძალიან მჭირდება! - თქვა რამაზ კორინთელმა და თავისივე ნათქვამი თვითონვე გაუკვირდა.

„ღმერთო ჩემო, როდის მოვიდა ეს ფრაზა თავში?“

- ხვალ რვა საათზე დაგირეკავ. შინ იქნები?

- შინ დაგელოდები. ოღონდ ნუ მალოდინებ.

- აბა, კარგად იყავი, ჩემო რამაზ!

კორინთელმა ფული ჯიბეში ჩაიდო, ტაქსთან მივიდა, კარი გამოაღო, ჯერ ლალი შეუშვა და მერე თვითონ მოკალათდა სავარძელზე. უნებურად ხელი მარვლის გაბერილი ჯიბისაკენ წაიღო.

„მამ ორი ათასი!“ - თქვა გულში კმაყოფილებით და ლალის ხელი გადახვია.

\* \* \*

ჯერ აბაზანაში შევალ, წყალს გადავივლებ.

- არა, მოთმენა აღარ შემიძლია.

- რამაზ, გემუდარები, ორ ნუთში ვიბანავებ.

პასუხად კორინთელმა კაბა ჩაუხსნა და მკერდზე დაეკონა.

- მოიცა, არ დამიხიო, თვითონ გავიხდი!

ერთ წამში ლოგინში იყვნენ. კორინთელმა ზეწარი მოისროლა და ქალიშვილს დააცხრა.

- ნელა! მტკივა, რამ გაგაგიჟა!

ჭაბუკს აღარათფერი ესმოდა. სისხლამღვრელი ვნებიანად კოცნიდა შოკოლადისფერ მკვრივ სხეულს. ლალის სიამოვნებდა კორინთელის მძლავრი, დაკუნთული მკლავები. თვალეზღახუჭელი ვაჟს მხრებზე ნაზად უსვამდა თავის გრძელ თითებს.

\* \* \*

გვიან გაიღვიძა.

თვალი გაახილა.

ვერ გაერკვა, სად იყო.

მაგიდაზე შამპანურის ორ დაცლილ ბოთლს მოჰკრა თვალი.

ერთბაშად ყველაფერი გაახსენდა.

ნელა წამოდგა, თავი უხურდა.

წუხანდელმა ღამემ ერთ წუთში ჩაურბინა თვალწინ. სიამოვნებისაგან გააურჟოლა. მერე ინანა, ლალი არ უნდა გამეშვაო.

ერთი ჭიქა შამპანური იყო სავსე. თეფშზე შოკოლადის სამი პატარა ნატეხი კიდევ ეგდო. მიხვდა, სავსე ჭიქა ლალისა იყო.

„ღმერთო, რამდენი დავლიე!“ - დაფიქრდა უცებ.

წამოდგა, აბაზანაში შევიდა და ცივი წყალი მოუშვა. ესიამოვნა. ერთხანს გარინდული იდგა. ცივმა წყალმა ჯერ შეაკრთო, მერე გამოაცოცხლა. სხეულს ერთბაშად დაუბრუნდა ენერჯია.

თვალწინ ისევ წარმოუდგა წუხანდელი სცენები. ისევ იგრძნო მზეზე გარუჯული მკვრივი სხეულის სურნელება. ისევ მწარედ ინანა, ლალი რატომ გავუშვიო.

უცებ ფული გაახსენდა, ვიღაცა უცნობმა შავულვაშა ჭაბუკმა რომ მისცა.

ტანი სწრაფად შეიმშრალა, კარადასთან მივიდა და შარვლის ის ჭიბე მოსინჯა, სადაც ფული ეგულებოდა.

„ნეტა მართლა ორი ათასია?“

დათვალა. ორი ათასი იყო.

„მოთამაშემ წაგებაც უნდა იცოდეს და გადახდაც“, - გაახსენდა უცნობის სიტყვები და უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო.

„ან ის რებო ვინ იყო? რა ჩხუბი უნდა მომსვლოდა მასთან? („მომსვლოდა“) ან სად არის ჩემი („ჩემი“) რევოლვერი? რატომ მითხა ლალიმ, გერმანული თბილისში ბევრმა იცის, მაგრამ შენგან მის ცოდნას არავინ ელოდაო? ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო რამაზ კორინთელი? ან კიდევ რამდენი ფული მეკუთვნის („მეკუთვნის“) იმ ულვაშებიანისაგან?“

ღვინით დანისლული გონების ნაცრისფერ ფონზე ისევ აიშალნენ კითხვის ნიშნები, სანგრებიდან ამოსული და წელში მოხრილი ჯარისკაცებივით ფრთხილად, მაგრამ ჯიუტად რომ მოისწრაფვოდნენ ყოველი მხრიდან.

უცებ ყველაფერი გაქრა და რამაზ კორინთელის ზურგი ისევ გაიხვრიტა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობის კუთხესთან მდგარი ახალგაზრდა კაცის ლინზებივით გაშეშებული თვალებიდან გამოსულმა ორმა წვრილი ლაზერის სხივმა.



## თავი მეშვიდე

რამაზ კორინთელს დილის ხუთ საათზე გაეღვიძა. უფრო სწორად, კი არ გაეღვიძა, უცნაურად შეჰყვირა და ფეხზე წამოიჭრა. ერთხანს თვალებს უაზროდ აცეცებდა, მერე მიხვდა, რომ სიზმარი ნახა, უცნაური და საშინელი სიზმარი. წისქვილში იყო, ძველებურ წყლის წისქვილში. ფიცრულ და ფარღალალა წისქვილს ღია კარიდან შემომავალი მთავრის შუქი ანათებდა. იჭდა მართო და სარეკელას რიტმზე სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებების მორგებას ცდილობდა. ყველაზე უფრო ბიზეს საბანერა შეუწყობა ბავშვობიდან დანატრებულ სარეკელას რიტმსა და წისქვილის ქვების წყვეტილ ღრტილს.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. სარეკელას ხმა მოულოდნელად შეწყდა. უბარმაზარმა მრგვალმა ქვამაც მომაკვდავივით ამოიხროტინა და გაჩერდა.

„რა მოხდა?“ - გაოცდა რამაზ კორინთელი. უმაღლე გარეთ გამოვარდა და ხის დაქანებულ დარს მიაშურა. ჯერ შეკრთა, მერე შიშმა დარია ხელი. წისქვილის დარში წყალი გაჩერებულიყო. მდინარეს ღრმა ძილით ეძინა. მერე მოეჩვენა, რომ წყალთან ერთად გულიც გაუჩერდა. ტვინიდან სისხლი თანდათანობით დაბლა ჩამოენრიტა და ძარღვებში გაიბლანტა. სისხლის ადგილზე ვიდაცამ უხილავი კომპრესორით ტვინში ცივი და ნესტიანი ჰაერის ნაკადი შეუშვა. სასონარკვეთილმა კორინთელმა საკუთარ სხეულს ხელი სტაცა და გაჩერებული საათივით შეანჯღრია. ისე მაგრად შეანჯღრია, თვითონვე შეეშინდა, ნაწილებად არ დავიშალო და მინაზე არ გავიბნეო. მერე სუნთქვაშეკრულმა მკერდი კვლავ ყურთან მიიტანა და ნერვების დაწყვეტამდე დაიძაბა. გული ამუშავდა, ამუშავდა ნელ-ნელა, მძიმედ, მაგრამ მაინც ამუშავდა. სწორედ მაშინ შეჰყვირა და ფეხზე წამოიჭრა. როცა გამოერკვა, როცა დარწმუნდა, რომ, რაც ნახა, სიზმარი იყო, კვლავ ლოგინში ჩაწვა.

ველარ დაიძინა, შვიდ საათამდე ლოგინში იწრიალა. მიხვდა, აღარ დაეძინებოდა და

წამოდგა. ჯერ წვერი გაიპარსა, ხელ-პირი დაიბანა და ყავა მოადუღა. მაგიდას მიუჯდა. სადიპლომო შრომა უკვე დაწერილი ჰქონდა. უფრო სწორად, ხელად აღადგინა ერთი თავისი გამოკვლევა, რომელიც ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტის სეიფში ინახებოდა „რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის“ გვერდით.

იცოდა, მისი გამოკვლევა ასჯერ მეტად ფასობდა თავისი მეცნიერული ღირებულებით, ვიდრე დიპლომისათვის იყო საჭირო. ასეთ გამოკვლევებზე კაცი სადოქტოროსაც იოლად დაიცავდა. ამიტომ უნდოდა, თუ უნივერსიტეტში ნებას დართავდნენ, იანვრამდე სამთავე კურსი დაეხურა, სადიპლომო ნაშრომის დაცვა საკანდიდატო ხარისხის დაცვად გადაეყვინა. წარმატების მტკიცედ სჯეროდა და იცოდა, ეს იქნებოდა პირველი სენსაცია ახალი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში.

გამოკვლევა, რომელიც პერკულესის თანავარსკვლავედიდან წყვეტილი თბური რადიოაქტიური გამოსხივების მექანიზმს ხსნიდა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაამთავრა აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ. მისი გამოქვეყნება რატომღაც არ იჩქარა, ვინაიდან თავისი ძირითადი გამოკვლევების - რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის დადგენამ ბორბალივით ჩაიხვია, მთელი არსებით შეიპყრო და სხვა ყველაფერი გადაავიწყდა. ახლა, როცა საჭირო იყო ახალი სამეცნიერო კარიერა ტრიუმფით დაეწყო, ერთი წლის წინანდელი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ გამოუქვეყნებელი გამოკვლევა მართლაც დიდ ეფექტს მოახდენდა.

„იქნებ მართლაც ბედისწერა იყო, ამ ნაშრომის გამოქვეყნება რომ არ ვიჩქარე?“

„იქნებ სულაც ღვთის ნებამ შემაჩერა?“

„ღვთის!“ - მწარედ ჩაიციინა თვითონვე. ღმერთისა, როგორც ადრე, ახლაც არაფერი სჯეროდა.

„თუკი ღმერთმა დღევანდელი დღისათვის საგანგებოდ შემომინახა ერთი წლის წინანდელი გამოკვლევა, თუკი მან შთამაგონა, არ მეჩქარა ნაშრომის სამეცნიერო საბჭოზე წარდგენა, გამოდის, რომ იცოდა მოსალოდნელი ოპერაციის ამბავი. გამოდის, რომ ღმერთმა ნება დართო ადამიანს, შეჭრილიყო ღვთიური ნებით შექმნილ სამყაროში და დაერღვია მის მიერ დადგენილი სიკვდილ-სიცოცხლის კანონები!“

„ღმერთო ჩემო, ვყოფილვარ როდისმე ფილოსოფიით გატაცებული? აბა, ახლა რა დამემართა? ღმერთი რომ ყოფილიყო, განა ძირში არ აღკვეთავდა ამ ოპერაციას? ტვინის გადანერგვა ხომ ყველაზე საშინელი მკრეხელობაა მკრეხელობათა შორის?“

ყავა მოსვა. მთლად გაცხიებულიყო. ზიზღით გადააპურჭყა და ფეხზე წამოდგა.

ვარჯიში დაეზარა. ის აუცილებელი მოძრაობებიც არ გააკეთა, ექიმმა რომ საგანგებოდ შეასწავლა.

მეოთხე დღე იყო, შინ იჯდა და თავაუღებლად მუშაობდა. ყველანი გააფრთხილა, ამ კვირაში არ შემანუხოთო.

მთავარ ექიმსაც დაურეკა, საკანდიდატო შრომის ავტორეფერატს ვწერ და თქვენი ჩვეული ყურადღებით აზროვნებას ნუ გამიფანტავთ, თუ რაზე იქნება საჭირო და აუცილებელი, თვითონ დაგირეკავთო.

მაგიდას კი მიუჯდა, მაგრამ სამუშაოს გული ვერა და ვერ დაუდო.

სიზმარი სიზმრად დარჩა, თუმცა დროდადრო მაინც ეჩვენებოდა, რომ გული უჩერდებოდა.

„რა მემართება?“

„ალბათ გადავიღალე. ეს ხომ ბუნებრივიცაა, რამდენი თვეა მეცნიერებისათვის აღარც კი მომიცლია!“ - დაიმშვიდა თავი.

შრომა, ძალზე მნიშვნელოვანი და დიდი გამოკვლევა, მზად ჰქონდა. ახლა მთავარი იყო სადიპლომი შრომად, ფაქტიურად, სადისერტაციო შრომად ექცია.

ლიტერატურის უქონლობა ძალზე უშლიდა ხელს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან ბევრი წიგნი გამოიტანა, მაგრამ ის უცხოური უახლესი ლიტერატურა, დავით გიორგაძის ბინაში რომ დარჩა, თბილისში სხვაგან არსად ეგულებოდა.

გული ისევ შეჩერდა. ტვინის ხვეულებზე ისევ იგრძნო ცივი და სველი ჰაერი.

„არა, ჩემი ცუდი განწყობილება მოქანცვის ბრალი არ უნდა იყოს. თანაც მე ხომ სრულებით ვერ ვგრძნობ ვერც ფიზიკურ, ვერც გონებრივ დაღლილობას“.

„აბა, რატომ შემოიპყრო ასეთმა საშინელმა გრძნობამ?“

„ღმერთო, ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი გაუთვალისწინებელი უბედურება მეღის?!“

რამაზ კორინთელი არ სცდებოდა. ჭაბუკი მეცნიერის ინტუიცია რაღაც საშინელების მაუწყებელ იმპულსებს ღებულობდა.

შეეცადა, ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა. მივიდა, ებოში გადაიხედა.

ბეტონის უბარმაზარ ოთხ კოლოფს შორის მოქცეული ებო მანქანებით იყო სავსე.

ივლისის შუა რიცხვებისათვის ხეებს უჩვეულოდ გაჰყვითლებოდა ფოთლები.

მხურვალე ასფალტში ამოჭრილი ხეები ცისკენ მიისწრაფოდნენ, რომ იქნებ როგორმე ასცილებოდნენ ბეტონის კედლებს. მათი უპროპორციო, სულ სიმაღლისაკენ მსწრაფი წვრილი და სუსტი ტანი მაინც ვერ გაუძლებდა ადუღებული ასფალტიდან ღამით ამოვარდნილ სიმხურვალეს და ამდენი მანქანის გამონახოლქვ აირებს.

რამაზ კორინთელმა საფეთქელი გამოღებული ფანჯრის მინას მიადო. უნივერსიტეტის რექტორი გაახსენდა, მაღალი, თხელი, საფეთქლებშევერცხლილი პროფესორი, თავდაპირველად უნდობლად რომ შეხვდა დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტის ნიჭიერებას.

\* \* \*

ზურაბ თორაძემ ჯერ კიდევ მთელი ორი კვირით ადრე გააფრთხილა რექტორი, ფენომენური ნიჭისა და ცოდნის ყმანვილ კაცს მოგიყვანთო. მთავარმა ექიმმა იმდენი აქო ყოფილი პაციენტი, რომ რექტორმა იგი ჩვეულებრივ გაზვიადებად ჩაუთვალა და ყურს ხეირიანად აღარც კი უგდებდა. ზურაბ თორაძე მიხვდა, რომ რექტორს არ სჯეროდა მისი და გულმოსულმა მკვახედ მიახალა:

- ეტყობა, თქვენ არ გჯერათ ჩემი ნალაპარაკევი და მიგაჩნიათ, რომ მე ისევე ვაქებ რამაზ კორინთელს, როგორც ბევრი მშობელი ან გულშემატკივარი თავის შვილს ან ახლობელს. უმჯობესია, მოვიყვანო და თვითონ გამოელაპარაკოთ. იმედი მაქვს თქვენი გულწრფელობისა და მჯერა, არ შეგრცხვებათ აღიაროთ, რომ იგი მართლაც ფენომენალური ნიჭის მქონე და უადრესად განათლებული ახალგაზრდაა.

რექტორმა არც ამ სიტყვებს მიაქცია დიდი ყურადღება. ზურაბ თორაძის ზეანეულ ინტონაციას და ლაპარაკის საზეიმო მანერას კარგად იცნობდა. ამიტომაც არც უფიქრია, დეკანი გამოეძახა და „ფენომენალური“ ყმანვილის თაობაზე რაიმე ეკითხა.

დადგა ის დღევ, როცა რექტორმა ერთად მიიღო ზურაბ თორაძე და მისი ყოფილი პაციენტი.

რექტორმა ჯერ ხელი ჩამოართვა ორთავეს, მერე თავის მბრუნავ რბილ სავარძელში ჩაეშვა, მარცხენა ხელი შევერცხლილ საფეთქლებზე გადაისვა და რამაზ კორინთელს ოდნავ შესამჩნევი დამცინავი ღიმილით მიმართა:

- მაშ, ეს თქვენ ხართ ფენომენალური ნიჭისა და ცოდნის პატრონი?

- მე ვარ რამაზ კორინთელი! - გამომწვევად მიუგო ჭაბუკმა, - რამაზ მიხეილის ძე კორინთელი!

რექტორი შეაკრთო ჭაბუკის უცნაურად წამონთებულმა თვალებმა.

- მე მგონი, საწყენი არაფერი მითქვამს! - დაბნეულად აიჩეჩა მხრები და თან ზურაბ თორაძეს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, რა ვთქვი საწყენიო.

- არც რამაზ კორინთელს სწყენია არაფერი! - მიუხედა მთავარი ექიმი. - იგი, უბრალოდ, ძალზე მგრძნობიარე და თავმოყვარე კაცია.

რექტორს ხასიათი წაუხდა. ინანა, წინასწარ დეკანს რატომ არ ვესაუბრე ან საბუთები მაინც რატომ არ გამოვითხოვეო.

- კეთილი და პატიოსანი! - თქვა ოდნავ განაწყენებული, ოდნავ დაბნეული ხმით. - მაშ, თქვენ გინდათ ერთბაშად ჩააბართო მთელი სამი კურსის დისციპლინები და იანვრის ბოლოს დაიცვათ დიპლომი? თქვენ იცით, ეს რამოდენა დარღვევაა ყოველგვარი კანონისა და წესდებისა?

- კი მაგრამ, განა არ გვხვდებიან გამოწვევებიც?! მაგალითად მერგელიანი თვრამეტი წლისა უკვე აკადემიკოსი იყო.

- მერგელიანი, მერგელიანი... - ჩაილაპარაკა რექტორმა, სავარძელს ზურგით მიანვა და ჭერს ახედა. - მერგელიანი, ახალგაზრდავ, იშვიათი გამოწვევისია. ღმერთმა ქნას, რომ თქვენც მისი მსგავსი და კიდევ უკეთესი იყოთ.

- მერწმუნეთ, ბატონო სერგი, რომ რამაც კორინთელი არავისზე ნაკლები არ გახლავთ. იქნებ კეთილი ინებოთ და გაესაუბროთ? - ხმა აუთრთოლდა ზურა თორაძეს.

- დიპლომს უკვე წერთ? - ჰკითხა მოულოდნელად რექტორმა და თვალი თვალში გაუყარა.

- უკვე დავწერე, ბატონო რექტორო! - მიიღო გამოწვევა კორინთელმა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რექტორმა თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადა. თვალსა და ხელს შუა კი უნდობლობა თანდათანობით და საფუძვლიანად ზიზღში გადაიზარდა. ჭაბუკის გულში შურისძიების გრძნობა აიზვირთა. გადაწყვიტა, საუბარი დამცინავად გაეგრძელებინა.

რექტორმა ვეღარ გაუძლო ჭაბუკის მოელვარე თვალებს. ბედად ტელეფონმა დარეკა. ელვის სისწრაფით დასწვდა ყურმილს. სავარძელი სანახევროდ შეაბრუნა და სხარტად წარმოთქვა:

- გისმენთ!

რექტორს სახე დაეძაბა.

- დიახ! (პაუზა) დიახ! დიახ! (პაუზა) ბატონი ბრძანდებით! - მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა აღელვებულმა და ყურმილი დადო.

- განათლების სამინისტროში მეძახიან. - თქვა ფიქრიანად და კვლავ კორინთელისკენ შემობრუნდა. - ძალიან კარგი, თუ დაამთავრეთ. შეიძლება, მე, არა როგორც რექტორმა, არამედ როგორც კოლეგამ, გკითხოთ, ყოველგვარი დახმარებისა და ხელმძღვანელობის გარეშე რა თემას მოჰკიდეთ ხელი?

- შევეცდები დანვრილებით აგისხნათ ყოველივე. მით უმეტეს, რომ მჯერა, თქვენ ჩემს მიერ გადაჭრილი პრობლემით ძალზე დაინტერესდებით.

- მამ, თქვენ პრობლემაც გადაჭრილი გაქვთ? სადიპლომო შრომებში ჩვენ არ მოვითხოვთ პრობლემების დაყენებასა და გადაჭრას, მაგრამ რაკი გადაგიჭრიათ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რა პრობლემაა იგი და გთხოვთ ამისხნათ, რატომ დაინტერესდებით მე?

- დიახ, ბატონო რექტორო, ახლავე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ პრობლემა უკვე საბოლოოდ მაქვს გადაჭრილი. ხოლო როცა მოგახსენეთ, აუცილებლად დაინტერესდებით-მეთქი ჩემი დიპლომით, ვფიქრობ, არც აქ შევმცდარვარ. მე გადავჭერი საკითხი, რომელსაც პირადად თქვენ ვერაფერი მოუხერხეთ.

- კერძოდ? - უკვე დაინტერესდა რექტორი. ამჯერად მისი ბაგეების კიდზე აღარ გამოსახულა მხოლოდ მახვილი თვალისათვის შესამჩნევი ირონია. იგრძნო, საქმე უცნაურ და მტკიცე პიროვნებასთან ჰქონდა. ოღონდ ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, წინ თუ კიდევ ბევრი მოულოდნელობა ელოდა.

- კერძოდ?! - კვლავ ბოროტად გაკვესა რამაზ კორინთელის თვალემა, - კერძოდ, მე განგებ ავიღე პრობლემა, რომელსაც თქვენ ვერ უპოვეთ გასაღები. ავიღე განგებ.



რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ ჩემი ფენომენობა თქვენში მხოლოდ დამცინავ ღიმილს გამოიწვევდა, და მეორეც: მე ვიცი თქვენი დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ. არა საერთოდ, უნივერსიტეტის მასშტაბით, არამედ, კერძოდ, თქვენი ახალგაზრდა კოლეგების მიმართ. უნივერსიტეტის მასშტაბით თქვენ ძალზე კეთილ და ახალგაზრდობის მოყვარულ რექტორს თამაშობთ.

- ყმაწვილო, არ გეჩვენებათ, რომ თქვენმა თავხედობამ გადალახა ყოველგვარი საზღვარი?!

აღშფოთებული რექტორი მთავარი ექიმისაკენ ისე შებრუნდა, თითქოს სტუდენტის უბრდელობაზე პასუხს მისგან მოითხოვდა.

- შეიძლება, ბატონო რექტორო, შეიძლება მე მართლაც ვაჭარბებ, მაგრამ სანამ ეთიკურ საკითხებს გადავჭრიდეთ, მოდი, ჯერ ჰერკულესის თანავარსკვლავედიდან მოდენილ რენტგენულ გამოსხივებაზე ვილაპარაკოთ. თქვენი შრომა, კარგად გემახსოვრებათ, იწყება ფრაზით, რომ 1971 წელს ერთ-ერთმა თანამგზავრმა აღრიცხა ძლიერი რენტგენული გამოსხივება ჰერკულესის თანავარსკვლავედის აღმოსავლეთ ნაწილიდან, მეცნიერები გააოცა ერთმა უცნაურმა მოვლენამ. გამოსხივება მოულოდნელად შეწყდა. და აჰა, რვათვიანი შესვენების შემდეგ, აპარატურამ კვლავ აღრიცხა ჰერკულესის თანავარსკვლავედის აღმოსავლეთ, სფეროსებური დაჯგუფების რომელიღაც სხეულიდან მომდინარე რენტგენული გამოსხივება. თქვენი შეხედულება ამ გამოსხივების თაობაზე მცდარი აღმოჩნდა. მცდარი აღმოჩნდა შემდეგი მიზეზების გამო: თქვენ ვერ აღმოაჩინეთ და ვერ მიაკვლიეთ სხეული, რომლის ირგვლივაც ბრუნავს გამოსხივების წყარო. ვერ აღმოაჩინეთ ვერც თქვენ და ვერც თქვენმა კოლეგებმა საერთაშორისო მასშტაბით ერთი უბრალო მიზეზის გამო: ამ მიმართულებით არც კი დაგიყენებიათ ცდები. თქვენ პრობლემის ახსნას სულ სხვა სფეროებში ეძებდით და ამიტომაც ასცდით ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას.

- თქვენ? თქვენ რა მიმართულებით წაიყვანეთ მუშაობა?

რამაზ კორინთელი მიხვდა, რომ გაიმარჯვა, რექტორი უკვე დაძაბული ინტერესით და მოკრძალებითაც კი უსმენდა.

- თქვენ და თქვენს კოლეგებს გამოგრჩათ ერთი მოვლენა. ვარსკვლავის ნივთიერება მაღალი ტემპერატურის მქონე პლაზმაა, და თანაც ელექტროგამტარია. როცა ვარსკვლავი იწყებს რენტგენულ გამოსხივებას, მას რაღაც აშფოთებს. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ თანახმად საყოველთაოდ მიღებული მოდელისა, მთავარი ვარსკვლავის მასის ნაწილი მიისწრაფვის ნეიტრონული ვარსკვლავისაკენ და მასთან მიახლოებისას იმდენად ვარვარდება, რომ იწყებს, ეგრეთ წოდებულ, თერმულ რენტგენულ გამოსხივებას. მე აღმოვაჩინე ნეიტრონული ვარსკვლავი, რომელიც ჰერკულესის საკვლევი ვარსკვლავის ირგვლივ 1, 7 დღის პერიოდით ბრუნავს... - რამაზ კორინთელი ერთბაშად დადუმდა და რექტორს გაკვირვებით შეხედა. თითქოს უნდოდა კარგად ამოეცნო, მისმა გამოკვლევამ რა შთაბეჭდილება მოახდინა საქვეყნოდ აღიარებულ, მაგრამ თავის თავში ბედმეტად დარწმუნებულ მეცნიერზე.

- თუ გნებავთ, სადიპლომო ნაშრომს დაგიტოვებთ, სადაც შეგიძლიათ დანვრილებით გაეცნოთ ჩემს მოსაზრებებს, ვარაუდებსა და დასკვნებს! - უცებ მოკლედ მოსტრა რამაზ კორინთელმა და რექტორს კოხტად გადაკეცილი ფურცლები გაუწოდა.

რექტორმა სათვალე გაიკეთა და კითხვა დაიწყო. კაბინეტში დუმილი გამეფდა. მთავარი ექიმი რამაზ კორინთელისკენ შებრუნდა, უნდოდა, თვალი ჩაეკრა და პაციენტისათვის პირველი დიდი გამარჯვება ღიმილით მიელოცა, მაგრამ კორინთელს აზრადაც არ მოსვლია, მისკენ გაეხედა. იგი გაქვავებული იჯდა და რექტორის შუბლს თვალებით ხვრეტდა. თითქოს უნდოდა დაენახა, შუბლის ძვალს იქით, ტვინის ხვეულებში რა აზრები იბადებოდა და იხლართებოდა.

რექტორი გრძნობდა რამაზ კორინთელის თვალების მხურვალეებას. თავის ადებას არ ჩქარობდა. შვიდგვერდიან ნაშრომს უკვე მესამედ კითხულობდა, თუმცა პრობლემაში

გათვითცნობიერებული მეცნიერისათვის პირველი ნაკითხვისთანავე ნათელი იყო ყველაფერი.

- ხედავთ, ურთულესი პრობლემაც რა იოლი ჩანს გადაჭრის, ამოხსნის შემდეგ?

- მართალი ბრძანდებით! - ასნია თავი რექტორმა, სათვალე მოიხსნა და ჭაბუკს შეხედა. - გულახდილად რომ გითხრათ, არც ვიცი, კარგია ეგ თუ ცუდი. საკითხის ფილოსოფიური მხრით არასდროს არ დავინტერესებულვარ. ყოველ დიდ აღმოჩენას სკოლაში თუ სტუდენტურ აუდიტორიაში ისე იოლად და ჩვეულებრივად ხსნიან, თითქოს მათი აღმოჩენაც ასევე იოლად და ჩვეულებრივად მომხდარიყოს. ალბათ, ამის გამო ვერ უტოლდება მეცნიერება ხელოვნებას.

- მართალი ბრძანდებით, ბატონო რექტორო, ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა ახალი საფეხურია უსასრულო და უსწორმასწორო კიბისა. საფეხურები თავისი სიდიდით შეიძლება ძალზე განსხვავებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც საფეხურებად რჩებიან. ხელოვნების დიდი ნიმუშები კი დამოუკიდებელ სამყაროებს წარმოადგენენ.

- შესანიშნავად ბრძანეთ, ჭეშმარიტად, ჩემო ბატონო, ჭეშმარიტად! - თქვა ადეღვებულმა რექტორმა, მაგრამ უმაღვე გამოერკვა და გაცისკროვნებული სახე ერთბაშად მოედუშა. გაახსენდა, ვინმე თავისი რანგის მეცნიერს კი არა, დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს ელაპარაკებოდა.

- ძალიან კარგი, ყმაწვილო, ძალიან კარგი. ზურაბ თორაძე, როგორც ყოველთვის, არც ახლა შემცდარა. თქვენ ძალზე ნიჭიერი ვაყი ბრძანდებით. მე, როგორც მეცნიერმა, უნდა ვაღიარო, რომ თქვენს მიერ გადაჭრილი პრობლემა რეალურია. ვფიქრობ, ექსპერიმენტი დაადასტურებს თქვენს მიერ საოცარი ინტუიციით ნავარაუდევი და თეორიულად ნაანგარიშევი ნეიტრონული ვარსკვლავის არსებობას, მართლაც

დიდებული დიპლომი იქნება და შევეცდები, საკითხი დავაყენო, პირდაპირ მოგანიჭონ ფიზიკა-მეთემათიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

- ბედნიერი ვარ, ბატონო სერგი, რომ ამოდენა შეფასება მიეცით ჩემს ყოფილ პაციენტს. ისიც მინდა დავძინო, რომ რამაზ კორინთელი ქართულსა და რუსულს გარდა შესანიშნავად ფლობს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

- მართლა? - ჰკითხა რექტორმა კორინთელს.

- შეგიძლიათ შემამონმოთ!

- კარგი, მჯერა და გულწრფელად მიხარია თქვენი გაცნობა. ჩემი ამოდენა მოღვაწეობის მანძილზე იშვიათად მქონია ბედნიერება, შევხვედროდი თქვენისთანა ხალას ნიჭს, თანაც ასე განათლებულსა და მცოდნეს, კვლევის ნიჭით აღსავსე ახალგაზრდას. ჩათვალეთ, რომ უნივერსიტეტის რექტორატი თქვენს მხარეზეა. მოზრდანიტ პირველ სექტემბერს და გამოცდების კონკრეტული გრაფიკი შევადგინოთ.

რექტორი ფეხზე წამოდგა.

ბურაბ თორაძე სწრაფად წამოიჭრა და სკამი მაგიდასთან მისწია.

რამაზ კორინთელი წელა წამოიმართა. თუმცა ტანის დუნე მოძრაობაშიც აშკარად გამოხატა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული.

- ნაშრომი თან წავიღო თუ თქვენთან დარჩეს?

- რასაკვირველია, თქვენთან უნდა იყოს! - რექტორმა ფურცლები ზედმეტი გულმოდგინებით აკრიფა და კორინთელს გაუწოდა.

- ხომ არ აჯობებდა, გამოკვლევა ოფიციალურად წარმომედგინა და განგვეხილა აკადემიაში? არაა გამორიცხული, რომ ჩემი დიპლომის დაცვამდე, ესე იგი, იანვრამდე, სხვა ვინმე არ ამოხსნის ამ პრობლემას.

- მართალი ბრძანდებით... - დაიბნა რექტორი, - სავსებით მართალი ბრძანდებით. იცით რა, სჯობია ხვალ აკადემიის კანცელარიას ჩააბაროთ თქვენი ნაშრომი, მე კი პრეზიდენტს მოველაპარაკები.

- კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო რექტორო!

- კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო სერგი, დიდი მადლობა ყურადღებისათვის! - სიხარულს ველარ მალავდა ზურაბ თორაძე.

რამაზ კორინთელმა გრძელი კაბინეტის მუქი ნაბლისფერი ხის კარი სწრაფად გამოაღო და წინ მთავარი ექიმი გაატარა. შემდეგ კარი მიხურა და იქედნური, ოდნავ მუქარაშერეული ღიმილით კვლავ რექტორისაკენ გაემართა.

- მაინც არ მოიქეცით მაშინ სწორად, ბატონო რექტორო!

- რა ბრძანეთ? - დაიბნა რექტორი.

- არ მოიქეცით-მეთქი სწორად, როცა აკადემიკოს დავით გიორგაძეს თანაავტორობა შესთავაზეთ.

რექტორი გაფითრდა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

- არ მესმის, რომელ თანაავტორობაზეა საუბარი?!

- ძალიან კარგად გესმით და იცით, ამხანაგო სერგი! თქვენ დავით გიორგაძეს თანაავტორობა შესთავაზებთ რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის აღმოჩენის შემთხვევაში. სანაცვლოდ დაჰპირდით, რომ თქვენ იზრუნებდით საკავშირო სახელმწიფო პრემიის მოპოვებაზე. აბა, გაიხსენეთ, განა ასე არ იყო? გნებავთ ზუსტად გითხრათ, სად დაგებადათ თანაავტორობის ბრწყინვალე იდეა? მოსკოვში, სესიაზე რომ ბრძანდებოდით. ყრილობათა სასახლის ბუფეტში ანანასის წვენზე დაპატიჟეთ უფროსი კოლეგა. უკანასკნელი მოდის ბალახისფერი ველვეტის კოსტიუმი გეცვათ, კარდენის ფირმისა. გახსოვთ, დავით გიორგაძემ რა გიპასუხათ?

რექტორმა უაზრო თვალებით შეხედა თავხედ ახალგაზრდას.

- არ გახსოვთ? ახლავე გაგახსენებთ. პასუხად აკადემიკოსმა ჯიბიდან ფული ამოიღო და ანანასის წვენის საფასური გადაიხადა.

- თქვენ ეს საიდან იცით?

რამაზ კორინთელს შორიდან ჩაესმა რექტორის სუსტი და ყრუ ხმა.

- მე ყველაფერი ვიცი. ისიც ვიცი, საუბარი თანაავტორობაზე იმ დღეს კი არ დაგინწყიათ, მთელი ორი დღით ადრე ამზადდებით ნიადაგს. გახსოვთ, კუტუზოვის პროსპექტზე აკადემიკოს ვლადიმერ სერგეევს რომ ესტუმრეთ? გინდოდათ დაგერწმუნებინათ დავით გიორგაძე, რომ ახლოსა ხართ ამ გამოჩენილ მეცნიერთან, რომელიც ფაქტიურად წყვეტდა ფიზიკისა და ასტრონომიის დარგში სახელმწიფო პრემიების მინიჭების ბედს. ისიც კი ვიცი, ლიფტი რომ არ მუშაობდა. მეოთხე სართულზე, სანამ ზარის დილაკს თითს დააჭერდით, თქვენ შეისვენეთ. დავით გიორგაძეს უთხარიოთ, არ მინდა აქოშინებული დამინახონო და თან ჯიბეში მასპინძლის მეუღლისათვის მისართმევი „შანელი“ მოსინჯეთ...

- ვინა ხართ თქვენ? - შეშინებულმა ამოიხრიალა რექტორმა.

- ალბათ, გახსოვთ, საშინლად ცხელოდა. თქვენ ჰალსტუხი ოდნავ მოშვებული გქონდათ. როგორც კი სული მოითქვით, ჰალსტუხი შეისწორეთ და ზარს თითი დააჭირეთ. ზარის ხმა რომ ვერ გაიგონეთ, მერე ორთავენი მიხვდით, რომ შენობაში დენი იყო გამორთული. ლიფტიც იმიტომ არ მუშაობდა, და ხის კარზე სამჯერ ფრთხილად დააკაკუნეთ. კარის გაღებამდე რატომღაც ნელშიც კი მოიხარეთ მოკრძალებით.

„ვთქვით, ყველაფერი დავით გიორგაძემ უამბო, მაგრამ ასე დეტალურად, ასე დანვრილებით? ისე ჰყვება, თითქოს იქ მდგარიყოს და ყველაფერი საკუთარი თვალით დაენახოს“, - რექტორს თვალის გუგები თანდათან გაუფართოვდა.

- სანამ კარს გააღებდნენ, ცხვირსახოცით გაოფლილი სახე შეიმშრალეთ!

- კმარა! - ფეხზე წამოიჭრა რექტორი, - რა გინდათ ჩემგან? თუ ფიქრობთ, რომ შანტაჟით შემაშინებთ, ძალიან ცდებით. რასაც თქვენ ჰყვებით, მართალიც რომ იყოს, დანაშაულად არ მიმაჩნია და მეორეც, რითი დაამტკიცებთ თქვენს მონაყოლს?

- მე არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებ, ბატონო რექტორო, გარდა ერთისა. გახსოვთ, რა ირონიული დიმილით ბრძანეთ - „მამ ეს თქვენ ხართ ფენომენალური ნიჭისა და ცოდნის პატრონი?“ მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ყველაფერი ვიცი. თქვენი ცხოვრების ისეთი რაღაც-რაღაცეებისც ვიცი, თქვენ რომ წარმოდგენაც არ გაქვთ, თუმცა, მოდიო, ამაზე ლაპარაკს შევეშვათ. ცნობისთვის, მინდა მოგახსენოთ, აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ ვერ დაამტკიცა რადიაციის მეხუთე ტიპის არსებობა, თუმცა ინტუციამ იგი სწორ გზაზე დააყენა. იქნებ, პრობლემა გადაეჭრა კიდევ, რომ დასცლოდა უბედურს. ალბათ იცით, ტვინში სისხლი ჩაექცა და მისი გამოკეთების იმედი ნულის ტოლია. სამაგიეროდ, მე აღმოვაჩინე რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი. იგი დანერვილია და თავის რიგს ელოდება. მანამდე თქვენ უნდა მოაგვაროთ ჩემი საქმეები. თუ გაირჯებით და იანვარში დიპლომთან ერთად კანდიდატის სამეცნიერო ხარისხსაც მომანიჭებთ, მაშინ მე მივიღებ იმ წინადადებას, აკადემიკოს გიორგაძეს რომ შესთავაზებთ. იმედი გქონდეთ, რომ არ

დაგასწრებთ და არ გადავიხდი ანანასის წვენის საფასურს! დამეთანხმებით, სრულიად ახალგაზრდა კაცისათვის ბევრს ნიშნავს სახელმწიფო პრემია! კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო რექტორო!

კარის გაჯახუნებაზე უნივერსიტეტის რექტორი ისე შეხტა, თითქოს მოულოდნელად რევოლვერი ისროლესო. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ჩაფერფლილი და დადუმებული. მერე ერთბაშად წამოენთო, წამიერად დაუბრუნდა ენერგიული გამომეტყველება. სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და დაუსწრებელი სწავლების დარგის პრორექტორი გამოიძახა.

- გისმენთ, ბატონო სერგი!

- შემომიტანეთ ყველა მონაცემი ფიზიკის დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტ რამამ მიხეილის ძე კორინთელზე.

ათი წუთის შემდეგ პრორექტორი საქაღალდით ხელში შემოვიდა რექტორის კაბინეტში.

- იცნობთ მაგ ყმანვილს პირადად?

- ვიცნობ.

- როგორი სტუდენტია?

- ყველაზე ჩამორჩენილი და უსაქმური. ამას ვინ დაეძებს, ხულიგანი და მილიციის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი რომ არ იყოს.

- რა ბრძანეთ? - იყვირა გაოცებულმა რექტორმა.

პრორექტორი შეცბა. ვერ მიხვდა, რექტორი რამ შეაშფოთა.



- ხომ არ გეშლებათ? მე რამაზ მიხეილის ძე კორინთელზე მოგთხოვეთ ინფორმაცია.

- დიას, მეც რამაზ კორინთელზე მოგახსენებთ. ორჯერ იყო მაგ ყმანვილის საქმე ამხანაგურ სასამართლოზე.

- ღმერთო ჩემო ! - ამოიგმინა რექტორმა და თავი ხელებში ჩარგო.

„ხულიგანი, საეჭვო პიროვნება, ამხანაგური სასამართლო, უსაქმური და ჩამორჩენილი... მაშ, საიდან იცის ასე კარგად ფიზიკა და ასტრონომია? საიდან გადაჭრა ურთულესი მეცნიერული პრობლემები? საიდან იცის უცხო ენები?“

პრორექტორი შეშინებული იჯდა და ხმას არ იღებდა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა.

- შეიძლება მე წავიდე? - იკითხა ბოლოს მოკრძალებით პრორექტორმა.

რექტორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

პრორექტორმა შვებით ამოისუნთქა და ფრთხილად წამოდგა.

- მდივანს უთხარით, მანქანა გამოიძახოს, თან სამინისტროში დარეკოს, რომ თათბირზე ვეღარ წავალ, თავს შეუძლოდ ვგრძნობ! - მიაძახა რექტორმა ფეხაკრეფით მიმავალ პრორექტორს.

\* \* \*

ეზოში „უიგელის“ ძრავა ამუშავდა. რამაზ კორინთელი გამოერკვა, ფანჯარას მოშორდა, სკამზე ჩამოჯდა.

მაინც რატომ დაუმძიმდა ასე გული? იქნებ იმიტომ, რომ წვერის გაპარსვის დროს სარკეში ცქერისას კიდევ ვერ შეეჩვია თავის ახალ სახეს? არა, მსგავსი პრობლემები თითქმის აღარ აღელვებდა. მოზღვავებული ენერგია, ჭაბუკური ხალისი და ტემპერამენტი მის არსებაში კარგა ხანია ზეიმობდა გამარჯვებას.

მაშ, დღეს რაღა დაემართა, რა უღრღნიდა სულსა და სხეულს?

თითქოს რაღაც ენიშნა, თითქოს მიხვდა, სხეული უბედურების სიგნალებს იჭერდა. სიგნალები ნანწყვეტ-ნანწყვეტ მოდიოდა, იმპულსებად. ყოველი იმპულსი თმაზე უწვრილეს ტყვიებად უვლიდა გულში და დაშანთულ ხვრელებს სტოვებდა.

ცივი ყავა სანახევროდაც ვერ დალია. ახლის მოღუღების აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც თავი.

ოთახში უეცრად ჩამოხვდებოდა.

გაოცებულმა კორინთელმა ფანჯარას გახედა.

„ღამდება თუ თენდება?“ - დაიბნა იგი, ფიცხლად წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ცას სილურჯე დაეკარგა და ლაპლაპა შავი ფერი გადაჰკვროდა. მზე უკვე ამოსული იყო, მაგრამ ცასა და მიწას ვეღარ ანათებდა, ვარსკვლავებით გადაჭედნილ ცაზე უზარმაზარ სპილენძის მონეტას ჰგავდა.

რამაშ კორინთელი სანერ მაგიდაზე მიგდებულ საათს ეცა. რვა სრულდებოდა. ირგვლივ ისევ ბნელოდა. ქუჩებში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. საგანგაშო სიგნალების იმპულსებმა მთელი სხეული ერთბაშად დაუჩხვლიტა და დაუშანთა.

ტრანზისტორს ეცა.

დიქტორის ხმამ ოდნავ დაამშვიდა. მიხვდა, ქალაქში სიცოცხლე მთლად არ ჩამკვდარიყო. რადიოში უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. დიქტორები რიტმულად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რამაზ კორინთელი ორთავე დიქტორის ხმას კარგად იცნობდა, თუმცა ამ ხმის პატრონთა არც სახელები იცოდა და არც გვარები.

უცებ მათი ხმა თითქოს სადღაც შორიდან მოისმა. უფრო სწორად, ისინი თითქოს სადღაც შორს, ძალიან შორს მიჰქროდნენ შავ სივრცეში მოტივტივე, გარდაცვლილი დედამიწიდან, ზემოდან რომ გაციებული, დაუანგებული სპილენძისფერი მზე დასჩერებოდა.

„ნუთუ ყველა გაიქცა, ნუთუ ჩემს გარდა ყველამ უშველა თავს?“ - გაიფიქრა შეშინებულმა და სასონარკვეთილი სკამზე დაეშვა. მოეჩვენა, რომ სკამი უცნაურად ტორტმანებდა. შეეშინდა, არ გადმოგვარდეთ და სახელებს ხელები ისე ჩაავლო, თითები ეტკინა. თვალი ტრანზისტორს გაუშტერა, ქვეშეცნეულად იგრძნო, უბედურების სიგნალებს მძლავრ, ყველგანგამტარ იმპულსებად ტრანზისტორი ასხივებდა, გაქვავებული სმენად იქცა. ყველა ნერვი აღგზნებული და დაჭიმული ჰქონდა. გრძნობდა, ძარღვებში სისხლი ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო სწრაფად მოძრაობდა. კი არ მოძრაობდა, თითქოს ორი უძლიერესი ტუმბო ცხელი სისხლის ნაკადს ერთმანეთის სანინააღმდეგოდ ერეკებოდა. დიქტორის ხმა, სადღაც შორიდან რომ მოისმოდა, უცებ სულ დადუმდა.

რამაზ კორინთელს მოეჩვენა, რომ სიჩუმე მთელი საუკუნე გაგრძელდა. - გუშინ, საღამოს ათ საათზე, - ჩაესმა უცებ შორიდან დიქტორის უსიამო ხმა, - გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიოს მრავალი აკადემიის საპატიო წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი...

გულნასული რამაზ კორინთელი სკამიდან ჩამოცურდა და იატაკზე გაიშხლართა.

როცა გონს მოვიდა, ვერ აღიდგინა, რამდენ ხანს იყო გულწასული. ჯერ წამოვცა, მერე წელა წამოდგა, საწოლთან მივიდა და გულაღმა გაიშხლართა. ფანჯარაში შემოტრიალი მზის სხივები სარკვეზე ირეკლებოდა. ებოსა და ქუჩაში ძველებურად ისმოდა ავტომანქანების მოტორების ღმუილი, მუხრუჭების ხრტილი და ბავშვების ჟრიაშილი, რადიოთი სავიოლინო კონცერტს გადმოსცემდნენ. ერთბაშად მოეჩვენა, რომ მენდელსონის სავიოლინო კონცერტი ტრანზისტორიდან კი არ ისმოდა, მზიდან სარკვემდე ოქროსფრად გაჭიმულ სხივებს მოჰქონდა შორეული სივრციდან. „იქნებ მომეჩვენა? - დაევცა უცებ კორინთელი, - ცა რატომ იყო ასე შავი, ან მზე სითბოს რატომ არ გამოსცემდა? ალბათ, გული რომ წამივიდა, მაშინ მომელანდა ცის სიშავეც, დედამიწისა და მზის გარდაცვალებაც. იქნებ არც რადიოთი გადმოუციათ აკადემიკოს დავით გიორგაძის სიკვდილის ცნობა?“

ტელეფონს ეცა, ზურაბ თორაძეს დაურეკა.

მთავარმა ექიმმა უმაღვე აიღო ყურმილი. კორინთელს ათრთოლებულ და შეშინებულ ხმაზე შეატყო, უკვე იცოდა აკადემიკოსის გარდაცვალების ამბავი. მთავარმა ექიმმა ისიც შესანიშნავად იცოდა, მოხუცის სიკვდილი რამაზ კორინთელზე რა შემადრწუნებელ შთაბეჭდილებასაც მოახდენდა. შეეცადა, თავიდანვე მხიარულად ელაპარაკა, მომხდარი უბედურების სიმძიმე შეემსუბუქებინა და გაეუბრალოებინა. ამ ნუთებისათვის იგი დიდი ხანია მზად იყო. კაცმა რომ თქვას, სადარდებელი არაფერი ჰქონდა და მხიარულადაც იყო. აკადემიკოსის ცოცხალი სხეული მას აღარ სჭირდებოდა. პირიქით, მომავალში შეიძლება ხელიც კი შეეშალა მოვლენების განვითარებისათვის. ოპერაციის შემდეგ საკმარისმა დრომ განვლო. რასაკვირველია, სჯობდა მალე მიეჩინათ უინტელექტო, გამოფიტული სხეულისათვის სამუდამო ბინა. ახლა მთავარი იყო რამაზ კორინთელი არ დაეთრგუნა დეპრესიას. საჭირო იყო მის გვერდით დგომა და მძიმე ემოციების განეიტრალება.

- გაიგეთ, არა? - დაასწრო მხიარულად კორინთელს.

- მერე გეცინებათ? - კორინთელმა ჯანსაღ კბილებსშუა ძლივს გამოსცრა მრისხანე ფრაზა.

- აბა, სატირალი რა გვაქვს? - უკან არ დაიხია მთავარმა ექიმმა. - მართალია, რამდენიმე უსიამოვნო დღის გადატანა მოგიწევთ, სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ დამშვიდდებით, რომ სადღაც, საავადმყოფოში აღარ ბოგინობს სხეული, რომელიც ოდესღაც თქვენ გეკუთვნოდათ.

- კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ექიმებს გული არა გაქვთ!

- კარგით, იყოს ასე, არ გეკამათებით. მხოლოდ გირჩევთ, აკადემიკოსის გარდაცვალების ამბავს გულთან ნუ მიიტანთ. ნურც გაზეთებს წაიკითხავთ. ოდნავ თუ თავი შეუძლოდ იგრძნოთ, ან რაიმე უსიამოვნო გრძნობა დაგეუფლოთ, იმავე წუთში შემატყობინეთ. ახლა, ჩვეულებისამებრ, დილის კონფერენციას ვინცებთ. ორი საათის შემდეგ მოვალ და გინახულებთ...

- არ არის საჭირო. გთხოვთ, ეს დღეები მარტო დამტოვოთ. თუ რამე გამიჭირდა, თვითონ დაგირეკავთ, როდის არის გასვენება?

- ხუთშაბათს, ოთხი დღის შემდეგ.

- კარგად ბრძანდებოდეთ!

რამაზ კორინთელმა ყურმილი დაკიდა და ლოგინზე თავდაღმა დაემხო.

\* \* \*

რამაზ კორინთელმა ერთგვარი შვებით ამოისუნთქა, მიხვდა, დღეს ყველაფერი მთავრდებოდა.

ოთხი დღის მანძილზე თავდაყირა ეგდო ლოგინში, ოთხი დღის მანძილზე რული არ მიკარებია მის თვალებს. ოთხი დღის მანძილზე მის თავში ტელეგრაფის მავთულებივით ბუზუნებდნენ ნერვები, ათასგვარ ინფორმაციას რომ გადასცემენ ერთდროულად. ოთხი დღის მანძილზე გამოთიშული ჰქონდა ტელეფონი, ოთხი დღის მანძილზე გაუძლო ცთუნებას, არ ჩასულა დაბლა და გაზეთები არ ამოუტანია. ინტერესით კი ყველაფერი აინტერესებდა, ვინ გამოაცხადა, ან მთავრობამ როგორ გამოაცხადა მისი გარდაცვალება. რამდენი ნეკროლოგი და რომელ გვერდზე გამოაქვეყნეს გაზეთებმა.

„ოჯახის განცხადებაც იქნებოდა „თბილისში“.

„ცოლთან ერთად, ალბათ, აკადემიკოსის შვილიც გამოაცხადებდა დავით გიორგაძის გარდაცვალებას“, - გაიფიქრა და გული ეტკინა.

„თუკი სადმეა ცოცხალი, იქნებ ჩემად ჩამოვიდეს თბილისში და გასვენებას დაესწროს კიდევ“.

„პარაკით იქნება შენიღბული. მე მაინც ვიცნობ, აუცილებლად ვიცნობ. თუ არ ჩამოვიდა, მაშინ... ვინ იცის, თუ რუსეთშია გადაკარგული, იქნება ვერც კი გაიგოს მამის გარდაცვალების ამბავი...“

გაზეთების ნახვის სურვილმა სამინელი ძალით შეიპყრო. ფეხზე წამოხტა, ოთახის ჩაკეტილი კარი გაიღო, გასაღებების აცმულა გამოაძრო და დაბლა დაეშვა.

საფოსტო ყუთში ოთხი დღის გაზეთები იყო ძალისძალად ჩაკეტილი. უმაღვე იმდღევანდელი „კომუნისტი“ მონახა, მაგრამ არ გაუშლია, ცნობისმოყვარეობა მოთოკა, მალლა ამოვიდა, ოთახის კარი შიგნიდან გასაღებით ჩაკეტა, სკამზე დაჯდა, სული მოითქვა და გაზეთი მერე გაშალა. მესამე გვერდზე შავ ჩარჩოში ჩასმული ნეკროლოგის შუაგულიდან დავით გიორგაძის პორტრეტმა თვალი თვალში გაუყარა. გულშეკეპმულმა გაზეთი უმაღვე დაკეცა და თვალები დახუჭა.

„მოკვდა!“ - მთელი ძალით იყვირა გულში.

თითქო სადღაც კიდევ არ იყო ბოლომდე დარწმუნებული აკადემიკოსის სიკვდილში. თითქოს სადღაც კიდევ კოშმარსა და რეალობას შორის დაბორიანდებდა. პორტრეტმა მოვლენის ფოკუსი გაასწორა და დავით გიორგაძის სიკვდილი სამუდამოდ დააფიქსირა.

აღარ უნდოდა ნეკროლოგისათვის კიდევ დაეხედა, აღარ უნდოდა საკუთარ სიკვდილზე კიდევ ეფიქრა, მაგრამ უხილავი ძალა სთხოვდა, გაბეთი ისევ გაეშალა.

დავით გიორგაძის პორტრეტმა ისევ გაუყარა თვალი თვალში. მღელვარებას როგორც იქნა გაუძლო, ცოტა დამშვიდდა კიდევ. იცნო ორი წლის წინანდელი პორტრეტი, უცხოეთში მივლინების წინ რომ გადაიღო პასპორტისათვის.

„რაღა ეს პორტრეტი მოათავსეს! - ეწყინა გულში რამაზ კორინთელს, აკადემიკოსი დავით გიორგაძე ამ პორტრეტით ყველაზე ნაკლებად ჰგავს თავის თავს“.

რამაზ კორინთელმა ყურადღება თანდათან ტექსტზე გადაიტანა. პირველად თვალი ნეკროლოგის ქვეშ მსხვილი შავი შრიფტით დაბეჭდილი გვარებისაკენ გაექცა. კმაყოფილება ვერ დამალა, მთავრობის წევრებთან ერთად გვარს ყველა სახელოვანი მეცნიერი აწერდა, თვით აკადემიკოსის დაუძინებელი მტერი პროფესორი მიხეილ გიორხელიძეც კი!

გვარებს ბარე სამჯერ გადაავლო თვალი, შემდეგ ტექსტი ჩაიკითხა, სასაყვედურო აქაც არაფერი ჰქონდა, მეცნიერის დიდი და საინტერესო ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი არ იყო გამორჩენილი.

სკამის საზურგეს მიაწვა, თავი ასწია და თვალები დახუჭა. გაშლილი გაბეთი ისევ ხელში ეჭირა. ფიქრებში ჩაიძირა. უაზროდ ფიქრობდა, უაზროდ და ნანწყვეტ-ნანწყვეტ, მთლიან

აზრს თავს ველარ აბამდა. ფიქრები კი ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ, მაგრამ რამაზ კორინთელის შუბლზე ირეკლებოდნენ, ტკაცუნობდნენ, ნაპერწკლებს ისროდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ.

უცებ რამაზ კორინთელმა გაბეთი სანოლზე მოისროლა და გაიცინა. ჯერ ხმადაბლა იცინოდა, მერე თანდათან უმატა და ბოლოს ისტერიული ხარხარი აუტყდა. სკამზე ველარ დაკავდა, მთელი სხეული საშინლად უთახთახებდა. ფეხზე წამოიჭრა, კედლიდან კედელს ასკდებოდა. ხან თავანუელი ხმამაღლა იცინოდა, თითქოს ჯერს შეჭხარხარებდა, ხან წელში მოიხრებოდა და ხარხართან ერთად მორეულ ხველას უმკლავდებოდა.

ხარხარში თანდათან უცნაური სევდიანი ხმები გაერია. შემდეგ ამ ხმებმა იძალა და ნელ-ნელა ხარხარი ქვითინში გადაიზარდა. რამაზ კორინთელი ხან ხარხარებდა, ხან ტიროდა. ცრემლები ღაპადუპით ჩამოსდიოდა. მოულოდნელად სანოლთან მიიჭრა. გაბეთს ხელი დაავლო, ნაკუნებად აქცია, ლოგინზე თავდაღმა დაეხეთქა და თავი ბალიშში ჩარგო. ტირილს ებრძოდა. უნდოდა ყელში სწვდომოდა, ბალიშში მოეხრჩო, მოეგუდა.

მხრები, მკლავები და თავი ისე უძაგძაგებდა, თითქოს მის სხეულში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. მერე, თითქოს ქსელში ძაბვა დავარდაო, ძაგძაგმა უკლო, ტირილის ხმაც თანდათან მისუსტდა და ბოლოს სულ მიწყდა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე. სანგრევებიდან ისევ ამოძვრნენ კითხვის ნიშნები, წელში მოხრილი ჯარისკაცებივით ხიშტმომარჯვებულნი მოისწრაფოდნენ ყოველი მხრიდან.

უცებ რა მოხდა? შეშინებულები ყველანი უკან გაბრუნდნენ და საშინელი სისწრაფით გადაიკარგნენ ჰორიზონტს იქით.



რამაზ კორინთელს მკვდარივით ჩაეძინა. ოთხი დღის უძილარმა გონებამ რაღაც უცნაური მოვლენა მთლიანად გადახარშა, ელექტრონისაგან დაცლილი ელემენტივით გამოთიშა ტვინის ხვეულებში წითლად მოვარვარე, გადახურებული ნერვები.

ოთხი საათი გაუნძრევლად ეძინა.

თვალი რომ გაახილა, უმაღვე საათს შეხედა. პირველი იყო დაწყებული. ტელეფონი ისევ ჩართო, ლოგინიდან არ წამოშდგარა. მთავარ ექიმს დაურეკა. თითქმის უბრძანა, ახლავე ჩემთან მოდიო. ყურმილი ბერკეტზე დააგდო, თვალეები ჭერს მიაპყრო. უცებ შვება იგრძნო, მძაფრი ვნებებისაგან დაცლილს საფიქრალი აღარაფერი ჰქონდა. ძროხის ახლად გამოწველილ ჯიქანს ჰგავდა. სანამ ცური ფიქრებით ხელახლა შეივსებოდა, მძელო მშვიდად ყოფილიყო.

ოთახში გამეფებული დუმილი ბარის ხმამ დაარღვია. პირველად ეგონა მომეჩვენაო და არ შერხეულა.

ბარის ხმა განმეორდა.

„ასე მალე?“ - გაუკვირდა კორინთელს.

„აღბათ, სულ დავკარგე დროის შეგრძნება“.

ნელა წამოდგა. კარის გაღებას არ ჩქარობდა, სააბაზანოში შევიდა და სარკეში ჩაიხედა. ღაწვებზე ცრემლები საღებავის შხეფებივით შერჩენოდა. პირი დაიბანა, პირსახოცით სახე დინჯად შეიმშრალა და სარკეში ჩაიხედა. თითქოს ისევ შემობრუნდა ის განცდები, ამ ერთი თვის წინ რომ საბოლოოდ მიივიწყა. თავდაპირველად სარკეში ვერ იხედებოდა, თავის ახალ სახეს ვერა და ვერ შეჰგუებოდა. წვერის გაპარსვის დროს ცდილობდა ლოყის მხოლოდ იმ ნაწილისათვის შეეველო თვალი, სადაც ელექტროსაპარს მანქანას დაასრიალებდა.

კარი წელა გაალო. არც კი შეუხედავს, ზღურბლზე ვინ იდგა. უკან გამობრუნდა.

- თვალეზე გატყობთ, თქვენზე ძალზე უმოქმედია აკადემიკოსის სიკვდილს. - უთხრა შემოსვლისთანავე მთავარმა ექიმმა.

- და თქვენ ეს ბუნებრივად არ მიგაჩნიათ? დაბრძანდით. - რამამ კორინთელმა სტუმარს სკამი შესთავაზა.

- როგორ გითხრათ, - ჩამოჯდა სკამზე მთავარი ექიმი და თან ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა, - ვაცმა რომ თქვას, მსგავსი ვნებათაღელვა ბუნებრივია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თქვენისთანა ადამიანისათვის.

- ეგ როგორ გავიგოთ?

- სრულიად უბრალოდ! - ზურაბ თორაძემ მარჯვენა წარბი მაღლა აზიდა და თავისი ჩვეული ტონალობა იპოვა, - თქვენ დიდი თეორეტიკოსი და მკვლევარი ბრძანდებით. თქვენს გონებას ბევრი დიდი პრობლემა გადაუჭრია, თქვენს თავში არაერთი გაბედული, თითქმის რევოლუციური ჰიპოთეზა დაბადებულა. თქვენი ტალანტი მილიონობით სინათლის წელიწადის სივრცეებს დაეუფლა, სამყაროს, მატერიის პირველსაფუძვლებს ჩასწვდა. ფსიქოლოგიურად თქვენ მზად იყავით ყველაზე მოულოდნელი და ეპოქალური აღმოჩენებისათვის. ამიტომაც ოპერაციიდან განვლილი თითქმის ხუთი თვის მანძილზე მეგონა, იოლად დასძლევდით თქვენი გარდასახვით გამოწვეულ ემოციურ სტრესებს. თუმცა არც გამტყუნებთ. იყო კიდევ ერთი მოვლენა, რაც ხელს გიშლიდათ ბოლომდე განთავისუფლებულიყავით უსიამო განცხადებისაგან. დიახ, თქვენს სხეულზე მოგახსენებთ, ბატონო ჩემო, თქვენს ყოფილ სხეულზე, სადაც სამოცდაათობმეტ წელს იყო ჩაბუდებული თქვენი გონება და სული! ახლა, როცა თქვენი ყოფილი სხეული აღესრულა, სულ იოლი, ორი ათეული დღის ამბავია, სულ იოლი, ორი ათეული დღის ამბავია, საბოლოოდ განთავისუფლდეთ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტრავმებისა და კომპლექსებისაგან!

მთავარმა ექიმმა მთელი ეს ტირადა ისე წარმოსთქვა, რამაზ კორინთელისათვის არც კი შეუხედავს. უფრო თუ დავაზუსტებთ სათქმელს, თვალებით რამაზ კორინთელს მისჩერებოდა, მაგრამ სადღაც შორს, რძისფერ სივრცეში იცქირებოდა და თავისი მაღალფარდოვანი ლაპარაკით თვითონვე ტკბებოდა.

წამიერად შესვენა, ახლა კი ნამდვილად რამაზ კორინთელს ჩახედა თვალებში. აინტერესებდა, მისმა მონოლოგმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამაზ კორინთელი ოდნავ დამცინავი ღიმილით მისჩერებოდა მთავარ ექიმს. ფიქრობდა და ვერ ამოეხსნა, რატომა სჯამთ მეცნიერებს, განსაკუთრებით ექიმებს, მსახიობობისა და მწერლობის ჭია. დარწმუნებული იყო, ზურაბ თორაძე ლექსებს თუ არა, პიესებს მაინც წერდა.

მთავარმა ექიმმა შენიშნა კორინთელის ბაგეების ბოლოებზე უღვაშებივით აწკეპილი ირონიული ღიმილი, მაგრამ აინუნშიც არ ჩაუგდია. იგი ახლა მთიდან მოწყვეტილ ზვავს ჰგავდა, წინ რომ ველარაფერი დაუდგებოდა.

- ჩვენ დღეს ერთად წავალთ თქვენი ყოფილი სხეულის გასვენებაზე. როდესაც თვალნათლივ დარწმუნდებით მის სიკვდილში, მხრებიდან საბოლოოდ ჩამოიხერტყავთ ეჭვებსა და ემოციებს, ნაყარი ფუტკარავით რომ შემოგსევიათ ირგვლივ. განა სიამაყით არ უნდა აგვესოთ გული, როცა იცით, რომ პლანეტაზე თქვენ ხართ პირველი და ერთადერთი ადამიანი, რომელიც სასაფლაოსაკენ მიმავალ მარადიულ გზაზე უკან მიჰყვება საკუთარ ცხედარს?! დიახ, ბატონო ჩემო, თქვენ სიცოცხლე არა მარტო განიახლეთ და გაიორმაგეთ , არამედ სამუდამოდ უკვდავჰყავით!

მთავარმა ექიმმა ისევ ამაყად შეხედა რამაზ კორინთელს. ჭაბუკის ბაგეებზე უღვაშებით აწკეპილი დამცინავი ღიმილი სადღაც გამქრალიყო. ახალგაზრდა, ჯანმრთელ და ფეროვან სახეზე გამოხატული დიდი მწუხარება ისე არაბუნებრივად გამოიყურებოდა,

გეგონებოდათ, ვიღაცის ნაჩქარევ ხელს ფუნჯით მიუხატავსო. რამაზ კორინთელის თაფლისფერი თვალები შორს, შორს, სადღაც უსასრულობაში იცქირებოდა. ზურაბ თორაძემ ისიც კი ვერ დაასკვნა, კორინთელი საერთოდ უსმენდა თუ არა. გუნება გაუფუჭდა, ლურსმანგაყრილი საბურავივით ჩაიჩუტა. ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა.

- დღეს, ფსიქოლოგიურად მძიმე წუთებში, მეც თქვენს გვერდით ვიქნები. განა იმიტომ, რომ რაიმე საფრთხე გელით, უბრალოდ, მეც მინდა ვიყო მოწმე ამ ისტორიული მოვლენისა, ვფიქრობ, ტრაბახში არ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ მე მაქვს ამის უფლება. სწორედ მე ვარ ავტორი ამ ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ეპოქალური ექსპერიმენტისა!

რამაზ კორინთელი კვლავ სახეგაქვავებული იცქირებოდა სივრცეში.

მთავარ ექიმს მეტი სათქმელი აღარ ჰქონდა. მიხვდა, კორინთელი ხმას აღარ ამოიღებდა. ამ საბეიმო სიტყვების შემდეგ აღარ სურდა გულის დამთრგუნველი, უხერხული დუმილი ჩამოვარდნილიყო და ფეხზე წამოდგა.

- გასვენება ხუთ საათზეა. ოთხ საათზე გამოგივლით და მზად დამხვდით.

ზურაბ თორაძე შებრუნდა, კარისაკენ ნერვული ნაბიჯებით გაემართა, თითქოს საშინელი სურვილი ჰქონდა, აქაურობას, რაც შეიძლება, სწრაფად გასცლოდა. კარი ისე გაიკეტა, უკან არც მოუხედავს. რამაზ კორინთელს სკამიდან წამოდგომაც არ უცდია. მხოლოდ ცივად გააყოლა თვალი კარისაკენ მიმავალ ექიმს. კარის გაჯახუნებაზე შეკრთა, თითქოს რაღაც მძიმე ფიქრისაგან გამოერკვაო, სწრაფად წამოდგა, სანოლთან მივიდა და კვლავ თავდაღმა დაემხო.

\* \* \*

აკადემიკოს დავით გიორგაძის კუბო ინსტიტუტის ვესტიბიულში დაესვენებინათ მარმარილოს ორი ბოძის წინ. ორთავე ბოძსა და სიღრმეში, მეორე სართულზე განდაგან ორ ტოტად ამავალ კიბეებს შორის მოქცეული ნიში შავი ხავერდით იყო შესუდრული. დავით გიორგაძის დიდი, ცნობილი მხატვრის მიერ ფოტოდან შესრულებული ფერწერული პორტრეტი სწორედ ნიშში მოეთავსებინათ. პორტრეტის ქვეშ ორი თეთრი მიხაკი ირიბად იყო მიმაგრებული. ნიშის წინ, ბაქანზე მიკროფონი იდგა. ქვემოდან ამომავალი კიბის ხუთი საფეხური ბაქანს მთელ სიგრძეზე უერთდებოდა. დამკრძალავი კომისიის წევრები სურათის ქვეშ იდგნენ, მიკროფონს უკან.

მალლა სართულზე, ორთავე მხარეს ამავალ კიბეებზე, მოაჯირებს დაყრდნობილი ინსტიტუტის თანამშრომლები ჩამწკრივებულიყვნენ.

ჭირისუფლებისათვის ქვემოთ გამოეყოთ ადგილი, კუბოს მარჯვენა მხარეს. აკადემიკოსის მეუღლე წინ წამოწეულ სავარძელზე იჯდა. დანარჩენი ქალები მის უკან ჩამომსხდარიყვნენ სკამებზე. მათ გაგრძელებაზე მამაკაცები იდგნენ ფეხზე.

რამაზ კორინთელმა მანქანაშივე სთხოვა მთავარ ექიმს, ინსტიტუტში რომ მივალთ, მე სადმე ჩემთვის მივიკუჭებიო. ზურაბ თორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თან დასძინა, საშიში არაფერია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მე სადმე თქვენს ახლოს ვიტრიალებ, ხოლო სასაფლაოზე ჩემი მანქანით წავიდეთო.

მთავარმა ექიმმა მანქანა ინსტიტუტიდან საკმაოდ მოშორებით დააყენა, თუმცა ინსპექციის მიერ გადაკეტილ ზონამდე მთელი ასი მეტრი იყო დარჩენილი. იცოდა, მალე ქუჩა მანქანებით გადაიჭედებოდა და კარგი სამანევრო ადგილი შეარჩია. სამსახურის მანქანით არ წამოვიდა, უნდოდა რამაზ კორინთელთან მარტო ყოფილიყო.

კვლევითი ინსტიტუტის წინ ხალხი ირეოდა. სამძიმარზე შემსვლელთა რიგი ორმოცდაათ მეტრზე მაინც გაჭიმულიყო. ზურაბ თორაძეს თითქმის ყოველი მეორე კაცი ესალმებოდა.

ისინი ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ართმევდნენ ხელს და თან რამაზ კორინთელს ისეთი გაკვირვებით მისჩერებოდნენ, თითქოს ამბობდნენ, ასეთი ახლობელი ვინაა საქვეყნოდ ცნობილი ექიმისა, აქამდე რომ არ გვინახავსო.

რამაზ კორინთელმა გადანყვიტა, მთავარ ექიმს ნელ-ნელა ჩამორჩენოდა და ჩამოშორებოდა. უკვე ნანობდა, მასთან ერთად რომ წამოვიდა გასვენებაზე. ზურაბ თორაძის კმაყოფილი იერი აცოფებდა, თავს მარტოდ ვეღარ გრძნობდა, არადა როგორ უნდოდა, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილიყო.

მისაღმებით გართული ზურაბ თორაძე მალე მიხვდა, კორინთელი რომ აღარ მიჰყვებოდა და ფიცხლად შემობრუნდა. მათ შორის მანძილი ათი ნაბიჯი მაინც იქნებოდა. კორინთელმა ხელის მოძრაობით ანიშნა, მშვიდად იყავით.

მთავარმა ექიმმა თანხმობის ნიშნად თვალი ჩაუკრა და უმაღლვე ნაცნობს მიესალმა.

რამაზ კორინთელი რიგში ჩადგა და მოთმინებით ელოდა იმ წუთებს, როცა ინსტიტუტის ნაცნობ ვესტიბიულამდე მიაღწევდა. თვითონვე უკვირდა თავისი სიმშვიდე, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა ინსტიტუტს, მით უფრო გრძნობდა, სქელი ღრუბელივით დახვეული მღილი როგორ უჭამდა გულს.

აჰა, მიაღწია კიდეც ორთავე ფრთით გაღებულ უბარმაზარ კარებამდე.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, აკადემიკოსის გამხდარი, ცვილისფერი სახე იყო. ყვავეილებით მორთულ კვარცხლბეკზე დადგმულ კუბოში კარგად მოჩანდა მეცნიერის მაღალი შუბლი, შეთხელებული, ჭაღარაშეპარული, ასაკისათვის საკმაოდ შეუფერებელი შავი თმა და ოდნავ კეხიანი ცხვირი.

ტანში გააფრუოლა, ცივმა ოფლმა დაასხა. მღილმა გულის სიღრმეში შეაღწია. წინ ნაბიჯი

ველარ წადგა, მალაზიის მანეკენივით უცნაურ პოზაში გაშეშდა. უკანიდან რომ ხალხის მოწოლა იგრძნო და ყურში რომ უკმაყოფილო ბუზღუნე ჩაესმა, გონს მაშინდა მოეგო, ძალა მოიკრიბა და ფეხები იატაკზე ისე წაათრია, კაცს ეგონებოდა, ორთავე კიდურზე დამბლა დასცემიაო.

მთლად გონზე მოსვლა ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა აკადემიკოსის მეუღლის წინ. ამდენი უბედურებით დასუსტებული ანა სულ მოტეხილიყო, ლოყები ჩასცვივნოდა, ტირილისაგან თვალში ცრემლი სულ გაშრობოდა. უბედური ქალი გამტერებული იჯდა და კუბოში ჩასვენებული მეუღლის სიშავეშეპარულ ცვილისფერ სახეს უაზროდ მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელი ვერ მიხვდა, რა დაემართა. ანას რაღაც უცნაური ძრწოლით და ზიზღით ჩაუარა. განა შეიძლებოდა ეს დამჭკნარი ქალი ოდესმე აკადემიკოს დავით გიორგაძის საყვარელი ადამიანი ყოფილიყო? სახეზე სირცხვილი წითლად ჩამოედვენთა.

აკადემიკოსის ნათესავებიდან ბევრი ვერ იცნო, მაგრამ ვინც იცნო, იმათაც გულგრილად ჩაუარა. შემდეგ რიგს გამოეყო და იქვე კიბესთან მიიყუთა. ირგვლივ სულ ნაცნობ-მეგობრები და კოლეგები იდგნენ. იცოდა, არავის არ უნდა მისალმებოდა, მაგრამ რამდენჯერმე უნებურად თავი მაინც დაუქნია ძალზე ახლობელ ხალხს. ერთი-ორი შეცბა კიდევ, ვერ მიხვდნენ, ახალგაზრდა კაცი ვინ იყო, ან რატომ იდგა ასე ახლოს დამკრძალავი კომისიის წევრებთან. მალე რამაზ კორინთელმა აქეთ-იქეთ დაიწყო თვალების ცეცება, იქნებ დავით გიორგაძის ვაუიშვილი დეგას სადმე პარიკით შენიღბულიო. ყველა შავსათვალისან დააკვირდა. აკადემიკოსის შვილს ვერავინ მიაშგავსა.

„არის კი ცოცხალი?“ - გულზე ისევ მიესია უთვალავი მღილი. ირგვლივ უამრავი ნაცნობ-მეგობარი იდგა. დიდი მწუხარება და გულისტკივილი არავის ეტყობოდა. ისინი თითქოს

ცნობისმოყვარეობას უფრო ჰყავდა შეპყრობილი, ვიდრე დარდსა და სევდას. შემოსულებს გულდასმით ათვალეერებდნენ და ცნობილი ადამიანების გვარებს ერთმანეთს საკმაოდ ხმამაღლა ეუბნებოდნენ. შიგადაშიგ ჩურჩულებდნენ, ხმადაბლა იცინოდნენ კიდევ.

უცებ შავ კაბაში გამოკვართულმა მკერდმა მოსტაცა თვალი. ხელში დავით გიორგაძის პირადი მდივანი შერჩა. შვიდი წელი მაინც იყო, მარინე დვალი აკადემიკოსთან მუშაობდა. მთლად ბავშვი, თვრამეტი წლისა ძლივს იქნებოდა, სამუშაოდ რომ აიყვანა. არასდროს არ შეუგრძენია ქალად. არც კი შეუმჩნევია, თუ ასეთი ვნებიანი მკერდი ჰქონდა.

რამამ კორინთელმა თვალი ვერ მონყვიტა ქალიშვილის მკერდს. გულში სინანულის გრძობა შეეპარა, დავით გიორგაძეს რა ქალი ვერ შეუმჩნევიაო. უნდოდა წარმოედგინა, შიშველი როგორი იქნებოდა, ვერც კი გაიხსენა, ფეხები როგორი ჰქონდა, ვესტიბიულში იმდენი ხალხი ირეოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ქალიშვილის ფეხებს მაინც ვერ დაინახავდა. სახემიმჭკნარ, მოხუც მეცნიერთა შორის მისის ჯანმრთელი, არც თუ მთლად პროპორციული, მაგრამ ვნებიანი სახე ყვავილივით ბრდღვიალებდა. უნებურად გაეხარდა, ახალგაზრდა ქალის თვალებში რომ გულწრფელი სინანული და მწუხარება დაიჭირა.

უცებ კორინთელის გვერდით საიდანდაც პროფესორი ნიკო ლოლაძე გამოძვრა. უნებურად გაეღიმა. ამ ათიოდე თვის უკან, მოსკოვში, სიმპოზიუმზე ყოფნისას, სამასი მანეთი ასესხა. ნეტავ თუ დაუბრუნა ვალი აკადემიკოსის ოჯახს?

„რისი დამბრუნებელია, მაგრამ არ შევარჩენ!“

ისევ მარინესაკენ გაიხედა. ახალგაზრდა ქალს ვიღაც ახმახი, ცხვირგანითლებული კაცი ჩამოჰვარებოდა.



„ნეტავ ვინ არის, ან აქ როდის აისვენა?“ - გაბრაზდა რამაზ კორინთელი, შემჭიდროვებული ხალხის ღობე ღონიერი მკლავებით საკმაოდ უხეშად გაარღვია და მარინეს ორ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

ისევ მოსტრა თვალი ქალის ჯიშინმა მკერდმა.

უფრო ახლოს მოსვლა ვერ გაბედა. უნებურად შეეშინდა არ მიცნოსო. თავისი შიშის უაზრობაზე თვითონვე გაეღიმა.

ისევ კუბოსკენ გააპარა თვალი. მიცვალებული თვალსა და ხელს შუა შავდებოდა. რამაზ კორინთელს აღარც კი სჯეროდა, რომ ეს შავი, ფაიფურისმაგვარსახიანი კაცი აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო.

ირგვლივ ყველა სევდიანად ახსენებდა აკადემიკოსის სახელს. დარდი მაინცდამაინც არავის ეტყობოდა, მაგრამ მეცნიერს ყველა მოკრძალებით იგონებდა. უდიერი სიტყვა არავის წამოსცდენია.

რამაზ კორინთელს გუნება თითქოს გამოუკეთდა კიდევც. კუბოს თვალი აარიდა და კვლავ იქაურობას დაუნყო დაკვირვებით თვალიერება. იქნებ სადმე აკადემიკოსის შვილს წავაწყდეთ. მსგავსი ვერავინ დაინახა. დაღონებულს თვალი ისევ აკადემიკოსის მეუღლისაკენ გაექცა. კვლავ წედანდელი, გამოუცნობი უსიამო გრძნობა დაეუფლა. ბოლოს მაინც მიხვდა, რაც უღრღნიდა გულს. ეს იყო ახალგაზრდა კაცის ზიზღი მოხუცი ქალის მიმართ, რომელთანაც ოდესღაც სარეცელი გაუყვია და მისი გულმკერდი გაშმაგებით უკოცნია.

კლასიკური მუსიკა ქართულმა საგუნდო სიმღერებმა შეცვალა, ხალხური სიმღერები - კვლავ კლასიკურმა. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა.

ხუთს ათი წუთი რომ დააკლდა, ვესტიბიულში ხალხის შემოშვება შეწყვიტეს.

რამაზ კორინთელმა იქით გაიხედა, სადაც დამკრძალავი კომისიის წევრები იდგნენ. იცოდა, ახლა მთავრობის წარმომადგენლები, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და დამკრძალავი კომისიის სხვა საპატიო წევრები გამოჩნდებოდნენ. მართლაც, მარჯვენა კიბეზე პირველად აკადემიის პრეზიდენტის შემელოტებულ ჭაღარას მოჰკრა თვალი. მის უკან დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე მოდიოდა, შემდეგ მოსკოველი პროფესორები - სერგეი ორლოვი და მიხეილ ვაინშტეინი დაინახა. დაკრძალვაზე ჩამოსულ სტუმრებს შორის სხვა ვერავინ იცნო.

ყველანი ბაქანზე შეიკრიბნენ. აკადემიის პრეზიდენტი მიკროფონთან მივიდა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და ვილაცას ხელით ანიშნა, მუსიკა გამოთიშეთო.

დინამიკები უმაღვე დადუმდა.

პრეზიდენტმა ჩაახველა, მაგრამ სიტყვის თქმას არ ჩქარობდა. აუღელვებლად იდგა, ვესტიბულში მოფუთფუთე ხალხს მისჩერებოდა და ელოდა, სანამ ყოველგვარი მოძრაობა და ჩურჩული მიწყდებოდა. ბოლოს ყველამ მონახა ისეთი ადგილი, საიდანაც ბაქანზე მდგომი ხალხი და მიკროფონი კარგად მოჩანდა და ინსტიტუტის უზარმაზარ, პომპეზურ ვესტიბულში უსიამო სიჩუმე ჩამოწვა.

- ძვირფასო მეგობრებო! - დაიწყო ჩახრინწული ხმით პრეზიდენტმა. თავი უკმაყოფილოდ გააქნია, მარცხენა ხელის მუშტი ტუჩებთან მიიტანა, ჩაახველა და ხელახლა გაიმეორა, - ძვირფასო მეგობრებო!

რამაზ კორინთელი მიხვდა, დინამიკები ქუჩაშიც გაეტანათ. აღარ მოისმოდა უზარმაზარი ღია ფანჯრებიდან ქუჩაში მდგომთა ხორხოცი.

პრეზიდენტი ნელა და გარკვევით ლაპარაკობდა. მისი სიტყვა ისეთი ჩვეულებრივი და ტრაფარეტული იყო, რომლის მსგავსი ანგარდაცვლილ აკადემიკოსს თვითონაც ბევრჯერ

წარმოუთქვამს და სხვისიც ბევრი მოუსმენია. საყვედური მაინც არ ეთქმოდა. პრეზიდენტმა მოკლე შესავალ სიტყვაში თითქმის მთლიანად დაახასიათა დავით გიორგაძის მეცნიერული ღვაწლი და ღირსეული ადგილიც მიუჩინა ერის გამოჩენილ შვილთა შორის.

პრეზიდენტმა სამგლოვიარო მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარეს მისცა.

ხანმოკლე პაუზის დროს საპატიო ყარაულიც შეიცვალა.

უცებ კორინთელს კეფა ვიდაცის თვალებმა გაუხვრიტა. უნებურად უკან მოიხედა. სამიოდე მეტრის დაშორებით ვიდაც მაღალი, შავგვრემანი და სქელწარბებიანი ჭაბუკი იდგა და ოდნავ პირდაღებული დაუინებით მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელი შეაკრთო უცნობის ამღვრეულმა გამოხედვამ და თავი შემოაბრუნა. კეფაზე ისევ იგრძნო უცნობის თვალების სიმხურვალე. უმაღლვე უკან მოიხედა. სქელწარბებიანი ჭაბუკი კვლავ დაუინებით მისჩერებოდა. ღია პირიდან ოღროქოღრო კბილები ჩავარდნილი კლავიშებივით მოუჩანდა.

თავი კვლავ სწრაფად შემოაბრუნა და ბაქნისაკენ გაიხედა. უსიამოვნო გრძნობით შეპყრობილმა ვერც კი შენიშნა, დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა როდის დაამთავრა. მიკროფონთან აკადემიკოსის მოადგილე ოთარ კახიშვილი იდგა და ზენარევით გაფითრებული აკანკალებული ხმით ლაპარაკობდა.

„ლაუღაჟა კაცი ასე რატომ გაფითრებულა, ან ხმა რატომ უკანკალებს? - სხვა თემამე სცადა გადართვა უცნობის ამღვრეული თვალებით აფორიაქებულმა კორინთელმა, - ვითომ მწუხარებამ დარია ხელი? არ მგონია. საქვეყნოდ ცნობილ დემაგოგს, თავი რომ ყოველთვის კარგ ორატორად მოაქვს, დირექტორის გარდაცვალება ხმას ვერ

აუკანკალებს, მითუმეტეს, აკადემიკოსის სიკვდილით გამოწვეული მისი მწუხარება საერთოდ გამორიცხულია. მაშ, რატომ დელავს? საფეთქლები რატომ დაჰბერვია? განა ძნელი მისახვედრია? იგი დღეს პირველად ამბობს სიტყვას, როგორც ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის მომავალი დირექტორი. ამ სიტყვაზე ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული. ასეთ აუდიტორიას განა კიდევ იპოვის სადმე? მთავრობის წევრები, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტები, ამდენი სახელგანთქმული მეცნიერი და მკვლევარი...”

„ვაი შენ, ჩემო თავო, ვინ უნდა შეცვალოს აკადემიკოსი დავით გიორგაძე?!“ - რამაზ კორინთელმა ერთბაშად შეავლო თავი თავის მეორე მოადგილეს, განყოფილების გამგეებს, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია. მიხვდა, დავით გიორგაძის მიერ ოცი წლის წინ დიდი ბრძოლით შეკონინებული ინსტიტუტი, შემდგომში გაძლიერებული და მსოფლიოში სახელგანთქმული კვლევითი ცენტრი, ერთბაშად იქცა რიგით, პროვინციულ მეცნიერულ დაწესებულებად.

კვება ისევ დასწვა ამღვრეული შავი თვალებიდან გამოსულმა ორმა წვრილმა სხივმა.

რამაზ კორინთელი თავს შეებრძოლა, რომ უკან აღარ მიეხედა. თუმცა უცნობის ანონილი ტანი, შავი თმა, სქელი წარბები და უსიამო მრგვალი თვალები ნათლად ედგა თვალწინ.

„სად მინახავს ეს თვალები? - დაფიქრდა უცებ რამაზ კორინთელი, - არადა, მინახავს, ნამდვილად მინახავს სადღაც!“

აკადემიკოსის მოადგილე ჯერ სერგეი ორლოვმა შეცვალა, ორლოვი კი სომხეთიდან ჩამოსულმა მეცნიერმა.

რამაზ კორინთელი კვლავ უცნობ ჭაბუკზე ფიქრობდა, გამომსვლელებს თითქმის აღარ უსმენდა, მაგრამ დროდადრო ამოსხლეტილ ფრაზებზე მიხვდა, ყველა ტრაფარეტის მდინარეში ცურავდა.

„იქნებ მეჩვენება? - გაიფიქრა უნებურად და თავი უკან შეაბრუნა. აწონილი, შავთმიანი ჭაბუკის თვალები შურდულიდან ნასროლი კენჭებივით მოხვდა..

ამჯერად სიმშვიდე შეინარჩუნა. ვითომც აქ არაფერიყო, მგერა სხვებზე გადაიტანა, ოციოდე კაცის სახე მანაც შეათვალიერა და თავი დინჯად მოაბრუნა.

„ვინ არის და რა უნდა ჩემგან?“

„იქნებ სულაც ნამდვილ რამაზ კორინთელთან აქვს საქმე?“

გულზე ყინულის თხელი ფენა გადაეფარა. თავიდან სიფრთვანა ყინული თვალსა და ხელს შუა სქელდებოდა.

ვერ გაიგო, მიტინგი როდის დამთავრდა.

ვერც ის გაიგო, ზურაბ თორაძე მასთან როდის გაჩნდა.

მთავარმა ექიმმა მხარზე ხელი რომ დაადო, კორინთელი დენდარტემულივით შეხტა. რატომღაც ეგონა, უცნობმა ჭაბუკმა დაადო სხეულთან შედარებით უპროპორციოდ გრძელი ხელი.

- გავიდეთ გარეთ! - ჩუმი ხმით, თითქმის ჩურჩულით უთხრა მთავარმა ექიმმა.

რამაზ კორინთელმა ახლალა გაიცნობიერა, რომ დინამიკებიდან შოპენის სამგლოვიარო მარში შავი ნისლივით გადმოდიოდა. უსიტყვოდ დაემორჩილა მთავარ ექიმს, სამ წუთში უკვე ქუჩაში იყვნენ.

- ნავიდეთ, მანქანაში ჩავსხდეთ. პროცესიას ნუ გავყვებით. რატომ უნდა ვინვალოთ. სასაფლაოზე სხვა გზით მივიდეთ.

- ჯერ გამოასვენონ. მერე როგორც გინდათ, ისე წავიდეთ სასაფლაოზე.

ზურაბ თორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უმაღვე ვილაცას ღიმილით მიესალმა.

ზუსტად ხუთ საათზე კუბო შენობიდან გამოასვენეს. კიბეზე ჩამოტანის დროს აკადემიკოსის თავი რამდენჯერმე შეირხა.

რამაზ კორინთელს უსიამოდ გააჟრუოლა, მთავარი ექიმი მიატოვა და კუბოსთან ახლოს მივიდა.

„ნუთუ ეს გაშავებული და ფაიფურივით გამომწვარი ფიტული ოდესღაც აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო?“

თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ მივიდა კუბოსთან და როგორ შეენაცვლა ვილაც ახალგაზრდა კაცს.

ვერ წარმოიდგენდა, თუ გამოფიტული აკადემიკოსის სხეული ასეთი მძიმე იქნებოდა. მერე მიხვდა, მისი ძლიერი ვუნთებისათვის კუბოს სიმძიმე სახსენებელიც არ იყო. რამაზ კორინთელის მარჯვენა მკლავსა და მხარს კუბო კი არა, ცის ჩამოხნელებული თაღი დააწვა. გრძნობდა, თვალი ნელ-ნელა უხნელდებოდა. მერე მკერდმა დაუწყოთ თახთახი. მიხვდა, მისი გული გადატვირთვისაგან უკიდურესად გადახურებული ძრავასავით ბრიალებდა და, სადაც იყო, გასკვდებოდა.

\* \* \*

- ყველაფერი ერთ საათში დამთავრდება. ასეთი მძიმე დღე მეორე აღარ იქნება თქვენს ცხოვრებაში, - ჩვეულებისამებრ გამოთქმით და მაღალი ტონალობით წარმოსთქვა ზურაბ თორაძემ, როცა მანქანა თავისუფალ ქუჩაზე გაიყვანა და გემი სასაფლაოსაკენ აიღო.

- მოდით, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, - უხეშად მიმართა რამაზ კორინთელმა, და, საერთოდ, მომწყინდა თქვენი სენტენციები. მე პატარა ბავშვი აღარა ვარ. ნურც ოცდასამი წლის რამაზ კორინთელი გგონივართ. კარგად იცით, შეგნებულად გადავდგი გაბედული ნაბიჯი და არც ვნანობ. დაახლოებით ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და რაც მოჰყვებოდა ტვინის გადანერგვას. მაგრამ, ეტყობა, სიჩქარეში ყველაფერი ვერ გავითვალისწინე. ვერც თქვენ გაითვალისწინეთ ყველაფერი, ბატონო მთავარო ექიმო!

- კერძოდ?

- კერძოდ?! ახლავე მოგახსენებთ. თქვენ ჩემი ტვინი გადანერგეთ რამაზ კორინთელის თავში. მე მისი სხეული ვაქციე ინტელექტუალურ, მოაზროვნე ადამიანად, რომლის ნიჭსა და ტალანტზე მალე ალაპარაკდება ხალხი. არც ის ყმანვილი დამრჩენია ვალში. სანაცვლოდ მან გადმომილოცა თავისი სამარცხვინო სახელი და გვარი, თავისმომჭრელი ბიოგრაფია, დანაშაულთა რიგი, იქნებ სისხლის სამართლის დანაშაული და მკვლელობაც კი!

- როგორ გეკადრებათ.

- მაცალეთ ლაპარაკი! დიახაც რომ მეკადრება. ამ ეჭვს აქვს რეალური საფუძველი!

რამაზ კორინთელს უეცრად ისეთი სიცხადით დაუდგა თვალწინ ანთონილი შავი ჭაბუკის ამღვრეული თვალები, რომ უნებურად გვერდით მომავალი მანქანები შეათვალიერა, რომელიმეში ხომ არ მის, სასაფლაოზეც ხომ არ მომდევსო.

„მინც სად მინახავს, საიდან მახსოვს მისი თვალები? არადა მინახავს, ნამდვილად მინახავს!“

სასაფლაოზე ადრე მივიდნენ. პროცესია აღბათ ჯერ შუა გზაშიც კი არ იქნებოდა.

ზურაბ თორაძემ მანქანა მოხერხებულ ადგილზე გააჩერა.

- მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, - თქვა მანქანიდან გადმოსვლამდე ზურაბ თორაძემ, - დღეს ნუ დავეუნწავთ ერთმანეთს ნერვებს. წინასწარ გაფრთხილებთ, ჩემი წონასწორობიდან გამოყვანა, ძალიანაც რომ მოინდომოთ, არ გამოგივათ. დღეს ჩემი დიდი დღესასწაულია, რომელიც ხვალ და ზეგ მსოფლიო დღესასწაულად იქცევა. მე, ზურაბ თორაძემ, მსოფლიოში პირველმა და ჯერჯერობით ერთადერთმა მეცნიერმა, შევექმენი ადამიანი, რომელიც ორი დედის საშოდანაა ნაშობი. მე შევექმენი ადამიანი, რომელიც დადგა საკუთარი კუბოს ქვეშ და უკანასკნელ გზაზე გააცილა საკუთარი ცხედარი!

- ენა გააჩერე, თორემ მიგახრჩობ უპატრონო ძაღლის ლეკვივით! - დაიღრინა რამაზ კორინთელმა.

მთავარი ექიმი შეაკრთო ჭაბუკის მრისხანე გამოხედვამ. ნირნამხდარი ერთბაშად ჩაიფერფლა და რამაზ კორინთელს საცოდავად შეხედა. როცა ბოროტად წამონთებული თვალები, ზიზღით თასივით პირთამდე ავსებული სახე და მოცახცახე ყბა დაინახა, მიხვდა, მის გვერდით სისხლს მოწყურებული მკვლეელი იჯდა.

სამგლოვიარო მიტინგი სასაფლაოზე გაგრძელდა.

პროცესიას ბოლომდე, ჩვეულებისამებრ, გასვენებაზე მოსულთა მეხუთედიც არ გამოჰყოლია, მაგრამ საფლავთან მანაც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი.

რამაზ კორინთელი ძაღზე მოშორებით იდგა. გამომსვლელთა ხმა იქამდე არ აღწევდა. არც არავის გამოსვლა აინტერესებდა. უკან, სამი ნაბიჯის დაშორებით, ზურაბ თორაძე ხეს მიყრდნობოდა.



- ძალიან გთხოვთ, მარტო დამტოვოთ და საერთოდ, სანამ მე არ დაგირეკავთ, არ მომაკითხოთ! - გაცრა კორინთელმა კბილებზეა.

მთავარმა ექიმმა დამცინავად ჩაიცინა და წასასვლელად შებრუნდა.

- კიდევ ერთი! - ზურაბ თორაძე ადგილზე გაყინა კორინთელის მიდევნებულმა ფრაზამ, - მე, მსოფლიოში ერთადერთ, ორი დედის საშოდან დაბადებულ პიროვნებას, ორჯერ მეტი ფული მჭირდება, ვიდრე თქვენ მაძლევთ. ძალიან გთხოვთ, გაითვალისწინოთ დღევანდელი დღიდან!

ზურაბ თორაძეს ხმა არ ამოუღია. რამდენიმე წამს გაცოფებული მისჩერებოდა ჭაბუკის ზურგს. მერე შებრუნდა და მანქანისკენ წავიდა.

ხალხმა ნელ-ნელა იწყო დაშლა. აღარც სიტყვაში გამომსვლელთა გაურკვეველი და დაგუდული ხმა მოისმოდა, აღარც შოპენის სამგლოვიარო მარში. ბოლოს საფლავზე რამდენიმე ნათესავი და მესაფლავეები დარჩნენ.

რამამ კორინთელი ისევ მოშორებით იდგა, საფლავთან მისვლას არ ჩქარობდა. ბოლოს, როცა ყველა წავიდა, საფლავს მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა. ორიოდე მეტრის დაშორებით შეჩერდა და ყვავილების ბორცვს სევდიანი ღიმილით დააშტერდა. რამდენი რამ იყო ამ ღიმილში ერთმანეთში ათქვეფილი და გადახლართული: ადამიანის არარაობის შეგრძნება, დღევანდელი საკუთარი პიროვნული გაურკვეველობა, წარსულთან დაშორების სინანულის გრძობა, მომავალი ცხოვრების არსისა და მიზნის ბუნდოვანება, გაუთვალისწინებელი, დღეისათვის სრულიად წარმოუდგენელი პრობლემებისა და სურპრიზების მოლოდინი...

უცებ გონება გაუნათდა. გაახსენდა, სად ნახა პირველად ის ანონილი, შავთმიანი და ამღვრეულთვალებიანი ჭაბუკი, დღეს რომ ინსტიტუტის ვესტიბიულში დაჟინებით მისჩერებოდა.

ერთბაშად დაუდგა თვალწინ ქუჩაში გამოსვლის პირველი დღე, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა და შენობის კუთხესთან ატუმბული მაღალი, შავგვრემანი, უსიამოვნო გამომეტყველების ჭაბუკი. თვალნათლივ დაინახა ლაზერის ორი წვრილი სხივი, მისი ამღვრეული მრგვალი თვალებიდან რომ მოედინებოდა.

# თავი მერვე

რამაზ კორინთელი გულადმა იწვა. ლალის თავი ჭაბუკის ძლიერ მკერდზე ჰქონდა დადებული. ორთავეს ეძინა.

ოთახში გამეფებული დუმილი ტელეფონის ბარმა დაარღვია.

ლალიმ თვალი გაახილა. კორინთელს მკვდარივით ეძინა. არ იცოდა, რა ექნა. ყურმილის აღება თვითონ არ უნდოდა. რამაზიც ეცოდებოდა. არადა გაბმული ბარი აუცილებლად გააღვიძებდა. საათს დახედა. თორმეტი იყო.

„ამ შუალამისას ვინ უნდა რეკავდეს?“

ბარი არ წყდებოდა.

რამაზ კორინთელი ისე, რომ თვალი არ გაუხელია, მარჯვენა ხელით სანოლთან იატაკზე დადგმული ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

- გისმენ! - მიმართა შენობით. იცოდა, შუალამისას სერიოზული კაცი არ დაურეკავდა.

- გამარჯობა!

- გაგიმარჯოს, რომელი ხარ?

- ვიცი, ლალი გყავს, მაგრამ აუცილებელი საქმეა, უნდა ჩამოხვიდე.

- ჯერ გამაგებინე, რომელი ხარ!

- სოსო ვარ. ჯობია, ლალი საერთოდ გაუშვა შინ.

- ვინ სოსო?

- ჩამოდი და გაიგებ, ნახევარ საათში შენთან ვიქნები.

- კარგი, ნახევარ საათში დაბლა დაგხვდები. - შეფიქრიანებულმა კორინთელმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და ყურმილი შორიდანვე დააგდო ბერკეტზე.

- რომელი საათია? - ჰკითხა ლალის.

- პირველი დაინყო. ვინ გირეკავდა?

- ადექი, ჩაიცვი. შინ უნდა წახვიდე. ვერ გაგაცილებ. რალაც საქმეზე უნდა გამომიარონ.

- ამ შუალამისას მართო წავიდე? - შეიცხადა ქალიშვილმა.

- ჯერაც არ წასულხარ!

- ეგრე რატომ მელაპარაკები? - განაწყენდა ლალი.

- ჰო, კარგი, ბოდიშს გიხდი. ხომ იცი, არ მიყვარს ამდენი ლაპარაკი. ჩაიცვი და წადი!

ორთავენი წამოდგნენ.

განაწყენებული ახალგაზრდა ქალი სააბაზანოში გავიდა. კორინთელმა სწრაფად ჩაიცვა. ხუთ წუთში მზად იყო. ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. ბეტონის ოთხ უზარმაზარ კოლოფს შორის მოთავსებული ეზო მანქანებით იყო სავსე.

გავიდა კიდევ თხუთმეტი წუთი. ლალი აბაზანიდან გამოსვლას არ ჩქარობდა. ვერ გაეგო, ლალი იქ რას აკეთებდა.

რამაზ კორინთელს ნერვები ნელ-ნელა და საფუძვლიანად ეშლებოდა. უფრო ის აცოფებდა, აბაზანიდან ხმა საერთოდ რომ არ გამოდიოდა. ვერ გაეგო, ლალი იქ რას აკეთებდა.

საათს დახედა. უცნობის მანქანა სადაცაა მოვიდოდა.

- აღარ გამოხვალ?! - იყვირა უცებ და აბაზანის კარს ეცა.

- მოვდივარ, ჰო, ნუ გაცოფდები!

- სწრაფად, სწრაფად, რა ექნა, ჩემი ბრალი არ არის, უნდა მაპატიო. ხვალ დილით დამირეკე და ყველაფერს აგიხსნი.

პარმალზე ლალის ყელზე აკოცა, კარი სასწრაფოდ მიუხურა და იმ ფანჯარას ეცა, ქუჩაში რომ გადიოდა.

ქვემოთ არავინ ჩანდა. არ უნდოდა მანქანის გამოჩენამდე ჩასულიყო და იმ ვიღაცა სოსოს დაბლა დალოდებოდა.

უცებ ქუჩაში ლალი გამოჩნდა. ღამის სიჩუმეში მეოთხე სართულამდე აღწევდა ახალგაზრდა ქალის მოდური ქოშების ბაკუნის ხმა.

რამაზ კორინთელს ისევ აეშალა ნერვები. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ლალი თვალს მიეფარა. თავის თავს მოულოდნელად გამოუტყდა, რომ ლალი უკვე მოსწყინდა. უფრო მეტიც, თუ არ ეზიზღებოდა, ძალზე აღიზიანებდა ახალგაზრდა ქალის ვითომ ლამაზი, მაგრამ უინტელექტო სახე.

უცებ სადარბაზოს წინ წითელი „ჟიგული“ გაჩერდა.

„ეს არის?“ - ჰკითხა თავის თავს კორინთელმა.

მანქანიდან არავინ გადმოსულა.

„ეს არის!“ - უპასუხა საკუთარ შეკითხვას. სასწრაფოდ შემობრუნდა, აბაზანაში შევიდა, პირი დაიბანა და კიბეს დინჯად ჩაუყვა. არ უნდოდა აჩქარებულიყო და თავისი მღელვარება გაეცა.

ქუჩაში რომ გავიდა, მანქანასთან მისვლამდე ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, დინჯად მოუკიდა, ნათაზი დაარტყა და „ჟიგულს“ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ვილაცამ შიგნიდან წინა კარი გაუღო.

- ჩაჯექი! - მოესმა როყო ხმა.

რამაზ კორინთელი, ვითომც აქ არაფერიაო, უყოყმანოდ ჩაჯდა და სალონი მოათვალიერა. მანქანაში სოსოს მეტი ვერავინ დაინახა, თუკი ნამდვილად ის იყო სოსო.

უცნობმა ძრავა ჩართო და „ჟიგული“ უცბად მოგლიჯა ადგილიდან.

- საბურავები არ გაცვდება? - განგებ უდარდელად უთხრა კორინთელმა.

- როდის აქეთ გახდი ასეთი მომჭირნე?

სალონში ბნელოდა, საჯესთან მჯდომ სოსოს კარგად ვერ ხედავდა. პროფილის კონტურები თითქოს ნაცნობი ეჩვენა კიდეც, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო, საიდან იცნობდა, სად ენახა. უცნობის ვერც ხმამ გაახსენა ვერაფერი. დროდადრო, მარჯვე წამს რომ იპოვიდა, სოსოს, თუკი სოსო ნამდვილად ის იყო, თვალს შეავლებდა

ხოლმე. ქვეშეცნეულად ხვდებოდა, უცნობთან სერიოზული ლაპარაკი მოუწევდა. სალაპარაკო თემა ალბათ რამაზ კორინთელის რომელიმე ადრინდელი თავგადასავალი იქნებოდა. სავარძლის საბურგეს დაუდევრად მიწოლილი სიგარეტს აბოლებდა, არ უნდოდა მღელვარება გამოემუღავნებინა.

„ნეტა ვინაა ან რამდენი წლის იქნება? ალბათ ოცდაშვიდისა მაინც“.

- სოსო თქვენ ბრძანდებით? - შენობით მიმართვა მაინც აღარ აკადრა უცნობს.

- რა, ველარ მიცანი?

- ვერა! მე ხომ მეხსიერება მთლიანად დავკარგე! - თქვა სხვათაშორის და სიგარეტის ნამწვავი ქუჩაში მოისროლა.

- სულ აღარაფერი გახსოვს?

- აღარაფერი. ოღონდ, როცა რამეს შემახსენებენ, დიდი გაჭირვებით აღვიდგენ ხოლმე გონებაში.

სოსომ დაკვირვებით გადმოხედა.

რამაზ კორინთელი წინ იცქირებოდა. მაგრამ მაინც შეამჩნია, სოსომ როგორ შეათვალიერა.

უკან დარჩა ვაკე-საბურთალოს გადასასვლელი. ჭავჭავაძის პროსპექტიდან ხელმარჯვნივ ფალიაშვილისაკენ აუხვიეს.

სოსომ მანქანა უცებ შეაჩერა, ძრავა გამორთო და კარი გააღო. სალონში შექი აინთო.

- აბა შემომხედე, ახლაც ვერ მიცანი?

რამაზ კორინთელმა გაოცებისა და შიშისაგან კინაღამ შეჰკვივლა. სახე ისევ დასწვა ლაზერის ორმა წვრილმა სხივმა, სოსოს მრგვალი, შავი თვალებიდან რომ მოედინებოდა.

- თქვენ?!

- მადლობა ღმერთს, რომ მიცანი, ოღონდ თქვენობით მომართვის საჭიროებას ვერ ვხედავ!

- არა, ვერ გიცანი! არ ვიცი, ვინა ხარ. მე მხოლოდ ის კაცი ვიცანი, აკადემიკოს დავით გიორგაძის გასვენებაში რომ მითვალთვალებდა.

- რამაზ, მართლა ვერ მიცანი? - გაკვირვებას ვეღარ მალავდა სოსო.

- ვერა.

- კარგი, ავიდეთ სახლში.

სოსო მეოთხე სართულზე ცხოვრობდა. პირველს აღარაფერი აკლდა. ლიფტი გამოერთოთ. კიბეს ფეხით აუყვანენ. სოსოს გასაღები მესამე სართულის ბაქანზევე ამოეღო. მასიური რკინის თეთრად შეღებილ კარს სამი საკეტი ჰქონდა. ორი პატარა ნათურა სადარბაზოს ბაქანს კარგად ანათებდა. „ი. შადური“ - ამოიკითხა კორინთელმა კარზე მიმაგრებულ სპილენძის აბრაზე. ახლა უკვე გვარიც იცოდა უცნობის და სახელიც - იოსებ, სოსო შადური. მღელვარებამ საბოლოოდ გაუარა. უცნობს რომ გულში ცუდი განზრახვა სდებოდა, შინ არ მიიყვანდა. სამაგიეროდ, ცნობისმოყვარეობა დაეუფლა. მიხვდა, რამდენიმე წუთში რამაზ კორინთელის წარსულიდან ერთ მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ეპიზოდს აეხდებოდა ფარდა.



„ვინ უნდა იყოს? - ჰკითხა თავის თავს და უმაღლვე უპასუხა. - რასაკვირველია, რამაზ კორინთელის ერთ-ერთი უახლოესი ძმაცაქი!

- იქ დაჯექი! - თქვა სოსომ და სტუმარს სავარძელზე მიუთითა.

ბინა სოსო შადურს მდიდრულად, მაგრამ გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი. იქაურობა ყურადღებით შეათვალიერა. გაკვირვება ვერ დამალა. იშვიათად უნახავს, მდიდართა ოჯახები გემოვნებით რომ ყოფილიყო მოწყობილი, თანაც სოსო შადურის შესახედობა, სქელი, შავი წარბები, მრგვალი, დაბალფსკერიანი თვალები და ტყვიაგუმტარი შუბლი უცხო სხეულივით მოჩანდა გემოვნებით მოწყობილ ჭერქვეშ.

- არ დავლიოთ?

- სავალდებულოა?

- რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს. შვიდ თვეზე მეტი გავიდა იმ ამბის შემდეგ. არ დავლოცოთ ერთმანეთი?

„რომელი ამბის შემდეგ?“ - დაინტერესდა რამაზ კორინთელი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, შეკითხვა სახეზეც არ გამოუსახავს. ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა, მაგრამ დუმილი ამჯობინა.

„ეტყობა, რაღაც ძალზე მნიშვნელოვან ეპიზოდს მახსენებს, - დაასკვნა გულში, - შეკითხვა რა საჭიროა, თვითონვე იტყვის ყველაფერს“.

მასპინძელმა სერვანტის ბარი გამოაღო.

- „სიბირსკაია“ მაქვს, ძეხვზე და ხიზილალაზე კარგად წავა. გავხსნა?

- ნება შენია.

- ახლა მაინც ვერ მიცანი, ვინა ვარ?

პასუხად კორინთელმა ორჭოფულად გაიღიმა.

- რატომ გელიმება?

- ისე, უბრალოდ. გაგიკვირდება, მაგრამ მაინც ვერ გიცანი.

სინამდვილეში უნდოდა ეთქვა, არასდროს არ გიცნობდი, თორემ შენს სქელ, შავ წარბებს და ოღროჩოღრო კბილებს რა დამავინწყებდაო.

სოსო ადგილზე გაშეშდა. მაგიდაზე დასადგმელად გამზადებული ბოთლი და ორი პატარა ბროლის ჭიქა ხელში შერჩა.

- ხუმრობ?

- სრულებითაც არა ვარ ხუმრობის გუნებაზე.

შადურმა „სიბირსკაია“ და ორი ჭიქა მაგიდაზე დადო. რამაზ კორინთელს თვალში მოხვდა მისი გრძელი, სხეულთან შედარებით უპროპორციო ხელები.

- მე უკვე მგონია, რომ დამცინი! - მასპინძლის ხმაში სიბრაზე გაერია.

- რატომ უნდა დაცინოდე?

- როგორ, ლალი გაიხსენე და მე ვერ მიგონებ?!

- მერე ვინ გითხრა, რომ გავიხსენე? იგი თვითონ მოვიდა ჩემთან და გამახსენა თავისი თავი. იმდენი რამ მიაშბო ჩვენი ურთიერთობის თაობაზე, იმდენი ეპიზოდი აღმიდგინა თვალწინ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთი რამ ბუნდოვნად გამახსენდა კიდევ.

შადურმა სტუმარს კარგა ხანს უყურა დაკვირვებით, უნდოდა რამაზ კორინთელის თვალებში ამოეკითხა, სტუმარი თუ მართალს ამბობდა. შემდეგ უცებ გაბრუნდა, სამზარეულოში გავიდა და მაცივრის კარი გამოაღო.

რამაზ კორინთელის ყურადღება კედელზე გაკრულმა გობელენმა მიიპყრო.

სოსო უმაღვე შებრუნდა. ხელში ძეხვიანი თევში და პურის მონწული ხონჩა ეჭირა. ხონჩაზე პურთან ერთად ხიზილალის გახსნილი ქილა, თევშები და დანა-ჩანგალიც დაეწყო.

- არაა სუფრის განწყობა ჩემი საქმე! - თქვა შადურმა. ხიზილალის ქილა მაგიდაზე გადადგა და სტუმარს თევში მიანოდა.

რამაზ კორინთელმა დანა-ჩანგალი აიღო, შავი პურის სუნი ესიამოვნა და ერთ თხელ ნაჭერს უცერემონიოდ დასწვდა.

- კარაქი არა გაქვს?

- ახლავე მოვიტან. - თქვა სოსომ და კვლავ სამზარეულოს მიაშურა.

კორინთელმა ისევ გობელენს შეხედა. სქელი, გრეხილი ძაფით შესრულებულმა სვანურმა პეიზაჟმა თვალი მოსწყვიტა.

სოსომ შემოსვლისთანავე შენიშნა, კორინთელი რომ გობელენს მისჩერებოდა.

- გობელენი მაინც ველარ იცანი? გახსოვს, როგორ მოგწონდა?

- ჰო, რაღაც მაგონდება. - გაურკვეველად, ბურანში მყოფი კაცივით წაიბურტყუნა რამაზ კორინთელმა. ინტუიციამ უკარნახა, უკვე დადგა დრო, ზოგი რამ „აღედგინა“ და „გაეხსენებინა“.

- ოლონდ... - შუბლი შეიჭმუნა კორინთელმა და სათქმელი აღარ დაამთავრა.

- რა „ოლონდ?“ !

- ოლონდ არ მახსოვს, ამ კედელზე ეკიდა?

შეკითხვა იღბლიანი გამოდგა. რამაზ კორინთელმა ათიანში მოარტყა.

- აი, ხედავ? უკვე გაგახსენდა. ადრე კაბინეტში მეკიდა. ხუთი თვეა, რაც აქ გადმოვიტანე!  
- გაუხარდა შადურს.

„კაბინეტში?“ - გულში გაეღიმა კორინთელს, - ნეტავ რისთვის სჭირდება კაბინეტი ამ შუბლზე ჯავშანგადაკრულ კრეტინს?!”

- ჰო, სიზმარივით მაგონდება. - თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ.

- აბა, გადი კაბინეტში. ვფიქრობ, ნაცნობი ნივთებიც დაგეხმარებიან გაიხსენო ჩვენი ძველი მეგობრობა!

„მეგობრობა!“ - რამაზ კორინთელმა პური ისევ ხონჩაზე დადო და მძიმედ წამოდგა.

კაბინეტიც გემოვნებით იყო მოწყობილი, ოლონდ თაროებზე წიგნების განლაგების

პრინციპი კაცს პირველი შეხედვისთანავე მიახვედრებდა, ვინ იყო ამ ავლადიდების პატრონი.

- გამოდი, ყველაფერი მზადაა! - შემოესმა სოსოს ხმა.

რამაზ კორინთელი ისევ სასადილო ოთახში შემობრუნდა, სავარძელში მოიკალათა და სოსოს მომზადებულ ხიზილალის ბუტერბროდს დასწვდა. შადურმა ჭიქები შეავსო.

- ალბათ, გახსოვს, სადღეგრძელოს თქმა არ მიყვარს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვა, შენს გადარჩენას გაუმარჯოს.

- გაგვიმარჯოს! - კორინთელმა ჭიქა მიუჭახუნა და სულმოუთქმელად დალია.

სამი ჭიქის შემდეგ რამაზ კორინთელს კეთილიც კი მოეჩვენა სქელ და შავნარბებიანი, ოღროჩოღრო კბილებიანი შადური. ოღონდ მისი ორანგუტანგივით გრძელი ხელები მაინც ზიზღსა ჰგვრიდა.

- გულახდილად მითხარი, მართლა ვერ მიცანი? - ჰკითხა შადურმა, როცა ჭიქები მეოთხედ შეავსო. პასუხს არ დაელოდა, ბოთლში ჯერ არაფი საკმაოდ იყო, სამზარეულოში გავიდა და ახალი ბოთლი გამოიტანა.

- არ გახსნა. ამდენს ვერ დავლევ. ხომ არ გავინყდება, რომ ახალი ნავადმყოფარი ვარ?

- მართლა ვერ მიცანი? - გაუმეორა შადურმა ნელანდელი შეკითხვა.

- შენი სახე ჯერ ვერ აღვიდგინე, მაგრამ ხმაში ნაცნობი ინტონაციები უკვე იკვეთება.

„ნაცნობი ინტონაციები!“ - გაიმეორა გონებაში რამაზ კორინთელმა, - ამ იდიოტისათვის

ძალიან რთულად ხომ არ ვაზროვნებ? ან განა შეიძლება, ოდესმე მისი გამოხედვა დაგავიწყდეს?

- მესხიერება მთლიანად დაკარგე?

- მთლიანად! - უდარდელად თქვა კორინთელმა და ჭიქა ხელში შეათამაშა. - „მანც რამდენი წლის იქნება ბატონი შადური? ალბათ ოცდაათისა“.

- როცა მკურნალობის შემდეგ გონს მოხვედი, რაზე ფიქრობდი?

- თითქმის არაფერზე. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რაზე მეფიქრა.

- ლაპარაკიც დაგავიწყდა?

- ლაპარაკი? - დაიბნა კორინთელი, - წარმოიდგინე, რომ დამავიწყდა.

- პირველ დღეებში ფიქრი სულ არ მოგდიოდა თავში?

- როგორ არა, ვფიქრობდი.

- მანც რას?

- მიკვირდა, სად ვარ ან ეს თეთრხალათიანი ადამიანები ვინ არიან-მეთქი.

- როგორ ფიქრობდი?

- როგორც ყველა ფიქრობს, ისე ვფიქრობდი.

- არა, მაგას არ გეუბნები. როცა ადამიანი ფიქრობს, იგი რაღაც ენაზე ფიქრობს. უფრო კი მშობლიურ ენაზე. აქედან გამომდინარე, თავის აზრებს, თავის ფიქრებს მაინც სიტყვებით გამოხატავს. შენ?

- რა, მე?

- თუკი სიტყვები არ გახსოვდა, როგორ ფიქრობდი, აზრებს როგორ გამოხატავდი? წელან რომ თქვი - „ვინ არიან ეს თეთრხალათიანი ადამიანებიო“, თუ სიტყვები დაგავიწყდა, „თეთრხალათიანი“ როგორ გაიფიქრე?

„ოჰო, მთლად იდიოტი არ ყოფილა ამხანაგი შადური“, - გაეღიმა გულში რამაზ კორინთელს.

- გულწრფელად რომ გითხრა, ვერ ვიხსენებ, როგორ ვფიქრობდი. მახსოვს, თავიდან ლაპარაკი მიჭირდა. სიტყვებს ვერ ვიგონებდი. ერთმა რამემ მიშველა. დღის განმავლობაში ათი-თხუთმეტი საათი მაინც მიწევდა ექიმების ლაპარაკის მოსმენა. ისინი ხან ერთმანეთში საუბრობდნენ, ხან მე მეკითხებოდნენ ჯანმრთელობის ამბავს. ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ბევრი რამ გამახსენდა, ალბათ, ისე არა, როგორც უნინ მქონდა გონებაში ჩაბეჭდილი ან, ვთქვათ, გუშინდელი და გუშინინდელი დღეები რომ მახსოვს. ჩემი ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდები ბუნდოვნად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და უაზროდ მაგონდება. არ ვკარგავ იმედს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი მონესრიგდება.

დუმილი.

- გინდ დამიჯერე, გინდ არა, ჩემი და ვერ ვიცანი, დაასხი! - თქვა უცებ რამაზ კორინთელმა.

სოსომ ჭიქები შეავსო და მეორე ბოთლიც გახსნა.

- ხომ გითხარი, მეორე ბოთლს ნუ გახსნი-მეთქი.

- მე კიდევ ვერ გამიხსენე? - არ ეშვებოდა შადური.

რამაზ კორინთელმა დაკვირვებით შეხედა სოსოს.

„ვინ უნდა იყოს, ან რამაზ კორინთელს რა კავშირი უნდა ჰქონოდა ამ კაცთან?“

უცებ გადაწყვიტა, რისკზე წასულიყო.

- ჩემი რევოლვერი სად არის?

შადურს სახე გაუბრწყინდა. რამაზ კორინთელი მიხვდა, ისევ გაართვია ათიანში.

- გახსოვს?

- არ მახსოვს. ვერ ვიგონებ, როგორ დავკარგე. სახლში რომ ვაზნები ვიპოვე, დიდხანს ვიფიქრე, ალბათ, რევოლვერიც მქონდა-მეთქი. აი, ახლაც, ნისლში რომ მანქანის შუქის კონტური გამოჩნდება, ისე იკვეთება ჩემს თავშიც რაღაც მოგონება. აი, თითქოს... (დუმილი) თითქოს... არა, ვერაფერს ვხედავ! - გაიქნია თავი უკმაყოფილოდ, - შენთან არის რევოლვერი?

შადური წამოდგა და სანოლ ოთახში გავიდა. რამაზ კორინთელმა თვალი გააყოლა. გულში პირველ გამარჯვებას ზეიმობდა.

„თუ თვითონ არაფერს მომიყვება, რაც შეიძლება მეტი რამ უნდა წამოვაცდენინო“, - დაასკვნა კორინთელმა.

ორი ნუთის შემდეგ სოსო შემობრუნდა და სტუმარს რევოლვერი წინ დაუდო.



რამაზ კორინთელი მოქრომილ „ტტ“-ს ერთხანს ჩუმად დასჩერებოდა, მერე ხელში ფრთხილად აიღო და დაკვირვებით შეათვალიერა.

- გატენილია, მჭიდვ გამოიღე.

კორინთელმა მჭიდვ ისე ოსტატურად გამოიღო, თვითონვე გაუკვირდა.

- მაინც რა მოხდა იმ დღეს?

- მართლა არ გახსოვს?

- აღარ მახსოვს. უკვე გული დამეღალა ამდენი ახსნა-განმარტებით, - გაბრაზდა კორინთელი, - ტყუილს რატომ გეტყვი, ან რა აზრი აქვს?

- თუ არ გახსოვს, საჭიროა კი მისი გახსენება?

- მინდა ვიცოდე, რა მოხდა. შენი საუბრიდან დავასკვენი, რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი გადამხდენია თავს. შენმა ნაამბობმა იქნებ უფრო მეტი რამ გამახსენოს, ვიდრე მართლ ის ერთი ეპიზოდია.

შადურმა დაკვირვებით ჩახედა თვალებში.

რამაზ კორინთელმა გაუძლო შავი, მრგვალი თვალებიდან გამოშვებულ ორ წვრილ, გავარვარებულ სხივს.

- საჭიროა კი გიამბო?

- საჭირო კი არა, აუცილებელია!

დუმილი.

- არაა საჭირო. სჯობია დავლიოთ. სასიამოვნოს და გასახარელს მაინც ვერაფერს გეტყვი. თვითონ მეც კომპარატივით მახსოვს, რაც გადაგვხდა. არ ვიცი, ბოლომდე ხარ თუ არა გამოჯანსაღებული. უსიამოვნო ამბავმა რატომ უნდა გაგაღიზიანოს? (დუმილი) ძალიანაც კარგი, რომ არ გახსოვს!

შადური წამოდგა, რევოლვერი გამოართვა და საძინებელი ოთახისაკენ გაემართა.

- რევოლვერს არ მიბრუნებ? - ჰკითხა კორინთელმა, როცა სოსო მაგიდას მიუჯდა და ჭიქები ხელახლა შეავსო.

- სხვა მარკას გიშოვი. სახლში დამალული ვაზნები თავიდან მოიშორე. გადაყარე ან მე მომეცი. მილიციამ, ბუნებრივია, იცის რევოლვერის მარკა. თუ საქმე გაიხსნა, გაჩხრეკისას ერთი ვაზნაც რომ გიპოვონ, ჩვენი საქმე წასულია.

- შენ თვითონ რატომ გაქვს შენახული? თუ ჩავვარდით, განა შენს სახლს არ გაჩხრეკენ?

- მეგობრის გარაუბი მქონდა დამალული. დღეს შენი ხათრით მოვიტანე. ერთი ნაცნობი დამპირდა, „ვალტერში“ გადაგიცვლის, ხვალ დილითვე გავიტან.

- მინდა ვიცოდე, რა მოხდა იმ დღეს! - თითქმის ბრძანებით წარმოსთქვა რამამ კორინთელმა.

- თუ იცი და მსახიობობ, ღმერთმა შეგარგოს! თუ არ იცი, კიდევ გიმეორებ, ნურც მკითხავ. უსიამოვნო ამბავს რაც მალე დაივინყებ, ის სჯობს. ერთი კი იცოდე, მეტი თავშეკავება გმართებს. სროლა ადვილია, შედეგის მიჩქმალვაა ძნელი.

- ბოლოს და ბოლოს, მეტყვი, რა მოხდა? - რამაზ კორინთელის სახეზე მრისხანებამ ქარიშხალივით გადაიქროლა და ზღვის უზარმაზარი ტალღები ააგორა.

- რაკი არ იშლი, გეტყვი. მეშვიდე სამშენებლო სამმართველოს სეიფი გავტეხეთ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. რატომღაც ერთი სასიგნალო საყვირი აღრიალდა. ეტყობა, ვინც საქმე მოგვცა, არც იმან იცოდა იმ სიგნალის არსებობის ამბავი. დანარჩენები ყველა გადაჭრილი და გათიშული გვექონდა. თუ გახსოვს, სალარო მეორე სართულზე იყო. შენობაში უკანა ფანჯრიდან შევიპარეთ. ბუნებრივია, ოპერაციის შემდეგ გამოსასვლელადაც იქით გავწიეთ. უკვე სამშვიდობოს ვიყავით გასული, დარაკი რომ დაგვედევნა. შენ რატომღაც შებრუნდი და სამჯერ ესროლე. დარაკი დერეფანში გაიშლართა. არაფერი საჭირო არ იყო მისი მოკვლა. კიდეც გიმეორებ, უკვე სამშვიდობოს ვიყავით. მერე გაირკვა, რომ არ მომკვდარა. ერთი თვე ინვალა. საბოლოოდ მაინც გავგიმართლა, გონს არ მოსულა, ისე გარდაიცვალა. და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას? ჯობია, აწი იარაღი აღარ ატარო. ეტყობა, რთულ სიტუაციაში კონტროლის გრძნობას კარგავ!

- რა მოხდა იმ დღის შემდეგ?

- მეორე დილით სამსახურში წახვედი. იქნებ ისიც არ გახსოვს, თბილისის საინჟინრო ინსტრუმენტულ ქარხანაში რომ მუშაობდი. მთელი დამის უძინარი იყავი, ალბათ კაცის მოკვლამაც იმოქმედა. შენ ხომ მაშინ არ იცოდი, დარაკი რომ გადარჩა, თუ ერთი თვით გადარჩენილს გადარჩენა ჰქვია. ხიდურმა აწნემ სამჯერ მოგცა სიგნალი, ვერაფერი გაგიგონე. ეტყობა, გათიშული იყავი. თითქოს საგანგებოდ დაუდექი ქვეშ ამწის კაუჭს...

საღამოს დათქმულ ადგილზე არ მოხვედი. შინ მოგაკითხეთ. გავიგეთ შენი უბედურების ამბავი და საავადმყოფოში მოვვარდით. სანუგეშო ვერაფერი გავიგეთ. გვითხრეს, შეიძლება გადარჩეს, მაგრამ დაკარგული გონება აღარ დაუბრუნდება!

შადური წამოდგა. ისევ საძინებელ ოთახში გავიდა. კორინთელმა ძლივს ამოისუნთქა.

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“ - ჩაესმა ყურში ისევ შადურის ხმა, - ღმერთო ჩემო, ვინ ვარ მე? ბანდიტი და მკვლელი, გარეწარი, ქურდი?! ვინ იცის, კიდევ რა საქმეები მაქვს ჩადენილი...“

შადურმა ტყავის პატარა ყავისფერი ხელჩანთა შემოიტანა.

- აქ ჩვიდმეტი ათასია.

„ჩვიდმეტი ათასი!“

სოსომ ჩანთა სტუმარს გაუნოდა. სავარძლის საბურგეს მიწოლილი რამაზ კორინთელი არ განძრეულა, ხელში სიგარეტს ათამაშებდა და შადურს სახეში მისჩერებოდა.

- მთელი ამ ხნის მანძილზე შენახული მქონდა. ბევრჯერ გაგვიჭირდა, მაგრამ კაპიკი არ მოგვიკვლია.

სოსო მიხვდა, რამაზ კორინთელი ჩანთის ჩამორთმევას არ აპირებდა. ვითომც აქ არაფერიყო, თვითონაც სავარძელში ჩაჯდა და ჩანთა სტუმარს წინ დაუდო.

„ნუთუ მართლა არაფერი ახსოვს? - გულს უღრღნიდა ეჭვი შადურს, - იქნებ უნდა ჩვენგან თავი სამუდამოდ დაიძვრინოს? - იქნებ ეშინია, მომავალში საქმე არ გაიხსნასო და თამაშიდან გასვლას ცდილობს?“

- ამ ორი თვის მანძილზე რატომ დამდევი? - ჰკითხა უცებ რამაზ კორინთელმა და შადურს თვალებში შეხედა.

- რატომ? - შადურმა მხრები აიჩეჩა.

რამაზ კორინთელს შეკითხვა სიტყვიერად აღარ გაუმეორებია, რადგან იგი ჯერ კიდევ არ ჰქონდა წაშლილი სახეზე.

- სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ამბობს ქართული ანდაზა! - თქვა ირონიული ღიმილით შადურმა.

- ოჰო, შენ ანდაზებიც იცი?

- ეტყობა, მართლა აღარ გახსოვს, რომ მე არ მიყვარს ეგეთი ლაპარაკი! - წამოენთო სოსო.

„მგონი, ვიჩქარე სანგრიდან ამოსვლა“, - გაეღიმა გულში რამაზ კორინთელს.

- გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენჯერმე საგანგებოდ შეგეფეთე პირისპირ. ვერ მიცანი. გაგებული მქონდა, რომ მესხიერება დაკარგე. ძალზე დამაეჭვა ერთმა ფაქტმა, ბევრი რამ თურმე მშვენივრად გახსოვს, ბევრსაც თურმე სულ ვერ იგონებ.

- განა ახლა ეჭვი გეპარება, რომ შენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია სწორი ყოფილა? - რამაზ კორინთელმა გამომწვევად შეაბოლა მასპინძელს სახეში და სიგარეტის ნაშენი დაუდევრად დააგდო საფერფლეზე.

არაფი საკმაოდ მოეკიდა. წედან თუ მიზღს ჰგვრიდა, ახლა უკვე აღიზიანებდა შადურის უპროპორციო, გრძელი ხელები, მსხვილი შავი წარბები და ჩავარდნილი კლავიშებივით ოღროოღრო კბილები. ინტუიციით ხვდებოდა, სოსო შადური მეთაურობას ჩემულობდა ძმაკაცებში, და, ალბათ, მეთაურობდა კიდევ.

შადურმა არაფერი შეიმჩნია. არ უნდოდა საქმე გაემწვავებინა. იცოდა, ჯერ ბევრი რამ იყო გასარკვევი და მოსაგვარებელი.

- განა შენ როდისმე წარმოიდგენ, რამდენი ვინერვიულეთ, სანამ საავადმყოფოში იყავი?! ხომ შეიძლებოდა აგონიაში მყოფს, თუ ყველაფერი არა, ისეთი რამ წამოგებოდებინა, მილიციას რომ ეყოფოდა ჩვენს დასალუპად? დიდი რისკი გავწიეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ მეხსიერება დაკარგე. და აი, რამდენჯერმე ვერ მიცანი. ორი თვის განმავლობაში გაკვირდებოდი. ვცდილობდი გამერკვია, როდის შეიძლებოდა შენთან გამოლაპარაკება, - შადური სიგარეტის კოლოფს დასწვდა.

„ხედავთ, ეს ჯავშნოსანშუბლიანი რა მწყობრად და ლოგიკურად ლაპარაკობს?“ - გულწრფელად უკვირდა რამაზ კორინთელს.

- აკადემიკოს დავით გიორგაძის გასვენებაზე რამ მიგიყვანა? - უცრად შეაბრუნა სასაუბრო თემა შადურმა.

- რას უნდა მივეყვანე?! შენ ხომ მაინც არ დაგიკარგავს მეხსიერება. მე ფიზიკოსი ვარ, თანაც ასტროფიზიკოსი. სავალდებულო ხომ არ იყო, პირადად მცნობოდა განსვენებული აკადემიკოსი?! განა გასაკვირია, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის და კოლეგის გასვენებაზე რომ მივედი?

- „კოლეგის!“ - გაეცინა შადურს. - მე კი მეგონა, სულ სხვა რამის გამო მიხვედი.

- რა სხვა რამის გამო? - გაოცდა კორინთელი. თან მიხვდა, „კოლეგა“ რომ ცუდად გამოუვიდა.

- ბოდიშს ვიხდი. თვითონ არ ვიცი, რა გითხარი. უბრალოდ, გამიკვირდა, იქ რომ გნახე.

- კარგი, მე ფიზიკოსი მაინცა ვარ. შენ რა გინდოდა გასვენებაში!

- გასვენებაში მისვლა აზრად არ მქონია. მე შენ დაგყვებოდი ჩუმად. ექიმის მანქანაში

რომ ჩაჯექი, ჩემი მანქანა იქვე იდგა, ოცი მეტრის მოშორებით. ვერ წარმოვიდგენდი, გიორგაძის გასვენებაში მისვლის სურვილი თუ გაგიჩნდებოდა.

- დავით გიორგაძეს პატივს ვცემდი როგორც მეცნიერს და როგორც მოქალაქეს. მე მხოლოდ ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადე.

- „მოქალაქეობრივი ვალი!“ - წელანდელზე უფრო დამცინავად და უფრო ხმამაღლა ჩაიცინა სოსო შადურმა. - ყურს არ ვუჯერებ, რომ ამ სიტყვებს შენ წარმოსთქვამ, შენ, რამაზ კორინთელი. მესხიერების დაკარგვამდე ასე არ ლაპარაკობდი. არც „მოქალაქეობრივი ვალი“ გაღელვებდა მაინცდამაინც. რამდენადაც ვიცი, დავით გიორგაძეს საერთოდ არ იცნობდი. არასდროს წამოგცდენია მისი სახელი და გვარი. ყოველ შემთხვევაში, თუ გაგონილი გქონდა აკადემიკოსის არსებობის ამბავი, ფეხებზე გეკიდა მისი პიროვნება. ეტყობა, საავადმყოფოში მართო ავადმყოფობისაგან კი არ განგკურნეს, მართო აბროვნება კი არ დაგიბრუნეს, ტვინში ზოგიერთი ისეთი დეტალიც აგიმუშავეს, მანამდე რომ უქმად ყოფნისაგან საშუადამოდ იყო ჩაუანგებული.

- დამცინი?! - რამაზ კორინთელმა რისხვით შეხედა შადურის ტყვიანაგუმტარ შუბლს.

- პირიქით! მე საერთოდ მახარებს ყოველგვარი პროგრესი. მედიცინაში ჩახედული არა ვარ, მაგრამ ერთი რამ კი მათყუებს. წელან გითხარი და კიდევ გიმეორებ - როგორ მოხდა, რომ ზოგი რამ მთლიანად აღგიდგა გონებაში, ზოგი კი საერთოდ ვერ გაიხსენე?! შენი ბუნება და ცხოვრების წესები დაივიწყე. მოქალაქეობრივი ვალის მოხდის სურვილმა კი, ადრე რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოგსვლია, ასე მოულოდნელად შეგიპყრო?!

- ეგ მოვლენები მეც მაკვირვებს, წარმოიდგინე, მალეღვებს კიდევ. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთ დასკვნამდე მივედი: არ გინახავს გონებანაკლული ადამიანი, რომელიღაც დარგში რომ საოცარი ნიჭი აქვს ხოლმე? მაგალითად, მუსიკაში, მათემატიკაში. მე თვითონ ვიცნობდი ერთ გონებაამღვრეულ კაცს, უფრო სწორად, შემლილს, რომელიც ჭადრაკს

ოსტატობის კანდიდატის დონეზე თამაშობდა. თანაც ყოველგვარი წვრთნისა და თეორიული ცოდნის გარეშე.

- მიხარია, რომ შენ მაინცდამაინც არ ეტანები ჭადრაკს! - დამცინავად გასცრა კბილებში სოსო შადურმა.

- ვინ მოგახსენა? - დამცინავადვე უპასუხა რამაზ კორინთელმა, - ალბათ, გექნება სახლში ჭადრაკი. მე, მოდი სანაძლეო, რომ ასი ხელიდან ასივეს მოგიგებ. უფრო მეტიც, თუ სურვილი გექნება, დაფაზე დაუხედავადაც გეთამაშები.

- კარგი, ვთქვათ, არ ვიცოდი, რომ ჭადრაკს ასე კარგად თამაშობდი. ტრავმის შემდეგ ამდენი რამე რომ აღარ გახსოვს, ჭადრაკის თამაში როგორღა გაიხსენე?

რამაზ კორინთელი შეაკრთო შადურის ნიშნის მოგებით გაუღენთილმა ინტონაციამ. მიხვდა, ვერ მოზომა. ერთხელ კიდევ დარწმუნდა, ჯავშნოსან შუბლს უკან სოსო შადურის ტვინის კბილანები საკმაოდ მწყობრად მუშაობდა.

- შენ წარმოიდგინე, არ დამვიწყნია! - თქვა სხვათა შორის რამაზ კორინთელმა. ვითომ სულაც არ მიიტანა გულთან, შადურმა რომ ლამის კუთხეში მიაყენა.

- მე კი მაინც ვერ გამიხსენე, არა? - ეტყობა, ან ჭადრაკის პარტიებზე რთული გასახსენებელი ვარ, რაც არც მე მგონია და არც შენ, ან ისეთი უმნიშვნელო პიროვნება, გასახსენებლადაც რომ არ ვღირვარ!

რამაზ კორინთელს არ ესიამოვნა შადურის ცივი ხმა.

- ვერ გაგიხსენე და რა ვქნა. ტყუილს ხომ არ გეტყვი?!



თუმცა, როცა გაკვირდები და შენს ლაპარაკს ვისმენ, მგონია, რომ დიდი ხნის წინათ სიმბარში მინახიხარ.

- გულით მინდა დაგიჯერო, მაგრამ ბოლომდე მაინც არა მჯერა. მინდა კი, რომ მჯეროდეს. ჩვენს საქმეში გულწრფელობაა საჭირო.

„ჩვენს საქმეში!“ - ტვინის რომელიღაც უჯრედში დააფიქსირა რამაზ კორინთელმა.

- მერედა, მე არა ვარ გულწრფელი? - გულუბრყვილოდ გაიოცა კორინთელმა, თან შადურს ანიშნა, ჯანდაბას, დაასხი, ერთი ჭიქა კიდევ დავლიოთო... - განა ჩემი ბრალია, რომ გონებამ ზოგი რამ აღადგინა, ზოგი კი საერთოდ ვერ გაიხსენა? იქნებ ორგანიზმის თვისებაა, თავდაცვის ინსტიქტი, დაივიწყოს ის, რისი გახსენებაც არაა მისთვის სასარგებლო და რაც არ გამოიწვევს სასურველ დადებით ემოციებს?

- აქ იმიტომ არ მომიყვანიხარ, რომ სამედიცინო პრობლემები გადავჭრაო. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ავადმყოფობამდეც ბევრჯერ დაამტკიცე, რომ შენს მეგობრებთან, რომლებმაც, სხვათა შორის, ყველაფერი გააკეთეს შენს გადასარჩენად, ბოლომდე გულახდილი არასდროს ყოფილხარ.

- კერძოდ?! - იმდენად გულწრფელად იწყინა რამაზ კორინთელმა, რომ უმაღვე მოეგო გონს და კინაღამ გაეღიმა.

- კერძოდ? ახლავე მოგახსენებ. - შადურმა ჭიქები შეავსო, - შენ არასდროს წამოგცდენია ჩვენთან, რომ ასე კარგად იცი გერმანული ენა. როგორც მითხრეს, თურმე ფრანგულიც და ინგლისურიც კარგად გცოდნია. და მერე ვის, შენ, რომელმაც ვითომ ქართულიც კი არ იცოდი ხეირიანად. ეს ერთი. ახლა მეორე: ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ შენ, რომელმაც მშვენივრად აღიდგინე ენების ცოდნა, ვერ გაიხსენე, როგორ დაახალე დარაჯს სამი ტყვია!

რამამ კორინთელმა ჭიქა აიღო, მაგრამ არც გადაკვრას ჩქარობდა და არც ხმის ამოღებას.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა.

შადური მიხვდა, მისმა შეკითხვამ რამამ კორინთელი ღრმად ჩააფიქრა. გულში გამარჯვებას ზეიმობდა.

„ნეტავ რას იტყვის? თავს რითი იმართლებს? ნუთუ ამდენი წლის მანძილზე თამაშობდა, თავის ცოდნასა და ნიჭიერებას გვიმაღავდა? თუ ასე იყო, რა ამოქმედებდა, რა ჩანაფიქრი ჰქონდა, ან რაში სჭირდებოდა გონებაშემზღუდული და თავგებეხელაღებული კაცის როლის თამაში?“

სოსო შადურმა ერთბაშად შენიშნა, კორინთელს თვალები ჰქონდა დახუჭული.

„ნეტავ რას იტყვის? როგორ გამოძვრება ჩიხიდან?“

რამამ კორინთელმა თვალი ერთბაშად გაახილა. არაფი დალია და ჭიქა მაგიდაზე დადო.

- არ ვიცი, რატომ შეგიპყრო ეჭვებმა. - დაიწყო კორინთელმა უცებ ენერგიულად და გამომწვევად. თვალები ჯიუტად გაუშტერა შადურის ტყვიაგაუმტარ შუბლს, თითქოს უნდოდა, დაენახა, ჯავშნოსან შუბლს იქით ამ წუთში რა აზრი იხადებოდა. - უკანასკნელად გელაპარაკები, ამ თემაზე მომავალში კრინტსაც აღარ დავძრავ. რასაც ახლა მოისმენ, გინდა დამიჯერე და გინდა არა. ვიცი, ყველაზე უფრო ენების ცოდნამ გააღრმავა შენი ეჭვი. სხვათა შორის, ძვირფასო სოსო, შენ არ ბრძანდები ორიგინალური. ეგ მოსაზრება ამ რამდენიმე თვის მანძილზე ბევრჯერ მოვისმინე. უფრო ბევრჯერ კი, ალბათ, ბურგს უკან გამოთქვამდნენ ეჭვებს. ვფიქრობ, განათლებამ გექაჩულმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ადამიანის ტვინი მილიონობით და, მგონი,

მილიარდობით უკრედისაგან შედგება. მკურნალობის შემდეგ, ეტყობა, უკრედების უმრავლესობა აღმდგა. ის უკრედები კი, თქვენით და თქვენისთანებით რომ იყვნენ დაკავებულნი, აღარ აღდგა. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი!

- დამცინი კიდევ?

- დაცინვა აზრადაც არ მომსვლია. მე, უბრალოდ, საბოლოო განმარტებას ვიძლევი. ბარემ, შემდეგ რომ მოულოდნელი არ იყოს, ახლავე გეტყვი. მე კარგად ვუკრავ პიანინოზე, რაც თქვენ, შენ და ჩემმა დანარჩენმა მეგობრებმა, რომელთა არც სახელები მახსოვს და არც გვარები, არ იცით. არ იცით მხოლოდ ერთი სრულიად უბრალო, მაგრამ თქვენთვის ძნელად გასაგები მიზეზის გამო, არასდროს მქონია სურვილი თქვენით თანდასწრებით პიანინოს მივჯლომოდი.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ელდამ გაუარა, დაეღუფტროებული ნერვები განემუხტა. თითქოს შვება იგრძნო. უკვე სიამოვნებდა თავისი კატეგორიული, ოდნავ დამცინავი ტონი. ფულით სავსე ჩანთას დასწვდა და ისე აიღო, თითქოს ხაზს უსვამდა, რომ თავისი კუთვნილი ეპყრა ხელთ.

- შუალამე რომ არ იყოს, ახლავე გიჩვენებდი ჩემს საშემსრულებლო ხელოვნებას. ერთი სიტყვით, თუ ჩაგვივარდა მომენტი და პიანინოს მივეუქეი, ნუ გაგაკვირდება - ნურც შენ და ნურც ჩვენს კოლეგებს!

„კოლეგებს!“ - რა დამცინავად და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა კორინთელმა ეს სიტყვა! იგრძნო, თავი ღირსეულად და ვაჟკაცურად ეჭირა. ვაჟკაცურად და გამომწვევად.

სოსო შადური არ იყო არც იოლად მოსატყუებელი, არც ადვილად დასამარცხებელი კაცი.

ორი ეჭვი ჰკლავდა შადურს. პირველი ეჭვი თვითონვე ეჩვენებოდა უსაფუძვლოდ.

„ნამდვილად რამაზ კორინთელია?“ გაიფიქრებდა ხოლმე და თვითონვე გული მოსდიოდა თავის დაეჭვებაზე.

„აბა ვინ იქნება? რამაზის ორეული? ტყუპის ცალი? ყველაფერი გამოირიცხულია. საავადმყოფოში ნამდვილად რამაზ კორინთელი წავიყვანეთ, იქიდანაც რამაზ კორინთელი გამოვიყვანეთ“. - დაიმშვიდებდა ხოლმე თავს შადური.

„გამოვიყვანეთ კი რამაზ კორინთელი? - უმაღვე ფანჯრიდან შემოხტებოდა კარიდან გაგდებული ეჭვი. - მე ხომ არ დავსწრებივარ მის გამოყვანას? როცა გაოცებული ნაცნობ-მეგობრებისაგან მისი უცნაური შეცვლისა და ენების ცოდნის ამბავი გავიგე, კორინთელის ნახვისაგან, სანამ ყველაფერი არ დავამუსტე, თავი შევიკავე. არის კი ნამდვილად რამაზ კორინთელი?“

„რასაკვირველია, რამაზ კორინთელია!“ - ერთხელ და სამუდამოდ ჯერ კიდევ მაშინ უარჰყო პირველი ეჭვი, როცა კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ კორინთელთან შეხვედრა გადაწყვიტა.

მეორე ეჭვს კი ვერაფერი მოუხერხა. კაცმა რომ თქვას, ჰქონდა კიდევ საფუძვლიანი მიზეზი.

„მუდამ გონებაშემღუდული, მაგრამ უშიშარი და თავმებელადებული კაცი გვეგონა. ნუთუ მთელი სამი წლის მანძილზე გვატყუებდა?! და თუ გვატყუებდა, რა მიზანს ისახავდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული?“

სოსო შადურის გონება ქვიშის საათს ჰგავდა. რომ ეგონა, ფიქრი და ეჭვი უკვე ჩაიცალა ერთი კონუსიდან მეორეშით, იმავე წამს ვიღაცის უხილავი ხელი საათს გადააბრუნებდა და დაცარიელებული გონება ისევ ეჭვით ივსებოდა. ვერაფრით ვერ ჩასწვდა რამაზ კორინთელის ჩანაფიქრს, ვერაფრით ვერ მოუნახა ახსნა და განმარტება მეგობრის

საქციელს. ერთში კი დარწმუნდა, ავადმყოფობის შემდეგ კორინთელმა უნებურად გასცა თავი. სოსო შადურმა უკვე იცოდა, ვინ იყო რამაზ კორინთელი. ახლა ამოსახსნელი რჩებოდა ერთი რამ - რისთვის დასჭირდა კორინთელს, დაემალა თავისი ცოდნა და განათლება? რა მიზანს ისახავდა სრულიად ახალგაზრდა კაცი, როცა მეგობრებს თავს უბირ პიროვნებად აჩვენებდა?!

იქნებ ღარიბი ბიჭი ჩვენთან მხოლოდ ფულის გასაკეთებლად იყო და მერე სამუდამოდ აპირებდა, ჩამოგვეცილებოდა?

სოსო შადური გრძნობდა, რაც მეტს ფიქრობდა, უფრო მეტად ებნეოდა გზა-კვალი ბნელ და ჩახუთულ ლაბირინთში.

ერთი კი დაასკვნა, ფრთხილად უნდა ყოფილიყო. რამაზ კორინთელის ნდობა არ შეიძლებოდა.

„დღეს კმარა! - გადაწყვიტა უცებ შადურმა, - მეორე სენსზე, ალბათ, უფრო მეტს შევატყობ! თანაც ვნახოთ, ბიჭებს რომ ნახავს, რა ხასიათზე დადგება!“

- შენი ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი დასკვნა გამოვიტანე, მაგრამ ცხოვრება წინაა. - თქვა უცებ შადურმა შემრიგებლური ხმით და მარჯვენა ხელის თითები გაატკაცუნა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, შადურმა ვიღაცას ნიშანი მისცა. არც მოტყუებულა, საძინებელი ოთახიდან ორი კაცი გამოვიდა. ერთი ჭაბუკი, ალბათ ოცდამეათე-ოცდაათწლიანი იქნებოდა; მეორე შეიძლება ორმოცისა ყოფილიყო, შეიძლება ორმოცდაათისაც.

რამაზ კორინთელი შეცბა, აღშფოთდა კიდევ. შადურის საქციელი ღალატად მიიჩნია, მაგრამ მიხვდა, არაფერი არ უნდა შეემჩნია. თავდაჭერის ერთი გამოცდა კიდევ უნდა ჩაებარებინა. შემოსულებისაკენ სანახევროდ შებრუნდა და, ვითომც აქ არაფერიაო,

გულდასმით დააკვირდა. ჭაბუკი თბილისელს არ ჰგავდა. დასავლეთიდან იქნება ჩამოსულიო, - დაასკვნა კორინთელმა. მეორე ტიპური ქალაქელი იყო. ჭაბუკი გამოუცდელს ჰგავდა. ეტყობა, ახალი დაწყებული ჰქონდა საქმე. სამაგიეროდ, თბილისელის სახეზე ადვილად შეგეძლო ამოგეკითხა გულქვაობა და დაუნდობლობა.

რამაზ კორინთელმა ქალაქელის სახეზე რატომღაც ნაჭრილობევს დაუნყო ძეხნა...

ვერ შეამჩნია.

„არადა, როგორ მოუხდებოდა!“ - გაიღიმა გულში.

აქამდე ხმის ამოდებას არ ჩქარობდა. ეშინოდა, მონოლილი მღელვარება არ შეამჩნიონო. ბოლოს გაფიქრებულმა ფრაზამ დაარწმუნა, სავსებით მშვიდად იყო. ისევ სავარძლის საბურგეს მიანვა, ტყავის ჩანთაც დაუდევრად მიაგდო მაგიდაზე და წყნარი ხმით იკითხა.

- ამდენი ხანი ჩაკეტილები გყავდნენ?

- მომარაგებული დავტოვე, არ მოინყენდნენ!

- აი, რა არის გულწრფელობა! - მშვიდად, მაგრამ მტკიცედ და ნიშნის მოგებით შეხედა შადურს.

- არ გენდობოდი და იმიტომ.

„ოჰო, „არ გენდობოდი“. ახლა, ვითომ მენდობა?“

- კარგა ხანია მივხვდი, რომ არ მენდობოდი.

- არ გენდობოდი შენი ავადმყოფობის გამო. თანაც იმდენი უსიამოვნო ამბავი უნდა გამეხსენებინა შენთვის, ხომ შეიძლება გულის შეტევა მოგსვლოდა, ან კრუნჩხვები დაგმართნოდა...

- გასაგებია, მეტი ახსნა-განმარტება არაა საჭირო, ბატონებო!

რამაზ კორინთელი მიხვდა, ამ ხალხისგან დანდობის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

- ბიჭები მაინც თუ იცანი! - ჰკითხა შადურმა.

- მე მგონი, მშვენივრად მიხვდი, რომ ვერ ვიცანი.

- ნოდარი და სერგო ვერ იცანი?

- რომელია ნოდარი და რომელია სერგო?

- სერგო ხაზარაძე! - წარუდგინა შადურმა ხანშესული ქალაქელი კაცი, რამაზ კორინთელის აზრით, ნატრილობევი რომ დაამშვენებდა.

- ნოდარ მიმინოშვილი.

არც ერთს გაცნობის ნიშნად თავი არ დაუქნევია, უძრავად იდგნენ ერთ ადგილზე.

- თუ გინდათ, გადით, სადაც იყავით! - მეთაურის კილოთი წარმოთქვა შადურმა.

ორთავენი ისევ საძინებელ ოთახში გავიდნენ.

- ყოფილიყვნენ, რაზე გაყარე.

„გაყარეს“ განგებ გაუსვა ხაზი კორინთელმა. თითქოს უთხრა, ისედაც მივხვდი, მეთაური რომ ბრძანდებო.

- რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნებიან. - შადურიც დაჯდა და რამაზ კორინთელს საქმიანად შეხედა. საუბარსაც უფრო გულწრფელი და ინტიმური ხასიათი მისცა. - მე არ მინდა, რომ ჩვენი ძმობა და საქმიანობა წარსულში დარჩეს. შენ უკვე მიხვდი, რატომაც არ მინდა. ბოლო საქმე რომ უსისხლოდ დამთავრებულიყო, შეგეძლო, ჩამოგვცილებოდი, თუმცა არა მგონია, შენ მაშინ სხვა ცხოვრების სურვილი გაგჩენოდა. სისხლი დაღვრილია. მე არ ვიცი, რამდენად გიშველის სასამართლოში ტრავმა და მუხსიერების დაკარგვა. ის კი ვიცი, დანარჩენებს რა მოგველის. ამიტომ ხვალაც ერთად უნდა ვიყოთ. მით უმეტეს, რევოლუციური შენ ისროლე. მართალია, საქმის დროს მნიშვნელობა არა აქვს, ვის მოუწევს სროლა. ყველამ თანაბრად უნდა ვაგოთ პასუხი, მაგრამ შენ მაინც იჩქარე. არ იყო სროლა საჭირო. უკვე სამშვიდობოს ვიყავით გასული. თანაც, რაკი ისროლე, უნდა გაგესაღებინა კიდეც. იღბალი გვექონია, რომ გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ვიცი, არ გსიამოვნებს, რასაც გეუბნები, მაგრამ საქმე თავისას ითხოვს!

რამაზ კორინთელი საბოლოოდ დარწმუნდა, შადურს და მის მეგობრებს იოლად ვერ დასცილდებოდა. დასაწყისშივე მიხვდა, რამაზ კორინთელის ფერიცვალება ეჭვისა და უნდობლობის უზარმაზარ საბაბს რომ იძლეოდა. იმასაც მიხვდა, ამ ფერიცვალების შემდეგ თუ ერთ ოპერაციაში მაინც არ მიიღებდა მონაწილეობას, აუცილებლად მოკლავდნენ.

დუმილი ჩამოვარდა, დაძაბული, დამუხტული დუმილი, მეხის გავარდნის წინ რომ იცის ხოლმე.

უცებ რამაზ კორინთელმა ხელის მოძრაობით თანხმობა გამოხატა და მტკიცედ თქვა.

- რას მთავაზობ? - თან ანიშნა, სიგარეტი გათავდა, ახალი კოლოფი მოიტანეო.



სოსო შადურმა შვებით ამოისუნთქა. წამოდგა, სიგარეტი მოიტანა, მაგიდაზე დააგდო, სავარძელს გემრიელად მოერგო და დამშვიდებული სალაპარაკოდ მოემზადა.

რამაზ კორინთელმაც თითქოს შვებით ამოისუნთქა, მისთვის უკვე ყველაფერი გასაგები გახდა. თვითონვე უკვირდა, სოსო შადურთან და მის მეგობრებთან მომავალი საქმიანობა რომ არ აღელვებდა. პირიქით, თითქოს ერთგვარი ინტერესიც კი იპყრობდა.

თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ ცდებოდა მთავარი ექიმი. ადამიანი არ ყოფილა მარტო ტვინი, მარტო ინტელექტი, ხოლო დანარჩენი ორგანოები ამ მოაზროვნე აპარატის მომსახურე დეტალები. უნინ, აკადემიკოს დავით გიორგაძისათვის რომ ანალოგიური წინადადება მიეცათ, რა გუნებაზე დადგებოდა? ან ყოფილა როდესმე ახალგაზრდობაში ასეთი ფიცხი და თავხედი? ყოფილა როდესმე ქალიშვილებთან ურთიერთობაში ასეთი გამომწვევი და თავშეუკავებელი?

მაინც რა მოხდა? ტვინმა თავის გავლენაში მოაქცია რამაზ კორინთელის სხეული და გენი, თუ პირიქით, კორინთელის გენმა შეცვალა დავით გიორგაძის ბუნება? იქნებ განათლება და ინტელექტი კი არა, რაღაც შინაგანი იმპულსები განაგებენ ადამიანს და გააკეთებინებენ ისეთ საქმეებს, თვითონვე რომ მიაჩნიათ დანაშაულად?

იქნებ სწორედ ეს იმპულსებია ადამიანი და არა მხოლოდ ტვინი?

ან იქნებ ორთავე ერთად ქმნიან ერთ რთულ, მოაზროვნე და ემოციურ სისტემას?

რა მელის მომავალში? კიდევ შევიცვლები? ჯერ კიდევ არ დაბალანსირებულა დავით გიორგაძის გონება და რამაზ კორინთელის გენი?

ფიქრიდან გამოერკვა და გაღიზიანებულმა მასპინძელს შეხედა.

„ნეტავ, რომელი კალიბრის ტყვია გაუხვრეტს ჯავშნოსან შუბლს?“ - დაინტერესდა უცებ კორინთელი.

## თავი მეცხრე

რამაზ კორინთელმა კიბე ნელა აიარა. არ ჩქარობდა, უნდოდა, მღელვარება დაეოკებინა. დროდადრო ისვენებდა, სიგარეტს ნერვიულად ქაჩავდა. ერთხელ ისიც კი გადანწყვიტა, უკან გავბრუნდებით. რასაკვირველია, წინასწარ იცოდა, რომ ნერვიულობა შეიპყრობდა და განცდები მოეძალებოდა. შეგუებულიც იყო, მაგრამ არ ეგონა, თუ დავით გიორგაძის სახლში სტუმრობა ასე მძიმე იქნებოდა.

აკადემიკოსის ქვრივს ორი დღის წინ დაურეკა, კორესპონდენტი გახლავართ, განსვენებულ მეცნიერზე წერილი უნდა დავწეროთ. ჯერ ნომრის აკრეფა გაუძნელდა, მეუღლის ხმის გაგონებამ კი სუნთქვა შეუკრა და დაამუნჯა.

- გისმენთ, ალო, გისმენთ! - რამდენჯერმე გაიმეორა ქალბატონმა ანამ და ყურმილის მემბრანასაც რამდენჯერმე ჩაბერა.

როგორც იქნა, მღელვარება დაიოკა და ხმა ამოიღო.

უკვე მეექვსე თვე იყო, ანას ხმა აღარ გაეგონა. შეთანხმდნენ, რამაზ კორინთელი ორი დღის შემდეგ საღამოს ხუთ საათზე უნდა სტუმრებოდა მეცნიერის ქვრივს.

ყურმილი რომ დაკიდა, ეგონა თავისუფლად ამოისუნთქებდა, მაგრამ მოტყუვდა. ნერვიულობა, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაეუფლა, მეუღლესთან დარეკვა რომ გადანწყვიტა, თანდათან უძლიერდებოდა. მთელი ღამე გაურკვეველ სიზმრებში გაატარა, ბორგავდა, ლოგინში წაღმა-უკუღმა ტრიალებდა. რამდენჯერმე წამოიყვირა კიდევ, ლოგინზე წამოჯდა და სივრცეში თვალებს უაზროდ აცეცებდა.

დილით ადრე ადგა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ უკვე გულის შემადონებლად ცხელოდა. ერთი კვირის წინ ვიღაც მუსიკოსისაგან ნაყიდი „ფიგელი“ გარეცხა. სოსო

შადურმა ურჩია, ჯობია მანქანა ვინმე წესიერი კაცისაგან იყიდო. მუსიკოსიც თვითონ მოუყვანა. საჭეს რომ პირველად მიუჯდა, ძალიან დელავდა. ჩვიდმეტი წელი მაინც იყო, მანქანა არ უტარებია. თავის დროზე კარგად მართავდა მანქანას, მაგრამ ჩვიდმეტი წელი მცირე დრო არ იყო, საიმისოდ კმაროდა, რომ რეაქცია მოსდუნებოდა და ბევრი წვრილმანი დავინწყლოდა. თვითონვე გაუკვირდა, ისე სწრაფად მოერგო საჭეს და ისე ოსტატურად გასრიალდა მანქანებით გადატვირთულ ქუჩებში.

კრიალა წითელ „ჟიგულს“ სიამოვნებით შეავლო თვალი და სახლში დაღლილი ავიდა.

მანქანა ჩაკეტა და ლიფტს მიაშურა. მაგიდაზე დადებულ საათს დახედა, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია... დრო წელა გადიოდა. უმაღვე აბაზანას მიაშურა. ჩვეულებრივზე მეტხანს იდგა შხაპის ქვეშ. ცხელოდა, მაგრამ რატომღაც მაინც სიამოვნებდა ცხელი წყალი. აბაზანაში კარგად აღწევდა ტელეფონის ბარის წვრილი. ყურმილის აღება აბრად მაშინაც არ მოსვლია, როცა ნაბანავები კვლავ ლოგინში ჩაწვა. ამაოდ ცდილობდა დაძინებას. ვერ დაიძინა, ნერვებაშლილსა და უჩვეულოდ აღგზნებულს ეგონა, ძილი სამუდამოდ დამიფრთხაო.

ოთხის ნახევარზე მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა. ჯერ თითქოს წელა წვიმდა, შემდეგ ერთბაშად დაუშვა. ღია ფანჯრებიდან წვიმა ოთახში ასხამდა, არ წამომდგარა, ფანჯრები არ დაუკეტავს, ეგონა, ახლა მაინც აგრილდებაო. ოთახში მაინც ცხელოდა, თითქოს ღვარავით წამოსული წვიმის კედელი სითბოს ოთახიდან გარეთ არ უშვებდა.

საათს დახედა. ხუთის ათი წუთი იყო.

აკადემიკოსის სახლამდე, ბევრი-ბევრი, ოცი წუთის სავალი იყო მანქანით.

„მანამდე, ალბათ, გადაიღებს, - გაიფიქრა რამაზ კორინთელმა, - არ გადაიღებს და მით უკეთესი“.

ხუთის ნახევარი გახდა. ისევ წვიმდა. ოთახში დამწყვედელი სითბო ღია ფანჯრებიდან გატრას ლამობდა, მაგრამ წვიმის კედლები ძველებურად არ უშვებდა.

რამაზ კორინთელმა გადანწყვიტა, კოსტუმი ჩაეცვა. იცოდა, ქალბატონი ანა ჩაცმულობას როგორ ყურადღებას აქცევდა.

უკანასკნელად ჩაიხედა სარკეში, თმაზე ხელი გადაისვა და წიგნების კარადასთან მივიდა. წიგნების უკან დამალული ხის ყუთი გადმოიღო და მაგიდაზე დადო. ერთ წუთს დაფიქრდა, შემდეგ ყუთი ენერგიულად გახსნა, ორ საგანგებოდ დაწებებულ კონვერტს შორის ერთ-ერთი შეარჩია, პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაიღო. ყუთი დახურა, ისევ თავის ადგილზე მოათავსა წიგნებს უკან, ერთი ღრმად ამოსუნთქა და სახლიდან გავიდა.

დაბლა რომ ჩავიდა, გაოცდა. წვიმას უკვე გადაეღო. დაფლეთილ ღრუბლებს შორის მზის სხივები ჩანჩქერივით იღვრებოდა. წვიმას ქალაქის თავზე გაჭუჭყიანებული ჰაერი თითქოს საგანგებოდ ჩამოერეცხა და გაეკრიალებინა.

აკადემიკოსის სახლთან რომ მივიდა, მანქანის იქვე დაყენება რატომღაც ვერ გაბედა, თუ არ მოისურვა. ძრავა ისევ ჩართო და მომდევნო შენობის ბოლო სადარბაზოსთან გააჩერა.

მღელვარებამ აკადემიკოსის სადარბაზოში შესვლის პირველივე ნაბიჯიდან შეიპყრო.

ყველაფერი ზუსტად ისე დახვდა, როგორც ახსოვდა, მაგრამ იქაურობა მაინც სხვანაირი მოეჩვენა, უცხო და ცივი.

ლიფტთან მივიდა, ღილაკს თითი დააჭირა. კაბინის ჩამოსვლას არ დაელოდა, ლიფტით ასვლა ერთბაშად გადაიფიქრა და კიბეს დინჯი ნაბიჯით აუყვა. აკადემიკოსი დავით გიორგაძე ლიფტში თითქმის არ შედიოდა. ისედაც სულ კაბინეტში ვზივარ, ამ ოთხი

სართულის ავლა ჩემი ვარჯიშიაო, - ამბობდა ხოლმე. ლიტვით მხოლოდ მაშინ თუ ისარგებლებდა, როცა ძალიან დაღლილი იყო.

აკადემიკოსის ბინის წინ კარგა ხანს გაჩერდა რამაზ კორინთელი. დაელოდა, სანამ ყელში ამორჩილი გული ნელ-ნელა დაინევიდა და თავის ადგილზე ჩავიდოდა. მერამდენედ წაიკითხა ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილი ორადორი სიტყვა „დავით გიორგაძე“.

ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ღილაკს თითი დააჭირა. ზარის უსიამო წკრიალმა, თვითონაც რომ კარგად გაიგონა, შეაკრთო და გამოაფხიზლა. კარის გაღების მოლოდინში პიჯაკი გაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა და ჯიბეში კონვერტი მოსინჯა.

ფეხის ხმა ზარის წკრიალთან ერთად გაიგონა. მიხვდა, განსვენებულის ქვრივი მოუთმენლად ელოდა.

ჯაჭვმა გაიჟღარუნა და კარებში ქალბატონი ანა გამოჩნდა.

რამაზ კორინთელი შეკრთა. ნაბიჯი წინ ვეღარ წადგა. მისალმებაც კი დააავიწყდა. აქ რამ მომიყვანაო, გაიფიქრა უცებ. საშინელი სურვილი მოეძალა, შებრუნებულიყო და გაქცეულიყო, მაგრამ თითქოს ფეხებიც აღარ ემორჩილებოდა.

აკადემიკოსის ქვრივი გააოცა სტუმრის ჩაფერფლილმა სახემ, ოდნავ მოცახცახე ყბამ და გამომშრალმა თვალებმა. იქნებ ჩემი დამწუხრებული სახე არ ესიამოვნაო, გაიფიქრა ანამ და შეეცადა ბაგეზე როგორმე სევდიანი ღიმილი მაინც გამოესახა.

- თქვენ ბრძანდებით კორესპონდენტი?

- დიახ! - სუნთქვაშეკრულს თითქოს ეს სიტყვა ჰქონდა ყელში გაჩხერილი. მისი ამოთქმისთანავე ფილტვებმა იგრძნო ჟანგბადის მაცოცხლებელი ძალა.

- მობრძანდით.

რამაზ კორინთელი ჰოლში შევიდა და გაჩერდა. არ იცოდა, საით წასულიყო, კაბინეტში თუ სასადილო ოთახში.

აკადემიკოსის ქვრივმა კარი ჩაკეტა, შებრუნდა და სტუმარს კაბინეტისაკენ გაუძღვა.

დავით გიორგაძის ბინაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი უცვლელი იყო. ოღონდ კაბინეტში, სანერი მაგიდის თავზე, აკადემიკოსის გადიდებული სურათი ეკიდა. ზუსტად ის სურათი, თვითონ რომ მოსწონდა და გადიდებული პირველად ინსტიტუტის ვესტიბულში რომ ნახა დავით გიორგაძის გასვენების დღეს.

- დაბრძანდით, - მიანიშნა ანამ კუთხეში მიდგმულ მწვანე სავარძელზე, თვითონ კი მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ ასეთსავე მწვანე სავარძელში ჩაჯდა.

სავარძლებს შორის ყავისფერი ხის ფინური პატარა მაგიდა იდგა. გიორგაძე სიგარეტს არ ეწეოდა, თუ რაღაც საზეიმო წვეულება არ ჰქონდა, არც სტუმრებს ანებებდა მონევას, მაგრამ პატარა მაგიდას მოზრდილი, ფერადი მინის აბსტრაქტული ფორმის საფერფლე ყოველთვის ამშვენებდა.

- რომელი გაზეთიდან ბრძანდებით? - ჰკითხა ანამ.

- ახალი ამბების სააგენტოდან გახლავართ! - მიუგო რამაზ კორინთელმა და უცებ ის ქერათმიანი, დაშტამპულტვინიანი კორესპონდენტი გაახსენდა, აკადემიკოს დავით გიორგაძეს რომ ჩამოართვა ინტერვიუ. - ჩვენი მასალა საქართველოს და საკავშირო პრესაში გამოქვეყნდება სულ სხვადასხვა ტიპის გაზეთებში...

რამაზ კორინთელს გულში გაელიმა. მიხვდა, მისი ტვინი იმდღევანდელი ინტერვიუს

ასოციაციებს ირეკლავდა. მღელვარებამ თითქმის გაუარა, სამაგიეროდ, გული დაუმძიმდა, სევდა შემოაწვა და ერთი სული ჰქონდა, საქმე მალე მოეთავებინა. უნებურად ჯიბეში ისევ მოსინჯა საგულდაგულოდ დანებებული კონვერტი.

- შეგიძლიათ მეცნიერების საკითხებზე წერა?

- ალბათ შემოიძლია. სხვანაირად აქ არ გამომგზავნიდნენ.

- ჟურნალისტი ბრძანდებით თუ რაიმე ტექნიკური დარგი გაქვთ დამთავრებული?

- არა, ქალბატონო, სამწუხაროდ არა. მე ჟურნალისტი გახლავართ, მაგრამ ხშირად ვწერ მეცნიერულ პრობლემებზე.

- საინტერესოა, - თქვა ანამ.

კორინთელი ვერ მიხვდა, მის ნათქვამში რა იყო საინტერესო და რატომ. თან უხაროდა, აკადემიკოსის ქვრივმა სახელი და გვარი რომ არ ჰკითხა.

უნებურად გადანწყვიტა, თუ ვინაობას მკითხავს, ყოველი შემთხვევისათვის სხვა სახელსა და გვარს ვეტყვიო. ელვის სისწრაფით სახელი და გვარიც კი შეარჩია - გოგი მინდელი.

- რას აპირებთ, რა უნდა დანეროთ ჩემს მეუღლეზე?

რამაზ კორინთელს კიდევ უფრო მოეძალა უსიამო გრძნობა.

- გულწრფელად რომ გითხრათ, ჯერჯერობით წერილის სტრუქტურა მთლიანად და ნათლად არც კი მაქვს მოფიქრებული. ჯერ მინდა საფუძვლიანად შევისწავლო ბატონი დავითის ცხოვრების ზოგიერთი ისეთი ეპიზოდი, საზოგადოებისათვის რომ არ არის



ცნობილი, მაგრამ თავისთავად საინტერესო რომ არის და ღირებული. შემდეგ აკადემიკოსის დიდი მეცნიერული შემოქმედება მინდა გავამდიდრო მისი პიროვნული თვისებებით, რომ მთლიანობაში დავხატო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მეცნიერულ-მოქალაქეობრივი, ფსიქოლოგიური პორტრეტი.

- მე რით შემიძლია დაგეხმარო?

- შეიძლება დავათვალიერო თქვენი ბინა? ჩემთვის ახლა ყველა წვრილმანს მნიშვნელობა აქვს.

- დიდი სიამოვნებით.

- მამ მოდით, კაბინეტიდან დავიწყეთ. მინდა ყველაფერი აღვწუსო გონებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, მეცნიერის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად იმ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალსაც კი აქვს მნიშვნელობა, როგორ და რა პრინციპითა აქვს წიგნები თაროზე მოთავსებული. რომელი ლიტერატურა აქვს უშუალოდ საწერი მაგიდის ახლოს, რომელს უნდა მისწვდეს მაგიდიდან წამოუდგომლად.

- საინტერესოა! - თქვა ისე ანამ.

„როდის აქეთ აიკვიატე ეს სიტყვა? - გაცოფდა უცებ რამამ კორინთელი.

როცა დავით გიორგაძის ბინაში მისვლა გადაწყვიტა, თავდაპირველად ის გაიფიქრა, ანას როგორ შეხვედროდა, ეშინოდა, ვაითუ ცუდად გავხდე, მღელვარება ვერ დავიოკო და თავი გავცეო. ცდილობდა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მასთან შეხვედრა, გონებამ ათასგვარი ვარიანტი მაინც გათვალა და წარმოიდგინა. სულ ტყუილად! რეალური შეხვედრა სრულიად განსხვავებული და მოულოდნელი აღმოჩნდა. აკადემიკოსის საყვარელი მეუღლის ნახვამ თითქოს გაახარა კიდევ, თან შეეცოდა მართოდმართო

დარჩენილი ანა. საშინელი სევდა დაეუფლა. რა იყო ახლა ამ ქალის ცხოვრება? ქმარი მოუკვდა, შვილი უგზოუკვლოდ გადაიკარგა. დარჩა მარტო, სრულიად მარტო. მეცნიერებაში მთელი არსებით ჩათლული მეუღლის ცხოვრების წესმა წლების მანძილზე ახლობლებიც კი ჩამოაშორა. დავით გიორგაძეს არავისთვის არ ეცალა. მეცნიერული კვლევა და ინსტიტუტის მოვლა-პატრონობა, აი, რას მიჰქონდა აკადემიკოსის დროის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი.

„მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნათესავები ალბათ ბრდილობის გულისთვის თუ მოაკითხავენ ხანდახან!

„აკადემიკოსის ოჯახსაც არავისთვის მოუკლავს თავი, სხვისგან რატომ უნდა მოითხოვდნენ ყურადღებას?“

„დრო აღარ ჰყოფნიდა დავით გიორგაძეს ახლობლებთან ურთიერთობისათვის, სტუმარ-მასპინძლობისა და ცერემონიალებისათვის. ბევრი ალბათ ამიტომაც განანწყენდა.

გული კიდევ უფრო დაუმძიმდა.

„რა მემართება? - გაუკვირდა რამაზ კორინთელს, - სისუსტეს არ ვგრძნობ, მღელვარებამაც გაიარა. აბა, რატომ მომენამლა გუნება?“

ერთბაშად მიხვდა, აკადემიკოსის ქვრივი აღიზიანებდა. რაკი აზრმა სწორი კალაპოტი იპოვა, მაშინვე მიხვდა, რომ ანა, მისი თეთრი თმა, მომჭკნარი სახე, ბებრული ფენა-ფენა ჩამოკიდებული ღაბაბი და ვენებდაფართოებული ფეხები ზიზღს ჰგვრიდა. ჯარ არ უნდოდა სიტყვა „ზიზღი“ ეხმარა, მაგრამ სიმართლეს თვალი ვერ დაუხუჭა. ვერ წარმოიდგინა, რომ ამ ქალთან დავით გიორგაძე ოდესღაც სარეცელს იყოფდა.

- თუ შეიძლება ერთი წუთით დაგტოვებთ! - თქვა უცებ ანამ, კორესპონდენტის თანხმობას აღარ დაელოდა და სასადილო ოთახს მიაშურა.

რამაზ კორინთელმა ერთბაშად მოიშორა გულის დამამძიმებელი ფიქრი. წიგნის თაროებთან მივიდა, ერთ-ერთი თაროდან ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომი გადმოიღო და გადაშალა. უმაღლვე სასადილო ოთახის კარებს გახედა. ანა ჯერ შემოსვლას არ აპირებდა. ჯიბიდან კონვერტი ამოაცურა და სასწრაფოდ წიგნში ჩადო. მერე, ვითომ აქ არაფერიო, სქელი, მწვანეყდიანი წიგნი თავის ადგილზე მოათავსა და საწინააღმდეგო მხარეს მიდგმულ კარადასთან მივიდა.

„მეგონა, უფრო ამაღლელებდა აკადემიკოსის კაბინეტის ნახვა“, - სინანულით გაიქნია თავი რამაზ კორინთელმა.

- უკაცრავად, რომ მიგატოვეთ.

- როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ანა! - სწრაფად შემობრუნდა გიორგაძის ქვრივისაკენ.

- იქნებ მართო გირჩევნიათ ყოფნა, ხელს ხომ არ გიშლით?

- პირიქით, ქალბატონო ანა, პირიქით. ნება მიბოძეთ, რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ და ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ.

- გისმენთ.

- ინსტიტუტიდან თუ მოდიან თქვენი მეუღლის კოლეგები? რაიმე დახმარება თუ შემოგთავაზებს? ან იქნებ, უკვე დაგეხმარნენ კიდევ?

- დახმარებით რას უნდა დამხმარებოდნენ. ჩემი მეუღლე სახელმწიფომ დაკრძალა. კაცმა რომ თქვას, არც მინდა არავითარი დახმარება. არც მინდა და არც მჭირდება. ოღონდ, მთავარია, მომიწესრიგონ ჩემი მეუღლის მეცნიერული მემკვიდრეობა და იზრუნონ მისი შრომების გამოცემისათვის.

- კერძოდ, ხომ არ მეტყვით , ვინ იყო თქვენთან.

- სამჯერ მინახულა ოთარ კახიშვილმა, ინსტიტუტის ახალმა დირექტორმა, მეოთხედ თანამშრომლებთან ერთად მესტუმრა. ერთხელ ერთმა ახალგაზრდა მეცნიერმა, მგონი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანია, ინსტიტუტიდან ჩემი მეუღლის წიგნები და რაღაც ნივთები მომიტანა.

- რაო, მაინც რა თქვა ოთარ კახიშვილმა?

- შეწუხებული იყო, დავითს რაღაც საიდუმლო დოკუმენტები ჰქონია სეიფში შენახული.

- მერე? - აღელდა რამაზ კორინთელი.

- სეიფის შიფრი ხომ არ იცითო. აბა, საიდან შეცოდინება.

„ნაძირალა!“ - იყვირა გულში რამაზ კორინთელმა. უმაღვე მიხვდა, ოთარ კახიშვილს რა საიდუმლო ქაღალდების ბედიც აწუხებდა.

- შიფრი რომ ვერ ვუთხარი, ძალზე შეწუხდა და მითხრა, იქნებ სულაც შინა აქვს ის დოკუმენტები წამოღებულიო. მთელი კაბინეტი გადააქოთა.

- იპოვა რამე?

- ვერაფერი. სასონარკვეთილი წავიდა. ერთი კვირის მანძილზე კიდევ ორჯერ მესტუმრა. მაინც ვერაფერი აღმოაჩინა. დიდი საყვედური შემხვდებო, მითხრა გამომშვიდობებისას.

„მათხოვარი!“ - ისევ მთელი ხმით იყვირა კორინთელმა გონებაში, თავი ძლივს შეიკავა, რომ სიბრაზისაგან არ აცახცახებულიყო.

- სხვა ხომ არაფერი უთქვამს?

- არაფერი.

ლაპარაკი ხომ არ ჩამოუგდია თქვენი მეუღლის ბოლო გამოკვლევებზე?

- არაფერი უთქვამს. მხოლოდ ისა თქვა, მალე შევიკრიბებით და თქვენი მეუღლის უკვდავსაყოფად ღონისძიებებს დავსახავთო.

- ამის შემდეგ მოვიდა სხვებთან ერთად?

- დიახ.

- კიდევ გითხრათ რამე?

- იგივე შეკითხვა გამიმეორა, ხომ არაფერი გიპოვიათ, დოკუმენტებს ან მეუღლის მეცნიერულ ნაშრომს ხომ არ წასწყდომიხართო.

- სხვების გასაგონად გკითხათ, არა?

- დიახ, - შეცბა ქალი, - თქვენ გგონიათ, არ უნდა ეკითხა?

- არა, ქალბატონო ანა, ბუნებრივად მიმჩნია, რომ სხვების გასაგონად უნდა ეკითხა. - გაღიმება სცადა რამაშ კორინთელმა, - თქვენ რა უპასუხეთ?

- რა უნდა მეპასუხა. არაფერს არ წავწყდომივარ-მეთქი.

- შვილის ამბავი ხომ არაფერი გაგიგიათ? - შეცვალა კორინთელმა თემა მოულოდნელად.

- შვილის? - ანამ ამოიოხრა და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა! - არაფერი.

- ვილაცამ თქვა, თითქოს მამის გასვენებაზე ჩამოვიდა და პარიკით გადასხვაფერებული ხალხში იყო მიმალებულიო.

- ვინ თქვა? - გამოცოცხლდა ქალი.

- არ ვიცი, ვინ იყო. არ ვიცნობ, თქვენი მეუღლის გასვენებაზე ვნახე, აღარც მახსოვს, როგორი სახე ჰქონდა. უბრალოდ მოვკარი ყური, მეგობარს უთხრა, შიძლება ჩამოსულია და სადმე აქვეა ხალხში მიმალებულიო.

- არა მგონია. ისე არ წავიდოდა, რაღაცნაირად ტელეფონით რომ არ დამლაპარაკებოდა, ან ჩემს დასამშვიდებლად რომელიმე მეგობარი მაინც არ გამოეგზავნა.

- სულ არაფრისათვის მოგიკრავთ ყური?

ანამ ისევ მწარედ ამოიოხრა და ხმამაღლა აქვითინდა.

- მაპატიეთ, ქალბატონო, ანა, მაპატიეთ, რომ გული უნებურად გატკინეთ.

- რილასთვის ვცოცხლობ, არ ვიცი. ადამიანი ძალი ყოფილა, იოლად არ კვდება. მაინც მაქვს იმედი, რომ სადღაც იმალება და როცა იქნება გამოჩნდება, - ქალმა ღრმად ამოიოხრა, - ოღონდ ვიცოდე, რომ ცოცხალია და, თუ უნდა, სულაც ნუ გამოჩნდება.

- მილიცია? ნუთუ მართლა მილიაცია დუმს? არ მოსულან თქვენთან დასაკითხად, ან რაღაც ცნობები არ მოუწვდიათ?

- როგორ არა, ბევრჯერ დამკითხეს. ჩავაწერინე, ვისთან მეგობრობდა, როგორი ხასიათი ჰქონდა. ერთი სიტყვით, რაც ვიცოდი, ყველაფერი ჩავაწერინე.

- მაინც რა დასკვნამდე მივიდნენ?

- ეჭვიც აღარ ეპარებათ, რომ ის საცლოდავი ჩემმა შვილმა გაიტანა. შეშინებულმა მანქანა დატოვა და სადღაც გადაიკარგა.

აკადემიკოსის ქვრივმა ცრემლები ვეღარ შეიკავა, ჯიბიდან პატარა შავი ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა.

- თქვენ რატომ გაინტერესებთ ჩემი შვილის ამბავი? - გამოერკვა უცებ ანა და რამაზ კორინთელი ეჭვიანად შეათვალიერა, - შემთხვევით, ხომ არ იცნობდით?

- მაპატიეთ, ქალბატონო ანა, უბრალოდ დამინტერესა მისმა ამბავმა. ვიცი, რომ ბატონ დავითს ინფარქტი შვილის თაობაზე დაემართა. ბოდიშს გიხდით, რომ უნებურად ჭრილობა გაგიღიზიანეთ.

ფეხზე წამოდგა, მაგრამ მიხვდა, რომ ახლავე წასვლა არ ივარგებდა, რამაზ კორინთელი ქალს კიდევ უფრო დააეჭვებდა და კვლავ წიგნის თაროებთან მივიდა.

- რამდენადაც ვიცი, მუშაობით დაღლილ ბატონ დავითს ძალიან უყვარდა პიანინოზე დაკვრა.

- დიახ, თქვენ ვგ საიდან იცით? ჩემი მეუღლე შესანიშნავად უკრავდა, არცაა გასაკვირი. დავითი მუსიკოსების შვილი იყო. მშობლებს თურმე დიდი სურვილი ჰქონდათ, შვილიც მათ კვალს გაჰყოლოდა.

- მე ისიც ვიცი, რომ ბატონ დავითს ამ დროს ძალიან უყვარდა უშაქრო ყავა.

- საინტერესოა!

„საინტერესოა!“ - ისევ გააუჩუქლა ტანში რამამ კორინთელს, - ეტყობა, ახალი ამოჩემებული აქვს ეს სიტყვა“.

- ახლა კი წავალ, ქალბატონო ანა.

აკადემიკოსის ქვრივი ფეხზე წამოდგა.

- მე ჯერ ბევრი უნდა ვიფიქრო. დიდი სურვილი მაქვს საინტერესო წერილი გამომივიდეს. ჩემთვის უკვე ნათელია ის შინაურული გარემო და ატმოსფერო, სადაც ბატონ დავითს უხდებოდა მუშაობა. თუ რამ ასეთი საკითხი წამოიჭრა, რომელსაც უთქვენოდ ვერ გადავჭრი, ვიტოვებ უფლებას, კიდევ ერთხელ შეგანუხოთ.

- რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ მობრძანდით.

ანამ სტუმარი სადარბაზომდე მიაცილა.

- ლიფტით ჩაბრძანდით.

- ფეხით მირჩევნია, ქალბატონო ანა. მიღებისა და გულისხმიერებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. კარგად ბრძანდებოდეთ!

რამამ კორინთელმა კიბე ჩაირბინა. უნდოდა, რაც შეიძლება, სწრაფად მოშორებოდა შენობას, რომლის შეძულებაც უკვე მოასწრო რაღაც ოციოდე წუთში.

ქუჩაში რომ გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა, გუნება ერთბაშად გამოუკეთდა და ჩქარი ნაბიჯით მანქანისაკენ გაემართა. შორიდანვე მოჰკრა თვალი ახლად ნაყიდ წითელ



„ჟიგულს“, ქუჩაში რომ მეგობარვით ელოდებოდა. ორ წუთში მანქანასთან იყო. სიყვარულით შეავლო თვალი გაკრიალებულ „ჟიგულს“ და კარი გამოაღო.

ერთი სული ჰქონდა, სხვა ქუჩაზე როდის გავიდოდა. არ სიამოვნებდა იმ ქუჩაზე გავლა, სადაც ყოველი ხე, ყოველი შენობა მისთვის უკვე უსიამოვნო წარსულს აგონებდა.

აჰა, დააღწია კიდეც თავი იმ ქუჩასაც და იმ უბანსაც. გულს ერთბაშად დაეუფლა უბორო სიხარული. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სხვა სამყაროდან და წარსულიდან, სადღაც შორს, შორს, მოგონებათა ბინდებუნდში რომ იძირებოდა, ერთბაშად ამოხტა მომავალში და სრულიად ახალ სამყაროში ამოჰყო თავი.

უცებ სარკეში ნაცრისფერ „ვოლგას“ მოჰკრა თვალი.

მანქანა ნაცნობი ეჩვენა.

ახლალა გააცნობიერა, დავით გიორგაძის სადარბაზოდან, რომ გამოვიდა, მაშინ დალანდა იქვე, სადარბაზოდან ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით.

„მგონი, მე მომდევს!“ - დაასკვნა უნებურად.

ნაცრისფერი „ვოლგა“ ოცი-ოცდახუთი მეტრის დაშორებით მოდიოდა.

რამაზ კორინთელმა სიჩქარეს უკლო. ნაცრისფერმა მანქანამ ინტერვალი შეინარჩუნა.

საეჭვო აღარაფერი იყო.

„ვინ უნდა იყოს?!“ - გაიფიქრა კორინთელმა და წიგნების მაღაზიის წინ მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა.

„ვოლგამ“ გვერდი აუქცია და გზა განაგრძო.

რამაზ კორინთელმა წამიერად მოჰკრა თვალი საჯესთან მჯდომ ავადმყოფურად გამხდარ, საფეთქლებშეჭადარავებულ ახალგაზრდა კაცს.

მეტი მანქანაში არავინ იყო.

„ვითომ მე მომდევდა?!“ - მხრები აიჩეჩა რამაზ კორინთელმა და ძრავა ისევ ჩართო.

# თავი მეათე

ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტი.

აკადემიკოს დავით გიორგაძის კაბინეტი.

უმარაზარ, პომპეურ, სვეტებიან კაბინეტში ყველაფერი უცვლელად იყო შენარჩუნებული. კედლებზე კვლავინდებურად ეკიდა აინშტაინის, ნიუტონის, ბორისა და ეილერის სურათები, ძველებური, დათვისფეხებიანი სანერი მაგიდა, რბილი, ძველებური სკამები. ერთ კუთხეში - ტყავის დივანი, სანერ მაგიდაზე მიდგმული ახალი, მაგრამ ძველ ავეჯს მიმსგავსებული, გრძელი მაგიდა ძველებურად იყო განლაგებული ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში.

იყო მხოლოდ ერთი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილება. დირექტორის სავარძელში, მბრუნავ, მძიმე, შავი ტყავის სავარძელში აკადემიკოს დავით გიორგაძის ნაცვლად იჯდა პროფესორი ოთარ კახიშვილი.

ახალ დირექტორს სავარძელი უკან დაენია, რბილ საბურგეს დიდკაცურად მიყრდნობილს ფეხი ფეხზე შემოედო. ხელში სათვალე ეჭირა და კარებში შეჩერებულ ახალგაზრდა კაცს ოდნავ დაბნეული შესცქეროდა.

ახალგაზრდა კაცი, სახეზე რომ თავხედური ღიმილი დასთამაშებდა, რამაზ კორინთელი გახლდათ.

ოთარ კახიშვილის ყურადღება უმაღლვე მიიპყრო ჭაბუკის უძვირფასესმა თეთრმა კოსტიუმმა.

„ნეტავ, რა საქმე უნდა ჰქონდეს?“ - გაივლო გულში.

უცნობ ჭაბუკთან შეხვედრას ორი დღის მანძილზე ელოდა, მაგრამ კაბინეტში რომ დაინახა, მაინც დაიბნა და აღელდა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა?

ინტუიცია აძლევდა სიგნალს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო?

რამაზ კორინთელი არ დაელოდა დირექტორის მიწვევას, ჯიქურ მივიდა მაგიდასთან, რბილი სკამი გამოსწია, სკამს კარგად მოერგო და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

- გამარჯობათ!

დირექტორმა მისალმების ნიშნად თავი დაუქნია.

\* \* \*

რამაზ კორინთელი პირველად სამი დღის წინ ესტუმრა ინსტიტუტის ახალ დირექტორს, თვალში ისევ მოხვდა დირექტორის პირადი მდივნის მარინე დვალის სავსე მკერდი. ახალგაზრდა ქალს კვლავ შავი, გულმოღვლილი კაბა ეცვა. მშვენივრად იცოდა, შავი კაბის ფონზე კრიალა თეთრი მკერდი უფრო ვნებიანად რომ იკვეთებოდა.

ქმარს გაშორებული პატიოსანი ახალგაზრდა ქალი სიამოვნებას მამაკაცების ვნებიან მზერაში პოულობდა. რამდენი შემოდოდა მისაღებში სრულიად უსაქმოდ, რომ მისი მკერდისათვის ერთხელ კიდევ ხარბად შეეცლოთ თვალი. მათი აციმციმებული თვალებიდან გადმოფრქვეული ვნება მკერდს ნაზად ელაციცებოდა, ვაჟკაცის ხელივით ვნებიანად ეაღერებოდა.

- დირექტორი მოსულია? - ცოტა თავხედურად იკითხა ჭაბუკმა.

ქალს გაუკვირდა მისი უყურადღებობა; მიჩვეული იყო, რაც არ უნდა საქმიანი კაცი

შემოსულიყო კაბინეტში, ან რაც არ უნდა გაბრაზებული ყოფილიყო ვინმე, მისი მკერდის შემხედვარეს ბაგეზე აუცილებლად ღიმილი გადაეკვრებოდა.

- დღეს მიღება არ არის!

- ეგ მე არ მიკითხავს. მე გვეკითხებით, დირექტორი თუ მოვიდა-მეთქი!

- დირექტორი მოსულია, მაგრამ ვერ მიგიღებთ, ჩაკეტილია.

- თქვენ ჩაკეტეთ?

- ხუმრობისთვის არ მცალია!

რამაშ კორინთელი მიხვდა, მარინე მისმა თავხედობამ ვი არა, უყურადღებობამ გააცოცხა.

- მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ.

- არა მგონია.

- ისიც ვიცე, სანოლთან რა სურათი გიკვიდიათ.

- სურათი?! - გაცოცდა მარინე.

დიახ, სურათი, დეგას ბალერინები. ყვითელკოპლებიანი ტორშერი კიდევ გაქვთ?

- თქვენ ეგ საიდან იცით? - მღელვარებისაგან ქალის ჯიშინი მკერდი ძვირფასი კაბის ჭრილიდან ამოვარდნას ლამობდა.

- მე ყველაფერი ვიცე. შემიშვებთ დირექტორთან?

მარინე ფეხზე წამოდგა, ვაჟს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თავი გაოცებულმა გაიქნია და დირექტორის კაბინეტში შევიდა.

რამაზ კორინთელმა ჰალსტუხი შეისწორა.

მდივანი მალე გამობრუნდა.

- შედით! - უთხრა ვაჟს და გაოგნებული მაგიდას მიუჯდა.

რამაზ კორინთელმა, კაბინეტს რომ თვალი მოავლო, მღელვარებამ შეიპყრო, სახე აელენა, გულზე უზარმაზარი ტკიპა დააჯდა და სისხლი ხარბად გამოსწოვა.

ოთარ კახიშვილი ჭაბუკს მოთმინებით მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელს თითქოს დაავიწყდა, დირექტორთან რისთვის შევიდა. კაბინეტი ხარბად მოათვალიერა და მზერა სეიფზე შეაჩერა. იქ, მუხის ფიცრებით მოპირკეთებულ ნიშში ჩასმულ უძველეს და უზარმაზარ გერმანულ სეიფში იდო მისი გამოკვლევა - „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი“.

ფიქრმა ისე გაიტაცა, დირექტორი სულ გადაავიწყდა.

- რა გნებავთ, ყმანვილო! - მოესმა უცებ ოთარ კახიშვილის ხმა.

კვლევითი ინსტიტუტის ახალმა დირექტორმა წინადადების ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად ძახილის ნიშანი დასვა, რომლითაც ჭაბუკის თავხედური საქციელით გამოწვეული გაბრაზება გამოხატა.

რამაზ კორინთელი გამოერკვა და მზერა ერთბაშად დირექტორზე გადაიტანა. თავი მოთოკა, დაწყნარდა, თუმცა აღგზნებული თვალები მაინც უბრწყინავდა.

„ვინ მის აკადემიკოსის სავარძელში?! - მოერია ბრაზი უცებ.

- რა გნებავთ, ახალგაზრდავ. მე ამდენი დრო არ მაქვს!

- ძალიან სერიოზულ საქმეზე გეახელით, ბატონო ოთარ! - „ბატონო“ ხაზგასმული ირონიით წარმოთქვა რამაზ კორინთელმა. - თუ დღეს არ გცალიათ, ხვალ გეახლებით, თუნდაც ზეგ. ოღონდ, როცა მიმიღებთ, ნახევარი საათი უნდა დამითმოდ.

ოთარ კახიშვილმა არაფერი უპასუხა, არ იცოდა, რა ეთქვა. ალბათ, რომელიმე მორიგი გიჟია, პერპენტუუმ მოხილუ რომ გამოიგონაო, გაიფიქრა გულში და გადაწყვიტა უცნობი დღესვე მოეშორებინა თავიდან.

- მაინც რა საქმე გაქვთ, ორ წუთში რომ არ ითქმება?

- როდესაც მიმიღებთ, მაშინ მოგახსენებთ.

- ეტყობა, კარგად ვერ გამიგეთ, - დაბალ ტონალობაზე ჩამოვიდა დირექტორი, იმდენად დათრგუნა რამაზ კორინთელის თვალებმა, - მე მაინტერესებს საუბრის თემა. იქნებ საჭიროა წინასწარ მოვემზადო?

- იმედი მაქვს, ახალგაზრდა კაცთან სასაუბროდ თქვენი რანგის მეცნიერს წინასწარი მომზადება არ დასჭირდება.

- ჰმ! - თავი უკმაყოფილოდ გაიქნია ოთარ კახიშვილმა, კალენდარს ჩახედა და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ თქვა, - ზეგ მოზრდანიტ, საღამოს ექვს საათზე.

- ბატონი ბრძანდებით! - რამაზ კორინთელი მკვირცხლად წამოიჭრა და წავიდა.

დირექტორმა მხრები აიჩემა. როცა ჭაბუკმა კარი გაიხურა, წელა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ქუჩაში წითელი „ჟიგული“ იდგა. მანქანას ქერა, თმაგაშლილი ლამაზი გოგონა მიყრდნობოდა. შორიდან ეროვნების გარჩევა გაუჭირდა ოთარ კახიშვილს.

„ალბათ, რუსია, შეიძლება ბალტიისპირეთიდანაა ჩამოსული, იქნებ სულაც ქართველია, - ფიქრობდა იგი, - განა ჩვენში ცოტანი არიან ცისფერთვალა და ქერა გოგონები?“.

დირექტორმა მხოლოდ ორი რამ დაასკვნა: ქალს მართალია, შარვალი ეცვა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ძალზე ლამაზი ფეხები ჰქონდა და იგი ჭაბუკს ელოდებოდა, წელან რომ დასტოვა კაბინეტი. არც შემცდარა. მალე ჭაბუკიც გამოჩნდა. მანქანაზე მიყრდნობილი ქალიშვილი შეირხა, ოთარ კახიშვილს ისევ მოხვდა თვალში შარვალში გამოკვართული ლამაზი ფეხები. მან მანქანას მეორე მხრიდან მოუარა, კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. ჭაბუკს მანქანის კარი ხეირიანადაც არ ჰქონდა დახურული, რომ „ჟიგული“ ადგილიდანვე სწრაფად დაიძრა.

ოთარ კახიშვილმა წითელ, გაკრიალეხული მანქანას თვალი გააყოლა. ჭაბუკმა აშკარად დააინტერესა. ნეტავ დღესვე დამეგდო ყური, ვინ იცის, რას მეტყოდაო. თუმცა უმაღვე მიხვდა, ჭაბუკისადმი ინტერესი მას მერე გაუჩნდა, ლამაზი, ქერა ქალიშვილი რომ დაინახა. რატომღაც სევდით ამოიოხრა და სავარძელს მიაშურა. თვალი კვლავ სეფისაკენ გააპარა, იმ უზარმაზარი, ძველებური სეფისაკენ, სადაც აკადემიკოს დავით გიორგაძის ნაშრომი ეგულებოდა. უმაღვე გადაავიწყდა ის უცნაური ჭაბუკიც, ქერა, მაღალფეხებიანი ქალიშვილიც, პროფკავშირული კრებაც, სიტყვით რომ უნდა გამოსულიყო, აკადემიის პრეზიდენტის სახელზე დასაწერი მოხსენებითი ბარათიც, სადაც ინსტიტუტის სარემონტო თანხის გამოყოფისა და ახალი კორპუსის მშენებლობის საკითხი უნდა დაეყენებინა.



ოთარ კახიშვილმა იცოდა, ახლად დანიშნული დირექტორის თხოვნას დასაწყისში უფრო გაუნვედნენ ანგარიშს.

აი, ამდენი საბრუნავი გადაავიწყა მუხის ფიცრებით მოპირკეთებულ ნიშში შედგმულმა უძველესმა გერმანულმა სეიფმა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს თვითონ დაემსგავსა უზარმაზარ სეიფს.

ახალი დირექტორი გონებაგახსნილი კაცი იყო და მოვლენებს რეალურად აღიქვამდა. იცოდა, მისი რანგის მეცნიერები და იქნებ ცოტა უკეთესებიც, აქვე იყვნენ ინსტიტუტში. ორი ღირსეული ქართველი მკვლევარიც გაიხსენა, მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში რომ მოღვაწეობდნენ. კახიშვილმა იცოდა, მათ რო ინსტიტუტის დირექტორობა მოენდომებინათ, წინ ვერაფერი დაუდგებოდათ. გაუმართლა, დირექტორობა ხელში ჩაიგდო, მაგრამ ავტორიტეტი...

ოთარ კახიშვილს საღი განსჯის უნარი ჰქონდა. ადამიანებშიც კარგად ერკვეოდა და იცოდა, კვლევით ინსტიტუტში დირექტორობა დიდ ვერაფერ უპირატესობას ნიშნავდა, თუ მეცნიერებაში თანამშრომელთა თანაბარი მაინც არ იქნებოდა. როცა ამ სითანაბრეს დირექტორობაც მიემატებოდა, მაშინ მისი მეცნიერული კვლევაც მეტ ფასს დაიდებდა. გაცილებით მეტს, ვიდრე სინამდვილეში ერგებოდა. ეს ძალიან კარგად იცოდა პროფესორმა ოთარ კახიშვილმა.

და აი, იქ, იმ მექყავისფრად შეღებილ გერმანულ სეიფში იდო ისეთი გამოკვლევა, რითაც შეეძლო თავის კოლეგებზე ათი თავით ამაღლებულიყო და მსოფლიოც აელაპარაკებინა.

ოთარ კახიშვილს არც ის ავინყდებოდა, ინსტიტუტის თანამშრომელებმა დაახლოებით რომ იცოდნენ, რა შეიძლება ყოფილიყო დირექტორის სეიფში. აკადემიკოს დავით გიორგაძის მემკვიდრეობის შემსწავლელი კომისიის შედგენასაც იმიტომ არ ჩქარობდა.

დავით გიორგაძე მოკვდა და სამარეში ჩაიტანა შიფრი, რომლითაც სეიფის გახსნა შეიძლებოდა. ოთარ კახიშვილი უძლური იყო სეიფის ხუთნიშნაანი მილიონობით თუ მილიარდობით კომბინაციიდან გამოეცნო ის ერთადერთი, სეიფს რომ უჩუმრად გაახსნევინებდა. თუკი მოსკოვიდან ოსტატს გამოიძახებდა, მაშინ ყველაფერი იკარგებოდა. სეიფის გახსნას მთელი კომისია დაესწრებოდა.

რამდენჯერმე ესტუმრა შინ აკადემიკოსის ქვრივს. პირველსავე შეხვედრაზე თავი ვერ მოთოკა და სეიფის შიფრზე ჩამოუგდო საუბარი. თქვენს გარდაცვლილ მეუღლეს და ჩვენს დიდად საყვარელ მეცნიერს სეიფში რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტი დარჩა ჩაკეტილიო. თუ ეს დოკუმენტები სასწრაფოდ არ წარვადგინეთ სათანადო ორგანოებში, მთელი დირექცია დავისჯებითო. იქნებ თავს ძალა დაატანოთ და როგორმე გაიხსენოთ, ხომ არსად ექნება დატოვებული სეიფის შიფრიო.

ვერაფერი დაადგინა. აკადემიკოსის მეუღლემ სეიფის შიფრის არაფერი იცოდა.

უცებ კახიშვილს გონება გაუნათდა.

„იქნებ სეიფში არც კი აქვს ნაშრომი შენახული?“

„იქნებ აქ, შინ, რომელიმე უჯრაშია საქაღალდეში მოთავსებული?“

ცივმა ოფლმა დაასხა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოდნავ შემელოტებული თავი მოიწმინდა, სათვალე მოიხსნა, ჯერ დაორთქლა, მერე გულდასმით განმინდა. მთელი ამ პროცედურის მანძილზე ფიქრობდა, მღელვარება როგორ დაეოკებინა და საუბარი როგორ დაეწყო.

- ქალბატონო ანნა, - ამოღერდა ბოლოს ორი „ნ“-ით, ცხვირსახოცი ისევ ამოიღო და ამჯერად ლოყები შეიმშრალა.

დამწუხრებულმა ქალმა სევდიანი თვალები მიაპყრო ინსტიტუტის ახალ დირექტორს.

- ქალბატონო ანნა, - ისევ ამოილულულა ოთარ კახიშვილმა, - ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ რას იზამთ, თავს ზევით ძალა არაა. იქნებ ის საიდუმლო დოკუმენტები შინა აქვს მოტანილი ბატონ დავითს? ბუნებრივია, თქვენ გიძნელდებათ ქმრის ნივთების შეხებაც კი, მით უმეტეს, ამ ნივთებთან დაკავშირებული ამბების გახსენება. უნდა მომიტევოთ, ქალბატონო, ანნა, უნდა მომიტევოთ. იმედი მაქვს თქვენი მოწყალე გულისა. რას იზამ კაცი, სამსახური სამსახურია, საიდუმლო დოკუმენტი კი - საიდუმლო დოკუმენტი. ისედაც ძალზე დაგვაგვიანდა მათი დანიშნულებისამებრ ჩაბარება. მინდა შეგეშველოთ ამ მძიმე წუთებში და თუ ნებას დამრთავთ, მე თვითონ დავათვალიერებ სანერი მაგიდის უკრებსა და წიგნების თაროებს. მით უმეტეს, ვიცი, რა დოკუმენტებიცაა მოსაძებნი.

აკადემიკოსის ქვრივმა ღრმად ამოიოხრა, თვალებე მომდგარი ცრემლი შეინმინდა და კახიშვილს ანიშნა, თანახმა ვარო.

- მე მუდამ მჯეროდა თქვენი დიდი ინტელიგენტობისა, ქალბატონო ანნა, - ფეხზე სასაცილოდ წამოიჭრა კვლევითი ინსტიტუტის ახალი დირექტორი და აკადემიკოსის ქვრივის ხელს მხურვალედ ეამბორა. თანაც ამბორი გაცილებით ხანგრძლივი გამოუვიდა, ვიდრე წესით არის მიღებული.

როგორ არ ჰგავდა ამ წუთში თავის თავს ჯმუხი გარეგნობის მეცნიერი. ოთარ კახიშვილის უხემ, უნიჭო მოქანდაკის საჭრეთლით გამოკვეთილ ბლაგვ სახეზე ერთადერთი ინტელექტუალური დეტალი სათვალე იყო. მთელი მისი ნაზი ფრაზები და უჩვეულო, სასაცილო მოძრაობა წყლის ზედაპირზე მოტივტივე ბენზინს ჰგავდა. ახალი დირექტორის დღევანდელი უჩვეულო მანერები უფრო იმიტომ იყო სასაცილო, რომ მისი გამომეტყველებიდან უხვად იღვრებოდა დედაქალაქში ჩამოსული და გზაგაკაფული პროვინციელის ენერგია და თავხედობა.

ოთარ კახიშვილი საწერ მაგიდასთან დადგმულ ტყავის სავარძელში ჩაჯდა.

აკადემიკოსის ქვრივს გული შეეკუმბა. მეუღლის სიკვდილის შემდეგ დავით გიორგაძის სავარძელში პირველად ჩაჯდა სხვა ადამიანი. ქალბატონმა ანამ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და სასადილო ოთახში გავიდა.

ოთარ კახიშვილმა შვებით ამოისუნთქა და უკრებს გაშმაგებით ეცა. დამთავრებული ნაშრომი თუ სეიფში აქვს მოთავსებული, აქ იქნებ შავი პირი მაინც ვიპოვო, ფიქრობდა და ელვისებურად მუშაობდა. გული ისე გამალებით უცემდა, ეშინოდა, მისი ბაგაბუგი აკადემიკოსის მეუღლემ მეორე ოთახში არ გაიგონოსო. სახეზე ოფლი ნურნურით ჩამოსდიოდა. ცხვირსახოცის ამოღებაზე დროს არ ჰკარგავდა, შუბლს პირდაპირ ხელით იწმენდა.

ორი საათის მანძილზე ყველაფერი გადააქოთა, ხელნაწერს წიგნებს შორისაც კი დაეძებდა. ვერაფერი იპოვა. იმედგაცრუებული და სასონარკვეთილი კვლავ სავარძელში ჩაეშვა. უცებ იგრძნო, სასტიკად სწყუროდა.

აკადემიკოსის ქვრივი უკან შემობრუნდა. ოთარ კახიშვილის სასონარკვეთილი სახე რომ დაინახა, შეშინდა.

- რა მოხდა, ბატონო ოთარ, ცუდად ხომ არა ხართ?

- იქნებ წყალი დამალევინოთ, ქალბატონო ანა!

შემფოთებულმა ქალმა თავისი ასაკისათვის უჩვეულო სისწრაფით მოუტანა წყალი.

- ნუთუ ასეთი საჩქაროა ის დოკუმენტები? - წარმოთქვა შეწუხებულმა, როცა ოთარ კახიშვილმა წყალი მოსვა.

- სასწრაფოა და მერე როგორი. თუ არ შეგანუხებთ, კიდევ მოვალ და უფრო გულისყურით დავეძებნი.

- ბატონი ბრძანდებით.

ოთარ კახიშვილი კიდევ ორჯერ ესტუმრა აკადემიკოსის ქვრივს. კიდევ ორჯერ გადააქოთა იქაურობა. სეიფის შიფრს ვინღა დაეძებდა, ნაშრომის არამცთუ შავი პირი, ერთი ქვეთავიც კი ვერსად იპოვა.

სასწრაფვეთილმა ოთარ კახიშვილმა სამდღიანი უშედეგო ძიების შემდეგ ერთი დასკვნა გამოიტანა, აკადემიკოს დავით გიორგაძეს საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გადათეთრებული ნაშრომი სეიფში ჰქონდა ჩაკეტილი, სეიფში, რომლის საიდუმლოდ გახსნასაც ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ მოახერხებდა.

მას შემდეგ სადაც არ უნდა ყოფილიყო, სულ ძველებურ გერმანულ სეიფზე ფიქრობდა, მისი გახსნის გზებს ეძებდა. ხშირად, ტელევიზორს რომ უყურებდა, გვიან ხვდებოდა, რომ ეკრანზე გადაცემას კი არა, უზარმაზარ, ყავისფერ, მძიმე სეიფს ხედავდა.

შესვენების დროს ყავას რომ სვამდა, თითქმის ყოველთვის სეიფთან იდგა და ხან საცოდავი, ხან კი გაშმაგებული თვალებით ლითონის ხუთ რგოლს მისჩერებოდა, რომლებითაც შეიძლებოდა მილიარდი საშიფრო კომბინაცია გაკეთებულიყო.

კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებათა დიდი საბჭოს სხდომაზე რამდენჯერმე გამოითქვა აზრი, აკადემიკოსის მეცნიერული მემკვიდრეობის შემსწავლელი კომისიის შედგენა ხომ არ გვინდებო.

ოთარ კახიშვილს კოლეგათა სამართლიან წინადადებაზე სული ემღვრებოდა და გაღიზიანებული ამბობდა, ვაცალოთ კაცს საფლაფლაში გაცივებო.

მშვენივრად მიხვდა, თანამშრომლებს არ გამოჰპარავიათ ახალი დირექტორის უჩვეულო ნერვიულობა. სახლშიც უცნაურად იქცეოდა. ძილგატეხილი თითქმის ყოველ შუალამეს დგებოდა, კაბინეტში გადიოდა და სავარძელში მოკალათებული სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. შემფოთებულმა მეუღლემ რამდენჯერმე უსაყვედურა, რად გინდა თანამდებობა, თუ ასე დამუნჯდები და განერვიულდებიო.

პასუხი ყოველთვის ერთი ჰქონდა, მაცალე, შევეგუო ახალ გარემოს, ამოდენა დატვირთვასა და პასუხისმგებლობასო.

\* \* \*

ჭაბუკის ელევანტურმა ჩაცმულობამ ჯერ კიდევ წინა სტუმრობის დროს მიიპყრო ოთარ კახიშვილის ყურადღება. თეთრმა ფრანგულმა კოსტიუმმა, მსგავსი რომ დირექტორს ჯერ არსად ენახა, რატომღაც კიდევ უფრო გაუძლიერა ცნობისმოყვარეობა.

„მართლა, თუ ისევ ახლავს ქერათმიანი და მაღალფეხებიანი ქალიშვილი?“ გაუელვა თავში. სავარძლიდან დინჯად წამოდგა, ფანჯარასთან წელი ნაბიჯებით მივიდა და ქუჩაში გადაიხედა.

წითელი „ჟიგული“ ბუსტად იმავე ადგილზე იდგა, თითქოს მაშინ ადგილიდან არც დაედრათ და ინსტიტუტის წინ მიეტოვებინოთ. ქერათმიანი ქალიშვილი ახლა მანქანაზე კი არ იყო მიყრდნობილი, გულხელდაკრეფილი იქვე ბოლთასა სცემდა. ამჯერად თეთრი, მოკლე ქვედატანი და მოცისფრო სპორტული მაისური ეცვა. ოთარ კახიშვილი არ მოტყუებულა, ქალიშვილს მართლაც კარგი ფეხები ჰქონდა. გაკრიალებული წითელი მანქანის ფონზე მისი ქერა თმები კიდევ უფრო ლამაზად იკვეთებოდა.

ინსტიტუტის დირექტორი, ვითომც აქ არაფერიყო, დინჯად შემობრუნდა.

- დიდი არაფერი! ჩვეულებრივი, სტანდარტული გოგა! - დამცინავად წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

ოთარ კახიშვილი განითლდა. არ ეგონა ჭაბუკი თუ მიუხვდებოდა, ფანჯრიდან რატომ გადაიხედა.

არტიტობა არ შეეძლო, არც იუმორის გრძნობა ჰქონდა, რომ სიტუაცია განემუხტა და უხერხული მდგომარეობიდან გამომძვრალიყო. მიხვდა, უცნობმა სტუმარმა კედელთან მიიმწყვდია. დუმილი ამჯობინა. ვითომ ვერ გაიგო, ჭაბუკმა რა თქვა. სავარძელთან დაფიქრებული სახით მივიდა, ოდნავ უკან დასწია და დაღლილი კაცის იერით დაჯდა.

- გისმენთ! - თქვა ხმადაბლა, ფეხი ფეხზე შემოიდო და სავარძლის საბურგეს მიანვა.

- თქვენი სიტყვა იმედს მაძლევს დავასკვნა, რომ მზად ხართ ნახევარი საათი ვისაუბროთ!

- დიახ!

ოთარ კახიშვილი ფიქრობდა, რომ სავარძელში მიღებული საქმიანი პოზა და მოკლე, თითოსიტყვიანი ფრაზები უფრო მკაცრ და აკადემიურ იერს აძლევდა.

- ამავე დროს, იმედი მაქვს საუბარში ხელს არავინ შეგვიშლის. - რამაზ კორინთელმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, - შეიძლება?

- მოსწიეთ. - დირექტორმა თვალით მიანიშნა, საფერფლე აგერ დგასო.

- მართალია, თქვენ „კოსმოსი“ გიყვართ, მაგრამ იქნებ ამჯერად „უინსტონი“ ინებოთ? - რამაზ კორინთელმა მასპინძელს მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით შესთავაზა სიგარეტი.

„საიდან იცის, რომ „კოსმოსი“ მიყვარს?“ - გაოცებულმა ოთარ კახიშვილმა მაგიდა მოათვალიერა, ალბათ „კოსმოსის“ კოლოფი შენიშნა, თორემ უცნობი კაცი ასეთ დასკვნას საიდან გამოიტანდაო.

მაგიდაზე მსგავსი ვერაფერი დაინახა. საფერფლეც კი სუფთა იყო.

- მე ბევრი რამ ვიცი. მაგრამ, მოდით, ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ. უფრო სწორად, მე თქვენ, პროფესორ ოთარ კახიშვილს, ამჟამად ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, კარგად გიცნობთ. თქვენ კი წარმოდგენა არ გაქვთ, ვინ ვარ მე.

ოთარ კახიშვილს არ მოეწონა ჭაბუკის ბაგეზე ულვაშებივით აპრეხილი დამცინავი ღიმილი.

- მე გახლავართ რამაზ კორინთელი, რამაზ მიხეილის ძე კორინთელი. უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

- ძალიან სასიამოვნოა, რით შემიძლია გემსახუროთ?

- თქვენი კუჭის მომატებული მუავიანობა განუხებთ, არა?

- ვთქვათ, მართალი ბრძანდებით, - გაოცდა და გაბრაზდა კახიშვილი,- ვითომ ჩემი ჯანმრთელობის ამბავი ასე გადარდებთ?! მჯერა, მართო ამის სათქმელად თქვენ აქ არ მოხვიდოდით.

- გამოცანა გერგებათ! პირდაპირ გეტყვით. სამსახურში უნდა მიმიღოთ.

- სამსახურში?! - ოთარ კახიშვილი კიდევ უფრო ალაშფოთა რამაზ კორინთელის მიერ ულტიმატუმივით წარმოთქმულმა მოთხოვნამ.



- დიახ, სამსახურში!

- სამსახურში როგორ მიგიღოთ?! ჯერ ერთი, თქვენი ცოდნის შესაფერისი ადგილი საერთოდ აქ ძალზე ცოტაა. მეორეც ის, რომ ყველა შტატი დაკავებულია და თავისუფალი ადგილი არ გაგვაჩნია.

- თქვენ ამოდენა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებით. თუკი მონიღომებთ, რა არის პროფესორ ოთარ კახიშვილისათვის ერთი შტატის გაკეთება?! სამაგიეროდ, ჩვენი ერთობლივი მუშაობა თქვენთვის ძალზე სასარგებლო იქნება.

ოთარ კახიშვილს ნერვები დანყვეტამდე დაეჭიმა, უნდოდა წამოვარდნილიყო და ჭაბუკი კინისკვრით გაეგდო გარეთ, მაგრამ თავს მოერია, სიბრაზე გულში ჩაიკლა. ცოტა რომ დამშვიდდა, ცალი თვალი მოჭეტა და თავხედ სტუმარს ირონიულად ჰკითხა:

- ჩვენი ერთობლივი მუშაობა ჩემთვის იქნება სასარგებლო?

- დიახ, თქვენთვის! რასაკვირველია, ჩემთვისაც. მჯერა, არ ინანებთ. არამცთუ არ ინანებთ, მეგრე მიხვდებით, თქვენს თავს რა სიკეთესაც უზამთ!

- მაინც რა სიკეთეს? არ შეიძლება წინასწარ ვიცოდე? - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შეეცადა წარმოთქმულ ფრაზაში და ინტონაციაში ათჯერ მეტი ირონია დაეტიბა, ვიდრე მათი მოცულობა იძლეოდა საშუალებას.

რამაზ კორინთელმა არად ჩააგდო კახიშვილის ხაზგასმული ირონია. წინასწარ იცოდა, რამდენიმე წუთში გამაოგნებელ გამარჯვებას იზეიმებდა. სიამოვნებდა კიდევ ყოფილი მოადგილის დამამცირებელი გამოხედვა. იცოდა, რაც უფრო მეტად დაამცირებდა და გაამასხარავებდა, მით უფრო დაატკბობდა შურისძიება.

- მე არა ერთი და ორი სიკეთე შემიძლია მოგიტანოთ.

ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თქვენ ხომ მხოლოდ ნახევარი საათი გამომიყავით.

- ამ სიკეთეთაგან მითხარით თუნდაც ერთი. ხომ ხედავთ, სიხარულისაგან შეიძლება გული დამფრთხალი ჩიტივით ამომიხტეს!

- ოჰო, თქვენ გქონიათ იუმორის გრძნობა, - გულწრფელად გაოცდა რამაზ კორინთელი, - ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი!

- საიდან უნდა იცოდეთ, თქვენ ხომ არ მიცნობთ?!

- მე ყველაფერი უნდა ვიცოდე. უფრო სწორად, ვალდებული ვარ თქვენს ირგვლივ ყველაფერი ვიცოდე. მე ხომ ნათელმხილველი გახლავართ!

- ნათელმხილველი? - ოთარ კახიშვილმა ჯერ გაიღიმა, მერე გადაიხარხარა.

- დიახ, ნათელმხილველი! - რამაზ კორინთელის სახეზე ნერვიც არ შერხეულა.

- დრო რომ ბევრი გვექონდეს დარჩენილი, რომელიმე საინტერესო ამბავს, თქვენმა ნათელმხილველობამ რომ დაგანახათ, ალბათ მიაბზობდით კიდევ, არა?

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დაასკვნა, ჩემს წინაშე მართლაც მორიგი გიჟიო და თავს უფლება მისცა, უკანასკნელი ფრაზა აგდებულად წარმოეთქვა. უცნობისადმი ინტერესი ერთბაშად დაკარგა. დროა, ეს სულელური დიალოგი ახლავე აღვკვეთო, გადამწყვიტა უცებ და საათს დახედა.

- დრო ჯერ კიდევ ბევრი დაგვრჩა. ხუთი წუთიც არ გასულა, რაც თქვენთან შემოვედი! - კვლავ აუღელვებლად წარმოთქვა კორინთელმა.

ოთარ კახიშვილი გააცოთა ჭაბუკის უცნაურმა სიმშვიდემ და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოთქმულმა ფრაზამ. განრისხებულმა კორინთელს თვალი თვალში გაუყარა. უნდოდა ეყვირა, ახლავე გაეთრიე აქედანო, მაგრამ ისევე სწრაფად დაცხრა, როგორც აფეთქდა. რამაზ კორინთელმა გაბოროტებული თვალეხი ორლულიანი თოფივით დაუმიზნა და ოთარ კახიშვილი ადგილზე გააშეშა.

- მე უკვე გითხარით, რომ დრო საკმარისზე მეტი გვაქვს-მეთქი დარჩენილი! - კვლავ მშვიდად წარმოთქვა კორინთელმა.

ინსტიტუტის დირექტორი მიხვდა, ჭაბუკს თავიდან იოლად ვერ მოიპორებდა. ბედს შუერიგდა.

რამაზ კორინთელის ბაგეზე ულვაშეხივით ისევე აინკიპა დამცინავი ღიმილი.

- რაკი სურვილი გამოთქვით, სიამოვნებით გიამბობთ ერთ ამბავს. ინებეთ სიგარეტი.

- მე ისევე ჩემს „კოსმოსს“ მოვწვევ! - დირექტორმა მაგიდის უჯრა გამოსწია და სიგარეტის კოლოფი ამოიღო, - მართალი ბრძანდებით. „კოსმოსი“ ყველა სიგარეტს მირჩევნია. გულახდილად რომ გითხრათ, უკვე დავიჯერე თქვენი ნათელმხილველობა და გულწრფელად მაინტერესებს, ნამდვილად თქვენი ნათელმხილველობით გაქვთ მოპოვებული ესოდენ ღირებული ინფორმაცია?

- ირონიისგან თავი შეიკავეთ, ბატონო პროფესორო. თქვენთან რომ მოვდიოდი, გონება მაქსიმალურად დავაბე და თქვენი სულის ყველაზე ბნელ კუნჭულებშიც ჩავიხედე.

- მერე? დაინახეთ რამე სასიკეთო?

- კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ყურადღებით მომისმინეთ. არ მინდა თქვენი ნაჩქარევი ირონიები სამუდამოდ გაგიხდეთ სანანებლად!

- როგორ მიხედავთ! - მაგიდას მუშტი დაჰკრა კახიშვილმა და გაცოფებული ფეხზე წამოიჭრა.

რამაზ კორინთელს წარბი არ შეუხრია. ნესტოებიდან ბოლი გამოუშვა და ინსტიტუტის დირექტორს თვალი თვალში გაუყარა.

- მე მხოლოდ კეთილი სურვილი მამოძრავებს, ბატონო პროფესორო, და მეტი არაფერი. ამიტომაც არ მინდა, სულ რამდენიმე წუთში ინანოთ თქვენი ირონიაც და სიფიცხეც.

- ხომ არ დაგვეთავრებიან საუბარი? - ოთარ კახიშვილი უკვე მეორედ მიხვდა, გაბრაზება არ გამოადგებოდა. გაგულისებას შეიძლება სკანდალი მოჰყოლოდა. კარიერის დასაწყისშივე სკანდალი კი, იცოცხლე, ბარე ორს გაახარებდა.

- ჩემს სათქმელს ორ წუთში მოგახსენებთ! - დაიწყო მშვიდად რამაზ კორინთელმა, როცა დირექტორი უმწეოდ ჩაეშვა სავარძელში. - ოღონდ, ახლავე მინდა გაგაფრთხილოთ, მერე თქვენ თვითონ მოინდომებთ საუბრის გაგრძელებას. წინასწარ ვერ დაგპირდებით, რომ სურვილს შეგისრულებთ.

- ბრძანეთ და დაასრულეთ! - უმწეო კაცის სიბრაზით წარმოთქვა კახიშვილმა.

- იმ დღიდან მოყოლებული, რაც აკადემიკოსი დავით გიორგაძე გარდაიცვალა, განსაკუთრებით კი იმ წუთებიდან, დირექტორის კაბინეტი რომ ჩაიბარეთ, თქვენს სულსა და გონებას კლავს მხოლოდ ერთი სურვილი, საშინელი სურვილი, რომელიც ღამით არ გაძინებთ, დღისით კი მოსვენებას გიკარგავთ. - რამაზ კორინთელმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი ინსტიტუტის დირექტორისკენ გაუშვა.

ოთარ კახიშვილი ახალგაზრდა კაცის სიტყვებმა ისე დათრგუნა, მისკენ რგოლებად გაშვებული ბოლი ვერც კი შენიშნა.

- დიახ, თქვენ საშინელი სურვილი გკლავთ გაიგოთ სეიფის შიფრი.

უხილავმა მხატვარმა ოთარ კახიშვილის სახეზე წითლად გამოსახული სიბრაზე ერთბაშად გაანაცრისფრა. ახლა დირექტორის თვალებიდან ერთდროულად შიშიც იღვრებოდა, ცნობისმოყვარეობაც და დაბნეულობაც.

- იქ, - რამაზ კორინთელმა მარცხენა ხელის ცერით უკანმოუხედავად მიანიშნა სეიფისაკენ, - მეორე თაროზე, ნაცრისფერ საქალაქდემია მოთავსებული ორ ცალად გადაბეჭდილი შრომა, ასე რომ ააფორიაქა თქვენი გონება.

რამაზ კორინთელი ერთბაშად გაჩუმდა. ინსტიტუტის დირექტორს ყურადღებით შეხედა. უნდოდა გამოეცნო, მისმა სიტყვებმა რა შთაბეჭდილება მოახდინა.

ოთარ კახიშვილი ჭაბუკს დაბნეული მისჩერებოდა.

- დიახ, - კიდევ უფრო მშვიდად და კიდევ უფრო დამცინავად გააგრძელა რამაზ კორინთელმა, - თეორიულად მშვენივრად გადანყვეტილი და ჩამოყალიბებული შრომა ექსპერიმენტიტაც კიდევ უფრო მშვენივრად არის დასაბუთებული. ადვილი შესაძლებელია იცოდეთ, რომ გამოკვლევის სათაურია „რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი“. დიახ, აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ აღმოაჩინა რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი. მეცნიერის უკანასკნელი შრომა პირველხარისხოვანი გამოკვლევაა მსოფლიო მასშტაბით, რომელიც აუცილებლად იმსახურებს მინიმუმ სახელმწიფო პრემიას. და, თქვენ, ოთარ კახიშვილს, - ერთი ოქტავით მაღლა ავიდა რამაზ კორინთელი, - არ გაქვთ საშუალება აკადემიკოსის გამოკვლევა იგლოთ ხელთ, რომელიც აქვია, სეიფში, თქვენგან რაღაც ხუთიოდე ნაბიჯზე!

რამაზ კორინთელი მცირე პაუზის შემდეგ ერთი ტონალობით ისევ დაბლა ჩამოვიდა.

- როცა მართო ხართ, მე ვხედავ, როგორ მიდიხართ სეიფთან, როგორი სიბრაზით დასცქერით მის ხუთ მონიკელებულ რგოლს. იმ მილიარდი კომბინაციიდან, რომლის შედგენის საშუალებასაც სეიფის რგოლები იძლევიან, რომელია ის ერთი, თქვენ რომ უბრუნველად მოგიტანთ მეცნიერულ დიდებას? აი, რა გტანჯავთ და რა გიფორიაქებთ სულს!

დუმილი. ხანმოკლე, მაგრამ დამუხტული დუმილი ჩამოწვა ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში.

- სულ ეგ არის თქვენი ნათელმხილველობა? ეგ ხომ ცილისწამებაა, შანტაჟია! - თთარ კახიშვილმა დანაშაულზე დაჯერილი კაცის უმწეობით სცადა გაბრძოლება.

- არა, ბატონო თთარ, - სიტყვა „ბატონო“ ჩურჩხელასავით ამოავლო ირონიაში, - თქვენც მშვენივრად იცით, ფიქრადაც არ მომსვლია შანტაჟი და ცილისწამება! ჩემი ნათქვამი ცილისწამება რომ ყოფილიყო, ფეხზე წამოვარდებოდით, გაცოფებული გარეთ გამაგდებდით. თქვენი ხმა კი გაიბზარა, გატყდა, უმწეობა შეეპარა. იგი ისე შორიდან მესმის, თითქოს სადღაც შეკუჭული და შემალული მელაპარაკებით. თქვენს თვალებში და სახეზე შიშმა დაისადგურა. ეს კარგი ნიშანია. მაინც პატიოსანი ბუნება გქონიათ. დიახ, რაც მე ვითხარით, სულაც არაა ცილისწამება. იგი ფაქტია! ერთში ნამდვილად გეთანხმებით. შეიძლებოდა მე ეს დასკვნა ლოგიკურად გამომეტანა, ყოველგვარი ნათელმხილველობის გარეშე, ადამიანურ სისუსტეთა გათვალისწინებით. მით უმეტეს, რომ არც ის იყო საიდუმლო, რა პრობლემის გადასატრელად მუშაობდა აკადემიკოსი დავით გიორგაძე. ამჯერად, თუ ნებას დამრთავთ, ბატონო პროფესორო, და თუ არ დაგიკარგავთ ჩემი საუბრის მოსმენის სურვილი, შევეცდები დაგარწმუნოთ, რომ მე არც მანიაკი ვარ, არც შექანებული და არც შანტაჟისტი. დიდი სურვილი მაქვს დაიჯეროთ, თქვენი მონა-მორჩილი ნამდვილად გახლავთ ნათელმხილველი. ნება მომეცით, აქვე ჩაგიტაროთ ერთი სენსი, და აქვე, ამ წუთში აღვადგინო თქვენი ცხოვრების ერთი დღე, ერთი ეპიზოდი. არჩევანი თქვენ გააკეთეთ, გნებავთ შარშანდელი დღე, გნებავთ შარშანწინდელი.

რამაზ კორინთელმა სიგარეტი ისევ გააბოლა.

ოთარ კახიშვილი დუმდა. არ იცოდა, რა ეთქვა ან რა მოემოქმედა.

- გელოდებით! - თქვა კორინთელმა ღიმილით.

- არჩევანი თქვენთვის მომინდვია, - მორჩილად მიუგო ინსტიტუტის დირექტორმა.

- კარგით, იყოს ნება თქვენი. მოდით, ავიდეთ ორი წლის წინანდელი რომელიმე დღე...

რამაზ კორინთელმა თავი ხელებში ჩარგო. კაბინეტში გამეფებულ დუმილში მხოლოდ სჩუმის იდუმალი ხმა ისმოდა.

ჭაბუკმა ერთბაშად ასწია თავი და ოთარ კახიშვილს თვალი გაუსწორა. კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შეაკრთო რამაზ კორინთელის უცნაურად ანთებულმა, მბრწყინავმა თვალებმა; მონუსხა, სავარძელს მიაჯაჭვა, პროტესტის ყოველგვარი სურვილი დაუკარგა.

- მე ვხედავ... დიახ, მე ვხედავ...

ოთარ კახიშვილი შეაკრთო ახალგაზრდა კაცის ნერვიულმა ხმამ.

რამაზ კორინთელმა თავი მაღლა ასწია და თვალები სივრცეს გაუშტერა.

- დიახ, დიახ, მოსკოვი... სასტუმრო „ბუდაპეშტის“ ლუქსი. შემოდგომაა. ოქტომბრის მშვენიერი, თბილი და მზიანი დღე... ოთახში ორნი ხართ, თქვენ და აკადემიკოსი დავით გიორგაძე... თქვენ სავარძელში ზიხართ... კორინთელმა მარჯვენა ხელი კუთხისკენ გაიშვირა, - გაცვითა მექი ლურჯი ფინური კოსტიუმი... მის ქვეშ ნაცრისფერი პულოვერს ვხედავ... დავით გიორგაძე სარკესთან დგას და პალსტუხს ისწორებს...

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა. თვალი კვლავ მაღლა ალაპყრო და სივრცეს გაუშტერა. ორი ნაბიჯით უკან დაინია და გაშეშდა.

გაოცებისაგან თავბარდაცემული ოთარ კახიშვილი ჭაბუკის დაძახულ, დაელექტრობულ სახეს თვალს ვეღარ ამორებდა.

- მას... მას აცვია.. - დაიწყო უცებ რამაზ კორინთელმა, - ნაცრისფერი შარვალი... მისივე ფილეთი... თეთრი პერანგის მანუეტებზე ბრწყინავს თქვენი ნაჩუქარი ალექსანდრიტის თვლიანი საკინძეები. თუ არ ვცდები, იგი უცხოეთში, კერძოდ, სტამბოლში გაქვთ შექმნილი...

ოთარ კახიშვილი შიშის ოფლში დაცურავდა, კორინთელს თვალებგადმოკარკლული მისჩერებოდა, ცდილობდა ჭაბუკის არამცთუ სიტყვა, სახის არც ერთი გრიმასი არ გამორჩენოდა.

- ოთახში ვხედავ სუფრას. უფრო სწორად, წინა საღამოს სუფრის ნარჩენებს. სუფრას ეტყობა, ოთხ კაცზეა გაშლილი. მაგიდაზე დევს გახსნილი კონიაკი, არაყი, ბორჯომის ცარიელი ბოთლი. სავსე ბოთლი მაცივარშია... თქვენ კმაყოფილი, უფრო მეტიც ბედნიერი ვაცის იერი გაქვთ. გუმინ აკადემიკოსთან მიწვეული სტუმრებიდან ერთი ქალი უნდა ყოფილიყო... დიახ, ქალია. მაღალი, ძალზე გამხდარი, მაგრამ მიმზიდველი, ასე, ორმოცამდე წლისა... ლარისა ვლადიმეროვნა... ხომ არ ვცდები! - რამაზ კორინთელის ანთებულმა თვალებმა უცებ მონახა ინსტიტუტის დირექტორის გაოცებისა და შიშისაგან პირთამდე ავსებული თვალები.

- ლარისა ვლადიმეროვნას, - არ დაელოდა პასუხს რამაზ კორინთელი, - თითზე თქვენს მიერ წინა დღით ნაჩუქარი იაპონური მარგალიტისთვლიანი ბეჭედი უკეთია...

- კმარა! - იყვირა უცებ ოთარ კახიშვილმა და ფეხზე წამოიჭრა.



- ხელს ნუ მიშლით! - საიდუმლო ჩურჩულით წარმოთქვა რამაზ კორინთელმა, თან მარცხენა ხელით ანიშნა, დაბრძანდითო, და ისევ ჭერს მიაპყრო თვალები.

ოთარ კახიშვილი ჭაბუკს მონუსხულივით დაემორჩილა და კვლავ სავარძელში ჩაჯდა. ახლალა შენიშნა, მართალია, ჭაბუკი ჭერს მისჩერებოდა, მაგრამ თვალები დახუჭული ჰქონდა, შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა და სახე უთრთოდა.

- დიახ, თქვენ კმაყოფილი ხართ, რადგან ლარისა ვლადიმროვნა აკადემიკოსსაც ძალიან მოეწონა. აი, ვხედავ .... დავით გიორგაძემ, როგორც იქნა, მორიგი ჰალსტუხი... ახალგაპარსულ ლოყებზე ხელი ჩამოისვა, გარდერობთან მივიდა და პიჯაკი ჩამოიღო. „დაასხით“, - გეუბნებათ ისე, რომ თქვენსკენ არც იხედება... უმაღვე ფეხზე დგებით და ხელში კონიაკის ბოთლს იღებთ. კონიაკი კი არა, ბორჯომით, გეუბნებათ აკადემიკოსი. ბოთლს ისევ მაგიდაზე დგამთ და მაცივრისკენ მიემართებით. გარკვევით ვხედავ, ფეხი გაგისრიალდათ და იატაკზე ზურგით ვარდებით... განითლებული ფეხზე დგებით. არაფერიაო, იქეთ ამშვიდებთ აკადემიკოსს. აი, ყურში ჩაესმის აკადემიკოსის ხუმრობაშერეული ხმა, ასაკისაგან ოდნავ გახისტიებული ბარიტონი, - მართლაც არაფერია, ნუ ღელავთ, უარესიც ხდება. ბედი გქონიათ, რომ ნუხელ ლარისა ვლადიმროვნას თვალწინ არ წაიქეცითო. ხომ არ ვცდები? ხომ თქვა აკადემიკოსმა ეს ფრაზა?

- დიიიახ, თქვა! - ამოილულულა ოთარ კახიშვილმა.

- დავიდალე, -თქვა უცებ რამაზ კორინთელმა და სკამზე დაჯდა. დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, სახე უმაღვე დაუმშვიდდა. მაღალი ძაბვის დენი ერთბაშად გამოირთო და შუბლს უკან მბრუნავმა ლილვებმაც თანდათან შეწყვიტეს ბრუნვა.

- ვინ ხართ და რა გნებავთ! - სანყალობლად ჰკითხა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა.

- ვინ ვარ, უკვე იცით. ახლა გეტყვით, რა მინდა! - კორინთელმა სიგარეტს მოუკიდა.

ოთარ კახიშვილის წინ კვლავ ჩვეულებრივი ყმაწვილი იჯდა, უდარდელი და თავხედი. ღრუბლის ქულასავით მთებს იქით გადაიკარგა რამაზ კორინთელის დაეღექტრობული, იდუმალი გამომეტყველება, წედან რომ საშინლად დათრგუნა ინსტიტუტის დირექტორი. ახლა იგი ბირუაზე მოლაზღანდარე ბიჭს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს.

- თქვენ მე ამიყვანთ ლაბორანტად. ჯერჯერობით მეტ თანამდებობას არ გთხოვთ. მართალია, მესამე კურსზე ვარ, მაგრამ წელსვე იანვარში ჩავაბარებ დარჩენილი სამი კურსის საგნებს და დავიცავ დიპლომს. უფრო მეტიც, უკვე მოვამზადე საკანდიდატო დისერტაცია. დისერტაციის დონე ნუ დაგაფიქრებთ! თავისუფლად შეიძლება, ჩემი გამოკვლევისათვის დოქტორობაც კი მომანიჭონ. კატეგორიულად მოვითხოვ, ყველა ტექნიკური საკითხი მომიგვართოთ თქვენ. სამაგიეროდ, შევეცდები - ათმაგად ავანაზღაურო ახალგაზრდობისათვის მზრუნველი პროფესორის ღვაწლი. თქვენ გახდებით ჩემი შემდგომი შრომის თანაავტორი. ჩემი აღმოჩენის თანაავტორობა, ბატონო პროფესორო, ელვისებურად მოგიტანთ მსოფლიო სახელს და დაგიმკვიდრებთ იმ ავტორიტეტს, რაც ახლა, როგორც დირექტორს, არ გაგაჩნიათ კოლეგებს შორის.

- როგორ, მეორე ნაშრომიც დაწერილი გაქვთ? - დაცინვა ვედარ გაბედა კახიშვილმა.

- ნაშრომს დაწერა აღარ სჭირდება. იგი დაწერილია და სეიფში დევს. - რამაზ კორინთელმა მარცხენა ხელის ცერი კვლავ უკანმოუხედავად გაიშვირა სეიფისაკენ.

- ნაშრომის დაწერა აღარ სჭირდება. იგი დაწერილია და სეიფში დევს. - რამაზ კორინთელმა მარცხენა ხელის ცერი კვლავ უკან მოუხედავად გაიშვირა სეიფისაკენ.

- მერე?

- რა მერე?!

- სხვისი ნაშრომი გინდათ მიითვისოთ?

- ისევე, როგორც თქვენ. თანაც მე გაცილებით კეთილშობილი ვჩანვარ კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ფონზე. თქვენ გინდათ, ნაშრომის ავტორი მხოლოდ თქვენ იყოთ. მე კი თანავტორობას გთავაზობთ.

- მე არაფერი არ მინდა!

- ბატონო დირექტორო, - „ბატონო“ წელანდელივით ისევ ამოავლო ირთნიაში. - მგონი უკვე დაგავინწყდათ, ვინა ვარ მე. გთხოვთ, ძველ სკივრში ჩანაფტალინებულ ტანსაცმელს მზეზე ნუ გამომაფენინებთ!

- სამაგიეროდ, მე შემოძლია მილიციას გამოვეძახო!

- არ შეგიძლიათ, თქვენდა სამწუხაროდ, არ შეგიძლიათ. უფრო სწორად, თქვენ მილიციას არ გამოუძახებთ ორი სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ნუ დელავთ, დამშვიდდით, მე თქვენთან საჩხუბრად არ მოვსულვარ, - რამაზ კორინთელმა თვალი თვალში გაუყარა ინსტიტუტის დირექტორს და მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა, - საქმეს გთავაზობთ, სარფიან საქმეს, რომელიც მეცნიერებაში მსოფლიო სახელს მოგიტანთ. მილიციას კი ვერ დაუძახებთ, როგორც უკვე გითხარით, ორი მიზეზის გამო. პირველი: ვთქვათ, დაუძახეთ მილიციას. რას ეტყვიან? შანტაჟს დამაბრალებთ? არ გამოგივიათ, მონზე არავინ გყავთ. ბრალდების დამტკიცება ძალიან გაგიჭირდებათ. თანაც, არ დაგავინწყდეთ, ენა მეცა მაქვს. თან ღმერთმა ნუ ქნას, რომ პირი მოვხსნა. ახლა მეორე: თუ თქვენ მილიციას გამოიძახებთ, კატეგორიულად მოვითხოვ სეიფის სასწრაფოდ გახსნას. მაშინ მეხუთე ტიპის რადიოაქტიურობის აღმოჩენის გვირგვინი მთლიანად გარდაცვლილ აკადემიკოსს დარჩება.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა. სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დააგდო და პიჯაკი შეისწორა.

- იფიქრეთ, არ გაჩქარებთ. დავით გიორგაძემ საკმაოდ დიდი სახელი ჩაიტანა საფლავში. ჩვენ ჯერ ყველაფერი წინა გვაქვს. თქვენ ხომ ჯერ ორმოცდაათოთხმეტი წლისაა არ ბრძანდებით. იმედი მაქვს, ოცდაშვიდ იანვარს, თქვენი დაბადების დღეს, ჩვენ უკვე სერიოზული საქმეებით დაკავშირებული მეგობრები ვიქნებით და მეც მომიწევს თქვენი სახელობის სასმისით, ძველებური ტურჩამოტეხილი ჯამით, თქვენი სადღეგრძელოს დალევა. აი, ჩემი სავიზიტო ბარათიც. სამი დღის შემდეგ ველი ტელეფონის ზარს. სადაც ისურვებთ, იქ შევხვდეთ ერთმანეთს. უმჯობესად მაინც თქვენი კაბინეტი ან ჩემი ბინა მიმამჩნია. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დირექტორო!

რამაზ კორინთელმა სავიზიტო ბარათი დაუდევრად დაუგდო წინ და გასასვლელისაკენ გაემართა.

ოთარ კახიშვილი არ წამოდგარა. სავარძელში კვლავ გაქვავებული იჯდა და მიმავალ ჭაბუკს მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელმა ხელი მძიმე მუხის კარის სახელურს ჩაავლო, მაგრამ თითქოს გაღება გადაიფიქრაო, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორისკენ შემობრუნდა.

- როგორ მიდის თქვენი გერმანულის საქმე? - ჰკითხა უცებ გერმანულად, - თუ არ ვცდები, თქვენ სასტიკად გიჭირთ სიტყვა „ცუფერზიხტლიხის“ წარმოთქმა. მაგრამ ეს არაა მთავარი. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ უამსიტყვოდაც იოლად გახვიდეთ. მთავარი ისაა, რომ თქვენ ცდილობთ, უაქცენტო გამოთქმა გქონდეთ, რაც, სამწუხაროდ, არ გამოგდით. თქვენი სურვილი - ილაპარაკოთ უაქცენტოდ, პრეტენზიულია, თანაც უიმედო და, აქედან გამომდინარე, სასაცილო. ეს კარგად დაიმახსოვრეთ, ყმანვილო!

„ყმანვილო!“ - შეკრთა ოთარ კახიშვილი. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს კაბინეტის კარი აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ გაიხურა.

\* \* \*

- რა დაგემართა, ოთარ? - ჰკითხა შეშინებულმა მეუღლემ, კარის გაღებისთანავე ქმრის გაფითრებული და გატანჯული სახე რომ დაინახა.

- არაფერია, გადავიღალე, - უხალისოდ მიუგო ოთარ კახიშვილმა და პორტფელი გაუნოდა.

კვლევითი ინსტიტუტის ახალი დირექტორის მეუღლე ღია გოგოლაშვილი თბილისში ცნობილი ექიმი იყო. მისმა გამოცდილმა თვალმა უმაღლვე იგრძნო, მეუღლის არსებაში რაღაც დიდი ვნებათაღელვა ბობოქრობდა. შეწუხებულმა პორტფელი კაბინეტში შეიტანა. მეუღლე ფეხდაფეხ მიჰყვა, სანერ მაგიდასთან მივიდა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

ღიამ კარგად იცოდა, სანამ ოთარი ტანსაცმელს არ გამოიცვლიდა და ხელ-პირს არ დაიბანდა, არავითარ შემთხვევაში კაბინეტში არ შევიდოდა და არც სასადილო ოთახში დაჯდებოდა.

- მაჯა მომეცი!

- თუ ქალი ხარ, შემეშვი!

- არ მომწონს შენი ფერი და გამოხედვა. მომეცი მაჯა!

ოთარს აღარ ჰქონდა წინააღმდეგობის თავი და მეუღლეს მაჯა მორჩილად გაუნოდა.

ღია დამშვიდდა, ოთარს მაჯა ნორმალურად უცემდა. ხელი შუბლზე მიადო, შეკრთა, ისეთი ცივი ჰქონდა.

- ფეხები ახლავე ცხელ წყალში ჩაყავი და ლოგინში ჩანეცი. საჭმელს სანოლთან მოგიტან!

- არა მშია, ინსტიტუტში ვისადილე.

სტყუოდა. არ უსადილია, შიმშილით კი ნამდვილად არ შიოდა.

- განყენინა ვინმემ?

- არავის არ უწყენინებია. არც ცუდად ვარ, უბრალოდ, გადავიღალე. ესაა და ეს!

- შენ ცუდად ხარ, რაღაც ამბავია შენს თავს. დირექტორად დანიშვნის პირველი დღიდანვე ხარ აფორიაქებული. რატომ არაფერს მეუბნები, გულს ჩემთან რატომ არ იოხებ?! ბევრი ლაპარაკი არასდროს არ გყვარებია, მაგრამ გულწრფელი ყოველთვის იყავი.

- გადავიღალე. დილიდან ექსპერიმენტს ვატარებდი. არ ჩამიმუხლავს. ყველაფერმა უშედეგოდ ჩაიარა. ბუნებრივი არ გეჩვენება, რომ ამ დროს კაცს გუნება გაუფუჭდეს?! თან ძალზე დავიღალე. გონებრივადაც და ფიზიკურადაც. ლოგინში კი სიამოვნებით ჩავწვები. ერთ საათს დავიძინებ, თუ შევძელი.

- ეგ ავადმყოფობა ადვილი მოსარჩენია, ოთარ! შენ ავად არ ხარ. რაღაც სევდა გიღრღნის გულს. მე რატომ მიმაღავ? იქნებ გულის გახსნამ შეგიმსუბუქოს კიდევ დარდი!

- გთხოვ, შენ მაინც ნუ ამიძლი ნერვებს, ჩემი სადარდებელიც მეყოფა!

- კარგი, დაწყნარდი. გავალ, ცხელ წყალს გაგიმზადებ!

„რაც მოხდა, სიმზარი იყო თუ ცხადი?“ - ფიქრობდა ოთარ კახიშვილი ლოგინში.

ცხელმა წყალმა ოდნავ დაამშვიდა. მეუღლემ რამდენჯერმე შემოაკითხა. კარი ფრთხილად შემოაღო და ფეხის წვერებზე შემოვიდა. ოთარ კახიშვილს თვალები დახუჭული ჰქონდა. ასე უფრო ეიოლებოდა ფიქრი. კარის შემოღებაზე ოდნავადაც არ ირხეოდა. უძრავად იწვა, ვითომ ეძინა.

დამშვიდებული ლია კარს ფრთხილად კეტავდა და ოთახიდან ფეხაკრეფით გადიოდა.

„ვინ იყო? მოჩვენება? ვამპირი? ცოცხალი ადამიანი?“

ოთარ კახიშვილს საერთოდ არ სჯეროდა ადამიანთა ზებუნებრივი თვისებებისა. სხვა დროს, კოლეგებისაგან ან ნაცნობ-მეგობრებისაგან რომ მოისმენდა ნათელმხილველთა ან ტელეპათთა გასაოცარ, თითქმის დაუჯერებელ ამბებს, მხოლოდ ირონიულად ეღიმიებოდა. კამათში ჩაბმაც კი სისულელედ, არასერიოზულობად ეჩვენებოდა.

კაცმა რომ თქვას, არც ცდებოდა.

„მაშინ, ვინ არის რამაზ კორინთელი? ნათელმხილველი თუ აფერისტი? ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი თუ გაქნილი მანტაჟისტი?“

„იქნებ, რაც მითხრა, ყველაფერი წინასწარ და კარგად მომზადებული მახეა? იქნებ, რაც მან მიაბო, ყველაფერი წინასწარ შეკრიბა საგანგებოდ? ვთქვათ, იმდღევანდელი ამბები დაწვრილებით იცოდა, მაგრამ ვისგან?! როგორ შეიძლებოდა სცოდნოდა, ორი წლის წინათ მოსკოვში ფინური კოსტუმი მეცვა თუ ინგლისური? იქნებ თვით დავით გიორგაძემ უამბო ყველაფერი. როგორ, სად და როდის?“

ოთარ კახიშვილმა მხარი იცვალა.

„წარმოდგენელია! დავით გიორგაძე საერთოდ არ იყო მოლაპარაკე კაცი. აკადემიკოსს მათთვისაც კი არასდროს უამბნია არაფერი, ვისთანაც ყოველდღიურად ტრიალებდა. სად უნდა შეხვედროდა, როდის ან რატომ უნდა მოეთხრო ვიღაც ახალგაზრდა კაცისათვის ორი წლის წინანდელი მოსკოვური ამბები? ოცი წელია ინსტიტუტში ვმუშაობ. ოცი წლის მანძილზე თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით მე და დავით გიორგაძე. არასდროს არ მინახავს მასთან რამაზ კორინთელი. არც აკადემიკოსისგან გამიგონია ოდესმე ამ ახალგაზრდის სახელი და გვარი. ნათესაობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! მამ საიდან იცოდა ყველაფერი ასე დანვრილებით?“

„ვთქვით, სადღაც შეხვდნენ ერთმანეთს. ვთქვით სუფრაზე გაიცინო დავით გიორგაძე“, - აკადემიკოსისაგან უჩვეულოდ ეჩვენებოდა, მაგრამ თეორიულად მაინც იყო შესაძლებელი, დიახ, მხოლოდ თეორიულად, რომ ჭყინტი ახალგაზრდისათვის ეამბნა მისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, - „მაგრამ ასე ზუსტად, ასე დეტალურად, რომ არ გამორჩენია პერანგისა და პალსტუხის ფერები?! წარმოდგენელია!“

ოთარმა შორიდანვე გაიგონა მეუღლის ფეხის ხმა. ლიამ კარი ისევ ფრთხილად შემთაღო, საწოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა და კედლისკენ შებრუნებულ მეუღლეს ყურადღებით დააკვირდა. კახიშვილი არ მობრუნებულა. გულდამშვიდებული ლია კვლავ ფრთხილად გავიდა ოთახიდან.

„ვთქვით, დავით გიორგაძემ უამბო თავისი თეორიული ვარაუდები და ექსპერიმენტის შედეგები. წარმოდგენელი, დაუჯერებელი, უფრო მეტიც, არასერიოზულობაა ამის გაფიქრებაც კი, მაგრამ ვთქვით, აკადემიკოსმა მართლა უთხრა ოცი თუ ოცდასამი წლის ლანირაკს, ჩემი გამოკვლევა სეიფში მაქვს ჩაკეტილიო. ვთქვით, ისიც უამბო, ნომერში როგორ წავიქეცი, ან ლარისა ვლადიმროვნას ბეჭედი როგორ ვუყიდე. საიდან იცოდა ბეჭდის ყიდვის ამბავი, მე ხომ ამის თაობაზე აკადემიკოსთან კრინტიც არ დამიძრავს?!“



იქნებ ლარისა ვლადიმროვნას წამოსცდა? კი ბატონო, ვთქვათ, წამოსცდა. ვთქვათ, აკადემიკოსმა ჩემი გერმანულის ამბავიც ჩაუკაკლა, სასაცილოდ რომ უღერს ჩემი „უაქცენტო“ გამოთქმა. ვთქვათ, ისიც ვილაცისგან გაიგო, რომ ჩემი სახელობის უძველეს თიხის თასს ტუჩი აქვს ჩამოტეხილი, ვთქვათ, ყველაფერი საგანგებოდ შეკრიბა და ჩემთან შესახვედრად, ჩემს მახეში გასაბმელად მთელი სერიოზულობით მოემზადა. მაგრამ თვითონ რომ შესანიშნავი გერმანული სცოდნია?! დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მთლიანად არის საქმის კურსში, რა პრობლემებზე მუშაობდა განსვენებული აკადემიკოსი. ამავე დროს, უნაკლოდ ფლობს გერმანულ ენას! იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მაინც დასაშვები, შესაძლებელი...”

ოთარ კახიშვილმა ფრთხილად იცვალა მხარი.

„დეტალებს რა ვუყოთ? იმ საოცარ დეტალებს, რომელიც ნაამბობს არ ჰგავს? როგორ სიზუსტით აღწერა ტანსაცმელი. ახლა სუფრა? თითქოს მართლა ხედავდა, სად იდგა გახსნილი კონიაკი და სად დაცლილი ბორჯომის ბოთლები. როგორი სიზუსტით დახატა სარკესთან მდგომი დავით გიორგაძე. წარმოუდგენელია, იმ დღის ამბავი აკადემიკოსს ასე დანვრილებით ეამბნა ვინმესთვის. ღმერთო ჩემო! მერე როგორი სიზუსტით, როგორი დინამიკით დახატა ყველაფერი, როგორ ისწორებდა აკადემიკოსი ჰალსტუხს, როგორ ვიჯექი სავარძელში, როგორ მითხრა, დაასხიო, როგორ წავავლე კონიაკის ბოთლს ხელი და უკანმოუხედავად როგორ მომძახა, კონიაკი კი არა, მაცივარში ბორჯომი დგას და ის დაასხიო. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მას შემდეგ განვლილი ორი წელი ვიდუოკასეტის ფირივით გადაახვია უკან და მუსტად იმ დღეზე დააყენა“.

„რა ვქნა?“

„რა ვქნა?“

„იქნებ ჯობია, ახლავე დავურევო და ხვალ ჩემს კაბინეტში ველაპარაკო?“

„იქნებ სჯობს, შინ მივაკითხო? იქნებ მისმა სახლმა მომცეს რაიმე ინფორმაცია, იქნებ რაიმეს მიმახვედროს და გზაზე დამაყენოს?!“

„იქნებ ქალაქგარეთ გასეირნება სჯობს? იქნებ ბუნების წიაღში ან მანქანაში უფრო სწრაფად გაიფანტოს ბურუსი, უფრო გამოვიცნო, ვინ არის და რა კაცია რამაშ კორინთელი?“

„იქნებ...“

„იქნებ...“

„ღმერთო, გავგიჟდები!“

მეხამრიდზე დაცემული და მიწაში განმუხტული მეხივით, ოთარ კახიშვილის თავში გაელვებული ფრაგები პირდაპირ გულში განიმუხტებოდა. ელექტრონის ნაპერწკლებში გახვეული გულის ტკაცუნი და შიშინი ტკივილთან ერთად მთელს ნერვულ სისტემას უბურდავდა.

„ხვალვე უნდა დავურეკო. ხვალვე უნდა ვნახო. ლოდინი არ შეიძლება. მერე გვიან იქნება. ვერც გული გადაიტანს ამოდენა ნერვიულობას.“

„იქნებ კორინთელმა იცის კიდევ სეიფის შიფრი? - მოულოდნელად გაუელვა თავში ოთარ კახიშვილს. - აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე! რასაკვირველია, ეცოდინება კიდევ, თუ იგი მართლა ნათელმხილველია!“

„და თუ არ იცის, მაშინ საეჭვო აღარაფერია. საგანგებოდ შეკრებილი ამბებით გადაუნყვეტია ჩემთვის ხაფანგის დაგება“.

„ახლავე უნდა მოვნახო, ახლავე უნდა დავურევო!“ - ოთარ კახიშვილი ფიცხლად წამოჭდა ლოგინზე.

„არა, არ ივარგებს, თავი უნდა მოვთოვო. აღელვება და ცნობისმოყვარეობა, დიახ... თუნდაც შიში, - გამოუტყდა კახიშვილი თავის თავს, - არ უნდა დამეტყოს, თორემ სულ გათამამდება და გათავხედდება, მაშინ მთლიანად მოინდომებს ჩემს შებოჭვასა და ხელში ჩაგდებას, მაშინ ის მიკარნახებს თავის პირობებს!“

ლოგინზე წამომჯდარმა თავი კვლავ წელა წაიღო ბალიშისაკენ. თვალები ჭერს მიაპყრო და შეეცადა დამშვიდებულყო.

„თავს უნდა მოვერიო!“

„თავს უნდა მოვერიო!“

„თავს უნდა მოვერიო!“

„მხოლოდ ორი დღის შემდეგ დავურევავ, ორი დღის შემდეგ!“

ერთი საათითაც არ ავჩქარდები. აჩქარება აუცილებლად დაღუპავს საქმეს!“

საბოლოო გადაწყვეტილებამ თითქოს ცოტა დაამშვიდა. შიმშილიც იგრძნო. ესიამოვნა. მიხვდა, ვნებათაღელვას მოერიო, ნერვები მოთოვა და სხეულმაც, ჩვეულებრივ, თავი გაახსენა. ლოგინზე დინჯად წამოჭდა და იქვე, სკამზე გადადებულ სპორტულ პიჯამას წაეტანა.

## თავი მეოთხე

ნაცრისფერ „უიგულში“ ორნი დასხდნენ, რამაზ კორინთელი და სოსო შადური. ისინი ხობის ქუჩის კუთხეში შეჩერდნენ ორი წუთით, ლადოგის ქუჩის პარალელურად და ოთხი კვარტლის მოშორებით. ზუსტად გეგმით გათვალისწინებულ დროს მოვიდნენ, ოთხს ხუთი წუთი უკლდა. ორ-სამ წუთში „კამაზი“ უნდა გამოჩენილიყო, რომლის საჭესთან სერგო ხაზარაძე იქნებოდა. მანამდე „უიგულით“ ლადოგის ქუჩაზე გამოიარეს, იქაურობა კარგად დაბვერეს. საეჭვო არაფერი იყო. მაღაზიდან ცოტა მოშორებით ნოდარ მიმინოშვილი გადმოსვეს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი საფრთხე გამოჩნდებოდა, ლადოგის ქუჩაზე „კამაზით“ მომავალ სერგოს ანიშნებდა და მანქანა გზას გააგრძელებდა. თვითონ „კამაზის“ კვალდაკვალ მომავალ „უიგულში“ ჩაჯდებოდა. მანქანები იქაურობას სხვადასხვა ქუჩებით გაეცლებოდნენ.

ღრუბლიანი, ჩახუთული ღამე იდგა. დღე ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა. მზე უმოწყალოდ აჭერდა. სადამოს ერთბაშად მოიღრუბლა. გახურებული ასფალტიდან ამომავალმა სითბომ კიდევ უფრო ჩახუთა ქალაქი.

რამაზ კორინთელმა ოფლი მოიწმინდა.

„ვითომ ვდეღავ? სიმწრის ოფლი ხომ არ მასხამს? თუ ვდეღავ, თავს რატომ ვგრძნობ თავისუფლად და ხალისიანად?“

რამაზ კორინთელს ვერ გაეგო, მის არსებაში რა ხდებოდა. ერთი აშკარა იყო, დანყებული ოპერაცია და მისი სირთულე ნამდვილად ანიჭებდა სიამოვნებას!

შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს პარალელი, მაგრამ ისეთი მდეღავარება და შიშვარეული ნეტარება დაუფლებოდა, პაემანზე ახლად გაცნობილ ულამაზეს ქალს რომ ელოდები და მოლოდინით გულაფართხალებულს სისხარულთან ერთად შიშიც რომ შეგპარვია, ვაითუ არ მოვიდესო.

უცებ „კამაზის“ ხმა შემოესმათ.

სოსო შადური მანქანიდან გადავიდა და „უიგელის“ ნომრებზე მავთულით შეყაოს სქელი ფურცლები მიამაგრა, რომლებზეც სრულიად სხვა ნომრები იყო გამოსახული: ნომრები რომ საიმედოდ დაფარა, მანქანაში ჩაჯდა, ძრავა ჩართო, წამონეული „კამაზი“ წინ გაუშვა და ოცდაათ მეტრზე მიჰყვა უკან.

რამაზ კორინთელს გულმა ბაგაბუგი დაუნყო, თუმცა გუნება არ შეცვლია, პირიქით, საშინელმა სურვილმა შეიპყრო, ოპერაცია მალე დანწყებულიყო.

ორი კვარტლის შემდეგ ლადოგის ქუჩაზე გავიდნენ. რამაზ კორინთელმა შორიდანვე დაინახა ნოდარ მიმინოშვილი. ქუჩა არ იყო კარგად განათებული, მაგრამ ისიც კარგად გაარჩია, მიმინოშვილმა სერგოს როგორ ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო.

უნებურად, ხელი რევოლვერისკენ წაიღო და ფეხზე შეაყენა.

- დამცველით ჩაკეტე და ფრთხილად იყავი, მაშინდელივით უმიზნოდ არ ატეხო სროლა!  
- შიშნარევი ჩურჩულით გააფრთხილა სოსო შადურმა.

- ნუ დელავ! ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის. მჯერა, დღეს სროლა არ დაგვჭირდება! - ხმადაბლა ჩაიცინა რამაზ კორინთელმა.

\* \* \*

ყველაფერი რამდენიმე დღის წინ დაიწყო. სოსო შადურმა მანქანა გააჩერა და სიგარეტის საყიდლად გადავიდა. რომ დაბრუნდა, მანქანაში ვიღაც უცნობი, გამხდარი, უსიამო სახის ბიჭი დახვდა, ასე ოცი-ოცდაორი წლისა.

- მე რობერტი მქვია! - თქვა ბიჭმა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შადური მანქანაში ჩაჯდებოდა.

- მერე?

- საქმე მინდა მოგცე!

- შენ? - შადურმა დამცინავად ჩაათვალიერა გამხდარი, გაფითრებული, გამოციებული თავლებიანი ჭაბუკი.

- ჰო, მე!

- ვინ ხარ. მე შენ არ გიცნობ?

- საიდან გეცოდინები, სექციონერი ვარ.

- სად? - დაინტერესდა შადური. ინტუიციით მიხვდა, საქმე არ უნდა ყოფილიყო ურიგო.

- რადიოტექნიკის მაღაზიაში. ლადოგის ქუჩაზე. დღეს ვიდეომაგნიტოფონების და პატარა, ყველაზე მოდური მაგნიტოფონების პარტია მივიღეთ იაპონიიდან.

სოსო შადურისათვის ყველაფერი ნათელი გახდა.

- ჩემი სახელი იცი?

- ვიცი!

- ყოჩაღ! - გაუკვირდა გულწრფელად.

- მე შენ დიდი ხანია გიცნობ. ორჯერ მინდოდა საქმის მოცემა, ვერ გავბედე.

- სადამოს რვა საათზე მოდი. შეეცადე, არავინ დაგინახოს.

ზუსტად რვა საათზე მაღაზიის სექციონერი სოსო შადურის სასადილო ოთახში იჯდა, მაგიდასთან.

მოპირდაპირე მხარეს, კედელთან მიდგმულ რბილ სავარძელში შადური მოკეცილიყო, სიგარეტს აბოლებდა და გაფითრებულ, თვალეგამოციებულ ჭაბუკს ყურადღებით აკვირდებოდა.

ნოდარი და სერგოც მაგიდიდან მოშორებით ისხდნენ კედელთან მიდგმულ სკამებზე.

- რა არის საჭირო ოპერაციისათვის? - ჰკითხა შადურმა.

- დიდი მანქანა.

- რისთვის? - შეკითხვებს მართლ შადური იძლეოდა.

- ოპერაციის ერთადერთი ვარიანტი არსებობს, საბარგო მანქანამ ვიტრინა უნდა შეამტვიროს.

- ვიტრინის ჩასატეხად ქვა არ იკმარებს?

- ქვა მხოლოდ მინას ჩაამსხვრევს. მინის უკან კი ლითონის გისოსებია.

- გასაგებია.

შადურმა მეგობრებს გადახედა. არც ერთი ხმას არ იღებდა.

ნოდარ მიმინოშვილი არ იყო დიდი ფანტაზიის პატრონი; სამაგიეროდ, დავალების იდეალურ შემსრულებლად ითვლებოდა. რკინის ნერვები ჰქონდა და შიში არ იყო. თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი არ ავინწყდებოდა. ამიტომაც გეგმის შედგენის საქმეში არ ერეოდა. თუმცა უკვე შემუშავებული გეგმის ირგვლივ ძალზე საფუძვლიან შენიშვნებს გამოთქვამდა ხოლმე.

სერგო საერთოდ არ ერეოდა საქმეში. არც გეგმას ეცნობოდა ხოლმე ბოლომდე. იგი ყოველთვის ეპიზოდის კაცი იყო და ეპიზოდის მსახიობივით მხოლოდ თავის როლს იმეპირებდა. სხვა ნაკლიც ჰქონდა. სახე კაცისმკვლელს მიუგავდა. კარგად რომ გაიპარსებოდა, რატომღაც მაინც წვერმოშვებულს ჰგავდა. უბარმაზარი, ძროხასავით დიდი ენა პირში არ ეტეოდა და ყოველთვის ტუჩებში ჰქონდა გამოჩრილი. სამაგიეროდ, ულმობელი იყო. შეეძლო კაცისთვის ცხვარივით გამოეტყრა ყელი.

- დიდ მანქანას იშოვი? - ჰკითხა შადურმა სერგოს.

- ვიშოვი. ჩემი მეგობარი „მეტრომშენში“ მუშაობს. ის მათხოვებს.

- სანდოა?

- ვინც ფულს იღებს, ყველა სანდოა.

- მე სხვა რამეს გეკითხები. მილიცია, ხომ იცი, ყოველი მხრიდან დაუწყებს ჯიჯნას, მანქანა სახლში რატომ გყავდაო. დაბნევას მოუნდომებენ. გაუძლებს?

- გაუძლებს, მაგისა ნუ გედარდება!

- თანახმა იქნები?

- გითხარი, მაგისა ნუ გედარდება-მეთქი.



- აბა, აგვიხსენი, რა უნდა გავაკეთოთ.

- კარგი! - თქვა დინჯად სოსო შადურმა და ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა.

რობერტმა დანვრილებით გააცნო მაღაზიის გატეხვის გეგმა.

სოსო შადური დიდხანს დუმდა. ბოლოს სიგარეტი გააბოლა და დაფიქრებულმა თქვა.

- ხვალ მაღაზიაში მოვალთ. რამეს შეგვევაჭრებით. ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ვნახოთ.

- რომელ საათზე მოხვალთ?

- როცა გვეტყვი.

- თორმეტზე სჯობია, ამ დროს ყველაზე მეტი ხალხი ირევა მაღაზიაში.

- კარგი. თორმეტზე მოვალთ.

- სჯობია, ცალ-ცალკე შემოხვიდეთ.

რობერტი წავიდა.

- კარგი საქმე ჩანს! - უდარდელად ჩაილაპარაკა ნოდარ მიმინოშვილმა.

- წადი, რამაზ კორინთელი მოიყვანე! - მიუბრუნდა მეგობარს შადური.

- ჯერ დავურევოთ. ახლა შინ იქნება. - თქვა უდარდელად ნოდარმა.

- მერე, რას უყურებ, მიდი და დაურევე! - გაბრაზდა შადური. არ ესიამოვნა, რომ თვითონ ვერ მოისაზრა სრულიად უბრალო რამ.

ნოდარ მიმინოშვილმა ნომერი აკრიფა და ყურმილი შადურს გაუნოდა.

- რამაზ! რამაზი ხარ?

- დიახ!

- სოსო ვარ, შადური.

- გისმენ!

- უნდა შევხვდეთ.

- როდის?

- ახლავე!

- რატომ?

- ტელეფონში ვერ გეტყვი. უნდა მოხვიდე ჩემთან.

- შენ თვითონ მოდი. მე ერთხელ უკვე ვიყავი შენთან.

სოსო შეცბა.

ნოდარ მიმინოშვილი მიხვდა, შადურს რაღაც არ მოეწონა და უდარდელი, ცარიელი სახე ერთბაშად ინტერესით აევსო.

- კარგი, მე მოვალ! - შადური შეეცადა ხმაში სიბრაზე არ შემჩნეოდა.

თხუთმეტ წუთში რამაზ კორინთელის სახლთან იყვნენ.

- თქვენ მანქანაში დარჩით, აქ დამელოდეთ!

კიბეზე სწრაფად აირბინა და ზარს თითი დააჭირა.

ოთახიდან ყრუდ მოისმოდა პიანინოს ხმა.

ისევ დააჭირა ზარის დილაკს თითი.

- მოვდივარ! - შემოესმა რამაზ კორინთელის ხმა და დამშვიდდა.

მასპინძელმა გააღო თუ არა კარი, შადურს იმავე წუთში ეცა შამპანურის სუნი.

სუნიც არ იყო საჭირო. რამაზ კორინთელს ხელში სანახევროდ დაცლილი ჭიქა ეჭირა და ალკოჰოლით არეული თვალები უცნაურად უბრწყინავდა!

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

სოსო შადურს არ გამოჰარვია მასპინძლის დამცინავი კილო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ოთახში შევიდა. ჭიქის დანახვისთანავე მიხვდა, რამაზ კორინთელი მართლ არ იყო. სავარძელში მოკალათებული და ფეხიფეხზე შემოდებული ქერა ქალიშვილი რომ დაინახა, დაიბნა.

- მგონი, უდროო დროს მოვედი, არა?

- ნუ დელავთ, ბატონო სოსო. ჯერ გაიცანით - ქალბატონი ნატო.

სოსო შადურმა ქალიშვილს თავი მოკრძალებით დაუქნია.

- ეს კი სოსო შადური გახლავთ, იოსებ ვლადიმერის ძე შადური. ჩემი ძველი მეგობარი და კოლეგა.

ნათო ადგილიდან არ განძრეულა, ცალ ხელში სიგარეტი ეჭირა, მეორეში კი საფერფლე. შადურის მისალმებაზე სახეზე ღიმილი გამოეხატა. სოსო შადური მიხვდა, ფერმკრთალი, ნაშიერი ღიმილი მისალმებას და გაცნობას ნიშნავდა.

- ნამდვილად ცუდ დროს მოვედი. - ცივად თქვა კორინთელის დამცინავი ტონით განაწყენებულმა შადურმა, - ნავალ, ხვალ დილით გამოგივლი.

- არავითარი „ნავალ“! ნათო უკვე მიდის. ვიცი, მართო არ მოხვიდოდი! - კორინთელი ახალგაზრდა ქალს მიუბრუნდა, - ნათო, ქვემოთ მანქანა დაგხვდება, ნაცრისფერი „ჟიგული“. იქ ორ ინტელექტუალურ სახეს დაინახავ. ჩვენი სახელით ეტყვი, რომ შინ მიგიყვანონ. გასაგებია?

- გასაგებია.

- მართალია, ერთი მათგანი კაცისმკვლელს ჩამოჰგავს, მაგრამ ნურაფრისა შეგეშინდება. ფორმა ყოველთვის როდი შეესატყვისება შინაარსს. ასე არ არის, ბატონო სოსო?

შადურმა კოპები შეიკრა. რამაზ კორინთელის სითამამემ და ირონიამ გააცოფა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა.

ნათო მიხვდა, უნდა წასულიყო. წელანდელი ღიმილი ისევ ტუჩებზე ჰქონდა უნიჭოდ მიხატული. სიგარეტის ნაშენი საფერფლეზე დააგდო და ფეხზე წამოიღგა.

რამაზ კორინთელმა კარნებამდე მიაცილა, ლოყაზე აკოცა, ხვალ დილითვე დაგირეკავო, უთხრა და კარი მანამ არ დაკეტა, სანამ ქალიშვილი ქვედა სართულზე არ გაუჩინარდა.

ოთახში რომ შემობრუნდა, შადური უკვე სავარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

- დავლით?

- მე საქმეზე ვარ მოსული.

- საქმე მოიცდის.

- ვერ მოიცდის. გადი, პირი ცივი წყლით დაიბანე.

- ნუ გეშინა. არც ისე მთვრალი ვარ, ვერ მოგისმინო. პირს მაინც დავიბან. ძალიან ცხელა. არ ვიცი, დღეს მერამდენედ ვიბან პირს. დაისხი, დალიე და სულ მალე ერთ ჭკუაზე ვიქნებით.

რამაზ კორინთელი აბაზანაში შევიდა. შადურმა შამპანური დაისხა და მოსვა. ცივი შამპანური ესიამოვნა, ერთი სული ჰქონდა ჭიქა დაეცალა, მაგრამ თავი შეიკავა.

- დალიე, დალიე, კიდევ მაქვს მაცივარში! - ოთახში შემობრუნებულ კორინთელს ხელში პირსახოცი ეჭირა და თავპირს იწმენდდა. - შენი ხათრით, ცივ წყალს შევეუშვირე თავი, დალიე!

- საქმეზე ლაპარაკის წინ არ მიყვარს დალევა. ერთი ჭიქაც კი გამოუსწორებელ სითამამეს მატებს ადამიანს! - შადურმა სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

- ეტყობა, მართლა სერიოზული საქმე გქონია.

სოსო შადურმა დაკვირვებით შეხედა მასპინძელს. რამაზ კორინთელს თვალები დასწმენდოდა. სიმთვრალე თითქმის აღარ ეტყობოდა.

- ნუ გეშინია, ერთი ბოთლიც არ მაქვს დალეული. - მიუხვდა კორინთელი.

- ძალიან კარგი!.. - შადურმა სიგარეტი საფერფლეზე დააგდო და სავარძლის საბურგეს მიწოლილმა წინ გადმოიწია, - მშვენიერი პიანინო გიყვია.

- დიახ, „როინიშია“.

- ნელან შენ უკრავდი?

- ჰო, მე ვუკრავდი. უმუსიკოდ ცხოვრება, ჩემო სოსო, არ შემიძლია.

- ადრე შეგეძლო.

- ადრე სხვა იყო. იცვლება დრო, იცვლება მიზნები, მისწრაფებები, სურვილები, შეხედულებანი...

- კიბეზე რომ ამოვდიოდი, პიანინოს ხმა შემომესმა. რას წარმოვიდგენდი, შენ თუ უკრავდი.

- მგონი, ერთხელ უკვე გითხარი, უკრავ-მეთქი. გამოდის, რომ ჩემი არ გჯერა.

- მჯერა, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე კარგად უკრავდი.

- მისარია, რომ ჭეშმარიტი შემფასებელი ბრძანებულხართ, - ირონიულად ჩაიცინა რამაზ კორინთელმა, - გულწრფელად გეტყვი საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ თითები არ მემორჩილებოდა. ძლივს მოვარჯულე. ისე მაინც ვერ ვუკრავ, როგორც შემიძლია.

- გავა დრო და თითებს საბოლოოდ დაიმორჩილებ, მაგრამ ეგ არაა მთავარი.

- მაინც რა არის მთავარი?

მასპინძელმა პირსახოცი სანოლზე მოისროლა და მოსასმენად მოემზადა. მიხვდა, შადურს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა.

- ჩვენს საქმეში მთავარია გულწრფელობა! - დაიწყო ხმადაბლა სოსომ.

- ეგ უკვე ვიცი.

- მე, როგორც მეგობრებთან ბოლომდე გულწრფელი კაცი, ახლაც გულწრფელად გეუბნები, რომ არ მჯერა შენი.

- რა არ გჯერა? - გაიღიმა კორინთელმა.

- არ მჯერა, რომ შენ შენ ხარ!

რამაზ კორინთელმა პასუხად ხმამაღლა გაიცინა.

- და თუ შენ შენ ხარ, ესე იგი, რამაზ კორინთელი ხარ, რატომღაც მჯერა, ჩაფიქრებული გაქვს საბოლოოდ განწყვიტო კავშირი ჩვენთან. რასაკვირველია, ჩვენ უფლება არ გვაქვს, რაიმე გაიძულოთ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ დაგანებებთ თავს, როცა ერთ საქმეში კიდევ მიიღებ მონაწილეობას.

- ამ ერთ საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

- გადამწყვეტი. ტრავმის შემდეგ, როცა ყველაფერი დაგავიწყდა და გამოჯანმრთელების

შემდეგ საერთოდ განწყვიტე კავშირი ძველ ცხოვრებასთან, ძველ ბიოგრაფიასთან, საქმეებიდან, შეიძლება ითქვას, სუფთად ხარ დაძვრენილი.

„ყველაფერი დაგავიწყდა... სუფთად ხარ დაძვრენილი!“ - დააფიქსირა ტვინის რომელიღაც უჯრედში რამამ კორინთელმა.

- განსაკუთრებით ბოლო საქმეს ვგულისხმობ. გარანტია არა გაქვს, რომ ხვალ-მეგ არ გაიხსნება. დალატს არ გაპატიებთ, არც მე და არც ბიჭები. არ გემუქრები. კარგად იცი, ეს ჩვენი კანონია!

- გისმენთ! - თქვა რამამ კორინთელმა.

შადური მიხვდა, მასპინძელი მთელი სერიოზულობით უსმენდა.

- ჯერ დაჯექი!

კორინთელი მორჩილად ჩაჯდა მოპირდაპირე სავარძელში.

- რამდენიმე დღეში ერთ საქმეს ავიღებთ! - დაიწყო კორინთელის მორჩილებით ნასიამოვნებმა სოსო შადურმა, - შენ აუცილებლად მიიღებ მონაწილეობას ამ ოპერაციაში. ალბათ მიხვდი, რასაც გეუბნები. ჩვენ ერთად ვიყავით შენი მეხსიერების დაკარგვამდე და ერთად ვართ ახლაც, შენი მეხსიერების აღდგენის შემდეგ.

- წელან გულწრფელობა ახსენე. მეც გეტყვი გულწრფელად, არ მეგონა, თუ ასეთი ჭკვიანი იყავი!

- ახლა არ არის დამცინავი კომპლიმენტის დრო. ოპერაციის შემდეგ შეგიძლია დარჩე ჩვენთან, შეგიძლია სამუდამოდაც დაგვემშვიდობო.



რამაზ კორინთელმა გამომცდელად შეხედა სტუმარს თვალეხში. მიხვდა, უარი არ გაუვიდოდა. უარი ერთ-ერთის სიკვდილს ნიშნავდა, მაგრამ სოსო შადური მართო არ იყო. უპირატესობა აშკარად შადურისა და მისი ხალხის მხარეს იქნებოდა.

- მერე და საიდან დაასკვენი, რომ მინდა ხელი ავიღო ჩემს ძველ ხელობაზე? აბა, ერთი ჩამოყაჭე, რა გადაგინწყვეტიათ?!

სოსო შადურმა დაკვირვებით შეხედა. უნდოდა გამოეცნო, რამაზ კორინთელი ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. თან უკვირდა, როგორ გათამამდა, რა თავხედურად მელაპარაკებო. გაოცებული ვერ მიმხვდარიყო, შეიძლებოდა ტრავმის შემდეგ კაცს ხასიათი ასე შესცვლოდა?

დღედაღამ ფიქრობდა, ცდილობდა, გარკვეულიყო, რა მოხდა, რა ჯადოსნური კვერთხი შეეხო რამაზ კორინთელს, რამ გადააქცია უვიცი და გონებაშემღუდული კაცი უგანათლებულეს ადამიანად. ბოლოს ერთ დასკვნამდე მივიდა. რამაზ კორინთელი თავიდანვე იყო ასეთი, როცა გაუჭირდა და ფული დასჭირდა, შადურს მიაკითხა. კორინთელს, ალბათ, თავიდანვე ჰქონდა განზრახული, რომ გარკვეული დროის შემდეგ, უფრო სწორად, გარკვეული თანხის დაგროვების შემდეგ ცხოვრების სხვა გზას დასდგომოდა. ამიტომაც თამაშობდა უბირი ახალგაზრდის როლს. უკანასკნელ ოპერაციაზე რამაზ კორინთელს კაცი შემოაკვდა, ალბათ შემინდა. გადანწყვიტა ტრავმით, მენსიერების დაკარგვით ესარგებლა და ბიჭებისაგან საბოლოოდ დაეძვრინა თავი. სოსო შადური უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვიდა. თუ რამაზ კორინთელი შეთავაზებულ ოპერაციაში მონაწილეობაზე უარს იტყვოდა, ყველაფერი ნათელი იქნებოდა, მაშინ კი... მაშინ შადურს წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

- მოდი, ამოყაჭე, რაღას ელოდები? - გაუმეორა რამაზ კორინთელმა.

- ხუმრობას შეეშვი. საქმე ძალზე რთულია და სერიოზული. დიდ რისკს მოითხოვს.

ამიტომ ყური კარგად დამიგდე, რომ ყველაფერი ავწონ-დავწონოთ. ერთი უმნიშვნელო დეტალიც რომ გამოგვრჩეს, შეიძლება დავინვათ.

- მით უფრო დიდი სიამოვნებით გისმენ.

- ძალიან კარგი! - შადური მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტს დასწვდა, მოუკიდა და ბოლი ხელით გაფანტა, - ლადოგის ქუჩაზე არის რადიოტექნიკის მაღაზია, იცი, არა?

- ვიცი!

- ორი დღის წინ მიიღეს უკანასკნელი მარკის პატარა იაპონური მაგნიტოფონები და ვიდეომაგნიტოფონები. საქმე სექციონერმა მოგვცა.

- კარგი საქმე ჩანს. შემდეგ?

- საქმე ნამდვილად კარგია. მაგრამ ოპერაციის ძალზე სუსტი ადგილია ვიტრინის საბარგო მანქანით ჩამტვრევა.

- საბარგო მანქანა გვყავს?

- სერგო მოიყვანს. მისი მეგობარი მეტრომუშენში მუშაობს. ღამის ოთხ საათზე სერგო მანქანით მაღაზიის ვიტრინას შეამტვრევს. ხუთის ნახევარზე კი მანქანის პატრონი მილიციას შეატყობინებს, რომ მანქანა ვიღაცამ გაიტაცა.

- მანქანის პატრონი საიმედოა?

- სერგო ამბობს, რომ საიმედოა.

- სერგოს ვერ ვენდობი, ის კაცი უნდა ვნახოთ და ველაპარაკოთ. გამოხედვაზე შევატყობ, გაუძლებს თუ არა მილიციის შემოტევას. გამომძიებელი პირველ რიგში დაინტერესდება, რატომ ჰყავდა მანქანა სახლთან შოფერს, როცა წესით გარაუბი უნდა გაეჩერებინა. და მეორე, რალა მაინცდამაინც გატაცებიდან ნახევარი საათის შემდეგ დარეკა მილიციაში?

- არაა ძნელი საქმე. თავის მართლება არ უნდა გაუჭირდეს, თუ ყოჩაღი და გამოცდილი ბიჭია! - არ დაეთანხმა სოსო შადური.

- ვნახავთ, დაველაპარაკებთ, ხომ უნდა მოვერიგდეთ ვიდეც. რასაკვირველია, მართლ სერგოს ვერ დავეყრდნობით! ჩამტვრეულ ვიტრინის შემდეგ, როცა საუნწყებო დაცვაში სიგნალიზაცია ჩაირთვება, რამდენ წუთში მოდის მილიცია?

- თხუთმეტ წუთში.

- შემონმბეული გაქვთ?

- არა, სექციონერმა გვითხრა.

- ცუდია.

- რა არის ცუდი?

- სექციონერმა შეიძლება ბუსტად არ იცოდეს დრო. ამიტომ აუცილებლად უნდა შევამოწმოთ და, მეორეც, არ ვარგა, საბარგო მანქანის შოფერი რომ ნახევარ საათში დარეკავს მილიციაში.

- რატომ?

- ვიმსჯელოთ ლოგიკურად. უკვე თეთრი ძაფით ჩანს ნაკერი, რომ შოფერმა დაარღვია შინაგანანესი და მანქანა გარაუის ნაცვლად სახლის წინ დააყენა. რასაკვირველია, ასეთი დარღვევები ხდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულადაა. დამის ოთხი საათისათვის, უფრო ზუსტად, ოთხს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, ვიდაც მანქანას იტაცებს. ზუსტად ოთხ საათზე გამტაცებელი მანქანით შეანგრევს ვიტრინას. გატაცებიდან ნახევარი საათის შემდეგ კი შოფერი რეკავს მილიციაში, მანქანა მომტაცესო. მას ან მაშინვე უნდა გაეგო მანქანის გატაცება, როცა უზარმაზარი სატვირთო მანქანის მობროი ჩართეს, ან დილით ადრე, როცა გაიღვიძებდა და მანქანა ქუჩაში აღარ დახვდებოდა. გაცილებით ჯობია, შოფერმა „ვერ გაიგოს“ მანქანის გატაცება, რადგან მას, საერთოდ ღრმა ძილით „სძინავს“ ხოლმე. მილიცია მალე დაადგენს მანქანის პატრონს, მიაკითხავენ შინ და გააღვიძებენ. უნდა დამეთანხმო, რომ ჩემი ვარიანტი უკეთესია.

- გეთანხმები! - გაცვებას ვერ მალავდა სოსო შადური.

- ძალიან კარგი. მაშ სექციონერი ამბობს, რომ მილიცია მხოლოდ თხუთმეტი წუთში მოვა?

- დიახ.

- ბევრია! წარმოუდგენელია! უნდა შევამოწმოთ. ზუსტად უნდა ვიცოდეთ მილიციის მოსვლის დრო. თხუთმეტი წუთი დიდი შუალედი. რა ვქნა, ეჭვი მეპარება!

- როგორ უნდა შევამოწმოთ?

- გეტყვი! - რამაშ კორინთელმა სიგარეტის კოლოფს წაავლო ხელი. - მანამდე შენ გააგრძელე, რას ვაკეთებთ ვიტრინის შენგრევის შემდეგ.

- ჩვენ იქვე ვდგავართ „ვიგულით“ - მე, შენ და სექციონერი. შემოგვიერთდება სერგოც,

რომელიც „კამაზიდან“ პირდაპირ მაღაზიაში შევარდება. საქონელს უმაღლვე ჩავტვირთავთ მანქანაში და, ეგვი რომ არავინ აიღოს, მთავარი მაგისტრალით დავიძვრებით გლდანისაკენ.

- სად უნდა გავყიდოთ ამდენი საქონელი, ან როგორ უნდა გავყიდოთ?

- ერთი კაცი იყიდის მთლიანად. ჩვენ ხომ არ დავინწყებთ ვაჭრობას!

- ძალიან კარგი! - მოწონების ნიშნად თავი დაიქნია რამაზ კორინთელმა, მაგრამ...

- თქვი, რა გაეჭვებას. ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ.

- დიახ, კიდევ მაქვს ორი შენიშვნა! - რამაზ კორინთელი გრძნობდა, ოპერაციის დეტალების მოფიქრება და დაზუსტება სიამოვნებას ანიჭებდა. უხაროდა, რომ მოვლენებს სოსო შადურზე უკეთ აფასებდა. - ორი, თანაც არსებითი შენიშვნა.

- ნუ გადამაყოლე, თქვი, რა არ გიჯდება ჭკუაში. კიდევ გიმეორებ, აქ იმიტომ ვარ, რომ ყოველგვარი წვრილმანი წინასწარ გავითვალისწინოთ.

- პირველი: სექციონერს რა უნდა ჩვენთან?

- როგორ თუ რა უნდა. მართო იდეაში მივცეთ ფული? პასუხისმგებლობა ჩვენთან ერთად უნდა გაიზიაროს.

- დანყნარდი. ნერვები დაიოკე. შენი ნერვიულობა არ შეიძლება. თუ სექციონერი მართალია, რომ მილიცია მაღაზიაში თხუთმეტ წუთში მოვა, ხუთ წუთში ისინი ტელეფონით გამოიძახებენ მაღაზიის ყველა თანამშრომელს. რა ჰქვია ჩვენს სექციონერს?

- რობერტი!

- უხერხული სიტუაცია ხომ არ შეიქმნება, როცა ბატონი რობერტი შინ არ აღმოჩნდება? მე მგონი, დამეთანხმები, რომ მილიცია პირდაპირ დადგება სწორ კვალს!

სოსო შადურმა აღტაცება ვერ დამალა.

- ყოჩაღ, სავსებით სწორი ხარ. ამ ბოლო დროს გაოცებას გადამაჩვიე, მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრა, შენგან მაინც არ ველოდი ასეთ გამჭრიახობას!

- ნუ ღელავ, კიდეც ბევრჯერ მოგიწევს აღტაცების გამოხატვა. - რამაშ კორინთელმა სიგარეტის ნაწივი საფერფლეზე დააგდო, შამპანური დაისხა და მოსვა, - გამთბარა. ახლავე ყინულს მოვიტან.

- არაა მაგის დრო!

- ნუ გეშინია, ყველაფერს მოვასწრებთ. ჩვენს საქმეში სიჩქარე არ გამოგვადგება!

კორინთელმა მაცივარი გამოაღო და ჭიქაში ყინული ჩააგდო.

- გინდა?

- რა მეშამპანურება. ჯერ მოდი, საქმე მოვათავოთ!

- ერთი სიტყვით, სოსო... თუ არ ვცდები, ვლდიმიროვიჩი, არა? ერთი სიტყვით, იოსიდ ვლადიმიროვიჩი, „კამაზის“ შოფრის მსგავსად, ჩვენ რომ ცეცხლს დავუწყებთ თამაშს, ბატონი რობერტიც ლოგინში უნდა ნებივრობდეს. სექციონერმა სულ სხვა სამსახური უნდა გაგვინიოს. წინა დღით, ყველა ჩვენთაგანი ცალ-ცალკე შევალთ მაღაზიაში. სექციონერმა

ოსტატურად უნდა დაგვანახოს, სად, საწყობის რომელ კუთხეში იქნება საქონელი, რომელი ყუთები უნდა ჩავტვირთოთ მანქანაში. იქნებ საწყობის ან რომელიმე ოთახის ბოქლომიცაა მოსაგლეჯი? აი, რა უნდა გვიჩვენოს ამხანაგმა რობერტმა. მეთანხმები?

- გეთანხმები. ბარემ მეორე შენიშვნაც მითხარი.

- ხალხი? ოპერაციის დროს თქვენ თუ გაითვალისწინეთ ხალხი და, საერთოდ, მასების როლი ჩვენს ცხოვრებაში?

- ვერ გავიგე შენი ხუმრობა.

- მე არ ვხუმრობ. მაღაზიის ვიტრინის ჩამსხვრევის ხმა ბომბის აფეთქების ტოლფასი იქნება. ჩვენ კანონიერი და დამსახურებული ძილი უნდა დავუფრთხოთ მთელი დღის ნაჯათარ მშრომელ ადამიანებს, რომლებიც უმაღვე ფანჯრებს მოაწყდებიან. დარწმუნებული ხართ, რომ ლადოგის ქუჩის იმ მონაკვეთში, სადაც რადიოტექნიკის მაღაზიაა, არ ცხოვრობენ მილიციის მუშაკები ან ფანატიკოსი პენსიონერები? ამიტომ, ამხანაგი სერგო, ჩვენ რომ მაღაზიაში შევვარდებით, ერთი, იარაღით ხელში, გარეთ უნდა დარჩეს ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. საქონლის ჩატვირთვა მოგვიწევს მე, შენ და ნოდარ მიმინოშვილს. ლადოგის ქუჩა დაემსგავსება უპარტერო თეატრს. მაყურებლები ძირითადად იარუსებზე იქნებიან გაბნეულნი. „ჟიგულის“ ფერს და მარკას აუცილებლად დაიმახსოვრებენ, მაგრამ სულაც არა სავალდებულო, დაიმახსოვრონ მანქანის ნომერიც.

- ნომერს შევცვლით.

- არავითარ შემთხვევაში. ერთი ნომრის მოხსნა და მეორის დაყენება, ხოლო შემდეგ საწინააღმდეგო ოპერაციის ჩატარება, დროს მოითხოვს. ნომერზე მავთულით მიამაგრეთ სხვა ნომრიანი კორდონი, რომლის მოხსნა ხელის ერთი მოქნევით იქნება შესაძლებელი. სად მიგაქვს საქონელი? - ჰკითხა უცებ კორინთელმა.

- ნოდარ მიმინოშვილთან, გლდანში.
- კარგი და პატიოსანი. ახლა ეს მითხარით: რა უნდა გავიტაცოთ და რამდენის იმედი უნდა ვიქონიო პირადად მე?
- თხუთმეტი ვიდეო და ოცდახუთი მოდური, პატარა, მაგრამ ძლიერი მაგნიტოფონი. ოპერაციის ხუთივე მონაწილეს, სექციონერს ჩათვლით, უნდა დაგვრჩეს ერთი „ლიმონი“.
- რამდენი? - ვერ გაერკვა რამაზ კორინთელი.
- „ერთი „ლიმონი“, - გაიმეორა გონებაში კორინთელმა. - „ეცეცობა, ძალიან ბევრია“.
- გეცოტავენა? - გაოცდა შადური.
- ღირს რისკად. - გულგრილად წარმოთქვა რამაზ კორინთელმა. - მოდი, ახლა ის საკითხი გავშიფროთ, თავში რომ ვთქვი. მილიციის თხუთმეტ წუთში მოსვლა. არა მგონია, მართალი იყოს, ძალიან დიდი დროა. იქნებ, არ იცის სექციონერმა და მხოლოდ ხუთ ან ათ წუთშია მილიციის გამოჩენა სავარაუდო? ხომ, იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.
- როგორ შევამოწმო?
- შემოწმება ადვილია. ოპერაციამდე ორი დღით ადრე ვიტრინა ქვით უნდა ჩავამტვრიოთ. მხოლოდ ამ გზით გავიგებთ ზუსტად, რამდენ წუთში მოვა მილიცია.
- უფრო ხომ არ გამოვაფხიზლებთ მილიციას და მაღაზიის დირექციას?
- პირიქით. უფრო მოვადუნებთ მათ ყურადღებას და აი, რატომ. ხვალვე აიღებთ ქვას,



რომლის მსგავსიც ხშირად გვინახავს თბილისის ქუჩებში. სჯობია რიყის ქვა. ოპერაცია სერგომ უნდა აიღოს თავის თავზე. წვრილმან საქმეზე არც მე უნდა გამაცდინო და არც შენ უნდა გაცდე.

„არც მე უნდა გამაცდინო და არც შენ უნდა გაცდე“, - არ მოეწონა შადურს კორინთელის მიერ ბანდის უფროსივით გადმოსროლილი ფრაზა.

ქვა, რეზინის ხელთათმნიანი ხელეებით კარგად გარეცხოს, რომ თითების ანაბეჭდების ნასახიც არ დატოვოს. შემდეგ ქვაზე რომელიმე საბარგო მანქანა გადაატაროს. ქვას კარგად უნდა დააჩნდეს საბურავის ანაბეჭდები. ღამის სამ ან ოთხ საათზე ნოდართან ერთად „ვიგულით“ გაიაროს ლადოგის ქუჩაზე და ქვა კვლავ ხელთათმნიანი ხელით ესროლოს მაღაზიის ვიტრინას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ექსპერტი ზუსტად დაადგენს მომხდარი ფაქტის შემთხვევითობას. ქვაზე ვერ აღმოაჩენენ ადამიანის თითის ანაბეჭდებს. სამაგიეროდ, მასზე აღბეჭდილი საბურავის კვალი ნათლად დაადასტურებს, რომ ქვა რომელიღაც მანქანამ აისხლიტა. შოფერს ვიტრინის ჩამტვრევის ხმა არ გაუგონია. კიდევაც რომ გაეგონა, ბუნებრივია, გაქცევით უშველიდა თავს. გასაგებია?!

- გასაგებია.

- მეორე დღეს ამხანაგი სექციონერი დაწვრილებით მოგვიყვება, რა მოხდა, როგორ მოხდა, რამდენ წუთში მოვიდა მილიცია, რა ღონისძიებები ჩატარეს... ერთი სიტყვით, გვიამბობს ყოველგვარ წვრილმანს და მსხვილმანს, რომ ოპერაციის დროს ყველა მოსალოდნელი გართულება გაითვალისწინოთ.

- შენი ნათქვამი ახლოს არის ჭკუასთან, მაგრამ, კიდევ გიმეორებ, რა გარანტია გვაქვს, რომ ვიტრინის ჩამსხვრევის ამბავი უფრო არ გამოაფხიზლებს მაღაზიის დირექციას?

- არა მგონია, თუმცა არც ეგაა გამორიცხული.

- ხომ არ ჯობია, ოპერაცია ისე ჩავატაროთ, რომ მაქსიმუმ ათ წუთში ჩავეციოთ? ბოლოს და ბოლოს, რა გვაქვს გამოსატანი? ორმოცი ყუთი. თითოეული პატარა მაგნიტოფონების ხუთ-ხუთ ყუთს გამოვიტანთ ერთ გზობაზე. ვფიქრობ, ხუთ წუთში მოვასწრებთ საქონლის გამოტანას და მანქანაში ჩატვირთვას.

- არავითარ შემთხვევაში! ვარაუდი თავიდანვე ხუთ წუთზე უნდა ავიღოთ, თორემ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვასწრებთ გაქცევას. მილიციის გამოცხადებამდე ხუთი წუთის წასულები მაინც უნდა ვიყოთ, რომ წინ არ შემოგვეფეთონ და ჩვენს კვალს არ დაადგნენ. თანაც, დარწმუნებული ხარ, რომ საუწყებო დაცვაში ჩართული სიგნალიზაციის გარდა სხვა ხელსაწყოები არა აქვთ დამონტაჟებული? მაგალითად, ფარული კინოკამერა, სიგნალიზაციასთან ერთად რომ ჩაირთვება და ჩვენს შთაგონებულ სიფათებს რომ შემოუნახავს მილიციას და შთამომავლებს? ენდობით ამხანაგ რობერტს? თუ ენდობით და წინ მხოლოდ სიგნალიზაცია გვედობება, მზად ვარ ხვალვე ჩავატაროთ ოპერაცია.

- არ ვიცი. შენმა მოსაზრებამ დამაყვავა.

- მაშ, პასუხი ხვალ დილას მითხარი. ამხანაგი რობერტიც და „კამაზის“ შოფერიც უნდა შემახვედროთ. მაღაზიაც ხვალვე დავბვეროთ. გახსოვდეს, ცალ-ცალკე უნდა შევიდეთ. ყველა წვრილმანი კარგად უნდა დავიმახსოვროთ. ამ ჭიქით შენ და შენს მომავალ წარმატებებს გაუმარჯოს! - რამაზ კორინთელმა ჭიქა ბოლომდე გამოსცალა.

- ჯერჯერობით მე ვარ თქვენი უფროსი! - მექარაშერეული წყენით წარმოთქვა სოსო შადურმა. - ხვალ დილით შენ მოხვალ ჩემთან და საბოლოო გეგმასაც იქ შევადგენთ.

- ნუ ბრაზობ, იოსიდ ვლადიმეროვიჩ, თუ გსურს, შენ იყავი უფროსი. არავითარი სურვილი არა მაქვს, პირველობაში შეგეცილო. ერთი კი გახსოვდეს. საერთოდ, უფროსი ის უნდა იყოს, ვინც უფრო ჭკვიანია, დაკვირვებული და გაბედული. საქმისთვის ჯობია ასე!

\* \* \*

სერგომ „კამაზი“ უკან სვლით დაძრა ვიტრინისაკენ. „ჟიგულმა“ სვლა შეანელა.

მართალი აღმოჩნდა რამაზ კორინთელი.

ორი დღის წინ, როცა ვიტრინა ქვით ჩაამსხვრიეს, მილიცია ათ წუთში გაჩნდა გაჩნდა მაღაზიასთან. მეორე დღეს რობერტმა ამბავი მოიტანა, ეჭვი ვერავინ აიღო, ექსპერტმა ქვაზე მხოლოდ საბურავის კვალი აღმოაჩინა და დაასკვნეს, ქვა მანქანამ აისხლიტაო. ძნელიც იყო ეჭვის შიგნით, რა აზრი ჰქონდა ვიტრინის შინის ჩამსხვრევას, როცა შინის უკან რკინის გისოსები იყო ჩასმული. ათმა წუთმა კი დააფიქრათ. ახალი გეგმით, რადაც არ უნდა დასჯდომოდან, სამ წუთში უნდა ჩატეულიყვნენ, რომ სიგნალიზაციის ჩართვის შემდეგ მაღაზიისაკენ მომავალ მილიციის მანქანებს არ გადაჰყოფდნენ. თანაც მილიციის გამოჩენისას იქაურობას შვიდი წუთის სავალზე უნდა ყოფილიყვნენ მოშორებული. ცარიელ ქუჩებში სწრაფი სიარულით ნოდარ მიმინოშვილის ეზოიან სახლამდე ოცდაათი წუთის გზა იყო. ბოლო ათი წუთის შემდეგ კი სულ თავისუფლად შეიძლებოდა მილიციის მანქანას გადაჰყოფდნენ, რომელსაც რადიოგრამა უკვე მიღებული ექნებოდა. რისკი დიდი იყო, მაგრამ უკან არც ერთს არ დაუხვია.

\* \* \*

„კამაზი“ ნელ-ნელა უახლოვდებოდა ვიტრინას.

„ჟიგულმა“ სვლა კიდევ უფრო შეანელა და მაღაზიიდან თხუთმეტოდე მეტრის დაშორებით გაჩერდა.

სოსო შადურს ძრავა არ გამოურთავს, მუხრუჭებზე ფეხდაყრდნობილი, ცალთვალდახუჭული მისჩერებოდა „კამაზს“ და ცდილობდა, მღელვარება როგორმე დაეოკებინა.

ვიტრინასა და მანქანას შორის მანძილი თანდათან მოკლდებოდა.

რამაზ კორინთელმა საათს დახედა. ზუსტად ოთხი იყო.

- მოვემზადოთ! - გადაუჩურჩულა სოსოს.

- ჩუმად! - ტუჩებზე ხელი მიიღო სიმივით დანყვეტამდე დაჭიმულმა შადურმა.

- „ჩქარა, ჩქარა!“ - ყვიროდა გულში კორინთელი. იცოდა, მის ძახილს ვერავინ გაიგონებდა, მაგრამ მაინც რცხვენოდა გაეფიქრებინა, მეტი აღარ შემიძლიაო.

ვიტრინამდე ერთი მეტრიც აღარ რჩებოდა.

ნოდარ მიმინოშვილი იქვე იდგა და სერგოს რაღაც მითითებას აძლევდა.

რამაზ კორინთელმა იცოდა, ყველაზე დიდ სტრესს ვიტრინის ჩამსხვრევის ხმა გამოიწვევდა.

წამიც და, გაისმა უზარმაზარი მინის მსხვრევის თავზარდამცემი ხმა.

მინის ზრიალს თან დაერთო სასიგნალო მსხვრევის თავზარდამცემი ხმა.

მინის ზრიალს თან დაერთო სასიგნალო საყვირების ღმუილი და წივილი.

„კამაზმა“ რკინის გისოსები იოლად შეანგრია და გაჩერდა. სერგო უმაღვე გადმოხტა, რევოლვერი იძრო და მანქანის წინ დადგა. თვალებით სართულებზე დარბოდა, სადაც აქა-იქ უკვე ანთებულიყო სინათლე. გაჩირადღნებული ფანჯრების რიცხვი ნელ-ნელა მატულობდა.

გამაყრებელ ბრიალზე კორინთელს მოეჩვენა, რომ მანქანის თავზე ბომბისაგან დანგრეული უზარმაზარი თალი ჩამოიქცა. უნებურად თვალი დახუჭა. პირველი, რაც თვალის გახელის შემდეგ დაინახა, ვიტრინაში სანახევროდ შერჭობილი „კამაზი“ იყო.

სოსო შადურმა „ჟიგული“ საბარგულით მიაგდო ჩამსხვრეულ ვიტრინასთან. ორთავენი სწრაფად გადმოხტნენ და მაღაზიაში შევარდნენ.

წინ ნოდარ მიმინოშვილი შემოეფეთათ. ხელში ოთხი ყუთი ეჭირა, ყუთებს ზემოთ მხოლოდ თვალები, შუბლი და ქოჩორი მოუჩანდა.

- აბა, ჩქარა! - იყვირა სოსომ და ყუთებს მივარდა.

მესამე გზობაზე კორინთელმა საათს დახედა. კიდევ ერთი წუთი რჩებოდა. იგრძნო, გული ერეოდა.

„რა ჯანდაბა მემართება, შიშით თითქოს არ მეშინია“.

მიხვდა, მილიციის გამოჩენა ისე არ შეაშინებდა, როგორც სასიგნალო საყვირების ღმუილი და წივილი ზარავდა.

- ჩქარა, ჩქარა! - ყვიროდა სოსო შადური.

ნოდარ მიმინოშვილმა საბარგული დაკეტა და ყუთებით ამოვსებულ „ჟიგულში“ ძლივს შეძგრა.

სოსო შადური საჯეს ჩაეჭიდა და ძრავა ჩართო. ოფლში განურული კორინთელი გვერდით მიუჯდა. გული ისევ ერეოდა. თავს ნებისყოფის საშინელი დაძაბვის ფასად იკავებდა. ხმის ამოდებისა ეშინოდა. იცოდა, პირს თუ დააღებდა, უმაღვე ამოარწყევდა.

მანქანასთან სულ ბოლოს სერგო მოვარდა. უწესრიგოდ ჩაყრილ ყუთებს შორის ადგილი აღარსად იყო და მაგნიტოფონებს ზემოდან გადააწავა.

- წავედით! - სოსომ ადგილიდანვე დიდი სისწრაფით დაძრა მანქანა.

სასიგნალო საყვირების ღმუილი და წივილი ერთხანს კიდევ მოსდევდათ უკან.

ბოლოს, როცა მათი შემადრწუნებელი და თავზარდამცემი ხმა სრულიად მიწყდა, რამაზ კორინთელი ერთბაშად გამოკეთდა.

ხუთი წუთის შემდეგ რვა კილომეტრით იყვნენ იქაურობას მოცილებული.

- რევოლვერი გასწიე, არ გაგივარდეს! - უყვირა ნოდარ მიმინოშვილმა მაგნიტოფონის ყუთებზე გადაწოლილ სერგოს.

- ყვირილს გირჩევნია, ყუთები მისწი-მოსწიო, იქნებ როგორმე ჩავჯდე.

რამაზ კორინთელმა საათს დახედა.

- ორ წუთში მილიცია მაღაზიასთან იქნება.

- ორი წუთი კიდევ არ გველის საფრთხე. ორი წუთის შემდეგ კი რადიოგრამას გადასცემენ და მთელ ქალაქში დაგვიწყებენ ძებნას.

- მაყურებელი ბევრი გვყავდა? - მიუბრუნდა კორინთელი ყუთებში საცოდავად ჩაკვეტებულ სერგოს.

- რა მაყურებელი? - დაიბნა ხაზარაძე.

- ბევრმა ხალხმა გაიღვიძა?

- ბევრმა. ყველანი მიხვდნენ, რასაც ვაკეთებდით.

- დაბლა არავინ ჩამოსულა?

- ვინ გაბედავდა! - უსიამოვნოდ ჩაიცინა სერგომ.

- რევოლვერი შეინახე. - რამაზ კორინთელმა ისევ დახედა საათს, - მილიცია უკვე მალაზიასთანაა.

- ახლა კი მიხვდებიან, ქვით ვინ და რა მიზნით ჩამსხვრია ვიტრინა, - ირონიულად ჩაიცინა სოსო შადურმა.

- ნელა იარე, ეჭვი არავის აღვუძრათ. თბილისის ქუჩებს უკვე სერავენ რადიოგრამები, - მიუბრუნდა კორინთელი სოსო შადურს.

უხაროდა, ნერვიულობა რომ ვერ შენიშნეს. იცოდა, მეთაურობის მოსაპოვებლად პირველი ნაბიჯი ღონივრად და ეფექტურად გადადგა.

მალაზიაში ან მანქანაში გული რომ არეოდა, მეთაურობაზე აღარც უნდა ეოცნება. მეთაურობას ვინ დაეძებდა, სოსო შადურისა და მისი მეგობრების დასაცინი გახდებოდა. კაცმა რომ თქვას, მეთაურობა არც უნდოდა. უბრალოდ, ვერ იტანდა, სოსო შადური რომ ეუფროსებოდა.

მანქანა უკვე გლდანის ვიწრო ქუჩებში მიჰქროდა.

- აქ ღამე კი არა, დღისით არ დადის ინსპექცია, - თქვა სერგომ, - სანამ ისინი აქამდე მოაღწევენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიქნებით.

კიდევ რამდენიმე წუთი და მანქანა ჩაბნელებულ ვიწრო ქუჩაზე ეზოიანი სახლის ჭიშკართან გაჩერდა. იქ უკვე ელოდნენ, რკინის ჭიშკარი უმაღვე გაიღო. ნაცრისფერი „ჟიგული“ ეზოში შესრიალდა. მისური რკინის ლურჯად შეღებილი ჭიშკარი ფრთხილად, უხმაუროდ დაიკეტა.



# თავი მეთორმეტე

- ცუდად ხომ არ ბრძანდებით? - მისალმებისთანავე ჰკითხა ოთარ კახიშვილს პირადმა მდივანმა.

- მეტყობა რამე? - გაღიმება სცადა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა.

- ცუდი ფერი გადევთ! - დაიბნა მდივანი.

- ნუხელ გვიან დავიძინე. ეტყობა, გადავიღალე. - კვლავ გაიღიმა კახიშვილმა.

დირექტორის ღიმილმა კიდევ უფრო დააეჭვა მარინე დვალი. ოთარ კახიშვილს მხოლოდ ტუჩები უღიმოდა, სახე კი ჩამოსტიროდა, თვალები ჩაქრობოდა. ჯმუხი და ჯანმრთელი შესახედაობის კაცს, მოშავო-მომწვანო ფერი გადაჰკრავდა, უპეებში თითქოს სითხე ამოშრობოდა და თვალები ხრჭიალით მოძრაობდა.

ოთარ კახიშვილმა მოსაცდელი ოთახი სწრაფად გადაჭრა, კაბინეტში შევიდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა, პორტფელი გვერდით, პატარა მაგიდაზე დადო, სავარძელში მძიმედ ჩაუშვა და დაფიქრდა. ნუხელ, თვალდახუჭულმა რომ სამოქმედო გეგმები დააწყო, კაბინეტში, დღის სინათლეზე, თითქმის მთლიანად დაენგრა.

რამდენიმე წუთს უძრავად იჯდა. ცდილობდა, გაფანტული აზრები ისევ მოეკრიბა, გეგმა კვლავ შეეკონინებინა, სანახევროდ მანაც აღედგინა. ანდა, სულაც ახალი რამ მოესაზრებინა.

თითქოს უცებ გამოერკვაო, შებრუნდა და სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა.

- გისმენთ! - მოესმა მდივანი ქალის ხმა.

- შემოდით! - თქვა მოკლედ. წამოდგა და კაბინეტის შიგნიდან ჩაკეტილი კარი გააღო.
- ჩემთვის ხომ არავის დაურევავს? - ჰკითხა შემოსვლისთანავე და სავარძელს მიაშურა.
- არავის.
- სულ არავის?
- სულ არავის.

ოთარ კახიშვილი, საერთოდ, როცა მდივანს ეკითხებოდა, ხომ არავის დაურევავსო, მხოლოდ ზემდგომ ორგანოებს გულისხმობდა. ამიტომაც გაუმეორა შეკითხვა - სულ არავისო?

დირექტორმა თავი დახარა, თვალი მაგიდას გაუშტერა. უაზრო ფიქრებმა შეიპყრო, არც თავი რომ არ ჰქონდა და არც ბოლო. კარგა ხანს იჯდა თავჩაქინდრული.

მდივანმა არ იცოდა, რა ექნა. წასვლა ვერ გადაეწყვიტა. ახალ დირექტორს ვერც შეკითხვა შეჰბედა, ხომ არ გავიდეო.

- მარინე! - თქვა უცებ დირექტორმა.
- გისმენთ.
- შეიძლება დამირეკოს ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რამაზ კორინთელმა.

- რამაზ კორინთელმა! - გაიმეორა მარინემ, თითქოს იმახსოვრებსო. უფრო კი იმიტომ გაიმეორა, ოთარ კახიშვილმა მეტი აღარაფერი თქვა და დუმილი, უბრალოდ, უხერხული ხდებოდა.

- ჰო, რამაზ კორინთელმა, აი, იმ წარმოსადგემა ყმანვილმა, გუშინ რომ იყო ჩემთან. გახსოვთ?

- მახსოვს, - დაბნეულად უპასუხა მარინემ.

„რამაზ კორინთელი“, - აღელვებულმა ქალმა ამჯერად სხვანაირად გაიმეორა გულში ამ უცნაური ჭაბუკის სახელი და გვარი, გუშინ რომ სული და გონება აუფორიაქა.

- ყურადღებით მოუსმინეთ და რასაც გეტყვით, კარგად დაიმახსოვრეთ. ჩვეულებისამებრ, ნუ ჩაინერთ.

- ბატონი ბრძანდებით.

- არ აგრძნობინოთ, რომ იცანით. არც ის უთხრათ, მე რომ მოვიკითხე. გასაგებია?

- მე მას არ ვიცნობ, ბატონო ოთარ!

- მე ნაცნობობაზე კი არა, აღმიანის ცნობაზე ვლაპარაკობ. ვითომ ვერ მიხვდით, ვის ელაპარაკებით. სახელი და გვარი განმეორებით ჰკითხეთ. ისეთი ტონით ელაპარაკეთ, თითქოს მისმა სახელმა და გვარმა არაფერი არ გითხრათ და ვერ მიგახვედრათ, ვის ესაუბრებით. როდესაც მოვა, ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს არც კი იცით, თუ ისაა რამაზ კორინთელი. მიმიხვდით?

- მიგიხვდით. - დირექტორის უცნაურმა დავალებამ მარინე კიდევ უფრო დააინტერესა კორინთელის პიროვნებით.

- აბა ახლა ჩემს მოადგილეებს, პარტიული კომიტეტის მდივანს და ადგილკომის თავმჯდომარეს დაუძახეთ.

- ბატონი ბრძანდებით.

ოთარ კახიშვილმა მდივანს თვალი ისე გააყოლა, თითქოს პირველად ხედავდა. კარის გაჯახუნების ხმამ სხვა, მაგრამ ძალიან ნაცნობ ტალღაზე გადართო ინსტიტუტის დირექტორი. თვალი უმაღლვე სეიფისაკენ გაექცა. მაღალი, ერთი მეტრის სიგანის მძიმე, პირქუში სეიფი მუხის ფიცრებით მოპირკეთებული ნიშიდან ზვიადად იცქირებოდა. არანაკლებ ზვიადად გამოიყურებოდა მრგვალი, მონიველებული სახელური და მის ქვეშ მოთავსებული ხუთი რგოლი. საჭირო იყო მხოლოდ თითო ციფრის ცოდნა, თითო რგოლზე თითო ციფრის გამოცნობა, მხოლოდ თითო ციფრისა და...

ოთარ კახიშვილი წამოდგა. ფანჯარასთან დინჯად მივიდა და გადაიხედა, რატომღაც ეგონა, კიდევ დაინახავდა წითელ „ჟიგულს“ და მანქანაზე მიყრდნობილ ქერა, გრძელფეხება ქალიშვილს. მხოლოდ ნაცნობი მეგობრე დაინახა, ქუჩას რომ გვიდა.

ვაშლოვანის ქუჩა, სადაც ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის შენობა მდებარეობდა, ქალაქის განაპირას, მთის ძირში იყო გაჭრილი. მოკლე, საკმაოდ განიერი ქუჩა ხალხმრავალი და ტრანსპორტით გადატვირთული არასდროს ყოფილა, მაგრამ არც ასეთი უკაცრიელი უნახავს როდისმე ოთარ კახიშვილს.

ისევ მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა, თვალი ერთხელ კიდევ შეავლო სეიფს და შუბლით ხელებს დაეყრდნო. ისევ წარმოუდგა თვალწინ რამაზ კორინთელი. ისევ აეშალა ძველი ფიქრები, ისევ შეაბობდა ძველი ეჭვები.

„უნდა ვნახო. აუცილებლად უნდა ვნახო. ოღონდ დღეს არა. თავი უნდა მოვთოკო, ცნობისმოყვარეობა უნდა დავიმორჩილო. სხვანაირად ვერ გავიმარჯვებ, ვერ ვაიძულებ, ჩემს ჭკუაზე იაროს და მხოლოდ მე დამემორჩილოს. ხვალ დავურეკავ. სჯობია, აქ მოვიდეს. მასთან შინ მისვლა ან ქალაქგარეთ გასეირნება გაცილებით მეტ ინფორმაციას მომცემდა; მისი ოჯახური გარემო, წიგნები, ცხოვრების სტილი ან მანქანაში საუბარი

უფრო მეტს მეტყობდა რამაზ კორინთელის პიროვნებაზე, ვიდრე კაბინეტში ჯდომა, მაგრამ მაინც აქ მირჩევნია შეხვედრა. სრულიად ახალგაზრდა ყმანვილთან ამოდენა კაცის, თან ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, შინ მისვლა უკვე თავის გაყადრებასა და გატოლებას ნიშნავს. - ოთარ კახიშვილმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და ფეხზე წამოდგა, - დიახ, შემდგომი ურთიერთობისათვის გაცილებით ჯობია, აქ მოზრძანდეს. ჩემის აზრით, მე არავეთარ შემთხვევაში არ უნდა დავურეკო! მისი გამონწვევა არაფრად არ უნდა ჩავაგდო! მით უმეტეს, ხვალ დარეკვაც და კორინთელის აქ მოწვევაც ნაადრევი იქნება. და, საერთოდ, სჯობია თვითონ მომნახოს. ცტუნებას უნდა გავუძლო, ნერვები უნდა მოვთოკო!”

„ვთქვით არ დამირეკა, მაშინ?“

„მაშინ..“

ოთარ კახიშვილი ისევ შეიპყრო სასონარკვეთამ.

„მაშინ მე თვითონ უნდა დავურეკო...“

„მე თვითონ...“

სელექტორზე მდივნის ნათურა აინთო. ოთარ კახიშვილმა კლავიშს თითი დააჭირა.

- გისმენთ.

- ყველანი აქ არიან. შემოვიდნენ?

- შემოვიდნენ.

კარი გაიღო. შემოსულებს წინ დირექტორის ახლად დანიშნული მოადგილე, არჩილ თევდორაძე, მოუძღოდათ.

დირექტორი ყველას ღიმილით მიესალმა.

უნებურად თვალი არჩილ თევდორაძეს დაასო, მსუქან, სათვალთან, ჭაღარა და სიმპათიურ კაცს. ერთი შეხედვით, თევდორაძე არც კი ჰგავდა მეცნიერს, თუმცა მისი გამოკვლევები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ოთარ კახიშვილისა. არჩილ თევდორაძეს მთელ კავშირში კარგი ექსპერიმენტატორის სახელი ჰქონდა გავარდნილი და თუ ისე არ იყო დაფასებული, როგორც სხვა მისი რანგის კოლეგები, მხოლოდ მეცნიერის მოკრძალებული ხასიათით აიხსნებოდა.

„ღალატით არასდროს მიღალატებს. უღალატო და პატიოსანი კაცია, მაგრამ ბრძოლაში გამომყვება?“ - გაიფიქრა უცებ ოთარ კახიშვილმა.

- დანარჩენები სად არიან? - იკითხა უცებ დირექტორმა.

ყველამ მხრები აიჩეჩა.

სელექტორის კლავიშს ისევ დააჭირა თითი.

- დანარჩენები სად არიან? - გაუმეორა კითხვა მდივანს.

- ვინც მითხარით, ყველას დავუძახე! - გაისმა კაბინეტში მარინეს ხმა.

- მომიყვანეთ განყოფილების გამგეები და კომპაკტშირის ბიუროს მდივანი.

დანარჩენების მოლოდინში კაბინეტში დუმილი ჩამოწვა.

„რატომ მოვიწვიე თათბირი? განა მე გუშინ გადავწყვიტე თათბირის ჩატარება? ან რაზე უნდა ვილაპარაკო?“

ოთარ კახიშვილი მიხვდა, მის ორგანიზმში მეორე ოთარ კახიშვილი ან ვიღაც სხვა ამოქმედდა. მან უკარნახა, თათბირი ჩაატარეო, მანვე გამოაძახებინა ხალხი. განკარგულება ისე გასცა, არცკი გაუაზრებია, რა უნდოდა.

თავი უკმაყოფილოდ გაიქნია.

ყველანი ჩუმად იყვნენ. სხვა დროს ასე არ ხდებოდა ხოლმე. სანამ თათბირი დაიწყებოდა, ერთმანეთთან საუბრობდნენ, მართალია ხმადაბლა, ყველა ეტიკეტის დაცვით, მაგრამ მაინც საუბრობდნენ, რაღაცას ხუმრობდნენ, ხმადაბლა იცინოდნენ. ასე იყო აკადემიკოს დავით გიორგაძის სიცოცხლეშიც. ასე არის ახლაც. მაშ, დღეს რა მოხდა? ყველანი რატომ სდუმან? აქაურობას რატომ დაუფლებია სამგლოვიარო განწყობილება?

„იქნებ, ჩემს სახეზე უკლებლივ ყველამ ამოიკითხა, რა უბედურებაც მჭირს? ამ დილით მდივანიც ხომ შეკრთა ჩემს დანახვაზე?! ნუთუ ასეთი ტრაგიკული და ავადმყოფური გამოხედვა მაქვს, რომ ხალხს გადაჩურჩულების სურვილიც დავეუკარგე?!“

ინსტიტუტის დირექტორს საშინლად მოუნდა, სარკეში ჩაეხედა. დუმილი ისედაც აუტანელი ხდებოდა. ფეხზე წამოდგა. სანამ განყოფილების გამგეები მოვიდოდნენ, დასასვენებელ ოთახში გავიდა. კარი შეიკეტა თუ არა, სათვალე მოიხსნა, მინის თაროზე დადო და სარკეს ეცა. სარკიდან მოღლილი, მოტეხილი კაცი დაუინებით შემოსცქეროდა. კახიშვილმა საკუთარ ანარეკლსაც ვერ გაუსწორა თვალი და მგერა გალურჯებულ ტუჩებზე გადაიტანა.

„რა მემართება? კაცმა რომ თქვას, რა მაქვს სანერვიულო? ბოლოს და ბოლოს, რა

მითხრა შესაშფოთებელი რამაზ კორინთელმა? საქმოსნების ტერმინი რომ ვიხმაროთ, წილში გაყვანა მთხოვა, მეტი ხომ არაფერი?! განა ამ ყმანვილის გამოჩენამდე არ ვნერვიულობდი? რა მანერვიულებდა? რასაკვირველია, გამოკვლევა, აკადემიკოს თავით გიორგაძის გამოკვლევა. უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც აუცილებლად უნდა ჩავიგდო ხელში”.

ოთარ კახიშვილმა მოსკოვში დაავალა კიდევ მეგობარს, ეპოვა სეიფის გახსნის ოსტატი. რასაკვირველია, მეგობარს როდი გაუხილა ჩანაფიქრი, რომ ჯერ ოსტატთან საიდუმლო მოლაპარაკებას აპირებდა სეიფის ჩუმად გასახსნელად! როცა აკადემიკოსის შრომა ახალი დირექტორის სანერი მაგიდის უკრაში გადაინაცვლებდა, აი, მერე კი, ერთი თვის შემდეგ, ოსტატს ხელახლა ჩამოიყვანდა თბილისში და გაიმართებოდა სეიფის გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

„შეიძლება კი ვენდო ვიღაც უცნობ ოსტატს?“ - შეეპარა ეჭვი ოთარ კახიშვილს.

„რასაკვირველია, ჩემი ჩანაფიქრი დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ერთიც ვნახოთ და რამაზ კორინთელი მართლაც არის გებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა?!. იგი ხომ წინასწარ მიხვდება ჩემს განზრახულს? მაშინ ხომ წერტილი დაესმება ჩემს ცხოვრებას?!“

კახიშვილმა წყალი მოუშვა. ცივი წყლით ჯერ თვალები ამოიწმინდა, მერე პირი დაიბანა და პირსახოცს მისწვდა.

„ჭკუასთან ახლოსაა, მივიღო სამსახურში, კარგად დავაკვირდე. თუ მართლა ნათელმხილველია, შიფრიც ეცოდინება. თუ არ არის, მალე გამომჟღავნდება და როგორც შანტაჟისტს, ისე გვაგადებ სამსახურიდან. მთავარია, გაუთვალისწინებელი და გაუაზრებელი არაფერი წამომცდეს, რასაც პროვოკაციულად გამოიყენებს მომავალში. როცა ნაშრომი ჩემს ხელთ იქნება, განმეორებით ჩავატარებ აკადემიკოსის მიერ უკვე



წარმატებით ჩატარებულ ექსპერიმენტებს. მერე კი, ვნახოთ. ალბათ არ გამიჭირდება კორინთელის თავიდან მოშორება. ბოლოს და ბოლოს, თუ ვერაფერს მოვეუხერხებ, მივაშავებ თანავატორობას. მეცნიერთა შორის მაინც ჩემი გვარი იტრიალებს. პრესაში, რადიო თუ ტელეგადაცემებში და ინტერვიუებში მე და მხოლოდ მე ვიქნები მთავარი გმირი. სრულიად უცნობი ახალგაზრდა ფიზიკოსის გვარი არავის გაახსენდება”.

თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, ინსტიტუტის დირექტორი მხრებში გაიმართა. გუნება ხელად გამოუკეთდა და ხელმეორედ დაასკვნა:

„ჯანდაბას, სხვა თუ ვერაფერი მოვეუხერხე, იყოს თანავატორი.

ყველას თვალში ნამდვილი ავტორი მაინც მე ვიქნები, ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ოთარ კახიშვილი და არა გუშინდელი სტუდენტი და ჩემივე აღზრდილი, ფეხზე დაყენებული და სამეცნიერო ასპარეზზე გამოყვანილი ახალგაზრდა ლაბორანტი რამაზ კორინთელი. ბოლოს და ბოლოს, მისი აღზრდითა და მეცნიერების დიდ გზაზე გაყვანითაც შემძლია ქულები მოვაცროვო, როგორც აღმზრდელმა, ტალანტების მაძებარმა, ჩვენი მეცნიერული მომავლისათვის მზრუნველმა და უშურველმა ადამიანმა, ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, მეცნიერმა და მოღვაწემ, რომელმაც ჩემს მოწაფესა და ასისტენტს გავუზიარე დაფნის გვირგვინი”.

ინსტიტუტის დირექტორმა იგრძნო, ძარღვებში სისხლმა ლალად დაიწყო დენა. კვლავ სარკეში ჩაიხედა. სიხარულით შენიშნა, თვალელებში სხივი ჩასდგომოდა. მინის თაროზე დადებული სათვალე განმინდა, ყურებზე კარგად მოირგო და ის იყო, კაბინეტში გამოსვლა დააპირა, რომ ისევ შეეკუმმა გული, ისევ გამოჩნდა ცაზე შავი ღრუბელი.

„მაგრამ... მაგრამ წმინდა სულია რამაზ კორინთელი? შეიძლება ეშმაკთან შეკავშირება?“

„ალბათ შეიძლება, რადგანაც არც ჩემი გზაა ღმერთისაკენ მიმავალი“.

ოთარ კახიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, კარი ენერგიულად გამოაღო და კაბინეტში შეაბიჯა.

ცენტრალური ლაბორატორიის გამგის, თამაზ ჭელიძის, გარდა ყველანი ისხდნენ და შეთანხმებულებივით სდუმდნენ. ჭელიძე ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. დირექტორის დანახვაზე მაგიდასთან მივიდა. სიგარეტი საფერფლეზე მოსრისა და ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე დაჯდა.

- მგონი, გალოდინეთ, არა? ბოდიშს გიხდით! - გაღიშება სცადა ოთარ კახიშვილმა, სავარძელში ჩაჯდა და ყველას თვალია მოავლო. თათბირის დაწყებას არ ჩქარობდა. გრძნობდა, მაინც ღელავდა. არ უნდოდა ლაპარაკისას თავი გაეცა.

- ალბათ გაგიკვირდათ, დღევანდელ დღეს ხომ საერთოდ არ ვინვეთ ხოლმე თათბირებს.

დირექტორი შეჩერდა. თითქოს ელოდა, ხომ არაფერს იტყვიანო. შეკითხვის ან აზრის გამოთქმის სურვილი არავის გასჩენია. ინსტიტუტის რჩეულ წარმომადგენლებს თავისი ტოლფასი მეცნიერის უფროსობა მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ. ამიტომაც თათბირზე აღარ იგრძნობოდა ის გაცხოველებული, შემოქმედებითი ატმოსფერო, აკადემიკოს დავით გიორგაძის დროს რომ სუფევდა ხოლმე. ოთარ კახიშვილის კაბინეტში თათბირზე ისე შემოდდიოდნენ, თითქოს რაღაც აუცილებელ და, ამავე დროს, სრულიად უაზრო რიტუალს ასრულებდნენ.

- დღეს აქ არ გვექნება საუბარი მეცნიერულ ან მიმდინარე საორგანიზაციო საკითხებზე. აგერ, თითქმის ერთი თვე გადის დავით გიორგაძის გარდაცვალებიდან. სამწუხაროდ, ინსტიტუტის გადაბარების გამო აკადემიკოსის სსოვნისათვის ვეღარ მოვიცალეთ. თუმცა, თამამად უნდა ვთქვა, ყურადღება არ მოგვიკლია არც განსვენებულის საფლავისათვის, არც ოჯახისათვის. ყველამ მშვენივრად იცით, რა სირთულებთანაა დაკავშირებული

ამოდენა კვლევითი ინსტიტუტის ჩაბარება. ჯერ თავად საქმეა უამრავი და შრომატევადი. შემდეგ ბევრი ფორმალური მხარეცაა მოსაგვარებელი. თითქოს კარგად ვიცნობდი ჩვენი ინსტიტუტის სტრუქტურას, თავისებურებებს, პრობლემებს, მაგრამ როცა საქმესთან პირისპირ დავდექი, იმდენი რამ არ მცოდნია, გაცემული დავრჩი. ბუნებრივია, ათასგვარ წერილმანში სწრაფად უნდა გავრკვეულიყავი. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერში გავერკვიე. ბევრი საკითხია ჯერ ღრმად შესასწავლი და გასაანალიზებელი. მაგრამ, ასეა თუ ისე, ძირითადი სამუშაო უკვე ჩატარებულია და დღეს უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა უნდა გავაკეთოთ დავით გიორგაძის სახელის უკვდავსაყოფად. მართალია, აგვისტოა, ბევრი ჩვენი კოლეგა შვებულებაშია, მაგრამ ვინცა ვართ, მოდით, ყველამ ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ერთმანეთს გულწრფელად ვერჩიოთ, რა გავაკეთოთ, რა მოვიმოქმედოთ. შემოთავაზებული წინადადებები ყურადღებით ავწონ-დავწონოთ და საკითხები ისე გადავჭრათ.

ოთარ კახიშვილმა იგრძნო, მღელვარებამ მთლიანად გაუარა. მისი ღიმილი უკვე აღარ იყო ნაძალადევი და ხელოვნური. თავი ლაღად იგრძნო, სიგარეტს მოუკიდა, სავარძლის საბურგეს გადააწვა და გემრიელად გააბოლა.

სიჩუმე ჩამოვარდა, ხმის ამოღებას არავინ ჩქარობდა.

- გამოთქვით თქვენი აზრი. შეიძლება წინასწარ არ გიფიქრიათ ამ საკითხზე, არც მე მიფიქრია. აი, ახლა იმპროვიზებულ საუბარში იქნებ უფრო დაიბადოს ცოცხალი და პრაქტიკული წინადადებანი.

ოთარ კახიშვილი არ ტყუოდა. მან ხომ მართლაც არ იცოდა და ვერც მიმხვდარიყო, თათბირის მოწვევა როდის გადანწყობდა. თავდაპირველად არც იცოდა, რა საკითხებზე, რა პრობლემებზე უნდა ელაპარაკა. იმ წუთში, როცა ხალხს დაუძახა, მართლა მოეჩვენა, რომ „ვიღაცამ“, დიახ, მის არსებაში ჩაბუდებულმა „ვიღაცამ“ უკარნახა, თათბირი ჩაატარეო. მდივან ქალს ისე მოახმობინა ხალხი, წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე უნდა

ელაპარაკა და ეთათბირა. ახლაც, ამ წუთშიც, გარდაცვლილ აკადემიკოსზე სრულიად მოულოდნელად დაიწყო საუბარი, მოულოდნელად, დაუფიქრებლად და გაუანალიზებლად. ეტყობა, ასე ყოფილა საჭიროო, დაასკვნა სავსებით დამშვიდებულმა. კმაყოფილების გრძნობაც კი დაეუფლა. მიხვდა, რომ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადადგა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. გადადგა, თუ რამაზ კორინთელის გუშინდელმა საუბარმა გადაადგმევინა? ახლა ამ ფაქტს აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგა. გადაიდგა საკმაოდ ენერგიულად, მიზანსწრაფულად.

სეიფს გახედა, ყავისფერ, მოჩუქურთმებულ, მაგრამ მაინც პირქუშ სეიფს. მოეჩვენა, რომ უძველესი გერმანული სეიფი სასამართლოზე მოყვანილი პატიმარით იდგა კუთხეში, მუხის ფიცრებით მოპირკეთებულ ნიშში. იდგა მორჩილად, მაგრამ ამაყად და ღირსეულად.

- რატომ სდუმხართ. სათქმელი არაფერი გაქვთ?

ბევრმა მხრები აიჩეჩა.

ელაპარაკის სურვილი მართო თამაზ ჭელიძემ გამოთქვა და ფეხზე წამოდგა.

- რა უნდა ვთქვათ? გულწრფელად რომ გითხრათ, ამ საკითხზე არც კი მიფიქრია. ჩემის აზრით, დავით გიორგაძე პირველ რიგში საკუთარმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა უნდა უკვდავჰყონ. დანარჩენი ყველაფერი გაკეთებულია, რაც, პირველ რიგში, მთავრობისა და მეცნიერებათა აკადემიის დამსახურებაა. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა აკადემიკოსის სახელი, თბილისშივე მეცნიერის ყოფილი საშუალო სკოლა გახდება დავით გიორგაძის სახელობისა. მოეწყობა საკავშირო მეცნიერული სიმპოზიუმი, რომელიც დაემთხვევა მისი გარდაცვალების პირველსავე წლისთავს. აკადემიის პრეზიდიუმმა აკადემიკოსის მეცნიერულ მემკვიდრეობაზეც იფიქრა. სხვა რაღა უნდა მოვიმოქმედოთ?

- მართალი ბრძანდებით, - დირექტორს აშკარად არ მოეწონა თამაზ ჭელიძის სიტყვა, - მაგრამ კონკრეტულად ვინ უნდა იზრუნოს გიორგაძის მეცნიერული მემკვიდრეობის მოსაწესრიგებლად? რასაკვირველია, ჩვენ! აკადემიკოსის ვაუი უგზოუკვლოდ დაიკარგა. დავით გიორგაძის ქვრივი, ქალბატონი ანნა, ისეა დასუსტებული და დამწუხრებული, საეჭვოა, რამეში გამოგვადგეს. ჩვენ უნდა მივხედოთ მეცნიერის არქივს, შევისწავლოთ, მოვანერვიოთ, პუბლიკაციისათვის მოვამზადოთ. დამეთანხმებით, აუცილებელი და საშური საქმეა დავით გიორგაძის მრავალტომეულის გამოცემა.

- არქივი მოიცდის. პირველ რიგში აკადემიკოსის ბოლო გამოკვლევაა მოსანახი და გამოსამზერებელი. - წამოიძახა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განყოფილების გამგემ ნოდარ ოდიშარია. თან თამაზ ჭელიძეს ისე შეხედა, თითქოს უთხრა, თუ დაამთავრე, ახლა მე ვილაპარაკებო.

თანხმობის ნიშნად ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი სკამზე დაჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

ნოდარ ოდიშარია დინჯად წამოიმართა.

- არ გინდათ ფეხზე წამოდგომა. დაბრძანდით და ისე ილაპარაკეთ.

- ბატონი ბრძანდებით, - ოდიშარია კვლავ სკამზე დაჯდა, - რამდენადაც ვიცი, დავით გიორგაძემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წელი ახალი ტიპის რადიოაქტიური გამოსხივების ვარაუდსა და დამტკიცებას შესწირა. ვფიქრობ, არავინ არ ვიცით, რა ეტაპზე დატოვა მან გამოკვლევა. თუ აკადემიკოსის საუბრის ფრაგმენტებს გავიხსენებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრობლემა საბოლოოდ ჰქონდა გადაჭრილი. თუ საქმე ბოლომდე არ ჰქონდა მიყვანილი, ჩემის აზრით, მიზანთან მაინც ძალიან ახლოს იყო. მსგავსი დასკვნების გამოტანა, ალბათ, ყველას შეგვიძლია. სიცოცხლის უკანასკნელ წელიწადს დავით გიორგაძის თვალეებში მხოლოდ სიხარული ციმციმებდა. თითქოს უფრო

ენერგიული გახდა, უფრო ტემპერამენტიანიც. გულსაც იოლადა გვიშლიდა, რაც ადრე არ სჩვეოდა. ვფიქრობ, ამნაირი გამოცოცხლება შედეგი იყო დიდი მეცნიერული გამარჯვებისა. მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი, რადიოაქტიურობა არ არის ჩემი კვლევის სფერო, იგი უშუალოდ თქვენი სპეციალობაა, ბატონო თთარ, მაგრამ მეც, უზარმაზარი ინტერესით ველი დავით გიორგაძის ნაშრომის გამომზეურებას. სად არის ამჟამად აკადემიკოსის ბოლო გამოკვლევა? სად არის მისი თეორიული მოსაზრებანი და ხუთი წლის მანძილზე ჩატარებული უწყვეტი საექსპერიმენტო მასალები?

თთარ კახიშვილს საფეთქლები დაეებრა. სისხლი ტვინს მიანვა. აფეთქებას აღარაფერი უკლდა. მიხვდა, ნოდარ ოდიშარია სადაც უკაკუნებდა. რადიოაქტიური გამოსხივების სპეციალისტი თვითონ თთარ კახიშვილი გახლდათ, თუმცა ახალ დირექტორს წარმოდგენა არ ჰქონდა არც აკადემიკოსის თეორიულ მოსაზრებებზე, არც ექსპერიმენტის შედეგებზე. თუ ძალზე ზოგად და არაფრისმოქმელ სათაურს არ ჩავთვლით, - „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი“, - თთარ კახიშვილმა სხვა არაფერი იცოდა, რა ბუნებისა იყო მეხუთე ტიპის გამოსხივება და რა მიმართულებით აწარმოებდა კვლევას ყოფილი დირექტორი. თთარ კახიშვილს შეეშინდა, კონტროლის გრძნობა არ დაეკარგოთ, გაღიმება სცადა და ნაძალადევი სიმშვიდით თამაზ ჭელიძეს მიუბრუნდა.

- როგორც ხედავთ, მართალი ვყოფილვარ, მთავარი საქმე ჩვენ გვექონია მოსაგვარებელი, - შემდეგ ყველას გადახედა, - როგორ ფიქრობთ, სად უნდა იყოს დავით გიორგაძის ახალი გამოკვლევა?

- სად უნდა იყოს? - გამომწვევად გაიმეორა შეკითხვა ნოდარ ოდიშარიამ, თან ფეხზე წამოდგა, - ან ლაბორატორიაში, სადაც აკადემიკოსი ხუთი წლის მანძილზე საიდუმლოდ მუშაობდა, ან ამ კაბინეტში, ან სახლში.

- ნელან ხომ გთხოვეთ, დამსხდრებმა ვილაპარაკოთ-მეთქი. საწარმოო თათბირზე როდი

ვიმყოფებით, არც დიდი საბჭო გვაქვს. მოდით, წყნარად, ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე ვისაუბროთ, ჩვენი დიდი მეგობრისა და კოლეგის საპატივცემულოდ რაღაც პრაქტიკული და სასარგებლო გადაწყვეტილებანი მივიღოთ!

ყველანი მიხვდნენ, ოთარ კახიშვილის მიერ წყნარად წარმოთქმულ ფრაზებში სიბრაზე გამოსჭვიოდა.

- ბატონი ბრძანდებით! - ოდიშარია გამომწვევად დაჯდა, საბურგეს მიაწვა და სკამი უკანა ფეხზე შეაყენა. - თქვენ, თუ არ ვცდები, რამდენჯერმე უკვე იყავით აკადემიკოსის ლაბორატორიაში. ხომ არ გინახავთ იქ ნაშრომის თუნდაც ფრაგმენტები ან ექსპერიმენტის შედეგების გარკვეული ნაწილი?

- გულწრფელად რომ გითხრათ, ლაბორატორიაში სამჯერ ვიყავი არჩილ თევდორაძესთან და პარტიული კომიტეტის მდივანთან ერთად, თანაც ვიყავი ჩემი დირექტორად დანიშვნის შემდეგ. მანამდე, აკადემიკოსის ავადმყოფობის პერიოდში, კარგად მოგეხსენებათ, ლაბორატორია დალუქული იყო კომისიის მიერ. ალბათ დამეთანხმებიან არჩილ თევდორაძეცა და პარტორგანიზაციის მდივანიც, რომ ხელი არაფრისთვის გვიხლია, ლაბორატორია მხოლოდ დავათვალიერეთ. ეს იყო და ეს.

- აბა, იქნებ არცა გვაქვს საძებრად საქმე, - თქვა მხიარულად ნოდარ ოდიშარიამ, - იქნებ მართლაც ლაბორატორიაშია სადმე აკადემიკოსის გამოკვლევა.

- ადვილი შესაძლებელია! - დაიძახა ვილასამ.

ოთარ კახიშვილმა ირონიულად ჩაიცინა და თითებით კალმისტარს დაუწყო წვალება.

- არა მგონია, მეგობრებო, და აი, რატომ. დავით გიორგაძეს ინფარქტი დაემართა თოთხმეტ იანვარს, ცნობიერება კი დაკარგა (უნდოდა ეთქვა, ჭკუაზე შეცდაო, მაგრამ

დროზე მიხვდა, უტაქტოდ გამოუვიდოდა) მარტის ბოლოს. ორი თვის მანძილზე, მართალია, ხშირად ვერ ვნახულობდით, მაგრამ ვისაც მასთან შეხვედრა გვინევდა, დამეთანხმებიან, რომ აკადემიკოსი ძველებურად საღად ამროვნებდა. როცა ვუთხარი, თქვენი ლაბორატორია დავლუქეთ-მეთქი, ამ საუბრის შემსწრე არჩილ თევდორაძე დამემონშება და მგონი, მაშინ საჯაროდაც განვაცხადე, აკადემიკოსმა გაიღიმა და მითხრა, რა საჭირო იყო. მართალი ვარ? - მიუბრუნდა დირექტორი თავის მოადგილეს.

არჩილ თევდორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

„ამოიღე ხმა!“ - იყვირა გულში გაცოფებულმა კახიშვილმა.

- თეორიული შრომა ან ექსპერიმენტის მასალები ლაბორატორიაში რომ ჰქონოდა, - განაგრძო ინსტიტუტის დირექტორმა, - აუცილებლად დაიბარებდა თავის ლაბორანტებს ან ჩვენ და დაგვავალებდა, ყველაფერი შეგვეკრიბა, მოგვეწესრიგებინა და დირექტორის კაბინეტში ან სახლში დაგვებინავებინა. ათასგვარ დავალებებს გვაძლევდა დავით გიორგაძე საავადმყოფოდან, ათასგვარი მსხვილმანი თუ წვრილმანი პრობლემებით ინტერესდებოდა, თავისი გამოკვლევა კი თითქოს არც ახსოვდა. აქედან ხომ არ შეგვიძლია გამოვიტანოთ ერთი უბრალო დასკვნა, - დირექტორის ხმას თანდათან შეეპარა სიმტკიცე, - რომ მას, დავით გიორგაძეს, თავისი გამოკვლევა და ექსპერიმენტული მასალები უკვე საიმედოდ ჰქონდა დაბინავებული და მხოლოდ გამოჯანმრთელებას ელოდა?

თანხმობის ნიშნად, ყველამ თავი დაიქნია.

მხოლოდ ნოდარ ოდიშარიამ თქვა ხმამაღლა:

- გამოდის, რომ აკადემიკოსს გამოკვლევა ან კაბინეტში აქვს შენახული, ან შინ!



- სამწუხაროდ, შინაც ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ყოველმხრივ შეგვიწყო ხელი ქალბატონმა ანნამ, მაგრამ, დამეთანხმებიან არჩილ თევდორაძე და პარტორგანიზაციის მდივანი ბატონი როსტომი, რომ, სამწუხაროდ, ნაშრომის ერთი პატარა პარაგრაფიც ვერ ვიპოვეთ. რაც შეეხება კაბინეტს, კაბინეტში ოთხ კაცთან ერთად შევედი. ესენი იყვნენ არჩილ თევდორაძე, ბატონი როსტომი, ადგილკომის თავმჯდომარე, დირექტორის პირადი მდივანი და მე. ყველაფერი აღვწერეთ, ოქმი შევადგინეთ, პირადი ნივთები მარინე დვალის ხელით ქალბატონ ანნას გავუგზავნეთ. დავით გიორგაძის გამოკვლევა რომ სადმე გვენახა, ბუნებრივია, ყველას გვეცოდინებოდა.

- მამ, სად უნდა იყოს? - ნამოიძახა რამდენიმე კაცმა ერთად.

ოთარ კახიშვილი ლაპარაკის გაგრძელებას არ ჩქარობდა და თანამშრომლებს ყურადღებით ათვალეიერებდა. თითქოს უნდოდა გამოეცნო, რას ფიქრობდნენ, ეჭვი ხომ არაფერში ეპარებოდათ.

„სეიფს რატომ არავინ ახსენებს?“

„იქნებ იციან კიდეც, რომ დავით გიორგაძეს სეიფში აქვს ნაშრომი შენახული და ჩემი გამოცდა სურთ?“

„არ გამოგივათ, ვაუბატონებო!“ - დამეუქრა ყველას გულში და უცებ საბეიშოდ წამოიწყო:

- ბატონებო, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ კაბინეტში დგას მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმის „კრუპი და კომპანიას“ მიერ დამზადებული უზარმაზარი ძველი, გერმანული სეიფი?!

დირექტორი მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა და თანამშრომლებს ღიმილით გადახედა.

სეიფის ხსენებამ მართლაც დიდი ეფექტი მოახდინა. უცებ ყველამ ნიშისაკენ გაიხედა და მონიკელებულ მრგვალ სახელურს დაასო მგერა. ისინიც, ვინც ზურგით ისხდნენ სეიფისაკენ, სკამებიანად სანახევროდ შემობრუნდნენ და შიფრის ასაკრეფი ხუთი რგოლი ისე შეათვალიერეს, თითქოს პირველად ხედავდნენ.

- რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით გიორგაძის ნაშრომი ამ სეიფშია მოთავსებული?! ამიტომაც ხომ არ იყო მშვიდად მოხუცი აკადემიკოსი? ჩვენს ყოფილ დირექტორს ცნობიერების დაკარგვამდე ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ გამოჯანმრთელდებოდა და ინსტიტუტს დაუბრუნდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბატონი დავითი აუცილებლად დანერდა ანდერძს, საავადმყოფოშივე მოითხოვდა გამოკვლევის გამომზეურებას და რეგისტრაციას. გამოიძახებდა პრესის წარმომადგენლებს. მგონი, მართალი ვარ, არა?

- რასაკვირველია, მართალი ბრძანდებით! - პირველად ამოიღო ხმა არჩილ თევდორაძემ.

- ნამდვილად მართალი ბრძანდებით! - თავი დაუქნია ნოდარ ოდიშარიაძემ.

- გულწრფელად რომ გითხრათ, ეჭვიც არ მეპარება, რომ გამოკვლევა სეიფშია. იქ, რომელიმე თაროზეა მოთავსებული, აკურატულად გადაბეჭდილი და გამზადებული, ისე, როგორც ბატონ დავითს სჩვეოდა. მაგრამ რა ვქნათ? როგორ გავხსნათ სეიფი? - ღიმილით გააგრძელა ოთარ კახიშვილმა. მიხვდა, მიზანში მოახვედრა და უკვე საბოლოოდ დამშვიდდა. დირექტორის სავარძელსაც უფრო თავისუფლად მოერგო, უდარდელად შეატრიალ-შემოატრიალა და უხერხულობის ტვირთიც საბოლოოდ მოიხსნა.

- დიახ, ჩვენ ვდგავართ დილემის წინაშე, როგორ გავხსნათ სეიფი? ხუთნიშნა შიფრი აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ საფლავეში ჩაიტანა. მილიარდი კომბინაციიდან ვინ გამოიცნობს ყოფილი დირექტორის მიერ აკრეფილ ციფრებს? დამეთანხმებით,

მამაბეციერის კი ვერ გაართმევდა თავს ამ პრობლემას. საქართველოში მსგავსი სეიფის გამხსნელი ოსტატი არ მეგულება. სპეციალისტები მოსკოვსა და ლენინგრადში უნდა ვეძებოთ. მოდით, მივწეროთ სათანადო ორგანიზაციას, გამოგვინახოს ვინმე სპეციალისტი. ვფიქრობ, მათი მოძებნა და ჩამოყვანა არ გაგვიჭირდება. სეიფის გახსნის წინ შევადგინოთ კომისია, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს გარდა კომისიაში უნდა მოვიწვიოთ აკადემიის ორი თუ არა, ერთი წარმომადგენელი მაინც. როცა ყველა ტექნიკური საქმე მოგვარდება, საზეიმოდ დავნიშნოთ სეიფის გახსნის დღე, მოვიწვიოთ პრესის, ტელევიზიის მუშაკები, საჯაროდ აღვწუხოთ სეიფში მოთავსებული გამოკვლევები, საბუთები და, საერთოდ, ყველაფერი, უმნიშვნელო ჩანაწერები და ნივთებიც კი.

ოთარ კახიშვილმა ისევ გადახედა თანამშრომლებს. ისევ წაიკითხა მათ სახეებზე თანხმობა და მოწონება. კიდევ უფრო დაეუფლა გამარჯვების განმტკიცებით გამოწვეული სიხარული.

- მამ, თუ თქვენ თანახმა იქნებით, მე და არჩილ თევდორაძე დავუკავშირდებით მოსკოვს!

- და, რაც შეიძლება მალე! - წამოდგა ფეხზე ნოდარ ოდიშარია, - ვინ იცის, იქნებ ხვალ სულ სხვა მეცნიერმაც გადაჭრას ის პრობლემა, რის გამოკვლევასაც დავით გიორგაძემ ხუთი წელი შეხსნია. რატომ უნდა დავკარგოთ პრიორიტეტი?

- მართალი ბრძანდებით. ჩათვალეთ, რომ დღეს თუ ვერ მოვახსნარით, ხვალ დილის ათ საათამდე მოსკოვს ვაცნობებთ ჩვენს თხოვნას. ახლა კი, თუ აზრის გამოთქმა არავის სურს, დავამთავროთ დღევანდელი თათბირი.

კახინეტი სწრაფად დაიცალა.

ოთარ კახიშვილი სავარძელში უძრავად იჯდა. სახეზე კმაცოფილება და სიამაყე ერთმანეთს შერწყმოდა. როცა კაბინეტი უკანასკნელმა კაცმა დატოვა, სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და მდივანს უთხრა, სანამ მე არ გეტყვი, კაბინეტში არავინ შემოუშვაო.

„ნუთუ მართო მე მივხვდი, რომ დავით გიორგაძის გამოკვლევა სეიფშია? დავიჯერო, არც ერთს არ მოსვლია თავში იგივე აზრი? და თუ მოუვიდათ, ხმას რატომ არ იღებდნენ? არჩილ თევდორაძემ მაინც რატომ არ გამოთქვა თავისი მოსაზრება, როცა კაბინეტი დავათვალიერეთ და აკადემიკოსის ნივთები ქალბატონ ანნას ავეტანეთ? იქნებ ყველანი მცდიდნენ? იქნებ ელოდნენ, როგორ მოვიქცეოდი, რას მოვიმოქმედებდი? მით უფრო ჩავარდნით დღეს კოვზი ნაცარში. მით უფრო მიმიყენებია მათთვის საკადრისი დარტყმა!“

სიხარულით და კმაცოფილებით ატაცებულმა დირექტორმა სელექტორის კლავიშს ისევ დააჭირა თითი.

- გისმენთ! - მოესმა მარინეს ხმა.

- ხომ არავის დაურეკავს?

- არავის.

- სულ არავის?

- სულ არავის.

ოთარ კახიშვილი ვერ დაინახავდა, მარინე დვალს ბაგებზე ირონიული ღიმილი როგორ გამოუხატა. ადამიანების ფსიქოლოგიაში კარგად გათვითცნობიერებულმა პირადმა

მდივანმა მშვენივრად იცოდა, ინსტიტუტის ახალი დირექტორი როგორ ელოდა რამაზ კორინთელის ბარს. თუმცა, არანაკლები ინტერესით ელოდა თვითონ, როდის დარეკავდა, ან როდის მოვიდოდა თაფლისფერთვალეზიანი, მაღალი, ათლეტური და ძალზე უცნაური ჭაბუკი.

„ხომ გაიგებს ჩვენი დღევანდელი თათბირის ამბავს? ნეტავ რა დასკვნას გამოიტანს? ხომ მიხვდება, რომ ფეხებზე დავიკიდე მისი ნათელმხილველობა და პროვოკაციული თუ მაცთუნებელი წინადადება? ვითომ არც იმას დაიჯერებს, რომ არ ვაპირებ მივითვისო აკადემიკოსის გამოკვლევა და ვცდილობ, რაც შეიძლება მალე გავხსნა სეიფი, რომ დროზე გამოვამზეურო ყოფილი დირექტორის ნაშრომი?!“

ოთარ კახიშვილი ფეხზე წამოდგა და საწერ მაგიდაზე მიდგმული გრძელი მაგიდის გასწვრივ ბოლთის ცემას მოჰყვა.

„ოსტატი, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩამოვიყვანო, რომ სეიფი ჩუმად გავხსნა. როცა ჩემს საქმეს მოვაგვარებ, შევუთანხმდები, რომ ორი თვის შემდეგ ოფიციალურად ჩამოვიდეს. მიზნის მისაღწევად არაფერი არ უნდა დავიშურო, მაგრამ შეიძლება კი უცნობ ოსტატს ენდო? იქნებ შეშინდეს ან შეთქმულის გასამრჯელო იუკადრისოს? იქნებ კაცი, რომელსაც ასეთ საქმეს ანდობენ, სულელური პატიოსნებით არის შეპყრობილი და დაავადებული?“

ოთარ კახიშვილის სხეულში ძაბვის ისარი სასტიკად მერყეობდა.

„მოლაპარაკება საიდუმლოდ უნდა მოხდეს. არც კი უნდა იცოდეს, კონკრეტულად ვინ ვარ და რომელი დანქნებულების სეიფის გახსნას მოვითხოვ. თუ საიმედო კაცი შემრჩა, მხოლოდ მერე გავცნობი და მერე მივცემ ნამდვილ მისამართს. თუ ვერ დავითანხმე, სხვა ვინმე უნდა მოვძებნო. ოსტატის ოფიციალურ მიწვევას ორ თვემდე თავისუფლად გავაჭიანურებ, მაგრამ ამ დროში თუ ვერავის მოველაპარაკე, ხომ დაილუპა ყველაფერი?“ - კახიშვილის სხეულში ძაბვის ისარი თითქმის ნოლზე დავარდა.

„რა მოხდება მაშინ?“

„რა მოხდება მაშინ?“

„რამაზ კორინთელი?“

„იქნებ რამაზ კორინთელმა იცის კიდევ შიფრი?“

„თუ მართლა ნათელმხილველია, ისედაც ხომ გამოიცნობს ჩემს ჩანაფიქრს, ხომ გაიგებს ჩემს საიდუმლო მოლაპარაკებას?!“

„რამაზ კორინთელი!“

„ღმერთო, შენ დამიფარე!“

„ხვალავე უნდა მივიღო სამსახურში, ხვალავე! თუ მართლა ნათელმხილველია, ხვალავე უნდა გამოიცნოს სეიფის შიფრი, თუ არა და მეცოდინება, რომ შანტაჟისტია და მშვიდად ვიქნები, რომ ვერავითარ ჩემს ჩანაფიქრს და საიდუმლო მოლაპარაკებათა შინაარსს ვერ გაიგებს!“

„და თუ მართლა ნათელმხილველია, მაშინ?“

„მაშინ...“

„მაშინ, ერთის მხრივ, საქმე გაიოლდება, სეიფს უმტკივნეულოდ გავხსნით, მაგრამ, მეორე მხრივ, კორინთელის თანაავტორობას ველარ ავიცილებ?“

„თუმცა...“

„თუმცა, ნუ ვიჩქარებთ...“

ახლა მთავარია გადავჭრა ორი პრობლემა. პირველი, რაც შეიძლება გავაჭიანურო მოსკოვიდან ოსტატის ოფიციალური ჩამოფრენა, ხოლო მანამდე თვითონ მოვასწორო სეიდის გახსნა. მეორე, სასწრაფოდ გამოვარკვო ნამდვილად ნათელმხილველია თუ არა რამაზ კორინთელი. თუ მხოლოდ შანტაუს მიწყობს, კინწისკვრით გავაგდებ გარეთ. დღევანდელი თათბირის შემდეგ ვედარავის დააჯერებს, რომ მე განსვენებული აკადემიკოსის ნაშრომის მითვისებას ვაპირებ. მაინც რა ბედზე მოვიწვიე დღევანდელი თათბირი. ვინ მიკარნახა, ვინ მიბიძგა მისი ჩატარება? ღმერთმა? განგებამ? ფაქტია, რომ ათიანში მოვახვედრე! - ოთარ კახიშვილმა კმაყოფილებით მოიფმენიბა ხელები, - მეორე პრობლემა ხვალვე ან უახლოეს დღეებში უნდა გადავჭრა. რამაზ კორინთელს შტატს გავუმზადებ, თავს ისე მოვაჩვენებ, თითქოს შევთანხმდით. ამასობაში საბოლოოდ გავარკვევ მისი ბებუნებრივი ნიჭის ამბავს“.

ოთარ კახიშვილი ენერგიული ნაბიჯებით მივიდა მაგიდასთან, სავარძელში ჩაჯდა და სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა.

- გისმენთ! - მოესმა არჩილ თევდორაძის ხმა.
- არჩილ, ჩვენ მგონი ლაბორანტის ადგილი უნდა გვეჩონდეს თავისუფალი.
- ლაბორანტის ადგილზე ხომ ის გოგონა ავიყვანეთ...
- რომელი გოგონა! - გაბრაზდა დირექტორი.
- აი, ის, აკადემიიდან რომ დარეკეს.
- ჰოო! - გაახსენდა ოთარ კახიშვილს და დაფიქრდა.

- პრეპარატორის ადგილი გვაქვს თავისუფალი! - მოესმა თევდორაძის ხმა.

- ძალიან კარგი! - გახალისდა კახიშვილი, - ახლავე მოელაპარაკეთ ბუღალტერს და პრეპარატორის შტატი ლაბორანტის შტატად გადააკეთეთ. ხვალ ან ამ კვირაში ერთი ძალიან ნიჭიერი კაცი უნდა მივიღოთ, ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი. ვინც მისი მიღება მთხოვა, ძალიან მიქო, უნიჭიერესი ყმანვილიაო. ნიჭიერ ხალხს, მით უმეტეს ახალგაზრდობას, მხარი უნდა დავუჭიროთ. თუ არ ვცდები, მისი სახელი და გვარია რამაზ კორინთელი. დიახ, რამაზ მიხეილის ძე კორინთელი.

- რამაზ მიხეილის ძე კორინთელი! - გაიმეორა დირექტორის მოადგილემ. ინტონაციაზე ეტყობოდა, ჭაბუკის სახელი და გვარი საგანგებოდ ჩაიწერა.

- კარგი იქნება, თუ ხვალ დღის ბოლომდე მოაგვარებთ შტატის გადაკეთების საქმეს.

- ბატონი ბრძანდებით.

სელექტორის კლავიშის ქვეშ ნათურა ჩაქრა.

- რამაზ მიხეილის ძე კორინთელი! - ჩაილაპარაკა დირექტორმა - ერთიც ვნახოთ და მართლა აღმოჩნდა ნათელმხილველი, მაშინ?

ოთარ კახიშვილი დაფიქრებული წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და დაბლა გადაიხედა.

შეკრთა, ცივმა ოფლმა დაასხა.

ზუსტად იმავე ადგილზე, როგორც გუშინ და ამ ოთხი დღის წინ, წითელი „ვიგელი“ დაინახა, მანქანის წინა კარს მიყრდნობილი ქერა, გრძელფეხებიანი ქალიშვილი უდარდელად აკვირდებოდა გამვლელ-გამომვლელთ.



„ნეტავ როდის მოვიდა?“ - გაფიქრებაც ვერ მოასწრო ოთარ კახიშვილმა, რომ მოჩვენება სადღაც გაქრა.

# თავი მეცამეტე

რამაზ კორინთელმა კაბინეტის კარი ჯიქურ გამოაღო. მდივანი ქალი შეკრთა და უნებურად ფეხზე წამოვარდა.

ჭაბუკს თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

- შედი, ცუდად არის! - სხვათა შორის ჩაილაპარაკა კორინთელმა და მოსაცდელი ოთახიდან სწრაფად გავიდა.

„შედი!“ - არ მოეწონა მარინეს. მიხვდა, განსჯის დრო არ იყო და დირექტორის კაბინეტში შევარდა.

სავარძელზე გადწოლილ ოთარ კახიშვილს თვალები ჭერისთვის მიეპყრო. ნაირფერებზედ აჭრელელებული სახე აპლიკაციას მიუგავდა. ღრმად და მძიმედ სუნთქავდა. სუნთქვასა და სუნთქვას შორის იმოდენა პაუზებს აკეთებდა, მარინე დვალი შიშმა აიტანა, ხელში არ ჩამაკვდესო.

- რა დაგემართათ? - შეშინებულმა და შეშფოთებულმა მდივანმა დირექტორს შუბლზე ხელი დაადო. შეკრთა, კახიშვილს შუბლი ისე უხურდა, ქალს ეგონა, ხელისგული ცხელ უთოს დავადეთო.

- რა ვქნა? - თითქმის ტირილით ჰკითხა კახიშვილს.

- კაბინეტი დაკეტეთ, არავინ შემოვიდეს! - ძლივს ამოთქვა დირექტორმა.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ მარინეს, ოთარ კახიშვილის დავალება ხსნად მოეჩვენა. უმაღვე კარისკენ გაიქცა, ორთავე კარი სწრაფად დაკეტა და ისევ დირექტორთან გაჩნდა.

- ექიმს ხომ არ გამოვუძახო?

ოთარ კახიშვილმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მარინე უაზროდ იდგა, აღარ იცოდა, რა ექნა. ახალი ბრძანების მოლოდინში დირექტორს გაფაციცებული შესჩერებოდა.

- იქნებ ყავა მოგიდულოთ?

- არ მინდა! - კახიშვილი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

„სიზმარი იყო თუ ცხადი?“

- „რასაკვირველია, ყველაფერი ცხადში მოხდა!“

- „ვინ არის რამაზ კორინთელი? ადამიანი? სატანა?“

კორინთელი რომ ნათელმხილველი იყო, კახიშვილს იოტისოდენა ეჭვიც აღარ ეპარებოდა, მაგრამ რატომ უწვავდა სახეს ჭაბუკის აღგზნებული თვალებიდან გამოფრქვეული სხივები?

\* \* \*

ოთარ კახიშვილი დილით აღრენილი მოვიდა სამსახურში, უძინარი და თავგასიებული. მთელი ღამე სიზმარმა არ მოასვენა. უფრო სწორად, ერთმა გრძელმა და წყვეტილმა სიზმარმა. საიდანღაც ბინაში კოდალა მოფრინავდა. შავი, უზარმაზარი კოდალა და საფეთქლებში უკაკუნებდა გრძელ ნისკარტს. ტკივილებისგან ფეხზე წამოიჭრებოდა, კოდალას დაჭერას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. კოდალა ერთ წამში

გაქანდებოდა და ქუჩაში ხის ტოტზე ჯდებოდა. საგანგებოდ კეტავდა ყველა ფანჯარას, მაგრამ ამაოდ, დაიძინებდა თუ არა, კოდალა ისევ ჯიუტად უხვრეტდა საფეთქლებს.

გამოიღვიძებდა, ლოგინზე წამოჯდებოდა, თვალეხს უაზროდ აცეცებდა. ბოლოს, როცა დარწმუნდებოდა, სიზმარი საბოლოოდ გავფანტეო, კვლავ დაძინებას ცდილობდა. თხუთმეტი-ოცი წუთის წრიალის შემდეგ ისევ ჩაეძინებოდა, მაგრამ სიზმარიც ისევ გრძელდებოდა. უზარმაზარი შავი კოდალა ჯიუტად ცდილობდა ოთარ კახიშვილის საფეთქლების გახვრეტას.

უკანასკნელად ექვს საათზე გაიღვიძა. გაცოფებული წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, წვერი გაიპარსა და სამუშაოს მიუჯდა. თავი ისე ჰქონდა დამძიმებული და გახურებული, ისე დუნედ და მძიმედ აბროვნებდა, ეგონა, ტვინის მაგივრად თავში მდუღარე ტყვია ჩამასხესო.

- ოთარ! - უთხრა საუზმეზე მეუღლემ, - სერიოზულად მაფიქრებს შენი ფსიქიური მდგომარეობა. ეტყობა, არაა ინსტიტუტის დირექტორობა შენი საქმე. ხომ არ ჯობია, ახლავე დაწერო განცხადება და შენს ძველ ადგილს დაუბრუნდე?

- შენ მაინც ნუღარ მიშლი ნერვებს! - დაუღრჯიალა კბილები მეუღლეს და სავსე ჭიქას ხელი ჰკრა. ჭიქა გატყდა, ადუღებული წყალი მაგიდიდან იატაკზე გადმოიღვარა.

ოთარ კახიშვილი წამოდგა, პორტფელი მონახა და სამსახურში წავიდა. ღია გაუნძრევლად იჯდა. ვერ გაეგო ქმრის თავს რა ამბავი ტრიალებდა.

- დარეკა ვინმემ? - შესვლისთანავე ჰკითხა მდივან ქალს.

- არავის არ დაურეკავს.

- სულ არავის?

- სულ არავის.

ოთარ კახიშვილი კაბინეტში შევიდა. პორტფელი, ჩვეულებისამებრ, გვერდით პატარა მაგიდაზე დადო და სიგარეტი ამოიღო.

საქალაქში რამაზ კორინთელის სავიზიტო ბარათს მოჰკრა თვალი. ამოიღო და წინ დაიდო.

მეექვსე დღე იყო, რამაზ კორინთელი არ გამოჩენილა. ოთხი დღის წინ გადანწყვიტა თვითონვე დაერევა უცნაური ჭაბუკისთვის. დიდი ენერჯის ფასად დაუჯდა თავის შეკავება. თავს იმშვიდებდა, აუცილებლად თვითონ დამირეკავსო, მაგრამ კორინთელი დუმდა.

„იქნებ მანიაკი ან გიჟი იყო და საერთოდ შემეშვა?“ - გაიფიქრა უცებ.

„არა, რამაზ კორინთელი არ ჰგავდა არც მანიაკსა და არც გიჟს“, - დაასკვნა თვითონვე და უმაღვე წითელ ჟიგულზე მიყრდნობილი მაღალი, ქერა, გრძელფეხებიანი ქალიშვილი დაუდგა თვალწინ.

დამძიმებულ თავში ძლივს ჩამოაყალიბა მარტივი გადანწყვეტილება, მოდი, მე თვითონ დავერეკავო. თითქო შვება იგრძნო, ტელეფონი გადმოიყვანა და ნომრის აკრეფა დაიწყო. უცებ გადაიფიქრა. მდივანს დავარეკინებ, ლანჩირაკს თავი რატომ გავუტოლოო, გადანწყვიტა კახიშვილმა და სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა.

- გისმენთ!

- რამაზ კორინთელს დამაკავშირეთ!

- ნომერი რომ არ ვიცი?

- ახლავე გეტყვით.

ინსტიტუტის დირექტორმა სავიზიტო ბარათს დახედა და მარინეს კორინთელის ტელეფონის ნომერი უკარნახა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოწვა.

რამაზ კორინთელთან დალაპარაკების მოლოდინში ნერვები დაწყვეტამდე დაეჭიმა.

ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ სელექტორის კლავიშის ქვეშ სინათლე აინთო.

ოთარ კახიშვილმა კლავიშს თითი დააჭირა.

- გისმენთ.

- რამაზ კორინთელია ტელეფონთან! - მოესმა მარინეს ხმა.

ხელაკანკალებულმა ყურმილი აიღო და ტელეფონი გადმოიყვანა.

- გისმენთ! - თქვა ხმადაბლა და დინჯად. არ უნდოდა მღელვარება დასტყობოდა.

- მე გისმენთ, ბატონო ოთარ, თუ არ ვცდები, თქვენ დამირეკეთ, არა?

- ჰო, მე დავარეკინე! - დაიბნა დირექტორი.

- სხვათა შორის, თქვენს ზარს ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ველოდი.

- საეროდ არ ვაპირებდი დარეკვას, მაგრამ მდივანმა მითხრა, ვილაც ახალგაზრდამ დაგირეკათო. ვიფიქრე, რომ თქვენ იყავით.

- ტყუილად გიფიქრიათ. მე მგონი, გარკვევით გითხარით, რომ თუ ჩემი წინადადება ჭკუაში დაგიჯდებოდათ, თქვენ უნდა დაგერეკათ. თქვენ არ დარეკეთ. თანაც მეორე დღესვე თათბირი ჩაატარეთ და დაადგინეთ, მოსკოვიდან სეიფის გამხსნელი ოსტატი მოიწვიოთ. ბატონო დირექტორო, მე თქვენი თანამშრომლებივით გულუბრყვილო არ გეგონოთ. ვიცი, ჯერ ოსტატს მოელაპარაკებით, რომ სეიფი ჩემად გახსნათ. როცა აკადემიკოსის შრომას ხელთ იგდებთ და საიმედოდ გადამალავთ, მხოლოდ ამის შემდეგ გახსნით სეიფს ოფიციალურად. ნუ გიკვირთ, ბატონო დირექტორო, გასაკვირი არაფერია, - კორინთელმა ისევ უხვად და გულდასმით ამოავლო ირონიაში სიტყვა „ბატონო“, - სხვათა შორის მინდა მოგახსენოთ, რომ არავითარი ნათელმხილველობა არ დამჭირვებია თქვენი არცთუ რთული ეშმაკობის გასაშიფრად. ცოტა ინფორმაცია, ცოტა ანალიზი და თქვენი არცთუ მთლად პატიოსანი გეგმები ჩემთვის დღესავით ნათელი გახდა.

- ერთ წუთს მომისმინეთ... - თთარ კახიშვილი შეეცადა, როგორმე სიტყვა გაენწყვიტინებინა. ჭაბუკის ნათქვამმა ისე ააღელვა, საკუთარი ნერვების ბადეში გაბმული თევზივით აფართხალდა.

- ჯერ მე მომისმინეთ ბოლომდე. მერე რამდენიც გნებავთ, იმდენი ილაპარაკეთ. გულწრფელად რომ გითხრათ, უფრო ჭკვიანი მეგონეთ. ჩემი ჯენტლმენური წინადადება არ მიიღეთ. სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო! თუ ჩემს ათასჯერ გაანალიზებულ წინადადებას მიიღებდით, ყველა პრობლემა უბრძოლველად, იოლად და უკვალოდ გადანწყდებოდა. სამწუხაროდ, თქვენ სამინლად ხარბი აღმოჩნდით, ბატონო დირექტორო, სამინლად ხარბი. ნუ გენწყინებათ, საკუთარ გულში ჩაიხედეთ, თვითონაც ხომ გჯერათ, რომ სიმართლეს გეუბნებით. ჩემი ფასდაუდებელი სამსახურის სანაცვლოდ თანაავტორობაც კი ვერ გამოიმეტეთ. თანაც ვის ნაშრომზე, თქვენი საკუთარი მაინც იყოს! რა გაენწყობა. დღეიდან ვინცებ დამოუკიდებელ მოქმედებას. ვადიარებ, რთულ საქმესთან მარტოდმარტო შეჭიდება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩენია. ჩემსას მაინც მივალწევ. თქვენ კი, ბატონო დირექტორო, პირობას ვერ მოგცემთ, რომ თქვენი სიხარბე საერთოდ არ დაგტოვებთ მშრალზე!

- შეიძლება ჩემთან მობრძანდეთ? - ხმა გაეზარა ოთარ კახიშვილს.

- აქვს კი აბრი?!

- მობრძანდით, ერთხელ კიდევ მოვილაპარაკოთ და კარგად ავწონ-დავწონოთ მოვლენები.

მცირე დუმილი.

- ალო, გესმით?

- მშვენივრად მესმის, ნუ ლელავთ. მე მხოლოდ ვფიქრობ, ღირს კიდევ თქვენთან შეხვედრა? თქვენ ჩემი შესაძლებლობანი არ დაიჯერეთ. ალბათ იმიტომ, რომ ვერ ჩასწვდით და ვერ შეიგრძენით. მეეჭვება, რომ ახლა მაინც გამიგებთ.

- მობრძანდით, აქ ვილაპარაკოთ. პირდაპირ წამოდით.

- იქნებით კი გულახდილი?

- გულახდილი ვიქნები თუნდაც ამ ნუთიდან, მე უკვე მაქვს თქვენთვის ლაბორანტის შტატი. თუ მოლაპარაკება კარგად ჩაივლის, დღესვე გაგათორმეობთ.

- ოჰო! ესე იგი, თქვენ არც ისეთი გულუბრყვილო ყოფილხართ, თავდაპირველად რომ მომეჩვენა!

- მამ მოხვალთ?

- მოვდივარ.



ოთარ კახიშვილმა ყურმილი დადო და თავისუფლად ამოისუნთქა. სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და მდივანი გააფრთხილა, დღეს ვერავის მივიღებ, აკადემიის პრეზიდენტის სახელზე მოხსენებითი ბარათი მაქვს დასაწერი. რამაზ კორინთელი კი, როგორც მოვა, იმავე წუთში შემოუშვითო.

მეორედ უფრო მოეწონა რამაზ კორინთელი. კიდევ უფრო ათლექტური და უფრო კეთილი ეჩვენა. ნაბლისფერი თმა, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მსხვილი ტუჩები და თაფლისფერი თვალები მშვიდ, ოთარ კახიშვილის გასაოცრად, გულუბრყვილო იერსაც კი აძლევდა.

კაბინეტში შემოსულს ფეხზე წამომდგარი შეეგება და სკამი შესთავაზა. შემდეგ თვითონაც სავარძელში მოკალათდა და ჭაბუკს თვალებში შეხედა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. თითქოს არც ერთს არ უნდოდა, პირველს დაეწყო ლაპარაკი.

რამაზ კორინთელის თვალებში მოულოდნელად გაიელვა მრისხანება. კახიშვილი შეკრთა. მიხვდა, ძნელი და დამაბული ლაპარაკი ელოდა. ახალგაზრდა კაცის გამომეტყველებაში წელან დანახული სიმშვიდე და გულუბრყვილობა მხოლოდ მისი სურვილის ანარეკლი იყო.

- კარგია, რომ მოხვედით. - კახიშვილმა პირველმა დაარღვია უხერხული დუმილი.

- ცუდია, რომ დღეები დავკარგეთ.

- რაც დაიკარგა, არაფერი ეშველება. თუმცა მთლად ტყუილად არ დავკარგულა. პრეპარატორის შტატი ლაბორანტის შტატად გადავაკეთეთ.

- „შტატი!“ - ჩაიცინა რამაზ კორინთელმა, - კარგია, რომ შტატის საკითხი

მოგიგვარებიან. თუმცა ამ წუთში ჯობია მთავარზე და უმთავრესზე ვილაპარაკოთ. ჩვენს საქმეში აუცილებელია გულახდილობა, გულწრფელობა, სხვანაირად ვერაფერს გავხდებით.

„ჩვენს საქმეში!“ - არ ესიამოვნა ოთარ კახიშვილს.

- თქვენ კი გულწრფელი არ ბრძანდებით. ერთი სული გქონდათ, მოლაპარაკება დაგეწყით, მაგრამ ნებისყოფის უკიდურესობამდე დაძაბვის ფასად თავი შეიკავეთ. გინდათ დამარწმუნოთ, რომ ჩემი წინადადება არ გადელევით. აი, რა არის გულწრფელობა. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, აღარავითარი სურვილი არ მექნება, საქმე ერთად გავაგრძელოთ. შეიძლება არც მე დავრჩე მოგებული, მაგრამ თქვენც უნდა შეეგუოთ, რომ სამუდამოდ მოგინევთ აკადემიკოსის გამოკველევასთან გამოთხოვება.

- გულწრფელი მაშინ ვიქნები, როცა ბოლომდე დამაჯერებთ. აი, გისმენთ. ხელს არავინ შეგვიშლის. დამიჯერეთ, დამარწმუნეთ და სიტყვას გაძლევთ, ჩვენს შორის ერთი ნაბიჯიც არ იქნება დამალული.

რამაზ კორინთელს სჯეროდა, რომ ამ წუთში ინსტიტუტის დირექტორი მართლაც გულწრფელი იყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ამ წუთში! რამაზ კორინთელმა მცირე პაუზა გააკეთა, აღგზნებულად წარმოთქმული სიტყვებისათვის რომ მეტი მნიშვნელობა მიეცა და შემდეგ ძალზე დინჯად გააგრძელა:

- საქმე რომ თავიდანვე ნათელი იყოს, კიდევ ერთხელ ჩამოგიყალიბებთ ჩემს მოთხოვნებს. სხვათა შორის, ძალიან ნორმალურ და მისაღებ მოთხოვნებს.

- გისმენთ.

- პირველი: მიმიღებთ შტატში ლაბორანტის თანამდებობაზე. როგორც წესად ბრძანეთ, ეს პრობლემა უკვე გადაგიჭრიათ, არა?

- დიახ. ჩათვალეთ, რომ გადაჭრილია.

- მეორე: თქვენ პირველ სექტემბრამდე მიხვალთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან და ეტყვი, რომ მე ვარ უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკოსი, რომ მზად მაქვს არამართ სადიპლომო შრომა, არამედ საკანდიდატო დისერტაციაც.

- უკვე?!

- დიახ, უკვე! ეტყობა, წინა შეხვედრაზე ჩემთვის ყური კარგად არ დაგიგდიათ, ან ჩემი ნათქვამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიგიციათ. რექტორმა უფლება უნდა მომცეს, იანვრამდე დახურო დარჩენილი სამივე კურსი და თან, რაც მთავარია, დიპლომთან ერთად დავიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იანვრამდე მე მოვასწრებ საკანდიდატოს მივცე საბოლოო სახე და თქვენის ხელშეწყობით, გამოვაქვეყნო კიდევაც ინსტიტუტის შრომებში. ხედავთ, არც მეორე პირობაა რთული და შეუსრულებელი.

- კი მაგრამ, როგორ შესძლებთ სამი კურსის ერთდროულად დახურვას, ან ხომ უნდა ვიცნობდე თქვენს შრომებს?! მე მეცნიერი ვარ. მართალია, ისეთი არა, როგორც აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო, მაგრამ საკმაოდ ცნობილი მეცნიერი გახლავართ, ხომ არ შემიძლია, ბრმად გაგინიოთ რეკომენდაცია?!

- შრომებს ახლა, ამ წუთში ვერ გაგაცნობთ. არცაა საჭირო. და თუ როგორ ვიცი მე ფიზიკა, ან მათემატიკა, თეორიული მექანიკა თუ სხვა საგნები, პირველსავე დღეს, თუნდაც ახლავე, ამ წუთში დაგიმტკიცებთ. მე კარგად ვიცნობ თქვენს წიგნს „ნეიტრონული ვარსკვლავის პოლარული ციალი“. გახსოვთ, მისი საბოლოო ვარიანტი აი აქ. ამ კაბინეტში წაიკითხეთ თქვენ და ან განსვენებულმა დავით გიორგაძემ. მან ნითელი მელნით აგიჭრელათ ნაშრომი, გახსოვთ, არა?

- თქვენ... თქვენ ეს საიდან იცით? - ლამის სკამიდან გადმოვარდა ოთარ კახიშვილი.

- მაცალეთ, და იმედი მაქვს, ყველაფერს გაიგებთ... თუ არ ვცდები, ნეიტრონულ ვარსკვლავზე მილიარდობით ტონა მასის ერთდროულად ვარდნის დროს დამუხრუჭების შედეგად წარმოქმნილ ტემპერატურაზე ეჭვი გამოითქვა. უფრო სწორად, ეჭვი გამოითქვა ვარდნის ფართობზე. თქვენ გაითვალისწინეთ აკადემიკოსის მითითება და დააზუსტეთ სავარაუდო მოსაზრება: წამში ასი მილიარდი ტონა მატერიის ნაკადი ერთ კვადრატულ კილომეტრზე. მართალი ვარ?

- მართალი ბრძანდებით!

- გნებავთ ვარდნის სიჩქარეც გავიხსენოთ? წამში 150 ათასი კილომეტრი... გახსოვთ, არა? აი, აქ იჯექით. ნოემბერი იყო. მუქი ლურჯი კოსტუმი გეცვათ. როცა აკადემიკოსის შენიშვნებმა ჩიხში მოგაქციათ, განერვიულებულმა და ოფლში განურულმა დავით გიორგაძეს ბოდიში მოუხადეთ და ჰალსტუხი შეიხსენით. გახსოვთ?

- მახსოვს! - ამოიხრიალა თავბარდაცემულმა ოთარ კახიშვილმა.

- ვფიქრობ, უკვე გჯერათ, რომ შემძლია იანვრამდე დავხურო დარჩენილი სამი კურსი. ნუ შეგეშინდებათ, ბატონო დირექტორო, თამამად მიდით უნივერსიტეტის რექტორთან. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი რექტორი უკვე მშვენივრად მიცნობს და თანახმაა ნება დამართოს, ექვს თვეში დავხურო სამი კურსი, ნებას გაძლევეთ ჩამთვალთ თქვენს მიერ აღმოჩენილ ტალანტად. შემდგომშიც ჩემი გზის გამკვალავ მეცნიერად მოგიხსენიებთ, ამაგს არ დაგიკარგავთ. ისიც უთხარით რექტორს, კარგად ლაპარაკობს გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე-თქო. გერმანული რომ კარგად ვიცო, მგონი, ეჭვი არ გეპარებათ. ინგლისურში და ფრანგულში თქვენ ვერ შემამოწმებთ. კარგი კი იქნებოდა გაგეგრძელებინათ ინგლისურის სწავლა, ამ ათიოდე წლის წინ რომ დაიწყეთ და სულ ორიოდ თვეში რომ შეწყვიტეთ. გახსოვთ, რა ენთუზიაზმით დაიწყეთ? გინდოდათ, მთელი შვებულება ინგლისურის შესწავლისათვის გამოგეყენებინათ, მაგრამ ბიჭვინთაში ერთ ქალს გადაეყარეთ და...

- კმარა! - იყვირა მთელი ხმით ოთარ კახიშვილმა.

- განა ასე გაღიზიანებთ თქვენი წარსულის გახსენება?

- ნუ იღიმებით. ასე დამცინავად ნუ იღიმებით! მე ჩემი წარსული კი არა, თქვენი ლაპარაკი მაღიზიანებს. საიდან იცით ასე დაწვრილებით ჩემი ცხოვრების ეპიზოდები? ვინ გითხრათ, ვინ გაამბოთ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელო წვრილმანებიც კი!

- ნუ ღელავთ, დაწყნარდით. წყალი დალიეთ. ნერვები დაიმშვიდეთ. ბოლოს და ბოლოს, სამეგობროდ და სათანამშრომლოდ ვარ თქვენთან მოსული. მე ბევრი რამ ვიცი, ძალიან ბევრი. დაწყნარდით, დაიოკეთ მღელვარება!

- მე მხოლოდ მაშინ დავწყნარდები, როცა გავიგებ, საიდან იცით ჩემი ცხოვრების თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი. თანაც იცით არა მარტო შინაარსობრივად, არამედ ვიზუალურადაც?! თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება სლაიდებზე გქონდეთ აღბეჭდილი და რომელიც მოგესურვებათ, იმ სლაიდს აშუქებთ დიდ ეკრანზე.

- დაწყნარდით, ბატონო დირექტორო, დაწყნარდით და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცნობის მოსასმენად მოემზადეთ!

ოთარ კახიშვილი ჩაჩუმდა და რამაზ კორინთელს გაბეცებულმა შეხედა. ტანმა უგრძნო, ჭაბუკს მართლაც რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა. ინსტიტუტის დირექტორს გაფართოებულ და გადმოკარკვლულ თვალებში მოლოდინი და შიში ჩაუდგა.

- გისმენთ! - აღმოხდა თითქმის ჩურჩულით.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა, ხელებით დირექტორის საწერ მაგიდას დაეყრდნო, თავი წინ წასწია და მანაც ჩურჩულით, ოთარ კახიშვილს რომ გველის სისინად ჩაესმა, გარკვევით თქვა:

- მე შემოდლია გავხსნა სეიფი.

- რა ბრძანეთ? - შიშისაგან სავარძელი უკან დასწია ოთარ კახიშვილმა.

- მე ვიცი შიფრი და შემოდლია სეიფი გავხსნა ახლავე, აი, ამ წუთში! - რამაზ კორინთელი დინჯად წამოდგა, წელში გაიმართა და კახიშვილს მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

რამდენი რამ იყო ამ ღიმილში - ნიშნის მოგება, ბიზლი, დაცინვა, მუქარა.

- არ გჯერათ?

ინსტიტუტის დირექტორი გაოგნებული იჯდა და ხმას ვერ იღებდა.

- ცუდად ხომ არა ხართ? - მზრუნველი ხმით ჰკითხა უცებ რამაზ კორინთელმა.

ოთარ კახიშვილი არ შერხეულა, კვლავ გაქვავებული იჯდა.

- წყალი რომ არ მოგანოდოთ? - გულწრფელად შეწუხდა კორინთელი.

- მართლა შეგიძლიათ სეიფი გააღოთ? მართლა იცით შიფრი? - გაოცებული, შეშინებული და სანწყალობელი ინტონაციით აღმოხდა ოთარ კახიშვილს.

- დიახ, შემოდლია - კორინთელმა სიგარეტი გააბოლა, - იცით, რა ენერჯის დახარჯვის ფასად გამოვიცანი აკადემიკოსის მიერ შერჩეული შიფრი? იცით, რა ძნელია მილიარდობით ვარიანტში დაინახოთ, დიახ, ვიზუალურად დაინახოთ ციფრების ერთადერთი კომბინაცია, რომელიც სეიფს გააღებს? ამ ურთულესი ხილვის შემდეგ ორი კვირა ვიყავი ენერჯისაგან დაწრეტილი. ყოველ ხილვას, თვით უბრალოსაც კი, ენერჯის გარკვეული ნაწილი მიაქვს, რომელთა აღდგენას შემდგომ დრო სჭირდება.

აკადემიკოსის შიფრის ამოცნობის შემდეგ ორი კვირა ლოგინიდან ვერ ავდექი. კომბინაციის გამოცნობას დავით გიორგაძის დასაფლავების მეორე დღიდანვე შევუდექი. მეორე დღესვე დამეზადა იდეა, განმეხორციელებინა ის გეგმა, რომელიც თქვენ შემოგთავაზებთ.

- მერე? აქამდე რატომ არ გამოჩნდით?

- ჯერ შიფრი უნდა გამომეცნო. მერე, მგონი უკვე გითხარით, ორი კვირა ვინეჭი. შემდგომი პერიოდი თქვენს გაშიფვრას, ნუ შეგეშინდებათ ამ სიტყვისა, დიახ, თქვენს გაშიფვრას და შესწავლას მოვანდომე. როცა ყველაფერი შევისწავლე და გეგმა სათანადოდ გავაანალიზე, მოგაკითხეთ კიდევ.

- დარწმუნებული ხართ, რომ შიფრი ნამდვილად ამოხსენით?

- ეჭვიც არ მეპარება.

- და თქვენ შეგიძლიათ ამ წუთში გააღოთ სეიფი?!

- რასაკვირველია, შემიძლია!

- არა მჯერა, რომ მომკლათ, ვერ დავიჯერებ!

- მოკვლა რა საჭიროა, ღია სეიფი რომ დაგანახოთ, მაშინაც არ დაიჯერებთ?

- ღმერთო, რა მემართება. თავი სიზმარში მგონია!

- ჩაკეტეთ კარები შიგნიდან! - საიდუმლო ბრძანებასავით გაისმა კორინთელის ხმა.

ოთარ კახიშვილს ისევ ჩაუვარდა ენა, ისევ დაემსგავსა სტერეოფოტოს. შემდეგ წამოდგა, კაბინეტის კართან მიძუნძულდა, გასაღები ორჯერ გადაატრიალა და პირდაპირ სეიფს მივარდა.

რამაზ კორინთელი ნელა მიუახლოვდა ნიშში შედგმულ უბარმაზარ მოყავისფრო სეიფს.

- გთხოვთ, ხუთი მეტრით უკან დაიწიოთ! - მიმართა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს და სახელურს ხელი მოავლო.

ოთარ კახიშვილი მონუსხულივით დაემორჩილა კორინთელის ბრძანებას. ხუთი ნაბიჯი უკან გადადგა, სკამი მონახა და ცალი ხელით დაეყრდნო. მუხლები უცნაურად უკანკალებდა, ეშინოდა არ ჩაკეცილიყო.

რამაზ კორინთელმა ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეაბრუნა პირველი ბორბალი და საჭირო ციფრი ისართან დააყენა.

კახიშვილმა კისერი წაიგრძელა, უნდოდა შორიდან დაენახა, რამაზ კორინთელმა რა ციფრი გაუსწორა ისარს, მაგრამ ამაოდ. ხუთი მეტრის მანძილიდან წარმოუდგენელი იყო ბორბლებზე გამოსახული ციფრების გარჩევა.

რამაზ კორინთელმა ხელი ნაზად შეავლო მეორე რგოლს. თითქოს უფერებსო, ნელა, ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად გადაატრიალა და მეორე ციფრიც ისარს გაუსწორა. მცირეოდენი პაუზის შემდეგ მესამე რგოლს შეახო თითები.

ოთარ კახიშვილი, ვიტრინის მანეკენით, უხერხულ და სასაცილო პოზაში იყო გაქვავებული. წამწამებსაც კი არ ახამხამებდა. მხოლოდ გულის გამალებულ დაგადუგბე, ხუთი მეტრით დაშორებულ რამაზ კორინთელსაც რომ კარგად ესმოდა, მიხვდებოდა, რომ მანეკენი კი არა, ცოცხალი ადამიანი იყო.



რამაზ კორინთელმა მესამე ბორბალს შეავლო ხელი. უცებ შეირხა სქელი, ჯმუხი მანეკენი. შეშინებულმა ორთავე ხელი გულზე მიიჭირა, უნდოდა დაგადუგის ხმა ჩაეხშო. არაფერი გამოუვიდა. შეშფოთებულს ეგონა, რომ მისი გულისცემის ხმა მართო რამაზ კორინთელს კი არა, ორ საიმედოდ ჩაკეტილ კარს იქით მდივან ქალსაც ესმოდა.

რამაზ კორინთელმა დირექტორს მრავალმნიშვნელოვნად გამოხედა, მესამე ციფრიც ისარს გაუსწორა. დარჩა ორი ბორბალი. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ჯერ გაოფლილი შუბლი მოინმინდა, მერე პიანისტივით თითები გაიმშრალა, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო და ხელი მეოთხე ბორბალს შეახო. ნელა, ძალიან ნელა გადაატრიალა და რომელიღაც ციფრი ისარს გაუსწორა.

დარჩა ერთი ბორბალი, ერთადერთი ბორბალი. თუ კორინთელმა მართლა ამოიცნო შიფრი, მეხუთე ბორბლის ერთი შემობრუნება და...

ოთახში თითქოს ჩამობნელდა, თითქოს ვიდაცის უხილაგმა ხელმა კაბინეტის ფანჯრებს შავი, სქელი ფარდები ჩამოაფარა. უზარმაზარ ყავისფერ სეიფს მხოლოდ მათი თვალებიდან გამომდინარე ორი წყვილი სხივიდა ანათებდა. და აი, მცირე შესვენების შემდეგ, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს რომ საუკუნედ მოეჩვენა, რამაზ კორინთელმა ხელი მეხუთე ბორბლისაკენ წაიღო. რატომღაც შეეოცმანდა, თვალები სანახევროდ მოხუჭა, შუბლი შეიჭმუნა, მარცხენა ხელი სეიფზე ზემოდან შემოღო, ხოლო ლოყით ლითონის ცივ კედელს მიეზღინა. ბორბლის შემობრუნებას არ ჩქარობდა.

„დაავიწყდა?“ - შეშინდა კახიშვილი.

„ვაითუ დაავიწყდა, ან ვერ გამოიცნო მეხუთე ციფრი?!“

„აბა რატომ აგვიანებს?“

ჭაბუკმა გრძელი თითები ისე შეავლო რგოლს, თითქოს ეალერსებაო. ბორბალი წელ-  
წელა შებრუნდა. შიფრის მეხუთე ციფრიც ისარს გაუსწორდა.

რამამ კორინთელმა ინსტიტუტის დირექტორს გახედა. მისი აცახცახებული ყბა რომ  
დაინახა, მის უბადრუკ და პატარა სულში რომ ჩაიხედა, ბოროტად გაეღიმა.

- სეიფი ღიაა! - თქვა რატომღაც ჩურჩულით, მაგრამ გამოკვეთილი, სუფთა დიქციით.  
წელში გაიმართა, მძიმე სახელურს ხელი შეავლო, მარჯვნივ შეატრიალა და სეიფის  
მძიმე, ყავისფრად შეღებილი კარი გამოაღო.

- ღმერთო ჩემო! - აღმოხდა ინსტიტუტის დირექტორს და თვალი უმაღვე იმ თაროსკენ  
გააპარა, სადაც ფერადი საქალაღდეები იყო ჩალაგებული. გული, წელან რომ საშინელი  
დაგადუგი გაჰქონდა, ახლა თითქოს სულ გაუჩერდა. ნაბიჯი წინ წადგა, უნდოდა სეიფს  
მივარდნოდა და ყველა თარო გადმოეჭოთებინა, სანამ საოცნებო ხელნაწერს არ  
იპოვიდა, მაგრამ მუხლმა უმტყუნა, ცოტაც და წაიქცეოდა. შეშინებული ისევ სკამის  
სახელურს ჩაებლაუჭა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სხეულში ძვლები ჩაეშალა, ჩაუდნა  
და ცარიელა ხორცის მასად იქცა.

რამამ კორინთელი კმაყოფილებით აკვირდებოდა კახიშვილის ვნებათაღელვებს  
თვალნათლივ ხედავდა, ამოდენა ინსტიტუტის დირექტორის პატარა, უბადრუკი სული  
ხაფანგში გაბმული თავგვივით კედლებს რომ ეხეთქებოდა. ცოტაც და, ალბათ, იატაკზე  
გაიშხლართებოდა.

რამამ კორინთელი მოულოდნელად შებრუნდა და სეიფის კარი დაკეტა.

ოთარ კახიშვილს ელდა ეცა. უნდოდა რაღაც ეყვირა, მაგრამ ვერ მოახერხა. თითქოს ხმა  
წაერთვა. ხელები უმწეოდ გაშალა. სცადა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა.

რამაზ კორინთელმა მშვენივრად დაინახა, მუხლმოკვეთილი ინსტიტუტის დირექტორი რა ცეცხლშიც იწვოდა. იცოდა, თითოეული ბორბლის გადაბრუნება გულს როგორ უფლეთდა. ალბათ იმიტომ გადაატრიალა ხუთივე ბორბალი ნელ-ნელა. თითქოს უნდოდა, ოთარ კახიშვილის წამება გაეხანგრძლივებინა. მეხუთე ბორბლის გადატრიალების შემდეგ რამაზ კორინთელი შურისძიებით დამტკბარი ვაცის ღიმილით მომორდა სეიფს.

მთელი ამდენი ხნის მანძილზე სუნთქვაშეკრული ინსტიტუტის დირექტორის ფილტვებში ერთბაშად შეიჭრა ჰაერი.

- ეგ რა ქენით, რატომ დაკეტეთ! - იყვირა სასონარკვეთილმა მთელი ხმით.

ინსტიტუტის დირექტორი მიხვდა, რამაზ კორინთელი, სანამ თვითონ არ მოისურვებდა, სეიფს აღარ გააღებდა.

- რატომ დაკეტეთ, რატომ!

ამჯერად ვეღარ იყვირა ოთარ კახიშვილმა. სამად სამი სიტყვა ძლივს ამოიხრიალა და იქვე ჩაიკეცა.

რამაზ კორინთელი დამცინავი ღიმილით მივიდა ინსტიტუტის დირექტორთან, იღლიებში ხელები ღონივრად ჩაავლო და სავარძლამდე უდიერად მიათრია.

- რატომ დაკეტეთ-მეთქი! - ისევ მოახერხა დაყვირება ინსტიტუტის დირექტორმა. თითქოს ერთბაშად დაუბრუნდა ძალა, სავარძლიდან წამოიჭრა, ჭაბუკს ძლიერ მხრებში ხელი სასაცილოდ ჩაავლო და ნჯღრევა დაუნყო, - რატომ დაკეტეთ, რატომ! ახლავე გააღეთ, მე გიბრძანებთ, ახლავე გააღოთ, გესმით, ახლავე!

რამაზ კორინთელმა ხმამაღლა გაიცინა, დირექტორის მკლავები ხელის ერთი

მოძრაობით მოიშორა, თავისი გრძელთითებიანი ტორები მხრებში ჩაავლო და პატარა ბავშვივით სკამს მიაჯაჭვა.

- დანყნარდით, დანყნარდით და მომავალ გეგმებზე დინჯად მოვილაპარაკოთ. მართალია, სეიფი საიმედოდ დავკვეთე, მაგრამ შიფრი კი არ დამვიწყებია! დანყნარდით და გონება მოიკრიბეთ!

ოთარ კახიშვილი ვერ დანყნარდა. ვერ გაერკვა, რა მოხდა. მისი სული ადუღებულ რძესავით მაღლა მიიწვედა და სადაც იყო, გადმოვიდოდა.

- მე მგონი, - დაიწყო რამაზ კორინთელმა, - საბოლოოდ დარწმუნდით ჩემს შესაძლებლობებში. ალბათ იმასაც მიხვდით, რომ ჩემს იქით გზა არა გაქვთ. რასაკვირველია, არის ერთი გამოსავალი, რომ ოსტატი ოფიციალურად მოიწვიოთ, სეიფი გაახსნევიოთ და დავით გიორგაძის ნაშრომი გამოამზებოთ. თქვენ, ბუნებრივია, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამთ. არ გადადგამთ თუნდაც იმიტომ, რომ აბრი აღარა აქვს. დაგვიანებული დიდება გარდაცვლილ აკადემიკოსს ბედნიერებას ვეღარ მიანიჭებს. თქვენ კი ბევრი რამ დაგაკლდებათ. თქვენ და მე! ბატონო დირექტორო, როგორც ხედავთ, ახლა ყველა კარტი გახსნილია, ამოცანა ნათელია და არცთუ ძნელად ამოსახსნელი, თუკი ჩვენ შორის ნამდვილი, გულწრფელი, მხურვალე და ჭეშმარიტი მეგობრობა დამყარდება! თუ გულს ვერ დაიმორჩილებთ და მეგობრობაზე უარს იტყვით, საქმიან ურთიერთობას რაღა უდგას წინ. აკადემიკოსის ნაშრომი ჩვენ ხელთაა. უკანასკნელად მიწადა გაგახსენოთ და გაგაფრთხილოთ, დღეიდან, ამ საათიდან, ამ წუთიდან ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, მხოლოდ თქვენზე, ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორზე, პროფესორ ოთარ კახიშვილზე!

- რა არის ჩემზე დამოკიდებული?

ვიღაცამ ცეცხლი გამოართო და ადუღებულ რძესავით სხეულიდან გადმოსასვლელად

მალა გაქცეულმა სულმა წელ-წელა დაბლა დაინია, თუხთუხი შეწყვიტა, დაცხრა, თავისი ადგილი დაიჭირა.

- ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ. ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, პირველ რიგში საჭიროა გულწრფელობა და შეთანხმებული მოქმედება.

- როგორ, დღესვე არ გამოვიდებთ ნაშრომს?

- არავითარ შემთხვევაში, ბატონო ოთარ, არავითარ შემთხვევაში!

ო, როგორი დაცინვით უღერდა „ბატონო ოთარ“, როგორი მიზნით ჰქონდა თვალეხი სავსე რამაზ კორინთელს. ოთარ კახიშვილმა ისიც იგრძნო, უკვე ზემოდან რომ დასცქეროდა ქედმაღალი ჭაბუკი, უკვე ხათანგში გაბმულად რომ თვლიდა ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს.

- ნება მიბოძეთ ვიკითხო, რატომ? - ოთარ კახიშვილი მიხვდა, სხვა გზა არ ჰქონდა, ბედს შეეგუა და გადანწყვიტა, თავისი სულსწრაფობა როგორმე მიეჩქმალა. ფრაზა მთლად მტკიცედ ვერა, მაგრამ წელანდელთან შედარებით მშვიდად წარმოთქვა.

- რატომ? განა თქვენ ვერ ხვდებით, რატომ?

- მკითხაობის დრო არ არის, პირდაპირ მითხარით თქვენი პირობები! - გამოცოცხლდა ოთარ კახიშვილი!

- ოჰო! - დამცინავად გაეღიმა რამაზ კორინთელს, - აი, ეს მომწონს. რა ვაჟკაცის საქმეა სასონარკვეთა და დადამბლავება. გამხნევდით, ძალა მოიკრიბეთ, გულის გატეხვისათვის სადა გვცალაია! ინებეთ სიგარეტი, ამ დავიდარაბაში სულ გადაგვავინწყდა თამბაქოს მაცოცხლებელი იისფერი ბოლი!

ინსტიტუტის დირექტორს აღარ მოუძებნია „კოსმოსი“, რამაზ კორინთელის „უინსტონი“ ისე ხარბად მოქაჩა, თითქოს წელიწადს გაველოს, სიგარეტი არ მოეწიოს.

- მე რომ სეიფი ხელახლა გავხსნა და აკადემიკოს დავით გიორგაძის ნაშრომი თქვენ ჩაგაბართ, რა გარანტია მაქვს, რომ გამოკვლევას მთლიანად არ მიისაკუთრებთ? განა ლოგიკური და გონივრული იქნება ვიქონიოთ იმედი, რომ თქვენ, ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ოთარ კახიშვილი თანაავტორად გამიყვანთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს? უფრო მეტიც, თქვენს კეთილ სურვილებში, პატიოსნებასა და რაინდობაშიც ვჭვია რომ არც შემეპაროს, ინსტიტუტში დღევანდელი დღიდან დანიშნული ლაბორანტი, მანამდე რომ წარმოდგენაც არ გქონდათ, რამაზ კორინთელიც თუ დააბიჯებდა ამ ცოდვილ დედამიწაზე, როგორ გავხდებოდი თქვენი თანაავტორი? განა ხალხი ბრმაა? ხომ მიხვდებიან, რომ სადღაც ძაღლის თავი უნდა იყოს დამარხული. დაახლოებით ისიც ხომ იციან, რა პრობლემას იყო შეჭიდებული ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი?!

- მაშ, როგორ მოვიქცეთ? მე მზად ვარ მივიდე უნივერსიტეტის რექტორთან, მზად ვარ მთლიანად შევასრულო თქვენი მოთხოვნების მეორე პუნქტი, ნახევარ წელიწადში დაგახურინოთ სამი კურსი, დაგაცვევინოთ დიპლომი და იქვე დავაყენო საკითხი სადიპლომო ნაშრომში საკანდიდატო ხარისხის მინიჭების თაობაზე. მე მჯერა, რომ თქვენი სადიპლომო ნაშრომი დაიმსახურებს საკანდიდატო ხარისხს, არ გავცნობივარ, მაგრამ გეფიცებით სინდისს, გულწრფელად მჯერა. არ მოგაკლდებათ ჩემი რეცენზია და სარეკლამო წერილები პრესაში. მაგრამ თქვენც ხომ მშვენივრად იცით, რომ ამ დღემდე გაუგონარ ბატალიებს იანვრის ბოლომდე ვერ მოვრჩებით. მე კი, ბევრი-ბევრი, მხოლოდ ორი თვე შემიძლია დავაყოვნო სეიფის გახსნა. ვინ მოგვცემს მეტი გაჭიანურების უფლებას?

- ვიცი, მშვენივრად ვიცი, რომ ორი თვის შემდეგ სეიფს აუცილებლად გახსნიან!

- მერე, თუ იცით, ხომ დაილეუება ყველაფერი? თუმცა, მოითმინეთ, ერთი აზრი მომივიდა თავში. არ შეიძლება, სეიფის ოფიციალურად გახსნამდე ორი, თუნდაც ერთი დღით ადრე, ნაშრომი გამოვიღოთ, შევინახოთ. შემდეგ, როცა სეიფს ოფიციალურად გავხსნით, როცა იქ დარჩენილ მასალებს აღვუნუსხავთ და აქტით გავაფორმებთ, გამოკვლევა კვლავ სეიფში ჩაკვეთთ. რას იტყვით ამ გეგმაზე? - ოთარ კახიშვილს თვალები სიხარულით უბრწყინავდა. დარწმუნებული იყო, იპოვა ერთადერთი და უნაკლო გამოსავალი.

- სამწუხაროდ, ვერ გავიბრებ თქვენს აღტაცებას! - რამაზ კორინთელმა სიგარეტის ნაშნი დაუდევრად დააგდო საფერფლეზე - ვთქვათ, აკადემიკოს დავით გიორგაძის ნაშრომი სეიფიდან გამოვიღეთ არა ორი ან ერთი დღით, არამედ თუნდაც ერთი საათით ადრე. სად წავიღებთ საქაღალდეებს, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის გამოკვლევაა მოთავსებული, სად წავიღებთ უამრავ საექსპერიმენტო მონაცემებს? ვინ შეინახავს ნაშრომს, თქვენ თუ მე?

- ვინ? - დაიბნა ინსტიტუტის დირექტორი.

- ჰო, ვინ? მე პირველი წუთებიდანვე მოგახსენეთ, რომ ჩვენს ურთიერთობაში მთავარია გულწრფელობა. ამიტომაც გეუბნებით გულწრფელად, მე თქვენ ვერ გენდობით, ვერ განდობთ შესანახად ან განსვენებული აკადემიკოსის გამოკვლევას. თქვენ? თქვენ კი მენდობით? თუ მენდობით, დიდი სიამოვნებით. მე წავიღებ ნაშრომს, მე შევინახავ და იმავე წუთში დავაბრუნებ სეიფში, როგორც კი ყოფილი დირექტორის დანარჩენი დოკუმენტებისა და ნივთების ოფიციალური აღწერა დამთავრდება. მენდობით?

ოთარ კახიშვილმა უმწეოდ შეხედა კორინთელს. მერე დარცხვენილმა თავი დახარა და თვალი მაგიდას გაუშტერა.

- აი, ხომ ხედავთ, არ მენდობით. არც გამტყუნებთ. მეტსაც გეტყვით, რომ მენდოთ კიდევ, ბოდიშს გიხდით და, ნამდვილად ვერ ჩაგთვლიდით სერიოზულ პიროვნებად!

- მაშ, რა ვქნათ? კიდევ ვიმეორებ, სეიფის გახსნა შეიძლება გავაჭიანუროთ კიდევ ორი თვე... ხუთ ოქტომბერს აკადემიკოსის დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავია. ჩათვალეთ, რომ ხუთი ოქტომბერი უკანასკნელი დღეა. ხედავთ რამე გამოსავალს?

- ვხედავ!

- კერძოდ?

- სეიფი უნდა დაილუქოს.

- დალუქვა საქმეს რას უშველის? დაადგენს სეიფის გახსნის დღეს მეცნიერებათა აკადემია, შედგება კომისია, მოსკოვიდან ჩამოიყვანენ ოსტატს და სეიფიც გაიხსნება. ვერ გვიშველის ჩვენი დადებული ლუქი.

- სეიფს ვერ გახსნიან კიდევ ორ წელიწადს. უფრო ბუსტად, ორ წელიწადსა და ორ თვეს.

- რატომ ვერ გახსნიან?

- არ იფიქროთ, რასაც გეტყვით, ახლა და ამ წუთში მოვისაზრე. მე ყველაფერი წინასწარ მაქვს მოფიქრებული, ანონილ-დანონილი და გადანყვეტილი.

რამაზ კორინთელის მშვიდმა და მტკიცე გამოხედვამ ინსტიტუტის დირექტორს იმედი ჩაუსახა.

- ბრძანეთ.

- სეიფი გაიხსნება მხოლოდ ორი წლისა და ორი თვის შემდეგ, აკადემიკოსის დაბადების სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავზე, ბუსტად ხუთი ოქტომბრის თორმეტ საათზე და ნოლ-ნოლ წუთზე!



სამწუხაროდ, რამაზ კორინთელის პათეტიკურმა ფრაზამ იმედი გაუცრუა ოთარ კახიშვილს.

- მანამდე რატომ ვერ გახსნიან?

- იმიტომ რომ, მოხუცმა აკადემიკოსმა ანდერძი დატოვა. ანდერძში კი ერთ-ერთ პუნქტად წერია, სეიფი გახსენით ჩემი სიკვდილიდან ორი წლის თავზე ჩემი დაბადების დღეს, ბუსტად თორმეტ საათზეო.

- ანდერძი? მერედა, სად არის ანდერძი?

- მე ვიცი, სადაც არის.

- ნამდვილად იცით?

- ტყუილს რა აზრი აქვს? - გაიცინა რამაზ კორინთელმა.

- ხილვა გქონდათ? - ისევ შიშმა შეიპყრო ინსტიტუტის დირექტორი.

- დიას!

- მჯერა, ყველაფერი მჯერა, მაგრამ...

- კიდევ მაგრამ? ვერ იქნა და ვერ მოვიპოვე თქვენი ნდობა?!

- არა, ჩემო ბატონო! როგორ გეკადრებათ, მაპატიეთ! უბრალოდ, დაბნეული ვარ, იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის დღევანდელი დღის განცდები. მაგრამ...

- მაინც მაგრამ? - წამოუნთო რამაზ კორინთელი.

ინტიტუტის დირექტორი დაიბნა. რამაზ კორინთელი მას როგორც ქვეშევრდომს, ისე ელაპარაკებოდა. მიხვდა, ენერგია და ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა, უნარი აღარ შესწევდა თავისი უფროსობა ეგრძნობინებინა, მიხვდა, პირველობის სადავები უკვე კორინთელს ეპყრა ხელთ.

- არა, თქვენ ვერ გამიგეთ. მე, უბრალოდ, მინდოდა მეკითხა, სად არის-მეთქი ანდერძი.

- მოგახსენებთ. ოღონდ ჯერ ერთ ამბავზე უნდა შევთანხმდეთ. ანდერძის წამოსაღებად უნდა წახვიდეთ თქვენ, არჩილ თევდორაძე და პარტიული კომიტეტის მდივანი.

- მერე? რა ვთქვა, რატომ მივდივართ-მეთქი ასე კოლექტიურად და თანაც, თითქმის ოფიციალურად?

- ნუ დელავთ. მოთმინება მოიკრიბეთ და ყურადღებით დამიგდეთ ყური. თქვენ ხვალვე დაინწყეთ ნუხილი, რომ დაგაგვიანდათ აკადემიკოსის ქვრივის ნახვა. ითამამეთ კეთილი და ყურადღებიანი, წინამორბედის მადლიერი და დამფასებელი კაცის როლი. კარგი იქნება, თუ ადგილკომის თავმჯდომარესაც თან წაიყვანთ. მიზეზიც გაქვთ. თქვენი რამდენიმე დღის წინანდელი თათბირის შედეგები, აკადემიკოსის უკვდავსაყოფ ღონისძიებებს რომ მიუძღვნით, ხომ უნდა გააცნოთ განსვენებულის ქვრივს?

- დიახ! - პირდაღებული შესჩერებოდა ჭაბუკს ოთარ კახიშვილი.

- ჯობია, კაბინეტში ისაუბროთ. მოიკითხეთ ქალბატონი ანა, ან, როგორც თქვენ უწოდებთ, ქალბატონი ანნა! დაამშვიდეთ, თათბირის ამბებიც წვრილად აუხსენით, საუბრისას ბუნებრივი მოძრაობით თაროდან ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომი გადმოიღეთ.

- მერე! - ისტერიულად შესძახა ინსტიტუტის დირექტორმა, იმდენად აუტანელი ეჩვენა კორინთელის მცირეოდენი პაუზა.

- მერე არაფერი. ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში იპოვით დალუქულ კონვერტს.

- ვთქვათ, ვიპოვე, შემდეგ!

- არავითარი „ვთქვათ“! - ისევ წამოენთო თვალები რამაზ კორინთელს, - იმავე წუთში გაითამაშებთ სიხარულით აღტაცებული კაცის როლს, როცა საცოდავი ქვრივი ტირილით გულს მოიჯერებს, დინჯად ეტყვი: „ქალბატონო ანნა, იქნებ გირჩევნიათ ანდერძი მარტოდმარტომ წაიკითხოთ? თუ თქვენი სურვილი იქნება, ახლავე მარტო დაგტოვებთ“.

- ერთიჯ ვნახოთ და გამოთქვა ანდერძის მარტო წაკითხვის სურვილი.

- ნუ ღელავთ. მარტო წაკითხვის სურვილს არ გამოთქვამს ერთი უბრალო მიზეზის გამო. კონვერტს აწერია „თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექციას“. და თუ მაინც გამოთქვამს წერილის ცალკე წაკითხვის სურვილს, კიდევ უკეთესი! წერილი ისეა დაწერილი, რომ წაკითხვის შემდეგ აუცილებლად დაგიძახებთ და პირადად თქვენ გადმოგცემთ. თუ მეორედ მოგიწიოთ წასვლა, რაც არ მჯერა, არავითარ შემთხვევაში მარტო არ წახვიდეთ. იგივე ხალხი წაიყვანეთ, ვინც მე გითხარით.

- დარწმუნებული ვარ, ისიც გეცოდინებათ, ანდერძში თუ წერილში რა წერია.

- ანდერძში, შავით თეთრზე, მსხვილი ასოებით, როგორც აკადემიკოს დავით გიორგაძეს სჩვეოდა, წერია: „ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, გარკვეული მეცნიერული მოსაზრების გამო სეიფი გაიხსნას ორი წლის შემდეგ, ჩემი დაბადების სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავზე, ხუთ ოქტომბერს, დღის 12 საათზე“. ანდერძში კიდევ რამდენიმე პუნქტია, მაგრამ ჩვენთვის ესაა მთავარი. გასაგებია?

- გასაგებია, მაგრამ არ მესმის, ჩვენ რა სარგებელი გვექნება ამ ანდერძიდან. ორი წელი

მთელი საუკუნეა დღევანდელ მეცნიერებაში. რა ფასი ექნება დავით გიორგაძის გამოკვლევებს ორი წლის შემდეგ?

- სულსწრაფიც ბრძანებულხართ, ბატონო დირექტორო. გთხოვთ ნებისყოფა მოიკრიბოთ და სამომავლო გეგმებს დინჯად გადავხედოთ, რომელთა შესასრულებლად ამ წუთიდანვე უნდა ვიბრძოლოთ. ბორჯომს ხომ არ ინებებთ?

- არა. უფრო სწორად, პო!

რამაზ კორინთელი დინჯად წამოდგა, მაცივართან მივიდა, ბორჯომი გამოიღო, ჭიქაში ჩაასხა და ინსტიტუტის დირექტორს გაუნროდა.

- თქვენ არ დაღვეთ?

- მე ბოთლით გეახლებით.

ოთარ კახიშვილმა ჭიქა ხარბად გამოცალა.

- დამათავრეთ სათქმელი, გვედრებით. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია!

- მერე, საყვარელო, დავით გიორგაძის ანდერძს ინსტიტუტში წამოიღებთ, გაფართოებულ თათბირს მოინვეთ და წაიკითხავთ.

- მერე? - კახიშვილმა იოლად გადაყლაპა დაცინვით ნათქვამი „საყვარელო“, მიხვდა, წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. ჭაობში კარგა ხანია ჩადგა ფეხი და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფო ეფლობოდა.

- მერე მოითხოვეთ, რომ აუცილებლად შესრულდეს აკადემიკოს დავით გიორგაძის ანდერძი. თქვენვე მოითხოვეთ, რომ სეიფი საიმედოდ დაილუქოს.

- მაინც ვერ გავიგე, რა სარგებლობას მოგვითმის სეიფის დალუქვა. ხომ არ ჯობია, ანდერძი საერთოდ გავანადგუროთ?

- მაპატიეთ, მაგრამ მე თქვენ უფრო მოქნილი ჯკუის მეგონეთ. კარგად დამიგდეთ ყური. ლაპარაკს ნუ შემანწყვეტინებთ. მოთმინება რომ გყოფნიდეთ, აქამდე მიხვდებოდით, რისი თქმაც მინდა. დიახ, სეიფი ორი წლის მანძილზე იქნება დალუქული და ხელშეუხებელი, ოღონდ არა ჩვენთვის.

- ეგ როგორ?

- ჩვეულებრივად, საყვარელო, ძალიან ჩვეულებრივად. მე მგონი გარკვევით გთხოვთ, ლაპარაკს ნუ შემანწყვეტინებთ-მეთქი. სეიფის ლუქს ისე შეეგუებიან თქვენს კაბინეტში შემომსვლელნი, რომ დროთა განმავლობაში ლუქის კი არა, თვით სეიფის არსებობა დაავიწყდებათ. იანვრის ბოლოს მე და თქვენ გავხსნით სეიფს. ამოვიღებთ ყველაფერს, რაც გვჭირდება, ხოლო უკლებლად ჩავტოვებთ ყველაფერს, რაც არ გვჭირდება. ლუქის ხელმეორედ დადების საკითხი ჩემთვის ისევე იოლად გადასაჭრელი პრობლემაა, როგორც მალაზიაში კონიაკის ყიდვა. ორი წლის შემდეგ, როცა სეიფი გაიხსნება, იქ აღარაფერი იქნება მეორეხარისხოვანი გამოკვლევებისა და უშედეგო საექსპერიმენტო მასალების გარდა. ჩვენ იმ დროს უკვე სახელოვანი ხალხი ვიქნებით. ხოლო ორი წლის მანძილზე ბევრი ვნებათაღელვა, დღეს რომ ბობოქრობს, სამუდამოდ იქნება დაშოშმინებული და მივიწყებული. გასაგებია?

- გასაგებია, - ამოიბუტბუტა ინსტიტუტის დირექტორმა.

- ძალიან კარგი. - ფეხზე წამოდგა რამაზ კორინთელი.

- თითქმის გასაგებია! - დააბუსტა ოთარ კახიშვილმა.

- ღმერთო ჩემო! - აღშფოთდა რამაზ კორინთელი. - ამაღამ კარგად იფიქრეთ, საქმის ვითარება დინჯად გაიანალიზებთ და ხვალ დილისათვის ყველაფერი დღესავით იქნება ნათელი. ახლა კი წავალ, ხელს აღარ შევიშლით დიდი მეცნიერულ და ადმინისტრაციულ მუშაობაში.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა და ინსტიტუტის დირექტორის თანხმობას დაელოდა.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ ოთარ კახიშვილმა თავი ასწია, კორინთელს თვალი გაუსწორა და უთხრა:

- ხვალ დილით უნივერსიტეტიდან ცნობა და განცხადება მოიტანეთ.

რამაზ კორინთელმა უმაღვე პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაიყო ხელი.

- ახლავე მოგართმევთ ცნობასაც და განცხადებასაც.

გაოცებისა და მოწონების ნიშნად ინსტიტუტის დირექტორმა თავი ჩაიქნია.

უცებ თვალი დაუბნელდა, კაბინეტი გადატრიალდა და თავის მძიმე მაგიდიანად ჭერზე მოექცა.

- რა გემართებათ? - მივარდა რამაზ კორინთელი.

- არაფერია. თქვენ წადით. მარინეს უთხარით, სასწრაფოდ ჩემთან შემოვიდეს. ხვალ დილიდან შეგიძლიათ შეუდგეთ ლაბორანტის მოვალეობის შესრულებას.

- ფერი სულ დაგეკარგათ!

- ნუ ლელავთ. მარინეს დაუძახეთ. თქვენ კი რაც მალე დატოვებთ ინსტიტუტის შენობას, უკეთესია. ალბათ სასწრაფოს გამოძახება მოუწევთ. არ მინდა ჩემი ცუდად გახდომა თქვენთან საუბარს დაუკავშირონ. გასაგებია?

- გასაგებია!- თქვა რამაზ კორინთელმა და თითქმის სირბილით გადაჭრა კაბინეტი.

\* \* \*

ტელეფონმა უთენია დარეკა.

რამაზ კორინთელმა თვალი გაახილა და უმაღვე ფანჯრისკენ გაიხედა.

მზე ჯერ არ ამოსულიყო.

„ვინ რეკავს ასე უთენია?“

იატაკზე დადგმული ტელეფონისაკენ ხელი წაიღო და ყურმილი მძიმედ მიიტანა ყურთან.

- გისმენთ.

- გაგაღვიძე?

რამაზ კორინთელმა იცნო ინგას ხმა და ერთბაშად გამოფხიზლდა.

- გისმენ, ინგა!

- სასწრაფოდ უნდა გნახო.

- რა იყო, მოხდა რამე? - შეშინდა კორინთელი.

- ისეთი არაფერი. უბრალოდ, რაღაც მინდა გიამბო. ახლავე წამოვალ და სახლსაც დაგილაგებ. ამდენი ხანია აღარც შენ მირეკავ, ვეღარც მე მოვედი.

- აქ მოსვლა არ გინდა. ნუ დეღავ. ყველაფერი მონწესრიგებული მაქვს. დილით სამსახურში უნდა გავიქცე. თორმეტზე შევხვდეთ სპორტის სასახლესთან ან ბოლოპარკის წინ.

- თორმეტზე? - დაფიქრდა ინგა.

- არ შეგიძლია?

- როგორ არა. ბუსტად თორმეტზე ბოლოპარკის წინ დაგხვდები.

ნახევარი საათით ადრე მივიდა. მანქანა ტელევიზიის წინ გააჩერა და ბოლოპარკთან ფეხით ჩავიდა. რაც უფრო ახლოვდებოდა პაემანის დრო, მღელვარება უფრო და უფრო იპყრობდა. არ იცოდა, ინგა რომელი მხრიდან მოვიდოდა. ამიტომ ისეთი ადგილი შეარჩია, ქუჩის ორთავე მხარე რომ მხედველობის არეში მოექცია.

შორიდანვე მოჰკრა თვალი ტელევიზიის მხრიდან მომავალ ინგას. ქალიშვილი აქეთ-იქით გათაცვიცხებული იყურებოდა და ძმას დაეძებდა. ბოლოს, როცა მათ თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, სიხარულისაგან ლამის შეჰკვივლა, ძმასთან მიირბინა და კისერზე ჩამოეკიდა.

რამამ კორინთელს ისევ დაუარა ელექტრონის ნაკადმა დის მკერდზე შეხებისას. თვალი დაუბნელდა და ერთბაშად გულზე საშინელი სევდა შემოაწვა.

- რა იყო, უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა! - ჰკითხა შეშინებულმა ინგამ და ძმას თვალებში შეხედა.



- არავითარი! - გაღიმება სცადა რამაზ კორინთელმა, - წამო, მანქანაში ჩავსხდეთ. სადმე გავისეირნოთ. თუ გინდა, ფუნიკულიორზე ავიდეთ.

- ამდენი დრო რომ არა მაქვს?! - სინანულით თქვა ინგამ.

რა ლამაზი იყო ამ სიტყვების წარმოთქმისას, რა გულბრწყვილო, ნაზი და სუფთა. რამაზ კორინთელს საშინელმა სურვილმა მოუარა, ქალიშვილი პატარა ბავშვივით ხელში აეტაცა და გულში ჩაეკრა. ჭაბუკისთვის აღარ არსებობდა აღარც ქუჩა, აღარც ავტომანქანები, აღარც ხალხი... ისევ დაინახა ლურჯი ცის ფონზე მზის შარავანდედში გახვეული ინგა, ისევ ჩაესმა მისი გრძელი თეთრი კაბის შრიალი...

- სამწუხაროდ, არ მცალია, სამსახურში უნდა მივბრუნდე, - გამოაფხიზლა უცებ ინგას ხმამ.

- სამსახურში?

- ჰო, სამსახურში.

- წამოდი, წაგიყვან!

მანქანამ გმირთა მოედანი გადაჭრა და სანაპიროზე გავიდა.

სიონს რომ გაუსწორდნენ, რამაზ კორინთელმა მანქანა დაამუხრუჭა. ინგა სიონის გვერდით მუშაობდა, ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

- მოვედით! - გაუღიმა ინგამ. ძმას აკოცა და მანქანის კარი გააღო.

- მოიცა, ნუ ჩქარობ, პატარა საჩუქარი მინდა გადმოგცე. - კორინთელმა ჯიბიდან ყავისფერი კოლოფი ამოიღო და დას გაუწოდა.

ინგამ კოლოფი სიხარულით ჩამოართვა, გახსნა და ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ამოიღო.

- ნამდვილია? - თვალები გაუფართოვდა ქალიშვილს.

- აბა თქვენს ბრწყინვალეობას უბრალო ბეჭედს ვაკადრებდი? - გაიღიმა რამაზ კორინთელმა. ინგამ ბეჭედი ისევ ხავერდის ბუდეში ჩადო, კოლოფი დახურა და შეშინებულმა ძმას შეხედა.

კორინთელმა მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო, როცა დაინახა, ინგას როგორ ჩამოუგორდა ლოყებზე ცრემლები.

- რა დაგემართა ინგა?

- საიდან იყიდე ასეთი ძვირფასი ბეჭედი?

- ინგა!

- გაჩერდი, რამაზ, მეშინია. ძალიან მეშინია!

- რისი გეშინია? - ღიმილით სცადა დის დამშვიდება კორინთელმა.

- ან ეს მანქანა საიდან იყიდე? ვინ მოგცა შენ ამდენი ფული?

- მანქანა ჩემი არ არის, - კორინთელმა ჯიბიდან საბუთები ამოიღო და ერთი ფურცელი დას გაუნოდა. - აი, მინდობილობა. ნაცნობი კაცია და რამდენიმე თვით მათხოვა მანქანა. თვითონ მივლინებაში წავიდა საზღვარგარეთ.

- ნუ მატყუებ, რამაზ, მე ხომ ვიცი, როგორ კეთდება ეს მინდობილობები.

- არ გატყუებ, ინგა, მინდა, რომ დაიჯერო! ჰო, მართლა, რა იყო, რატომ მირეკავდი ასეთი შეშფოთებული ხმით?

- გუშინ ამხანაგთან ვიყავი, დაბადების დღე ჰქონდა. სტუმრებში ერთი კაცი ერია. ოცდაათი წლის მაინც იქნებოდა. შევატყე, რომ ჩემს გვერდით დაჯდომა უნდოდა. არ მესიამოვნა. შევეცადე, მის ახლოსაც კი არ დავმჯდარიყავი. არ ვიცი, როგორ მოახერხა, როცა მოვიხედე, ჩემს გვერდით იჯდა. რამაზი როგორ არისო, მკითხა.

- სახელი და გვარი გახსოვს? - შეაწყვეტინა რამაზ კორინთელმა.

- როგორ არა, საგანგებოდ ვკითხე ჩემს მეგობარს. სწორედ მაგან შემაშინა, მილიციის გამომძიებელი ყოფილა, გივი ნაკაშიძე.

მილიციის ხსენებაზე კორინთელს ელდა ეცა, მაგრამ არ შეიმჩნია.

- გივი ნაკაშიძე! - თქვა ხმამაღლა, - არ ვიცნობ, არც გამიგონია.

- მე კი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იცნობდი.

- შეიძლება ვიცნობ ვიდეც. არ მაგონდება. შენ ხომ მაინც იცი, რამდენი რამ დამავინწყდა, რაო, რა მინდაო?

- რა შესანიშნავად იცის შენმა ძმამ უცხო ენებიო.

- მერე შენ რა უთხარი?

- რატომ დასცინით-მეთქი. როგორ გეკადრებათო, განა თქვენ არ იცით, რომ რამაზი მშვენივრად ლაპარაკობს ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად?! - მე გავბრაზდი და ხმა აღარ გავეცი.

- მერე?

- არ მომასვენა. იქნებ ისიც არ იცით, პიანინოზე რომ შესანიშნავად უკრავსო. მაშინ კი გავმწარდი და მკვახედ ვუთხარი, ჩემი ძმა თქვენი დასაცინი არ არის-მეთქი. სხვათა შორის, ავადმყოფობამდე არავინ არ ვიცოდით, რამაზი თუ ასეთი განათლებული იყო. აღმოჩნდა, რომ არც თქვენ გცოდნიათო. მერე თავი გაიქნია და თქვა, საინტერესოა!

- რა უპასუხე?

- მეტი არაფერი. კიდევ ერთ საათს ვიჯექი სუფრასთან. მისკენ არც გამიხედავს. შინ რომ მოვდიოდი, მაშინ ვკითხე ჩემს მეგობარს, ვინ არის-მეთქი გივი ნაკაშიძე. ჩემი ძმის ნაცნობია, მილიციაში მუშაობსო, მითხრა. შემეშინდა. მოვედი თუ არა, დაგირეკე. პირველ საათზე კიდევ არ მიპასუხე. მთელი ღამე ფიქრებში გავატენე.

- რა გაფიქრებდა?

- ბევრი რამე! რატომ დაგცინოდა?

- რატომ გგონია, რომ დამცინოდა? იქნებ მართლა ვიცი უცხო ენები და იქნებ მართლა შესანიშნავად ვუკრავ პიანინოზე?

- შენც დამცინი? - გაუფართოვდა თვალები ინგას.

ისევ დაეხვა თავბრუ კორინთელს, ისევ შეიპყრო საშინელმა სურვილმა, გულში ჩაეკრა გაოცებული ქალიშვილი.

ო, რა სიამოვნებით ამოუკოცნიდა გაოცებულ თვალებს, ამოზურცულ ტუჩებს, ნატიფ ხელის თითებს...

- ცოტა-ცოტა ვიცი კიდევ უცხო ენები. შენ წარმოიდგინე, პიანინოზეც ვუკრავ!

- სერიოზულად მეუბნები? - კიდევ უფრო გაოცებულმა ჰკითხა ინგამ.

- სერიოზულად!

ქალიშვილი კარგა ხანს მისჩერებოდა ძმას თვალებში.

- რა იყო, არა გჯერა? - გაიღიმა რამაზ კორინთელმა.

- როდის ისწავლე ან უცხო ენები, ან დაკვრა?

- რაც ცალკე გადავედი, ჩემად ვსწავლობდი. შენ ხომ მაინც იცი ჩემი ხასიათი, არ მიყვარს ტრაბახი და მეტიჩრული თავის გამოჩენა.

- მართალს ამბობ?

- სრულ სიმართლეს გეუბნები.

- აბა დამიფიცე!

„აბა დამიფიცე!“ - როგორ გაუთბო მთელი სხეული ამ ორმა სიტყვამ!

- შენ თავს ვფიცავარ!

- მეშინია, რამაზ!

- რისა გეშინია?

- არ გეწყინოს და შენი მეშინია.
- ჩემი?!
- ჰო, შენი.
- რატომ?
- თვითონ არ ვიცი. უფრო სწორად, ვიცი, იმ უბედურ შემთხვევამდე სულ სხვანაირი იყავი.
- მაინც რანაირი?
- უხეში, ნერვიული. არასდროს არ გამოგიტყვამს სურვილი, რამე წაგეკითხა ან გესწავლა. სიყვარულს ვინ დაეძებდა, სულ მეგონა, რომ გეზიზღებოდი, მე კი შენს მეტი არავინ გამაჩნია ამ ქვეყანაზე. ახლა კი... ახლა შენს ყოველ შემოხედვაზე ვგრძნობ შენს სიყვარულს. ვერ გამიგია, რა მოხდა.
- არაფერიც არ მომხდარა. ჩემს თავში კბილანები კარგად არ მუშაობდა. ამწე ხიდის კაუჭი რომ მომხვდა, ყველაფერი რიტმულად ამუშავდა. ეს არის და ეს! - კორინთელმა სცადა სათქმელი ხუმრობით მიეფუჩეჩებინა.
- მე მაინც მეშინია, რამაზ. ძალიან გთხოვ, მანქანა პატრონს დაუბრუნო.
- მანქანის პატრონი ალჟირში წავიდა სამუშაოდ. ჩამოვა და დავუბრუნებ.
- ბეჭედიც დაუბრუნე მალაზიაში.
- ბეჭედი რატომ? - განაწყენდა კორინთელი.

- იმიტომ.

- ინგა!

- თუ გიყვარვარ, თხოვნას შემიხსრულებ! - ინგამ მანქანის კარი გამოაღო.

- როგორი ბიჭი იყო? - ჰკითხა უცებ კორინთელმა.

- ვინ?

- აი ის, გივი ნაკაშიძე.

- მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი. - დაფიქრდა ინგა. - ჰო, საფეთქლები ასაკთან შედარებით უჩვეულოდ აქვს გაჭადარავებული.

„მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი...“

- იცნობ? - ჰკითხა ინგამ.

უარის ნიშნად კორინთელმა თავი გაიქნია.

- ნავედი. საღამოს ისევ დაგირეკავ.

ინგა მანქანიდან გადავიდა და სიონისკენ გაემართა.

რამაზ კორინთელმა დას თვალი გააყოლა. სიონის მოყვითალო ფონზე უფრო მოხდენილი გამოჩნდა ქალიშვილის ფიგურა. ტაძართან რომ მივიდა, უკან შემობრუნდა. მანქანაში ძმას ვერ ხედავდა, მაგრამ ღიმილით ხელი მაინც დაუქნია.

რამაზ კორინთელს უზარმაზარმა სურვილმა მოუარა, მანქანიდან გადმომხტარიყო, ინგასთან ერთად ეკლესიაში შესულიყო, სანთლები დაენთო, ელოცა, მერე ქალიშვილი კვლავ მანქანაში ჩაესვა და წასულიყო შორს, ძალიან შორს.

ცოტაც და ინგა თვალს მიეფარა.

რამაზ კორინთელს ვიღაცამ გულზე ისევ ჩამოჰკიდა უზარმაზარი რკინის გირა. იდაყვებით მანქანის საჭეს დაეყრდნო და თავი ჩაჰკიდა.

„მილიციის გამომძიებელი გივი ნაკაშიძე!“ - გაახსენდა უცებ.

„მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი...“

„საფეთქლები ასაკთან შედარებით უჩვეულოდ აქვს გაჭადრაკებული...“

„სად მინახავს ასეთი კაცი?“

„არადა მინახავს, ნამდვილად მინახავს“.

რამაზ კორინთელმა ერთხელ კიდევ გახედა ეკლესიას.

- მოწყალეებს ხომ არ გაიღებ, შვილო?

ჩაესმა უცებ ყურში.

მიიხედა, შავებში გახვეულ ქალს ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. მექანიკურად ხელი ჯიბისკენ წაიღო, ქალს ფული ანგარიშშიუცემლად გაუწოდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.



„მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი კაცი...“

„საფეთქლები ასაკთან შედარებით უჩვეულოდ აქვს გაჭაღარავებული...“

„სად მინახავს ასეთი კაცი?“

„არადა მინახავს, ნამდვილად მინახავს!“

## თავი მეთოთხმეტე

ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტი ნელა შეივსო ხალხით. ოთარ კახიშვილი მოთმინებით იჯდა, ხმას არ იღებდა. შემოსულებს სკამამდე თვალით მიაცილებდა, თან სიგარეტს ეწეოდა.

- ყველანი აქა ვართ? - იკითხა ბოლოს დინჯად და შემოსულებს თვალი მოავლო. ისე, სხვათა შორის იკითხა, თორემ კარგად იცოდა, ვისაც დაუძახა, ყველანი სკამებზე ისხდნენ.

თანამშრომლებმა მაინც მიიხედ-მოიხედეს, თითქოს ერთხელ კიდევ შეამოწმეს, გვაკლია თუ არა ვინმეო.

ბევრმა ხმამაღლაც დაიძახა, ყველანი აქა ვართო.

ოთარ კახიშვილმა ჩაახველა და ფეხზე წამოდგა. ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა, ჯიუტად მისჩერებოდა ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოერგო სკამს.

- მოგეხსენებათ, თვეზე მეტი გავიდა ბატონ დავით გიორგაძის გარდაცვალებიდან, - დაიწყო ხმადაბლა და დინჯად, როცა კაბინეტში აბსოლუტური სიჩუმე ჩამოვარდა, - კაცმა რომ თქვას, ზემდგომი ორგანოებისა და მეცნიერებათა აკადემიის დახმარებით მისი ხსოვნისათვის თითქმის ყველაფერი გავაკეთეთ. დარჩა მხოლოდ რამდენიმე საკითხი, რომლის გადაჭრაც დროსთან იყო და არის კიდევ დაკავშირებული. მოგეხსენებათ, განსვენებული აკადემიკოსი ძალზე რთული პრობლემის გამოკვლევას ცდილობდა. იგი ვარაუდობდა, რომ რადიოაქტიური გამოსხივების დღემდე ცნობილი ოთხი სახეობის გარდა არსებობდა მეხუთე ტიპის გამოსხივებაც. ჩვენ არ ვიცით, რა ეტაპზე დარჩა აკადემიკოსის სამუშაო. არც ადრე და არც ავადმყოფობის დროს არავისთან სიტყვა არ

დასცდენია თავისი კვლევის შედეგებზე. ხუთი წელი იბრძოდა იგი თეორიულად გააზრებული პრობლემის გადასაჭრელად. მიიყვანა საქმე ბოლომდე? ექსპერიმენტი დასაბუთდა მეცნიერის თეორიული მოსაზრებანი? იქნებ მცდარი გამოდგა ბატონი დავითის ჰიპოთეზა და ვარაუდი? არ ვიცით. ვერც მეცნიერის სახლში, ვერც ლაბორატორიასა და კაბინეტში ერთ ფურცელსაც კი ვერ მივაკვლიეთ, რაიმე დასკვნა რომ გამოგვეტანა. სრულიად ბუნებრივია, დაიბადოს ასეთი აზრიც: აკადემიკოსმა დაასრულა თავისი გამოკვლევა და ახლა იგი აკადემიაში მოხსენებისა და პუბლიკაციისათვის გამზადებული ამ უზარმაზარ გერმანულ სეიფში ინახება, რომლის გახსნა, ძალიანაც რომ გვიწოდდეს, არ შეგვიძლია. აკადემიკოსმა საფლავში ჩაიტანა შიფრი, ხუთციფრიანი კომბინაცია. ამასწინათ დირექციამ ითათბირა დავით გიორგაძის უკვდავყოფის ღონისძიებებზე და შეეთანხმით, რომ მოსკოვიდან გამოგვეძახა ასეთი უძველესი და უნიკალური სეიფის გამხსნელი ოსტატი. გადანყვეტილი გვექონდა, შეგვედგინა კომისია, გაგვეხსნა სეიფი, აღგვერიცხა ყველა დოკუმენტი, სრულიად უბრალო და უმნიშვნელო ჩანაწერები და ნივთებიც კი... ბუნებრივია, თუ სეიფში აღმოჩნდებოდა დავით გიორგაძის უკანასკნელი გამოკვლევა, უმაღვე განვიხილავდით დიდ საბჭოზე აკადემიის წარმომადგენლებისა და თვით პრეზიდენტის თანდასწრებით. მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ...

ოთარ კახიშვილმა ბოლო ფრაზა საკმაოდ მაღალი ტონალობით წარმოთქვა და კაბინეტში მსხდომთ თვალი მოავლო. აინტერესებდა, რა რეაქცია გამოიწვია საქმის მოულოდნელად შებრუნებამ.

განსაკუთრებული გამოცოცხლება ვერ დაინახა. ინსტიტუტში უკვე ყველამ იცოდა ანდერძის აღმოჩენის ამბავიც და მისი დაწვრილებითი შინაარსიც. მიუხედავად დირექტორის თხოვნისა და თითქმის ბრძანებისა, ვიღაცამ საიდუმლო მანც გასცა.

- გუშინ მე, ჩემი მოადგილე, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები ვესტუმრეთ განსვენებულის ოჯახს. ჩვეულებრივ მოვიკითხეთ აკადემიკოსის ქვრივი.

ბუნებრივია, მომავალშიც დიდი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ ქალბატონი ანნას მიმართ („ანნაზე“ ოდნავ გაელიმა ნოდარ ოდიშარიას), ეს ჩვენი მეცნიერული და ადამიანური ვალია. და აი, როცა დავით გიორგაძის კაბინეტში ვიჯექით, შუა საუბრის დროს ქალბატონ ანნას ცრემლები წასკდა. უხერხული განწყობილების განსატვირთავად თაროდან ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომი გადმოვიღე. მოხდა საოცრება! ტომში აღმოჩნდა კონვერტი, რომელზეც ეწერა: „თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექციას“. აი, ეს კონვერტიც.

ოთარ კახიშვილმა კონვერტიანი მარჯვენა ხელი მაღლა ასწია.

ყველამ კონვერტს მიაპყრო დაინტერესებული მზერა.

ოთარ კახიშვილი გაამხნევა მათმა გამოცოცხლებამ.

- ქალბატონი ანნა ძალზე აადეღვა კონვერტის დანახვამ. ბუნებრივია, სურვილი განაცხადა, კონვერტი იქვე გაგვეხსნა. ასე შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს ხელში დავით გიორგაძის ანდერძი. აქ ჩვენი ინსტიტუტის აქტივს იმიტომ მოგიყარეთ თავი, რომ წაგიკითხოთ აკადემიკოსის ანდერძი, შემდეგ კი ტექსტს გავაცნობთ აკადემიის პრეზიდიუმს.

ოთარ კახიშვილმა კონვერტიდან წერილი ფრთხილად ამოიღო და კითხვას შეუდგა. კითხულობდა დინჯად, მკაფიოდ. ყოველი მნიშვნელოვანი ფრაზის შემდეგ პაუზას აკეთებდა, რომ მსმენელებს უკეთ აღეჭვათ აკადემიკოსის სურვილები. ბოლოს იმ აბზაცს მიუახლოვდა, სადაც განსვენებულის მთავარი და ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ყველაზე საინტერესო სურვილი იყო გამოთქმული. ოთარ კახიშვილის ხმამ სიმტკიცე დაკარგა. ნერვიული თრთოლვა შეეპარა.

- „ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში კატეგორიულად მოვითხოვ სეიფი დალუქოთ და

გახსნათ ორი წლის შემდეგ, ჩემი დაბადების სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავზე, ხუთ ოქტომბერს, დღის 12 საათზე“.

შემდეგ რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზა ჩაიკითხა და ანდერძიც დამთავრდა.

- ეს არის და ეს! - ოთარ კახიშვილმა ანდერძიც წელანდელივით მალლა ასწია, უნდოდა ყველა დარწმუნებულიყო, რომ ფურცელზე სხვა რამ მართლაც აღარ ეწერა.

ყველამ წინასწარ იცოდა ანდერძის შინაარსი, მაგრამ წაკითხვამ და ხელნაწერის დანახვამ მაინც გამოიწვია დამსწრეთა ინტერესი. ეტყობა, უფრო სარწმუნო და რეალური გახდა განსვენებული აკადემიკოსის ანდერძი. დავით გიორგაძის ყველა სურვილი გასაგები იყო, გარდა ერთისა, - რატომ უნდა გახსნილიყო სეიფი ორი წლის შემდეგ?

კაბინეტი ერთბაშად ამუზუნდა სკასავით. ყველანი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, შიგადაშიგ ძალზე ხმამაღლა და ტემპერამენტიანად კამათობდნენ, თანდათანობით ლამის ყვირილზე გადავიდნენ.

ოთარ კახიშვილს არც უცდია ხალხის დაწყნარება. მიხვდა, რომ ანდერძმა ეფექტი მოახდინა. ახლა მთავარი ეს იყო. სავარძლის საბურგებზე მიწოლილი და ცალთვალმოჭუტული ძლივს შესამჩნევი დამცინავი ღიმილით ავლებდა მზერას აღელვებულ, კამათით გახურებულ და სახეანითლებულ თანამშრომლებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა დირექტორის აზრით, მოკამათებმა საკუთარი მოსაზრებების გამოთქმით ნაწილობრივ მაინც იჯერეს გული, ოთარ კახიშვილმა მაგიდაზე დააკაკუნა და ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდა.

კაკუნის ხმა და დირექტორის მოწოდება არავის გაუგონია. კაცმა არ იცოდა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა თანამშრომელთა კამათი, უცებ ნოდარ ოდიშარისა რომ არ ეკითხა:

- რომელი რიცხვით არის ანდერძი დათარიღებული?

მართლაც და, რომელი რიცხვით იყო დათარიღებული? თუ ანდერძი საავადმყოფოში დაწერა, ვინ წაიღო და ვინ ჩადო ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში?

ოთარ კახიშვილი ფეხზე წამოდგა. კონვერტიდან ანდერძი ისევ ფრთხილად ამოიღო, თარიღი ჯერ წაიკითხა, მერე ხალხს დაანახა. აღმოჩნდა, რომ ანდერძი ინფარქტამდე ათი დღით ადრე იყო დაწერილი.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო აღაგზნო მოკამათენი.

„რატომ?“

„იცოდა, რომ ინფარქტი დაემართებოდა?“

„უბრალო დამთხვევა იყო თუ წინათგრძნობა?“

- დაწყნარდით, მეგობრებო, დაწყნარდით! - ოთარ კახიშვილი ფეხზე წამოდგა და საფერფლე რამდენჯერმე ენერგიულად დაჰკრა მაგიდას.

ხალხი ნელ-ნელა დაშოშმინდა.

- გუშინ ჩვენც ბევრი ვიმსჯელებთ წერილის თარიღზე. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ? წინათგრძნობამ დააწერიან აკადემიკოსს ანდერძი თუ, უბრალოდ, საოცარი დამთხვევა მოხდა? ამ საკითხს ჩვენ ვერ გავარკვევთ და საქმისათვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ამ წუთში უფრო დიდი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. რას იტყვით, როგორ მოვიქცეთ?

- ეგ რა პრობლემაა, ან რა საკითხავია! ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც აკადემიკოს დავით გიორგაძეს სურდა. თუკი, რასაკვირველია, ანდერძი დანამდვილებით მისი დაწერილია. - როგორც ყოველთვის, სათქმელი ახლაც გამომწვევად თქვა ნოდარ ოდიშარიამ.

- ვინც აკადემიკოსის ხელს იცნობს, იოტისოდენა ეჭვიც არ შეეპარება, რომ ანდერძი ნამდვილად დავით გიორგაძის დაწერილია. რასაკვირველია, ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად, ანდერძი აუცილებლად გადაეცემა ექსპერტს.

- მე ეგ არ მომიტხოვია! - ფეხზე წამომდგარმა განაცხადა პროტესტი ოდიშარიამ.

- არ იფიქროთ, რომ ანდერძი თქვენს მიერ გამოთქმული წინადადების გამო გადაეგზავნება საექსპერტო კომისიას. წესია ასეთი. ჯერ კიდევ გუშინ, აკადემიკოსის ბინაზე, ქალბატონ ანნასთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ ანდერძი აუცილებლად გადავცეთ ექსპერტს. მანამდე კი, ყველას შეგიძლიათ დახედოთ და ხელახლა წაიკითხოთ. სასურველია, კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ, რომ ანდერძი ნამდვილად ბატონი დავითის მიერაა დაწერილი.

ოთარ კახიშვილმა წერილი იქვე, ხელმარჯვნივ მჯდომ არჩილ თევდორაძეს გადააწოდა და ანიშნა, შენი მხრიდან ჩამოატარეო. არჩილს ანდერძი ჯერ კიდევ გუშინ ჰქონდა ათჯერ მაინც წაკითხული, ამჯერად ზედაც არ დაუხედავს, ისე გადააწოდა გვერდით მჯდომ ხანშიშესულ დოცენტს.

ანდერძი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა დაკვირვებით დასჩერებოდა და ხელახალა კითხულობდა.

- ფრთხილად, მეგობრებო, ფრთხილად, არ დაჭმუჭნოთ და არ დასვაროთ! - შეშინებული აფრთხილებდა ხალხს ინსტიტუტის დირექტორი.

ნოდარ ოდიშარიას რიგიც დადგა. მან ყურადღებით დახედა ნაწერს, სხვებივით ტექსტიც ჩაიკითხა, ანდერძი გვერდით მჯდომ კოლეგას გადააწოდა და უცნაურად ჩაიცინა.

- რა გაცინებთ? - გაბრაზდა კახიშვილი.

- პირდაპირ საოცარია! - თქვა ნოდარ ოდიშარიამ და ფეხზე წამოდგა.

კახინეტში სიჩუმე ჩამოვარდა.

- რა არის საოცარი? - კვლავ გაბრაზებულმა ჰკითხა ინსტიტუტის დირექტორმა;

- არ იფიქროთ, ანდერძის რეალობაში ეჭვი მეპარებოდეს. მე კარგად ვიცნობდი აკადემიკოსის ხელს. ანდერძი ნამდვილად მისი დაწერილია. ოღონდ ერთი რამ მიკვირს. ძალიან გთხოვთ, ნუ დამძრახავთ და კირკიტა კაცის სახელს ნუ შემარქმევთ. ძალიან მიკვირს, ბატონმა დავითმა რატომ ჩადო ანდერძი ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში და რატომ არ ჩადო საწერი მაგიდის რომელიმე უჯრაში, სადაც აკადემიკოსის სიკვდილის შემდეგ კონვერტს გაცილებით იოლად იპოვიდა კაცი! ქალბატონი ანნასთვის (აშკარად გასცინა ახალ დირექტორს), რამდენადაც მე ვიცი, ასტრონომიული ენციკლოპედია არ არსებობს. არც გიორგაძის ვაჟი, კიდევაც რომ დაბრუნდეს შინ და ღმერთმა დააბრუნოს, არ მოიკლავს თავს ასტრონომიული წიგნებით. ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ხომ შეიძლებოდა აკადემიკოსის ანდერძი მთელი საუკუნე არ აღმოჩენილიყო?! - აიჩეჩა ოდიშარიამ მხრები. - და მეორე: რატომ არ დატოვა დავით გიორგაძემ სეიფის შიფრი?

- თქვენი მეორე მოსაზრება ძალიან იოლად შეგვიძლია ავხსნათ, წამოდგა ფეხზე არჩილ თევდორაძე. იგი, რაც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გახდა, ასე ვრცლად პირველად ამბობდა სიტყვას და უნდოდა ნათქვამისათვის მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა. - აკადემიკოსმა ალბათ ივარაუდა, რომ წერილი შემთხვევით შეიძლებოდა



მხოლოდ ერთ კაცს ჩავარდნოდა ხელში. ან თუნდაც კოლექტიურად რომ გაგვეხსნა, სეიფის შიფრი რამდენიმე კაცს გვეცოდინებოდა ერთდროულად. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ანდერძში თუ ამ პატარა წერილში შიფრი არ ჩანერა. ბატონმა დავითმა მშვენივრად იცოდა, რომ მოსკოვში არიან სეიფის გახსნის დიდებული ოსტატები. რატომ უნდა წასულიყო თუნდაც ელემენტარულ რისკზე? მგონი, სწორ მოსაზრებას გამოვთქვამ, არა?

- სასესიოთ სწორი ბრძანდებით! - პირველმა ოთარ კახიშვილმა დაუკრა კვერი.

თანხმობის ნიშნად ბევრმა დააქნია თავი.

- რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ უფრო რთულადაა საქმე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, სად იყო წერილი? - გაცხარდა უცებ არჩილ თევდორაძე. - თქვენი ვარაუდი საყურადღებოა. მართლაც გასაოცარია, რატომ ჩადო ბატონმა დავითმა ანდერძი ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში და არა, ვთქვათ, პირველში. ან თუნდაც მაგიდის უჯრაში. მაგრამ საერთოდ აქვს აზრი ამ პრობლემის გადაჭრას?! მთავარია, რომ ანდერძი არსებობს და იგი ჩვენს ხელთაა. პირადად მე მოვითხოვ, ხვალვე დაილუქოს სეიფი.

- ხვალვე კია რა, დღესვე, - ჩაუჭრა სიტყვა ოთარ კახიშვილმა, - ამ დილით აკადემიის პრეზიდენტს ველაპარაკე. მათი წარმომადგენელი, კერძოდ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩიქოვანი გვესტუმრება ოთხ საათზე, შევადგენთ კომისიას და დავლუქავთ სეიფს. ეს არაა ძნელი საქმე. რაც შეეხება ანდერძს, გულახდილად უნდა გითხრათ, ნუხელ მეც ვფიქრობდი მთელი დამე, რატომ შეინახა ბატონმა დავითმა კონვერტი მაინცდამაინც წიგნების კარადაში და მაინცდამაინც ასტრონომიული ლექსიკონის მეორე ტომში?! დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივედი. წერილი დაწერილია ინფარქტამდე ათი დღით ადრე. რატომ? იქნებ ინტუიციამ, უბედურების მაუწყებელმა წინათგრძნობამ დაანერჩინა ანდერძი? არა მგონია. სამოცდაათოთხმეტ წელს მიღწეულმა

კაცმა რომ ანდერძი დაწეროს, არცაა გასაკვირი. მან, ვინ იცის, ანდერძი ყოველ შემთხვევისათვის დაწერა და ვინაიდან თავს სრულიად ჯანმრთელად გრძობდა, ჩადო არა უჯრაში, არამედ ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში. შეგვიძლია გავაკეთოთ პირველი დასკვნა: აკადემიკოსი არ შეუპყრია ტრაგიკულ წინათგრძნობას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ მეორე დასკვნაც: უჯრაში განგებ არ ჩადო კონვერტი. განა სასიამოვნოა, ან თვითონ, ან ოჯახის წევრებმა იქაურობის დალაგებისას, ან მუშაობის დროს ყოველდღე დახედონ კონვერტს, სადაც ანდერძია მოთავსებული?! ამიტომაც ჩადო ისეთ წიგნში, რომ არც დავიწყნოდა და საჭიროების შემთხვევაში, იოლადაც ეპოვა. შეიძლება შემომედავოთ, საავადმყოფოში მაინც რატომ არ თქვა, ანდერძი სად ინახებოდა ან იქიდან რატომ არ შემოგვითვალა თავისი სურვილით. ღრმად ვარ დარწმუნებული, მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არ წამოსცდენია დავით გიორგაძეს ანდერძის არსებობა. თუ მართალი გინდათ, ამ ერთგვერდიან ტექსტს ანდერძს ვერც დავარქმევთ. არც თვითონ უწერია სადმე სიტყვა ანდერძი. ფაქტიურად მან ინსტიტუტის დირექციას მისწერა წერილი, სადაც იგი მოითხოვს სეიფის დალუქვას. აკადემიკოსს რომ ნამდვილი ანდერძი დაეწერა, ალბათ მინიმუმ ასი პუნქტისაგან მაინც იქნებოდა შედგენილი. საავადმყოფოში კი, გონს რომ მოვიდა, პირველი ნუთებიდანვე იწყო გამოჯანმრთელება და ერთი წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ინსტიტუტს დაუბრუნდებოდა. ტრაგედია ერთბაშად დატრიალდა, მყისიერად. მთავარმა ექიმმა, ბატონმა ზურაბ თორაძემ ბრძანა, რომ აკადემიკოსმა ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო, სისხლის უეცარი ჩაქცევისაგან ისე დაკარგა გონებაო. ერთი სიტყვით, მე ანდერძის არსებობა, მისი დაწერის მიზეზი და ადგილსამყოფელი კი არ მაღელვებს, არამედ, შინაარსი. რატომ უნდა გაიხსნას სეიფი გარდაცვალების დღიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ და მაინცდამაინც დაბადების დღეს, ხუთ ოქტომბერს, დღის 12 საათზე? აქვს ამ თარიღს რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა თუ, ღმერთო შემინდე და, ჩვენი გზა-კვალის აბნევას ცდილობს ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი? ნუ ღელავთ, ბოლომდე დამამთავრებინეთ სათქმელი! - ოთარ კახიშვილმა ხელეები მაღლა ასწია და თავის მიერ წარმოთქმულ უკანასკნელ ფრაზაზე ახმაურებულ ხალხს სიჩუმისაკენ მოუწოდა. - მაცალეთ, მეგობრებო, სათქმელი დამამთავრებინეთ და შემდეგ გამოთქვით

თქვენი მოსაზრებანი. ხუთი წლის მანძილზე ცდილობდა აკადემიკოსი თქვენთვის უკვე ცნობილი პრობლემის გადაჭრას. თუ გამოკვლევა შუამდე მაინც ჰქონდა მიყვანილი, თუ მისი ამოხსნის გზები მაინც ჰქონდა სანახევროდ ნაპოვნი და გაშიფრული, მით უმეტეს, თუ პრობლემა საბოლოოდ ჰქონდა თეორიულად გადაჭრილი და ექსპერიმენტით დადასტურებული, არ ჯობდა, ახლავე გამოგვემზებებინა, გამოგვექვეყნებინა და ბოლომდე მიგვეყვანა?! დღევანდელი ცხოვრების სწრაფი ტემპის პირობებში რა გარანტია ჰქონდა, რომ ვინმე სხვა არ გადაჭრიდა მის არჩეულ პრობლემას? ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს დავით გიორგაძის ნათელი სსოვნის წინაშე, დიახ, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ აკადემიკოსმა კრახი განიცადა? რომ მან ვერ მიიღო სასურველი თეორიული და ექსპერიმენტული შედეგები? კიდევ ერთხელ მინდა, მეგობრებო, მკრეხელობად არ ჩამითვალოთ ჩემი მოსაზრებანი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მეცნიერები ვართ და მხოლოდ საღი მსჯელობა გვმართებს. თუ სანინაალმდეგოში დავრწმუნდებით, გჯეროდეთ, მეგობრებო, არავისზე ნაკლებად არ გამიხარდება და სიამოვნებით წავიდებ ჩემს სიტყვებს უკან. დიახ, დავით გიორგაძემ, ალბათ, ვერ გადაჭრა პრობლემა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წელი რომ შეაღია. ალბათ, ბატონ დავითს არ სურდა, მისი უშედეგო მუშაობა სიკვდილისთანავე გამოეხეობო და თავისი პიროვნების ირგვლივ ამ ანდერძითა და წერილით (ფურცელი კვლავ მაღლა ასწია) და სეიფის დალუქვით გარკვეული აუიოტაჟის შექმნა მოინდომა. ორი წლის შემდეგ კი, ყოველდღიური უმნიშვნელო მოვლენებით გადატვირთული ცხოვრება მრავალ ვნებათაღელვას დააოკებს და ჩააცხრობს. აკადემიკოსის სურვილის შესრულება და სეიფის გახსნა უმნიშვნელო რიგით მოვლენად იქცევა. პირადად მე, ამ ანდერძის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, რომ არავითარი გამოკვლევა ან თუნდაც დაუმთავრებელი ნაშრომი სეიფში არ ინახება. ღმერთო, მაპატიე, სხვანაირად ვერ ამიხსნია განსვენებული აკადემიკოსის სურვილი. კიდევ ვიმეორებ, თუ თქვენ დამარწმუნებთ სანინაალმდეგო მოსაზრებაში, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ძალიან გამიხარდება.

თანამშრომლები დუმდნენ და დიდი გულისყურით უსმენდნენ ახალ დირექტორს.

ოთარ კახიშვილი მიხვდა, რომ კაბინეტში თანხმობის დუმილი იდგა.

- თუ სათქმელი აღარაფერი გაქვთ, ცოტა დავისვენოთ. ოთხ საათზე კიდევ მოგვინებს შეკრება. აკადემიიდან ვიცეპრეზიდენტი გვესტუმრება და საგანგებოდ გამოყოფილი კომისია ოფიციალურად შეასრულებს გარდაცვლილი აკადემიკოსის უკანასკნელ სურვილს.

ყველანი წამოიშალნენ.

ინსტიტუტის დირექტორმა შვებით ამოისუნთქა და სავარძელში ჩაეშვა. კიდევ ერთხელ ინამა რამაზ კორინთელის ნიჭი და ინტუიცია. მიხვდა, აკადემიკოს დავით გიორგაძის გამოკვლევა სანახევროდ სათუო გახდა, კოლეგებს გულში ეჭვი ჩაუნერგა, ეჭვი, რომელიც დროთა განმავლობაში რწმენად იქცევა.

ოთარ კახიშვილი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო თავისი თავისა. ინსტიტუტის დირექტორმა კარგად გაიგო რამაზ კორინთელის დავალება და რთული გამოცდა დიდებულად ჩააბარა.

როცა კაბინეტში მარტო დარჩა, დაღლილი, ენერგიისაგან მთლიანად დაცლილი ძლივს წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. შეკრთა. ქვემოთ ძველებურად იდგა წითელი „ჟიგული“, მანქანის კარს ქერა, გრძელფეხებიანი ქალიშვილი მიყრდნობოდა და გამვლელ-გამომვლელს სხვათა შორის ათვალიერებდა.

# თავი მეოთხე

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა.

პროფესორი ოთარ კახიშვილი აკადემიაში იყო წასული პრეზიდენტის სხდომაზე. მოსაცდელში რამდენიმე თანამშრომელმა კაცმა მხოლოდ იმიტომ შემოიხედა, დირექტორის მდივნის სავსე მკერდისათვის რომ შეეველო თავალი.

მარინე დვალი მოწყვნილი იჯდა. დრო რომ გაეყვანა, ხან ვის ურეკავდა და ხან ვის.

დილიდანვე სევდა დაეუფლა. თვითონაც არ იცოდა, გულზე ნაღველმა რატომ გადაუარა.

ქმარს უკვე ხუთი წლის გაცილებული იყო. თუმცა თვალის ხარბად შემვლები არ აკლდა, დღემდე მთხოვნელი არავინ გამოუჩნდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ოცდახუთი წლის ქალს თვითონ არ ჰქონდა გათხოვების სურვილი. ვეღარც კი წარმოედგინა, მამაკაცისთვის როგორ უნდა ეკოცნა. სამაგიეროდ, შემოჭერილ შავ მანქანებს ან უსახელო, გულმოღეღილ ჯემპრებს იცვამდა. საგანგებოდ ცდილობდა, ძუძუები და ძუძუებს შორის ღარი ისეთი ზომებით გამოსჩენოდა, ყველაზე უფრო რომ ავიყვებ მამაკაცს.

დირექტორის მდივანმა თავიდანვე შენიშნა, ლაპარაკის დროს თვალელები კი არ უყურებდნენ, მკერდს ხარბად ჩასჩერებოდნენ და ცდილობდნენ მზერა იქ ჩაეპარებინათ, სადაც კაბა ჰფარავდა ლამაზ მკერდს.

მამაკაცთა გაღიზიანებულ და ამღვრეულ თვალეებს რომ ხედავდა, სადისტურ სიამოვნებას განიცდიდა. ეს არ იყო მამაკაცის ყურადღებით და საკუთარი სილამაზის აღიარებით მოგვრილი სიამოვნება. ეს იყო შურისძიება თავისი ქმრისადმი, საერთოდ, მამაკაცებისადმი, რომელთა ხარბ და ავხორცობით აწყლიანებულ თვალეებში მხოლოდ პირუტყვს ხედავდა.

რა საცოდავები იყვნენ ეს მამაკაცები. არა, საცოდავები კი არა, ამბარბენები! ლოკოკინასავით თავიდან ფეხებამდე ლორწოიანები. მართო ინსტიტუტის თანამშრომლები როდი იყვნენ ასეთები. უცხო პირებიც, სტუმრებიც და ქუჩაში გამვლელებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. სასაცილოდ ეჩვენებოდა მათგან მოძღვნილი საჩუქრები, შოკოლადის ფილები, ფრანგული სუნამოები, ყვავილები... ქმართან გაყრის პირველი დღიდანვე იგრძნო, მამაკაცებმა ყურადღება რომ გაახუთვეცეს. ამჩატებულ მამაკაცთა თვალები გაცილებით უტიფრად მიძვრებოდნენ ძუძუებს შორის საცთუნებელივით გამოჩენილ ღარში, უფრო ბილწად ელაშენებოდნენ მარინეს ოდნავ მსხვილ, მაგრამ ლამაზ მკლავებს. ხელის ჩამორთმევის დროს უფრო დიდხანს ეჭირათ ხელში მისი გრძელი და კარგად მოვლილი თითები. უფრო მრავალმნიშვნელოვნად ჩასჩერებოდნენ თვალებში და კომპლიმენტებშიც უფრო მეტ ქვეტექსტებს დებდნენ.

მარინე დვალი სიყვარულით გაჰყვა მეუღლეს. უბედნიერესი ქალი ეგონა თავი, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ საერთოდ ეზიზღებოდა მამაკაცთა მოდგმა. საბოლოოდ ირწმუნა, სიყვარული ბრმააო. აბა, როგორ ვერ შენიშნა ამ, ერთი შეხედვით, საკმაოდ მომხიბვლელი, მაგრამ სინამდვილეში პრიმიტივი კაცის არსებაში პირუტყვი?! მისი ქმარი მეუღლეში მხოლოდ ცხოველური ჟინის დაკმაყოფილების საშუალებას ხედავდა. ლოგინში ჩანოლისთანავე მშიერი სვავივით დააცხრებოდა ხოლმე მარინეს ჯიშინს სხეულს, შემდეგ გადაბრუნდებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა.

მეორე, ვინც მარინე დვალს კაცის სახელი შეაზიზღა, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, შოთა ბედაშვილი, იყო. ორმოცდათხუთმეტს მიღწეული ჩასუქებული კაცი თითქოს ორი ბურთისაგან იყო აწყობილი. პირველი, საკმაოდ დიდი დიამეტრის მქონე ხორცის ბურთი, მოკლედ გადაჭრილ ორ მორზე იდო. მეორე, გაცილებით პატარა ბურთი, სადაც მისი ინტელექტი ბოლომდე დასული სანთელივით ბუუტავდა და სადაც იყო ჩაქრებოდა, დიდ ბურთზე ისე მაგრად იყო დანებებული, რომ ერთხელაც არ გადმოვარდნილა. კისერი არსად მოუჩანდა და, ალბათ არც ესაჭიროებოდა პატივცემულ

მეცნიერს. შემთხვევას არ გაუშვებდა, მარინესთვის ხელი არ ჩამოერთმია, ბილნი მზერა მკერდზე არ მოეფათურებინა. ბატონი შოთა როგორც კი მისაღებიდან გავიდოდა, მარინე უმაღლვე ფრანგული ოდეკოლონით ინმენდდა ხელეებს. გულარეულს ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ხელში ბაყაყი სჭეროდა.

- მე შემძლია თქვენ უსაზღვრო ბედნიერება მოგანიჭოთ! - უთხრა ერთხელ ბატონმა შოთამ, როცა მარინე მისაღებში მართო დაიგულა. იცოდა, დირექტორი მეცნიერებათა აკადემიაში იყო და კარგა ხანს არ მოვიდოდა.

- რას მომანიჭებთ? - სახეზე ზიზღნარევი ღიმილი გადაეკრა ქალს. თან გულწრფელად გაუკვირდა, ბედაშვილმა თავი რომ დახარა, ზედა ბურთი რატომ არ გადმოვარდაო.

- უსაზღვრო ბედნიერებას, დიახ, უსაზღვრო ბედნიერებას მოგანიჭებთ, როგორც მამაკაცი და როგორც ინტელიგენტი. მე ვიცი თქვენი სილამაზის ფასი, ძვირფასო მარინე!

ქალის სახეზე დამცინავი ღიმილი ერთხანს კიდევ იყო უძრავად გაჩერებული. უცებ ღიმილი გაცოფებამ ისე შეცვალა, როგორც ეკრანზე ერთი სლაიდი შეცვლის ხოლმე მეორეს.

- სანამ სილას გაგანწავდეთ, აქედან გაეთრიეთ.

- ქალბატონო მარინე! - განითლდა პატარა ბურთი.

- გაეთრიეთ-მეთქი!

- მარინე ტარასოვნა! - სამი ნაბიჯი უკან გადადგა ბატონმა შოთამ. შეეშინდა, ქალის ხმა არავინ გაიგონოსო. - დაწყნარდით, უმორჩილესად გთხოვთ, დაწყნარდით! მე მხოლოდ მინდოდა...

- მე არ ვიცი, შენ რა გინდოდა, - მოერია თავს მარინე, - ჯობია შინ წახვიდე, ჩვეულებისამებრ, წინსაფარი გაიკეთო და მეუღლეს ჭურჭლის რეცხვაში მოეხმარო!

მარინე დვალს განსაკუთრებული ბედნიერება მაშინ ეუფლებოდა, როცა ოჯახის, მეუღლის ერთგულ კაცუნებს ამამიუნებდა, სამსახურიდან სახლში რომ კარტოფილით, რძითა და მანვნით დატვირთულები ბრუნდებინა.

გატანული და იმედგაცრუებული, სიყვარულზე რწმენაგატეხილი და მომავალზე ხელჩაქნეული ქალი ჯერ კიდევ გუშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ემოციებისა და სექსისაგან დაცლილი სხეული ისევ აივსებოდა მამაკაცთან შეხვედრის საოცარი, თითქმის დაუოკებელი სურვილით.

დიახ, ყველაფერი ერთბაშად და მოულოდნელად მოხდა.

უცებ კარი რამაზ კორინთელმა შემოაღო.

მარინე შეკრთა. ამ არცთუ ლამაზი, მაგრამ სპორტული აღნაგობის, ენერგიული ჭაბუკის დანახვა ქალში ყოველთვის გაუგებარ გრძნობას იწვევდა. ვერ მიხვდარიყო, მოსწონდა თუ ეზიზღებოდა თვითდაჯერებული და თავხედი ჭაბუკი. ერთი კი ნაღდი იყო, მღელვარება იპყრობდა და წონასწორობიდან გამოდიოდა. იმ დღიდან, პირველად რომ ნახა, ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა, საიდან იცოდა რამაზ კორინთელმა, რა სურათი ჰქონდა კედელზე დაკიდებული, ან როგორი ტორშერი ამშვენებდა მის ოთახს?!

ის დღე იყო და ის დღე. რამაზ კორინთელი თითქმის აღარ დალაპარაკებია. დირექტორის კაბინეტში პირდაპირ შედიოდა. მდივანი ქალისაკენ ზრდილობის გულისთვისაც არ იხედებოდა. სალამზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი.

მარინე დვალმა დიდი ფიქრის შემდეგ მაინც დაასკვნა, რომ ინსტიტუტის ახალი



თანამშრომელი თუ არ ეზიზღებოდა, ძალზე აღიზიანებდა. კაცმა რომ თქვას, რამაზ კორინთელს მარინესათვის არაფერი დაუშავებია. არც ზოგიერთივით უტიფრად შეუვლია თვალი მისი გულმკერდისათვის, არც უდიერად მიუმართავს როდესმე. იქნებ ის აღიზიანებდა, დირექტორის კაბინეტის კარს დაუკითხავად რომ აღებდა?

დღეები გადიოდა. ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტი მხოლოდ რამაზ კორინთელით ცხოვრობდა.

გულჩახვეულმა, ენერგიულმა ჯაბუკმა თავიდანვე მიიქცია ინსტიტუტის თანამშრომელთა ყურადღება. ზოგს მოსწონდა ცივი, სიტყვაძუნწი, მაგრამ ძალზე კორექტული და თავაზიანი ჯაბუკი. ზოგი ვერ იტანდა, თუმცა ზიზღის არც საფუძველი ჰქონდათ, არც საბაბი. რატომღაც მისი თაფლისფერი, ერთი შეხედვით კეთილი თვალები არ მოსწონდათ. დიახ, ერთი შეხედვით კეთილი, რომლის სიღრმიდან თითქოს ბოროტება იმზირებოდა.

მითქმა-მოთქმას ბევრმა მოვლენამ შეუნყო ხელი. სექტემბრის დასაწყისში კვლევით ინსტიტუტს ამერიკელი მეცნიერები ეწვივნენ, ორი კვირის შემდეგ ფრანგები. მიღებაზე ორთავჯერ რამაზ კორინთელი თარჯიმნობდა. მერე როგორი დინჯი და კორექტული იყო. ერთი წუთითაც ვერ შენიშნავდით ყოფილობას, ენების ცოდნით გამოწვეულ ქედმაღლობას. თარჯიმნობა დინჯად, გარკვევით, მოკრძალებით. ოღონდ ხანდახან ცდილობდა ის სისულელები გამოესწორებინა, ინსტიტუტის დირექტორი, ან რომელიმე თანამშრომელი რომ წამოროშავდა ხოლმე.

დღეები გადიოდა, სენსაცია სენსაციას ემატებოდა. გაიგეს, რომ ერთი თვის მანძილზე უნივერსიტეტში ორი კურსის საგნები წარმატებით ჩააბარა. ისიც იცოდნენ, იანვარში მთლიანად დახურავდა უკანასკნელ კურსს და სადიპლომოსაც დაიცავდა.

უნივერსიტეტშიც უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ ფენომენალური ნიჭის ჯაბუკზე. ბევრმა სიტყვა „გენიოსიც“ კი მოიშველია რამაზ კორინთელის დასახასიათებლად.

მარინე დვალი ერთს კი გრძნობდა აშკარად. რამაზ კორინთელი მეტისმეტად აღიზიანებდა, მაგრამ მისი ყოველი ნაბიჯი ძალზე აინტერესებდა.

ახლაც, კარი რომ შემოაღო, ახალგაზრდა ქალს გუნება კიდევ უფრო გაუფუჭდა.

- დირექტორი აკადემიაშია და შეიძლება არც მოვიდეს! - მიაგება ცივად ვაჟს, თუმცა კორინთელს ერთი სიტყვაც კი არ ჰქონდა ნათქვამი.

ვითომც არც გაეგონოს მარინეს სიტყვები, რამაზ კორინთელი ჯიქურ მივიდა მაგიდასთან.

- ხვალ, თუ სურვილი გექნებათ, მცხეთისკენ გავისეირნოთ! - უცერემონიოდ და თავხედურად უთხრა ახალგაზრდა ქალს.

დირექტორის მდივანმა გაოცებით ამოხედა ჭაბუკს.

- რა ბრძანეთ? - ესლა მოახერხა ბოლოს.

- ხვალ, თუ სურვილი გექნებათ, მცხეთაში გავისეირნოთ-მეთქი! დაგირეკავთ ზუსტად თერთმეტ საათზე.

რამაზ კორინთელი პასუხს არ დაელოდა, შებრუნდა და მოსაცდელი ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ჭაბუკის თავხედობით გაღიზიანებულმა მარინემ ხმა ვერ ამოიღო. ვერც ის გადანწყვიტა, რა ექნა, დაერეკა და კორინთელი გემრიელად გამოელანძღა თუ ჭაბუკის ნათქვამი არაფრად ჩაეგდო და მომავალში ზედაც არ შეეხედა.

შინ რომ დაბრუნდა, სინანულმა შეიპყრო, რატომ არ დავეუძახე და საკადრისი პასუხი არ

გავეციო. უნებურად კედელზე ჩამოვიდებულ დეგას ბალერინებს მიაჩერდა. კარგა ხანს უყურა, მერე თავი გაიქნია და მტკიცედ გადაწყვიტა, ხვალ თერთმეტ საათზე რომ დამირეკავს, მოვახსენებ, რისი ღირსიც არისო.

დამშვიდებული აბაზანაში შევიდა, ნელთბილი წყალი გადაივლო და სამზარეულოს მიაშურა. ეგონა, საბოლოოდ დავწყნარდი და დავმშვიდდით. სამწუხაროდ, მალე მიხვდა, რამაზ კორინთელის სახეს თავიდან (იქნებ გულიდან) იოლადა ვერ ამოიგდებდა.

რატომღაც ფრანგული სუნამო ისხურა, სარკესთან მივიდა, თმა საგულდაგულოდ დაივარცხნა, ხალათი ბოლომდე ჩაიხსნა, მაღალი, მკვრივი მკერდი ამაყად შეათვალიერა. ჯერ მარჯვენა მხარეს შებრუნდა, მერე მარცხნივ მიტრიალდა და მთელი ტანი საგულდაგულოდ და მუშტრის თვალით შეაფასა. თითქოს დიდი ხანი იყო, არ ენახა. შინაგანი კმაყოფილებით აღსავსემ საკუთარ თავს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, მერე ტელევიზორი ჩართო, სავარძელში მოკალათდა, სიგარეტს მოუვიდა და თვალი ეკრანს გაუშტერა. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მიხვდა, არაფერი არ დაუნახავს, რაც ეკრანზე ხდებოდა. მღელვარებაშეპარულ ახალგაზრდა ქალს თვალწინ ისევ რამაზ კორინთელი ედგა - თავხედი, თავის თავში დარწმუნებული და გამომწვევი ჭაბუკი.

მარინე დვალის აღშფოთება თანდათან მატულობდა, ერთი შეხედვით კეთილთვალეებიანი, მაგრამ მაინც ბოროტად მომზირალი ყმაწვილი, უკვე საშინლად ეზიზღებოდა.

პირველსავე დღეს მარინემაც შეამჩნია ის მაღალფეხებიანი ქერა გოგო, წითელი „ჟიგულით“ რომ დაასეირნებდა რამაზ კორინთელი. მას მერე ბევრმა ქალიშვილმა მოაკითხა ინსტიტუტში ახალ, მაგრამ ყველაზე პოპულარულ თანამშრომელს.

„იქნებ იმ ქალბატონების მსგავსი ვგონივარ? ალბათ გაიგო, ქმარს რომ ვარ გაცილებული და ამიტომ მელაპარაკა ასე თავხედურად!“

სიბრაზე თანდათან ერეოდა, სიბრაზე და ზიზღი.

საათს დახედა. ათი სრულდებოდა. ერთი სული ჰქონდა, დრო სწრაფად გასულიყო, რომ ხვალ დილის თერთმეტ საათზე რამაზ კორინთელი უკანასკნელი სიტყვებით მიელანძღა.

ტელევიზორი გამორთო და წიგნის წაკითხვა სცადა. გული ვერ დაუდო. სამზარეულოში გავიდა. საქმე იქაც არაფერი ჰქონდა. მაგიდა მაინც გადანმინდა, ხელები დაიბანა, ოთახში შემობრუნდა და ისევ ტელევიზორი ჩართო.

ერთოთახიანი ბინა გემოვნებით ჰქონდა მონყობილი. რომელიღაც გერმანული საყოფაცხოვრებო უურნალის გავლენით იყო კუთხეში მიდგმული დიდი კერამიკული ვაზა და მასში მოთავსებული ლერწამი.

„როგორ გამიბედა! ქმარს რომ ვარ გაცილებული, ალბათ იმიტომ ვგონივარ თავისი მეგობარი ქალებისთანა!“ - მერამდენედ იმეორებდა გუნებაში.

ლოგინში დიდხანს იტრიალა. არ იქნა და არ დაეძინა.

თვლა დაიწყო.

მეცხრე ასეულზე რომ გადავიდა, მერე მიხვდა, მექანიკურად ითვლიდა, თვალწინ რამაზ კორინთელი ედგა. ყურში კი კვლავ მისი თავხედური ხმა ჩაესმოდა, ხვალ, თუ სურვილი გექნებათ, მცხეთისკენ გავისეირნოთო.

„ვითომ მართლა მოვწონვარ?“ - გაიფიქრა უცებ მარინე დვალმა.

„იქნებ მართლა მოვწონვარ?“

„ისეც ხომ ხდება, ადამიანი ერთბაშად მიხვდება, ერთბაშად აღმოაჩენს, რომ მოსწონხარ?!“

ლოგინიდან წამოდგა, ტორშერი აანთო, გრძელი პერანგი გაიხადა და სარკესთან დედიშობილა მივიდა. ტორშერის მკრთალ შუქზე უფრო ლამაზად უბზინავდა ისედაც პრიალა კანი. ოცდახუთი წლის ქალს ჯიშინი და მკვრივი მკერდი ვნებიანად აუდჩაუდიოდა. ნაბლისფერ ჩამოშლილ თმას ხელი მოავლო და ცალ მხარეს მკერდზე გადმოიყარა. ოდნავ მსხვილი ფეხები, გათხოვილი ქალისთვის საკმაოდ წვრილი წელი და მაღალი თეძოები შინაგანი კმაყოფილებით ავსებდა და თვითონვე სტაცებდა თვალს. ბოლოს სარკეს მოსცილდა, ტორშერი ჩააქრო და საკუთარი თავით კმაყოფილი ლოგინში შიშველი ჩანვა.

ვერ გაიგო, რატომ სიამოვნებდა შიშველი წოლა. იქნებ იმიტომ, რომ ბიჭზე ფიქრობდა?

„იქნებ მართლა მოვწონვარ?“

„სანამ არ დარწმუნდა, რომ ნამდვილად მოვწონვარ, მანამდე ალბათ იმიტომ არ მითხრა არაფერი“.

„ვითომ და რატომ არ უნდა მოვწონო?“

ქალის სხეული სასიამოვნო თრთოლვამ შეიპყრო.

მიხვდა, იმდენად აღარ აღიზიანებდა საკუთარ თავში მეტისმეტად დარწმუნებული ჯაბუკი.

აღარც მისი წინადადება ეჩვენებოდა თავხედური და შეურაცხყოფელი.

ბურანში გახვეულს ძილი მოერია. გრძნობდა, სხეული როგორ უთრთოდა. თხელ

საბანთან შეხებაც კი სიამოვნებდა. უნებურად მარჯვენა ხელი ისევ გადაისვა მკვრივ მკერდზე. ამ წუთამდე მტკიცედ სჯეროდა, ჩემმა სხეულმა უკვე დაივიწყა მამაკაციო.

ერთბაშად იგრძნო, სხეულში ვნებამ როგორ გაიღვიძა და ნეტარებით გაიზმორა.

„ვინ იცის, იქნებ მართლა მოვწონვარ!“

ვერ გაბედა გაეფიქრებინა, ვუყვარვარო.

მარინე დვალმა იგრძნო, ნეტარების ბურუსში გახვეულს სხეული როგორ გაუმსუბუქდა. მერე მოეჩვენა, რძისფერ ნისლში მივცურავო, და მკვდარივით ჩაეძინა.

დილით ფანჯრიდან შემოპარულმა მზის სხივმა გააღვიძა. საათს დახედა. ათი დანყებულებო. გულგახეთილი ფეხზე წამოიჭრა, თერთმეტ საათამდე ბანაობასა და ჩაცმას ვერ მოვასწრებო, გაიფიქრა და უმაღლვე შერცხვა - მიხვდა, რამაზ კორინთელის წინადადება უკვე მიღებული ჰქონდა.

იქვე, სკამზე გადაკიდებულ დილის ხალათს მისწვდა, მაგრამ ჩაცმა გადაიფიქრა და ტიტველი კვლავ სარკესთან მივიდა. ნუხელ, ტორშერის შუქზე უფრო მოეწონა საკუთარი თავი, უფრო მკვრივი და ნორჩი ეჩვენა თავისი სხეული და ოდნავ სევდამორეულმა სასწრაფოდ აბაზანას მიაშურა.

\* \* \*

თერთმეტი ახლოვდებოდა. ახალგაზრდა ქალს მღელვარება უფრო და უფრო უძლიერდებოდა. არ უნდოდა თავის თავს გამოსტეხოდა, რომ ზარს მოუთმენლად ელოდა. უნდოდა იქვე, ტელეფონთან დამჯდარიყო, მაგრამ იმ მეორე მარინე დვალისა რცხვენოდა, გუშინ რომ რამაზ კორინთელი სამინლად ეზიზღებოდა. ტელეფონის ახლოს არ დამჯდარა, მაგრამ მაინც იქვე ტრიალებდა.

ბუსტად თერთმეტზე ტელეფონი აწკრიალდა. უმაღლვე ყურმილს დასწვდა. იმავე წამს ინანა, რომ იქქარა და თავი გასცა. რამაზ კორინთელისათვის ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა, ქალი როგორ ელოდებოდა ტელეფონის ბარს.

- გისმენთ! - თქვა მცირეოდენი პაუზის შემდეგ. უნდოდა წელანდელი შეცდომა გამოესწორებინა.

- გამარჯობა, მარინე!

- გამარჯობათ.

- ვერ მიცანი?

- გამარჯობა, რამაზ! - მარინე, მიხვდა, ტყუილს აზრი არ ჰქონდა.

- ბუსტად ხუთ წუთში შენს სადარბაზოსთან ვიქნები.

ქალს არ მოეწონა თავიდანვე შენობით მიმართვა.

- კი მაგრამ, არ მეკითხებით, მოვდივარ თუ არა?

- ეჭვიც არ მეპარება, რომ მოდიხარ.

- რატომ არ გეპარებათ?! - განანწყენდა ქალი.

- რატომ? არ ღირს ტელეფონში ლაპარაკი. მანქანაში აგისხნი ყველაფერს. ერთი სიტყვით, ხუთ წუთში დაბლა გელოდები.

- ჯერ აბაზანაშიც არ შევსულვარ, მერე ჩაცმა ხომ მინდა. - იცრუა მარინე დვაღმა.

პასუხად კორინთელმა ჩაიცინა.

- რატომ იცინით? - დანაშაულზე შესწრებულივით შერცხვა ქალს.

„ალბათ, მიხვდა, რომ ჩაცმული ვარ და ტელეფონის ზარს სუნთქვაშეკრული ველოდებოდი“.

- ისე, სხვათა შორის გამეცინა. თვითონ არ ვიცი, რა მაცინებს. კარგი, იყოს ნება შენი, ოღონდ ზუსტად თორმეტის ნახევარზე დაბლა ჩამოდი.

- ჩემს სახლთან ნუ გაჩერდებით. მარცხენა მხარეს, ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით აფთიაქია. იმ აფთიაქიდან კიდევ ოცი მეტრის იქით დადექით. მოვდივარ, ოღონდ გახსოვდეთ, ჩემი თანხმობა არ გაძლევეთ უფლებას გააკეთოთ შორს მიმავალი დასკვნები.

- ბატონი ბრძანდები! - რამაზ კორინთელს ისევე გაეცინა.

„შორს მიმავალი დასკვნები“ დავით გიორგაძის საყვარელი ფრაზა იყო. ეტყობა, ინსტიტუტის დირექტორმა წლების მანძილზე არა ერთი და ორი ფრაზა და გამოთქმა ჩაუჭედა თავში ინსტიტუტის თანამშრომლებს.

მარინემ ყურმილი დადო და თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა სარკის წინ. რატომღაც არ მოეწონა ის კაბა, ერთი საათის წინ რომ საგანგებოდ შეარჩია.

„დიდი, დარბაისელი ქალის იერს მაძლევეს. მე, ისედაც, უფროსი თუ არა, ტოლი მაინც ვიქნები რამაზ კორინთელისა. ამ კაბაში სოლიდურობა და ასაკი მემატება“.

კაბა სასწრაფოდ გაიხადა, ლოგინზე მიაგდო და გარდერობს ეცა.



„იქნებ შარვალი ჩავიცვა?“

უმალვე გადაიფიქრა. გათხოვების შემდეგ რომ შესუქდა, იცოდა, შარვალი უკვე აღარ უხდებოდა.

საბოლოოდ მაინც სპორტული ტიპის კაბა შეარჩია და ზემოდან გულამოჭრილი ცისფერი ჯემპრი გადაიცვა. ფეხზეც ნახევრად სპორტული ცისფერი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა, მკლავზე მსხვილი ცისფერი და თეთრი რგოლები წამოიგო. ხელჩანთაც შესაფერი შეარჩია და თვალი ახლადშეძენილ თხელ ტყავის კურტკას დაადგა, ჯერ რომ არსად სცმოდა. ფანჯარაში გაიხედა. ოქტომბრის უკანასკნელი დღე იდგა, მაგრამ ამ დროისათვის უჩვეულოდ თბილოდა. ქალაქი მშით იყო გაჩახჩახებული.

„სალამომდე ხომ არ დავრჩებით, კურტკა ნაღდად არ დამჭირდება“, - გაიფიქრა სინანულით.

„მაინც წავიღებ. ჩანთაზე გადავიკიდებ. შეიძლება ერთბაშად აცივდეს კიდევ“.

„კურტკის წაღება თავისთავად სალამომდე დარჩენას გულისხმობს, მე კი ორ საათზე მეტს ვერ დავრჩები“, - ფიქრობდა მარინე, მაგრამ თვითონვე არ სჯეროდა თავისი გადანყვეტილებისა.

საათს შეხედა. ამდენ საქმიანობაში მხოლოდ ათი წუთი გასულიყო. აღარ იცოდა, რა ექნა, დრო რით მოეკლა. ისევ სარკესთან მივიდა. სპორტულ ტანსაცმელში უფრო მოეწონა საკუთარი თავი. უცებ თვალი ქორწინების ბეჭედს შეავლო. სახეზე ზიზღმა გადაურა, ბეჭედი სასწრაფოდ მოიხსნა და გარდერობის უჯრაში შეინახა. მაგიდასთან მივიდა, ბროლის თასში ჩაგდებული დაღესტნური ვერცხლის მსხვილი, მწვანეთვლიანი ბეჭედი მონახა და თითზე წამოიცვა. დრო მაინც საკმაოდ დარჩა. სავარძელში ჩაჯდა და მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს გადასწვდა. ცდილობდა, ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა და არ ენერვიულა.

გულს ვერაფერი მოუხერხა, თანდათან უფრო ძლიერად უცემდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მკერდში ხის დიდი საათი ჰქონდა და მისი გრძელი და მძიმე ქანქარის მოძრაობის ხმა ესმოდა.

\* \* \*

ავტალამდე დუმილი არც ერთს არ დაურღვევია. ქალი მხოლოდ ხანდახან გააპარებდა ხოლმე ტაბუკისკენ თვალს. აშკარად მოსწონდა მისი მტკიცე სახე და ძლიერი მკერდი, მსხვილი, დაკუნთული მკლავები და ღონიერი ტორები.

- რატომ არ გეპარებოდით ეჭვი, რომ აუცილებლად წამოვიდოდი? - გაახსენა მარინემ ტელეფონით ლაპარაკის დროს უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვა.

- ოო, ეგ არ არის იოლად ასახსნელი. - თქვა ღიმილით რამაზ კორინთელმა.

- რატომ?

- აი, ჩავალთ მცხეთაში და იქ მოგახსენებთ.

- მცხეთაში რა პროგრამა გვაქვს?

- რასაც მოისურვებ, პროგრამაც ის იქნება. გნებავს, მილიონმეერთედ დავათვალიეროთ მილიონჯერ დათვალიერებული ტაძრები. გნებავს, პირდაპირ ვისადილოთ.

- სადილობამდე ჯერ ბევრი დარჩა. ორი საათი მაინც. მილიონჯერ დათვალიერებულ ტაძრებს მილიონმეერთეჯერაც სიამოვნებით დავათვალიერებ, მაგრამ არ მინდა, ვინმე ნაცნობმა დამინახოს.

- მაშინ ფასანაურში წავიდეთ. არა მგონია, ოქტომბრის ბოლოს იქ ვინმე წაცნობს გადავეყაროთ.

- ფასანაურში? - დაფიქრდა მარინე.

- ჰო, ფასანაურში. ერთი საათიც არ გვინდა, იქ ვიქნებით.

- რამდენი წლისა ხართ? - ჰკითხა მოულოდნელად მარინემ ღიმილით და ამ შეკითხვით ფასანაურში წასვლაზე თანხმობაც განაცხადა.

- შენ რამდენისა გგონივარ?

„შენ“ ისევ ცუდად მოხვდა მარინე დვალის ყურს. თვითონ რამაზ კორინთელს სრულიად არ უკვირდა თავის შენობით და მარინეს თქვენობით ლაპარაკი. თითქმის შვიდი წლის მანძილზე, მარინე რომ დავით გიორგაძის მდივანი იყო, სულ ასე ლაპარაკობდნენ აკადემიკოსი და მისი მდივანი, თვითონ შენობით, მარინე - თქვენობით.

- მე რამდენის მგონიხართ?

- ჰო, ძალზე მაინტერესებს, რამდენი წლისა გგონივარ.

- რამდენის? - მარინემ ცალი თვალი მოჭუტა და ჭაბუკი მუშტრის თვალით აათვალი-ჩაათვალიერა, - ალბათ, ოცდასამის.

რამაზ კორინთელმა გულიანად გადაიხარხარა.

- რა გაცინებთ? უფრო მეტისა ბრძანდებით?

- გაცილებით მეტის.

- მაინც? - ჭაბუკის პასუხი გაეხარდა კიდევ მარინე დვალს. გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი, ჩემზე უმცროსი ხომ არ არისო.

- სამოცდამეთექვსმეტეში გადავდექი.

- დიდი ვერაფერი ხუმრობაა! - ეწყინა ქალს.

- მე არ ვხუმრობ. დადგება დრო და მიხვდები, რომ წმინდა წყლის სიმართლეს გეუბნები.

- მანქანაში სიჩუმე ჩამოვარდა. რამაზ კორინთელი ფიქრმა გაიტაცა. მარინეც გაჩუმდა. არ იცოდა, რაზე ელაპარაკა. მალე უკან დარჩა ნატახტარი. კორინთელის „ფიგული“ უკვე საქართველოს სამხედრო გზაზე მიჰქროდა.

რამაზ კორინთელმა თვალი სარკისაკენ გააპარა. უკან რომ ნაცრისფერი „ვოლგა“ მოჰყვებოდა, ნელ-ნელა სვლას უკლებდა. გულმა რეჩხი უყო, სვლა თვითონაც შეანელა და „ვოლგას“ თვალს არ აშორებდა.

„სად მინახავს, ან საიდან მახსოვს ეს „ვოლგა?“

ახლალა მიხვდა, „ვოლგა“ სახლიდანვე აედევნა. მთავარ ქუჩაზე რომ გადავიდა და გზავარედინზე წითელი შუქის გამო რომ შეჩერდა, ნაცრისფერი „ვოლგა“ კინალამ უკნიდან შემოაჯდა. ახლალა აღადგინა გონებაში, „ვოლგა“ რამდენჯერმე წამოეწია გზაში, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. არც იმით დაინტერესებულა, ვინ უჯდა საჭეს, ან თუ არ ეჩვენებოდა და მართლა მოსდევდა, ვინ მოსდევდა.

„ვოლგა“ უცებ შებრუნდა და უკან წავიდა.

„სად მინახავს? სად მინახავს?“

„მგონი, ერთხელ უკვე ამედევნა უკან!“

გონება ერთბაშად გაუნათდა. კინოკადრივით წარმოუდგა თვალწინ, ქალბატონ ანასთან ვიზიტის შემდეგ აკადემიკოსის სახლიდან რომ გამოვიდა, როგორ აედევნა ნაცრისფერი „ვოლგა“.

- „ნუთუ ის „ვოლგაა“?“

„ვინ იცის, რამდენჯერ ამდევენებია, მაგრამ მე არ შემიძინავს. ან თუ მომდევედა, რატომ ბოლომდე არ გამომყვა?“

„აქ მანქანები იშვიათად მოძრაობენ. ალბათ იფიქრა, რომ იოლად მივხვდებოდი, მე რომ მომდევედა“.

„იქნებ სულაც მეჩვენება? ნაცრისფერი „ვოლგის“ მეტი რაა ამ ქვეყანაზე!“

„ნაღდად მეჩვენება!“ - დაასკვნა რამაზ კორინთელმა და ხელი ისე გაიქნია, თითქოს უსიამო ფიქრი მანქანის ფანჯრიდან მოისროლაო.

- მაინც რატომ იყავით დარწმუნებული, რომ თქვენს წინადადებას აუცილებლად მივიღებდი? - უკვე მესამედ იკითხა მარინე დვალმა.

- რატომ? - ეშმაკურად გაიღიმა კორინთელმა.

- დიახ, რატომ?

- უკანასკნელი ხილვის დროს განგებამ შთამაგონა შენი სიყვარული.

- თქვენ ისევ ხუმრობთ?

- არა, მე არ ვხუმრობ, მარინე, მე ნათელმხილველი ვარ.

ახალგაზრდა ქალმა ოდნავ განაწყენებულმა შეხედა რამაზ კორინთელს. უნდოდა ეთქვა, არც მეორე ხუმრობა გამოგივიდა მაინცდამაინცო, მაგრამ ჭაბუკის დაძაბული სახე და საფეთქელთან ასფალტზე ამოვარდნილი ხის ფესვებივით ამობურცული, სისხლით დაბერილი ძარღვები რომ დაინახა, შეკრთა. დაბნეული ქალი ხან წინ იყურებოდა, ხან მზერას ისევ კორინთელისაკენ აპარებდა. უცებ მიხვდა, რამაზ კორინთელმა სიჩქარეს მოუმატა. რატომღაც შიშმა აიტანა და სპიდომეტრს მალულად შეხედა. არ უნდოდა, კორინთელი მიმხედარიყო, რომ ეშინოდა. კაცმა რომ თქვას, ასი კილომეტრი საგანგაშო სიჩქარე არ იყო, მაგრამ მარინეს სიჩქარესთან ერთად ჭაბუკის დაძაბული სახეც აფრთხოდა.

რას ფიქრობდა რამაზ კორინთელი?

ჯერ ერთი, მიხვდა რომ უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, მარინე დვალს აუღელვებლად ველარ უყურებდა. უსაზღვრო სიხარულმა აიტაცა.

„იქნებ შემიყვარდეს!“ - გაიფიქრა უცებ კორინთელმა და მარინეს ხარბად შეავლო თვალი.

„იქნებ მართლა შემიყვარდეს, იქნებ გადავრჩე...“

თვალწინ ინგა წარმოუდგა. რატომღაც სლაიდივით დაინახა სიონის კედლის ფონზე გამოკვეთილი ქალიშვილი, ღიმილით ხელს რომ უქნევდა.

„იქნებ შემიყვარდეს მარინე. იქნებ... იქნებ მან გადამავიწყოს ინგა...“

რამაზ კორინთელი ვერ მიხვდა, ტრასის მეორე მხარეს როგორ გადავიდა. წინიდან

უზარმაზარი „კრაზი“ მოგუგუნებდა. მარინეს ჯერ ეგონა, კორინთელი კარგად ხედავს წინიდან მომავალ უზარმაზარ მანქანასო, მაგრამ როცა მათ შორის მანძილი ძალზე შემცირდა, ჭაბუკს სახეზე შეხედა. მიხვდა, რამაზ კორინთელი გათიშული იყო და სასონარკვეთილმა შეჰყვირა:

- რამაზ!

კორინთელი ერთბაშად გამოერკვა და საჯე მარჯვნივ მოქაჩა. მარინემ წამიერად დაინახა „კრაზის“ შოფრის შეშინებული, არეული სახე. თითქოს ისიც კი გაიგონა, გაგიჟებული როგორ იგინებოდა. მიხვდა, რომ გადარჩენენ, თვალი დახუჭა და გასავათებული სავარძლის საზურგეს მიანვა.

რამაზ კორინთელმა სიჩქარე შეანელა, მანქანა გზიდან გადააყენა და გააჩერა.

მარინემ თვალი გაახილა. ირგვლივ მიმოიხედა. დუშეთის გადასახვევამდეც არ იყვნენ მისულნი.

„აქ რატომ უნდა გაეჩერებინა?“ - გაუკვირდა ქალს.

კორინთელმა კარი გააღო.

- რა მოხდა? - ჰკითხა შემოთებულმა ქალმა.

- არაფერი. გადავალ, სიგარეტს მოვწვე!

- მეც მომანწვინეთ.

რამაზ კორინთელმა სიგარეტი მიანოდა.

მარინემ ხარბად დაარტყა ნაფაზი.

- რომ არ ეწოდე, ჯობია! - უთხრა კორინთელმა, მანქანიდან გადავიდა და რატომღაც უკან წავიდა. ალბათ არ უნდოდა, ქალის მხედველობის არეში ყოფილიყო.

მარინე არ გადმოსულა, მხოლოდ სარკე მოირგო და იქიდან უცქეროდა ნელი ნაბიჯით მიმავალ რამზს.

კორინთელი სამინელმა სურვილმა შეიპყრო, ვინმესთვის გული გადაეშალა.

რამდენჯერ დაუფლებია მსგავსი სურვილი, სასონარკვეთილებამდე მისულს რამდენჯერ უსაუბრია ხმამაღლა საკუთარ თავთან.

სულ უკვირდა, რამდენჯერ შეუჩივლია ხოლმე ისეთი კაცისათვის, ვისაც თანაგრძნობის ნაცვლად სიამოვნებდა კიდევ მეცნიერის ტკივილი. იცოდა, რომ მტერს ელაპარაკებოდა, მაინც შესჩიოდა. შესჩიოდა იმიტომ, რომ იმ წუთში სხვა არავინ ჰყავდა გვერდით. დამუხტული გული განმუხტვას მოითხოვდა, დანჯვეტამდე დაჭიმული ნერვები როგორმე უნდა მოედუნებინა.

ახლა?

ახლა ხომ სულ მარტო დარჩა! გვერდით კაცი არ ეგულებოდა, უბრალო საიდუმლოებასაც რომ გაუმხელდა. მით უმეტეს, განა შეიძლებოდა ვინმესთვის გაენდო საიდუმლო, რომელიც მარტო მას არ ეკუთვნოდა?

თანაც როგორი საიდუმლო!

განა წინასწარ შეეძლო განესაზღვრა, საზოგადოებისა თუ ხელისუფლების თვალში ამ საიდუმლოს გამხელას რა მოჰყვებოდა?



ამ ქვეყნად სულ მთლად მართო დარჩენილმა იცოდა, რომ თავისი უცნაური საიდუმლო გულში სამუდამოდ უნდა ჩაემარხა. იცოდა, მაგრამ დროდადრო შიში მაინც იპყრობდა. ერთხელაც იქნება და ვიღაცასთან ჩემს უცნაურ თავგადასავალს დაწვრილებით ჩამოვუქვაო.

აი, ნელან კვლავ მოუარა სურვილმა, ყველაფერი მარინესათვის მოეყოლა. ცდუნება დიდი იყო, მაგრამ დროზე მოერია თავს, დროზე გადავიდა მანქანიდან. შეეცადა ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა და ნერვების უდიდესი დაძაბვის ფასად გადაიტანა კიდევ.

გუნება გამოუკეთდა, ისევ ჩაეღვარა გულში სითბო. გაახსენდა, რომ მანქანაში მარინე უცდიდა.

„იქნებ შემეყვარდეს, იქნებ მარინემ გადამარჩინოს და მიხსნას სულიერი განადგურებისაგან...“

ბევრ ქალიშვილთან გააბა რომანი, მაგრამ სიყვარულით მაინც არავინ შეუყვარდა. როგორც კი დახუჭავდა თვალს, უმაღვე ინგას ხედავდა. კოცნიდა ქალის გულ-მკერდს გაგიუებით და უმაღვე შხამი ეღვრებოდა გულში. გამწარებული თვალს ახელდა და სასმელს ეტანებოდა. მხოლოდ გაღუშილი იკმაყოფილებდა ცხოველურ ლტოლვას ქალისადმი. მხოლოდ მაშინ აღარ აგონდებოდა თავისი ცისფერთვალეობა, კეთილი და სათნო ინგა.

სიგარეტის ნამწვი მინდორში მოისროლა და მანქანისკენ შებრუნდა.

მარინე დვალს სარკისათვის თვალი არ მოუშორებია, კორინთელის არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია. ქალს გულზე მოეშვა. მხნე, ენერგიულ ნაბიჯებზე და სახის გამომეტყველებებზე მიხვდა, რომ კორინთელმა რაღაც საშინელი ვნებათაღელვა მოიგერია.

- ბოდიშს გიხდი! - მხიარული ხმით უთხრა ქალს და საჭეს მიუჯდა.

\* \* \*

რესტორნის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ორ მაგიდას უჯდა რამდენიმე კაცი. ისინიც ხმის ამოუღებლად სადილობდნენ.

კორინთელმა ახალგაზრდა ქალს შესთავაზა, ვერანდაზე დავსხდეთ. მარინე შეყოყმანდა.

- ნუ გეშინია, გულითაც რომ გინდოდეს, ნაცნობს ვერ იპოვი.

- კარგი, გავიდეთ აივანზე!

სანამ რამაზ კორინთელი ოფისიანტს შეკვეთას აძლევდა, მარინემ მთას ახედა. ერთადერთი უზარმაზარი ღრუბელი პირდაპირ მწვერვალზე იყო ჩამომხობილი.

- რა დავლიოთ? - მოესმა ვაჟის ხმა.

- რა ბრძანეთ? - უცებ ვერ გამოერკვა ფიქრებში წასული ახალგაზრდა ქალი.

- რა დავლიოთ-მეთქი.

- ჩემთვის სულერთია. ერთ ჭიქაზე მეტს მაინც ვერ დავლევ.

- ერთი ბოთლი შამპანური და ყინული, - მიუბრუნდა ოფისიანტს რამაზ კორინთელი.

- სიცხეში მაინც შამპანური ჯობია, არა? - თქვა კორინთელმა, როცა ოფისიანტი წავიდა.

- პო, რასაკვირველია, თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რას მოიტანენ. როგორც ვთქვი, ერთ ჭიქაზე მეტს არ დავლევ. შენ რამდენიც გინდა დალიე.

მარინე დვალის შენობით მომართვამ კორინთელი შეაცბუნა.

- უვე შენობით მელაპარაკები?

- განა თავად პირველი წუთიდანვე არ მელაპარაკებოდი შენობით?

რამაზ კორინთელს გაეცინა.

- რა გაცინებს?

- თითქმის შვიდი წელი თქვენობით მელაპარაკებოდი, იმიტომ მეხამუშა შენობით მომართვა.

- შვიდი წელი?! - განაწყენდა ისევ მარინე დვალი, - დღეს იუმორზე მწყრალადა ხარ. ან მე არ მესმის შენი ხუმრობის სტილი.

- შევეშვათ ყველაფერს. დღეს მაინც უნდა დალიო.

- ვერ დავლევ, საერთოდ არ მიყვარს სასმელი.

- მე ვიცი, რა სასმელიც გიყვარს.

- რა?

- ანანასის ლიქიორი.

- საიდან იცი? - გაოცდა მარინე.

- ბოლომდე მათქმევინე. თან, გთხოვ, ხელს ნუ შემიშლი. დიას, შენ გიყვარს ანანასის ლიქიორი. აი, მე ვხედავ კუთხეში მიდგმულ ტორშერს. მას ქვემოთ ბარი აქვს. იქ ანანასის ლიქიორის ბოთლი დგას. იღებ ბოთლს, შემდეგ მიდიხარ იუგოსლავიურ ყავისფერი ხის სერვანტთან, იქიდან იღებ სამ ჭიქას. მაღალი, წვრილფეხებიანი ჭიქებია. მიდიხარ მაცივართან, მოგაქვს ლიმონი, ჭრი რუსული ორნამენტებით მოხატულ ხის დაფაზე...

რამაზ კორინთელი დაფიქრდა, თვალი მაგიდას გაუშტერა. ძარღვები ისევ დაებერა, შუბლზე და საფეთქლებზე ალაგ-ალაგ ოფლის წვეთებიც დაასხა.

მარინე შეშინებული და გაოცებული მისჩერებოდა ჭაბუკის დაძაბულ სახეს. ქალი ერთდროულად ცნობისმოყვარეობამაც შეიპყრო და შიშმაც.

- ...აი, მიდიხარ მაცივართან, გამოგაქვს ყინულის პატარა კუბიკები, თითო-თითოს ათავსებ ჭიქაში, შემდეგ ავსებ ლიქიორით და ეუბნები... მოიცა... ვის ეუბნები... ჰო, მაგიდას სამნი უსხედხართ, შენ, შენი მეუღლე და... და მაპატიე, ვინ არის მესამე, ჯერ ვერ ვარჩევ. ერთი კი ნაღდია, მამაკაცია, თანაც ხანში შესული. კუთხეში დიდ კერამიკულ ვაზას ვხედავ, ვაზაში ლერწმის თუ ბამბუკის ღეროებია.

- რამაზ! - შეჰკვივლა ქალმა.

- მაცალე, ხელს ნუ მიშლი, - ჭაბუკის შუბლიდან მოსხლეტილი ოფლის რამდენიმე წვეთი მაგიდაზე დაეცა. გონების უმძაფრესი დაძაბვის ფასად ცდილობდა აღედგინა რომელიღაც შორეული დღის უწვრილმანესი დეტალებიც კი. - უკვე ვხედავ, შენი სტუმარია აკადემიკოსი დავით გიორგაძე. შენი მეუღლე გივი სპორტულ პიჟამაშია გამონწყობილი. პიჟამა წითელი ფერისაა. შენ ბევრი ეხვეწე მეუღლეს, დღეს ჩემთან

დირექტორი მოვა და კოსტიუმი ჩაიცვით. არ დაგიჯერა. უფრო სწორად, ეჭვისაგან დაბოღმობა განგებ ჩაიცვა გამომწვევად. აკადემიკოსს მტრულად შეხვდა, არ გაუღიმა, ხელიც მძიმედ ჩამოართვა. აშკარად ვხედავ, ეჭვიანობს ხანშიშესულ აკადემიკოსზე. ყოველ შემთხვევაში, არ ესიაზოვნა მეუღლის უფროსის სტუმრობა.

- რამაზ! - ხმამაღლა, მაგრამ ვედრებით აღმოხდა მარინე დვალს. თან ირგვლივ მიმოიხედა, ჩემი ამოძახილი ხომ არავინ გაიგონაო.

- რა უნდოდა მოხუც აკადემიკოსს შენთან? - განაგრძო რამაზ კორინთელმა, თან ქალს ანიშნა, ხელს ნუ მიშლიო, მგონი... მგონი... დიახ, არ უნდა ვცდებოდე, თავისი ახალი ნაშრომი მოიტანა გადასაბეჭდად, რომლის გადაბეჭდვასაც შენს გარდა არავის ანდობს, თუმცა არც შენ გენდობა. იგი გვერდით გიჯდება და ტექსტს თვითონ გკარნახობს...

- რამაზ, მეშინია!

მარინეს ხმა უკანკალებდა, თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. თვალის გუგებიდან კი არა, სადღაც შორიდან იცქირებოდა.

- იგი ახლოს მის შენთან! - ისე გააგრძელა რამაზ კორინთელმა, თითქოს ქალის ვედრებით სავსე შეკვივლება არც გაეგონოს. - დროდადრო მუხლებით ეხებით ერთმანეთს. შენ საქმეში ხარ გართული და ვერც გრძნობ მოხუცის მუხლს. აკადემიკოსისათვის უკვე სულერთია, ქალის მუხლს შეეხება თუ მაგიდის ფეხს. ვხედავ შენს მეუღლეს, წარმოსადევ, ღონიერ, ერთი შეხედვით სიმშაბიურ, მაგრამ უინტელექტო და გონებაშებლდულ ტიპს. ეჭვიანობით გაბოროტებული სამზარეულოში დააბიჯებს, სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. აკადემიკოსის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია შენი მეუღლის გაცოფება, მაგრამ გულთან დიდად არ მიუტანია. ტექსტს დინჯად და მკაფიოდ გკარნახობს. მესმის ტელეფონის ბარი. ყურმილს მეუღლე იღებს. შენ ბეჭდვას აგრძელებ, მაგრამ ყური იქით გიჭირავს, ცდილობ მეუღლის პასუხებით გამოიცილო, ვინ რეკავს და

რატომ რეკავს. უცებ შენი მეუღლე ტელეფონის მემბრანას ხელს აფარებს და ხმამაღლა გეუბნება:

- მარინე, ათ წუთში უნდა წავიდეთ.

აკადემიკოსს არ გაუგონია შენი მეუღლის სიტყვები. გაბრაზებული გივი ხმამაღლა იმეორებს: „მარინე, ათ წუთში უნდა წავიდეთ, ბოდიში მოუხადე ბატონ დავითს!“ უხერხული გრძნობა გიპყრობს, ლოყებზე ალი აგდის. წინადადების უკანასკნელ სიტყვას ბეჭდავ. წერტილი. აღარ იცი, რა ქნა. დავით გიორგაძეს წარბი არ შეუხრია. ვერც შენ გარკვეულხარ, აკადემიკოსმა გაიგონა თუ არა გივის მიერ ხმამაღლა და ხაზგასმულად წარმოთქმული ფრაზა. შენი ქმარი გარდერობთან მივიდა, ტანსაცმელი გამოიღო და სამზარეულოში გავიდა ჩასაცმელად. აკადემიკოსი დუმს, ფურცლებს ჯიუტად ჩასჩერებია. დაბნეულობისაგან არ იცი, რა მოიმოქმედო. უცებ აკადემიკოსი სათვალეს იხსნის, ფურცლებს აგროვებს და მძიმე პორტფელში ათავსებს. დინჯად დგება, მაგიდასთან მიდის, ჭიქას იღებს და ლიქიორს წრუპავს. სვამს მხოლოდ ერთ ყლუბს და დინჯად ამბობს, დღეს კმარაო. უცებ ისევ აწვრიალდება ტელეფონის ზარი. სამზარეულოდან ტრუსების ამარა გამოდის შენი მეუღლე და ყურმილს იღებს. სირცხვილისაგან დაბნეულს ხმა ვერ ამოგიღია, ისე მიაცილებს აკადემიკოსს კარებამდე. შენი მეუღლე ტელეფონზე ლაპარაკობს, განგებ ზურგიტ დგება და ყურადღებას არ აქცევს მიმავალ სტუმარს.

- კმარა! - ფეხზე წამოვარდა მარინე დვალი.

რამაზ კორინთელმა თავი ასწია, ისეთი ამღვრეული თვალები ჰქონდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა. ვერც თავზე გადმოხობილ უზარმაზარ მთას, ვერც შენობებს, ვერც მარინეს. შეშინებულმა ქალმა ხელი მოჰკიდა, იქნებ ჩემმა შეხებამ გამოარკვიოს და ამქვეყნად დააბრუნოსო.

მართლაც, რამაზ კორინთელს, თითქოს მარინეს შეხებამ განმუხტა და გამოაფხიბლაო,

სახე ერთბაშად დაუნყნარდა, ტუჩებზე ღიმილი გამოესახა, საფეთქლის დაბერილი ძარღვები სისხლისაგან ერთბაშად დაიცალა. აღგზნებული სახე დაუმშვიდდა და ამღვრეული თვალებიც დაენმინდა.

მარინე რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ოფიციანტი მოვიდა და სუფრის განწყობა დაიწყო. დაველოდები, სანამ წავაო, გაიფიქრა და ოფიციანტის საქმიანობას თვალი უინტერესოდ მიადევნა.

- ხომ არ შეგაშინე? - ჰკითხა ღიმილით რამაზ კორინთელმა, ოფიციანტი რომ წავიდა.

მარინე გაოცდა, იმდენად მშვიდი სახე ჰქონდა ჭაბუკს, გამოხედვა - ბავშვურად გულუბრყვილო და კეთილი.

- გულწრფელად გეტყვი, ძალიან შემაშინე!

- დავიღალე! - რამაზ კორინთელმა სიგარეტის კოლოფს ხელი დაავლო და მარინეს გაუნოდა.

- რატომ?

- ყოველი ხილვა უბარმაზარ ენერგიას მართმევს. ალბათ მთელი ორი კვირა დასჭირდება ახალი დოზის მოგროვებას. - რამაზ კორინთელს აღარც კი უკვირდა, ამდენ ტყუილს რომ ამბობდა. ბოლოს კიდევ ერთი რამ შენიშნა საკუთარ თავს, უკვე თვითონვე სჯეროდა თავისივე ლამაზად შეთხზული ტყუილები.

- ყოველთვის არ გაქვს ხილვის უნარი?

- უნარი ყოველთვის მაქვს, ენერგია კი არა. ავტომობილს ყოველთვის აქვს სიარულის

უნარი, ოღონდ უბუნბინოდ მეტრსაც ვერ გაივლის. დიდი ენერჯის ფასად მიჯდება ყოველი ხილვა. მე რომ თუნდაც დღეში ერთი სეანსის ენერჯია მქონდეს, მთელი ქვეყნის საიდუმლოება ჩემს ხელთ იქნებოდა. ამიტომაც ვცდილობ, მთელი კვირაობით დაგროვილი ენერჯია მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენების ხილვაზე დავხარჯო.

- აი, ორი ან სამი დღის შემდეგ არ შეგეძლება ახალი სეანსი ჩაატარო?

- ჰო, მაგრამ შედარებით იოლი და ხანმოკლე ეპიზოდების გაცოცხლებას თუ შევძლებ.

- მომავლის წინასწარმეტყველება შეგიძლია?

- წინასწარმეტყველი არ გახლავარ. მე შემიძლია ვიხილო რომელიმე დღე, თხუთმეტი ან ოცი წლის შემდეგ. თვალნათლივ დავინახო, იმ დღეს ბედნიერება მელის თუ რაიმე უბედურება. ბუნებრივია, შემიძლია დავინახო ჩემი უკანასკნელი დღე, სიკვდილის დღე.

- მერე? - გაცეცხულმა და შემფოთებულმა იკითხა მარინე დვალმა.

- რა მერე?

- რას იტყვი შენს მომავალზე?

- არასდროს არ ვცდილობ გავასწრო დროს. ეს ჩემი მტკიცე პრინციპია. სხვანაირად ხომ ცხოვრება დაკარგავდა აზრს!

- მართალი ხარ. ცხოვრება ძალზე უინტერესო გახდება, თუკი ყველაფერი წინასწარ გეცოდინება. მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენს მომავალში კორექტივი შევიტანოთ? მაგალითად, სიტყვისთვის ვამბობ, თავიდან ავიცილოთ ავტოკატასტროფა?



- რასაკვირველია. მაგრამ ვერავინ ვერ შესძლებს იხილოს ყოველი დღე, ყოველი წუთი. ადამიანის ენერჯის ფარგლებში შეგიძლია აირჩიო რომელიმე დღე, ვთქვათ, დღევანდელი, ოცდათერთმეტი ოქტომბერი ოცი წლის შემდეგ. ადვილი შესაძლებელია აღმოაჩინო, რომ იმ დღეს უკვე ცოცხალი აღარა ხარ. შეგიძლია იხილო საკუთარი საფლავი. - რამაზ კორინთელმა ჭიქები შამპანურით შეავსო, - თანაც, მინდა გაუწყო, რომ ღვთისმოსავი კაცი გახლავართ და მჯერა, ცხოვრებაში ყველაფერი ისე უნდა წარიმართოს, როგორც განგებამ დაგინესა. მჯერა, მისი შეცვლა არ შეიძლება. ბედისწერას ვერ გაექცევი.

რამაზ კორინთელს თვითონვე გაუკვირდა, ამ სიტყვების წარმოთქმა მაინც რატომ არ შერცხვა, ოდნავ მაინც რატომ არ ეუხერხულა. განა სწორედ მისი ცხოვრება არ იყო განგების მიერ დადგენილი გზის მკრეხელური უარყოფა?

- გაგვიმარჯოს! - ერთადერთი სიტყვა თქვა კორინთელმა და შამპანური მოსვა.

მარინე დვალს საჭმლისათვის პირი არ დაუკარებია, არც შამპანურის დალევა მოსვლია აზრად. ქალი ისევ რამაზ კორინთელს მისჩერებოდა. ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულიყო, რაც მოხდა, სიზმარი იყო თუ ცხადი.

- ნედან რომ ჩემი ჭიქები ან ჩემი კერამიკული ვაზა აღწერე, ხედავდი კიდევ?

- რასაკვირველია, ვხედავდი! - რამაზ კორინთელი ისევ ფიქრმა შეიპყრო. ნედანდელი გულბრწყვილო და ბავშვური გამომეტყველება სევდაგარეულმა განსჯამ სქელი საღებავით გადაღება ჭაბუკის სახეზე. მარჯვენა ხელის ცერი და შუათითი ჭიქას შეავლო და ნელ-ნელა დაიწყო მისი მაგიდაზე ტრიალი.

- არამართო ვაზას, მაგიდას და შენ გხედავდი, ან მართო შენს ქმარს ან მოხუცს აკადემიკოსს, არამართო შენი ოთახი და მასში განლაგებული ავეჯი მედგა თვალიწინ.

სამზარეულოში ვხედავდი მოყვითალო, ხოლო აბაზანაში - მოვარდისფრო კაფელს, სანოლის წინ - პატარა, მწვანე ხელოვნურ ხალიჩას, წიგნების განყოფილებაში - შენი ძმის პატარა ვაუიშვილის სურათს, სერვანტის ვიტრინაში - თეთრ იაპონურ ყავის სერვიზს, ტელეფონის ძველებურ მოოქროვილ აპარატს.

- კმარა, რამაზ, გემუდარები, კმარა!

რამაზ კორინთელმა თვალებში ჩახედა ახალგაზრდა ქალს. მარინეს თვალები პირთამდე იყო სავსე შიშითა და ძრწოლით.

- თუ არ გსიამოვნებს, კრინტსაც აღარ დავძრავ.

- წავიდეთ აქედან.

- არ ვისადილოთ?

- არა, მეშინია, აქ ჯდომა აღარ შემიძლია! თუმცა კი არ მეშინია, არა, ამას შიში არ ჰქვია, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. თითქოს სრულიად უცხო სამყაროში მოვხვდი, სადაც არც ნათესავი მყავს, არც ნაცნობი და მეგობარი. ირგვლივ ყველაფერი უცნაურია და უცხო, უფრო სწორად, უჩვეულო! თვით ხეებიც კი სხვანაირად გატოტვილან და სხვანაირად შრიალებენ...

- დამშვიდდი, მარინე, თუ გსურს, ახლავე ავდგეთ და წავიდეთ.

რამაზ კორინთელი წამოდგა და ოფიციანტის მოსანახად წავიდა.

მარინემ კურტკაგადაკიდებული ჩანთა მხარზე მოიგდო, აივანი ნელი ნაბიჯებით გადაჭრა, დაბლა ჩავიდა და მანქანასთან მივიდა. დაფიქრებულმა ხელჩანთიდან სუნამო ამოიღო,

თითების ლამაზი მოძრაობით გახსნა და თავსახური ჯერ ყურებზე, მერე კი ყელზე და მკერდზე მოისვა.

რამაზ კორინთელი მალე გამოჩნდა. მანქანის კარი გააღო, საჭესთან დაჯდა, ორთავე მხარეს ფანჯრები ჩამოსწია, უნდოდა ჩახუთული ჰაერი განიავებულიყო.

მარინე დინჯად უცქეროდა ჯაბუკის საქმიანობას და მანქანაში მანამ არ ჩამჯდარა, სანამ კორინთელმა კარი არ გაუღო.

\* \* \*

ყვავილებით ხელში სარკის წინ გაჩერდა. ჯერ მარცხენა ხელში გადაიტანა ყვავილები და მარჯვენათი მანქანაში აწეწილი თმა შეისწორა. მერე ყვავილები ისევ მარჯვენა ხელით დაიჭირა და საკუთარ თავს მუშტრის თვალით შეხედა.

სარკიდან მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იყურებოდა.

მარინე დვალმა კმაყოფილებით გაიღიმა, ყვავილები ბროლის ვაზაში მოათავსა, სასწრაფოდ ტანთ გაიხადა და აბაზანას მიაშურა.

ყველაფერი ძველებურად იყო მარინე დვალის ერთოთახიან, მაგრამ ხალვათ ბინაში, თითქმის ბუსტად ისე, რამაზ კორინთელმა რომ აღწერა, ოღონდ საწოლის წინ აღარსად ჩანდა მწვანე ხელოვნური პატარა ხალიჩა. ხოლო ძმისშვილის სურათს უკან ახალი, უფრო დიდი ზომის სურათი ჰქონდა ამოღებული.

აბაზანიდან რომ გამოვიდა, ტანზე დიდი და ფერადი პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული. ისევ სარკის წინ დადგა. პირსახოცი ნელ-ნელა გახსნა და გულმკერდი გამოაჩინა, მოეწონა საკუთარი თავი. კმაყოფილმა პირსახოცი სკამზე მიაგდო და ლოგინში ჩაწვა. ზემოდან მხოლოდ ზეწარი დაიხურა.

ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. თვალი მოხუცა, იქნებ ჩამეძინოსო, მაგრამ ტვინის უჯრედები ისე ჰქონდა აგზნებული, მიხვდა, არ დაეძინებოდა, სანამ საბოლოოდ არ განიმუხტებოდა. თვალს როგორც დახუჭავდა, უმაღვე რამამ კორინთელი დაუდგებოდა თვალწინ. საოცარი სიცხადით ხედავდა ჭაბუკის ხან კეთილ, ხან მოღუშულ სახეს. ხან ბავშვურად გულუბრყვილო, ხან კი ფიქრმორეულ, ცოტა ბოროტ გამომეტყველებას. არა, ბოროტი არა, რამამ კორინთელის ბოროტი სახე იმდროინდელი განცდის ნარჩენი იყო, თავის თავში უსაზღვროდ დარწმუნებულ ჭაბუკს რომ ვერ იტანდა.

ახლა?

თუ დროდადრო დაბერილ საფეთქლებს, ამღვრეულ თვალებს და განცდით დამძიმებულ გამოხედვას არ ჩავთვლით, რამამ კორინთელი ბავშვივით გულუბრყვილო და სათნო ეჩვენებოდა.

რა მოხდა ქალის არსებაში? ქალის, რომელსაც მამაკაცი დიდი ხანია მხოლოდ მიზლსა და ძრწოლას ჰგვრიდა? ხუთი წლის მანძილზე მარინე დვალს ხომ ქმრისაგან გათელილი და შეურაცხყოფილი ქალის შურისძიებადა ანიჭებდა სიამოვნებას?

ვითომ შეიცვალა ყველაფერი? ვითომ შეუყვარდა რამამ კორინთელი? იქნებ სიყვარული კი არა, უბრალოდ, მამაკაცი მოსწყურდა მის ჯანმრთელ და სავსე სხეულს, სხეულს, რომლის სიმხურვალე უხეში და უემოციო კაცის ხელში ერთხელაც ვერ დაცხრა ნეტარების მორევში?!

მარინე დვალი თვითონაც ვერ მიხვდა, მარჯვენა ხელი როგორ წაიღო მკერდისკენ, როგორი ვნებით გადაუსვა თითები მკვრივ ძუძუებს.

ფასანაურიდან თბილისში ისე ჩამოვიდნენ, არცერთს ხმა არ ამოუღია. რამამ კორინთელი ისევ ფიქრმა გაიტაცა. მანქანა დიდი სიჩქარით მიჰყავდა. მარინე

შეშინებული შეჰყურებდა ხან სპიდომეტრს, ხან კორინთელს. ჭაბუკს ისეთი კუმტი და სევდიანი გამოხედვა ჰქონდა, ხმის გაცემას ვეღარ უბედავდა.

ფიქრებში წასულ რამაზ კორინთელს თითქოს სულ დაავინყდა, მარინე დვალი რომ გვერდით უჯდა. ხანდახან სიგარეტის კოლოფს თუ დასწვდებოდა. დანარჩენ დროს კი გზას ჯიუტად მისჩერებოდა. ძნელი არ იყო მიხვედრა, მანქანას მექანიკურად მართავდა.

ნელ-ნელა თვითონაც ფიქრმა გაიტაცა. ვინ არის რამაზ კორინთელი? ხომ ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცი ზებუნებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული? იყო კიდეც ერთი პრობლემა, რომლის ირგვლივაც გამუდმებით ტრიალებდა მარინეს გონება. უნდოდა გარკვეულიყო, მოსწონდა რამაზ კორინთელი თუ უყვარდა, მის მიმართ მოკრძალების გრძნობას ჰყავდა შეპყრობილი თუ ეშინოდა ამ უცნაური, დაუჯერებელი ნიჭის მქონე ყმანვილი კაცისა?

რამაზ კორინთელმა მანქანა იქვე გააჩერა, აფთიაქთან ოციოდე მეტრის დაშორებით, სადაც დილით მარინე ჩაუჯდა. გააჩერა და მარინეს შეხედა. ქალი დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა. გზაში ფიქრობდა, კორინთელმა რომ შინ აყოლა მთხოვოს, რა ვუპასუხო. უცებ დამშვიდდა, რამაზ კორინთელი ისე იჯდა, ქალი მიხვდა, მასთან ასვლას არ აპირებდა.

მარინემ შვებით ამოისუნთქა, კორინთელს ნაზად გაუღიმა, ხელჩანთა შეისწორა და კარის გაღება დააპირა.

- მე შენ მიყვარხარ, მარინე! - თქვა უცებ ვაჟმა.

ქალმა კარის სახელურს ხელი ისე უშვა, თითქოს დენმა დაარტყაო.

- რა თქვით? - რატომღაც ძველებურად თქვენობით იკითხა აღელვებულმა ქალმა, თუმცა კარგად გაიგონა, რამაზ კორინთელმა რაც უთხრა.

- მე შენ მიყვარხარ.

მარინემ რაღაცის თქმა დააპირა.

- დღეს ნურაფერს მეტყვი! - ტუჩებზე ხელი მიადო კორინთელმა, - კარგად მოიფიქრე და პასუხი ხვალ მითხარი, თუნდაც ზეგ.

მარინე გაშეშებული იჯდა, დაბნეულმა არ იცოდა, რა უნდა მოემოქმედებინა. გამოსავალი ერთბაშად იპოვა, კარი ენერგიულად გააღო და მანქანიდან გადავიდა.

- კარგად ბრძანდებოდეთ! - თქვა და კარი მიაჯახუნა.

პასუხად რამაზ კორინთელმა თავი ღიმილით დაუქნია. მარინე უკან წავიდა, სახლისაკენ. კორინთელი სარკეში უყურებდა უხერხული ნაბიჯებით მიმავალ ქალს. მარინემ იცოდა, რომ ვაჟი სარკეში ადევნებდა თვალყურს და მანქანას მანამ არ დასძრავდა, სანამ თვითონ სადარბაზოში შესასვლელში არ გაუჩინარდებოდა.

\* \* \*

სხეულში ვრუოლამ დაუარა, ლოგინში თავდაღმა ჩაემხო და თვალები დახუჭა.

„კარგად მოიფიქრე და პასუხი ხვალ მითხარი, თუნდაც ზეგ!“ - არ დაუთვლია, რამდენჯერ დატრიალდა რამაზ კორინთელის წინადადება გონებაში.

„ზეგ!“ - თქვა უცებ ხმამაღლა. ისევ გადმობრუნდა, თვალები ჭერს მიაპყრო და ჭერს იქით, სივრცეს გაუღიმა.

„რატომ ზეგ? ან რატომ ხვალ? იქნებ დღესვე, ახლავე, ამ წუთში ვარ თანახმა?“

სიყვარულით და ნეტარებით თავბრუდახვეულ ქალს გულწრფელად ეშიინოდა, უცებ არ გაღვიძებოდა და რაც დღეს გადახდა, სიმზარი არ აღმოჩენილიყო.

# თავი მეოქვსმეტე

მარინე დვალის ერთოთახიან ბინას ტორშერის მკრთალი შუქი ანათებდა.

სალამოს ათი საათი იყო.

ქუჩაში უკვე ბნელოდა, მაგრამ ფანჯრებს მაინც ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

როცა პირველი ვნება დაცხრა, რამაზ კორინთელი გულაღმა გადაბრუნდა და სიგარეტი გააბოლა. მარინეს თავი ვაჟის მკერდზე დაედო და თვალეზი დაეხუჭა. ახალგაზრდა ქალს უსაზღვროდ სიამოვნებდა სუნთქვის დროს რამაზ კორინთელის მძლავრად ამავალ-ჩამავალი მკერდი და თავქვეშ ამოდებული მისი დაკუნთული მარცხენა ხელი.

რამაზ კორინთელმა საფერფლე იატაკზე ისე დადო, რომ მარჯვენა ხელით მისწვდებოდა. სიგარეტის დაფერფვლის დროს იქით გახედვა აღარც კი სჭირდებოდა, ისე ზუსტად ჰქონდა საფერფლის მდებარეობა განსაზღვრული.

თვალდახუჭული მარინე უბედნიერეს ქალად გრძნობდა თავს. ყველაზე საყვარელი ადამიანი მის გვერდით იწვა. ახალგაზრდა ქალი დროდადრო ყელსა და კისერს უკოცნიდა რამაზ კორინთელს და გრძელ, ლამაზ თითებს ნაზად უსვამდა მკერდზე.

მაინც რა სწრაფად მოხდა ყველაფერი. ახალგაზრდა ქალს თვალწინ დაუდგა რამაზ კორინთელთან ურთიერთობის პირველი დღეები. ყურადღება უფრო დაძაბა და თვალეზი კიდევ უფრო მაგრად დახუჭა. თითქოს უნდოდა გონებაში დატრიალებულ ვიდეოფიჩზე არცერთი უწვრილმანესი დეტალი არ გამორჩენოდა.

ფასანაურში გასეირნებიდან ხუთი დღის შემდეგ მარინემ რამაზ კორინთელს ნება დართო, მასთან გაეთია ღამე.



გატრუნული ქალი გონს ვერ მოსულიყო, რცხვენოდა, რომ კორინთელთან შენობით ლაპარაკი ჯერ კიდევ ეუხერხულებოდა და მასთან ერთად უკვე ლოგინში იწვა. მტკიცე ნებისყოფიანი ქალი, ქმრის განშორებიდან წლების მანძილზე მამაკაცთან სარეცლის გაყოფა რომ აზრადაც არ მოსვლია, ვერ მიმხვდარიყო, როგორ მონუსხა და დაიმორჩილა ამ უცნაურმა და გამომწვევმა ჯაბუკმა.

კორინთელმა ჯერ კიდევ მანამდე გაახვია ნეტარების ბურანში, სანამ ტანსაცმელს გაიხდიდა. გონების დაკარგვამდე კი მაშინ დაეხვა თავბრუ, როცა ვაჟი კაბის გახდაში შეეშველა. გრძელმა, მამაკაცურმა ღონიერმა ხელის თითებმა, ზურგზე რომ შეეხო, საბოლოოდ გათიშა ახალგაზრდა ქალი. აღარ ახსოვს, ვაჟმა მძლავრი მკლავებით როგორ აიტაცა და ლოგინში როგორ ჩაიწვინა. როცა ყველაფერი დანყნარდა და დაცხრა, მაშילה მიხვდა, რომ პირველად შეიგრძნო მამაკაცი. შეიგრძნო და სიგიჟემდე შეუყვარდა კაცი, რომელმაც იგი სრულფასოვან ქალად აქცია. პირველი დღიდანვე დაასკვნა, რამაზ კორინთელს ცოცხალი თავით ვერ დასთმობდა. მასთან განშორებას სიკვდილს ამჯობინებდა. მიხვდა, ოცდახუთი წლის ასაკამდე ისე მივიდა, ნამდვილი სიყვარულით არავინ ჰყვარებია. არც იცოდა, რა იყო, ნამდვილი სიყვარული. სასაცილოდ ეჩვენებოდა სკოლისა და ქალიშვილობის გატაცებანი. თავიდან ისიც კი ეგონა, რომ ქმარი უყვარდა. იქნებ უყვარდა კიდევ, მაგრამ განა შედარება შეიძლებოდა რამაზ კორინთელის სიყვარულთან? მიხვდა, დღევანდელ დღემდე ყველაფერი ილუზია და იმიტაცია იყო. პირველად ახლა შეიგრძნო ნამდვილი სიყვარული და პირველად ახლა ჩაესახა უსაშველოდ დიდი შიში, ვაითუ, რამაზ კორინთელს სერიოზულად არ უყვარდა, ვაითუ, ქალის პირველი და ალბათ უკანასკნელი ნამდვილი სიყვარული დასაღუპად იყო განწირული. უყვარდა კი რამაზ კორინთელს ნამდვილად? თითქოს არ უნდა ჰქონოდა ეჭვის მიზეზი. სამსახურის შემდეგ თითქმის სულ ერთად იყვნენ. კორინთელი თითქმის ყოველდამ რჩებოდა მარინესთან. ყურადღებასა და ალერსს არ აკლებდა. კარის ჩაკეტვას ვერ ასწრებდა, რომ ვაჟი უკვე გამაგებელი ჰკოცნიდა. იქნებ ყველასთან ასეთი ალერსიანი და ვნებიანი იყო რამაზ კორინთელი? განა შეიძლებოდა ქალი არ გყვარებოდა და მოჩვენებით შეგძლებოდა ამდენი სიყვარულის გადმოფრქვევა?

იქნებ ვაჟისთვის მხოლოდ გატაცება იყო ნაქმარევი და ცოტა უფროსი ქალის სიყვარული? რა იქნება მერე, გატაცება რომ ჩაქრება?

„არა, არა, ეს არ მოხდება!“ - ყვიროდა გამწარებული ქალი გულში და უმაღლვე თავს იმშვიდებდა, ჭაბუკს მკერდზე უფრო მაგრად ეხუტებოდა და დაძარღვეულ კისერს უფრო ვნებიანად უკოცნიდა.

სანამ ერთად იწვნენ, სანამ ერთად იყვნენ, ეჭვები თითქმის აღარ აწუხებდა, მაგრამ წავიდოდა ვაჟი და მართოდ დარჩენილ ქალს შიში და ძრწოლა ერთბაშად ეუფლებოდა. რამაზ კორინთელის იქ ყოფნის დროს ოთახიდან გარეთ გაგდებული შიში ისევ უკან მოძვრებოდა, მოიბლაზნებოდა და თავისი უზარმაზარი, შავი და ლორწოიანი სხეულით მთელ ბინას ავსებდა.

„ასე ძალიან რატომ ეშინია, ჩემთან მოსვლის დროს ვინმემ არ შენიშნოს?!“

აი, რა აძლევდა ყველაზე დიდი ნერვიულობის საბაბს, აი, რა ჰბადებდა ყველაზე დიდ ეჭვს.

რამაზ კორინთელი მანქანას ყოველთვის შორს აჩერებდა. პირველი, ბუნებრივია, ბინაში მარინე ადიოდა. ვაჟი მხოლოდ თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ თუ შეაღებდა ღრიჭოდ დატოვებულ კარს. ქალაქგარეთ გამგზავრების დროსაც შინ არ აკითხავდა. მთელი ორი გაჩერებით შორს ელოდებოდა. ისეთ ადგილებში დაჰყავდა, სადაც ნაცნობებთან შეხვედრის თითქმის არავითარი შანსი არ იყო. ამ ბოლო დროს კი ქალაქგარეთ გასვლას თითქოს საგანგებოდ ერიდებოდა. ინსტიტუტში ხომ დირექტორის კაბინეტს მხოლოდ აუცილებელი საქმის დროს თუ მიადგებოდა. ხანდახან, როცა ერთმანეთს ბუფეტში შეხვდებოდნენ, ძალზე ცივად და თავდაჭერილად ესალმებოდა.

„ვითომ მხოლოდ ჩემს ღირსებას უფრთხილდება?“

„ალბათ ფიქრობს, რომ გატაცება მალე გაუვლის და არ უნდა, სახელი გამიტეხოს“.

ო, რა დღეში ჰქონდა ამ დროს გული. ხან გაშლილი რჩებოდა და აღარ იკუმშებოდა. ხან შეიკუმშებოდა და აღარ იშლებოდა. თითქოს ფილტვებშიც ჰაერი აღარ ჩასდიოდა და უუანგბადობით იხრჩობოდა.

„შეუძლებელია, შეუძლებელი!“ - იყვირებდა უცებ გონებაში ისტერიული, საშინელი ხმით და გული უმაღვე იწყებდა მუშაობას. ჩახუთული ფილტვებიც იმავე წამში ხარბად წარიტაცებდა მაცოცხლებელ ჰაერს.

„აპირებს კი ჩემს ცოლად შერთვას? რომ აპირებდეს, ერთხელ ხომ მაინც წამოსცდებოდა თუნდაც ერთი სიტყვა? ვუყვარვარ კი ნამდვილად? განა შეიძლება, არ ვუყვარდე და მართო ვნებით გაშმაგებული კაცის თვისება იყოს ამოდენა ყურადღება და სინაზე?“

„არა, ვუყვარვარ, ნამდვილად ვუყვარვარ! თუმცა სიყვარული სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემს შერთვას აპირებს. ალბათ მანამ იქნება ჩემთან, სანამ არ დაცხრება, სანამ გატაცება არ გაქრება“.

„მაშინ რა მეშველება? მაშინ ხომ თავის მოკვალა დამრჩენია და მეტი არაფერი? უნდა ვკითხო, აუცილებლად დღესვე უნდა ვკითხო, რას აპირებს!“

ვერცერთხელ ვერ ჰკითხა მარინემ რამამ კორინთელს რას ფიქრობდა, მომავალში რას აპირებდა. ვაჟი რომ მოვიდოდა, ახალგაზრდა ქალი კვლავ მონიუსხებოდა, კორინთელის ძლიერ მკლავებს მინებდებოდა და ვერაფრის კითხვას ვედარ უბედავდა.

- გიყვარვარ? - აი, ერთადერთი კითხვა, რომელსაც იგი აძლევდა ხოლმე ვაჟს ლოგინში.

- შენ როგორ ფიქრობ? - პასუხობდა კორინთელი და თან გაშმაგებული ჰკოცნიდა.

- ძალიან გიყვარვარ?

- ძალიან, სიცოცხლეც!

ნეტარების ბურანში გადასულ ქალს მეტი შეკითხვის თავი აღარ ჰქონდა.

ეჭვი და სევდა სადღაც ქრებოდა. მარინეს კვლავ რწმენა და სიხარული უბრუნდებოდა.

ამ ოთხი დღის წინ ისევ შეერყა რწმენა, ისევ დაეუფლა უიმედობა და სასოწარკვეთა.

- მარინე, ერთ სერიოზულ საკითხზე უნდა მოგელაპარაკო! - დაიწყო უცებ რამაზ კორინთელმა.

ვაჟის მკერდზე განაბულმა ქალმა ერთბაშად ასწია თავი და კორინთელს შეშფოთებულმა შეხედა. არ მოეწონა მისი ხმა.

რამაზ კორინთელი ჭერს შესჩერებოდა და სიგარეტს ეწეოდა. თითქოს ცდილობდა, ქალისთვის თვალეხში არ შეეხედა. თავნამოწეული ქალის დაჭიმული კისერი და რაღაც უსიამოვნო ამბის მოლოდინით აღსავსე სახე კითხვის ნიშანივით იდგა ვაჟის თავზე

- შენი დახმარება მჭირდება.

- ჩემი დახმარება? - რაღაც განწირული ხმით წარმოთქვა ქალმა. უმაღლვე ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში. იქნებ მხოლოდ ამ დახმარებისთვის დასჭირდა ჩემთან სიყვარულის თამაშიო. ან კი რაში უნდა დახმარებოდა რამაზ კორინთელს უშნეო მდივანი ქალი?

- ჰო, დახმარება.

- თუკი რამე შემიძლია, ხომ იცი, რომ უკან არ დავიხევ!

- ვიცი, ამიტომაც გერიდებოდი. ვცდილობდი, უშენოდ გამერთმია ამ საქმისთვის თავი. ყველანაირად ვცადე, გამოსავალი მომენახა, არ გამომივიდა.

- მაინც რა საქმეა ასეთი? - შეშინებულმა იკითხა ქალმა.

- დიდი არაფერი. საჭიროა მხოლოდ შენი თანხმობა და მხარში ამოდგომა.

- რომელ მხარში ამოდგომაზე მელაპარაკები, რამაზ, განა არ იცი, რომ შენი გულისთვის მტკვარში გადავვარდები?!

- ვიცი, ძვირფასო! - რამაზ კორინთელი შემობრუნდა და მარინეს თვალები დაუკოცნა.

ქალს უმაღლვე აუჩუყდა გული, უმაღლვე გაუქრა შიშის გრძნობა. საკმარისი იყო, კორინთელი მოჰფერებოდა და ყოველგვარი ეჭვი სადღაც შორს, ცხრა მთას იქით იკარგებოდა.

- გისმენ, რამაზ!

- რასაც ახლა გეტყვი, შენს გულში და გონებაში უნდა მოკვდეს!

- არა გრცხვენია? განა მე გაფრთხილება მჭირდება? - ეწყინა ქალს.

- ვიცი, რომ არ გჭირდება, მაგრამ ამ გაფრთხილებით მინდა გაგრძნობინო საქმის მთელი სერიოზულობა! - რამაზ კორინთელმა სიგარეტი იტაკაზე დადგმულ საფერფლეზე დააგდო, ქალისკენ მკვეთრად შემობრუნდა და მარინე გულში ჩაიკრა. ასე უფრო იოლი იყო ლაპარაკი, ქალს თვალებში აღარ უყურებდა. თან იცოდა, მის მკლავებში მომწყვდეული ქალი უფრო იოლად ჰკარგავდა განსჯისა და მოვლენის შეფასების უნარს.

- მაინც რა საქმეა, ასეთი, ამოდენა შესავალი და გაფრთხილება რომ სჭირდება?

- სრულიად უბრალო, რასაკვირველია, თუკი თანახმა იქნები.

- ვერ გრძნობ, რომ ასეთი ლაპარაკით შეურაცხყოფას მაყენებ? - გული აუჩუყდა მარინეს.

მაპატიე, მაგრამ უფლება არა მაქვს, ამ უბრალოდ გასაკეთებელი საქმის სერიოზული მხარეც არ დაგანახო.

- გიყვარვარ? - ჰკითხა მოულოდნელად ქალმა, ვაჟის მკლავებიდან თავი ენერგიული მოძრაობით გაითავისუფლა და კორინთელს თვალებში შეხედა.

- განა ეჭვი გეპარება ჩემს სიყვარულში?

- ის თუ გჯერა, მე რომ მიყვარხარ?

- როგორ არ მჯერა! არ მესმის, რატომ მეკითხები ასეთ სისულელეებს! - ვითომ განაწყენდა კორინთელი.

- თუ ნამდვილად გიყვარვარ და ისიც გჯერა, რომ მეც სიგიჟემდე მიყვარხარ, რა საჭიროა ასეთი მოლაპარაკება? განა არ იცი, რომ საქმეში ჩაუხედავად და გაუანალიზებლად გავაკეთებ, რასაც შენ მეტყვი? პირდაპირ მითხარი, რაში და როგორ უნდა დაგეხმარო!

- ვიცი, რომ გიყვარვარ. მე მგონი, არც შენ გეპარება ეჭვი ჩემს სიყვარულში. მით მეტეს, ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი, იცოდე, რას გაკეთებინებ. მე ასე მესმის სიყვარული. დიდი სიყვარული დიდი გულახდილობაცაა და დიდი მოფრთხილებაც, ამიტომ ნუ გაგიკვირდება ჩემი საქციელი.

მარინე თითქოს დამშვიდდა, თავი ისევ მკერდზე დაადო კორინთელს, თვალები დახუჭა და მცირეოდენი პაუზის შემდეგ ნელა წარმოთქვა:

- გისმენ.

- ორი დღის შემდეგ ოთარ კახიშვილი მოსკოვში მიდის. მე ყველასგან შეუმჩნევლად უნდა შევიდე მის კაბინეტში. შენ კარი უნდა ჩაკეტო, რომ ვინმემ მოულოდნელად არ შემოაღოს.

- რა გინდა დირექტორის კაბინეტში?! - გულწრფელად გაუკვირდა მარინეს. თვალები ისევ გაახილა, თუმცა თავი არ აუნწვია, ლოყით კვლავ ვაჟის მკერდს იყო მიხუტებული.

- გეტყვი, ყველაფერს გეტყვი. ხომ ხედავ, რომ დაინტერესდი! ესე იგი, მართალი ვიყავი, როცა გადავწყვიტე საქმის შინაარსი შენთვის დანვრილებით გამეცნო. - რამაშ კორინთელი მარჯვენა ხელით გადასწვდა იატაკზე დადებულ სიგარეტის კოლოფს და იაპონურ კვესს. - ოთარ კახიშვილი მოსკოვში ვითომ ინსტიტუტის საქმეებზე მიდის. სინამდვილეში კი იგი ცდილობს ჩუმად მოძებნოს სეიფის გამხსნელი ოსტატი. შენ კარგად იცი, რა დაიბარა ანდერძში განსვენებულმა აკადემიკოსმა, სეიფი ჩემი სიკვდილის დღიდან ორი წლის თავზე გახსენითო. ოთახ კახიშვილს რაღაც ეგულება სეიფში. ეს „რაღაც“ ალბათ მეცნიერული გამოკვლევაა, რომლის გამოქვეყნება დავით გიორგაძემ ვერ მოასწრო. ახალ დირექტორს სურს მზამზარეული შრომა ხელში ჩაიგდოს და მითვისოს. გასაგებია?

- გასაგებია!

- მე მინდა დირექტორის კაბინეტში დავაყენო პატარა იაპონური გადამცემი, მიმღები მაგნიტოფონი კი შენ გექნება, ხელჩანთაში. როგორც კი დირექტორის კაბინეტში საეჭვო ვინმე შევა, ხელჩანთაში მიმღები მაგნიტოფონის კლავიშს თითს დააჭერ და მათ საუბარს ფირზე ჩაინერ. გარდა სტუმრებისა და საეჭვო ხალხის საუბრებისა, ძალზე მაინტერესებს, რატომ იკეტებიან ხოლმე საათობით ოთარ კახიშვილი და მისი მოადგილე არჩილ თევდორაძე. ერთი სიტყვით, მინდა ყველაფერი ვიცოდე, რა ხდება ინსტიტუტის

დირექტორის კაბინეტში. კასეტებს შინ წამოიღებ ხოლმე. ჩანაწერებს აქ მოვისმენ. რაც საინტერესოა, შევინახავ ან დავიმახსოვრებ!

- შენ ხომ ისედაც შეგიძლია, ყველაფერი გაიგო და გამოიცნო?! რატომ მიდიხარ ასეთ რისკზე? ხომ შეიძლება დამლაგებელმა ან დირექტორმა შენიშნოს გადამცემი? რა მოხდება მაშინ?

- ნუ გეშინია...

- მე არ მეშინია, - შეაწყვეტინა მარინემ, - მე შენზე ვფიქრობ!

- დარდი ნურაფრისა გაქვს. ვიცი, სადაც უნდა დავაყენო გადამცემი. ასე წელი რომ იდგეს იქ, მაინც ვერავინ იპოვის. თანაც ერთი თვის შემდეგ კვლავ ჩემად შევალ კაბინეტში და გადამცემს სამუდამოდ მოვხსნი. ვიცი, რაც მოსახდენია, ერთ თვეში უნდა მოხდეს.

- გასაგებია, ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ბოლომდე მაინც არ მიპასუხე შეკითხვაზე. განა არ შეგიძლია შენი ზებუნებრივი ნიჭის წყალობით ისედაც გაიგო ყველაფერი?

- არ შემიძლია. ერთ ხილვას იმდენი ენერგია სჭირდება, ორ კვირაში რომ ვერ აღვადგენ ხოლმე. სად შემიძლია, ყოველდღიურად დავძაბო გონება და „მოვისმინო“ რაზე საუბრობენ ისინი საათების განმავლობაში? ჩემს ნიჭსა და ენერგიას გაფრთხილება სჭირდება. მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში უნდა დავძაბო ტვინი. გამოუვალი სიტუაციები კი ცხოვრებაში იმდენია, რომ მათაც ვერ ავუთავდები. გასაგებია?

- მომანევიე! - მიუგო პასუხად.

კორინთელმა სიგარეტი ტუჩებთან მიუტანა. მარინემ ხარბად მოქაჩა.



ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. სიგარეთი მონაცვლეობით ჩაათავეს. ვაჟმა მოლაპარაკება დამთავრებულად ჩათვალა, სიგარეტის ნაშენავი საფერფლეზე დააგდო და ქალს ტუჩებზე დაენაფა.

\* \* \*

ათი საათი სრულდებოდა, რამაზ კორინთელი დირექტორის კაბინეტში რომ ჩაიკვტა. თავდაპირველად სეიფთან მივიდა. სეიფის გახსნას რომ აპირებდა, მარინესთვის არ გაუმხელია. ან რა საჭირო იყო? ქალს ხომ ის უნდა სცოდნოდა, რაშიც უშუალოდ მიიღებდა მონაწილეობას.

თავისი სიმშვიდე თვითონვე უკვირდა. ეგონა, მეტს ინერვიულებდა. კაბინეტში რომ შედიოდა, ოდნავ ღელავდა. კარი რომ შიგნიდან ჩაკეტა, მღელვარებამ იმავე წუთში გაუარა. იცოდა, შეეძლო მთელი დღე მჯდარიყო აქ, ხელს არავინ შეუშლიდა, ეჭვსაც კი ვერავინ აიღებდა.

სპორტული ხელჩანთა სეიფთან მიიტანა, ჩანთიდან რეზინის საოპერაციო ხელთათმანები ამოიღო და ხელებზე წამოიცვა, შემდეგ ხელთათმანიანი ხელი კვლავ ჩანთაში ჩაყო და დიდი მაკრატელი მონახა. მავთული, რომლითაც სეიფის სახელურზე ლუქი იყო დამაგრებული, ფრთხილად გადაჭრა. სახელურს ოსტატურად შეხსნა და ჩანთაში მოათავსა. შემდეგ შიფრი აკრიფა. სანამ სახელურს გამოქაჩავდა, ცოტა შეყოვნდა. მღელვარება ოდნავ, მაგრამ მაინც მოერია. კარის სახელურს ორთავე ხელი მოჰკიდა და ნელა გამოსწია. მძიმე კარმა ოდნავ დაიღრჯილა. სეიფი საქაღალდეებით, სხვადასხვა დოკუმენტებით, ნაჩუქარი წიგნებით, უცხოელების მოძღვნილი სუვენირებით და მიმონერის ასლებით იყო სავსე. რამაზ კორინთელს ხელი არაფრისთვის უხლია. სეიფიდან მხოლოდ ის საქაღალდეები ამოიღო, სადაც ნაშრომები და ექსპერიმენტის შედეგები იყო მოთავსებული. მომწვანო საქაღალდეები ჩანთაში ფრთხილად ჩადო, კარი უხმაუროდ მიკვტა და მონიკვლებული რგოლებით იგივე კოდი აკრიფა. შემდეგ კვლავ

ჩანთისკენ დაიხარა, ელექტროგამახურებელი, რკინის პატარა დაფა, ლუქი და ლითონის ბეჭედი ამოიღო, ზუსტად იმ ბეჭდის ასლი, სეიფის სახელურის ლუქზე რომ იყო აღბეჭდილი. ბეჭდის ასლის ჩამოსხმა არ გასჭირვებია რამაზ კორინთელს. ათიოდე დღის წინ, ინსტიტუტის დირექტორი რომ აკადემიაში გამოიძახეს საბჭოს სხდომაზე, რამაზ კორინთელმა მარინეს სთხოვა, კაბინეტიდან პირდაპირი ტელეფონით მინდა ერთ საქმეზე დავრეკო. მარინე უარს როგორ ეტყოდა! რამაზ კორინთელმა კაბინეტში შესვლისთანავე კარი შიგნიდან ჩაკეტა, სეიფთან მივიდა და ლუქზე გამოსახულ ბეჭდის ნაჭდევს ფრთხილად დაადო პლასტილინი, პირველივე ცდაზე მოეწონა ამოღებული გამოსახულების ხარისხი, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, პლასტილინის ორ თხელ ფურცელზე კიდევ გადაიღო ბეჭდის პირი.

იმავე საღამოს ოსტატი მონახა და დიდი გასამრჯელოს ფასად ბეჭდის დამზადება მოსთხოვა.

- მომართვის გარეშე ვერ გავაკეთებ! - ცივად დაუბრუნა ფული ოსტატმა.

- რამდენს ითხოვ? - ჰკითხა კორინთელმა.

- ჩემი პასუხი უკვე გითხარი.

ოსტატმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ კორინთელმა რევოლვერი დაადო შუბლზე.

- რამდენს ითხოვ! - გაუმეორა მექარით სავსე ხმით.

ოსტატს რევოლვერისა არ შეშინებია და დაყვირება გადანწყობა, მაგრამ რამაზ კორინთელის ბოროტად წამონთებული თვალები რომ დაინახა, შემდრკალმა და ჭაბუკის გამოხედვით მონუსხულმა, თანხმობის ნიშნად თავი ჩაღუნა, შემდეგ პლასტილინის ფურცელი აიღო და დაკვირვებით შეათვალიერა.

რამაზ კორინთელმა ელექტროგამხურებლით ლუქი სწრაფად გააღწო ფოლადის დაფაზე და სეიფი ოსტატურად დალუქა. თავის ნახელავი თვითონვე მოეწონა.

პირველ და მთავარ საქმეს უკვე მორჩა. ცოტა შეისვენა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მაგრამ მოწვევა გადაიფიქრა, ფერფლი არსად დავყაროო, და ისევ ჯიბეში ჩაიღო, ხელჩანთას დასწვდა და იაპონური პატარა, მაგრამ ძალზე მგრძობიარე გადამცემი ამოიღო. გადამცემის კუთხეებში რამაზ კორინთელმა წინასწარ დააყენა ოთხი პატარა მაგნიტიც. მათი მიზიდულობის ძალა საკმარისი იყო გადამცემის მსუბუქი წონის საიმედოდ დასაჭერად. ხელსაწყოს მისამაგრებელი ადგილი წინასწარ ჰქონდა შერჩეული - დირექტორის ძველებური დიდი მაგიდის შუა ნაწილი. კაცს რომ მაგიდის ქვეშ რაიმე ნივთი შევარდნოდა, მისი ალების დროსაც კი შეუძლებელი იქნებოდა წელში მოხრილს მაღლა აგეხედა და მაგიდაზე ქვემოდან მიწებებული ასანთის კოლოფისოდენა გადამცემი დაგენახა.

რამაზ კორინთელი მაგიდის ქვეშ შეძვრა და ოთხ ადგილზე წინასწარ გახვრეტილი ფოლადის ფურცელი უბარმაზარ ძველებურ სანერ მაგიდას ჭანჭიკებით ქვემოდან მიამაგრა. მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა და მშვიდად ამოისუნთქა. საქმე თითქმის მოთავებული ჰქონდა. მექანიკურად ჯიბიდან ისევ ამოიღო სიგარეტი. უცებ გადანყვითა, ჯობია კაბინეტიდან გავიდე და გარეთ მოვნიოო, სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩააბრუნა, გრძელ მაგიდაზე დადებული გადამცემი აპარატი აიღო და ისევ მაგიდის ქვეშ შეძვრა.

ფოლადის ფურცლის სიახლოვე რომ იგრძნო, გადამცემი აპარატი ოთხი პატარა მაგნიტის მიზიდულობის ძალით ლამის ხელიდან გაუფრინდა. რამაზ კორინთელმა საიმედოდ მიწებებული გადამცემი ფოლადის ფურცლის შუაგულში ჩააცურა.

რამაზ კორინთელს უხაროდა, საქმე რომ ძალზე მახვილგონივრულად გადაჭრა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მარინე გადამცემ აპარატს ყოველთვის შინ წაიღებდა, დილით კი, სანამ დირექტორი მოვიდოდა, კვლავ ფოლადის დაფაზე მიამაგრებდა.

კაბინეტშიც რომ დაეტოვებინა, დამლაგებელი ქალი მაინც ვერ ნახავდა. და მაინც, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამჯობინა გადამცემი მარინეს ყოველ საღამოს შინ წაეღო.

რამაზ კორინთელმა კაბინეტი ყურადღებით მიათვალ-მოათვალიერა, ხომ არაფერი მრჩებო, სეიტს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და ჩანთას დასწვდა. თუ მოსაცდელში ან დერეფანში ვინმე გამოჩნდებოდა, მარინე სელექტორთან ჩართული აპარატის ყურმილს შეაძრევდა. სელექტორი დუმდა. რამაზ კორინთელმა შიდა კარის გასაღები გადაატრიალა და მოსაცდელში გავიდა.

მარინე კართან იდგა და დერეფანს ზვერავდა. კორინთელს ღიმილით ანიშნა, არავინაა, შეგიძლია წახვიდეთ.

მოსაცდელიდან გასვლისას კორინთელმა ხმადაბლა უთხრა, ნახევარ საათში დაგირეკავო და დერეფანში გავიდა.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე მანქანაში იჯდა და შინისაკენ მიჰქროდა. დროდადრო სპორტულ ჩანთას გადახედავდა ხოლმე, სადაც მოთავსებული ჰქონდა ის ადრინდელი გამოკვლევა, სადიპლომო შრომად რომ ამუშავებდა და, რაც მთავარია, „რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის“ საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გადაბეჭდილი ვარიანტი თავისი ექსპერიმენტული მასალით.

თეორიული ნაწილის ხელახლა აღდგენა და დანერა არ იყო ძნელი საქმე. მაგრამ ექსპერიმენტების შედეგებს, რომლებიც ცალკე საქაღალდეში იყო მოთავსებული, ხელახლა ვერ აღადგენდა სრულიად იოლად გასაგები მიზეზის გამო, მათი ზეპირად აღდგენა არ შეიძლებოდა. ექსპერიმენტის შედეგების ხელახალ მოპოვებას კი დიდი დრო სჭირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ერთი წლის ლაბორატორიული მუშაობის შემდეგ ექსპერიმენტით მიღებული შედეგების აღდგენაც შეიძლებოდა, მაგრამ ლაბორატორიაში

მხოლოდ ოთარ კახიშვილთან ერთად თუ იმუშავებდა. მაშინ, ძალაუნებურად, ინსტიტუტის დირექტორი მაინც უნდა გამხდარიყო მისი გამოკვლევის თანაავტორი. თანაც, რაც უფრო ყველაზე კომიკური იქნებოდა, პირველი, ანუ მთავარი თანაავტორი.

ყველაზე უფრო კორინთელს მაინც ის უხაროდა, რომ დღეიდან, თუნდაც გაეხსნათ კიდეც სეიფი, აკადემიკოსის გამოკვლევას ვეღარავინ იპოვიდა. სამაგიეროდ, ყველანი დარწმუნდებოდნენ, რომ აკადემიკოსს არ დარჩენია არავითარი გამოკვლევა, რომ იგი ხუთი წლის მანძილზე ამაოდ დაშვრა, დაემტკიცებინა რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის არსებობა. კიდეც ერთხელ გახდებოდა მათთვის ნათელი, რატომ ისურვა განსვენებულმა დირექტორმა სეიფის ორი წლის შემდეგ გახსნა.

ერთი ამბავიც იყო გასათვალისწინებელი. ბუნებრივია, ყველას გაუკვირდებოდა და დაინწყებოდა მითქმა-მოთქმა, რამაზ კორინთელმა ასე მოკლე დროში როგორ შეძლო რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის არსებობის აღმოჩენაო.

კორინთელს არ აღელვებდა მოსალოდნელი მითქმა-მოთქმა და ვნებათაღელვანი. მან ჯერ კიდეც ადრე, აკადემიკოსის სიკვდილამდე განჭვრიტა მომავალი და შექმნა ერთი საბუთი, რომელიც, მისი აზრით, გაფანტავდა ყოველგვარ გაუგებრობას. დღესდღეობით კი, გადამცემი აპარატის წყალობით, ყოველდღიურად ეცოდინებოდა, ოთარ კახიშვილი რას აპირებდა. სჯეროდა, ინსტიტუტის ახალი დირექტორი ყველაფერს გააკეთებდა, რომ სეიფი ჩუმად გაეხსნა. ამიტომაც მარინეს არ უნდა გამოჰპარვოდა, კაბინეტში თუ უცხო ვინმე შევიდოდა. გადამცემის ჩართვისა და მიმღებ მაგნიტოფონზე საუბრის ჩაწერის ხელოვნებას დირექტორის მდივანი უკვე მშვენივრად ფლობდა. სეიფის გახსნა მანამდე ვერ უნდა მოეხერხებინა ოთარ კახიშვილს, სანამ გაზაფხულზე რამაზ კორინთელი მოსკოვში არ წარადგენდა თავის ახალ გამოკვლევას.

ხომ შეიძლებოდა ელდანაცემ კახიშვილს ამროვნების უნარი დაჰპარგვოდა და ნაადრევად აეტეხა აურზაური. შემდეგ ოთარ კახიშვილს თუნდაც ოფიციალურად

დაემონმებინა ახალგაზრდა მეცნიერისთვის ნაშრომის მითვისება, მაინც აღარაფერი გამოუვიდოდა, თანაც წინასწარ შექმნილი დოკუმენტის თავის სიტყვას იტყოდა.

რამაზ კორინთელს სჯეროდა, რომ ინსტიტუტის დირექტორს გაცოფებისაგან შეიძლებოდა გული გახეთქოდა, მაგრამ ჩივილს მაინც ვერ გაბედავდა. იმას კი მიხვდებოდა, რომ თვითონ ამ საქმიდან სუფთად ვერ გამოძვრებოდა და მოტყუებული შეთქმულის როლში აღმოჩნდებოდა.

\* \* \*

- მეშინია, რამაზ!

- რისი გეშინია? - სივრცეს გაუღიმა კორინთელმა.

- ვაითუ, არ გიყვარვარ?

კორინთელი ქალისკენ შებრუნდა და გულში ჩაიკრა.

- ნუთუ გაძლევ ეჭვის საფუძველს?

- არა, მაგრამ მაინც მეშინია.

- დანებე თავი სულელურ ფიქრს!

- მე უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია. რომ მიმატოვო, იცოდე თავს მოვიკლავ. არ იფიქრო, გაშინებდე. ასე ნუ გამიგებ. უბრალოდ, მინდა იცოდე, რომ უშენოდ ერთი დღეც ვერ გავძლებ!

- რა დაგემართა? იქნებ შემატყვე რამე? - კორინთელმა ქალს მხრებზე ხელი მოჰკიდა, გვერდზე მისწია და თვალეში ჩახედდა.

- როცა შენთან ვარ, არ მეშინია. ნახვალ და... ნახვალ და იმავე წუთში ეჭვები მღრღინან გულს.

ვაუმა პასუხად გაიცინა.

- სისულელეს თავი დაანებე. კიდევ როგორ დაგიმტკიცო, რომ მიყვარხარ?

„ვეთხრა ყველაფერი? - ვერ გადაენწყვიტა მარინეს, - რატომ არ გამაცნო თუნდაც ერთი თავისი მეგობარი? რატომ ცდილობს ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩეს ჩვენი სიყვარული? ან რატომ არ უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს საერთოდ? მუდამ ასე უნდა ვიყოთ? მუდამ ასე შიშით უნდა იპარებოდეს ჩემს ბინაში? იქნებ მხოლოდ მანამდე ვჭირდები, სანამ დირექტორის კაბინეტში შემდგარი საუბრებია მაგნიტოფირზე ჩასანერი? იქნებ მხოლოდ ამიტომ დამიახლოვდა?“

მარინემ ვაუს ისევ მკერდზე დაადო თავი.

„მაგრამ რატომ მეჩვენება, რომ არ ვუყვარვარ? განა შეუძლია კაცს, არ უყვარდე და ასე გეფეროს? იქნებ მე ვარ სიყვარულით დაბრმავებული და ვერ ვამჩნევ, რომ მისი სიყვარული ყალბია, ხოლო მისი სიტყვები მტკნარი ტყუილი?“

მარინემ არ იცოდა და ვერც მიხვდებოდა, რამაზ კორინთელი მართლაც როგორ ცდილობდა მის შეყვარებას. უფრო მეტიც, თავის თავს არწმუნებდა, რომ მარინე უყვარდა. სჯეროდა, რომ მარინეს სიყვარული გააქარწყლებდა იმ გრძნობას, ინგას მიმართ რომ ჰქონდა. ყოველდღე მარინემე ფიქრობდა. უფრო ზუსტად, ცდილობდა მარინემე ეფიქრა, ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ უიმისოდ ვერ სძლებდა. ცდას

არ აკლებდა, რომ ილუზია სინამდვილედ ექცია. ხშირად მიზანსაც აღწევდა. იყო წუთები და საათებიც კი, როცა გულწრფელად სჯეროდა, რომ მარინე უყვარდა, ატაცებული ზეიმობდა, რომ ინგა დაივიწყა, მაგრამ გულზე უცებ ყინულის თხელი ფენა შემოევკვრებოდა, თვალსა და ხელს შუა რომ სქელდებოდა და დამზრალ გულს საძრაობას არ აძლევდა. თვალწინ კვლავ ინგას ნაბი, უმანვო სახე დაუდგებოდა და საბოლოოდ ჰკარგავდა იმედს, რომ დის მიმართ ძარღვებში გამჯდარ გრძნობას ვერაფრით ვერ მოერეოდა. სულ ეშინოდა, სიტყვა „სიყვარული“ არ გაეფიქრებინა. ცდილობდა, თავისი ვნებათაღელვისათვის მხოლოდ „გრძნობები“ დაერქმია.

აბა, მარინე რას მიხვდებოდა, ჭაბუკი რა ცეცხლშიც იწვოდა. რა ბედნიერი იქნებოდა რამაზ კორინთელი, მარინე რომ მართლა ჰყვარებოდა.

აი ახლაც, თვალებს უკოცნიდა ახალგაზრდა ქალს, მაგრამ ფიქრით კვლავ ინგასთან იყო. მარინეს გულში ივრავდა, ეშინოდა, თვალეებში არ შემხედოს და არ მიხვდეს, ჩემს არსებაში რა ცეცხლი ტრიალებსო. მერე შემფოთებული თვალეებს ხუჭავდა და მარინეს გამშაგებული ჰკოცნიდა. უნდოდა ინგაზე ფიქრი თავიდან ამოეგდო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, სამწუხაროდ, მარინე არ იყო ის ქალი, ინგას რომ დაავიწყებდა.



## თავი მეჩვიდმეტე

მაკა ლანდიამ აუდიტორიაში შესვლისთანავე მიიქცია ხალხის ყურადღება. დანიშნულ დროზე მთელი თხუთმეტი წუთით ადრე მივიდა, მაგრამ ამფითეატრის ტიპის აუდიტორია უკვე ხალხით იყო სავსე. წინა რიგში ძირითადად მელოტი, ჭადარა და სათვალეიანი მეცნიერები ისხდნენ. ახალგაზრდებს უკანა რიგები დაეკავებინათ. აუდიტორიაში უჩვეულო დუმილი იდგა, რაღაც სენსაციურის, გაუგონარის მოლოდინის დუმილი.

მაკა ლანდიამ აუდიტორიაში შესვლისთანავე იგრძნო ორასი წყვილი თვალი როგორ დაეჯახა. ცნობისმოყვარე თვალებიდან წამოსულმა სხივებმა ისე დაუჩხვლიტა ტანი, თითქოს პლაჟზე ყოფილიყოს მცხუნვარე მზის ქვეშ წამოწოლილი.

არაფერი შეიმჩნია, ნელი ნაბიჯით განაგრძო სვლა და თან აუდიტორია მოათვალიერა, ცარიელი ადგილი ხომ არსად არისო.

მაკა მაღალი, სიფრიფანა და ჰეროვანი ქალიშვილი იყო. გამხდარი არ ეთქმოდა, იმდენად რელიეფური მკერდი და თეძოები ჰქონდა. მოძრაობის პლასტიკა, ოდნავ უპროპორციო, მოგრძო სახე, ფერფლისფერი ჩამოშლილი თმა და საოცრად მეტყველი თვალეები უცხოურ იერს აძლევდა.

წინა რიგში რომელიღაც მეცნიერმა იცნო ერთი ძალზე გავლენიანი თანამდებობის პირის, გიორგი ლანდიას, ქალიშვილი. უმაღვე წამოდგა, შეეგება და თავისი სკამი შესთავაზა.

- დიდი მადლობა, ნუ ნუხდებით, მე სადმე ზემოთ დავჯდები! - თავაზიანად თქვა უარი მაკამ.

- როგორ გეკადრებათ, აგერ დაბრძანდით!

- გულწრფელად გეუბნებით, არ მსურს წინ დაჯდომა. ტელევიზიიდან გამომგზავნეს. გაცილებით მირჩევნია, მაღლა დავჯდე. იქიდან უფრო გამიადვილდება, აღვიქვა მთელი აუდიტორია და ნათლად წარმოვიდგინო გადაცემის სცენარი.

- კი, ბატონო. იყოს ნება თქვენი, ოღონდ აგაცილებთ.

ხანში შესული მეცნიერი მაღლა აუძღვა მაკა ლანდიას. ბოლოს წინა რიგში რომელიღაც თავის სტუდენტს ანიშნა, სტუმარს ადგილი დაუთმო.

- დიდი მადლობა, მაპატიეთ, რომ შეგანუხეთ! - თქვა მაკა ლანდიამ და ხანში შესულ მეცნიერს ხელი ჩამოართვა. მერე მადლობის ნიშნად იმ სტუდენტ ბიჭს გახედა, ადგილი რომ დაუთმო.

ოცდაორი წლის ქალიშვილი მაინც ოცდაორი წლის ქალიშვილია და, ბუნებრივია, ესამოვნა, ამოდენა აუდიტორიის ცხოველი ინტერესი რომ გამოიწვია. თუმცა გულში მწარედ ნანობდა, ვიღაც ვუნდერკინდის დიპლომის დაცვაზე რომ მოვიდა. მაკა ლანდიას არც ის ხიბლავდა, ახალგაზრდა მეცნიერს რომ სამი კურსი ექვს თვეში დაუხურავს, ხოლო სადიპლომო ნაშრომში პირდაპირ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს რომ ანიჭებდნენ.

ტელეფილმების სტუდიის სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილეს და თვითონ ახალგაზრდა სცენარისტს, მუსიკა, მხატვრობა და ლიტერატურა უფრო იტაცებდა, ვიდრე ფიზიკა და მათემატიკა.

რა უნდა ექნა, კომიტეტის თავჯდომარემ ისეთი დიდის ამბით მისცა დავალება, უარი ვეღარ თქვა.

კომიტეტის თავჯდომარე ირაკლი ლომიძე სამოცს გადაცილებული სიმპათიური

სათვალისწინებელი კაცია შუა კაბინეტში შეეგება ოცდაორი წლის თანამშრომელს, გრძელ მაგიდასთან სკამი თვითონვე გამოუწია და ხელით ანიშნა, აქ დაბრძანდითო.

- ერთი დიდი და, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი დავალება უნდა მოგცეთ. მნიშვნელოვანი და საინტერესო! სცენარი უნდა დაწეროთ ერთნაწილიანი დოკუმენტური ტელეფილმისათვის. წინასწარ შემოძლია გითხრათ, რომ ტელეფილმის ობიექტი ძალიან დაგაინტერესებთ.

მაკა ლანდია მორჩილი ღიმილით მისჩერებოდა კომიტეტის თავმჯდომარეს.

- დღეს თბილისის მეცნიერული სამყარო მხოლოდ ერთ ახალგაზრდა კაცზე ლაპარაკობს, ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლის რამაზ კორინთელზე. წარსულში იგი მხოლოდ ხულიგნური საქციელით და სიბარბაცით გამოირჩეოდა, სწავლობდა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელ ფაკულტეტზე, მუშაობდა თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში, სადაც მიიღო მძიმე ტრავმა. თავში მოხვდა ხიდური ამწის კავი. ჭაბუკმა მთლიანად დაკარგა მეხსიერება. ექიმებს აღარც კი ჰქონდათ იმედი მისი გადარჩენისა. და თუ მაინც გადარჩებოდა, არავის ეგონა, თუ გონება დაუბრუნდებოდა. მოხდა საოცრება, ტრავმის შემდეგ სულ რამდენიმე თვეში ხურავს სამ კურსს, ამთავრებს უნივერსიტეტს და იცავს სადიპლომო შრომას, რომელშიც ჰირდაპირ ანიჭებენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს. როგორ მოგწონთ? - კომიტეტის თავმჯდომარეს აღტაცებისაგან თვალელები ისე სასაცილოდ უბრწყინავდა, მაკა ლანდიამ ღიმილი ვერ შეიკავა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ღიმილი თანხმობის გამოხატულებად მიიღო.

- აბა თქვენ იცით, მე მწამს თქვენი ნიჭისა და ენერჯისა!

იმდენად აღტაცებული იყო ირაკლი ლომიძე, მაკამ უარის თქმა ვეღარ გაუბედა. ნაბ,

პოეტური ბუნების ქალიშვილს არ იტაცებდა მეცნიერება და ტექნიკა. არ აინტერესებდა ფიზიკოსთა თუ მათემატიკოსთა პიროვნებანი. ყოველთვის თვლიდა, რომ ისინი ეროვნულ ხასიათს მოკლებული ხალხი არიან. აქედან გამომდინარე, ემოციებისგან დაცლილნი და უინტერესონი.

ვერც ვიღაც ვუნდერკინდის თავბრუდამხვევმა წარმატებებმა გააკვირვა. ორმოცდაათ წელს გადაცილებულ რამდენიმე ისეთ კაცს იცნობდა, რომლებიც თურმე ბავშვობაში მეცნიერების ამომავალ ვარსკვლავებად ითვლებოდნენ. მერე გადიოდა წლები და ისინი იმავე დონეზე დარჩენილან, ერთი ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ.

რამაზ კორინთელი პირველი დანახვისთანავე მოეწონა მაკას. ქალიშვილს ინტუიციამ უკარნახა, ეს მაღალი, ათლეტური, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი, ოდნავ კეხიანი ცხვირი და მოგრძო ნიკაპი მის სახეს ენერგიულ გამომეტყველებას რომ აძლევდა, ცალმხრივად განვითარებული კოლეგებისაგან განსხვავებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. სახის შესამჩნევად სტატიურ, ოდნავ უინტელექტო გამომეტყველებას ლაპარაკის მანერა, ფრაზის მოქნილობა და ადვილად შესაგრძობი შინაგანი ტემპერამენტი იმდენად შეუმჩნეველს ხდიდა, რომ მთლიანობაში რამაზ კორინთელი ინტელექტუალურ, სიცოცხლით და ემოციებით სავსე ჭაბუკად აღიქმებოდა.

მაკა ლანდიას არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ახალგაზრდა ფიზიკოსი. ვერც სხვა მეცნიერების გამოსვლებიდან გაიგო რამე. ერთს კი მიხვდა, ჭაბუკი რაღაც მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენაზე ლაპარაკობდა. დანარჩენები გულწრფელად იზიარებდნენ ამ აღმოჩენის მნიშვნელობას და ერთსულოვნად მოითხოვდნენ რამაზ კორინთელისათვის პირდაპირ მიენიჭებინათ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. გონებაში ჩარჩა მხოლოდ რამდენიმე ფრაზა, რომლებსაც თითქმის ყველა გამომსვლელი იმეორებდა: „იმპულსური რენტგენული გამოსხივება“, „მთავარი ვარსკვლავის მასის ლტოლვა ნეიტრონული ვარსკვლავისაკენ“, „თერმული რენტგენული გამოსხივება“, „ნეიტრონული ვარსკვლავის სავარაუდო მაგნიტური ველი“. და კიდევ

რამდენიმე წინადადება, რომელთა შინაარსს ალბათ მთელი სიციცხლის მანძილზე ვერ გაიგებდა, ვერ ჩასწვდებოდა, და, გულახდილად რომ ვთქვათ, არც არავითარი სურვილი ჰქონდა ჩანვლომისა.

დიპლომის დაცვა დასასრულს უახლოვდებოდა. მაკა ლანდიამ ახლადა შენიშნა, რომ საგამოცდო კომისიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრებთან ერთად ოდნავ შემადლებულ, ნახევრად წრიულ სცენაზე უნივერსიტეტის რექტორიც იმყოფებოდა.

- კიდევ ხომ არავის ეწნება შეკითხვა? - ფეხზე წამოდგა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და აუდიტორიას თვალი მოავლო. იგი მხოლოდ წინა სამ რიგში მსხდომთ მიმართავდა. დანარჩენთაგან შეკითხვას არც ელოდა.

- შეიძლება? - წამოდგა ფეხზე დაბალი, უღვაშებიანი მსუქანი კაცი.

რამაზ კორინთელმა იცნო უნივერსიტეტის დოცენტი მაკარ ბოჭორიშვილი, ასტროფიზიკის ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი, ათი წლის წინ რომ გაადგეს ინსტიტუტიდან ინტრიგანობისათვის.

მიხვდა, სასიკეთოს იგი არაფერს იტყოდა.

- მე მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ რამაზ მიხეილის ძე კორინთელის სადიპლომო შრომა ნამდვილად იმსახურებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, - თქვა მაკარ ბოჭორიშვილმა და სანახევროდ უღვაშებში შემალული ღიმილით სამეცნიერო საბჭოს წევრებს მოავლო თვალი, - თუ ჩემი მოსაზრების აღნუსხვა უკვე მოასწარით ოქმში, მაშინ შევეცდები ჩამოვაცალიბო ჩემი შეკითხვა. ძვირფასო მეგობრებო, მე რამაზ კორინთელს მეორე კურსზე ვუკითხავდი ელექტრობას. მართალია, იგი დაუსწრებელი სწავლებისათვის გამოყოფილ მცირეოდენ საათებზეც არ დადიოდა, მაგრამ თუ გამოჩნდებოდა, თავისი საქციელით და ცოდნით ვერ ბრწყინავდა

მინცდამინც. გამოცდებზე ხომ, შეიძლება თამამად ითქვას, სამადლოდ ვუნერდით სამიანებს.

ბოგმა ხმამაღლა გაიცინა, ვიღაცეებმა დაუსტვინეს კიდეც.

- სინყნარე! - წამოდგა ფეხზე თავმჯდომარე.

მაკარ ბოჭორიშვილი უკან არც შებრუნებულა, სქელ უღვაშებში შემალული ღიმილი ნელ-ნელა ჩამოცვივდა, დაპატარავდა და ბოლოს სულ გაქრა. სახეზე როგორც პატარა, მრგვალ სადემონსტრაციო პლაკატზე, ისე ეწერა მსხვილი ასოებით, ხედავთ, რა ხალხის ხელში ვართო!

აუდიტორია თანდათან დანყნარდა.

თავმჯდომარემ ბოჭორიშვილს ანიშნა, განაგრძეო.

- დიხ, ამხანაგი რამაზ კორინთელი ერთი ჩვეულებრივი (ვედარ გაბედა, გონებაშებლუდული) სტუდენტი იყო. რა მოხდა მერე? რას მივანეროთ საოცარი, გაუგონარი მეტამორფოზა? პატივცემული რამაზ, იქნებ, თქვენ აგვიხსნათ, როდის მოასწარით ენების სწავლა, როდის დაეუფლეთ ფიზიკისა და ასტრონომიის ურთულეს პრობლემებს ასე ღრმად, საფუძვლიანად და შემოქმედებითად? როდის მოასწარით ამ უჩვეულო და თავსატეხი პრობლემის გამოკვლევა, გადაჭრა და მშვენიერი მეცნიერული ლოგიკით ჩამოყალიბება?

დარბაზში სიჩუმე ჩამონვა. თითქოს ყველა ადგილზე გაქვავდა, წამწამებსაც არავინ ახამხამებდა. აშკარა იყო, რამაზ კორინთელის უცნაური და ელვისებური სამეცნიერო კარიერა ყველას ძალზე აინტერესებდა.

რამაზ კორინთელმა თავის ცხოვრებაში მეორედ გაიგონა სიჩუმის ხმა.

- პატივცემული თავმჯდომარე, პატივცემული საბჭოს წევრებო, - დაიწყო ღიმილით ახალგაზრდა მეცნიერმა - როგორც ხედავთ, მეცნიერული კამათი თანდათანობით ინტერვიუში გადაიზარდა.

ყველას გაეცინა.

ზოგიერთებმა ტაშიც შემოკრეს.

თავმჯდომარე უმაღლვე ფეხზე წამოიჭრა და აუდიტორიას ხელით ანიშნა, დაწყნარდითო.

„რა კეთილი ღიმილი აქვს!“ - გაიფიქრა მაკამ.

„კეთილი და დიდსულოვანი!“ - დააზუსტა იქვე. ქალიშვილმა იგრძნო, სხვებთან ერთად თვითონაც მოუთმენლად ელოდა რამაზ კორინთელის პასუხს.

- პატივცემული თავმჯდომარე თუ მიზანშეწონილად ჩათვლის ჟანრის მონაცვლეობას, დიდი სიამოვნებით ვუპასუხებ ბატონ მაკარ ბოჭორიშვილს.

- ბრძანეთ! - დაუქნია თავი კომისიის თავმჯდომარემ.

რამაზ კორინთელმა თვალი შეავლო ყურადღებად ქცეულ უნივერსიტეტის რექტორს, კომისიის წევრთა დაძაბულ სახეებს, აუდიტორიის მოლოდინით სახვე გამოხედვას. ბოლოს, მეორე რიგში მჯდომი ზურაბ თორაძე მონახა, თვალი ჩაუკრა და მაკარ ბოჭორიშვილს მიუბრუნდა:

- ბატონო მაკარ, თქვენი შეკითხვა ამ აუდიტორიაში ალბათ ბევრს უნდოდა მოეცა ჩემთვის. განსაკუთრებით მათ, ვინც ადრე მიცნობდნენ. მოდით, ჩემი ცხოვრება გავყოთ ორ ნაწილად, ტრავმამდე და ტრავმის შემდეგ. ტრავმამდე, როგორც თქვენ ბრძანეთ, მე

ერთი უხეირო და ზარმაცი სტუდენტი ვიყავი, თანაც ხულიგანი. ბუნებრივია, გაცეხული იქნებით, რამ გამაბეჯითა და გამანიჭიერა ტრავმის შემდეგ. აი აქ, მეორე რიგში მის ჩემი მკერნალი და გადამრჩენი ექიმი, სახელოვანი პროფესორი ზურაბ თორაძე.

აუდიტორია აჩოქოლდა, უკანა რიგებში ახალგაზრდები ფეხზე წამოდგნენ, რომ რესპუბლიკაში უდიდესი საავადმყოფოს მთავარი ექიმისათვის თვალი მოეკრათ.

სიამოვნებით და მადლიერებით აღსავსე ზურაბ თორაძე წამიერად ფეხზე წამოიმართა, აუდიტორიას თავი მორიდებით დაუკრა და ისევ დაჯდა.

- დიახ, ბატონო მაკარ! ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი გვეკითხა დიდად პატივცემული მთავარი ექიმისათვის ჩემი სასიკეთო მეტამორფოზის მიზეზები? იქნებ, მართლაც ჯადოსნურად მოქმედებს ადამიანზე ხიდური ამწის ასკილოიანი კავის თავში ძველება? იქნებ უძლიერესი დარტყმისაგან ტვინის უჯრედები ჯერ კარგავენ ამროვნების უნარს, შემდეგ კი უცებ იძენენ გენიოსის თვისებებს?

დარბაზს ისევ გადაუარა სიცილის ტალღამ, ალაგ-ალაგ ისევ გაისმა ტაში.

- დიახ, პატივცემულო საზოგადოებავ, ბევრს აოცებს ზარმაცი და ხულიგანი სტუდენტის რამაზ კორინთელის საოცარი ფერისცვალება. მინდა მოგახსენოთ, რომ რამაზ კორინთელი არასდროს არ ყოფილა ზარმაცი, სუსტი და ხულიგანი სტუდენტი. იგი დღეში თორმეტ საათს მუშაობდა, ენებს ეუფლებოდა, საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ ყველა საჭირო დისციპლინას ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებოდა. თითო-ოროლა წამდვილი ლექტორის წინაშე ბოდიში მინდა მოვიხადო, მაგრამ სუსტნი ისინი იყვნენ, ვინც რამაზ კორინთელს ჯერ ასწავლიდნენ, შემდეგ კი გამოცდებს იბარებდნენ. არ მინდოდა ჩემი თავისთვის მეკადრებინა, რომ მათ წინაშე მორჩილად დავმდგარიყავი და გამოცდები მთელი სერიოზულობით ჩამებარებინა. ისინი არც განათლებით, არც ნიჭით, არც ადამიანური



თვისებებით არ იდგნენ ჩემზე მაღლა. მე კი მათთვის ჩემი ცოდნა მთელი სერიოზულობით უნდა დამემტკიცებინა. თქვენ შეგიძლიათ დამძრახოთ, უღირსად ჩათვალოთ ჩემი საქციელი, მაგრამ მინდა გულახდილი ვიყო. თუნდაც იმიტომ, რომ ვიცი, ალბათ კიდევ ბევრჯერ დაიბადება ანალოგიური შეკითხვის სურვილი. მე მათ დავცინოდი, ვამასხარავებდი. არ დაგიმაღავთ, სადისტური სიამოვნებით ველოდებოდი, როცა, ერთ მშვენიერ დღეს, შოკირებულები შეიტყობდნენ, სინამდვილეში ვინ ვიყავი. იქნებ ჩემი გამომწვევი, ცოტა ბოროტი საქციელი თბლობაში გაბრდილი ბიჭის პროტესტიც იყო, ერთი პატარა დის გარდა ამ ქვეყანაზე რომ არავინ ჰყავდა. ტრავმის შემდეგ მართლაც მოხდა ჩემს არსებაში დიდი ცვლილება. მე თვალებში ჩახედე სიკვდილს. მასთან ჭიდილმა ერთბაშად მომიმატა წლები, ერთბაშად შეცვალა ჩემი შეხედულებანი. იმდენად უმწეოა ადამიანი სიკვდილის წინაშე, არა აქვს უფლება იყოს ცოცხალი და არ იყოს კეთილშობილი, ღირსეული, დიდსულოვანი პიროვნება. როცა დავრწმუნდი, რომ გადავრჩი, საფუძვლიანად გავაანალიზე ჩემი ხანმოკლე ცხოვრება. შემრცხვა ჩემი ახალგაზრდული პროტესტანტობისა, ცინიზმისა. სიკვდილთან თამაშით ნაადრევად დაბრძანებულმა იოლად ვძლიე ახალგაზრდულ ავადმყოფობას. ერთი სიტყვით, მინდა გული გავუტეხო სენსაციების მოყვარულთ. რამაზ კორინთელის არსებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მან, უბრალოდ, შეიცვალა ცხოვრებისეული პოზიცია.

კორინთელი თავმჯდომარეს მიუბრუნდა და ანიშნა, მოვრჩი, მეტი სათქმელი არაფერი მაქვსო. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ დიდხანს ვერ დაანწყნარა აუდიტორია. ახალგაზრდა ფიზიკოსის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგან კამათიც გაჩაღდა. ვისთვის ნათელი გახდა რამაზ კორინთელის პიროვნება, ვისთვის კიდევ უფრო გაეხვია ბურუსში მისი დიდი განათლებისა და მეცნიერული ალღოს უეცარი გამომჟღავნების საიდუმლო.

უნივერსიტეტის რექტორი იძულებული გახდა ფეხზე წამომდგარიყო. ხმაურმა ნელ-ნელა იკლო და ბოლოს სულ მიწყდა.

- ძვირფასო მეგობრებო! - დაინყო თავმჯდომარემ - ნელან კომისიის ყველა წევრმა, და მათ შორის მეც, უკვე გამოვთქვით ჩვენი მოსაზრებანი რამაზ კორინთელის სადიპლომო ნაშრომის თაობაზე...

მაკა ლანდია ფიქრმა გაიტაცა. ახალგაზრდა დიპლომანტის გამოსვლამ ქალიშვილზე მართლაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. საოცარი და შემადრწუნებელი. გაბნეული კუბიკებით ხედავდა რამაზ კორინთელის ხან კეთილ, ხან კი ტუჩებზე ულვაშებით აწვეპილ ირონიულ ღიმილს, ხან ალალ, გულდია, ხან კი გესლიან სიცილს, ხან მამაკაცური სათნოებით აღსავსე, ხან კი ბოროტად წამონთებულ თვალებს, ხან ხელის დახვეწილ, მშვიდ მოძრაობას, ხან კი თითქოს მუქარით მუშტების ქნევას, ხან ინტელექტით, აზროვნებით სავსე სახეს, ხან კი პრიმიტიულ, ხულიგნურ იერს.

ცდილობდა, ამ კუბიკებისაგან ერთი მთლიანი, მოაზროვნე, კეთილი რამაზ კორინთელი აეწყო. არ გამოსდიოდა. ხან კეთილ ღიმილს ვერ პოულობდა, ხან მამაკაცური სათნოებით სავსე თვალებს.

ბოლოს ბავშვით მოთმინებიდან გამოსულმა კუბიკებს ხელი გაჰკრა და იატაკზე გააბნია. ვერ გაიგო, თავმჯდომარემ სიტყვა როდის დაამთავრა და ხალხი როდის წამოიშალა.

ერთბაშად იგრძნო, ჰაერი არ ჰყოფნიდა. ერთი სული ჰქონდა, ქუჩაში როდის გავიდოდა. ამფითეატრიდან დაბლა რომ ჩავიდა, ერთხელ კიდეც მოჰკრა თვალი რამაზ კორინთელს. ხალხის შუაგულში მოქცეული ახალგაზრდა დიპლომანტი მილოცვებს იღებდა.

ქალიშვილს არ მოეწონა ახალგაზრდა ფიზიკოსის სიხარულით გაბრწყინებული სახე. მაკა ლანდიას აზრით, ისეთი ნიჭისა და რანგის ახალგაზრდისათვის, როგორც რამაზ კორინთელი იყო, დიპლომის უზარმაზარი წარმატებით დაცვას არ უნდა მიენიჭებინა ამოდენა სიხარული.

მაკა ლანდია შეცბა. ლოყები აუფაკლდა, საკუთარი თავისა შერცხვა. თავიდან სკეპტიკურად განწყობილმა ქალიშვილმა აშკარად აღიარა ჭაბუკის დიდი ტალანტი.

უნივერსიტეტის რექტორმა პირველმა მიულოცა რამაზ კორინთელს. თან აღუთქვა, ჩვენს შუამდგომლობას თქვენთვის კანდიდატის ხარისხის მისანიჭებლად თავს ერთ კვირაში მოვაბამთო.

ახალგაზრდა დიპლომანტმა ყველას გადაუხადა მოკრძალებული მადლობა.

სულ ბოლოს მაკარ ბოჭორიშვილმა ჩამოართვა ხელი.

- ხომ არ გენყინათ, ყმანვილო.

- რატომ უნდა მწყენოდა?! თქვენ მოიქციეთ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყავით.

- თქვენ არ იცით, ყმანვილო...

- მე ბევრი რამ ვიცი, ბატონო მაკარ, ისიც ვიცი, აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ თავის კაბინეტში რომ დაგიბარათ ამ ათი წლის წინ და თქვენი დაწერილი ანონიმური წერილები რომ დაგახვეწინათ. ხომ არ გგონიათ, თქვენი კაიკაცობის გამომხატველი ყველა დოკუმენტი მოსპვთ? ორი წერილი, ბოღმით და შხამით გამორჩეულად რომ იყო სავსე, ყოველი შემთხვევისათვის დავით გიორგაძემ სეიფში შეინახა, იმ სეიფში, რომელსაც მომავალი წლის ოქტომბერში გახსნიან.

თითქოს ვიღაცამ თავზე საღებავი გადაასხათ, მაკარ ბოჭორიშვილს მწვანე ფერი შუბლიდან და საფეთქლებიდან ნელ-ნელა ლოყებზე ჩამოედვარა.

- კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დოცენტო!

\* \* \*

- არ მეგონა, დღეს თუ დავლევდი! - რამამ კორინთელმა არყით სავსე ჭიქა ერთბაშად გამოსცალა.

- ზამთარში მაინც კარგია ეს დალოცვილი! - თქვა ზურაბ თორაძემ და თვითონაც გაამშრალა ჭიქა. მერე ოფიციანტს გასძახა, შამპანური მოიტანეო.

- შამპანური რად გინდათ? - ჰკითხა კორინთელმა.

- თქვენი წარმატების სადღეგრძელო უნდა დავლიო, არყით ხომ არ გადღეგრძელებთ!

კორინთელმა მწარედ ჩაიციხა.

- რა გაცინებთ? დადგება დრო და ჩვენზე მთელი პლანეტა ალაპარაკდება.

- თქვენზე კი, ალბათ ჩემზეც, მაგრამ არა მაქვს გარანტია, რომ საერთაშორისო კლასის აფერისტად არ გამომაცხადებენ.

- რატომ? - გულწრფელად გაუკვირდა ზურაბ თორაძეს.

- რაც დღეს მოხდა, განა აფიორა არ იყო? რაც დღეს ჩავიდინე, ჰგავდა პატიოსანი კაცის, თანაც მეცნიერის, აკადემიკოსის საქციელს?

- ვერ დაგეთანხმებით. თუ მოვლენებს ასე მივუდევით, ყველაფერი გაბითურდება, ყველა ჭეშმარიტი ღირებულება გაუფასურდება, არარაობად იქცევა! - ჩვეული მაღალი ტონალობით წარმოთქვა ზურაბ თორაძემ.

- მოდით, შევეშვათ ფილოსოფიურ ლაპარაკს. თქვენ კარგი ექიმი ხართ, ფილოსოფია და განსჯა არაა თქვენი საქმე, ოღონდ ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ გულწრფელად.

- განა როდესმე შემნიშნეთ არაგულწრფელობა? - იწყინა ბურაბ თორაძემ.

რამაზ კორინთელმა ყურადღება არ მიაქცია მთავარი ექიმის საყვედურს.

- როცა მე მელაპარაკებით, ვის ელაპარაკებით?

- როგორ თუ ვის? - ვერ გაიგო შეკითხვა ბურაბ თორაძემ.

- დავით გიორგაძეს ელაპარაკებით, თუ რამაზ კორინთელს?

- რასაკვირველია, დავით გიორგაძეს!

- ოოო! - არ ესიამოვნა კორინთელს.

- რატომ იწყინეთ, განა სწორად არ ვიქცევი? განა თქვენ დავით გიორგაძე არა ხართ?

- მე რამაზ კორინთელი ვარ და მინდა მელაპარაკოთ, როგორც რამაზ კორინთელს. მე სიცოცხლით სავსე ჭაბუკი ვარ, ახლა რომ ვიწყებ ცხოვრებას, დიდ ცხოვრებას. მე ახლა მინდა სიყვარული და მეცნიერული გამარჯვებებით ტკბობა. ტანში მზარავს იმის განხენება, რომ ქალაქში ცხოვრობს სამოცდახუთს გადაშორებული ჭალარა, დაუძღურებული ქალი, რომელთანაც ოდესღაც სარეცელს ვიყოფდი!

- თქვენ არ ხუმრობთ? გულწრფელად გინდათ, როგორც რამაზ კორინთელს, ისე გელაპარაკოთ?

კორინთელი გაფითრდა. დარბაზში თითქოს ერთბაშად ჩამონვა სიბნელე და უზარმაზარ ეკრანზე უმაღვე მომღიმარე ინგა დაინახა. ქერა, ცისფერთვალეზა, ანგელოზივით წმინდა და სათნო. ტანზე თეთრი კაბა ეცვა და მზის შარავანდედში გახვეული ჰაეროვანი სხეული შენელებული კადრივით ნელა მოაბიჯებდა ცის ფიანდაზზე.

ღმერთო, რას არ მისცემდა რამაზ კორინთელი, რომ ინგას ძმა არ ყოფილიყო. მთელ სიცოცხლეს დათმობდა დაუფიქრებლად, ოღონდ ერთი დღე ჰქონოდა ინგა კორინთელის სიყვარულის უფლება!

- მაშ თქვენ არ ხუმრობთ? - გაიმეორე შეკითხვა მთავარმა ექიმმა, - გულწრფელად გინდათ, როგორც რამაზ კორინთელს, ისე გელაპარაკოთ?! თქვენი დღევანდელი სურვილი ჩემთვის ახალი აღმოჩენაა. მე მარტო ქირურგი როდი გახლავართ, მოვლენებისა და პროცესების განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები არანაკლებ საინტერესოა ჩემთვის.

უცებ კინოფირი განყდა. ეკრანზე აღარ მოჩანდა მზის შარავანდედში გახვეული ინგა, უწმინდესი და უსათნოესი ღიმილით რომ მოაბიჯებდა ციურ ფიანდაზზე. დარბაზში სინათლე აინთო. რამაზ კორინთელმა თავის წინ ისევ დაინახა მთავარი ექიმის საძულველი სახე, სიბნელიდან ისევ გამოიკვეთა რესტორნის დარბაზი და მაგიდებთან მსხდომი შემთვრალი ხალხი, ღრიანცელით რომ იღებდა იქაურობას.

თვალეზი რისხვით წამოენთო, სახეზე მოწოლილი ბოღმა და სიძულვილი, სადაც იყო, გაარღვევდა კაშხალს.

- მიფრთხილდი, ზერაბ თორაძე, - კბილებზეა გაცრა რამაზ კორინთელმა, - მიფრთხილდი, ცუდ გუნებაზე არსად გადაგეყარო, თორემ ღორივით გამოგჭრი ყელს!

რამაზ კორინთელი მოულოდნელად წამოდგა, შიშისაგან გამწვანებულ მთავარ ექიმს მუქარით ჩახედა თვალეზში და რესტორანი სასწრაფოდ დატოვა.

\* \* \*

რამაზ კორინთელმა ტელეფილმების სტუდიის სასცენარო განყოფილება მონახა, შემდეგ ასმეჩვიდმეტე ოთახი იოლად იპოვა და კარი ენერგიულად შეაღო.

ქოთნის ყვავილებით მორთულ ოთახში ერთადერთი მაგიდა იდგა. მაგიდას სრულიად ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი უკდა.

- მობრძანდით, ბატონო რამაზ! - ფეხზე წამოდგა ქალიშვილი და სტუმარს სკამზე მიუთითა, აქ დაბრძანდითო.

„ღმერთო, სად მინახავს ეს ქალიშვილი? - დაფიქრდა რამაზ კორინთელი. - თვითონ მიცნო. ალბათ სადღაც მყავს გაცნობილი...“

- გმადლობთ, მე მაკა ლანდია მინდა. - თქვა ისე, სხვათა შორის, - უფრო სწორად, მე კი არ მინდა, მას ვუნდივარ.

- მე გახლავართ მაკა ლანდია! - გაიღიმა ქალიშვილმა.

- თქვენ? - გაოცდა რამაზ კორინთელი.

„საიდან ვიცნობ, ან სად მინახავს? არადა ნამდვილად ვიცნობ“.

- დიახ, მე. რატომ გაგიკვირდათ.

- ასე ახალგაზრდა და უკვე სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილე?

- გაოცებული ვარ, რომ თქვენ ეს გიკვირთ. თქვენ, რომელმაც ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლის ასაკში მთელი საქართველო აალაპარაკეთ.

- მე სადიპლომო ნაშრომით მოვიპოვე სამეცნიერო ხარისხი და არა თანამდებობა. თქვენს ნიჭიერებაში სრულებითაც არ მეპარება ეჭვი, თუმცა არ ვიცნობ თქვენს შემოქმედებას. შეიძლება მოვწიო?

- მოსწიეთ.

რამაზ კორინთელმა ჯიბიდან „უინსტონი“ ამოიღო და ქალიშვილს გაუწოდა.

- ინებეთ.

- გმადლობთ, არ ვენწვი.

- უკაცრავად, მაშინ არც მე მოვწევ.

- მოსწიეთ, მიუხედავად ჩემი პატარა სტაჟისა, უკვე გადავეჩვიე მამაკაცთა თავაზიანობას.

- თქვენ გიორგი ლანდიას შვილი ხომ არ ბრძანდებით? - კორინთელმა სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაიღო.

- დიას!

- შოო, ყველაფერი გასაგებია!

- რა არის გასაგები?



- უბრალოდ, მიხვდით, როგორ დაგნიშნეს სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

- რატომ გგონიათ, რომ უკანონოდ დამნიშნეს?

- კიდევ ვიმეორებ, თქვენს ნიჭიერებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თანამდებობას გამოცდილებაც ხომ უნდა. რამდენი წლისა ხართ?

- ოცდაორი შემისრულდა.

- გამოდის, მუშაობა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაგინციათ. თანაც იმავე წუთში ტელეფილმების სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილედ დაგნიშნეს. გულზე ხელი დაიდეთ, თქვენამდე რამდენ ნიჭიერ და დამსახურებულ კაცს ერგებოდა მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობა, რამდენ კაცს გადაგახტუნეს თავზე? განა თქვენ თვითონვე არ იცით შესანიშნავად, მამათქვენი რომ იმოღვანა თანამდებობის პირი არ ყოფილიყო, რაიონში გაგანაწილებდნენ სამუშაოდ?

ქალიშვილს თვალები ცრემლებით ავესო. ფერფლისფრად შეღებულ თმაზე ხელი გადაისვა და გაღიმებას შეეცადა.

- მაპატიეთ, გული გატკინეთ. უნდა გამიგოთ. მე უპატრონოდ გაბრდილი კაცი ვარ, ერთი დის მეტი არავინ მყავს ამ ქვეყანაზე. ნუ გაგიკვირდებათ, თუ გელაპარაკებით იმ ნიჭიერი ხალხის სახელით, უპატრონობის გამო სიკვდილამდე ჩრდილში ყოფნა რომ უწერიათ.

მაკა ლანდია ხმას აღარ იღებდა. მაგიდას დასჩერებოდა და გრძელი, ლამაზი თითებით კალმისტარს აწვალებდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, დადგა დრო, ფეხზე წამომდგარიყო და სასტიკად

განაწყენებულ ქალიშვილს დამშვიდობებოდა. ერთბაშად ინანა თავისი საქციელი. იგრძნო, წასვლა აღარ უნდოდა, თუმც ვერ მიმხვდარიყო, ერთი შეხედვით არც თუ ძალიან ლამაზი, მაგრამ ეფექტური ქალიშვილი რით იზიდავდა. იქნებ ძალიან ღრმა, ჭკვიანი და ლამაზი თვალები? იქნებ გრძელი, ნატიფი თითები და ნაზი მკლავები? იქნებ გამოხედვა, ლაპარაკის ზომიერი მანერა, ან მომხიბვლელი ღიმილი? იქნებ ყველაფერი ერთად?

„მარინე ხომ უფრო ლამაზია, მაგრამ განა მის თვალებს ექნება როდესმე ასეთი სიღრმე?“

„ნეტავ, როგორი ფეხები აქვს, არ გამოვა მაგიდის აქეთ?“

„ინგა?“ - გაჰკრა უცებ გულში, - იმას შეედრება? არა, ინგა ერთადერთია ამ ქვეყანაზე. განა შეიძლება იგი ვინმეს შევადარო?“

„ღმერთო, რატომ დამსაჯე ასე. ინგა უნდა დავივიწყო. აუცილებლად უნდა დავივიწყო“, - რამაზ კორინთელს ერთბაშად მოეწამლა გუნება.

„და თუ მაინც არ დამავიწყდა? მაშინ? რა მეშველება მაშინ?“

„არის ერთადერთი გამოსავალი, ტყვია შუბლში!“

უცებ გონება გაუნათდა.

„აი, ვის შეუძლია დამიხსნას ინგასაგან! აი ვის შეუძლია დამავიწყოს საკუთარი დის გაუგონარი სიყვარული!“

ჩამონოლილი დუმილი მაკამ დაარღვია.

- არ მეგონა, თუ ჩვენი შეხვედრა ასეთი იქნებოდა.

- ბოდიში მინდა მოგიხადოთ. დამიჯერეთ, მერწმუნეთ, უნებურად გატკინეთ გული. უმორჩილესად გთხოვთ, დაივიწყოთ ცხოვრებით განაწყენებული კაცის სიტყვები.

- უბედურება ისაა, რომ თქვენ მართალი ბრძანდებით.

ქალიშვილის სახეზე გამოსახულმა მწარე ღიმილმა და სევდიანმა თვალებმა რამაზ კორინთელს საბოლოოდ ჩაუნერგა ხსნის იმედი. მიხვდა, მიუხედავად ახალგაზრდობისა, თითქმის ბავშვობისა, ამ გამოხედვის პატრონი ჩვეულებრივი, უბრალო ქალიშვილი არ იქნებოდა. როგორი ღრმა იყო მკაცს თვალები, როგორი შთამბეჭდავი და ტევადი იყო მისი გამოხედვა.

უნებურად შეადარა იმ გოგონებს, ვისთანაც აქამდე მეგობრობდა, პრიმიტიული სახის უკან ტვინი დამშრალი და დასილული ტბების ფსკერებს რომ მიუგავდათ.

- კიდევ ერთხელ გთხოვთ, მაპატიოთ.

- საპატიებელი არაფერი გაქვთ. სრული სიმართლე ბრძანეთ და მიხარია, რომ დამაფიქრეთ. მამაჩემის წყალობით ყველა მიფერებს. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამთავრებამდე საუკეთესო პირობები შემიქმნეს, რომ რამდენიმე გადაცემა მომეზმადებინა. თავისთავად გადაცემები არ იყო ურიგო, მაგრამ ჩემი ავტორიტეტის შექმნისათვის, ნიჭიერი სცენარისტის სახელის შექმნისათვის თავიდანვე იბრუნეს. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე რედაქტორად დამნიშნეს. შტატი მამაჩემმა გამოაყოფინა. სულ მალე მთავარი რედაქტორის მოადგილე პენსიაზე გაუშვეს, მის ადგილზე კი მე დამნიშნეს. თავდაპირველად მეუხერხულებოდა კიდევ, ასე სწრაფად რომ დამაწინაურეს. მერე თანდათანობით დავიჯერე, რომ ყველაფერს სამართლიანად და კანონიერად მივალწიე. ორი-სამი თვის შემდეგ აღარ მახსოვდა, რომ ერთი ჩემი

თანაკურსელი ვაჟი, ჩემზე გაცილებით ნიჭიერი, სადღაც რაიონული გაზეთის კორესპონდენტად გაუშვეს. აღარ მეუხერხულებოდა, რომ შტატი, რომელიც მე მოვიტანე, მამაჩემის წყალობა იყო. და რაკი შტატი მამაჩემმა გამოაყოფინა, მჯეროდა, ის თანამდებობა აუცილებლად მე უნდა დამეკავებინა. თუ ტელეფილმების სასცენარო განყოფილებას შტატი ეკუთვნოდა, მამაჩემის გარეშეც უნდა გამოეყოთ, ხოლო დირექტორის თანამდებობაზე ის უნდა დაენიშნათ, ვისაც მეტი დამსახურება, ნიჭი და გამოცდილება ჰქონდა. ვხედავ, როგორ უჭირს ახალგაზრდა ხალხს სცენარების დამტკიცება, მაშინ, როცა ჩემი სცენარის ქებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ჩემთვის ჯერ არავის უგრძობიანია, დაუმსახურებლად დაგანინაურესო, მაგრამ განა მაჰატიებდნენ, რომ მამის წყალობით ამოდენა ნახტომები გავაკეთე? სამწუხაროდ, მე თვითონ დავიჯერე ჩემი მოქმედების სამართლიანობა და ადამიანების თვალეში აზრების წაკითხვასაც გადავეჩვიე.

რამაზ კორინთელი თანდათან იხიბლებოდა. მიხვდა, მაკა ლანდია სულიერად წმინდა ადამიანი იყო, გულწრფელი და ჭკვიანი, სამართლიანი და კეთილი.

- ამაღამ ჩემებს მოველაპარაკები და ხვალვე დავწერ განცხადებას, რიგით რედაქტორად გადამიყვანონ.

- არავითარ შემთხვევაში! - აღშფოთდა უცებ კორინთელი.

- რატომ? - გაოცდა მაკა.

- მე არ მინდა ვიყო მიზეზი თქვენი სულელური ნაბიჯისა.

- არ ვიცი, რამდენად დელიკატურად გამოგივიდათ „სულელური ნაბიჯი“, მაგრამ მე ველარ გავიგე თქვენი პოზიცია?!

- გულწრფელად რომ გითხრათ, და, რატომღაც საშინელი სურვილი გამიჩნდა, თქვენთან გულწრფელი ვიყო, ჩემი აზრები ძალიან განსხვავდება ჩემი საქციელისაგან.

ქალიშვილმა დაბნეული მხერა მიაპყრო რამაზ კორინთელს.

- ჯერჯერობით ქართველი ხალხი და, ალბათ, საერთოდ, არცერთი ხალხი არ არის მზად შეაფასოს ადამიანთა კეთილშობილება.

მთავარი რედაქტორის მოადგილის კაბინეტში ვიღაც სათვალისანი ქალიშვილი შემოიჭრა. უცნობი ჭაბუკი რომ დაინახა, ბოდიში მოიხადა და სწრაფად უკანვე გაბრუნდა.

- დიას, - გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი რამაზ კორინთელმა, - კეთილშობილებისაკენ მოგვიწოდებენ ყველგან და ყველაფერში. კეთილშობილებას უმღერიან პოეტები და მწერლები. სინამდვილეში კი? იცით, რა ხდება სინამდვილეში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

რამაზ კორინთელს თვალები წამოენთო.

მაკა ლანდია თითქოს თანდათან გამოდიოდა ნისლიდან. დიპლომის დაცვის დღეს ხან მოსწონდა, ხან აღიზიანებდა რამაზ კორინთელი. მთელი საღამო და კიდევ ორი დღე ცდილობდა გარკვეულიყო თავის გრძნობებში. არაფერი გამოუვიდა. ახლა კი აშკარად მოეწონა ვაჟის გულწრფელი აღშფოთება, ანთებული თვალები და მოზღვავებული ტემპერამენტი.

- სინამდვილეში ვინ არიან ყველაზე მიჭყლეტილები? კეთილშობილი, მაღალი სულის, არისტოკრატიული ბუნების მქონე ადამიანები. სამწუხაროდ, იმ ადამიანებს ვცემთ მეტ პატივს, ვინც უნამუსოდ, უტიფრად მიიწვეს წინ დასახული მიზნისაკენ. რასაკვირველია, ძალზე გვაღიზიანებს მათი თავხედური საქციელი, გული სავსე გვაქვს ბოღმით და

ბიზლით, პატივს კი მაინც ვცემთ. თანაც მით უფრო მეტ პატივს ვცემთ, მეტი მოკრძალებით ვეცევით, რაც უფრო თავხედიან და უტიფარი. ერთი სიტყვით, ჩემო მაკა, ჯერ ჩვენ არ ვართ მომწიფებული ადამიანის კეთილშობილების დასაფასებლად. ნუ დანერტ განცხადებას. სამწუხაროდ, თქვენი მორალური გამირობისათვის ტაშის დამკვრელი არავინ გეყოლებათ! - რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა. - არ ვიცი, რატომ დამიძახეთ, მაგრამ დაახლოებით ვიცი, ტელევიზიაში ხალხს რისთვის ეძახიან. მე ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, დაფი და ნაღარა რომ დავკრათ და ერი რომ შევანუხოთ. გარდა ამისა, მე ჩემი ბუნებით არა ვარ სენსაციების მოყვარული კაცი.

- ბოდიშს გიხდით, რომ ტყუილად მოგიყვანეთ! - გაიღიმა მაკამ, თვითონაც ფეხზე წამოდგა და ვაჟისკენ წამოვიდა.

რამაზ კორინთელმა წამიერად მაინც მოახერხა, ქალიშვილის ფეხები შეეთვალიერებინა.

მაკა ლანდია თხელი და მაღალი ქალიშვილი იყო. უფრო მაღალიც კი აღმოჩნდა, ვიდრე კორინთელს თავიდან ეგონა. სიმაღლეში თითქმის ტოლს არ უდებდა. სქელი სვიტრის ქვეშ იგრძნობოდა ნაზი, გამხდარი ტანი, თუმცა მკერდი საკმაოდ ამობურცვოდა.

- პირიქით, ბოდიშს მე გიხდით, რომ მოლოდინი გაგიმტყუნეთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

- იცით, მე ვიყავი თქვენი დიპლომის, თუ დისერტაციის დაცვაზე. - თქვა პასუხად მაკამ.

რამაზ კორინთელს გონება ერთბაშად გაუნათდა.

- ვიცი, უკანასკნელის წინა რიგში იჯექით, განაპირას. ჩალისფერი კაბა გეცვათ და ჩალისფერივე სქელი ჯემპრი.

- მართლა შემამჩნიეთ?! - გაოცდა მაკა.

- განა ეჭვი გეპარებათ?
- ყველას სახე დაიმახსოვრეთ, ვინც იქ იყო?
- ყველასი, ვინც გამაღიზიანა, ან საინტერესოდ მომეჩვენა.
- ჩემმა სახემ რა ემოციები აღძრა თქვენში?
- ჯერ თქვენ მითხარით, მე როგორი შთაბეჭდილება დავტოვე?
- გულწრფელად გითხრათ?
- რასაკვირველია!
- ფიზიკისა არაფერი გამეგება. როგორც ადამიანი ვი, ნუ გენწყინებათ და, არ მომეწონეთ.
- ახლა?
- კიდევ უფრო განმიმტკიცდა ჩემი აზრი.
- გულწრფელობისათვის მადლობა მომიხსენებია!
- თქვენი რიგია პასუხისა. მე, მაკა ლანდია, დიდი მომავლისა და ფენომენალური ნიჭის პატრონ ახალგაზრდა მეცნიერს რა ნიშნით დავამახსოვრდი, საინტერესო პიროვნებად მოვეჩვენე თუ გავაღიზიანე?
- ნამდვილად საინტერესო პიროვნებად მომეჩვენეთ.

- აი ახლა, როცა ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ და უკვე შესანიშნავად იცით ჩემი აზრი თქვენს პიროვნებაზე, აზრი შეგეცვალათ თუ განგიმტკიცდათ?
- განმიმტკიცდა.
- გმადლობთ, ძალიან გამახარეთ, თუნდაც მამაკაცური თავაზიანობის და რაინდობის გამო იყოს ნათქვამი ეგ სიტყვა.
- სრულიად გულწრფელად მოგახსენეთ. მე არ მიყვარს ყალბი რაინდობა.
- დასაფასებელი თვისებაა. შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ?
- ბრძანეთ.
- წელან თვითონვე თქვით, რომ დაახლოებით იცოდით, აქ რისთვის მოდიოდით. ყოველ შემთხვევაში, თქვენს პარტიზუროს მდივანს ნათლად განვეუბარეთ, თქვენზე რომ დოკუმენტური ფილმის გადაღება გვსურდა.
- დიახ. მან დაახლოებით მიმახვედრა, რისთვისაც დამიბარეთ.
- გთხოვთ, გულახდილად მიპასუხოთ. ნამდვილად წინასწარ გქონდათ გადანყვეტილი უარი გეთქვათ ტელეფილმის გადაღებაზე, თუ ჩემმა ახალგაზრდობამ და გამოუცდელიობამ გადაგადგმევინათ ასეთი ნაბიჯი?
- ერთმაც და მეორემაც. უფრო სწორად კი, არც ერთმა და არც მეორემ! - რამაშ კორინთელს სახეზე ორაზროვანი ღიმილი წელა, მაგრამ საფუძვლიანად ჩამოუყალიბდა.
- სამწუხაროდ, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია! - სინანულით თქვა მაცამ და სტუმარს კარისკენ გაუძღვა.



- არაფერც არ არის თქვენთვის გასაგები!

- მაკა შემობრუნდა და შენიშნა, რომ რამაზ კორინთელი ადგილიდან არ დაძრულა.

- კიდევ გეუბნებით, მე არა ვარ ხმაურისა და სენსაციების მოყვარული კაცი, მაგრამ თქვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დავტოვებდი, ერთი რამის რომ არ მეშინოდეს.

- რისი გეშინიათ? - გამოცოცხლდა მაკა.

- გულახდილად გითხრათ?

- დიახ!

- მეშინია, რომ შემეყვარდებით.

ქალიშვილმა რამაზ კორინთელს თვალი თვალში გაუყარა. უნდოდა ჭაბუკის გამომეტყველებაში ამოეკითხა, ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა.

რამაზ კორინთელი გააკვირვა ქალიშვილის მკაცრმა გამოხედვამ.

- განა ასე საშიშია ჩემი შეყვარება?

- სწორად ვერ გამიგეთ. იქნებ თქვენთვის, ტელესცენარისტისათვის არ აღმოჩნდეს საინტერესო მეცნიერებაში, კერძოდ ფიზიკაში ჩაფლული ახალგაზრდა კაცი. მაშინ ჩემზე ტრაგიკული პიროვნება ქვეყანაზე არავინ იქნება. კარგად ბრძანდებოდეთ!

რამაზ კორინთელმა ოთახი სწრაფად გადაჭრა და კარი, ჩვეულებისამებრ, ენერგიულად გაიხურა.

\* \* \*

მაგიდის ერთ თავში მაკა იჯდა, მეორეში მამამისი, გიორგი ლანდია.

მაკა ჩუმად იყო, უჩვეულოდ ჩუმად. დედამ შემოსვლისთანავე შენიშნა შვილს უგუნებობა.

- არაფერია, დავიღალე! - მოკლედ მოუჭრა შვილმა.

მამას არაფერი შეუმჩნევია, თავდახრილი ჩუმად ჭამდა და ალბათ სულ სხვა ამბებზე ფიქრობდა.

მაკას კოვზისთვის ხელი არ დაუკარებია, მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა და თავი მომუშტულ ხელებზე ნიკაპით ჰქონდა ჩამოდებული. იჯდა და მამას ჯიუტად მისჩერებოდა. მოთმინებით ელოდა, ფიქრებში წასული მამა როდის შენიშნავდა, მისი ერთადერთი და საყვარელი ქალიშვილი რომ არ ჭამდა და სახებეც რომ უწინდელივით აღარ გადაჰკვროდა უდარდელი იერი.

ბატონი გიორგი ვერაფერს ამჩნევდა. დიდმა თანამდებობამ, ირგვლივ მყოფთა მოკრძალებამ და პატივისცემამ შეცვალა მისი ბუნება. უფროსობას შეჩვეული შინაც ვერ ახერხებდა კაბინეტში მიღებული ინერციის დაძლევას.

- შვილო, გაცვივდა წვნიანი! - შეწუხდა დედა.

მამას არც მეუღლის შეძახილზე მიუქცევია შვილისთვის ყურადღება. ხელში უკვე პატარა ფინჯანი ეჭირა და თურქულად მოხარშულ უმაქრო ყავას მიირთმევდა.

- მამა! - თქვა ბოლოს მაკამ.

ბატონმა გიორგიმ თავი ასწია და შვილს თვალეხით ანიშნა გისმენო. ფიქრებში წასულმა ვერ შეამჩნია, შვილს ნერვიულობისაგან ხმა როგორ უკანკალებდა.

- მამა! - მტკიცე და კატეგორიული ხმით გაიმეორა მაკამ.

მამა ახლა კი გაოცებით შეხედა ქალიშვილს, უნდოდა ეთქვა, ჩქარა მითხარი, რა გინდა, უნდა წავიდე, შენთვის არა მცალიაო, მაგრამ შვილის აღგზნებულ თვალეხს რომ შეხედა, სათქმელი პირზე შეახმა.

- რა მოხდა, გისმენ!

მამის ცივად ნათქვამმა ფრაზამ დააეჭვა ქალიშვილი. ღირს კი ველაპარაკო, გამიგებს კი რისი თქმაც მინდაო?

- გისმენ, შვილო!

მაკას ამჯერად უფრო თბილი ეჩვენა მამის ხმა.

- განცხადება დავწერე!

- რა განცხადება?

- არ მინდა მთავარი რედაქტორის მოადგილეობა. მოვითხოვე, რიგით რედაქტორად გადამიყვანეთ-მეთქი.

- უკვე ჩააბარე?

- ამ ერთი საათის წინ დავწერე. ხვალ დილით ჩავაბარებ კომიტეტის თავმჯდომარეს.

- შენი გადანწყვეტილება საბოლოოა?

- დიახ, საბოლოო.

- აბა, მე რაღას მითანხმებ?

- საჭიროდ ჩავთვალე, რომ შენც იყო საქმის კურსში.

- გაგიჭირდა? თავი ვერ გაართვი სამუშაოს?

სასადილო ოთახში დედაც შემოვიდა, მაგიდას მიუჯდა და შვილს შემფოთებული თვალეზით შეხედა.

- არა, მუშაობა არ გამჭირვებია.

- აბა, რა მოხდა?

- სასცენარო განყოფილებაში ბევრი რედაქტორია, რომელთაც სტაჟითაც, შემოქმედებითაც და გამოცდილებითაც უფრო ეკუთვნოდათ მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობა. მე არ მინდა შენი გავლენით ვისარგებლო. არც ჩრდილი მინდა მოგაყენო და ვინმეს ვათქმევი, თანამდებობას ბოროტად იყენებსო. მინდა ყველაფერს ჩემით მივალწიო. არ მსურს ვინმეს საკბილო გავუჩინო.

- ადამიანს ენა იმიტომ აქვს, რომ ილაპარაკოს.

- მთავარი მაინც ისაა, რომ მინდა ყველაფერს ჩემით და გავლენიანი მშობლების დაუხმარებლად მივალწიო. ვიცი, შენი სახელი და გვარი მაინც წამეშველება, საქმეს გამიადვილებს, ყველგან მოკრძალებით და პატივისცემით მომეცქევიან. მაგრამ რა ვქნა,

რასაც ვერ გავქცევით, ვერ გავქცევით. უნდა დამეთანხმო, ცუდად მოვიქცეთ, რომ თავიდანვე იმოღეწა თანამდებობაზე დავინიშნე.

მამამ არაფერი უპასუხა. ფინჯანი პირთან მიიტანა და ყავა მოსვა.

- განცხადების დაწერა როდის გადაწყვიტე?

- დღეს.

- ადრეც განუხებდა შენი ნაადრევი დანიშნულება, თუ ერთბაშად მოხდა რამე?

მაკა დაიბნა, ტყუილის თქმა არ შეეძლო. მიხვდა, მამამისის გამოცდილ თვალს არაფერი გამოჰპარვია.

- რა მნიშვნელობა აქვს, როდის და რატომ გადავწყვიტე? მთავარია, რომ გადავწყვიტე.

- გულწრფელად მივესალმები შენს გადაწყვეტილებას. მე ყოველთვის მჯეროდა შენი ნიჭისა და კეთილშობილებისა. მიხარია, რომ არ ჰგავხარ მშობლებით გათავსებულ ზოგიერთ ახალგაზრდას. თანახმა ვარ, ყველაფერი თავიდან დაიწყო. ოღონდ ერთი რამ მაფიქრებს სერიოზულად. ჯერ კიდევ გუშინ თავში მსგავსი აზრები არ გიტრიალებდა. რა მოხდა ოცდაოთხი საათის მანძილზე? შეჩვენა და საფუძველიც მაქვს მჯეროდეს, რომ არა ხარ ბოლომდე გულწრფელი. განცხადების მიტანას კი ნუ იჩქარებ. ორი დღე კიდევ გედოს შინ. თუ ორი დღის შემდეგ გადაწყვეტილებას არ შეიცვლი, მაშინ უნდა გადადგა კიდევ გადაშწყვეტი ნაბიჯი.

მამა წამოდგა, შვილთან მივიდა, შუბლზე აკოცა და მეუღლეს მიუბრუნდა, ამდენი ხანი რომ სახეანითლებული ისმენდა მამა-შვილის დიალოგს.

- ნუ წერვიულობ. მე მჯერა მაკასი. ჩემი ჭკვიანი გოგონა იოლადა არ შეცდება! აბა, მე წავალ ისევ სამსახურში.

\* \* \*

კომიტეტის თავმჯდომარემ დიდხანს ატრიალა ხელში მაკა ლანდიას განცხადება. ვერ გაიგო, რა მოხდა, რატომ მოისურვა უცებ მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობიდან რიგით რედაქტორად გადასვლა.

- იქნებ ანწყენინა ვინმემ? - ჰკითხა ტელეფილმების სასცენარო განყოფილების მთავარ რედაქტორს.

- პირიქით, ყველა უფერებდა, უბატონოდ ხმას არავინ სცემდა.

- იქნებ ვერ გაუძლო სამუშაოს, ვერ მოერგო თანამდებობას?

- მაკა ძალიან ნიჭიერი გოგონაა და კარგი ორგანიზატორი.

- აბა რა მოხდა, განცხადებაში რიგით რედაქტორად გადაყვანის მიზეზი არ წერია. სიტყვიერად მაინც არ უთქვამს, რატომ მოისურვა რიგითი რედაქტორობა?

- არაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რაც განცხადებაშიც წერია - სურვილი მაქვს რიგითი რედაქტორი ვიყო.

კომიტეტის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და მხრები აიჩეჩა.

- სად არის ახლა?

- აგერ დგას, მოსაცდელში.

ირაკლი ლომიძემ სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და მდივანს უთხრა, ლანდია შემოუშვიო.

კაბინეტის კარი გაიღო, მაკა შემოვიდა და იქვე, კარებთან გაჩერდა.

- მობრძანდით, მაკა! - ღიმილით წარმოთქვა კომიტეტის თავმჯდომარემ, ფეხზე წამოდგა და ქალიშვილის შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

- დაბრძანდით, - კომიტეტის თავმჯდომარემ სკამი თვითონ გამოუწია.

- გმადლობთ. - მაკა დაჯდა.

- როგორ გავიგო თქვენი განცხადება? იქნებ განწყენინათ ვინმემ? - იქნებ რაღაც ცუდი და უკადრისი გაგაგონეს?

- არა, ბატონო ირაკლი, არავის არაფერი უწყენინებია. სამწუხაროდ, თავიდანვე ვერ გავითვალისწინე, რომ ჩემზე წინ მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობა უფრო გამოცდილ და დამსახურებულ ხალხს ეკუთვნოდა.

- კი, მაგრამ... - დაიბნა კომიტეტის თავმჯდომარე. ველარ გააგრძელა, ან კი რა ჰქონდა სათქმელი - მამამ იცის?

- იცის, გუშინ ველაპარაკე.

- მერე?

- თანახმაა.

კომიტეტის თავმჯდომარემ მაგიდაზე დადებული სათვალე აიღო და დინჯად დაუნყო ნმენდა. სათვალე ახალი განმენდილი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, რა გადანყვეტილება მიეღო და ცდილობდა მისი გულმოდგინედ ნმენდის დროს მოეფიქრებინა, რა გზას დასდგომოდა.

- მე მაინც უნდა დავურევო, - კომიტეტის თავმჯდომარემ პირდაპირი ტელეფონის ყურმილი აიღო და ოთხნიშნა ნომერი აკრიფა. ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელებულა. გიორგი ლანდიას კოლეგიის სხდომა ჰქონდა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ყურმილი ბერკეტზე დადო, თავი გააქნია, რაც ნიშნავდა, ვერაფერი გამიგიაო და მცირეოდენი დუმილის შემდეგ მაკას მიუბრუნდა.

- ბატონო გიორგი თანახმაა. კი, ბატონო, თუ ასე გსურთ, რა მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ, უბრალოდ, მოოცებს თქვენი გადანყვეტილება. მოოცებს, რადგან ვერ ჩავწვდი თქვენს ჩანაფიქრს, თქვენს მიზანს. რატომღაც მგონია, რომ სულ სხვა მიზეზის გამო მოისურვეთ, ასეთი ნაბიჯი გადაგედგათ. თქვენი ნებაა. ოღონდ, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, განცხადებას ჯერ რეზოლუციას არ დავადებ. ორშაბათამდე მაინც იფიქრეთ. თუ მანამდე აზრს არ შეიცვლით, რეზოლუციასაც დავადებ და ბრძანებასაც იმავე დღეს დავწერთ.

- ჩათვალეთ, რომ უკვე ორშაბათია და აზრი მაინც არ შემიცვლია. წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

მაკა თავაზიანად წამოდგა, ორთავს თავი დაუკრა და კარისაკენ გაემართა.

„რა მოცეკვავე იქნებოდა!“ - გაიფიქრა უცებ კომიტეტის თავმჯდომარემ და ნარნარით მიმავალ მაღალ, თხელ ქალიშვილს თვალი მანამდე არ მოაცილა, სანამ კარს იქით არ გაუჩინარდა. მერე თითქოს ერთბაშად გამოერკვაო, განცხადება ხელახლა გადაიკითხა,



მხრები აიჩეჩა და ტელეფილმების სასცენარო განყოფილების მთავარ რედაქტორს უთხრა, ვერაფერი გამოვიდა.

\* \* \*

ტელეფილმების სტუდიის სასცენარო განყოფილებაში ყველა გააკვირვა მაკა ლანდიას გადაწყვეტილებამ. ვერ გავგოთ, რა მოხდა. ათასგვარი ვერსია დაიბადა, ათასი მიზეზი გამოჩხრიკეს, მაგრამ თვითონვე ხვდებოდნენ თავიანთი ეჭვებისა და გამონაგონის უსუსურობას. ვერც ერთი მიზეზი ვერ უმკლავდებოდა ქალიშვილის ბედნიერ სახეს. მაკა ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილი გამომეტყველებით და თბილი ბუნებით, მაგრამ ახლა მისი თვალები სხვანაირი სიხარულით იყო სავსე, სულ სხვანაირი და დიდი ბედნიერება ჰქონდა სახეზე აღბეჭდილი.

- მაკა, რა მოხდა, რამ გადაგადგმევინა, პირადად ჩემთვის და ალბათ სხვებისთვისაც, გაუგებარი ნაბიჯი? - ჰკითხა ლიამ, სტუდიაში ყველაზე ახლო მეგობარმა.

- არ მეგონა თუ ჩემი გადაწყვეტილება ამოდენა მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. ჯერ ერთი, აქ ბევრია ჩემზე დამსახურებული ადამიანი, რომლებსაც პირველ რიგში ეკუთვნოდათ მთავარი რედაქტორობა. ვიცი, გაგიკვირდებათ, რომ ამისთვის დავწერე განცხადება. თუ არ დამიჯერებთ, თქვენი ნებაა. ძალას ვერ დაგატანთ. მეორე მიზეზსაც გეტყვით. ოცდართი წელი დიდი ხანი არ არის, რაც შემისრულდა. მინდა უფრო თავისუფალი ვიყო, სერიოზული იერი და შრომა მერეც მეყოფა.

სტუდიის თანამშრომლებს სჯეროდათ და თან არ სჯეროდათ მაკას სიტყვები. ვერ უარყოფდნენ, რომ ქალიშვილის განმარტება ძალზე რეალურად და საფუძვლიანად ჟღერდა, მაგრამ მაკას ბედნიერება და აღმაფრენით სავსე გამოხედვა მანაც იძლეოდა ათასგვარი ეჭვის საბაბს.

მაკა ლანდიას სულაც არ ანაღვლებდა კომიტეტის თავმჯდომარის გაოცებული სახე ან ტელეფონების სტუდიის სასცენარო განყოფილების თანამშრომელთა მითქმა-მოთქმა. ქალიშვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ პირველად გადადგა დიდი და დამოუკიდებელი ნაბიჯი. პირველად მონიღომა დამდგარიყო ცხოვრების პირისპირ, პირველად მიხვდა, რა ბედნიერებას მოუტანდა საკუთარი ძალ-ღონითა და ნიჭით მოპოვებული წარმატება.

„რას იტყვის რამაზ კორინთელი, როცა გაიგებს ჩემი ნება-სურვილით დაქვეითების ამბავს?“

მაკა ლანდია შეკრთა.

„რატომ გამახსენდა რამაზ კორინთელი?“

„მე ხომ არავისი აზრი არ მაინტერესებს ჩემს გადანწყვეტილებაზე?“

„იქნებ კორინთელი იმიტომ გამახსენდა, რომ მასთან საუბრის შემდეგ გამოფხიზლდი და სხვანაირად შევხედე ცხოვრებას?“

„რასაკვირველია, მხოლოდ ამიტომ გამახსენდა!“

„მაგრამ შინაგანად ხომ ვგრძნობ და ხომ უდნა გამოვუტყდე საკუთარ თავს, რომ ძალიან მაინტერესებს, რას იტყვის, როცა ჩემს გადანწყვეტილებას გაიგებს?“

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“ - გაახსენდა უცებ რამაზ კორინთელის სიტყვები.

უნებურად ირგვლივ მიმოიხედა. იმდენად გარკვევით გაიგონა ჭაბუკის სიტყვები, შეეშინდა სხვა ხომ არავინ გვისმენსო. ისიც კი გადაავიწყდა, კაბინეტში მართო რომ არ იყო.

„იქნებ გულში ჩამივარდა ეს მაღალი, დაკუნთული ბიჭი, წყალბურთელს რომ უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერს?“

თვითონვე შეაკრთო საკუთარმა ეჭვმა. თუმცა ისიც იგრძნო, სასიამოვნო გრძნობა სახეზე ნიავევით რომ მიელამუნა.

ოთახში ჩაიკეტა. სანამ ახალი მთავარი რედაქტორის მოადგილეს დანიშნავდნენ და მაკას საერთო ოთახში მაგიდას მიუჩენდნენ, რამდენიმე დღე კიდევ მოუწევდა თავის ყოფილ კაბინეტში უძღობა. ჩანთიდან სარკე ამოიღო და საკუთარი სახე შეათვალიერა. ყველაზე კარგად თვითონ იცოდა თავისი სილამაზის ფასი. სიმაღლე, ჰაეროვნება და სინაზე იყო მაკას მთავარი კოზირები. ლამაზიაო, ვერ იტყოდით, მაგრამ უჭკვიანესი თვალები და შთამბეჭდავი გამოხედვა მთლიანობაში უცხოურ და გამორჩეულ იერს აძლევდა. ჰქონდა რაღაც ისეთი, სიტყვით რომ ვერ გამოთქვამ კაცი. ას ქალში რომ ჩაგეყენებინათ, პირველი აუცილებლად მაკა ლანდია მოგხვდებოდათ თვალში.

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“ - ჩაესმა ისევ რამაზ კორინთელის ხმა.

„რას იტყვის, ჩემს გადანყვეტილებას რომ გაიგებს?“ - მაკა ლანდია მიხვდა, აზრი არ ჰქონდა საკუთარი თავის მოტყუებას. აღიარა, რომ ძალზე აინტერესებდა ახალგაზრდა მეცნიერის აზრი.

„რას იტყვის? გაოცდება? გაუკვირდება? გაუხარდება?“

ქალიშვილმა ისევ იგრძნო სახეზე ნიავის სასიამოვნო ლამუნი.

„გაუხარდება?“

„რატომ უნდა გაუხარდეს?“

„ვთქვათ, გაუხარდება. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კაცის სიხარულს?“

„მაგრამ თუ მაინც აქვს მნიშვნელობა? თუ მაინც მაინტერესებს მისი აზრი? რა უნდა დავარქვა ამ განცდას?“

„სიყვარული?“

„ვთქვათ სიყვარული! მერე? სულ ეს არის სიყვარული?“

„იქნებ სულაც ჩემი განცდები შურისძიებაა შეურაცხყოფილი ქალიშვილისა? მან გუმინ შეურაცხყოფა მომაცენა. კაცმა რომ თქვას, თუ უტაქტოდ პირში მოხლას შეურაცხყოფად არ ჩავთვლით, სიმართლე მითხრა. იქნებ ჩემი გადანყვეტილება მხოლოდ რეაქციაა, მხოლოდ პასუხია რამაზ კორინთელის მიერ დაურიდებლად, უცერემონიოდ ნათქვამ სიმართლეზე? იქნებ ამიტომაც ვყავარ სურვილს შეპყრობილი, გაიგოს ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯი? თუ მე ჩემი განვლილი ცხოვრების შეცდომას მივხვდი და შევეცადე, დღეიდან სხვანაირად ვიცხოვრო, რატომ უნდა მაინტერესებდეს, ჩემი გადანყვეტილება რამაზ კორინთელმაც იცოდეს, კაცმა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ვიცნობ?“

„შემინია, რომ შემეყვარდებით!“ - კვლავ ხმამაღლა ჩაესმა რამაზ კორინთელის ხმა.

უცებ კარადაში ჩადგმული მოციმციმე ტელევიზორი დაინახა.

ეკრანიდან ვიღაც სოლიდური, ჭაღარა კაცი პირდაპირ მაკა ლანდიას მისჩერებოდა. ქალიშვილი შეკრთა. ისეთმა განცდამ შეიპყრო, თითქოს ეს ჭაღარა კაცი კაბინეტში ჩუმად შემოიპარა. თითქოს ყველაფერი უნამუსოდ მოისმინა და დაინახა.

ტელევიზორს ხმა ბოლომდე ჰქონდა დანეული, მაგრამ ჭაღარა კაცი ეკრანიდან ისეთი დაუინებით შემოსცქეროდა, ქალიშვილი დანაშაულზე წასწრებულებით შეცბა.

განერვიულებულმა დილაკს თითი მაგრად დააჭირა და ტელევიზორი გამოთიშა. ერთხანს გაშტერებული მისჩერებოდა ჩაბნელებულ ეკრანს, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა, კაბინეტში კიდევ ხომ არავინ შემოპარულაო.

„იქნებ, სულ ესაა სიყვარული?“ - უნებურად გააგრძელა ფიქრი მაკამ.

„წარმოუდგენელია! - დაასკვნა უმაღვე, - არ შეიძლება სიყვარული მხოლოდ თბილი და სასიამოვნო ურთიერთობა იყოს!“

„იქნებ დასაწყისია? იქნებ ასე იწყება სიყვარული?“

ქალიშვილმა სარკე ისევ ჩანთაში ჩადო, სკამის საბურგეს მიანვა და თვალები დახუჭა.

„დიახ, იქნებ დასაწყისია? იქნებ ასე იწყება სიყვარული?“

მაკა ლანდია წამოდგა და სივრცეს გაუღიმა. არ იცოდა, ვერ გაეანალიზებინა, რა მოხდა. მის არსებაში რა გრძნობამ დაისადგურა.

მთავარი მაინც ერთი რამ იყო, თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა.

# თავი მეთვრამეტე

- მოსკოვში მიდიხარ? - ჰკითხა სოსო შადურმა კორინთელს.
- ორი დღის შემდეგ.
- რა ხდება?
- ძალიან გაინტერესებს?
- მე მგონი, მშვენივრად იცი, არ მიყვარს, როცა ასე მელაპარაკებიან.
- მე მგონი, შენც მშვენივრად იცი, არ მიყვარს, როცა ჩემს საქმეებში ერევიან.
- მე შენს საქმეებში არ ვერევი. მაინტერესებს მოსკოვში დრო თუ გექნება, ერთ ძალიან დიდ საქმეს იძლევიან.
- შენ ხომ გეეჭვებოდა, რომ მე ნამდვილად რამაზ კორინთელი ვიყავი.
- არასდროს არ მეეჭვებოდა. მაღლობა ღმერთს, ჯერ-ჯერობით სკლეროზს არ ვუჩივი, მოხარბულს გიცნობდი. მე ვვარაუდობდი, რომ გინდოდა ჩემთან საქმე გაგნყვიტა, მესხიერების დაკარგვა მოგეგონებინა და წარსულზე პასუხი აღარ გეგო. თან დავრწმუნდი, რომ არაგულწრფელიც ყოფილხარ. უამრავ რამეს გვიმაღავდი, ბოლომდე არ იხსნებოდი. სხვა კაცი ყოფილხარ და სხვას თამაშობდი. შენი სადიპლომო ნაშრომის, თუ დისერტაციის დაცვის დროს ბევრ უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვას გავეცი პასუხი.
- სადიპლომო ნაშრომის დაცვის დროს დაგინახე. რატომ არ დამელოდე?
- მატარებელზე მაგვიანდებოდა. ერთი თვით სხვაგან მივდიოდი.

- კარგი, ვთქვათ, ფიქრობდი, რომ ჩემი ავადმყოფობით ვისარგებლებდი, თამაშიდან გავიდოდი და წარსულზე პასუხს აღარ ვაგებდი. ხომ მივიღე ავადმყოფობის შემდეგ ერთ არცთუ უბრალო ოპერაციაში მონაწილეობა?

- მე აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ. შენ დიდი მომავალი გაქვს. იმ ოპერაციის შემდეგ შეგიძლია სრულიად ჩამოგვშორდე. თუ გინდა სალამსაც ნუ გვეტყვი. ვიცი, შენნაირი კაცი ჩვენს შორის არ უნდა ტრიალებდეს. დღეიდან თავისუფალი ხარ. მე, უბრალოდ, ერთი კარგი წინადადების შემოთავაზება მინდოდა. დიდი საქმეა. უშენოდ გავგიჭირდება. შენ თუ თანახმა იქნები, ოპერაცია ძალზე გაადვილდება.

- რატომ?

- ენების მცოდნე კაცია საჭირო.

- რას მოიტანს ოპერაცია?

- ასი ათას დოლარს!

- დოლარს?

- ჰო, დოლარს, რომელსაც ერთ კვირაში ვაქცევთ სამასი ათას მანეთად.

- უცხოელებთან საქმეში არ გავალ.

- არც გთხოვთ.

- აბა, დოლარები საიდან?

რამაზ კორინთელი ზიზით აკვირდებოდა სოსო შადურის სქელ წარბებს, ხშირ თმას და თან ძველებურად ცდილობდა გამოეცნო, რომელი კალიბრის ტყვია გახვრეტდა მის ჯავშნოსან შუბლს.

- ყველაფერს დანვრილებით მოგიყვები. მოსკოვში ერთი ჩვენი მეგობარი გაგვაცნობს უცხოელს, თუ არ ვცდები, ინგლისელ დიპლომატს, რომელიც ეძებს უნიკალურ მარკებს. მან ჩემს მეგობარს ჩამოუთვალა ოცი დასახელების მარკა მაინც, რომლებიც მისი ვარაუდით მოსკოვში უნდა ჰქონდეთ ფილატელისტებს. ჩემმა მეგობარმა...

- რა ჰქვია შენს მეგობარს?

- რომან გუგავა.

- რომან გუგავა! - გაიმეორა რამაზ კორინთელმა, თითქოს უნდოდა გონებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა ეს სახელი.

- რომან გუგავამ ორი წელი შესწირა ამ მარკების ძებნას. გაეცნო და ესაუბრა მგონი ხუთას ფილატელისტს. ბოლოს და ბოლოს, მიიკვლია ერთი მოსკოველი ქართველი, რომელსაც აღმოაჩნდა ამ ოცი მარკიდან ერთ-ერთი, ტრაფალგარის ბრძოლისადმი მიძღვნილი მარკა „ტრაფალგარი“.

- შენ იცი, რა ბრძოლა მოხდა ტრაფალგარში? - გულწრფელად გაუკვირდა რამაზ კორინთელს.

- მე ვიცი, რა ჰქვია იმ მარკას, რომელიც ასი ათასი დოლარი ღირს.

- ერთ მარკაში მოგვემენ ასი ათას დოლარს? ხომ არ გეშლება?



- მარკა დღეს ნებისმიერ ნახატზე, ხატზე ან ოქროულზე მეტად ფასობს. მარკის გადატანა საზღვარზე უხიფათოა და იოლი.
- ასი ათასი დოლარი! - გაიმეორა რამაზ კორინთელმა, - ფული დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა. მე, როგორც მეცნიერი, ვაღმერთებ დემოკრატიას. რამდენი კაცი გავდივართ საქმეში?
- მე, შენ და რომან გუგავა.
- წილი თანაბარია?
- გუგავა წაიღებს ათი ათასი დოლარით მეტს.
- მე რა მევალება?
- უპირველეს ყოვლისა, უცხოელთან მოლაპარაკება.
- გუგავა არ მოლაპარაკებია?
- არა. გუგავამ ენა არ იცის.
- აბა საიდან იცით, რა უნდა იმ ინგლისელს?
- ერთმა კაცმა დააკავშირა იგი ინგლისელთან. სამწუხაროდ, ახლა ის კაცი ციხეში მის.
- აბა, იმ ინგლისელს როგორ მოვნახავთ?
- რომან გუგავას აქვს მისი ყველა კოორდინატი. დაურეკავ შენ და მოელაპარაკები.

- წილი თანაბრად უნდა გაიყოს! - კორინთელმა უცებ შეაბრუნა საუბრის თემა.
- რატომ?
- ჩემი ინგლისური არ ღირს ფული? მერე რა, რომან გუგავა რომ საქმეს იძლევა. ოპერაციის ჩატარების შნო რომ ჰქონოდა, ჩვენ არ დაგვიძახებდა.
- გუგავას გარეშე ვერაფერს გეტყვი, მოსკოვში მოვილაპარაკოთ.
- ვინ არის მარკის პატრონი?
- მოხუცი ფიზიკოსი, ამჟამად პენსიონერი.
- სახელი და გვარი აქვს?
- ვარლამ გიგოშვილი. ცხოვრობს სიბირიაკოვის ქუჩაზე, მეორე სადარბაზოს მეოთხე სართულზე, ოროთახიან ბინაში.
- ნამდვილად იცის, რომ ამხანაგ გიგოშვილის ოჯახშია „ტრაფალგარი“?
- მოსკოვის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ფილატელისტმა უთხრა.
- თვითონ რატომ ვერაფერი გაახერხა?
- ვინ?
- გუგავამ, რომან გუგავამ! - დამცინავად თქვა რამაზ კორინთელმა და მაგიდაზე „უინსტონის“ კოლოფს დასწვდა.

უკვე დიდი ხნის გადანწყვეტილი ჰქონდა, სოსო შადურთან ურთიერთობა საბოლოოდ გაენწყვიტა, მაგრამ გრძნობდა, შემოთავაზებული საქმე თანდათან იზიდავდა.

- ვერაფრით ვერ დაამყარა მოხუცთან კონტაქტი, ვარლამ გიგომვილი ძალზე ჩაკეტილი და უნდო კაცი ყოფილა. მხოლოდ ძალიან ახლობელს თუ იღებს შინ.

რამაზ კორინთელი ჩაფიქრდა.

შადური მიხვდა, კორინთელი უკვე ჩაითრია საქმეში და გულზე ტვირთი მოეხსნა. თვითონაც „უინსტონის“ კოლოფს დასწვდა და სიგარეტი გააბოლა. იცოდა, კორინთელი ოპერაციამდე ფიქრობდა და გაჩუმდა, ლაპარაკით ხელი აღარ შეუშალა.

- კიდევ რა გარემოებაა ცნობილი საქმის ირგვლივ? - იკითხა უცებ კორინთელმა.

- ამჟამად მოსკოვშია ვარლამ გიგომვილის დის შვილიშვილი, მშვენიერი, მომხიბვლელი ქალბატონი ლია რამიშვილი. დაახლოებით ოცდაათი წლისა, გათხოვილია. ქმარი რომელიღაც სამმართველოს უფროსია, ლევან რამიშვილი. მამა ძალიან დიდი კაცი ჰყავს...

- გასაგებია, მივხვდი.

- ვფიქრობ, ლია რამიშვილი უნდა ვაქციოთ მოხუცი ფიზიკოსის სახლის გასაღებად. გუგავამ დაადგინა, რომ ლია რამიშვილი ცხოვრობს სასტუმრო „ბუდაპეშტი“ და კიდევ ათ დღეს იქნება მოსკოვში.

- რატომ ბატონ ვარლამთან არ არის გაჩერებული?

- არ ვიცი. ალბათ სასტუმროში თავისუფლად ყოფნა ურჩევნია. ვარლამთან ერთად კი ხშირად დასეირნობს და ვახშობს სასტუმროს რესტორანში.

- ოპერაციის შემდეგ ეჭვი რომ ჩვენზე აიღოს და დაგვასახელოს?

- ქალი შენი სფეროა. ოპერაციის ამ ნაწილზე არ გვიფიქრია.

რამაზ კორინთელი ისევ ჩაფიქრდა.

სოსო შადურს არ უნდოდა ხელი შეეშალა, წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, მაცივრის კარი გამოაღო და ბორჯომი მონახა.

რამაზ კორინთელს თანდათან ჰგვრიდა სიამოვნებას მომავალი ოპერაციის დეტალები.

სოსო შადური ორი ჭიქით ხელში ოთახში დაბრუნდა, ერთი ჭიქა კორინთელს დაუდგა და ბორჯომი მოსვა.

- მოიფიქრე რამე?

- მოვიფიქრე, თუკი ღია რამიშვილი სახეზე არ მიცნობს.

- საიდან უნდა გიცნობდეს?

- ჩემი ერთადერთი სურათით, ახალგაზრდულ გაზეთში რომ გამოქვეყნდა, ვინ იცის, იქნებ დამიმახსოვრა ვინმემ!

- მართალი ხარ. კიდევ კარგი, ტელევიზიით არ გამოხვედი.

- ხომ ხედავ, როგორ გამომადგა ჩემი მოკრძალება. არადა, რამდენი ჟურნალისტი დამდევდა. ისიც სახიფათოა, რესტორანში ან ქუჩაში ნაცნობი ქართველი არავინ გადაგვეყაროს.

- სხვისი გვართ აპირებ გაეცნო?

- არა, მე უცხოელად უნდა გავეცნო. ქალებს რატომღაც ჰგონიათ, რომ უცხოელებმა უკეთ იციან ლოგინში სიყვარული, თან მეტი გარანტია აქვთ კვალის სამუდამოდ წაშლისა. მშვენიერმა ლიამ იცის რაიმე ენა?

- ამტკრევს ინგლისურს, ბიძამისი თუ ბაბუამისი გაცილებით უკეთ ლაპარაკობს ინგლისურად.

- სხვა ენა ხომ არ იცის რამე?

- ლიამ?

- არა, ბიძამისმა თუ ბაბუამისმა.

- არა მგონია.

- ამაღამვე დარეკე მოსკოვში დიდად პატივცემულ გუგავასთან. თუ ის ხალხი ინგლისურად ლაპარაკობს, მაშინ მე ფრანგი ვიქნები, თორემ შემატყობენ, რომ ინგლისელი არა ვარ. მე ვიქნები ფრანგი, რომელმაც კარგად იცის ინგლისური. გასაგებია?

- გასაგებია. შემდეგ?

- შემდეგ როგორმე უნდა გავიცნო ლია. თუ ღმერთმა სიკეთე ქნა და მეშჩანიც არის, ხომ წარმოგიდგენია, რას ნიშნავს მეშჩანი ქალისთვის ფრანგი მამაკაცი... ვერარ გოვენი ან თუნდაც მიშელ ლერუა... თუმცა არა, არავითარი მიშელ ლერუა! გაცილებით ჯობია, მიშელ დე ლერუა! შენ იცი, რას ნიშნავს ქალისთვის „დე“? სულ სხვა უღერადობას

აძლევს გვარს. დიას, ასე სჯობია, მიშელ დე ლერუა. გაცილებით უკეთ ჟღერს და შენც იოლად დაიმახსოვრებ!

- რამაზ, მე არ მიყვარს ეგეთი ლაპარაკი!

- რას იზამ, საყვარელო, ეგეთი სტილი მაქვს.

სოსო შადურს ბოღმა მოაწვა, ყელში გაჩხერილმა გინებამ, უკანვე რომ გადაყლაპა, იოგები დაუკანრა.

- ვთქვათ, გაიცანი. მერე?

- უნდა დავიმსახურო ნდობა, რომ ოჯახში ვენვით ჩემს საბჭოთა კოლეგას, შემდეგ კი რესტორანში მივიპატიჟო, თუმცა არა, რესტორანს თეატრი ან სიმფონიური მუსიკის კონცერტი სჯობია, რომ ნაცნობს არავის გადავეყარო. კარგად მოგეხსენებათ, ბატონო სოსო, ჩვენ რომ გვიცნობენ, იმ კატეგორიის ხალხი მაინცდამაინც არ იკლავს თავს თეატრებში და სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე სიარულით. მე კი მომიწევს, მოსკოვში წასვლამდე დარჩენილი ორი დღე მოვანდომო რამდენიმე უახლესი ფრანგული სიმღერის შესწავლას, ხოლო ფორტეპიანოზე მოვამზადო ფრანგული სიმღერების პოპური.

- შემდეგ?

- შემდეგ? - გაბრაზდა უცებ რამაზ კორინთელი. - ცოტა გაანძრე ტვინი, ამ ტყვიაგაუვალ მუბლს უკან რომ ჩაგიკეტია.

ასი ათასი დოლარისთვის ისევ გადაყლაპია სოსო შადურმა ყელში გაჩხერილი ბოღმა და გინება, ისევ დაუკანრა ყელის იოგები. იცოდა, ოპერაცია რამაზ კორინთელის გარეშე არ გამოვიდოდა, თორემ ყელში სწვდებოდა, ან რაღაც უბედურებას ჩაიდენდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, რომ მეტი მოუვიდა.

- შემდეგ მე და მოხუცი თბილისში გამოვაცილებთ უმშვენიერეს ლიას.

- შემდეგ?

- კიდევ ვერ მიხვდი, რა უნდა ვქნათ შემდეგ?

- მიხვდები. მეც ვატყობდი, სხვანაირად ვერ გადავრჩებოდით. ლია? რა ვუყოთ ლიას?

- ლია ჩვენი ოპერაციის აუცილებელი რგოლია, თანაც ყველაზე სუსტი რგოლი. გამოსავალი ერთადერთია. მშვენიერმა ლიამ უნდა იგრძნოს ჩემი ტემპერამენტი. განა შემდეგ მამამისის შვილი და უვაჟკაცესი კაცის მეუღლე გაამჟღავნებს თავის სასიყვარულო თავგადასავლებს?

- რა გარანტია გაქვს, რომ ქალს დაიმორჩილებ?

- უნდა ვცადოთ. ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც უნდა დავუახლოვდეთ, რომ მოხუცი ფიზიკოსი გაგვაცნოს. თუმცა იმედს არ ვკარგავ, რომ ქალბატონი ლია უხეშად არ კრავს ხელს ახალგაზრდა კაცის სიყვარულს. გასაგებია?

- გასაგებია.

- მაშ მოდი, დღევანდელი ლაპარაკი ჩავთვალოთ ოპერაციის საფუძვლად. დეტალებს, ალბათ, მოსკოვში დავაზუსტებთ. ახლავე გაგიმზადებ სავიზიტო ბარათების ტექსტს. შენ რომ კაცი გყავს სტამბაში, მიუტანე და სასწრაფოდ გადააბეჭდვინე. არავითარი ფრანგი და არავითარი ინგლისელი! შვიდი დღის მანძილზე გამიჭირდება უცხოელის თამაში, შეიძლება ერთხელ წამომცდეს რაღაც და ყველაფერი წყალში გადავყაროთ. ამიტომაც

მოსკოვში მე ვიქნები... თუნდაც ნოდარ ბარამიძე. მე მგონი, კარგად უღერს, არა? ნოდარ ბარამიძე! ხვალ საღამოს მოსკოვში გადაფრინდი და ნომერი „ინტერკონტინენტალში“ დამიჯავშნე. ბატონო სოსო, თქვენ იცით, რას ნიშნავს ახალგაზრდა ქალისათვის „ინტერკონტინენტალი?“ - რამაზ კორინთელმა ბორჯომით სავსე ჭიქას ხელი დაავლო და ხარბად დასცალა.

\* \* \*

- მინდა მოგილოცოთ, ახალგაზრდავ! - მხარზე ხელი დაჰკრა რამაზ კორინთელს აკადემიკოსმა ვლადიმირ მატვეევმა, - სამეცნიერო საბჭომ თქვენს სადიპლომომ გამოკვლევას ერთხმად მიანიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

- გმადლობთ, ვლადიმირ გერასიმოვიჩ!

- მაგრამ ეს როდია მთავარი! მე აღმაფრთოვანა თქვენმა მეორე შესანიშნავმა გამოკვლევამ. რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი, რომელიც თქვენ აღმოაჩინეთ, ორ კვირაში მოივლის მსოფლიოს.

- ბედნიერი ვარ, რომ თქვენგან ვისმენ ამ სიტყვებს, ბატონო აკადემიკოსო!

ვლადიმირ მატვეევმა კორინთელს კიდევ ერთხელ დაჰკრა მხარზე ხელი, შემდეგ დინჯი, უფრო სწორად, უძღურებაშეპარული კაცის ნაბიჯებით სავარძელთან მივიდა და ხვნიშით ჩაეშვა.

„როგორ მოტეხილა ამ სამ წელიწადში!“ - სინანულით გაიფიქრა რამაზ კორინთელმა.

დავით გიორგაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკადემიკოს ვლადიმირ მატვეევთან.



ქართველ მეცნიერს დიდად დაეხმარა მოსკოველი კოლეგა, თბილისში რომ დავით გიორგაძის ინიციატივით ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ჯერ აპარატურით და ტექნიკურ-მეცნიერული კონსულტაციებით გაუმართა ხელი. შემდეგ კი შვიდი ახალგაზრდა ფიზიკოსი წამოიყვანა თბილისიდან სათანადო პრაქტიკის მისაღებად. შემდგომში მრავალი ერთობლივი თემა დაამუშავეს, რამდენიმე სიმპოზიუმი და შეხვედრა გამართეს. სამივლინებო გაცვლა-გამოცვლა და აზრთა გაზიარება ხომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ვლადიმირ გერასიმეს ძე მატვევი შესახედავად ყოფილ კალათბურთელს უფრო ჰგავდა, ვიდრე საქვეყნოდ სახელგანთქმულ ასტროფიზიკოსს. სიმაღლით ორ მეტრს ათი სანტიმეტრი უკლდა, ბლანჟე და სათვალე ძალიან უხდებოდა. ერთხელ, საავადმყოფოში ნიკაპზე მოშვებული წვერი რომ მოიპარსა, შინაურებმა და თანამშრომლებმა ვეღარ იცნეს. ოქროსფერი ბლანჟე იმდენად ორგანული იყო აკადემიკოსის სახისათვის, ხალხს დედის მუცლიდან გამოყოლილი ეგონა. ამიტომაც უკვირდათ, აკადემიკოსის ბავშვობის სურათებს რომ დახედავდნენ, ბლანჟე რატომ არა აქვსო.

- ბეგ, თორმეტ საათზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე გავიტან თქვენს საკითხს. მანამდე ორ პროფესორს წავეუკითხავ და მოვამზადებ გამოსასვლელად. წინასწარ შემიძლია გითხრათ და მოგილოცოთ, რომ ბეგ, თორმეტი საათიდან თქვენ ოფიციალურად დგებით გამორჩეული და ცნობილი საბჭოთა მეცნიერების გვერდით, თქვენ, რამაზ მიხეილის ძე კორინთელი, ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა!

ვლადიმირ მატვევს მღელვარება მოეძალა, ფეხზე წამოდგა და კაბინეტში მოჰყვა ბოლთის ცემას.

- მე ბევრჯერ შევხვედრივარ ნიჭიერ კაცს. ბედნიერებაა ტალანტთან შეხვედრა. სამწუხაროდ, ხშირად როდი გვრგება ადამიანს ასეთი ბედნიერება. ცოტაა, ძალიან ცოტა ნამდვილი ნიჭი. ახლა ბევრია განათლებული, ინტელიგენტი მეცნიერი, გაცილებით მეტი,

ვიდრე ამ ოცი, თუნდაც ათი წლის უკან იყო. იციან ენები, უკრავენ ინსტრუმენტზე, აქვთ შესანიშნავი მანერები, ერკვევიან ლიტერატურასა და კულტურაში. ერთი სიტყვით, არიან ძალიან კარგი ინტელიგენტები, ძალიან კარგი ინტელექტუალები, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცუდი თეორეტიკოსები და ექსპერიმენტატორები! არის მეცნიერთა მეორე კატეგორიაც, სოფლიდან ჩამოსული პროვინციალები, შუბლით რომ უნდათ ყველა წინააღმდეგობა გაარღვიონ და რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მეცნიერთა შორის დაიმკვიდრონ ადგილი. მათი არმია საკმაოდ დიდია და, სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერების საერთო დონე, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, დღეს უფრო პროვინციულია, ვიდრე ამ ორმოცი ან ოცდაათი წლის უკან იყო. დღეს, როცა ასე ვინროვდება სპეციალობები და მეცნიერების ამდენი ახალი დარგი იქმნება, საერთო დონის დაქვეითება, ეტყობა, ჯერ კიდევ წინაა.

აკადემიკოსს სახეზე ნალველი გადაეკრა. ერთხანს ჩუმად დააბიჯებდა, დაფიქრებული, მერე ხელი ჩაიქნია, სავარძელთან მივიდა და ნელა ჩაეშვა.

„როგორ მოტეხილა!“ - გაივლო ისევ გულში რამაზ კორინთელმა.

- დიახ, ხშირად როდი გერგება ბედნიერება, შეხვდე ნამდვილ ტალანტს. დიდი ტალანტზე ხომ ლაპარაკიც ზემდგება. შეიძლება ისე დაამთავრო სიცოცხლე, ერთხელაც ვერ იგრძნო დიდ, ნათელ ტალანტთან შეხვედრის სიხარული. მე გამიმართლა, ახალგაზრდავ, ნამდვილად გამიმართლა. თქვენ დიდი, ნათელი ტალანტი ხართ. ჯერ ერთი, რომ ოცდაოთხი წლის ხართ. ვუნდერკინდობა გამორიცხულია. თანაც თქვენი სადიპლომო გამოკვლევა და მით უმეტეს, რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის აღმოჩენა უკვე კმარა, იყოთ სახელოვანი მეცნიერი. მაგრამ ვგრძნობ, თქვენ ჯერ ყველაფერი წინა გაქვთ. იცოდეთ, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენთვის ღიაა ჩვენი ინსტიტუტის კარი. ყველა პირობას შეგიქმნით ნამდვილი მეცნიერული მუშაობისათვის. კარგია, რომ ენებს შესანიშნავად ფლობთ. ენების სწავლაზე დრო აღარ დაგვეკარგებათ. ცოლ-შვილიანი ხართ?

- ჯერ არა!

- არ ვარგა! - გაიქნია თავი სინანულით ვლადიმირ მატვეევმა, - რაც მალე დაქორწინდებით, ისა სჯობია. ენერგიით, ტემპერამენტით სავსე კაცი ჩანხართ. პირველად რომ დაგინახეთ, კარატეს ჩემპიონი მეგონეთ. ალბათ თქვენი ახალგაზრდული ტემპერამენტის გამო ბევრ დროს კარგავთ ფუჭად. რას იზამთ, ახალგაზრდა ხართ. ამიტომაც საჭირო ოჯახის შექმნა. ოჯახი დღეში რამდენიმე საათით გაზრდის თქვენი მეცნიერული სამუშაო დროის ბიუჯეტს. აკადემიკოს დავით გიორგაძეს იცნობდით? - შეცვალა უცებ სასაუბრო თემა ვლადიმირ მატვეევმა.

- ძალიან კარგად.

- ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, რომ დავით გიორგაძესთან მუშაობდით ინსტიტუტში.

- არა, მე მასთან არასდროს მიმუშავნია. თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტში მხოლოდ აკადემიკოსის სიკვდილის შემდეგ მიმიღეს ლაბორანტად. დავით გიორგაძე საავადმყოფოში გავიცანი, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. გავიცანი სრულიად შემთხვევით. მე კარგად ვიცნობდი აკადემიკოსის ნაშრომებს. იგი გააოცა ჩემმა ცოდნამ. მაშინ ხომ დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი.

- რამდენადაც ვიცი, დავით გიორგაძე მუშაობდა ანალოგიურ პრობლემაზე. მან ერთხელ მითხრა, რადიოაქტიურობის ახალ ტიპს ვვარაუდობო. ეს ადრე იყო, თუ არ ვცდები, ოთხი-ხუთი წლის წინ.

- მართალი ბრძანდებით. დავით გიორგაძის დიდმა მეცნიერულმა ინტუიციამ იგრძნო რადიოაქტიურობის ახალი ტიპის შესაძლებლობა, მაგრამ მუშაობა მცდარი გზით წარმართა. მან ვერ ივარაუდა, რომ შეიძლება მომხდარიყო ბირთვების ისეთი დაშლა, როცა ისინი გამოსტყორცნიან არა მარტო პროტონებს, როგორც ადრე ფიქრობდნენ

მეცნიერები, არამედ ნაწილაკების წყვილს - პროტონებს და ნეიტრონებს. ატომური ბირთვების ანალიზმა გვიჩვენა და დაგვარწმუნა, რომ ნამდვილად არსებობენ ელემენტების ათეულობით იზოტოპები, რომლებსაც აქვთ ორპროტონიანი რადიოაქტიურობა. როდესაც ამ დასკვნამდე მივდი, მიხვდი, პრობლემის გასაღები უკვე ხელთ მქონდა: დავით გიორგაძეს რომ ორპროტონიანი რადიოაქტიურობა წარმოედგინა, ვფიქრობ, ჩემზე ადრე დაადგენდა რადიოაქტიურობის ახალ ტიპს. ორპროტონიანი რადიოაქტიურობის თვისების მქონე ელემენტების ატომების ბირთვები საკმაოდ ხანგრძლივად ცოცხლობენ. მე ვივარაუდე და არც მოვტყუებულვარ, რომ უფრო იოლია ამ ატომებიდან ამოვადგოთ რამდენიმე პროტონი, ვიდრე ისინი ერთმანეთს დავაცილოთ.

- შეიძლება ორპროტონიანი რადიოაქტიურობის არსებობის იდეა თქვენ დამოუკიდებლად დაგებადათ, მაგრამ მეოთხედი საუკუნის წინ ვარაუდობდნენ მსგავს რადიოაქტიურობას.

- ალბათ, არ გეკამათებით! მაგრამ სწორი იდეა მივიწყეს სრულიად ობიექტური მიზეზების გამო. ვერც ჩვენში, ვერც საზღვარგარეთ ვერ მოახერხეს ორპროტონიანი დაშლა.

- გასაგებია. კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ დიდ გამარჯვებას.

- უზარმაზარ მადლობას მოგახსენებთ. არ ველოდი ასეთ დიდ ყურადღებას. სიკვდილამდე თქვენს ვალში ვიქნები!

- „სიკვდილამდე“, - გაიმეორა გონებაში ვლადიმირ მატკევემა, - რა დროს თქვენი სიკვდილია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეწყინ, დავით გიორგაძის გარდაცვალება. ვერ ჩამოვდი. უცხოეთში ვიყავი მივლინებით. კარგია, რომ ჩემი მოადგილე მაინც იყო

- ვლადიმირ გერასიმოვიჩი, - დაიწყო კორინთელმა ყოყმანით, მცირეოდენი ღუმილის შემდეგ.

- გატყობთ, რაღაცის თქმა გინდათ და გუეხერხულებათ. ნუ მომერიდებით. პირდაპირ მითხარით, თუ რამე განუხებთ.

- დავით გიორგაძემ სიკვდილის წინ წერილი მოგწერათ.

- მერედა, სად არის წერილი?

პასუხად რამაზ კორინთელმა ჯიბიდან კონვერტი ამოიღო.

- აბა, სასწრაფოდ მომეცით! - გამოცოცხლდა აკადემიკოსი. ერთი სათვალე მოიხსნა, მეორე გაიკეთა, კონვერტი გახსნა და წერილი ჩაიკითხა.

რამაზ კორინთელი ყურადღებით აკვირდებოდა ვლადიმირ მატვეევს. უკვირდა მის სახეზე როგორი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს სევდა და მხიარული განწყობილება. ბოლოს თავი ასწია და განაწყენებულმა რამაზ კორინთელს შეხედა.

- რატომ აქამდე არ მომეცით?

- დაახლოებით ვიცი, წერილში რაც წერია. ალბათ, მე მიწვევს თქვენთან რეკომენდაციას. გადანყვეტილი მქონდა, საერთოდ არ მეჩვენებინა თქვენთვის წერილი. ვერ გავბედე. იქნებ სხვა რამეც ეწერა წერილში, რომელიც მხოლოდ თქვენ გეხებოდათ! ამიტომ გადავწყვიტე წერილი მაშინ მომეცა თქვენთვის, როცა ჩემი საკითხი საბოლოოდ გაირკვეოდა და გადაწყდებოდა. არ მიყვარს პროტექციით და რეკომენდაციებით გზის გაკვლევა.

- წაიკითხეთ! - აკადემიკოსმა წერილი გაუნოდა.

რამაზ კორინთელმა ფურცელი გამოართვა და ისე წაიკითხა, ვითომ პირველად კითხულობდა.

„ძვირფასო ვლადიმირ გერასიმოვი!

აღბათ რამდენიმე დღეში მოვკვდები, წერილს საავადმყოფოდან გწერთ, სარეცელს მიჯაჭვული. ბოლოს და ბოლოს, მე, ურწმუნო და გამოუსწორებელი ათეისტი, ახლა მაინც გავარკვევ სამყაროს მატერიალურობას, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ჩემი სული მართლა გაფრინდა სადღაც? მაშინ ხომ ჯოჯოხეთი არ ამცდება.

ერთი სიტყვით, ვამთავრებ ცხოვრებას. ცოტა ყოფილა სამოცდაათოხმეტი წელი. რას იზამ. ბედს მაინც არ ვემდური.

ახლა ერთი სათხოვარი მინდა მოგახსენოთ. საავადმყოფოში გავიცანი უნიჭიერესი ახალგაზრდა კაცი რამაზ მიხეილის ძე კორინთელი. ყველაფრის დამახსოვრებისათვის სად გეცალათ, მაგრამ შეიძლება მაინც მოგაგონდეთ, მე ვვარაუდობდი რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის არსებობას. ჩემი ვარაუდი, როგორც ირკვევა, სწორი იყო, პრობლემის გადაჭრის გზა კი მცდარი. და აი, ამ ახალგაზრდამ, რომელთანაც საავადმყოფოში გაცნობა ბედმა ინება (ხომ ხედავთ, სიკვდილის წინ, მგონი, ყველანი იდეალისტები ვხდებით), ჩემის აზრით, პრობლემის გადაჭრის სწორი გზა იპოვა. თუ გადავრჩი და აქედან გავალწიე, მე თვითონ მივხედავ ნიჭიერ ჭაბუკს. თუ არა და, თქვენთან ჩამოვა. იმედი მაქვს თქვენი დიდი და კეთილი გულისა, თქვენი წმინდა მეცნიერული სინდისისა.

მარად თქვენი დავით გიორგაძე“.

რამაზ კორინთელმა წერილი ჩაათავა, მაგრამ თავი არ აუნწვია. ვითომ სევდა მოეძალა და ფიქრმა გაიტაცა.

- ხედავთ, რა კაცი იყო დავით გიორგაძე? ახლა აღარ იბადებიან მისი მსგავსი ადამიანები!

- წერილის შინაარსი რომ მცოდნოდა, ნამდვილად არ მოგიტანდით.
- თქვენ უკვე დიდი მეცნიერი ხართ და ბიჭური უშნო თავმოყვარეობა აღარ შეგფერით! - მთელი სერიოზულობით წარმოთქვა მეცნიერმა.
- შეიძლება, ვლადიმირ გერასიმოვიჩ, წერილის ასლი რომ გამიკეთოთ? მინდა შევინახო, როგორც დავით გიორგაძის სახსოვარი.
- აუცილებლად გაგიკეთებთ და ზეგ, დიდ საბჭოზე მოგართმევთ. მართლა, დიდი საბჭოს მოლოდინში ხომ არ დეღავთ?
- ბუნებრივია, ვლელავ.
- ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება. უფრო მეტიც, თქვენი გამოკვლევის განხილვა ტრიუმფით დამთავრდება. მე სხვა რამ უფრო მაფიქრებს.
- ბრძანეთ.
- თქვენი უცნაური აღზევება დაიწყო იანვარში. აი, ზეგ, სულ რაღაც სამთვენახევრის მანძილზე ახალი და უზარმაზარი წარმატება გელით, გაუძლებთ ფსიქოლოგიურად? ბოდიშს გიხდით, მაგრამ ხომ არ გაყოყლოჩინდებით, თავბრუს ხომ არ დაგახვევთ საქვეყნო აღიარება? გადიდგულებამ და მედიდურობამ ბევრი ჭეშმარიტი მეცნიერი ააცდინა გზას.
- არა მგონია, გადიდგულების მსხვერპლი გავხდე.
- და კიდევ ერთი რჩევაც. ნუ აპყვებით ჟურნალისტებს, პრესას და ტელევიზიას. გახსოვდეთ, რომ არც პოეტი ხართ და არც კულტურის რომელიმე დარგის მუშაკი. მეცნიერებაში მთავარია პოპულარული იყო კოლეგებს შორის.

- რჩევისათვის დიდი მადლობა, ვლადიმირ გერასიმოვიჩ!
- ახლა ნაბრძანდით, კარგად დაისვენეთ და ზეგისათვის მოემზადეთ.
- კიდევ ერთხელ გწირავთ უდიდეს მადლობას მამაშვილური მიღებისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ.

რამაზ კორინთელი შებრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა. კარებთან შეჩერდა, შემობრუნდა და აკადემიკოსს ჰკითხა:

- როგორ არის თქვენი შვილიშვილი ვალოდია? საავადმყოფოში ძალიან სწუხდა ბატონო დავითი, პატარა ბავშვს თირკმელები აწუხებსო.
- ყურადღებიანი და გულკეთილი კაცი იყო დავით გიორგაძე! - გული აუჩუყდა ვლადიმირ მატვეევს, - გმადლობთ, თითქოს უკეთ არის. ექიმები დიდ იმედს იძლევიან.
- კარგად ბრძანდებოდეთ, ვლადიმირ გერასიმოვიჩ! - რამაზ კორინთელმა კაბინეტის კარი გაიხურა.

\* \* \*

„ინტერკონტინენტალის“ მყუდრო, ძვირფასად მოწყობილი ლუქსის საძინებელ ოთახს მკრთალი წითელი შუქი ანათებდა.

ვნებადამცხრალი ჭაბუკი და ახალგაზრდა ქალი გულაღმა იწვნენ. ორთავეს თვალები ჰქონდათ დახუჭული, თუმცა არცერთს არ ეძინა.

მეორე ოთახში ძალზე ხმადაბლა მაგნიტოფონი იყო ჩართული. იმდენად ხმადაბლა, კაცს ეგონებოდა, მუსიკის ხმა ნიავს საიდანდაც, ძალიან შორიდან მოაქვსო.



ქალს წამოდგომა სურდა, მაგრამ ეგონა, რომ ჭაბუკს ეძინა და არ უნდოდა, გაეღვიძებინა.

თითქოს ახლა გაათვითცნობიერა, რომ ექვსი წლის გათხოვილმა ქალმა პირველად უღალატა ქმარს. ერთმა რამემ გააოცა მხოლოდ, - თავის საქციელს არ ნანობდა. არ ნანობდა ახლაც, ამ წუთშიც, როცა ვნებადამცხრალს შეეძლო საღად ემსჯელა და თავისი ნამოქმედარი შეეფასებინა.

ნეტარების ბურუსში გახვეულ ქალს თვალი მაშინაც არ გაუხელია, კორინთელი სასტუმრო ოთახში რომ გავიდა. ფართო, ხალვათ ლუქსს ნაზი მელოდია მოეფინა. რამაზ კორინთელი, მგონი, რომელიღაც ფრანგულ პიესას უკრავდა. წყნარი, დამამშვიდებელი მელოდია თითქოს საგანგებოდ ჰქონდა შერჩეული.

კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დაასკვნა ქალმა, ქმრის ღალატს არ ნანობდა. კაცმა რომ თქვას, ახლა უღალატა პირველად? განა სიგარეტს რომ ქმრის უჩუმრად ეწეოდა, მცირე ღალატი არ იყო? ხომ იცოდა, როგორ ეზიზღებოდა ქმარს სიგარეტის მწვეველი ქალები, როგორ დასცინოდა მათ ქმრებს?

განა ღალატი მაშინ არ დაინყო, როცა ერთხელ მთვრალი ქმარი ძლივს ჩაანჭინა ლოგინში და უმალვე გაიფიქრა, არა სჯობდა ვაჟა მუჯირს გავყოლოდი, სამი წელი რომ დამდეგდომ? განა იცოდა მაშინ, რომ გავიდოდა დრო და ვაჟა საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი გახდებოდა?

განა მთელი ცხოვრება არ ოცნებობდა, ჰყვარებოდა ნამდვილ მამაკაცს, ტემპერამენტიანს, ძლიერს, ამავე დროს საოცრად პოეტურსა და დახვეწილს?! აი, ზუსტად ისეთს, ნოდარ ბარამიძე რომ იყო?

ღია რამიშვილს ყველაფერი უხაროდა და ყველაფერი სიამოვნებდა. უხაროდა, რომ

„ინტერკონტინენტალის“ თეთრი, ინგლისური ავეჯით მოწყობილ ლუქსში ნებივრობდა, უხაროდა, რომ მის გვერდით ნამდვილი, დახვეწილი მამაკაცი იწვა.

„მაგრამ რა მოხდება ხვალ?“ - გაუელვა უცებ გონებაში ლია რამიშვილს. უმაღვე თავი გაიქნია. დღეს, ენით აუწერელ ნეტარების ბურუსში გახვეულს, მთელი საუკუნით ნაადრევად მოეჩვენა ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

\* \* \*

ღია რამიშვილმა თავის ნომერში შესვლისთანავე შენიშნა მაგიდაზე, ვაზაში ჩადებული წითელი და თეთრი მიხაკები. გაუკვირდა.

„ვის უნდა მოეტანა?“

უმაღვე მაგიდას მიაშურა. ვაზაზე მიყუდებულ მოვარაყებულ კონვერტზე უცხოური წარწერა დაინახა. ხელი სწრაფად დასტაცა და გულისფანცქალით გახსნა. კონვერტში პატარა წერილი და სავიზიტო ბარათი იდო.

ღია რამიშვილი იმას კი მიხვდა, წერილი ფრანგულად რომ იყო დაწერილი, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, შიგ რა ეწერა. სავიზიტო ბარათზე კი ინგლისურადაც და რუსულადაც ამოიკითხა: ნოდარ ბარამიძე, თბილისი, ასტროფიზიკოსი.

- ნოდარ ბარამიძე! - თქვა ხმამაღლა.

„ვინ არის, ან ფრანგულად რატომ მწერს წერილს?“

„ხომ არ იხუმრა ვინმემ? ან იქნებ ვინმეში ავერიე?“

ყურმილი აიღო და მორიგეს დაურეკა, ჩემთან ვინ იყო, ყვავილები ვინ მოიტანაო.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი იყო, დაიბარა, ხუთ საათზე მოვალეო, უპასუხა მორიგე.

„ვინ უნდა იყოს?“ - გაოცებულმა ყურმილი დადო და სავარძელში ჩაჯდა.

„ალბათ ვიღაცაში ავერიე, - დაასკვნა უცებ და გულზე მოეშვა, - რასაკვირველია, მისამართი შეეშალა!“

წერილი ფრთხილად ჩადო კონვერტში და ისევ ვაზას მიაყუდა.

წამოდგა, ტანსაცმელი გაიხადა, აბაზანაში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა და თმა დაივარცხნა

სარკეში საკუთარ თავს გაუღიმა. ოცდარვა წლის ქალი პატარა გოგონასავით გამოიყურებოდა. ხორბლისფერ სახეზე ღია შავი თმა ჩამოიშალა.

„ნეტავ ლამაზია ბატონი ნოდარ ბარამიძე?“ - გაიფიქრა უნებურად.

აბაზანიდან გამოვიდა, ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და სავარძელში ჩაჯდა.

„ხუთ საათზე მოვალეო. ნეტავ ახლა რომელი საათია?“ - სასწრაფოდ წამოდგა, საწოლ ოთახში გავიდა და ტუმბოზე დადებულ საათს დახედა. სამი სრულდებოდა.

„ერთიც ვნახოთ და ლამაზი და მომხიბვლელი ასტროფიზიკოსი გამომეცხადა?“ - გაიფიქრა და გაიღიმა.

სასტუმროში რომ ბრუნდებოდა, გზაში სახელდახელოდ ისაუბმა. უხეირო სოსისის გემო ვერ იქნა და ვერ მოიშორა, მაცივართან მივიდა, „პეუსი კოლა“ გამოიღო, გახსნა და პირდაპირ ბოთლიდან მოსვა.

„ერთს საათს დავიძინებ!“ - გადანწყვიტა გულში. სანოლ ოთახში გავიდა, ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში შეწვა. ტელეფონის აპარატი გვერდით მოიდგა. თბილისიდან ზარს ელოდა.

დიდი ქალაქის რიტმით და მასშტაბებით გადაღლილს მალე ჩაეძინა. ტელეფონის ზარმა გააღვიძა, ცალი ხელით ყურმილს დასწვდა, მეორეთი თვალები ამოისრისა.

- გისმენთ? - ჩასძახა ყურმილს, თან საათს დახედა.

შეკრთა, ხუთს ოცდახუთი წუთი აკლდა.

„რამდენი მძინებია“, - გაიფიქრა და ისევ ყურმილს ჩასძახა, გისმენთო.

მეუღლე ურევავდა. პირველი მოკითხვის შემდეგ საქმეზე გადავიდნენ. ღია დელავდა, წამდაუნუმ საათს დასჩერებოდა. სტუმარიც ოც წუთში მოვიდოდა, ჩაცმა უნდა მოესწრო.

ღია რამიშვილმა ერთი კი გაიფიქრა, ქმარს ვუამბობ რაც მოხდაო, მაგრამ უმაღვე გადაიფიქრა, რატომ ვიჩქარო, თუ საჭირო იქნება, მერე მოუყვებო.

ყურმილის დადებისთანავე ფეხზე წამოიჭრა, სააბაზანოში შევარდა, პირი დაიბანა, სარკეში სახეს კარგად დააკვირდა, დაღლილი გამოხედვა ხომ აღარა მაქვსო. თავი გაიქნია და ღია შავი თმა ჯერ ჩამოიშალა, მერე ორთავე ხელით მაღლა აიტანა. ორთავე ერთნაირად უხდებოდა. თმის აწეული ვარცხნილობისას გრძელი და ლამაზი ყელი უფრო თვალსაჩინოდ იკვეთებოდა. ჩამოშლილი თმა მსხვილ, ლამაზ და ბრიალა თვალებს რაღაც ღვთაებრივ იერს აძლევდა. ფიქრის დრო აღარ იყო.

„ვიცოდე მაინც, რა ასაკისაა!“ - გაიფიქრა სინანულით და ჩამოშლილი თმა ამჯობინა. თან სტუმარიც ვერ მიხვდებოდა, რომ ქალი საგანგებოდ იყო მომზადებული.

გარდერობიდან შარვალი და შავი მაისური გადმოიღო. იცოდა, ორი შვილის დედა შარვალში შედარებით მსხვილი ჩანდა, მაგრამ ისიც იცოდა, შავ მაისურში გამოკვეთილი მკერდი ნებისმიერი მამაკაცის არსებაში რა გრძნობასაც იწვევდა. შარვალი და მაისური სასწრაფოდ ჩაიცვა. თეთრბოლებიანმა, წითელმა, სქელმა ფრანგულმა წინდებმა და სპორტულმა ფეხსაცმელმა ხუთი წლით მაინც გააახალგაზრდავა ისედაც ახალგაზრდა და მოხდენილი ქალი. სარკესთან „შანელის“ ფლაკონი მონახა, პატარა ლამაზი ფლაკონის საცობი ყურის ბიბილოებზე, ყელზე და მკერდზე რამდენჯერმე მიიღო და კვლავ სარკეში ჩაიხედა.

მოეწონა საკუთარი თავი.

„ვაითუ დააგვიანოს?“ - გაიფიქრა ლიამ და საათს შეხედა. ხუთი სრულდებოდა. არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს სავარძელში ჩაჯდა, საფერფლე სახელურზე დაიდგა, სიგარეტს მოუკიდა და წიგნი გადაშალა.

ბუსტად ხუთზე კარზე დააკაკუნეს.

- ვინ არის? - იკითხა რუსულად ლია რამიშვილმა. იგრძნო, გული როგორ შეუქანდა.

კაკუნი განმეორდა.

ლია წამოდგა, წიგნი მაგიდაზე დადო, სიგარეტი საფერფლეზე მიატოვა და კარისაკენ წელი ნაბიჯით წავიდა. სახელურს ხელი რომ მოჰკიდა, მღელვარება კიდევ უფრო გაუძლიერდა. უნებურად პირველი გადმოიწერა და კარი გამოაღო. კარებში უნაკლოდ ჩაცმული ახოვანი ჭაბუკი იდგა. ხელში იების პატარა კონა ეჭირა და იღიმებოდა.

ლია რამიშვილს რატომღაც არ ეგონა, სტუმარი მასზე ახალგაზრდა თუ იქნებოდა.

ჭაბუკის სახეზე გამოსახული ღიმილი წელ-წელა დაპატარავდა და მალე სულ გაქრა.

- უკაცრავად, მგონი მისამართი შეშეშალა, - თქვა რამაზ კორინთელმა ფრანგულად.

ქალი კიდევ უფრო დაიბნა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და სახეზე უხერხული ღიმილი გამოესახა.

- ლაპარაკობთ გერმანულად? - ჰკითხა სტუმარმა.

ღია რამიშვილმა ისევ უხერხულად გააქნია თავი.

- ინგლისურად?

- ცოტას! - თქვა საშინელი აქცენტით.

- იქნებ რუსული იცით?

- რუსული ვიცი და ძალიან კარგადაც. რუსულიც და ქართულიც! - როგორც იქნა გონს მოვიდა ღია.

- ქართველი ბრძანდებით?

- დიახ, მობრძანდით!

- ვერაფერი გამიგია! - დაბნეული ჭაბუკი ნომერში შევიდა.

- სხვათა შორის, მეც თქვენს დღეში ვარ!

- სანამ გავარკვევდეთ, რა მოხდა, გავიცნოთ ერთმანეთი. ნოდარ ბარამიძე! - გაუწოდა ხელი ქალს.

- ღია რამიშვილი.
- ოთ, ვხედავ, ჩემი მიხაკებისათვის ხელი არ გიხლიათ, - თქვა რამამ კორინთელმა.
- ხელს როგორ ვახლებდი, ყვავილები ხომ მე არ მეკუთვნოდა. დაბრძანდით. - ღიამ სტუმარს სკამი შესთავაზა.
- ყვავილები მისია, ვის ვაზაშიც აწყვია. ინებეთ იების ეს პატარა კონაც! - კორინთელმა ქალს იების კონა გაუნოდა, - წერილს კი, თუ ნებას დამრთავთ, ავიღებ.
- რამდენად სამართლიანია სხვისი ყვავილების მითვისება? - თქვა ნაზად ღიამ და იები ჩამოართვა.
- მშვიდად იყავით, ეტყობა, ველარ ვიპოვი, ვისაც ვეძებ!
- ალბათ ახალგაზრდა და მომხიბვლელი ქალია, არა?
- ალბათ. გულწრფელად რომ გითხრათ, არც მინახავს, ჩემი კოლეგაა ალჟირიდან. ორთავენი ასტროფიზიკაში ერთი პრობლემის ირგვლივ ვმუშაობთ და გვინდოდა ერთმანეთისათვის ექსპერიმენტის შედეგები გაგვეზიარებინა. - კორინთელმა ჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო, - თითქოს ყველაფერი რიგზეა, სასტუმრო, სართული, ნომერი... ჰმ, - ჩაიცინა უცებ სინანულით.
- რა მოხდა? - შეწუხდა ღია. მიხვდა, სტუმარს გუნება გაუფუჭდა.
- ამ ასაკში არ მეპატიება ასეთი დაბნეულობა! ჩემი კოლეგა სასტუმროში „ბუდაპეშტში“ კი არა, „ბუქარესტში“ უნდა მომეძებნა.

- სამწახარო! - თანაგრძობით წარმოთქვა ლიამ, - მაგრამ საგანგაშო არაფერია, აქედან შეგიძლიათ დაურევოთ.

- არ მინდა ბოროტად ვისარგებლო თქვენი ყურადღებით.

- როგორ გეკადრებათ, გთხოვთ!

რამაზ კორინთელმა ყურმილი აიღო და რომან გუგავას ნომერი აკრიფა.

რომანი ბარს ელოდა. ყურმილი აიღო და როგორც კი დარწმუნდა, რომ კორინთელი რეკავდა, მოლაპარაკებისამებრ, მხოლოდ ერთ სიტყვას ამბობდა ყრუ ხმით - „დიახ“.

ღია რამიშვილი სტუმარს აკვირდებოდა. იქნებ უფრო იმან მოხიბლა, შესანიშნავი ფრანგულით რომ ლაპარაკობდა? იქნებ მისმა ათლეტურმა ტანმა და ძვირფასმა, დიდი გემოვნებით შერჩეულმა საფირმო ტანსაცმელმაც მოახდინა შთაბეჭდილება?

ალბათ ყველაფერმა ერთად.

ახალგაზრდა ქალმა ფრანგულად არ იცოდა, მაგრამ ხვდებოდა, ნოდარ ბარამიძე რომ შესანიშნავად ლაპარაკობდა. დროდადრო მომხიბვლელად იცინოდა, ერთი-ორჯერ საათსაც დახედა.

„ალბათ პაემანს უნიშნავს!“ - ახალგაზრდა ქალს შურისგან გული შეეკუმშა.

სტუმარმა ყურმილი დადო და ლიას შეხედა.

- შეიძლება კიდევ ერთხელ დავრეკო?

- რამდენიც გნებავთ.



რამაზ კორინთელმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

- ინებეთ!

- გმადლობთ! - ლიამ კოლოფიდან მოხდენილად ამოაძვრინა სიგარეტი.

კორინთელმა ცეცხლი შეაშველა, თვითონაც მოუკიდა და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

ამჯერად რომანს რუსულად ელაპარაკა.

ღია რამიშვილმა ცალმხრივი საუბრიდან დაასკვნა, რომ მისი სტუმარი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ელაპარაკებოდა.

- ასტროფიზიკოსი ბრძანდებით? - ჰკითხა ლიამ, როცა სტუმარმა ყურმილი ბერკეტზე დადო.

- დიახ.

- რატომღაც ვერ წარმომედგინა ახალგაზრდა ასტროფიზიკოსი. თანაც ისეთი ახალგაზრდა, თქვენ რომ ბრძანდებით.

- რატომ?

- დღევანდელ დღემდე გულწრფელად მჯეროდა, რომ ასტროფიზიკოსები ხანშიშესული და მოსაწყენი ხალხია.

- თუ მე სწორად გავიგე, თქვენი ამრით ასტროფიზიკოსები პირდაპირ მოხუცებად იბადებიან, არა?

- დიას, - გაიცინა ლიამ - დაახლოებით ეგრე წარმომედგინა.

- მგონი, ბევრი დრო წაგართვით, - ფეხზე წამოდგა კორინთელი.

- დრო თავზე საყარადა მაქვს. - გაიღიმა ახალგაზრდა ქალმა და თვითონაც ფეხზე წამოდგა.

„ალბათ ვერასდროს ველარ შევხვდები!“ - სინანულით გაივლო გულში.

რამაზ კორინთელმა მოხდენილად აკოცა ქალს ხელზე.

„რა მანერები აქვს?!“ - აღმოხდა გულში ლია რამიშივილს.

კორინთელი ჰოლში გავიდა და კარის სახელურს ხელი მოჰკიდა.

ლია რამიშივილს უსიამო გრძნობა დაეუფლა. არ ეგონა, უცნობი ადამიანის წასვლა თუ ასე დასწყვეტდა გულს.

სტუმარი შეჩერდა. კარის სახელურს ხელი უშვა და ქალისკენ შემობრუნდა.

- ნება მიბოძეთ, ლია დაგიძახოთ. თქვენ იმდენად ახალგაზრდა ბრძანდებით, რომ ვერ გამიბედავს ქალბატონობით მოგმართოთ.

- გმადლობთ! - სიამოვნებისაგან ჟრუანტელმა დაუარა ლიას.

ოცდარვა წლის ქალის წინაშე ჯერ არ დამდგარიყო ასაკის პრობლემა, მაგრამ მასზე გაცილებით ახალგაზრდა კაცისგან ქალბატონობით მიმართვა, ბუნებრივია, მაინც არ ესიამოვნებოდა. ამიტომაც გაახარა რამაზ კორინთელის სიტყვებმა

- მე ღვთისმოსავი კაცი გახლავართ და მჯერა, ჩვენ რომ ხშირად რაიმე ამბავს შემთხვევას მივანერთ ხოლმე, კანონზომიერია და წინასწარაა ცაში გადაწყვეტილი. მე, როგორც იდეალისტ ფიზიკოსს, მწამს ლაპლასური დეტერმინიზმი.

პასუხად ლიამ მხოლოდ გაიღიმა, რადგან არ იცოდა, რას ნიშნავდა, რა იყო ლაპლასური დეტერმინიზმი. სამაგიეროდ, უკვე იცოდა, სტუმარი რომ აუცილებლად სადმე მიიპატიუებდა და ისიც წინასწარ იცოდა, უარს რომ ვერ ეტყოდა.

- ხომ არ გვევახშმა დღეს ერთად?

ღია რამიშვილი შეყოყმანდა. ერთი სული ჰქონდა დასთანხმებოდა, მაგრამ ეუხერხულებოდა, პირველსავე მიპატიუებაზე თანხმობა განეცხადებინა.

- ნუ გამანზილვთ, თორემ მართო მე კი არა, ღმერთსაც გაანაწყენებთ.

ქალმა გაიცინა.

- ღმერთს ნამდვილად ვერ გავანაწყენებ.

- სად ვივახშმით? - პირდაპირ გადავიდა საქმეზე კორინთელი.

- არ ვიცი. თქვენ სად გირჩევენიათ?

- თუ გნებავთ „ინტერკონტინენტალში“, სადაც მე ვცხოვრობ. გნებავთ, აქვე ჩავიდეთ რესტორანში.

რამაზ კორინთელის თვალს არ გამოჰპარვია, „ინტერკონტინენტალმა“ რომ შთაბეჭდილება მოახდინა.

- აქ უკვე მომბებრდა ერთი და იგივე სახეების ყურება.

- მაშ მე წავალ, მაგიდას შევუკვეთავ და ზუსტად რვა საათისთვის სასტუმროს წინ დაგელოდებით.

\* \* \*

- ვარლამ ბაბუა, სტუმრები მოგიყვანე! - კარებშივე მიახლა ბებუის ძმას, ვარლამ გიგოშვილს, ლიამ, თან ტყავის კურტკა გაიხადა და კორინთელს ანიშნა, შენც გაიხედეო.

- სტუმარი?! - გაუკვირდა ვარლამს. თან სრულიად ახალგაზრდა, მოხდენილი ჭაბუკი ეჭვის თვალით შეათვალიერა.

- შენი კოლეგაა, ფიზიკოსი. ცხვირი ნუ ჩამოუშვი, უხერხულია.

- მობრძანდით! - ნაძალადევად გაიღიმა ვარლამმა.

- გმადლობთ! - თქვა კორინთელმა და პენსიონერი მეცნიერის ოროთახიანი ბინა ყურადღებით შეათვალიერა.

- მაშ ფიზიკოსი ბრძანდებით? - ჰკითხა უცებ ვარლამმა, თითქოს უნდოდა ლიას ნათქვამი შეემონებინა.

- დიახ, ფიზიკოსი გახლავართ, უფრო სწორად, ასტროფიზიკოსი.

- დაბრძანდით, დაბრძანდით.

რამაშ კორინთელი დაჯდა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

- შეიძლება?
- რასაკვირველია, შეიძლება.
- თქვენ არ მონევთ?
- არა, მე არ ვეწევი! - მოხუცმა საფერფლე შემოიტანა და მაგიდაზე სტუმრის წინ დადგა, - რა დარგში მუშაობთ?
- მე ძირითადად რადიოაქტიურობის პრობლემებს ვირკვევ.
- გასაგებია, გასაგები.
- ბოდიშს გისდით, რომ შეგანუხეთ, მგონი, მოსვენებას აპირებდით.
- სულ მოსვენებული არა ვარ?! ყველა საჭირო მალაზია პირველ სართულზეა ამ ქალაქისოდენა შენობაში. ვარ ჩემთვის ამ ბეტონის კუბიკებში გამოკეტილი და ვცოცხლობ წარსულის მოგონებებით. ჩემი დის შვილიშვილი საიდანღა გაიცანით?
- მე მას დიდი ხანია ვიცნობ. გათხოვების შემდეგ თითქმის აღარ მინახავს. სასტუმროში რომ შევხვდი, ძალიან გამიხარდა.
- თქვენ დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობთ? - შეუტრიალა კითხვა კორინთელმა.
- თითქმის ოცდახუთი წელიწადია! - დაფიქრდა მოხუცი. - დიდი მეცნიერი ჩემგან არ გამოვიდა. ცხოვრებაც ვერ მოვიწყე. ჩემს ღარიბულ ბინაში აუცილებელ და საჭირო ნივთებს გარდა ვერაფერს ნახავთ. ბიბლიოთეკას კი ნამდვილად ვერ დამინუნებთ.
- მარტო ბიბლიოთეკა, ბაბუ! განა შენი მარკების კოლექცია უნიკალური არ არის?

რამაზ კორინთელს გულმა რეჩხი უყო.

- ფილატელისტიც ბრძანდებით?

- უფრო სწორად, ვიყავი. რამდენიმე წელია ახალი არაფერი შემიძენია.

- ვარლამ ბაბუას ათასამდე მარკა მაინცა აქვს უნიკალური.

- მე მაინცდამაინც ვერ ვერკვევი ფილატელიაში. ათასი მარკა ალბათ ძალიან დიდ კოლექციად ითვლება, არა?

- კოლექციის სიმდიდრეს მარკების ხარისხი განსაზღვრავს და არა რაოდენობა. მე კარგი მარკები მაქვს, მაგრამ არა ისეთი, ჩემი კოლექცია რომ უნიკალურად აქციოს. თუმცა მაქვს ერთი მარკა, ისაა ჩემი ნამდვილი სიამაყე! - თვალები გაუბრწყინდა მოხუცს. - კაბინეტში გავიდეთ. მინდა გიჩვენოთ.

ყველანი კაბინეტში გავიდნენ. რამაზ კორინთელმა ერთი კარადის ვიტრინაში უამრავი მარკა დაინახა გამოფენილი. თავი შეიკავა, შეეცადა, მღელვარება არ დასტყობოდა. ისეთი სახე მიიღო, ვითომც მარკები სულ არ აინტერესებდა, წიგნებით გადატვირთულ თაროებთან მივიდა და მათემატიკის ისტორიის უძველესი გამოცემის პირველი ტომი გადმოიღო.

- მობრძანდით, თორემ ბატონ ვარლამს ეწყინება! - უთხრა ჩუმად ლიამ.

- ახლავე, ახლავე, - რამაზ კორინთელი მარკებით გამოვსებულ ვიტრინასთან მივიდა, - მაპატიეთ, მაგრამ ისეთი წიგნები დავინახე, თვალი ვერ მოვწყვიტე. - კორინთელმა ყურადღება დაძაბა, ერთი სული ჰქონდა დაენახა მარკა, რომელიც ასე ათასი დოლარი ღირდა.

- აი, ჩემი სიამაყე, აი, ჩემი „ტრაფალგარი!“ - ვარლამმა მალაქიტის კოლოფი გახსნა და სტუმარს ცელოფანში სათუთად გახვეული მარკა დაანახა. მოხუც ფიზიკოსს თვალები სიხარულით უბრწყინავდა, დამჭკნარი სახე სიამაყით ჰქონდა სავსე.

- მაინც რა ეღირება თქვენი „ტრაფალგარი?“ - სხვათა შორის იკითხა კორინთელმა.

- ბევრი, ძალიან ბევრი. გულითაც რომ მოინდომოთ, ვერ იყიდით! - გაეცინა ვარლამს. - სხვათა შორის, გული მწყდება, როცა ფილატელიაში ჩაუხედავი ხალხი მარკას მხოლოდ ღირებულებით აფასებს.

- წელან ვთქვი, ფილატელიაზე წარმოდგენა არა მექვს-მეთქი. ამიტომაც არ ვიცი, მარკა რით უნდა შევადასო. სილამაზით? მაშინ აგერ გაცილებით უფრო ლამაზი მარკები გაქვთ გამოფენილი, ვიდრე თქვენი „ტრაფალგარია!“ - თქვა თითქოსდა განანწყენებულმა სტუმარმა.

- მართალი ხართ, სავსებით მართალი ბრძანდებით. ჩემი „ტრაფალგარი“ დაახლოებით ორასი ათასი დოლარი ეღირება.

- ბაბუ, რას ამბობ! - იყვირა ლიამ.

- დიახ, დიახ ორასი ათასი დოლარი!

- ეს პატარა ქალაქის ნაგლეჯი? - ვითომ არ დაიჯერა რამაზ კორინთელმა. მოხუცმა ფიზიკოსმა პასუხად მალაქიტის ყუთი დახურა და ისევ სევრეტერში შეინახა.

- მარკები არაა თქვენი საქმე, ჯობია წიგნები დავათვალიეროთ, - ვარლამ გიგოშვილს კილოზე ეტყობოდა განანწყენება.

- მართალი ბრძანდებით. ფილატელია ჩემთვის ნამდვილი ჩინურია. ერთი ანეკდოტი, თუ ნამდვილი ამბავი მაგონდება, ამ ორი თვის წინ რომ მიაშვეს პარიზში. თუ ბოროტად არ ვისარგებლებ თქვენი ყურადღებით, გიამბობთ.

- დიდი სიამოვნებით, ჩემო ბატონო, დიდი სიამოვნებით.

- ხომ არ გენყინებათ? ანეკდოტი ფილატელისტება.

- მით უფრო დიდი სიამოვნებით დაგიგდებთ ყურს.

- ლიონში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი. თურმე ბავშვობიდანვე ფილატელიას მისდევდა. ორმოცი წლისა ისე გახდა, ქალი არ უნახავს. წარმოგიდგენიათ ორმოცი წლის ფრანგი, რომელსაც ქალი არ უნახავს? - რამაშ კორინთელმა ლიას ჩაუკრა თვალი.

- ეგ მართლაც სასწაულია! - გაიცინა ბატონმა ვარლამმა.

ლიამაც გაიცინა. პენსიონერ ფიზიკოსს არ გამოჰპარვია, როგორი თვალებით უყურებდა ქალი სტუმარს და დატუქსვის ნიშნად თითი დაუქნია.

- ერთ მშვენიერ დღეს ლიონელი ფილატელისტი პარიზში ჩამოვიდა, განაგრძო რამაშ კორინთელმა, - იქ ერთ ქალს გადაეყარა და პირველად გაიგო სიყვარულის გემო. უმაღვე ტელეფონს ეცა, ლიონში დედას დაუკავშირდა და უთხრა, ახლავე ცეცხლს მიეცი ჩემი მარკები, ჰობი გამოვიცვალე, სიყვარულის გემო გავიგეო.

- შესანიშნავია! - იცინოდა ვარლამი, - მართლაც რომ ფრანგული ანეკდოტია. მაგრამ, ყმანვილო, მე არ ვგავარ იმ ფილატელისტს. დიდი მუსუსი არასდროს ვყოფილვარ, თუმცა მქონია რამდენიმე თავდავინწყებამდე მისული სიყვარული! შენ კი, ჩემო ლია, ჩაი გაგვიშადა. რა ვქნა, მოულოდნელად მობრძანდით, შინ მეტი არაფერი მაქვს.



- როგორ გეკადრებათ. პირიქით, დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის. ღია, თავში ერთი აზრი მომივიდა, - თქვა უცებ რამაზ კორინთელმა, - მოდით, ხვალ სამთავემ ერთად ვივასხმით!

- დიდი სიამოვნებით წამოვალ თქვენთან ერთად რესტორანში. - გაეხარდა ბატონ ვარლამს.

ღია რამიშვილს აშკარად არ ესიამოვნა კორინთელის წინადადება, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა.

- ბატონი ბრძანდებით.

- სად წავიდეთ? - რამაზ კორინთელმა ვითომ ვერ შენიშნა ახალგაზრდა ქალის განაწყენება.

- მაგას მე მოვიფიქრებ! ხვალ რომ მობრძანდებით, გეტყვით ჩემს ვარიანტს, რასაკვირველია, თუკი თანახმა იქნებით.

- არჩევანი თქვენთვის მოგვინდვია! - გაცეინა რამაზ კორინთელს. - ღია, ხვალ აკადემიაში სხდომა დაახლოებით ხუთის ნახევარზე დამთავრდება და პირდაპირ გამოგივლი, ექვსის ნახევრისათვის კი ვთხოვოთ ბატონ ვარლამს მზად დაგვხვდეს. ახლა კი სჯობია წავიდეთ, თორემ სასტუმროში აღარ შეგვიშვებენ. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ვარლამ!

ღიას ხმა მანამდე არ ამოუღია, სანამ ტაქსში არ ჩასხდნენ.

- რაში მოგეპრიანა ბაბუაჩემის დაპატიჟება? - ჰკითხა რამაზ კორინთელს, როგორც კი სავარძელს კარგად მოერგო.

- მომეწონა, მშვენიერი მოხუცია, მიყვარს ძველ ინტელიგენტებთან საუბარი და რაც მთავარია, მინდოდა შენთვის მესიამოვნებინა.

- ხომ არ გავიწყდება, ორად ორი დღე დაგვრჩა. რატომ უნდა გავუყო საათები თუნდაც ძალზე ახლობელ ადამიანს?

- რატომ ორად ორი? განა მთელი სიცოცხლე წინ არა გვაქვს?! - გულუბრყვილოდ გაოცებულმა წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

- არა, ჩემო სიცოცხლე, - პატარა ბიჭვით მოუფერა ლიამ, - სამწუხაროდ, მხოლოდ სამი დღე დაგვრჩა, ორად ორი დღე. ჩვენ მეტს აღარ შევხვდებით ერთმანეთს. ვიცი, ძალიან მძიმე დღეები დამიდგება, შენთან განშორება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ რას ვიზამ, თავს ზევით ძალა არაა. ეტყობა, ღმერთი ბედნიერ წუთებს უხვად როდი სჩუქნის ადამიანებს. იმ რამდენიმე დღისაც მადლობელი ვარ, ჩემთვის რომ გამოიმეტა. შენ კი, მჯერა, ისე მოიქცევი, ნამდვილ ინტელიგენტს და რაინდს რომ შეჰფერის! გასაგებია?

- გასაგები მხოლოდ ერთი რამ არის. თუ შენი გადანყვეტილება საბოლოოა, მე ვკარგავ ადამიანს, რომლის მსგავსად არავინ მყვარებია მთელი სიცოცხლის მანძილზე. თუმცა, გულახდილად გეტყვი, მჯერა, რომ ღმერთი არ გამწირავს!

\* \* \*

- ყველაფერი რიგზეა? - ტაქსიდან გადმოსვლისთანავე იკითხა რამაზ კორინთელმა.

- როგორც დავთქვით, ოცი წუთის წინ შევიდა ვიღაც კაცთან ერთად, - მიუგო რომან გუგავამ.

- ჩვენს გვერდით მაგიდაზე ზის. შენ მოპირდაპირე მხარეს დაჯდები, რომ პირდაპირ

უყურო. მაგიდებს შორის მანძილი ნახევარი მეტრია. მუქი ლურჯი კოსტიუმი აცვია და ღვინისფერი ჰალსტუხი უკეთია. - ნახევრად ჩურჩულით აუხსნა სოსო შადურმა.

- კარგით, ყველაფერი რიგზე იქნება, ცოტა მხიარული სახე მიიღეთ და ჩურჩულს თავი დაანებეთ.

მეტრდოტელი დარბაზის კარებშივე მიეგება ახლად მოსულ სტუმრებს და წინასწარ შეკვეთილი და გაშლილი მაგიდისაკენ გაუძღვა.

რამაზ კორინთელმა შორიდანვე დაინახა მაღალი, ქერა ინგლისელი. მაგიდასთან დინჯად მივიდა, სკამი გამოსწია და დაჯდა. ინგლისელისაკენ არც გაუხედავს.

- მხიარული სახეები მიიღეთ-მეთქი, მგონი, გითხრათ! - ღიმილით გაცრა კბილებში რამაზ კორინთელმა, - რაც მთავარია, თქვენ იქით არ გაიხედოთ.

ორთავენი კორინთელის საპირისპიროდ ისხდნენ, ინგლისელის მხარეს.

ათი წუთი ისე გავიდა, რამაზ კორინთელს ინგლისელისაკენ არც გაუხედავს.

- დროა, გამოელაპარაკო. ეგენი კიდევ ნახევარ საათს დარჩებიან რესტორანში.

- ნუ ღელავ, ჩვენ მხოლოდ ხუთი წუთი გვჭირდება მოლაპარაკებისთვის. ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! - კორინთელმა ჭიჭა მაღლა ასწია და თვალები ინგლისელისაკენ გააპარა.

ინგლისელმა შეთანხმებულებით შეაგება თვალები.

კორინთელმა სიგარეტს მოუკიდა და დინჯად თქვა ინგლისურად.

- ოთხი დღის შემდეგ შევსვამთ „ტრაფალგარის“ სადღეგრძელოს!

რომან გუგავა თავს უქნევდა, ვითომ კორინთელი მას ელაპარაკებოდა.

- სიამოვნებით მოგიტახუნებთ ჭიქას! - ჩაილაპარაკა ინგლისელმა.

- მინდა საბოლოოდ მოვილაპარაკოთ.

- განა უკვე არ შევთანხმდით?

- თქვენ ვისაც შეუთანხმდებით, იგი ხანგრძლივი დროით ისვენებს. ჩემმა კომპანიონმა ინგლისური არ იცის, თქვენი რუსულით კი თითქმის ვერ გაიგო ვერაფერი. ქართული ანდაზაა, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო! კიდევ ერთხელ გავიმეოროთ პირობები.

- მაინც რა გსურთ?

- „ტრაფალგარი“ ორმაგ სიხარულს იმსახურებს. თანაც, ხომ იცით, უცხოელთან სავალუტო კავშირის დაჭერა ორმაგადაა სახიფათო.

- ვიცი, მაგრამ თქვენ ერთი სიხარულით უნდა დაკმაყოფილდეთ! - ინგლისელმა უდარდელად გააბოლა სიგარეტი. მეტის საშუალება არ არის.

- თქვენი სიტყვა საბოლოოა?

- საბოლოო. მე კი, სამაგიეროდ, მზად ვარ, ურთიერთობა გავაგრძელოთ.

- ურთიერთობის გაგრძელება მომავლის საქმეა.

რამაზ კორინთელმა ოფიცინანტს ანიშნა, აქ მოდიო.

- მეორეს რატომ აგვიანებთ?

- თქვენს ბრძანებას ველოდებოდი! - მიუგო თავაზიანად ოფიცინტმა, ახლავე მოგართმევთ.

- სად, როგორ და რანაირად? - თქვა კორინთელმა ინგლისელის გასაგონად, ოფიცინტის წასვლის შემდეგ, თან სოსო შადურს თვალებში შეხედა და ჭიქა მალლა ასწია.

- „ნაციონალში“, გარდერობში, პალტოების ჩაბარების დროს. - კორინთელის გასაგონად ღიმილით უთხრა ინგლისელმა მეგობარს და შამპანურით სავსე ჭიქა ნელა მოწრუპა. - თუმცა არა, კოქტეილბარში ჯობია.

- როდის დატოვებთ კოქტეილბარს?

- როცა თქვენ ან თქვენი მეგობრები ბარში შემოხვალთ და მოითხოვთ „შამპან-კაბლერს“.

- ყოველგვარი გაუგებრობა გამორიცხულია?

- ჩვენ ინგლისელები ვართ.

- ჩვენი არ გეშინიათ?

- მე ვფიქრობ, ღირსეულ ჯენტლმენებთან გვაქვს საქმე.

- გმადლობთ დიდი ნდობისათვის. როგორ მოხდება საქონლის გაცვლა?

- ეს ყველაზე ადვილი პროცედურაა. ამ ხელჩანთას ხედავთ?

რამაზ კორინთელმა სკამზე გადაკიდებულ ტყავის პატარა ხელჩანთას შეავლო თვალი.

- დიახ!

- სასტუმროს ვესტიბულში იყიდება. ჯობია, ახლავე შეიძინოთ. კოქტეილბარში, ვფიქრობ, იოლი იქნება მათი გაცვლა.

- გასაგებია.

- თქვენ წელან მშვენიერი ანდაზა ბრძანეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ისე, ყოველი შემთხვევისათვის, არ დაგიმალოავთ, ჩვენც გვექნება ზომები მიღებული. წესი წესია, პროფესიონალი ყოველთვის პროფესიონალი უნდა იყო, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, თქვენს კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ მეპარება.

- ყველაფერი გასაგებია!

- ახლა მე მაქვს ერთი შეკითხვა.

- მოითმინეთ, ოფიციანტი მოდის. - თქვა რამაზ კორინთელმა და მეგობრებს გაბრაზებული მიუბრუნდა, - ილაპარაკეთ, საჭმელი გადაიღეთ, ჭიქები შეათამაშეთ, რას გაშეშებულხართ და დამუნჯებულხართ უნიჭო კაცის გაკეთებული ქანდაკებებით!

ოფიციანტმა ჯერ თეფშები გამოცვალა, შემდეგ ყველას წინ რესტორნის საფირმო ბიფშტექსი დაუდო.

- სამი ბოთლი ღვინო კიდევ მოიტანე, - კორინთელმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო და თუმნიანი ოფიციანტს გაუწოდა. - ორკესტრს მიართვი, იქნებ რაიმე ფრანგული დაუკრან.

ოფიციანტი წავიდა.

- გისმენთ! - თქვა კორინთელმა და დანა-ჩანგალს დასწვდა.
- იმედი მაქვს, ოპერაცია სუფთად ჩატარდება!
- რასაკვირველია!
- თქვენებური ანდაზაა, დაიჯერე, მაგრამ მაინც შეამოწმეო.
- თუ არ მოვედით, თქვენთვის ყველაფერი გასაგები იქნება, მაგრამ ეს არ მოხდება. კიდევაც რომ დავინვათ, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ.
- ჩვენ ვაფასებთ ჯენტლმენის სიტყვას. გისურვებთ წარმატებას, „ნაციონალში“ შეხვედრამდე! - ინგლისელმა ჭიქა ასწია და შამპანური მოსვა.
- გაგვიმარტოს! - ჭიქა მიუჭახუნა თანამოსუფრეებს რამაზ კორინთელმა და ბოლომდე გამოსცალა.

ორკესტრმა რაღაც ფრანგული მელოდია წამოიწყო. სცენაზე მაღალი, გრძელკაბიანი მომღერალი ქალი გამოვიდა. ბეტონის ბრტყელ მკერდზე ძუძუები მრგვალი აივნებივით ჰქონდა მიდგმული.

რამაზ კორინთელი ვითომ ყურადღებად იქცა. ინგლისელისკენ ზურგით იჯდა, თავით მარჯვენა ხელს დაეყრდნო და მელოდიაში ჩაფლულმა თვალები სანახევროდ მოხუჭა.

ორკესტრმა უკანასკნელი აკორდი აიღო, საქსაფონისტი კორინთელისკენ შემობრუნდა და თავი ოდნავ დაუკრა.

რამაზ კორინთელმა დინჯად, უხმაუროდ დაუკრა ტაში, შემდეგ ხელი ჭიქას წაავლო.

- თქვით რაღაც, ჩემად რომ ყლაპავთ ღვინოს!

თვალი გვერდზე მაგიდისაკენ გაექცა - ინგლისელები წასულიყვნენ.

- ოჰო! - თქვან მოწონების ნიშნად. - დაინახეთ, როდის წავიდნენ?

- ვიგრძენი, მაგრამ უკან არ გამიხედავს. - თქვა რომან გუგავამ.

- აბა, ახლა შევეუბნოთ. სმის ხასიათზე დავდექი!

- დავლიოთ! - შადურმა დიდი ჭიქები შეავსო.

- გაუმარჯოს ჩვენი ოპერაციის წარმატებით დამთავრებას!

- გაუმარჯოს! რომან, ცოტა ხანში გახვალ და ხელჩანთას იყიდი.

სამთავემ ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს და ბოლომდე გამოსცალეს.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ოპერაციის მეთაურობის სადავეები ხელში აიღო და სიხარული დაეუფლა.

- რატომღაც არაყი მომინდა.

- მოვატანინოთ! - შადური შებრუნდა, თვალთ ოფიციალური მონახა და ანიშნა, აქ მოდიო.

- რა არაყი გაქვთ?

- „სტალიჩნი“, „სიბირსკაია“.



შადურმა კორინთელს შეხედა, რომელი გინდაო.

- „სიბირსკაია“! - პირდაპირ უთხრა კორინთელმა ოფიციანტს - ოღონდ, რაც შეიძლება, სწრაფად!

ოფიციანტი გაბრუნდა.

- ორვესტრს ხომ არაფერი შევუკვეთოთ ქართული? - იკითხა რომან გუგავამ და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

- ბატონო რომან, - დამცინავად წარმოთქვა რამაზ კორინთელმა, - რესტორნის მომსახურე პერსონალს მაინცდამაინც ნუ დავამახსოვრებთ თავს. არასდროს არ დაგავინყდეს, რომ მოკრძალება ალამაზებს ადამიანს.

რომან გუგავა მოხიბლული იყო რამაზ კორინთელით. მის ყოველ სიტყვას გაფაციცებით იჭერდა და ალტაცებული თვალებით შესჩერებოდა.

რამაზ კორინთელს გუგავა არ აინტერესებდა. უნდოდა სოსო შადურისათვის მოეთება რქები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნებულიყო ჯავშნოსანშუბლიანი ყმანვილი, რომ რამაზ კორინთელთან ვერაფერს გახდებოდა.

- რატომ დუმხარ? - გულმოსულმა უთხრა შადურმა.

- მე ვდუმვარ? - გაიცინა კორინთელმა და სიგარეტი სახეში შეაბოლა.

- სადღეგრძელოებს არ ვგულისხმობ. საქმეზე რა თქვა.

- დროა, ისწავლო ინგლისური, სოსო ვლადიმროვიჩი!

აი, რომან გუგავამ შესანიშნავად გაიგო მათი ნალაპარაკები.

შადურს სიბრაზისაგან საფეთქლის ძარღვები დაებარა.

- დაწყნარდი, ყველაფერი რიგზეა? - დაამზვიდა უცებ გაცოფებული შადური. - მოდიტ, ახლა ჩვენ ვილაპარაკოთ საქმეებზე. ინგლისელს რა უშავს, გავცვლით ჩანთებს და მორჩა! თუ მეტი არა, ასი ათასი დოლარი წმინდა მოგება განადღებული აქვს. ჩვენ რა უნდა ვუყოთ დოლარებს? არასდროს ვალიუტასთან საქმე არ მქონია.

- ასი ათას დოლარს 10 დღეში ვაქცევ სამასი ათას მანეთად!

- ცოტაა! - რამაზ კორინთელმა ამჯერად რომან გუგავას შეაბოლა სახეში.

- შეიძლებოდა ოთხასი ათას მანეთადაც გვექცია, ოღონდ დიდი დრო იქნება საჭირო. დროსთან ერთად ხიფათიც იზრდება. საჭიროა, ვალიუტა დროზე მოვიშოროთ თავიდან. მე მყავს კაცი, ვინც პირდაპირ დაგვიცლის ხელს.

- კარგით, თანახმა ვარ. ფული როგორ ნაწილდება?

- ათი ათასი დოლარის განსხვავებას მიიღებს რომან გუგავა, რომელმაც საქმე მოგვცა.

- ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგეთანხმებით, ჯენტლმენებო!

- რატომ?! - გაოცდა გუგავა.

- სიტყვა სიტყვა იყოს, მე თანხმობა მივეცი რომანს. - გამომწვევად წარმოთქვა სოსო შადურმა.

- მე? განა მე მივეცი თანხმობა? ან თანხმობა როგორ შემეძლო მიმეცა, სანამ საქმეს საფუძვლიანად არ გავეცნობოდი?

- რას ითხოვ?

ოფიცინანტმა არაყი მიიტანა. სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა.

- რას ითხოვ? - გაიმეორა შეკითხვა შადურმა, როცა ოფიცინანტი წავიდა.

- რომან გუგავამ იმიტომ დაგვიძახა, რომ თვითონ უძლეური იყო ოპერაცია ჩაეტარებინა. ხომ მართალია, ბატონო რომან?

- მართალია, - დაეთანხმა რომანი, - ერთი კაცი ვერ ჩაატარებს ასეთ რთულ ოპერაციას

- მართო რაოდენობაზე არ არის საქმე. ხალხს აქაც მოაგროვებდი, ოპერაციას კი ვერ ჩაატარებდი. არ ვტრაბახობ, არც თავს გამადლით. უჩემოდ ეგ საქმე არ გამოგივიდოდათ. მე ვითხოვ ათი ათასი დოლარით მეტს. დანარჩენი გაიყოფა სამზე. თუ სოსო შადურს სინდისი ქენჯნის პირობის დარღვევის გამო, შეუძლია თავისი თანხიდან გადამიხადოს განსხვავება. მე პირობა არც დამიდვია და, აქედან გამომდინარე, არც ვარღვევ. მე ჩემსას მოვითხოვ. თქვენ შეგიძლიათ დამეთანხმოთ, შეგიძლიათ არ დამეთანხმოთ. მაშინ მე გავდივარ თამაშიდან. იმიტაც კმაყოფილი ვარ, რომ ღია რამიშვილს შევეყვარდი.

- არ ხარ მართალი! - გაცოფებულმა შადურმა ჭიქა ლამის დაახეთქა მაგიდაზე.

- ნერვები დაიოკე, ყმანვილო! - ხმადაბლა, მარამ მუქარით უთხრა კორინთელმა.

- მე თანახმა ვარ! - თქვა უცებ რომან გუგავამ. აშკარად შეშინდა, კამათი უთანხმოებაში

არ გადაზრდილიყო. წინადადება სწორია. თუ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის, რამაზ კორინთელის დამსახურება იქნება. მე თანახმა ვარ. ათი ათასი განსხვავება თქვენ, დანარჩენი გაიყოფა სამზე. ძალიან გთხოვთ, დაწყნარდეთ. მე კი გავალ და ჩანთას ვიყიდი.

რომანმა შადურს გადახედა. სოსოს დანა კბილს არ უხსნიდა. ათი ათასი დოლარი კი არ ადარდებდა, საბოლოოდ დარწმუნდა, რამაზ კორინთელი პირველობას ჩემულობდა.

- ნუ გეშინია, სოსო ვლადიმროვიჩი, - მიუხვდა კორინთელი, - შენ კვლავ მეთაური და ლიდერი იქნები. „ტრაფალგარი“ იქნება ჩემი უკანასკნელი ოპერაცია. შემდეგ სამუდამოდ დაგიკრავთ თავს. მეცნიერებთანაც მეყოფა დავა და ინტრიგა, იქაც ბევრია საბრძოლო და სადავიდარაბო.

სოსო შადურს არ ესაიშვნა, კორინთელმა რომ გამოიცნო, გულს რა ჭიაც უღრღნიდა. ხმა აღარ ამოუღია, გაჩუმება არჩია.

ამასობაში გუგავა შემობრუნდა და ხელჩანთა სკამის სახელურზე დაჰკვიდა.

- ნება მომეცით, ჯენტლმენებო, თქვენი დუმილი მივიჩნიო თანხმობის ნიშნად! - თქვა რამაზ კორინთელმა და თან გუგავას სკამის სახელურზე გადაკიდებული ჩანთა შეათვალიერა.

რომან გუგავამ არაყს ბორჯომი დააყოლა.

- ოცი წელია მოსკოვში ვცხოვრობ, ვერ შევეჩვიე ამ უპატრონოს!

- მოდით, ახლა ოპერაციის მოგიერთი დეტალი დავამუშაოთ. მოგი რამ შეიცვალა. მე დავარწმუნე ლია რამიშვილი, რომ არ ღირს აეროპორტამდე გაცილება. ვაითუ.

შეყვარებულმა ქალბატონმა თავი ველარ შეიკავოსო, ტირილი წასკდეს. ვნუკოვო კი სავსე იქნება ქართველებით, ნაცნობ-მეგობრებით. აბა, კარგად დაიმახსოვრეთ: თერთმეტ საათზე რომანი მოვა ჩემთან, სასტუმროში. თორმეტის ნახევარზე ვიქნებით მოხუც ფიზიკოსთან, თორმეტისათვის მივალთ ქალბატონ ლიასთან „ბუდაპეშტში“ ლია რამიშვილი მზად დაგვხვდება აეროპორტში გასამგზავრებლად. ჩემო რომან, მიუხედავად იმისა, რომ ოცი წელია მოსკოვში ცხოვრობ და მშვენიერი რუსული იცი, ხმას მაინც ნუ ამოიღებ, ერთმა ქართული აქცენტით ნათქვამმა ფრაზამ შეიძლება საბოლოოდ ჩაშალოს ჩვენი ოპერაცია. შენი „ვოლგით“ ჩემზე ხარ მომაგრებული მეცნიერებათა აკადემიის მესვეურთა მიერ. შენ მანქანაში რჩები, მე და მოხუცი მივდივართ ქალბატონ ლიასთან. გამოთხოვების გულისამაჩუყებელი სცენები და ლია რამიშვილის ტაქსი ჩასმა დაიჭერს ერთ საათს. როგორც კი ტაქსი თვალს მიეფარება, მე და ბატონი ვარლამი ვჯდებით შენს მანქანაში. დანარჩენი როგორც ტექსტშია.

- სჯობდა კი, უსისხლოდ გადავრჩენილიყავით! - თავი გაიქნია რომან გუგავამ.
- უსისხლოდ რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ ჩვენ არც დაგვიძახებდი! - ჩაიცინა რამამ კორინთელმა, - თუმცა შეგიძლია მშვიდად იყო, სისხლი ნამდვილად არ დაიღვრება. მოხუცი ისე უნდა მოვგედოთ, ძალადობის კვალაც არ დააჩნდეს. როცა მდინარეში იპოვნიან, მრავალ ვერსიათა შორის ერთი უნდა იყოს ყველაზე გამოკვეთილი: მართხელა და გადაბერებულმა პენსიონერმა თავი დაიხრჩო. ამიტომაც, როცა ბინაში შევალთ, ხელს არაფერს ვახლებთ. წამოვიღებთ მხოლოდ მარკას.
- არა ჯობია, რაიმე სიმძიმე შევაბათ და მდინარეში ისე გადავავდეთ? - გაუბედავად იკითხა რომან გუგავამ.
- ერთხელ ხომ უკვე მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით. ახლა თავიდან დავინწყობ?! მოხუცი თუ გაქრება, მილიცია უფრო დაინტერესდება. როცა გვამს იპოვნიან და ძალადობის კვალს ვერ აღმოაჩენენ, თან ბინაში ყველაფერი ხელუხლებლად

დახვდებით, ჩემს მიერ ნავარაუდები ვერსია ოფიციალურ ფაქტად იქცევა. გვამზე რკინის შებმა არ არის ძნელი, - რამაშ კორინთელმა არაყი სულმოუთქმელად დაცალა, - ჩემს გვგამში რაიმე თუ არ მოგეწონათ, კიდევ ვიმსჯელოთ, ოღონდ რასაც დღეს გადავწყვეტთ, კანონად ვაქციოთ.

- იქნებ სულაც სჯობდეს სახლში აპყვე და იქ მოგუდო? მაშინ ხომ ყოველგვარი ეჭვი გამორიცხულია - თქვა შადურმა.

- ხომ ხედავთ, რამდენს მეტს იმსჯელებთ, მეტ სისულელეს იტყვით. ვთქვათ, მივიყვანე სახლში და შევთავაზე შინამდე აცილება. მან კი სასტიკი უარი განმიცხადა. ჩვენ ხომ მეტი შანსი აღარ გვექნება, ფრთხილი და მშიშარა მოხუცი ფიზიკოსი კიდევ ჩავისვათ მანქანაში!

- მართალი ხარ, ბოდიშს ვიხდი! - თქვა დარცხვენილმა შადურმა. - მაგრამ ერთი საკითხი მაინც რჩება გაურკვეველი, მხოლოდ ერთი საკითხი. შინაურებმა ხომ იციან „ტრაფალგარის“ არსებობის ამბავი. როცა სეკრეტერში მარკას ვეღარ აღმოაჩენენ, ხომ მიხვდებიან, რომ მოხუცი მოკლულია.

- ნათესავებმა იციან, რომ ბატონ ვარლამს ჰქონდა „ტრაფალგარი“, მაგრამ არ იციან, რა უყო ამ ძვირადღირებულ და უიშვიათეს მარკას. იქნებ გაყიდა? იქნებ ვინმეს აჩუქა? ბინაში ყველაფერი ხელუხლებელი იქნება, მათ შორის ის ათასამდე მარკაც, რომელიც მოხუცს თავის სიცოცხლეში მოუგროვებია. შინიდან მარკის გატაცების ვარიანტი გამორიცხულია. აბა წარმოიდგინეთ, მკვლელმა მოახრჩო მოხუცი, ხელთ იგდო სასურველი მარკა, შემდეგ ოთხი სართულის სიმაღლიდან ჩამოიტანა მოხუცის გვამი და გადააგდო მდინარე მოსკოვში! დამეთანხმებით, წარმოუდგენელია. ახლა მეორე ვარიანტიც. მოხუცმა რაღაც მიზეზით, ვთქვათ, გასაყიდად, შინიდან გაიტანა „ტრაფალგარი“. ვიდაცამ იგი მოკლა, ჯიბიდან მარკა ამოართვა, ხოლო გვამი მდინარეში გადააგდო. სავარაუდო ვარიანტია, ჩვენთვის გაცილებით უკეთესი. და მესამე,

ყველაზე საუკეთესო ვარიანტი: მივინწყებული პენსიონერის ნათესავებიდან ვიღას ახსოვს მისი „ტრაფალგარი“. ან თუ ახსოვს, იფიქრებენ, ალბათ, გაყიდა ან რამდენიმე მარკაში გადაცვალაო. ყველა როდია ფილატელიაში გათვითცნობიერებული. ნახავენ, გვამს ძალადობა არ ეტყობა, ბინა ხელუხლებელია, ცხრაას ოცდაცხრაამეტი მარკა ვიტრინაში და სეკრეტერშია გამოფენილი და დალაგებული.

- მაგრამ ლია? ხომ არსებობს ლია რამიშვილი, რომელმაც სტუმად მიგიყვანა მოხუცის ოჯახში და შენთან ერთად ნახა კიდევ მალაქიტის კოლოფში მოთავსებული „ტრაფალგარი“? რა ვუყოთ ლიას? - გაცხარდა სოსო შადური. დარწმუნებული იყო, ამჯერად საფუძვლიანი არგუმენტი წამოაყენა და კორინთელი კუთხეში მიიმწყვდია.

რამაზ კორინთელს დამცინავად ჩაედინა. მერე არყის ბოთლი მალლა ასწია, ოფიცინანტს დაანახა და ანიშნა, ერთი ცალი კიდევ მოიტანეო.

- თქვენ, რაღაც, გატყობთ, გეშინიათ. კი ბატონო, არ გაძალებთ. შევეშვათ „ტრაფალგარს“ და მივხედოთ ჩვენ საქმეს.

- კარგად იცი, შიში არ მჩვევია. სიფრთხილე შიში როდია! - გაბრაზდა სოსო შადური, - ისიც იცი, ბოლომდე, უწვრილმანეს ნიუანსებამდე მიყვარს ოპერაციის დამუშავება!

- გეთანხმები, უშიშარი კაცი ხარ, იოსიფ ვლადიმროვიჩი, მაგრამ ძალიან ცუდი ფსიქოლოგი ბრძანდები ამავე დროს!

რამაზ კორინთელმა იცოდა, ყველაზე უფრო „იოსიფ ვლადიმროვიჩი“ აგიჟებდა სოსო შადურს. ხვდებოდა, დაცინვასთან ერთად რამოდენა ღვარძლს დებდა ამ ორ სიტყვაში კორინთელი.

- დამისაბუთე!

- შევეცდები, ჩემო სოსო, შევეცდები. დღეს რაღაც ანდაზების ხასიათზე ვარ, ხომ გაგიგონია, ცდა ბედის მონახვერეაო. ღია რამიშვილი ხმას არ ამოიღებს შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ვერ მიხვდება, რომ „ტრაფალგარი“ მე გავიტაცე. თუ მიხვდა, როგორ ფიქრობთ, მშვენიერი მეუღლისა და დიდი თანამდებობის მამის პატრონი გამუღავნებს თავის კავშირს მკვლელთან? რამდენად მიზანშეწონილი იქნება, შეეცადოს ჩემს მხილებას? მოდით, ღია რამიშვილის თამადაობით ქალებს გაუმარჯოს! - რამაზ კორინთელმა ჭიქაში წვეთი არ ჩასტოვა. სხეული გაუთბა, გაუმსუბუქდა, თვალები წამოენთო, გახალისდა და გამხიარულდა.

- ნუღარ სვამ, უკვე მთვრალი ხარ, ჩვენ კი გეგმა ბოლომდე არ შეგვიმუშავებია.

- გეგმა ბოლომდეა შემუშავებული, ოღონდ თქვენ დაანებეთ თავი ჩხირკედელაობას. შენ ერთი გახსოვდეს, - მიუბრუნდა რომან გუგავას, - როგორც კი „ლენინგრადსკოე შოსზე“ გავალთ, მე „დომინოს“ სტადიონამდე გავანთავისუფლებ მოხუც ფიზიკოსს ამქვეყნიური ტვირთისაგან. სოსო სტადიონს ოდნავ იქით დაგველოდება. მანქანა ისე უნდა ატარო, შექნიშნებთან გაჩერებამ რომ არ მოგვიჩიოს, თორემ გვერდით გაჩერებული მანქანებიდან შეიძლება შეგვნიშნონ, რა საქმიანობით ვიქნებით გართული.

- ფიქრი ნუ გაქვს! - ჩაიცინა გუგავამ.

რამაზ კორინთელმა ისევ ხარბად დაღია არაყი. უკვე მეორე ბოთლი არაყი იცლებოდა. სოსო და რომანი სანახევროდ არ სვამდნენ. კორინთელს თვალებზე თითქოს ლიბრი გადაეკრა, ადამიანების სახეებს კარგად ვეღარ არჩევდა.

უცებ ჩაიცინა და თავი ჩაჰკიდა.

- რა გაცინებს? - ჰკითხა სოსო შადურმა.

- რა იოლად ვლაპარაკობ კაცის მოკვლაზე! - რამაზ კორინთელმა ისევ დაისხა არაყი.



- გეყოფა, რამაზ, უკვე ძალიან მთვრალი ხარ!

- მთვრალი შენ ხარ! თუ არა ხარ, დაისხი და დალიე!

ჭიქა კვლავ ბოლომდე გამოსცალა.

- იცი რა გუნებაზე ვარ? მინდა ვიმღერო, ვიცეკვო, ოღონდ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, მაინცდამაინც თავს ნუ დავამახსოვრებთ რესტორნის მომსახურე პერსონალს!

- ამიტომაც ნუ დალევ. ჯობია, ანგარიში გავასწოროთ და წავიდეთ.

- ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ, ჩემი ნუ გედარდებათ. ჰო, რას ვამბობდი? კაცის მოკვლა გადავწყვიტე და ვითომც აქ არაფერი, შესანიშნავ გუნებაზე ვარ. მახსოვს, ჯარში, ორმოცდაორი წელი იყო, მოღალატე დავიჭირეთ.

- ვინ დაიჭირეთ? - გაიღიმა რომან გუგავამ.

- სამშობლოს მოღალატე. მე მაშინ სერჟანტი ვიყავი. ოფიცერმა მიბრძანა დამეხვრიტა. ფერი დავკარგე, მუხლი მომეკვეთა. აკანკალებულმა ხესთან მივიყვანე. ხელეშეკრული მორჩილად იდგა და საცოდავად შემომჩერებოდა. ავტომატი დავუმიზნე, ვერა და ვერ ვესროლე. სახეზე ოფლმა დამასხა. უცებ სროლის ხმამ ყურები გამიყრუა. შიშისაგან გული შემიქანდა, მოღალატე იქვე ჩაიკეცა. მოვიხედე. ერთ ჩემს მეგობარს შევბრალებოდი და მიხსნა გასაჭირისაგან. მაშინ რას წარმოვიდგენდი...

რამაზ კორინთელს სიტყვა ხარხარმა გაანწყვეტინა. თავი ასწია, რომან გუგავა ისე იცინოდა, სკამზე ვეღარ მაგრდებოდა.

- შესანიშნავი არტისტიც ყოფილხარ, რამაზ ბატონო!

კორინთელი გამოერკვა. მიხვდა, რაც წამოაყრანტალა და თვითონაც სიცილი დაიწყო.

არ გასცინებია მხოლოდ სოსო შადურს. გულში მიკუჭული ეჭვი სიბნელებში დამწყვედული მოზვერივით გამოიჭრა გარეთ.

რამაზ კორინთელს დააკვირდა. სახის არცერთი ნაკვთი არ უმოძრავებდა. სახე ტლანქად დახატულ მოცინარ ნიღაბს მიუგავდა, რომლის წარბების ქვეშ ორი ჭრილიდან ვიღაცის გაბოროტებული თვალები შემოსცქეროდა.

\* \* \*

ღია რამიშვილმა საათს დახედა. აეროპორტში გამგზავრებამდე ერთი საათიღა რჩებოდა. სავარძელში ჩაჯდა და სიგარეტი ამოიღო. გულზე საშინელი სევდა შემოანვა. ნუხელაც ფიქრობდა, რომ არ ნანობდა რაც მოხდა, დარწმუნებული იყო, რომ სინდისის ქენჯნა არ აწუხებდა. მაგრამ აი, გათენდა დღევანდელი დღე, დაიწყო გასამგზავრებლად მზადება და ერთბაშად მიხვდა და ერთბაშად იგრძნო, რა დანაშაულიც ჩაიდინა. ეტყობა პირველსავე დღესაც აწუხებდა გადადგმული ნაბიჯი. აბა რატომ ეკამათებოდა, რატომ არწმუნებდა საკუთარ თავს, სრულებითაც არ ვნანობ, მეუღლეს რომ ვუღალატეო?

დღეს, როცა თვალნათლივ წარმოიდგინა, სულ რამდენიმე საათში თბილისის აეროპორტში მეუღლეს და შვილებს რომ უნდა შეხვედროდა, ხუხულასავით დაინგრა მთელი მისი თეორიები, რამაზ კორინთელთან ურთიერთობის შემდეგ რომ შეიმუშავა.

მაინც რა მოხდა?

ხომ ვერ იტყვის, რომ განათლებული და მომხიბვლელი ჭაბუკი შეუჩნდა, გასაქანი არ მისცა და შეაყდინა?

განა პირველსავე წინადადებაზე არ დასთანხმდა, „ინტერკონტინენტალში“ ერთად ვვახშმათ?

განა წინააღმდეგობის განწევა მაინც სცადა, როცა ნოდარ ბარამიძემ პირველად აკოცა?

განა ერთხელ მაინც თქვა უარი, როცა ჭაბუკმა სასტუმროს ნომერში აიყვანა?

განა წინასწარ არ იყო ფსიქოლოგიურად მომზადებული, რომ მსგავსი საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა?

მაშ, რამ მოხიბლა და რამ მონუსხა?

ნოდარ ბარამიძის შესახედაობამ?

განა ცოტა გასთამაშებია უფრო მშვენიერი ბიჭები, თანაც ასაკითაც უფრო შესაფერისები, ვიდრე ნოდარ ბარამიძე იყო?

იქნებ მისმა განათლებამ და ინტელექტმა მოხიბლა? ახლაც თვალწინ დაუდგა, როგორ ლაპარაკობდა ახალგაზრდა მეცნიერი ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად...

იქნებ მეუღლისაგან საოცრად განსხვავებულმა მამაკაცმა სულ სხვა ემოციები გაუღვიძა, აქამდე რომ მის არსებაში უიმედოდ თვლემდა?

ღია რამიშვილს თვალწინ მეუღლე წარმოუდგა. მაღალი, ბრგე, უინტელექტო სახის საქმიანი ვაცი, რომელიც კოცნის დროსაც კი თავისი სამმართველოს საქმეებზე ფიქრობდა.

იქნებ ერთბაშად იფეთქა დაგროვებულმა გრძნობამ?

ამ ბოლო დროს ხომ შეუღლეს ახალგაზრდა, მზრუნველ და ყურადღებიან მამად უფრო აღიქვამდა, ვიდრე... ვიდრე... თავისი ოცნების მამაკაცად?

იქნებ შეცდომა იყო, თხუთმეტი დღის მანძილზე მართო რომ ცხოვრობდა სასტუმროში? იქნებ მართოდ დარჩენილ ქალის გონებას ეშმაკი გაცილებით იოლად ეუფლება?

დაბნეული, სრულიად განადგურებული ქალი ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რამ აამჩატა, რამ მონუსხა და მოაჯადოვა.

რომ შესძლებოდა, როგორ ამოშანთავდა თავისი განვლილი ცხოვრებიდან იმ დღეებს, ჯერ კიდევ გუშინ უბედნიერესად რომ ეჩვენებოდა.

რამაზ კორინთელმა ზუსტად თორმეტზე დააკაკუნა.

ახალგაზრდა ქალმა საათს დახედა და ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა:

- შემობრძანდით.

კორინთელმა კარი ფრთხილად შეაღო. ხელში ცელოფანში გახვეული სამი თეთრი მიხაკი ეჭირა.

მაგიდასთან ლამაზი პატარა ჩემოდანი და ხელჩანთა იდო. კორინთელმა ყვავილები მაგიდაზე დადო, ლიასთან მივიდა, დანაღვლიანებულ, სევდით ავსებულ ქალს ხელები თმაში შეუცურა, თავი მაღლა აუწია და საკოცნელად დაიხარა, მაგრამ ქალის ფოცხვერვივით გამძვინვარებულმა თვალებმა ადგილზე გააშეშა.

- რა დაგემართა, ლია?! - რამაზ კორინთელმა უკან დაიხია.

ძნელი მისახვედრი არ იყო, ნუხანდელი ღამის განმავლობაში ახალგაზრდა ქალის არსებაში რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა.

- ნოდარ, - დაიწყო მცირეოდენი დუმილის შემდეგ ღია რამიშვილმა, - ვიცი, შენ უბრალო ადამიანი არა ხარ. მე ვაფასებ შენს დიდ განათლებასა და კულტურას. ამიტომ, იმედი მაქვს, რასაც გეტყვი, აქვე, ამ ნუთში მოკვდება.

- ღია!

- ძალიან გთხოვ, ხელს ნუ შემიშლი. სათქმელი ბოლომდე მათქმევინე.

ახალგაზრდა ქალს ღანვებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

- არ ვიცი, რა აზრისა ბრძანდები ჩემზე. არც მე ვიცი, რა დამემართა, რა ძალამ გადამადგმევინა საბედისწერო ნაბიჯი. საყვედურს არ გეუბნები, არც არაფერში გადანაშაულებ. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. სამწუხაროდ, რაც მოხდა, მისი დავინწყება აღარ შემიძლია. რამდენიმე დღემ, რომლებმაც თითქოს ბედნიერება მომიტანა, ალბათ, სამუდამოდ დაამჩნია ჩემს სულს დაღი.

ღიამ ცრემლები მოიწმინდა, მცირეოდენი პაუზით თითქოს სულიც მოითქვა და უფრო მტკიცედ განაგრძო.

- შენზე კვლავინდებურად დიდი აზრისა ვარ. მინდა გულწრფელად მჯეროდეს, რომ მე შენთვის არ ვიყავი რიგითი ქალი და აქ ერთად გატარებული დღეები არ იყო რიგითი სასიყვარულო ისტორია. იმედი მაქვს, ჩემს საქციელს მოუნახავ გამართლებას. მოუნახავ და სამუდამოდ დაივინყებ! ახლა კი დაბლა ჩავიდეთ.

- ღია!

- ძალიან გთხოვ, ნურაფერს მეტყვი. ბაბუაჩემი აქაა?

- დაბლა გველოდება.

- ნეტავ არ მოსულიყო! - ამოიოხრა ლიამ, ხელჩანათას დასწვდა და კარისაკენ გაემართა.

- არ მინდოდა წამომეყვანა, რა არ ვუთხარი, მაგრამ აიჩემა, უნდა გავაცილოო, სხვა რა პატივისცემა შემძლია პენსიონერ მოხუცსო.

ლიამ ერთი კი დახედა მიხაკებს, მაგრამ არ აუღია. სასტუმროს ნომერში მაგიდაზე დარჩენილი ყვავილებით სამუდამოდ დაუსვა წერტილი იმ დღეებს, რომლის გახსენება აღარ სურდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვედარც დაივიწყებდა.

ვარლამ გიგოშვილი სასტუმროს ვესტიბიულში რბილ სავარძელში მოკალათებულიყო და გაბეთს კითხულობდა.

- გამარჯობა, ბაბუ! - წაადგა თავზე ლია რამიშვილი.

- უკვე ჩამოხვედი? - ასაკისათვის უჩვეულოდ სწრაფად წამოდგა ვარლამი, გაბეთი დაკეცა, სავარძელზე დადო და ქალის მოშვერილ ლოყას ტუჩებით ნაზად შეეხო.

- ტაქსი უკვე გელოდება? - ჰკითხა ვარლამმა.

- ათი წუთია, მელოდება!

- ნომერი ხომ იცი?

- ვიცი, ზეპირად მახსოვს.

მასის წყნარი, ღრუბლიანი დღე იდგა. ერთ ალაგას ძველი ქსოვილივით გაცრეცილ ღრუბელში მზის ოქროსფერი დისკო იკვეთებოდა.

ტაქსის შოფერმა პროტესიული გუმანით იცნო თავისი მგზავრები და კორინთელს ჩემოდანი ჩამოართვა.

სამთავენი ტაქსთან მივიდნენ. კორინთელმა უკანა კარი გამოაღო.

- ნახვამდის, ბაბუ!

- ნახვამდის, შვილო. აბა შენ იცი, ჭკვიანად იყავი! - ვარლაში ისევ ნაზად ეამბოროა ქალის მოშვერილ ლოყას.

- ნახვამდის, ნოდარ!

- ნახვამდის, ლია! - კორინთელი დაიხარა და ქალს ყურში უთხრა, - მინდა ერთი რამ გჰეროდეს, ლია, არასდროს არ ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც ამ ხუთ დღეს. მშვიდობით!

ტაქსის შოფერს ეგონა, აეროპორტში სამთავე მიდიოდნენ. ქალის ბრძანებაზე შეცბა.

- ნავიდეთ? - მოუბრუნდა მგზავრს.

- ნავიდეთ და, რაც შეიძლება, სწრაფად!

ტაქსი მალე მიეფარა თვალს. ვარლაში და რამაშ კორინთელი გამომშვიდობების ნიშნად კიდევ დიდხანს იქნევდნენ ხელებს.

- ნავიდა! - თქვა უცებ პენსიონერმა ფიზიკოსმა.

- დიახ, წავიდა, ბატონო ვარლამ!

- ძნელია მართობა, ყმაწვილო! ვინ იცის, კიდეც როდის შემომივლიან საქართველოდან ჩამოსული ნათესავები. მემობლებთან საერთო არაფერი მაქვს. მეგობრების უმრავლესობა დამეხოცა, ბევრი დაუძღურდა. თითქმის მთლიანად გავწყვიტე მათთან კავშირი. წიგნები და ტელევიზორი - ესაა ჩემი გასართობი სიკვდილამდე.

- ცოლ-შვილი არ გყოლიათ, ბატონო ვარლამ?

- ცოლი მყავდა, ადრე მომიკვდა. შვილი არ შეგვეძინა. დავრჩი სულ მარტო.

- წავიდეთ, შინ მიგიყვანთ. ჩვენი მანქანა ცოტა იქითაა გაჩერებული.

- წავიდეთ, შვილო! - ბატონი ვარლამი შეკრთა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გორკის ქუჩაზე იყვნენ.

ვარლამი ფიქრმა გაიტაცა. მანქანაში დუმილი ჩამოვარდა.

რამაზ კორინთელმა რამდენჯერმე გადახედა მოხუცს, თან რომან გუგავას გვერდით დადებული ბალიში შეათვალიერა.

„სულ არ მწყდება გული, ღია რომ წავიდა? - დაფიქრდა უცებ კორინთელი, - ან სინდისი არ მქენჯნის, უსინდისოდ რომ მოვატყუე? თუ როდესმე გაიგო და ალბათ გაიგებს, როგორ გავაცურე, რას იზამს? შეიძლება თავი მოიკლას კიდეც“.

კორინთელი დარწმუნდა, სინდისი სრულებითაც არ ქენჯნიდა. პირიქით, სიამოვნებას ანიჭებდა ოსტატურად გათამამებული სიყვარული. არ ეგონა, თუ ამდენი შინაგანი არტისტიზმი ჰქონდა.



„აღბათ, უხმოდ ტირის ტაქსში“.

თვალი კვლავ გიგოშვილისაკენ გააპარა. არც ახლა უგრძნია სინდისის ქენჯნა. ხომ იცოდა, სანყალი პენსიონერი რამდენიმე წუთის შემდეგ უსულო სხეული იქნებოდა.

რომან გუგავას შეავლო მზერა. იგი დაძაბული უკდა საჭეს, ყბა საგრძნობლად უცახცახებდა.

„ღმერთო, ნუთუ ასე შევიცვალე, ნუთუ ასე მშვიდად შემიძლია ვიჯდე მანქანაში, როცა რამდენიმე წუთში ეს უბედური მოხუცი უნდა მოვახრჩო?“

რამაზ კორინთელმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია.

„შინც რა მოხდა? განა აკადემიკოსი დავით გიორგაძე ასე იოლად გაიმეტებდა კაცს მოსაკლავად?! ან გაიმეტებდა კი საერთოდ? განა შეეძლო, გულში თუნდაც ფიქრად გაეველო ქურდობა და ბანდიტობა?“

მამ რა მოხდა?

განა შეხედულებები შევიცვალე? განა იგივე აზრისა არა ვარ კაცთმოყვარეობაზე, სათნოებაზე, პატიოსნებაზე?

განა ვერ ვაფასებ ჩემს საქციელს; განა არ ვიცი, რა საზიზღრობასაც ჩავდივარ, რა წუმპეში ვარ ჩაფლული?

მამ რა დამემართა? რატომ არ ვგრძნობ ზიზღს საკუთარი თავის მიმართ?

ზიზღს ვინ დაეძებს, როცა მსიამოვნებს კიდევ ჩემი საქციელი, ჩემი ნამოქმედარი?

ვინ ვარ მე? რამაზ კორინთელი, დავით გიორგაძე თუ ვილაც სხვა, მესამე?

ვილაც სხვა, მესამე...

ხომ არ დადგა დრო, ვთქვა, გავამხილო, ვინცა ვარ?

რა მოხდება მაშინ?

შეუძლებელია!

ეს ხომ ღალატი იქნება ზურაბ თორაძის მიმართ. ღალატზე კი, ეტყობა, ერთი აზრისანი არიან რამაზ კორინთელის გენი და დავით გიორგაძის ინტელექტი!

რა ბედნიერი დამთხვევაა!" - მწარედ გაეღიმა გულში კორინთელს.

„ვთქვით, გავამხილე, ვინცა ვარ. როგორ მიმიღებს საზოგადოება? უიშვიათესი ეგზოტიკური ცხოველივით ხომ არ გავხდები ყველას თითოთ საჩვენებელი?

არა, არა, შეუძლებელია!" - რამაზ კორინთელმა უნებურად გააქნია თავი, ფიქრები თავიდან მოიშორა და თვალი კვლავ მოხუცს შეავლო.

ხუთ ნუთში „ლენინგრადსკოე შოსეზე“ იქნებოდნენ.

რამაზ კორინთელმა შავი ტყავის კურტკის ჯიბიდან თხელი ტყავის ხელთათმანები ამოიღო და ხელეებზე წაშოიცვა.

- დღეს მშვენიერი ამინდია, თბილა, - თქვა უცებ ვარლამმა, - ეტყობა, არ ხართ სიცივეს მიჩვეული!

- განა მცევა. უბრალოდ, მიყვარს ხელთათმანები.

მანქანა ჯერ კიდევ გორკის ქუჩაზე მიჰქროდა.

რომანმა ჩაახველა.

რამაზ კორინთელმა ირგვლივ მიმოიხედა. პირდაპირ კედზე აჯდა მწვანე „ჟიგული“.

- გაუშვი!

გუგავამ სვლა შეანელა. მწვანე „ჟიგული“ წინ გაიჭრა. უკან მანქანები აღარ მოდიოდნენ. შექნიშანმა დროებით შეაჩერა რკინის ნიაღვარი.

რომანმა ისევ ჩაახველა.

კორინთელმა წინა სავარძლიდან მომცრო ბალიში აიღო.

ვარლამმა ბალიშს გაკვირვებით შეხედა.

არ იცოდა, რისთვის იყო ბალიში მანქანაში საჭირო. ამასობაში კორინთელმა მარცხენა ხელი მოხუცის ბურგს უკან ფრთხილად გადააპარა, ირგვლივ კიდევ ერთხელ მიმოიხედა და ახლომახლო მანქანა რომ ვერ დაინახა, მოხუცის გამხმარი ნიკაპი მუჭში მოიქცია, ხელის ღონიერი მოძრაობით მუხლებზე სწრაფად გადმოიწვინა და ბალიში სახებზე დააფარა.

- მორჩა! - ჩაესმა მოხუცს კორინთელის ხმა.

სიკვდილის წინ ალბათ ყველაფერს მიხვდა. ვინ იცის, რა გაიფიქრა, სანამ გული

გაუჩერდებოდა. შეეძლო კი რაიმეს გაფიქრება? საცოდავი უმწეოდ სხმარტალებდა, ფეხებს იქნევდა, ხელებით ჭაბუკის ძლიერ ხელებს ებლაუჭებოდა.

რამაზ კორინთელმა კიდევ უფრო მაგრად დააჭირა ბალიში.

- ფრთხილად, შექნიშანს ვუახლოვდებით! - გააფრთხილა რომან გუგავამ.

- ნუ გეშინია, შენ საქმეს მიხედე.

მოხუცმა ნელ-ნელა შეწყვიტა წინააღმდეგობა, საცოდავს ჯერ ერთი ხელი ჩამოუვარდა, შემდეგ მეორე, ფეხებიც უკანასკნელად გაიქნია.

წითელმა სინათლემ ბევრი მანქანა მოაგროვა ერთად. გუგავა ნელი სვლით მიუახლოვდა მანქანებს და სულ ბოლოს გაჩერდა. ღელავდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

- ვერ მორჩი? - იკითხა ნერვიულად და უკან მოიხედა.

რამაზ კორინთელის დაძაბულ სახეზე გამოსახული ბოროტი ღიმილი რომ დაინახა, შეშინდა და უმაღვე შეტრიალდა.

- მგონი, მოვრჩი, აღარ ინძრევა. ყოველი შემთხვევისათვის შემდეგ გზაჯვარედინამდე მაინც არ მოვაცილებ ბალიშს.

ყვითელ სინათლეს ჩაქრობა არ აცალეს. მანქანების კოლონა დმუილითა და მუხრუჭების ღრჭიალით გაიჭრა წინ. რომან გუგავა კვლავ უკანასკნელი დაიძრა და მანქანებს გაჰყვა.

- ნახე, უკვე მოიგუდებოდა! - ვერ ისვენებდა რომანი.

რამაზ კორინთელმა ბალიში ასწია და მოხუცს დახედა.

საზიზღარი სანახავი იყო ვარლამ გიგოშვილის უსიცოცხლო სახე. თვალეები სადღაც გადაბრუნებოდა. პირის ღრუდან ამოვარდნილი ხელოვნური ყბა ჩალურჯებულ ტუჩებს შორის ჰქონდა გაჩრილი.

რამაზ კორინთელს კინაღამ გული აერია. ბალიში ისევ სახეზე დაათარა. მარჯვენა ხელით გვაში დაიჭირა, დაბლა რომ არ ჩაცურებულყო. მარცხენათი ჯიბეები გაუსინჯა. ტყავის გაცვეთილი საფულე, სადაც პასპორტი და შვიდი მანეთი იდო, კვლავ ჯიბეში ჩააბრუნა. პასპორტს წყალი ისედაც გააფუჭებდა რამდენიმე დღეში. სამაგიეროდ, მილიციას ეჭვს გაუფანტავდა, რომ გიგოშვილი ვიღაცეებმა მოკლეს და წყალში გადააგდეს. კვალის დასათარავად ხომ მკვლელები პასპორტს აუცილებლად ამოიღებდნენო, დაასკვნიდნენ ისინი.

მეორე ჯიბეში მოხუცს მხოლოდ რკინის პატარა რგოლზე აცმული ორი გასაღები ედო.

რამაზ კორინთელმა გასაღები ხელში შეათამაშა.

რომან გუგავამ სარკეში გაუღიმა.

კორინთელმა გვაში დაბლა ჩააცურა, უკანა ფანჯარასთან მიკეცილი ხაში ტილო გადაათარა და ბემოდან ფეხები ფრთხილად დაადო.

მალე „დინამოს“ სტადიონიც გამოჩნდა. სოსო შადური დათქმულ ადგილზე იდგა. რომან გუგავამ ბორდიურისკენ ნელ-ნელა გადაინაცვლა და მანქანა ზუსტად სოსოს წინ გააჩერა.

შადურმა წინა კარი გამოაღო, რომან გუგავას გვერდით დაჯდა და უმაღლვე რამაზ კორინთელს მიბრუნდა.

- როგორაა საქმე? - იკითხა ინერციით, თუმცა მეგობრების მშვიდ ღიმილზე უკვე მიხვდა, ყველაფერი რომ რიგზე იყო.

რამაზ კორინთელმა პასუხად გასაღებების აცმულა დაანახა და ზარივით ააჟღარუნა.

- გაგიძალიანდა? - იკითხა გუნებაზე მოსულმა შადურმა.

რამაზ კორინთელმა ხელი ჩაიქნია, რას გამიძალიანდებოდაო, და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

სოსო შადური შემობრუნდა და სავარძლის უკან ჩაიხედა. თითქოს ამონმებდა, გვამი მართლა მანქანაშია თუ არაო.

- ნუ იცქირები, არ გინდა. დანახვას მაშინაც მოასწრებ, მდინარეში გადასაგდებად რომ გადაათრევ.

- სჯობია, ასი ათას დოლარზე ვიფიქროთ - თქვა მხიარულად რომან გუგავამ. ყბა უკვე აღარ უცახცახებდა.

- ასი ათას დოლარამდე დაგვრჩა ორი ოპერაცია. პირველია, გვამის თავიდან მოშორება.

- ერთ საათში გვამი მდინარეში იქნება. ადგილი კარგა ხნის შერჩეული მაქვს. - ჩაიცინა გუგავამ.

- მეტროსთან გამიჩერე. ჯობია სასტუმროში მეტროთი დავბრუნდე. ბატონ ვარლამს თქვენ მიხედეთ. სხეულს არაფერი ავნოთ. არ დაგავინყდეთ, დაუძღურებულმა პენსიონერმა თავისი ნება-სურვილით დაიხრჩო თავი!

- გასაგებია! - თქვა გუგავამ.

- მე ცოტას დავისვენებ. ხუთ საათზე ფიზიკის ინსტიტუტში წავალ. ათი საათისთვის ჩემთან გელოდებით.

რომან გუგავამ მანქანა ტროტუართან მიაყენა და გააჩერა.

- გადადი, კართან დადექი, რომ არავინ შეამჩნიოს მოხუცის გვამი! - უთხრა კორინთელმა სოსო შადურს. შადური მკვირცხლად გადავიდა მანქანიდან და კართან დადგა. კორინთელმა კარი გააღო, ორივე ხელით სავარძელს სახელურებს დაეყრდნო. ტანი აიმიჩატა, რომ გვამს ფეხებით არ დასწოლოდა და მანქანიდან ფრთხილად გადმოვიდა.

- ათბე სასტუმროში მოხვალთ და დაბლა დამელოდებით!

შადური მანქანაში ჩაჯდა.

რამაზ კორინთელმა მეტროს სადგურისკენ აიღო გეზი.

\* \* \*

- რამაზ! - მოკრძალებით მიმართა რომან გუგავამ.

კორინთელი ხმას არ იღებდა, ჭიქას ჩასჩერებოდა. გონებაში ვიდეოფირს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა.

ათვერ მაინც ნახა ერთი და იგივე ეპიზოდი: მაღალი, წარმოსადეგი ჭაბუკი დინჯად ჯდება ლიფტში. გადმოდის მეხუთე სართულზე. კიბის ბაქანზე უკიდებს სიგარეტს, თან სადარბაზოს ზვერაგს, ხომ არავინ არისო. როცა დარწმუნდება, რომ არსად კაცი არ ჭაჭანებს, დინჯად არტყამს ღრმა ნაფაზს, ჯიბიდან გასაღებს იღებს, ნელა ჩამოდის მეოთხე სართულზე და მიდის კართან, რომლის სიძველისაგან გამავეებულ თითბრის ფირფიტაზე თვალი ძლივს არჩევს წარწერას „ვ. ი. გიგოშვილი“. სიგარეტს კიბის მოაჯირზე აქრობს და ნაძმვავს ფრთხილად დებს ხელჩანთაში. შემდეგ ჯიბიდან იღებს გასაღებების აკმულას და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, ხელთათმინიანი ხელით

აღებს ჯერ ერთ საკეტს, შემდეგ მეორეს. კიდევ ერთხელ მიმოიხედავს ირგვლივ და ხელს ფრთხილად ჰკიდებს კარის სახელურს, ნელა ჩამოსწევს დაბლა, კარს უხმოდ შეაღებს და ფეხის წვერებზე შედის პატარა პოლში. კარს შიგნიდან ფრთხილად კეტავს და სახიდან თფლს ჩამოიწმენდს. იგი უკვე სამშვიდობოსაა. გული მაინც გამალებით უცემს. ოთახში ბნელა, სინათლეს არ ანთებს. რამდენიმე ნაბიჯს ფეხაკრეფით გადადგამს და სავარძელში ფრთხილად ჯდება. უმაღვე მშვიდდება, კვლავ წამოდგება და კაბინეტში ფეხის წვერებზე შედის, პირდაპირ სეკრეტერს მიაშურებს. ხელჩანთიდან ელექტროფანარის ამოღებაც არ სჭირდება, ოთახს იმდენად კარგად ანათებს გარედან შემოსული შუქი. სეკრეტერის კარს ფრთხილად აღებს. გული ისევ გამალებით უცემს. კარგად იცის, რომ მალაქიტის მომწვანო კოლოფი აქ, სეკრეტერში დევს, მაგრამ მაინც ეშინია, ვაითუ, მოხუცმა სადმე გადამალა, ან სულაც სადღაც წაიღო.

კოლოფი თავის ადგილზეა. დამშვიდებული კოლოფს ორთავე ხელით ნაზად იღებს, სეკრეტერის კარს ხურავს და ფრთხილად აბაზანისაკენ მიეშურება: აბაზანაში შედის, კარს კეტავს, სინათლეს ანთებს და ყუთს ხსნის.

საბოლოოდ მშვიდდება. ცელოფანში სათუთად გახვეული „ტრაფალგარი“ ცოცხალი არსებასავით შემოჰყურებს კოლოფიდან.

სინათლეს აქრობს. აბაზანიდან გამოდის, კოლოფს ტყავის პატარა ხელჩანთაში დებს და კართან მიდის. ერთი გამოღებაა საჭირო და ოპერაციაც დამთავრებულია.

მხოლოდ ერთი გამოღება.

გარედან ჩამიჩუმი არ ისმის. სადარბაზოში რომ ვინმე შემოსულიყო, რომან გუგავა მაღლა ამოვიდოდა და ხველებით გააგებინებდა, ჯერ არ გამოხვიდო.

კარს ფრთხილად აღებს. კიბეზე არავინ ჩანს. სწრაფად გამოდის და კარს უხმაუროდ



გამოიხურავს. პირველი გასაღები კარის გამოკვეთვისთანავე ავტომატურად იკეტება. უკვე შეუძლია, დაბლა დაეშვას, ან ლიფტი გამოიძახოს. რაკი არავინ ჩანს, მეორე საკეტსაც კეტავს და ლიფტთან მიდის.

\* \* \*

- რამაზ, დღეს ნუ დაღევ. ხვალ უთენია უნდა წახვიდე თბილისში.

- ფული რამდენი მომიტანეთ? - იკითხა უცებ რამაზ კორინთელმა და თვალი სოსო შადურს გაუსწორა.

- რამდენიც მოითხოვე.

კორინთელმა დამცინავად ჩაიღიმა.

- ახლავე ნომერში ავიდეთ და განსხვავება წაიღეთ. მე, უბრალოდ, გეხუმრეთ. ფული თანაბრად უნდა გაიყოს.

- შენ მეტიც დაიმსახურე! - იუარა რომან გუგავამ.

- ფული თანაბრად უნდა გაიყოს! - მტკიცედ და გულმოსულად თქვა რამაზ კორინთელმა.

რომან გუგავა გულწრფელად ფიქრობდა, რომ კორინთელს მეტი ეკუთვნოდა, მაგრამ მისი წამონთებულები სახე და ამღვრეული თვალები რომ დაინახა, ხმა აღარ ამოუღია.

- ამასთანავე, ჯენტლმენებო, მინდა გაუწყოთ, რომ „ტრაფალგარი“ იყო ჩემი უკანასკნელი ოპერაცია. სექტემბერში სადოქტორო ხარისხს მომანიჭებენ, იანვრამდე პროფესორად ამირჩევენ. უხერხულია, პროფესორი კაცი მანქანაში ხალხს ახრიობდეს,

ან რადიოტექნიკის მაღაზიას ძარცვავდეს. სწორი არა ვარ, იოსიდ ვლადიმროვიჩი? - რამაზ კორინთელი ლაპარაკის დროს ჭიქას ისე ჩასჩერებოდა, თითქოს მკითხაობსო.

ამჯერად სოსო შადურს რატომღაც არ სწყენია „იოსიდ ვლადიმროვიჩი“.

- მალე ალბათ ცოლს მოვიყვან. ერთი სიტყვით, ჩვენი გმები საბოლოოდ იყრება.

- სამწუხაროა! - ამოიოხრა რომან გუგავამ. - დღეს სადღა იპოვი შენისთანა პარტნიორს!

- რა გითხრა აკადემიკოსმა? - ჰკითხა სოსო შადურმა.

რამაზ კორინთელს შეკითხვა არ გაუგია, თავში ვიდუოფირი უკან გადაახვია და ერთი ეპიზოდი მონახა.

„ძვირფასო მეგობრებო, მინდა წარმატება მივეულოცო სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს“, - საზეიმოდ ლაპარაკობდა აკადემიკოსი ვლადიმირ მატვევეი. ობიექტივი ნელ-ნელა უკან იხევდა. კადრში უკვე მთელი სხდომათა დარბაზი მოჩანდა. მაგიდას ოცამდე აკადემიკოსი და პროფესორი მაინც უსხდა. განაპირას მაღალი, ლამაზი ჭაბუკი იდგა.. თავი მორიდებით დაეხარა და პიჯაკის ღილს აწვალებდა.

„დღესვე შეიძლება გამოკვლევაში სადოქტორო ხარისხი მივანიჭოთ, - მკაფიოდ, ხმამაღლა განაგრძობდა აკადემიკოსი, - გამოკვლევა უკვე დამტკიცებულია საბჭოს მიერ. მე პირადად ვთხოვ თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს ამხანაგ ოთარ კახიშვილს, ყოველმხრივ შეუნყოს ხელი ნიჭიერ ახალგაზრდას და, რაც შეიძლება, სასწრაფოდ მოუგვაროს ფორმალური მხარეები. სანამ სიტყვას დავამთავრებდე, მინდა, განსვენებული აკადემიკოსის დავით გიორგაძის წერილი წავიკითხოთ, რომელიც მან სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა“.

ვლადიმირ მატვეევმა მაგიდიდან წერილი აიღო. ობიექტივმა რიგრიგობით დაუარა მეცნიერთა ყურადღებით და ცნობისმოყვარეობით აღსავსე სახეებს. ორ კაცს გარდა, ყველანი დავით გიორგაძის ძველი მეგობრები იყვნენ.

„როგორც ხედავთ, მეგობრებო, - აკადემიკოსმა წერილი კვლავ მაგიდაზე დადო და სათვალე მოიხსნა, - დავით გიორგაძე არამართო ჩინებული მეცნიერი იყო, არამედ დიდებული ადამიანი და თაობათა შესანიშნავი აღმზრდელიც გახლდათ. მჯერა, მის მიერ აღმოჩენილი ხალასი ტალანტი რამაზ კორინთელი ღირსეულად გააგრძელებს აკადემიკოს დავით გიორგაძის დიდ საქმეებს. მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ დავით გიორგაძის ნათელ ხსოვნას“.

ყველანი ფეხზე წამოიშალნენ.

- რა გითხრა აკადემიკოსმა? - გაუმეორა შეკითხვა სოსო შადურმა.

რამაზ კორინთელმა თავი გააქნია და ანიშნა, ხელს ნუ მიშლით. ვიდუოფირი უკან გადაახვია და კვლავ ბოლო ეპიზოდი დაატრიალა.

„როგორც ხედავთ, მეგობრებო, - აკადემიკოსმა წერილი ისევ მაგიდაზე დადო და სათვალე მოიხსნა, - დავით გიორგაძე არამართო ჩინებული მეცნიერი იყო, არამედ დიდებული ადამიანი და თაობათა შესანიშნავი აღმზრდელიც გახლდათ. მჯერა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ხალასი ტალანტი რამაზ კორინთელი ღირსეულად გააგრძელებს აკადემიკოს დავით გიორგაძის დიდ საქმეებს. მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ დავით გიორგაძის ნათელ ხსოვნას“.

- რა მკითხე? - მიუბრუნდა უცებ კორინთელი სოსო შადურს.

- არაფერი, რამაზ, გეტყობა, ძალიან გადაიღალე. სწორია რომანი, ავიდეთ მაღლა. გამოიძინე და დაისვენე.

- ჰო, მართალი ხარ, ავიდეთ ნომერში. მინდოდა უფრო სხვანაირად, უფრო საზეიმოდ დავშორებოდით ერთმანეთს.

- იქნებ ასე ჯობია. შენ სხვა კაცი ხარ. ბუნებრივია, სხვა გზას უნდა დაადგე. - თვალზე ცრემლი მოადგა რომან გუგავას, - მაგრამ იცოდე, ჩვენ მაინც შენი ძმები ვართ და, თუ დაგჭირდა, ყოველთვის შენს გვერდით ვიქნებით.

- მე კი გისურვებ, არასდროს დაგჭირვებოდეს ჩვენი თავი. - დაუმატა სოსო შადურმა.

რამაზ კორინთელმა სოსოს თვალებში შეხედა. მიხვდა, შადური გულწრფელად ლაპარაკობდა.

- ავიდეთ მაღლა!

- არაა ჩვენი ამოსვლა საჭირო.

- ფული გვაქვს გადასანაწილებელი. თავიდან რომ მომიტანეთ, სულ გამომრჩა მხედველობიდან, რომ რაღაც სისულელეს ჩაიდენდით.

- კარგი, რამაზ, დანყნარდი - გაუღიმა სოსო შადურმა, - ჩვენი დიდი სურვილია, განვლილი ცხოვრებისა და წარსული მეგობრობის სამახსოვროდ რაიმე ძვირფასი და ორიგინალური საჩუქარი შეიძინო. გვინდა, ყოველდღე გაგახსენდეს, რომ საქვეყნოდ აღიარებული კაცი ერთ დროს ჩვენი მეგობარი იყავი და ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდი!

რამაზ კორინთელმა გაიღიმა და ორთავეს მეგობრულად შემოჰკრა მხარზე ხელი.

ვესტიბიულში კიდევ ერთხელ გადაკოცნეს ერთმანეთი.

- მშვიდობით, რამაზ! - გულაჩუყებულმა თქვა რომან გუგავამ.

- მშვიდობით, რომან!

- არ დაგვივინყო! - თქვა შადურმა ჩუმად.

რამაზ კორინთელმა პასუხად თბილად გაუღიმა.

ორთავენი წავიდნენ.

კორინთელი გაქვავებული იდგა, მეგობრების ზურგებს მისჩერებოდა და ძველ ცხოვრებას სამუდამოდ ეთხოვებოდა.

უცებ სოსო შადური შემობრუნდა, გუგავას უთხრა, ახლავე დაგენევით და ისევ რამაზ კორინთელთან მივიდა.

- რამაზ, ერთი შეკითხვა მაქვს შენთან, ოღონდ გულწრფელად უნდა მიპასუხო! - შადურმა მეგობარს ხელი გაუყარა და ვესტიბიულის განაპირას, მყუდრო ადგილზე გაიყვანა.

- გისმენ.

სოსო შადურმა მეგობარს ორთავე მკლავში ჩაავლო ხელი, თვალებში ჩახედა და ჰკითხა.

- ნუ მომატყუებ, პირდაპირ მითხარი, შენ მართლა რამაზ კორინთელი ხარ?

პასუხად კორინთელმა ხმაშაღლა გადაიხარხარა.

- აბა ვინ უნდა ვიყო, კიდევ ვერ გავფანტე შენი ეჭვები?

- არ ვიცი, იქნებ მისი ტყუპისცალი ხარ, ან ორეული! რა ვქნა, ვერასდროს ვერ დავიჯერებ, რომ შენ რამაზი ხარ, რამაზ კორინთელი!

კორინთელმა ისევ გაიცინა.

სოსო შადურიც ისევ შეკრთა. სიცილის დროს რამაზ კორინთელის სახის არცერთი ნაკვეთი არ შერხეულა. სახე ტლანქად დახატულ მოცინარ ნიღაბს მიუგავდა, რომლის წარბებსქვეშა ორი ფართო ჭრილიდან ვიღაცის გაბოროტებული თვალები შემოსცქეროდა.

## თავი მეცხრამეტე

გოგი ლომიძე თავიდანვე არ მოეწონა რამაზ კორინთელს. უფრო სწორად, დის ალტაცებული სახე რომ დაინახა, მიხვდა, ინგა თავდავიწყებამდე იყო ჭაბუკზე შეყვარებული და სწორედ ეს არ მოსწონდა კორინთელს.

განა „არ მოეწონა“ გამოხატავს იმ გრძნობას, რამაზ კორინთელს უცნობი ჭაბუკისა და შეყვარებული ინგას დანახვაზე რომ დაეუფლა?!

დამ დილით დაურეკა, შენთან სასწრაფო საქმე მაქვს და აუცილებლად მოდიო. რამაზ კორინთელი დაღლილი იყო და გარეთ გასვლა არ უნდოდა. დის ხმამ ერთბაშად გამოაცოცხლა, გული უცნაურად აუძგერდა.

„ღმერთო ჩემო, როდის ვაჯობებ ჩემს თავს?! - გაიფიქრა შეშფოთებულმა.

- როგორ ხარ? - ჰკითხა ინგას და თვითონვე არ მოეწონა თავისი ათრთოლებული ხმა.

- ძალიან კარგად!

- ძალიან კარგად! - ეჭვმა გული გაუკანრა რამაზ კორინთელს.

- ჰო, ძალიან კარგად! მოხვალ ჩემთან? იცოდე, მე მართო არ ვიქნები. ლამაზად ჩაიცვი.

- კიდევ ვინ იქნებიან?

- მხოლოდ ერთი ბიჭი. მინდა, რომ ძალიან მოეწონო.

კორინთელს გული გაუჩერდა, ხმა ვედარ ამოიღო.

- გისმენ.

- რა იყო, რამაზ, რა გემართება? - ინგა შეაკვროთ ძმის ცივმა ხმამ.

დუმილი.

- ალო, ალო, რამაზ!

- გისმენ.

- რა იყო, რამაზ, რა გემართება?

- არაფერია, გისმენ! - შეეცადა მორეოდა მონოლილ გრძნობებს. ეპინოდა, ინგა არაფერს მიმხვდარიყო. - ვინ ბიჭიო, რა თქვი?

- ერთ ახალგაზრდას უნდა შენი ნახვა.

- იქნებ ჩემთან მოსულიყავით? თავს ცოტა შეუძლოდ ვგრძნობ.

- რომელ საათზე მოვიდეთ?

- ახლა რომელია?

- თერთმეტი!

- თორმეტზე მოდით.

„ერთ ახალგაზრდას უნდა შენი ნახვა!“ - კორინთელი სანოლზე დაემხო და თვალი



დახუჭა. ვერ შეამჩნია, ოთახიდან მზე როგორ გაიპარა. ერთბაშად იქუხა და დაუშვა კიდევ. თავი მალლა არ აუნევია, მაგრამ მიხვდა, რომ ჩამობნელდა. ქუხილმა უმატა, ელვამ ცა დაბზარა. სადღაც მეხი გავარდა. ღია ფანჯრიდან წვიმა ოთახში ასხამდა.

„ერთ ახალგაზრდას უნდა შენი ნახვა!“

„ერთ ახალგაზრდას...“

„იქნებ ჯობია, მალე მოხდეს მოსახდენი? იქნებ სამუდამოდ ამოვიძირკვო გულიდან ის საშინელი გრძნობა, მსხალზე ამოსული ფითრივით რომ მომდებია?“

„თავი უნდა დავიმორჩილო, ნერვები უნდა მოვთოკო. სხვანაირად არ შეიძლება!“ - გადანწყვიტა უცებ და ფეხზე მკვირცხლად წამოდგა.

ოთახი კვლავ მზით იყო სავსე. წვიმის ხმა აღარ ისმოდა.

„ნუთუ მომეჩვენა?“

ფანჯარასთან მივიდა. ბეტონის ოთხკუთხედ კედლებში მოქცეული ეზო გუბეებით იყო სავსე. ნორჩი ფოთლები მწვანედ ხასხასებდნენ.

„როდის გადაიღო, რატომ ვერ შევამჩნიე?“

ცას ახედა.

ღრუბლები სადღაც გადაკარგულიყვნენ. წვიმისაგან განმუნდილი ჰაერი ესიამოვნა, ცას ჩვეულებრივზე უფრო მუქი ლურჯი და კრიალა ფერი დაჰკრავდა.

ერთადერთი დიდი ღრუბელი, დასავლეთიდან რომ მოისწრაფოდა, ქალაქის თავზე ვიდაცის ღონიერი ხელებით მოსროლილ უზარმაზარ ბადეს ჰგავდა. სულ ცოტაც და თბილისი გიგანტურ, ტყვისფერ ბადეში მოექცეოდა.

მაისის წვიმა ბავშვობიდანვე უყვარდა რამაზ კორინთელს, უყვარდა იმიტომ, რომ საშინელ თავსხმამიც კი სიცოცხლესა და ხალისს გრძნობდა. ერთბაშად მოვარდნილი ნიაღვარი, ქუხილი, ელვა, მერე უცებ ღრუბლების დაფლეთვა, ცისარტყელას ჰაეროვანი ფერადი თალი და გადაბანილი ქალაქის მზის სხივებზე აელვარება უსაზღვრო ხალისითა და ენერგიით ავსებდა. ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ოდესღაც ბღვაში ჩაძირული ქალაქი ისევ მაღლა ამოტივტივდა, შვებით ამოისუნთქა, ამოიზიდა, და ასეულწლოებით მზეს დახარბებულ, ოქროსფერ სხივებში ბანაობდა.

უცებ ისევ იქუხა.

ოთახი კვლავ მზით იყო სავსე. კორინთელი მიხვდა, სადღაც ორთაჭალისკენ დაუშვა წვიმამ.

საათს დახედა, თორმეტს ხუთი წუთი უკლდა, მეორე ფანჯარასთან მივიდა, ქუჩისკენ რომ იყურებოდა. უნდოდა ზემოდანვე დაენახა ის „ბიჭი, ინგას რომ უნდა მოეყვანა.

ქუჩაში კანტიკუნტად მოჩანდნენ გამვლელები.

მღელვარება მოერია.

სარკესთან მივიდა. არ მოეწონა საკუთარი თავი. სევდამორეულსა და გუნებაგაფუჭებულს თვალის უპეები ჩაშავებოდა.

„იქნებ საგანგებოდ გამოვწვო?“

„არ ივარგებს. ჯობია, ჩვეულებრივად დავხვდე“.

„ვაითუ, ენცინოს ინგას?“

„მინც ასე ჯობია. რატომ უნდა მივცე მათ მობრძანებას დიდი მნიშვნელობა?! მით უმეტეს, რომ ინგას არ უთქვამს, ვინ არის ის „ერთი ბიჭი“.

თვითონვე მიხვდა, „მობრძანებაში“ სიბრაზეს დაცინვაც საკმაოდ ღობით რომ შეურია.

ზარმა მოულოდნელად დარეკა.

ტანში ელექტრონმა დაუარა. შემკრთალმა უნებურად გაიფიქრა, ელექტროზარი ჩემს სხეულში ხომ არ არის ჩართულიო.

კარებისკენ მძიმედ დაიძრა და საკეტი გადაატრიალა.

ვაუს დანახვა ვერ მოასწრო, ინგა კისერზე ჩამოევიდა და კოცნა დაუნყო. მერე, თითქოს გონს ერთბაშად მოვიდაო, ძმა მკლავების მარნუხებიდან გაანთავისუფლა და უცნობი ჭაბუკი წარუდგინა.

- გაიცანი, გოგი ლომიძე.

- სასიამოვნოა! - კორინთელმა ვაუს ხელი გაუწოდა, - მობრძანდით.

გოგი ლომიძე შეაკრთო კორინთელის ყინულივით ცივმა ხელმა.

- დაბრძანდით! - სტუმრებს ოთახში შეუძღვა და სკამები შესთავაზა.

- როგორ მომენატრე. რატომ ჩამოსვლისთანავე არ დამირეკე? მაინცდამაინც, გაზეთიდან უნდა შევიტყო შენი წარმატებების ამბავი? ყველას გაეხარდა, ყველა დიდი სიხარულით მილოცავდა. გოგისაც ძალიან გაუხარდა.

„გოგისაც ძალიან გაუხარდა!“

კორინთელს თავიდანვე არ მოეწონა გოგი ლომიძე, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მოეწონა. შურით შეხედა ჭაბუკის შთამბეჭდავ თვალებს, ერთი შეხედვით სუსტ, მაგრამ პროპორციულ და მოხდენილ სხეულს. მისი გრძელი, ოდნავ ავადმყოფური თითები უმაღვე იპყრობდა ყურადღებას.

„ალბათ მუსიკოსია“, - გაიფიქრა კორინთელმა და ჭაბუკს თვალი გაუშტერა.

- სულით და გულით გილოცავთ! - დიმილით წარმოთქვა გოგი ლომიძემ, მოკრძალების ნიშნად სკამიდან ოდნავ წამოინია და ისევ დაჯდა.

- გმადლობთ!

ჭაბუკს უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით ეცვა. ცისფერ ჯემპრში კუნთის ნასახიც კი არსად ეტყობოდა. ისეთი ნაზი და თბილი სახე ჰქონდა, დაკუნთული სხეული ალბათ არც მოეხდებოდა.

- თქვენ სად მუშაობთ? - ჰკითხა უცებ კორინთელმა.

- მუსიკათმცოდნე გახლავართ. კონსერვატორიაში ვმუშაობ.

- განერვიულებულს თითქოს ამის თავი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ესიამოვნა, უცნობი ჭაბუკის პროფესია რომ გამოიცნო.

- სტატიებსაც წერს! - წააშველა სიამაყით ინგამ.

დის სიხარულით აციმციმებულმა თვალებმა საბოლოოდ გაუფუჭა გუნება.

ინგა ძმას გაფაციცებით შესცქეროდა, მისი სახის ყოველი ნაკვთი ძმას თითქოს ცალ-ცალკე ეკითხებოდა, გოგი ლომიძე ხომ მოგწონსო.

რამაზ კორინთელმა იგრძნო, დამძიმებული გული ნელ-ნელა დაბლა მიიწევდა და სადღაც, ბნელ უსასრულობაში იძირებოდა.

ჭაბუკი ისევ შეათვალიერა შურიანი თვალით.

სუსტი, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი სახე, ოდნავ გრძელი თავი, ღრმა, სიკეთით სავსე თვალები და ნაზი გამოხედვა, სუსტი მხრები და თხელი მკერდი, გრძელი, მაგრამ წვრილი ხელები და ფეხები ცალ-ცალკე ალბათ უსიამო, ავადმყოფური სანახავიც კი იქნებოდა. მაგრამ ყველაფერი ერთად, დასრულებული და ჩამოყალიბებული, ნაზი ინტელიგენტის სასიამოვნო ტიპს ქმნიდა.

რამაზ კორინთელი კარგად ხედავდა ოპერის ფოიეში ანტრაქტზე მოსეირნე გოგი ლომიძეს, თითქოს მშვენივრად ესმოდა მისი დახვეწილი, გრიმასებით გაძლიერებული მსჯელობა. მოსწონდა კიდევ სუსტი ხელებისა და გრძელი, შთამბეჭდავი თითების ნაზი მოძრაობა.

რამაზ კორინთელი ტელევიზორის ეკრანზეც მშვენივრად ხედავდა, გოგი ლომიძე როგორ უძღვებოდა უცხოელ მუსიკოსებთან ინტერვიუს, როგორი არისტოკრატიული იყო მისი ღიმილი და მანერები.

ისიც მშვენივრად დაინახა, „ა ლა ფურშეტზე“ თეორ პერანგსა და შავ კოსტიუმში

გამონწყობილ გოგის რა მოხდენილად ეჭირა ხელში შამპანურით სავსე ბროლის მაღალი ჭიქა და რა გამორჩეულად იდგა ელევანტური მანდილოსნებისა და მამაკაცების ჯგუფში.

სამაგიეროდ, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ დაინახა სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათებული, ბოლომდე პერანგჩახსნილი და ფეხბურთისგან თვალეზნამონთებული გოგი.

ვერც რესტორანში დაინახა ღვინით ტემპერამენტუმონოლილი და აღელვებული.

ვერც ქუჩაში ხარხართ, დაუდევარი და ოდნავ თავხედური ნაბიჯით მომავალ ბიჭებს შორის მოჰკრა თვალი.

ვერც თოფით ხელში, ოდნავ წელში მოხრილი და სეტერს გამოდევნებული დაინახა დმანისის ნამკალ ფერდობებზე.

დას შეხედა.

ინგა სახეგაბრწყინებული იჯდა. ქალიშვილის სახის ყოველი ნაკვთი კვლავ შეკითხვით იყო სავსე, გოგი ხომ მოგეწონათ.

გულმა კიდევ უფრო დაინია დაბლა. ერთი სული ჰქონდა, წამომხტარიყო და ჭაბუკი იქვე მიეხრჩო.

- რამაზ, - დაინყო უხერხულად ინგამ. ისეთი უმწეო და საყვარელი იყო, კორინთელს საშინელმა სურვილმა მოუარა, დის წინაშე მუხლებზე დამხობილიყო და ისე დაეკოცნა ქალიშვილის ხელები. - გოგის რაღაც სათქმელი აქვს შენთან.

კორინთელმა პასუხის ნაცვლად სიგარეტს მოუკიდა. არც გახსენებია, კოლოფი სტუმრისთვისაც გაეწოდებინა.

- გისმენთ! - თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ ცივი და ნერვიული ხმით.

ჭაბუკი შეირხა. წინ წამოიწია, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და გრძელი თითები ერთმანეთს გადააჭდო. კორინთელს ჯერ თვალებში შეხედა, მერე თითქოს დაიმორცხვაო, საკუთარ თითებს დააჩერდა. იქნებ ვერც გაუძლო კორინთელის წამონთებულ თვალებს. თითქოს ენა დაეხა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

ინგა ხან ძმას მისჩერებოდა, ხან გოგის. აშკარად ღელავდა, არც ცდილობდა, თავისი მღელვარება დაემალა. ისე უმწეოდ გამოიყურებოდა, ერთდროულად კაცს შეეცოდებოდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა და გაეცინებოდა კიდევ.

- მე მიყვარს თქვენი და! - როგორც იქნა, ხმადაბლა წარმოთქვა გოგიმ და ერთბაშად თავისუფლად ამოისუნთქა.

მთავარი უკვე ნათქვამი იყო. აწი ალბათ საუბარი თავისთავად აენწყობოდა.

დუმილი ჩამოვარდა. ინგამ შეშინებულმა შეხედა ძმას. გული შეეკუმშა. რამაზ კორინთელის თვალებში და სახეზე მონოლილი რისხვა კარგად იგრძნო ქალიშვილის მგრძნობიარე ბუნებამ.

- გისმენთ! - თქვა ისევ კორინთელმა.

გოგი ლომიძემ თავი ასწია და კორინთელს თვალებში შეხედა.

- მე მიყვარს თქვენი და, მასაც ვუყვარვარ. თვის ბოლოს დაქორწინებას ვაპირებთ. იმედი გვაქვს, წინააღმდეგი არ იქნებით.

- მასაც უყვარხართ?

- რასაკვირველია, ვუყვარვარ.

- ძალიან უყვარხართ?

ინგამ იგრძნო, ცოტაც და დაგუბებული წყალი კაშხალს გაარღვევდა.

- არ ვიცი. - უხერხულად გაელიმა გოგის, - ალბათ ძალიან უყვარვარ, მე ხომ იგი ძალიან მიყვარს.

- ძალიან გიყვარს? - მიუბრუნდა რამაზ კორინთელი დას.

- ძალიან! - გულწრფელად აღმოხდა ინგას.

კორინთელი უცებ ფეხზე წამოიჭრა, გოგის ყელში სწვდა, სკამიანად გადააბრუნა, თავი იატაკზე დაართყმევინა... ცოტაც და შურისძიების სიტკბოთი მთვრალი სუსტ ჭაბუკს მიახრჩობდა კიდევ, ინგას კვივლს რომ არ გამოეფხიბლებინა.

კორინთელი ერთბაშად გამოერკვა, ჭაბუკს ხელი უშვა, ჯერ წამოიჩოქა, მერე ნელა წამოდგა, სავარძელში ჩაეხეთქა და თავი ხელეებში ჩარგო. სავსებით გამორკვეულს თავის აღება გულწრფელად რცხვენოდა.

- მხეცო, მხეცო! - საშინელი ხმით ტიროდა ინგა.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა. დარცხვენილმა და განადგურებულმა გადანყვიტა, მანამდე არ გაეხილა, სანამ ორთავენი იქაურობას არ მოშორდებოდნენ.

გულამომჭდარი ინგა ჭაბუკს მივარდა. კიდევ კარგი, კორინთელი ვერ ხედავდა, როგორ ეფერებოდა, როგორ იხუტებდა გულში ინგა ტკივილებისაგან შეწუხებულ, შეურაცხყოფილ, მაგრამ მაინც თავაზიანად მომღიმარე გოგი ლომიძეს.



- კარგი, დანყნარდი! - ჭაბუკი ფეხზე ძლივს წამოდგა.

ინგა აღარ ტიროდა, მაგრამ გულამომჯდარი საცოდავად სლუუკუნებდა.

გოგომ ქალიშვილს თავზე ხელი გადაუსვა, ლოყაზე ნაზად აკოცა და შარვალი ჩაიფერთხა. ერთი სული ჰქონდა, თითები ნატკენ ყელზე მოესვა, მაგრამ ინგას ზედმეტად განერვიულება არ უნდოდა და თავი შეიკავა.

- ჩვენ ნავალთ! - თქვა უცებ ჭაბუკმა აუღელვებლად და თვალებდახუჭულ კორინთელს შეხედა, - მე მინდა, მესმოდეს თქვენი. შევეცდები, რომ გაგიგოთ. რაც დღეს მოხდა, ოღნავადაც ვერ შეარყევს თქვენი დისადმი ჩემს სიყვარულს. კარგად ბრძანდებოდეთ!

- კარის გაჯახუნების ხმაზე კორინთელი ნერვიულად შეხტა. შემდეგ, თითქოს ტვინის დაეღეჭტროებული უჯრედები განემუხტა, დაძაბულობა მოეხსნა, სავარძელში წინ წაიწია, სახელურებზე მოწყვეტილი ხელები გადაჰკიდა და ისე მოემუვა, თითქოს არცერთი კუნთი აღარ ჰქონდა.

„მე მინდა, მესმოდეს თქვენი. - ჩაესმა უცებ გოგი ლომიძის ხმა, - შევეცდები, რომ გაგიგოთ“.

ტუჩებზე დამცინავი ღიმილი გამოეხატა.

ვის დასცინოდა? იქნებ გოგი ლომიძეს?

არა, საკუთარ თავს დასცინოდა.

„მე მინდა მესმოდეს თქვენი“

„ეხ, ჩემო გოგი, განა დედამიწის ზურგზე არის კაცი, ვისაც ჩემი ესმის?“

„მე მინდა მესმოედეს თქვენი...“

- მაკა, - წამოიყვინრა უცებ კორინთელმა და ფეხზე წამოიჭრა, - მაკა, მხოლოდ მაკა მისხნის დაღუპვისაგან, მაკა და მეტი არავინ! მხოლოდ მაკას შეუძლია დამავინწყოს ინგა!

აღელვებულმა და ენერგიამონოლილმა რამამ კორინთელმა სიგარეტს მოუკიდა. აღგზნებული ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. გული ისევ აევსო სიხარულით, გონება ისევ გაეუღინთა იმედით. გრძნობდა, საკუთარ სხეულში ვეღარ ეტეოდა, ჭაბუკის სული ზღვასავით ტორტმანებდა და სადაც იყო, უზარმაზარ ტალღებად გადმოიღვრებოდა.

წაწვიმარი ეზო დამშრალიყო, ბავშვების ჟივილ-ხივილი იქაურობას იკლებდა.

რამამ კორინთელი ყველაფერს უყურებდა, მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავდა. მის თვალებში მთელი ეზო, ცისკენ აწვდილი ხეები, უმონყალოდ გაჩეხილ გაზონებში შეყენებული ავტომანქანები, მოთამაშე ბავშვები და მაისის მზეს მიფიცხებული პენსიონერები ისე შეეგრძნობლად იყო აღბეჭდილი, როგორც ფოტოაპარატის ობიექტივში.

უცებ მაკა დაინახა...

მაკა ლანდია... მაღალი, თხელი, ჰაეროვანი...

იქნებ ზომამე მეტად მაღალი...

იქნებ ზომამე მეტად თხელი...

იქნებ უფრო ჭკვიანი გამოხედვა ჰქონდა, ვიდრე ლამამ ქალიშვილს შეჰყვარის.

იქნებ მის აზროვნებას აკლდა კიდეც მეოცნებეს სინაზე და გულუბრყვილობა.

იქნებ...

მაკა ლანდია მწვანე, ხასხასა, ბუჩქებიან მინდორზე შენელებული კინოკადრების მსგავსად მორბოდა. ქალიშვილის მაღალი, მოქნილი ტანი უჩვეულოდ მოირწოდა.

გრძელი, საქორწინო კაბასავით ნაზი ქსოვილის თეთრი კაბა კიდეც უფრო ჰაეროვანს ხდიდა მის თხელ სხეულს.

გიგანტური ეკრანი ვილაცის უხილავმა ხელმა გამორთო.

ფოტოაპარატის ობიექტივით უგრძნობელმა თვალებმა ერთბაშად დაინახა ბეტონის ოთხ კედელს შორის მოქცეული ეზო, მოთამაშე ბავშვები, გაჩეხილ გაზონებში შეყვანებული მანქანები, მზეს მიფიცხებული პენსიონერები.

ყურებმა ერთბაშად გაიგონა ქუჩიდან შემომავალი მანქანების მოტორების დაგუდული გუგუნი, ბავშვების ჟივილ-ხივილი.

- მაკას, მხოლოდ მაკას შეუძლია ჩემი გადარჩენა! - დაასკვნა კორინთელმა ხმამაღლა.

დაასკვნა და შვებით ამოისუნთქა

\* \* \*

ოთარ კახიშვილის კაბინეტი გაზით გაჟღენთილ კამერას ჰგავდა. ასანთის ერთი გაკვრა და აფეთქებისაგან იქაურობა ნაცარტუტად იქცეოდა.

ინსტიტუტის დირექტორი სავარძელში გათოკილივით იჯდა, თავი მაღლა აენია და კარისაკენ იცქირებოდა.

ქუჩაში ძლიერი ქარი ჰქროდა, ფანჯრის მინები უსიამოდ ზრიალებდნენ. მზე ხან გამოვიდოდა, ხან სქელ ღრუბლებში იმალებოდა. კაბინეტი ჯერ რომ ერთბაშად გაივსებოდა მზის სხივებით, მერე უცებ ჩაბნელდებოდა და ჩამუქდებოდა. უკვე ხუთი წუთი იყო, რამაზ კორინთელს ელოდა. თანდათან უფრო იბოღმებოდა.

რამაზ კორინთელმა კარი უცებ შემოაღო და პირდაპირ დირექტორისკენ გაემართა. მიპატივებას არ დალოდებია, სკამი ჯიქურ გამოსწია, მაგიდას მიუჯდა და ოთარ კახიშვილს თვალებში შეხედა.

- გისმენთ!

კორინთელის თავხედურმა ხმამ ინსტიტუტის დირექტორი საშინლად დააბნია. მარტო რომ იყო, სიბრაზემ გაათამამა, გაავაჟუკაცა. ოცნებაში კიდევ დახვრიტა და კიდევ ჩამოახრჩო რამაზ კორინთელი. ჭაბუკის მრისხანე თვალები რომ დაინახა, უმაღვე შედრკა. წინასწარ მომზადებული გეგმა ერთბაშად დაენგრა. აღარ იცოდა, სათქმელი როგორ დაეწყო.

- გისმენთ, ოთარ ბატონო!

- მოსკოვიდან დამირეკეს.

- ძალიან აღელვებული და გახარებული ჩანხართ, ალბათ რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი შეგატყობინეს, არა?

- თქვენი დიდი წარმატება მომილოცეს და მითხრეს, ყველა ფორმალური მხარე მოუგვარეთ სადოქტორო დისერტაციისათვისო.

- უსაზღვროდ მადლიერი ვარ ასეთი სასიამოვნო ამბის მოხარებისთვის. იმედი მაქვს, უყურადღებოდ არ დატოვებთ აკადემიკოს ვლადიმირ მატვეევის თხოვნას.

ოთარ კახიშვილს ცოფი ნელ-ნელა ასდიოდა ტვინში. გული ისე უცემდა, ეგონა სადაცაა ხელყუმბარასავით აფეთქდებაო.

- დამცინით?

- ასეთ უდიერ სიტყვას რატომ ჰკადრებთ თქვენს თავს?

- ღმერთო, როგორ მოგტყუვდი. განა პირველი დღიდანვე არ ვიცოდი, რომ თქვენს ძარღვებში იუდას სისხლი ჩქეფდა!

- გულახდილად გეტყვით, გაოცებული ვარ თქვენი ორატორული ხელოვნებით. თურმე თქვენ თავიდანვე იცოდით, რომ ჩემს ძარღვებში იუდას სისხლი ჩქეფდა. მშვენიერია! ბრავო, პროფესორო, ბრავო! მაგრამ კიდევ უფრო ადრე ვიცოდი, რომ თქვენ, პროფესორ ოთარ კახიშვილს, ძარღვებში სისხლის ნაცვლად ნარეცხი წყალი გიმოძრავებდათ.

- ნაძირალავ! - ოთარ კახიშვილმა ისე მაგრად დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ ტკივილისაგან სასაცილოდ დაიღრჩა.

რამაზ კორინთელის ტუჩებზე ულვაშებივით აიწვიპა ირონიული ღიმილი.

- გაფრთხილებთ, ისეთ სიტყვებს ნუ მაკადრებთ, მერე რომ სანანებელი გაგიხდებათ. გაითვალისწინეთ, რომ ჩემი ლიფტი ჯერ მაღლა მიდის, თქვენ კი უკვე ბნელ შახტაში ხართ გაჩხერილი.

- გეტყობათ, ადამიანების აღარ გრცხვენიათ, სინდის-ნამუსი სამუდამოდ დაგიკარგავთ, მაგრამ ღმერთს რაღას ეტყვიო, ღმერთს!

- ღმერთს მიღების საათები მხოლოდ საიქიოში აქვს, მე კი ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ!

- მამას შვილისთვის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც მე გაგიკეთეთ. თქვენს ნიჭსა და უნარს არ უარვყოფ. თქვენი ზებუნებრივი ნიჭისაც მჯერა, მაგრამ რამდენი რამ იყო მოსაგვარებელი, თქვენთვის რომ გზა გამეკაფა. სამი კურსის ექვს თვეში დახურვა, სადიპლომო ნაშრომისათვის პირდაპირ საკანდიდატო ხარისხის მონიჭება! თქვენ ხომ იცით, რამდენი ინსტანცია შევძარი, რამდენი ბიუროკრატიული ჯებირი გავარღვიე! ისიც გაიხსენეთ, როგორი რეკლამა გაგიკეთეთ! აღარაფერს ვამბობ, რომ სამსახურში მიგიღეთ და ექსპერიმენტებისათვის უზარმაზარი ლაბორატორია დაგიმთეთ. დაფასებას ვინ დაეძებს, ერთი მაღლობაც არ გითქვამთ ჩემთვის.

- მაღლობის თქმა ძლიერი ადამიანის თვისებაა. მიხარია, რომ ძლიერ ადამიანად მიგაჩნევიან. თქვენი დიდი შრომისა და მზრუნველობისთვის გულწრფელად გწირავთ დიდ მაღლობას. პირობას გაძლევთ, მემუარებში აუცილებლად მოგიხსენიებთ.

- დამცინით კიდევ?

- მე პირიქით მგონია, ბატონო დირექტორო! და, საერთოდ, ვერ გამიგია, რატომ მლანძღავთ, რა გინდათ ჩემგან?!

- არ იცით, არა?! ახლავე მოგახსენებთ. თქვენ ისარგებლეთ ჩემი პატიოსნებით და გულუბრყვილობით. დამადებინეთ ლუქი სეიტზე, მოიპარეთ დავით გიორგაძის შრომა და მოსკოვში თქვენს გამოკვლევად გაასაღეთ!

- რბილად რომ ვთქვათ, თქვენი ბრალდება წმინდა წყლის ცილისნამებაა, ბატონო

ოთარ! - აუღელვებლად და გამაღიზიანებელი ღიმილით წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

- გგონიათ, დავთმე ბრძოლა? - ოთარ კახიშვილმა შუა უკრა გამოსწია და ქაღალდი ამოიღო, - განცხადება უკვე დავწერე ზემდგომი ორგანოების სახელზე. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ თქვენ ჩემად შემოიპარეთ ჩემს კაბინეტში, გახსენით სეიფი და მოიპარეთ დავით გიორგაძის გამოკვლევა „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი“. შემდეგ დაკეტეთ სეიფი და რაღაც მანქანებით, რაც თქვენთვის და თქვენნაირებისათვის არის ცნობილი, სეიფი კვლავ დალუქეთ. ერთი შეხედვით, თქვენი გეგმა შესანიშნავადაა დამუშავებული. სეიფს მხოლოდ მომავალი წლის ოქტომბერში გახსნიან, მანამდე კი თქვენ მოასწრებთ გახდეთ სახელოვანი მეცნიერი. და მერე, როცა სეიფს გახსნიან, იქ არაფერი არ აღმოჩნდება. ერთი სიტყვით, ლეგენდა დავით გიორგაძის გამოკვლევაზე ბუშტივით გასკდება. მაგრამ მოტყუვდით, ბატონო რამაზ, ერთი სრულიად უბრალო დეტალი ვერ გაითვალისწინეთ. მთელმა ინსტიტუტმა იცოდა, რას იკვლევდა აკადემიკოსი დავით გიორგაძე. რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი - აი, ჩვენი ყოფილი დირექტორის გამოკვლევის თემა. როგორ მოხდა, რომ თქვენი გამოკვლევა ზუსტად დაემთხვა დავით გიორგაძის თეორიულ ვარაუდებს და ექსპერიმენტის შედეგებს? - ოთარ კახიშვილს თვალები აუწყლიანდა, ახლა რაღას იტყვით. - მე ოფიციალურად გდებთ ბრალს, რომ თქვენ ჩემად შემოიპარეთ ჩემს კაბინეტში, გახსენით სეიფი და მოიპარეთ აკადემიკოს დავით გიორგაძის შრომა. თქვენი ვერაგობით შექმნილი საგანგებო და საგანგაშო მდგომარეობის გამო, მოვითხოვ, დაარღვიონ აკადემიკოსის ანდერძი, გახსნან სეიფი და თქვენს მიმართ აღძრან სისხლის სამართლის საქმე!

რამაზ კორინთელმა ჯერ გაიღიმა, მერე ჩემად ჩაიციანა, ბოლოს კი საშინელი ხარხარი ატეხა. ჯერ გაბრაზებული, მერე დაბნეული და ბოლოს შემინებული ოთარ კახიშვილი კორინთელს შესჩერებოდა და წამწამებს საცოდავად ახამხამებდა.

რამაზ კორინთელმა ხარხარი ერთბაშად შეწყვიტა, სახეზე მრისხანება გადაეკრა.

- თქვენ მაგას არ გააკეთებთ, ბატონო ოთარ, არ გააკეთებთ იმიტომ, რომ ვერ გააკეთებთ.

- რატომ ვერ გააკეთებ! - ოთარ კახიშვილი თვითონვე მიხვდა, მის ხმას ფოლადი აკლდა.

- დავინწყით თავიდან, - კორინთელმა სიგარეტი გააბოლა, სკამი უკან დასწია, ფეხი ფეხზე შემოიღო. მრისხანე გამოხედვა წელანდელივით წამიერად შეიცვალა საქმიანი, დაფიქრებული გამომეტყველებით, - თქვენ უნიჭო კაცი როდი ხართ, ბატონო დირექტორო, საკმაოდ კარგი მეცნიერიც ბრძანდებით, მაგრამ ადამიანურ ურთიერთობებში, ესე იგი, ურთულეს დიპლომატიკაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოგდით შეცდომები. არა, არა, ძალიან გთხოვთ, ხმას ნუ ამოიღებთ, სათქმელი ბოლომდე მათქმევინეთ. შევთანხმდით, ხომ? ესე იგი, შევთანხმდით. თქვენ წელან ბრძანეთ, რომ ჩემს ძარღვებში იუდას სისხლი ჩქეფს. კეთილი და პატიოსანი! ჯერ მე შევეცდები დაგიმტკიცოთ, რომ თქვენს ძარღვებშიც არანაკლები ტემპერამენტით ჩქეფს იუდას სისხლი. ნუ ღელავთ, კიდევ ერთხელ გთხოვთ უმორჩილესად, სიტყვას ნუ შემანწყვეტინებთ, თორემ პირდაპირ მოქმედებაზე გადავალ. მაშინ იძულებული გავხდები დამატებითი უსიამოვნებანი მოგაყენოთ. საბოლოოდ შევთანხმდით, არა?

ოთარ კახიშვილმა დუმილით განაცხადა თანხმობა.

- თქვენ უღალატეთ აკადემიკოს დავით გიორგაძეს, რომელსაც უზარმაზარი თუ არა, საკმაოდ დიდი ამაგი ჰქონდა თქვენზე. სამწუხაროდ, ადამიანები იოლად ივინყებენ სიკეთეს და აი, როცა აკადემიკოსი საიმედოდ მივაბარეთ მინას, თქვენ გადანწყვიტეთ, ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის უკანასკნელი გამოკვლევა ხელში ჩაგვგდოთ და თქვენს ნაშრომად გაგესაღებინათ. თქვენი ჩანაფიქრი უკვე ღალატი იყო, ბატონო დირექტორო, ღალატი! თანაც ღალატი არა მარტო დავით გიორგაძის მიმართ, არამედ სინდისის, მეცნიერული ეთიკის და, საერთოდ, ადამიანობის მიმართ! - რამაზ



კორინთელმა სიგარეტი საფერფლეზე დააგდო და ინსტიტუტის დირექტორს თვალებში შეხედა. აინტერესებდა, საბოლოოდ დათრგუნა თუ არა ოთარ კახიშვილი.

- თქვენ უღალატეთ მეგობარს, უფროსს და კოლეგას. წინააღმდეგობას ნუ გამიწევთ. ძნელია შეგუება ჩემს ბრალდებასთან, მაგრამ ჩვენს საუბარს ამაღამ ძილის წინ რომ გაანალიზებთ, დარწმუნდებით, რომ მე მართალი ვარ. თქვენ კი მე მომახალეთ პირში განრისხებულმა, თავიდანვე მივხვდი, ძარღვებში იუდას სისხლი გიჩქეფსო. რა იოლია სხვისი ნაკლის დანახვა! ადამიანს რომ საკუთარი ნაკლის დანახვა ისევე შეეძლოს, როგორც სხვისას ამჩნევს, უკვე დიდი ხნის წინ დამყარდებოდა საყოველთაო მშვიდობა. კორინთელი ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა, შემობრუნდა და რაფას ხელებით დაეყრდნო, - თქვენ თავიდანვე მიხვდით, რომ მე გარეწარი და მოღალატე ვიყავი, მაგრამ მაინც მოკავშირე გახდით. იურისპრუდენციის ენით რომ ვილაპარაკოთ, ჩემთან კავშირი თქვენი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა. ერთი სიტყვით, - რამაზ კორინთელი ისევ მაგიდასთან მივიდა და სკამზე დაჯდა, - თქვენ უღალატეთ აკადემიკოს დათვით გიორგაძეს. სამწუხაროდ, ერთ ღალატზე როდი შეჩერდით, მიღალატეთ მეც, თქვენს მოკავშირეს.

- ტყუილია!

- არ არის ტყუილი, ბატონო დირექტორო! გულში ჩაიხედეთ, გაბრაზება მისწი-მოსწიეთ და სადღაც კუთხეში მიკუნჭულ გულწრფელობას სული ამოათქმევინეთ. ამ ორი თვის წინ თქვენ რეკავთ მოსკოვში ვინმე ანდრო კახიშვილთან. გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენი ახლობელი უნდა იყოს. თუ გნებავთ, ტელეფონის ნომერსაც მოგახსენებთ - 723-25-45. სწორია, არა? რატომ შეკრთით? განა თქვენ არ სთხოვეთ ამხანაგ ანდროს, ჩემად ჩამოეყვანა თბილისში სეიფის გამხსნელი ოსტატი? განა არ გაუგზავნეთ წინასწარ ათასი მანეთი?

- ამხანაგო რამაზ! - ფეხზე წამოვარდა ინსტიტუტის დირექტორი - ეგ ცილისწამებაა, საშინელი ცილისწამება, თქვენ მაგას ვერ დაამტკიცებთ!

- დანყნარდით, ამხანაგო დირექტორო, დანყნარდით. უმორჩილესად, გთხოვთ, დანყნარდეთ და კვლავ რბილ სავარძელში ჩაბრძანდეთ. აი, ასე.

- თქვენ მაგას ვერ დაამტკიცებთ! - სავარძელში ჩაჯდომის წინ ისევ გაიმეორა ოთარ კახიშვილმა. გამეორებულ ფრაზას აშკარად აკლდა წელანდელი რიხი და მუქარა.

- არც ვაპირებ დამტკიცებას. თქვენთან ბრძოლას რომ ვაპირებდე, გაცილებით უკეთესი ფაქტები ვიცი. მე, უბრალოდ, მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ჯერ თქვენ მიღალატეთ. ჩამოიყვანეთ მოსკოვიდან ბორის მოროზოვი, სეიფების გახსნის ჩინებული ოსტატი, დააბინავეთ სასტუმრო „საქართველოში“, ხუთასმეტე ნომერში. მოიყვანეთ აქ, კაბინეტში, აჩვენეთ სეიფი, გულწრფელად გაანდეთ თქვენი განზრახვა და გასამრჯელოდ შესთავაზეთ ორი ათასი მანეთი. მან სამი მოგთხოვათ. შეთანხმდით ორნახევარზე. მოროზოვმა გადაიხატა ლუქზე ბეჭდის გამოსახულება, კარგად შეისწავლა სეიფი და გახსნისთვის მოითხოვა დრო, დაახლოებით ერთი კვირა. თქვენ უთხარით, ერთი კვირა ძალზე დიდი დროა, ინსტიტუტში შეგნიშნავენო. მას შემდეგ, რაც ყალბ ბეჭედს დაამზადებდით ლუქისათვის, სეიფი ორ დღეში უნდა გაეხსნა მოსკოველ ოსტატს. თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ბორის მოროზოვმა ტელეფონით გაცნობათ, რომ შეთავაზებული ბინძური საქმიდან ხელს იბანდა და მოსკოვში მიემგზავრებოდა. მოდით, გულზე ხელი დაიდეთ, თვალეებში ჩამხედეთ და მითხარით, ერთი სიტყვა მაინც თუ ვთქვი გადამეტებული?

დუმილი, სასტიკი დუმილი.

შუბლზე ოფლდასხმული ოთარ კახიშვილი სადღაც შორს, სივრცეში იყურებოდა. ლოყის კუნთები ნერვიულად უთამაშებდა. სახეზე საოცარი ტანჯვა აღბეჭდვოდა.

- ერთი სიტყვით, - თქვა მშვიდად რამაზ კორინთელმა, - ვფიქრობ, უკვე დამეთანხმეთ, რომ არ გქონდათ უფლება გენოდებინათ ჩემთვის მოღალატე. დიახ, არ გქონდათ

უფლება, რადგან თქვენ თვითონ ორგზის მოლალატე ბრძანდებით. და, თუ მე სეიფი გავსენი, რატომ არ ფიქრობთ, რომ მას შემდეგ არ შემოვიპარე თქვენს კაბინეტში, როცა თქვენი ვერაგული ღალატის ამბავი გავიგე?!

რამაზ კორინთელის თვალეზიდან დაციწვა და ზიზღი იფრქვეოდა. ცოტა ხანს შეისვენა, თითქოს უწდოდა, ოთარ კახიშვილი ბრალდებაში კარგად გარკვეულიყო.

ინსტიტუტის დირექტორს თავი ჩაექინდრა და მაგიდისთვის თვალი დაეშტერებინა.

„ვითომ, დათმე ბრძოლა? ახლავე ვთქვა ყველაფერი, თუ ჯერ დაველოდო, ვაცალო, რას მოიმოქმედებს?“

რამაზ კორინთელმა დუმილი ამჯობინა.

არ მოტყუებულა - ოთარ კახიშვილს არ დაუთმია ბრძოლა.

- მართალი ბრძანდებით, მეც თქვენნაირი ნაძირალა და მოლალატე ვარ, მაგრამ ერთი რამ მინდა იცოდეთ, არ დაციწდობთ! საჩივარს მაინც აღვძრავ, კომისიას ამ კვირაში გავახსწვევინებ სეიფს. ზებუნებრივ ნიჭსაც არ დაციკარგავთ და გამოგაცხადებთ საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებად, პროვოკატორად, შანტაჟის დიდოსტატად! თქვენ მე ვერ დამიმტკიცებთ, რომ განსვენებული აკადემიკოსის ნაშრომის მითვისება მინდოდა. თქვენ იცოდით სეიფის შიფრი. არ ვიცი, რა ნათელმხილველობით შესძელით მისი გაგება, მაგრამ, ფაქტია, იცოდით. რა გარანტიაა, რომ თქვენ ზებუნებრივ ნიჭს გაცილებით ბოროტ საქმეებს არ მოახმართ? უნდა გამხილოთ და გამხელთ კიდეც. საჯაროდ ჩამოგხსნით ნილაბს და გამოვაჩენ თქვენს ჭეშმარიტ სახეს!

სახენამონთებული ინსტიტუტის დირექტორი ფეხზე წამოიჭრა. დარწმუნებული იყო, რომ რამაზ კორინთელი შეაშინა, მიწასთან გაასწორა, გაანადგურა, გააცამტვერა. და რაოდენ

გაოცებული დარჩა, როცა ახალგაზრდა მეცნიერის სრულიად მშვიდ სახეზე გამოხატული ირონიული ღიმილი დაინახა.

- დამთავრეთ, ბატონო დირექტორო?

- დიახ, დავამთავრე.

- მომეწონა თქვენი პათოსი და ტემპერამენტი. მაგრამ, სამწუხაროდ, ორატორული ხელოვნება ერთია, იურისპრუდენცია კი მეორე. გაგიჭირდებათ დაამტკიცოთ თქვენი ბრალდებანი.

- არ გამიჭირდება! - გააქნია თითი ოთარ კახიშვილმა. ერთი სურვილი ჰქონდა, კორინთელს მივარდნოდა და ტუჩებზე ულვაშებივით აწკეპილი დამცინავი ღიმილი ჩამოეგლიჯა.

- გაგიჭირდებათ! - გააქნია თითი რამაზ კორინთელმა, - ჯერ ერთი, ვინ დაიჯერებს ჩემს ნათელმხილველობას? ამის თაობაზე მე ჯერ არავისთან დამიძრავს სიტყვაც კი. თუ ჩვენი ზოგიერთი თანამშრომელისათვის მითქვამს რამე, მერწმუნეთ, ყოველი ამბავი ყურმოკრულია, ან ვიღაცას უამბნია ჩემთვის. რით დაამტკიცებთ, რომ შიფრი ვიცოდით? ვერ დაამტკიცებთ. სამაგიეროდ, მე შემიძლია ცილისმწამებლად და... ბოდიშს ვიხდი... - კორინთელმა თითი შუბლზე მიიდო, - დიახ, ცოტა ისეთად გამოგაცხადოთ. მერე, თუ სეიფის შიფრი ვიცოდით, რატომ სდუმდით ამდენ ხანს? რას ელოდებოდით? რატომ თავიდანვე არ მაზილეთ? რაიმე საიდუმლო მოლაპარაკება და გარიგება ხომ არ იყო ჩვენს შორის, რომელიც მე დავარღვიე? კი, ბატონო, მე ნაძირალა ვარ და დავარღვიე პირობა, თქვენ ვინღა ბრძანდებით? ვერ ხვდებით, რომ ყელამდე ლაფში დგახართ და ნელ-ნელა კიდევ უფრო იძირებით? ხომ დამთავრდა თქვენი მეცნიერული და ადმინისტრაციული კარიერა? ღირს კი დავით გიორგაძის თუნდაც ბრწყინვალე ნაშრომი ამოდენა მსხვერპლად?! მით უმეტეს, რომ იგი თქვენთვის სამუდამოდ დაკარგულია. თუ

მე პლაგიატობაში და სეიფის გაქურდვაში მამხილეს, ნაშრომი თავისი კანონიერი პატრონის, აკადემიკოს დავით გიორგაძის სამართლიან კუთვნილებად იქცევა. არც ჩემს გადავიდებას გირჩევთ მაინცდამაინც, ნუ დაგაბრმავებთ შურისძიების ტკბილი, დამათრობელი გრძნობა, რადგან წამიერია იგი, როგორც უღირსი, ლაჩარი და პატივმოყვარე ადამიანების ბნელ გონებასა და სხეულში დაბადებული გრძნობა.

- ვერ გამაჩერებთ, ვერავითარ ზეგავლენას ჩემზე ვერ მოახდენთ! დღესვე, ახლავე მივდივარ იქ, სადაც ჯერ არს!

- რა გაეწყობა, წაბრძანდით. მე გულწრფელად გირჩევთ, არ გადადგათ საბედისწერო ნაბიჯი. სულ მალე დარწმუნდებით, რომ თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა. - რამაზ კორინთელმა უდარდელად გააბოლა სიგარეტი, - თქვენ მე მოღალატე მიწოდეთ. ამ მძიმე ბრალდებაზე, რომლისთვისაც შეიძლება კაცმა კაცი მოკლას, პროტესტი არ განმიცხადებია. არ განმიცხადებია, რადგან დროებით მივიღე იგი. მხოლოდ დროებით, ერთი საათით! ძალიან გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ, მხოლოდ ერთი საათით. ეს იყო ძალიან ჩვეულებრივი პოლემიკური ხერხი, თქვენთვის დამემტკიცებინა სინამდვილე, რომ თვითონ ბრძანდებით მოღალატე, თანაც ორგზის მოღალატე! თქვენ წელან აღიარეთ თქვენი დანაშაული. აღიარეთ არა იმიტომ, რომ სინდისმა შეგაწუხათ, არამედ იმიტომ, რომ ფაქტებს ვერსად გაექეცით. დიახ, დიახ, ნუ ღელავთ და ნუ შეეცდებით პროტესტის გამოთქმას. კარგად გახსოვდეთ, მე ერთი ცისტერნა მოთმინება მაქვს და იოლად ვერ გამომიყვანთ წონასწორობიდან!

რამაზ კორინთელი წამოდგა, მაცივართან მივიდა, ბორჯომი გამოიღო, ჯერ ინსტიტუტის დირექტორს დაუსხა, მერე თვითონ შეივსო ჭიქა.

- ძალიან ცივია, აცალეთ ოდნავ შეთბობა! - კორინთელმა ჭიქას შესათბობად ხელისგულები შემოხვია.

- დაამთავრეთ სათქმელი, ამდენი აღარ მცალია! - ინსტიტუტის დირექტორი გრძნობდა, ყველაზე უფრო კორინთელის სიმშვიდე აცოფებდა.

- მართალი ბრძანდებით. უბრალო საქმე ძალზე გაგვიჭიანურდა, - ბორჯომი მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა, - ამჯერად შევეცდები დაგიმტკიცოთ, რომ მე საერთოდ არ ვარ მოღალატე. გესმით, ბატონო ოთარ, სულ ორ წუთში დაგიმტკიცებთ, რომ მე საერთოდ არ ვარ მოღალატე. თქვენ კი უკან წაიღებთ თქვენს სიტყვებს და ბოდიშსაც მომიხდით, ასეთი სისაძაგლე რომ მაკადრეთ! მოთმინება, ამხანაგო ოთარ, მოთმინება იქონიეთ მინდა მოგახსენოთ, რომ მე სეიფი არ გამიხსნია. დიახ, არ გამიხსნია. არ ჰქონდა აზრი მის გახსნას. არავითარი გამოკვლევა სეიფში არ ყოფილა, ვინაიდან აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ ვერ გადაჭრა ის პრობლემა, რაც მეცნიერული ინტუიციით სწორად ივარაუდა, მაგრამ მთელი ხუთი წელი მცდარი გზით იბრძოდა რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის გამოსავლინებლად.

- სტყუით! უსინდისოდ სტყუით! რასაკვირველია, სეიფში აღარ იქნება დავით გიორგაძის ნაშრომი. იგი თქვენ მოიპარეთ, ჯერ გადაწერეთ და შემდეგ, ბუნებრივია, გაანადგურეთ.

- წინასწარ ვიცოდი, რასაც მეტყვოდით. პასუხიც შესაფერისი მოგიმზადეთ. გთხოვთ წაიკითხოთ დავით გიორგაძის უკანასკნელი წერილი, რომელიც მან აკადემიკოს მატვეევს მისწერა. წერილის ორიგინალი მოსკოვშია, აკადემიკოსის სეიფში. ბატონმა ვლადიმირმა თვითონ გამომიგზავნა წერილის ასლები. თუ წერილი ნაყალბევი მოგეჩვენებათ, შეგიძლიათ დაურევოთ ვლადიმირ მატვეევს, ან გადასცეთ ექსპერტს. კიდევ გიმეორებთ. ორიგინალი აკადემიკოს ვლადიმირ მატვეევსა აქვს შენახული. გთხოვთ წაიკითხოთ.

რამაზ კორინთელმა ინსტიტუტის დირექტორს წერილი გაუწოდა. ოთარ კახიშვილმა ხარბად წაუპოტინა ფურცელს ხელი და უმაღლვე სათვალე შეიცვალა. ჯერ სიფითრემ გადაჰკრა სახეზე, მერე ვილაცის უხილავმა ხელმა სასწრაფოდ მწვანედ გადაღება.

სათვალავი აერია, მერამდენედ კითხულობდა ერთი და იგივე აბზაცებს: „საავადმყოფოში გავიცანი უნიჭიერესი ახალგაზრდა კაცი რამამ მიხეილის ძე კორინთელი. ყველაფრის დამახსოვრებისათვის სად გეცალათ, მაგრამ შეიძლება მაინც მოგაგონდეთ, მე ვვარაუდობდი რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის არსებობას. ჩემი ვარაუდი, როგორც ირკვევა, სწორი იყო, პრობლემის გადაჭრის გზა კი მცდარი. და აი, ამ ახალგაზრდამ, რომელთანაც საავადმყოფოში გაცნობა ბედმა ინება (ხომ ხედავთ, სიკვდილის წინ, მგონი, ყველანი იდეალისტები ვხდებით), ჩემის აზრით, პრობლემის გადაჭრის სწორი გზა იპოვა“.

„ჩემის აზრით, პრობლემის გადაჭრის სწორი გზა იპოვა“.

„სწორი გზა...“

- მამ თქვენ იცნობდით დავით გიორგაძეს?! - იკითხა მოტეხილმა კახიშვილმა. თავი არ აუნევიდა, ისევ წერილს ჩასჩერებოდა, მაგრამ ასოებს ვეღარ არჩევდა.

- მე მგონი, არ გვაქვს ეჭვის საბაზი. იძულებული ვართ დავუჯეროთ აკადემიკოს დავით გიორგაძეს.

- სეიფის შიფრიც მან გითხრათ?

- არ უთქვამს, ან რატომ უნდა ეთქვას?! შიფრი მე გამოვიცანი, მე ვიხილე ხუთნიშნა კომბინაცია!

- თუკი ეს წერილი ნამდვილად დავით გიორგაძის დაწერილია, რატომ არ გინდოდათ სეიფის გახსნა? წერილში ხომ ამკარად ამბობს აკადემიკოსი, რომ მან კი არა, თქვენ იპოვეთ პრობლემის გადაჭრის სწორი გზა?!

- მე არ მქონდა არავითარი გარანტია, რომ თქვენც აკადემიკოს დავით გიორგაძესავით მზრუნველობას გამოიჩენდით ჩემს მიმართ. არც მოვტყუებულვარ. თქვენს სახეზე წავიკითხე, ვინც ბრძანდებით და რაც ბრძანდებით. ყველაფერი ვიცოდი, როგორ დადიოდით აკადემიკოსის თჯახში და როგორ ეძებდით ზემდგომ ორგანოებში უკან დასაბრუნებელ ეგრეთწოდებულ საიდუმლო დოკუმენტებს. სინამდვილეში კი გინდოდით, დავით გიორგაძის ნაშრომისათვის მიგეკვლიათ. არ მჯეროდა და, როგორც აღმოჩნდა, სამართლიანადაც, რომ ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს დახმარების ხელს გამომიწვდიდით. და მე წავედი ავანტიურაზე. არ უარვყოფ. მე თქვენ მჭირდებოდით გზის გასაკაფავად, მოსკოვთან კავშირის დასამყარებლად, უნივერსიტეტის სამი კურსის ნახევარ წელიწადში დასამთავრებლად. სადიპლომო შრომის საკანდიდატო დისერტაციად წარსადგენად, უამრავი ფორმალური და ბიუროკრატიული საკითხის მოსაგვარებლად. მე რომ თქვენთან ბინძური ხელშეკრულება არ დამედო და დავით გიორგაძის ნაშრომზე პირველ თანაავტორობას არ დაგპირებოდით, გაირჯებოდით ჩემთვის? არ გაირჯებოდით. არც სამსახურს მომცემდით, კაბინეტიდან კინწისკვრით გამაგდებდით, ჩემს ნიჭს და მონოდებას ისე ჩაახშობდით, ნამუსი არ შეგანუხებდათ! მოდი, ერთხელ მაინც სძლიეთ თქვენს არსებში ჩასახლებულ პატარა კაცს და აღიარეთ, რომ მართალი ვარ!

- მე მხოლოდ ერთ რამეს ვაღიარებ! - თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ ოთარ კახიშვილმა, - ვაღიარებ, რომ დამამარცხეთ. ღირსიცა ვარ, ცთუნებას არ უნდა ავყოლოდი!

- გმადლობთ! - ფეხზე წამოდგა რამაზ კორინთელი.

- თქვენ კი, თქვენ კი... - დაიბნა ინსტიტუტის დირექტორი. - თქვენ კი არ ვიცი ვინ ხართ, ადამიანი თუ სატანა. არცერთი სიტყვა არ მჯერა, რაც დღეს ილაპარაკეთ. ვიცი, რომ ამ წუთშიც იტყუებით. წერილი მართლაც რომ დავით გიორგაძის დაწერილი იყოს, მჯერა, რომ თქვენ მას არ იცნობდით და არც გინახავთ. თქვენ იგი შორიდან მოაჯადოვეთ და მონუსხეთ. სინდისი მაინც არ გაწუხებთ, ასეთი მრუდე გზით რომ მიდიხართ დასახული მიზნისკენ?



- მიზნისაკენ მიმავალ გზათა შორის უმოკლესი მაინც მრუდე გზა გახლავთ, ბატონო ოთარ! განსვენებული აკადემიკოსის წერილი კი, შემძლია დავიფიცო, დავით გიორგაძის დაწერილი გახლავთ. თუმცა ჩემთვის სულერთია, გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ ნუ დაიჯერებთ. მე წავალ და იმედი მაქვს, თქვენს მიერ დაწერილ საჩივარს ჩემი გასვლისთანავე დახვეთ. მშვენივრად იცით, რომ ასე სჯობია პირადად თქვენთვის და თქვენი მეცნიერული კარიერისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დირექტორო! - რამაზ კორინთელმა კოხტად დაუკრა თავი, შეტრიალდა და კარებისაკენ წავიდა.

- შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ? - მიაძახა უცებ ოთარ კახიშვილმა.

- ბრძანეთ! - თამაზ კორინთელი შემობრუნდა და მოსასმენად მოემზადა.

- თქვენს ცხოვრებაში ყოფილხართ როდისმე გულახდილი?

- მე მხოლოდ ღმერთთან ვარ გულახდილი, ისიც იმიტომ, რომ ღმერთი არ არსებობს!

\* \* \*

ორი თვე მოლოდინში გავიდა.

რატომ მოლოდინში? განა ვინმეს ელოდა მაკა ლანდია?!

რამაზ კორინთელმა ააფორიაქა ქალიშვილის ცხოვრება. დღესაც ვერ გაეგო, სძულდა თუ მოსწონდა მაღალი, ათლეტური, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი. იყო წუთი, როცა მოსწონდა კორინთელის სულიერი სიღრმე და სიკეთე, ხან კი საშინლად აღიზიანებდა ჭაბუკის თვითდაჯერება, კატეგორიული ტონი. ამ წუთებში მაკას აშინებდა კიდევ რამაზ კორინთელის თვალები. ეჩვენებოდა, თითქოს ჭაბუკის თვალებიდან, როგორც მექანიანი ფანჯრიდან, ვიღაც სხვა იცქირებოდა.

და მაინც ელოდა.

იქნებ კორინთელის აზრი აინტერესებდა თავის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე?

თუ ჭაბუკი საერთოდ არ იზიდავდა, მაშინ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის აზრს?

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“

იქნებ ამ ერთმა ფრაზამ აუფორიაქა გონება?

იყო ნუთები, როცა სისულელედ და უაზრობად მიაჩნდა ახალგაზრდა მეცნიერზე ფიქრი. სასაცილოდ ეჩვენებოდა მისი სიყვარული. არასერიოზულობაც კი იქნებოდა, ჭაბუკის მიერ საუბარში კეკლუცობით წამოსროლილი ფრაზა დაეჯერებინა.

„მეშინია, რომ შემიყვარდებით“.

„მორჩა, დამთავრდა, არასდროს აღარ მომიწევს რამაზ კორინთელთან შეხვედრა. არც არავითარი სურვილი გამაჩნია, ჭაბუკის თვალებიდან, როგორც მექმინიანი ფანჯრიდან, ვიდაცამ მითვალთვალოს!“

მაკა ლანდია საერთო ოთახში იჯდა.

არცთუ მოზრდილ და მზეზე მიფიცხებულ ოთახში კიდევ სამი რედაქტორის მაგიდა იდგა.

- ჩემთვის ხომ არავის დაურევავს? - იკითხავდა ხოლმე მაკა, როცა რაიმე დავალებებზე წასული უკან დაბრუნდებოდა.

- არავის!

გულის სიღრმეში ტკივილს გრძნობდა.

ვის ზარს ელოდა?

არ უნდოდა, თავის თავს გამოსტყდომოდა, რომ მხოლოდ რამაზ კორინთელის ზარი აინტერესებდა.

ერთხელ, დილით, სამსახურში რომ მიდიოდა, ტელევიზიის შენობის მახლობლად, ბოლოლოგიური პარკის შესასვლელის წინ ბოზა ქალი გადაუდგა.

- გინდა, გიმკითხავო?

- არა მცალია! - მიუგო მკვახედ მაკა ლანდიამ. იცოდა, ბრდილობიანი მიმართვა უფრო გაათამამებდა ბოზა ქალს.

- უნდა გიმკითხო, კარგი თვალები და ხელები გაქვს. მომეცი შენი ხელი!

- ძალიან გთხოვ, თავი დამანებო! - გაბრაზდა მაკა.

უფრო კი იმიტომ გაგულისდა, რომ საშინლად მოუნდა მკითხავისათვის ხელი გაეწოდებინა.

რა ჩაიფიქრა პირველი?

თავი გააქნია, არ უნდოდა დიდი მნიშვნელობა მიეცა, რომ უმაღლვე რამაზ კორინთელი გაახსენდა. მკითხავი თავიდან მოიშორა და ნაბიჯს მოუმატა.

- ჩემთვის ხომ არავის დაურევკავს? - იკითხა, ჩვეულებისამებრ, მისალმების შემდეგ.

- ასე უთენია ვინ დარეკავდა?! - გაეცინა სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მთლიანად გამელოტებულ რედაქტორს.

- გაბეთი მათხოვე!

- ინებე.

მეთხე გვერდიდან ნაცნობმა სახემ შემოანათა. იცნო და თითქოს ვერც იცნო. თვალი სათაურისკენ გაექცა: „ახალგაზრდა მეცნიერის დიდი გამარჯვება“. გულმა უგრძნო, რამაზ კორინთელი იყო. რატომ მოეჩვენა შეცვლილი? რატომ გაუჭირდა ცნობა? ალბათ იმიტომ, რომ რამაზ კორინთელს ულვაშები ჰქონდა მოშვებული. ამჟამად უხდებოდა. ულვაშები თითქოს ასაკს მატებდა და მეტ სიღინჯეს აძლევდა ახალგაზრდა კაცს. წერილს სულმოუთქმელად გადაავლო თვალი, მერე კვლავ თავიდან დაიწყო და დინჯად, დაკვირვებით წაიკითხა. ყოველ ფრაზას უკვირდებოდა, გულში ზომავდა და სწონიდა. განსაკუთრებით ერთი აბზაცი წაიკითხა ბევრჯერ: „რადიოაქტიურობის მესხეთე ტიპის აღმოჩენა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის უდიდესი წარმატებაა, ხოლო თვით გამოკვლევა თამამად შეიძლება ჩავაყენოთ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ აღმოჩენათა რიგში“.

კვლავ სურათს დახედა. პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა მოხდენილი ჭაბუკი. რა კეთილი თვალები ჰქონდა, კეთილი და ჭკვიანი. რასაკვირველია, ცდებოდა, როცა კორინთელის გამოხედვა აღიზიანებდა.

„მიყვარს?“

„თუ მომწონს?“

„იქნებ სულაც არ მომწონს და, უბრალოდ, უყურადღებობისთვის მინდა დავსაჯო?!“

„რით ან როგორ დავსაჯო?“

„უნდა შევეყვარდე. დიახ, უნდა შევეყვარდე! ცივი უარი იქნება ყველაზე კარგი შურისძიება!“

„მეშინია, რომ შემეყვარდებით!“ - ჩაესმა უცებ რამაზ კორინთელის ხმა.

„დიახ, უნდა შევეყვარდე. უარი იქნება ყველაზე კარგი შურისძიება!“

„რატომ უნდა ვიძიო შური? რა დამიშავა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ ვარ გაღიზიანებული, სიმართლე რომ მითხრა პირში? ან მე კი ვარ შურისმაძიებელი ქალი? განა სიკვდილივით არ მეზიზღებიან გულბოროტი, გულღვარძალიანი და შურისმაძიებელი ადამიანები?“

„იქნებ მიყვარს?“

„შეუძლებელია!“

ტელეფონის ზარი.

მაკა შეკრთა.

ზარი განმეორდა.

ქალიშვილს რატომღაც შეეშინდა ყურმილის აღებისა.

- მაკა, არ გესმის? - ჰკითხა მელოტმა.

ქალიშვილი ყურმილს დასწვდა. რატომღაც იაზრა, რამაზ კორინთელი ურეკავდა.

- გისმენთ!

- მაკა ბრძანდებით?

- დიახ! - ქალიშვილს მთელს სხეულში ნერვიულმა ჟრჟოლამ დაუარა, იცნო რამაზ კორინთელის ხმა.

- ტელეფონი გამოიცვალეთ?

- დიახ.

- მიცანით?

- გიცანით.

- თქვენი ნახვა მინდა, გცალიათ?

- ჯერ უნდა გეკითხათ, თანახმა ვარ თუ არა.

- ბოდიშს გიხდით. თანახმა ხართ?

- ვთქვათ, თანახმა ვარ! - მაკამ თავიდანვე მშვენივრად იცოდა, რომ თანახმა იყო. ახლა, როცა მისი ხმა გაიგონა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რამაზ კორინთელი მოსწონდა და შეიძლებოდა უყვარდა კიდევ...

- ნახევარ საათში ტელევიზიის მთავარ შესასვლელთან მოვალ. გთხოვ თავი ორი საათით მაინც გაინთავისუფლოთ.

მაკამ საათს დახედა. ათი იყო.

- რატომ სდუმხართ?
- რა იცოდით, რომ გაზეთს ასე ადრე წავიკითხავდი?
- რომელ გაზეთს?
- თქვენ რა, არ წავიკითხავთ?
- რა უნდა წამეკითხა?
- თქვენზეა სტატია - „ახალგაზრდა მეცნიერის დიდი გამარჯვება“.
- დას ვფიცავარ, არ წამიკითხავს.

მკვას გაეცინა. დაიჯერა, რომ ჭაბუკმა გულწრფელად დაიფიცა. თავისთავად დის დაფიცებაც მოეწონა.

- მომილოცავს.
- დიდი მადლობა. თანახმა ხართ?
- კარგით, თერთმეტზე მოდით.

\* \* \*

მკვამ დიდი დარბაზის კარი შეაღო და სტუმარს შეუძღვა. უზარმაზარი ტელედარბაზის ჭერი იუპიტერებით იყო გადაჭედებული. დარბაზში არავინ იყო, არც არაფერი იდგა. კუთხეში მიდგმული ერთადერთი შავი როიალი ჩუმად შემოპარულ კამერს ჰგავდა.

- მოგნონთ? - ჰკითხა ქალიშვილმა კორინთელს.
- აღტაცებული ვარ!
- უღვაშები სულ სხვა იერს გაძლევთ.
- კარგს თუ ცუდს.
- არ ვიცი. მეუცხოვებით კი.
- თუ არ მოგნონთ, ახლავე მოვიპარსავ.
- ჩემი გულისთვის ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, - გაცინა მაკას. - თანაც, თვალი რომ მიეჩვევა, იქნებ მომენონოს კიდევ.
- უცებ დამარტყა თავში და მოვუშვი. მოშვებაა ძნელი, მთელი თვე სჭირდება. მოპარსვა წუთის საქმეა.
- გავალ, სკამებს შემოვიტან.
- არ სჯობდა, მანქანით სადმე გაგვესეირნა?
- მე თქვენ არ გიცნობთ, არაფერი თქვენთან არ მაკავშირებს. არც ის ვიცი, რა საქმე გაქვთ ჩემთან. მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა ჩვენს შორის გაბმულიყო საქმიანი ურთიერთობა. რატომღაც არ მოისურვეთ ერთნაწილიანი დოკუმენტური ფილმის გადაღება. მორალი წამიკითხეთ და წახვედით. თანხმობა რომ განვაცხადო და მანქანით თქვენთან ერთად გავსეირნო, როგორ ფიქრობთ, იქნება მიზანშეწონილი? თუ თქვენ რაიმე საქმე გაქვთ ჩემთან, მე რატომ უნდა წამოგყვეთ სადმე? ამ დარბაზში სივრცეს ვერ დაინუნებთ. აგერ კუთხეში როიალთან სკამებიც ჩანს, დავსხდეთ და ვისაუბროთ.



- აქ მონწევა, რასაკვირველია, არ შეიძლება! - გზადაგზა იკითხა კორინთელმა.
  - მართალი ბრძანდებით.
- ორთავენი სკამებზე დასხდნენ.
- არ მეგონა, თუ უღვაშები ასე შეგცვლიდათ. ქუჩაში რომ გამოვედი, ველარც კი გიცანიო.
  - ალბათ, მაუშნოებს და მეორედ იმიტომ მეუბნებით.
  - პირიქით, სოლიდურობას და სიდინჯეს გმატებთ. მაღლობა ღმერთს, თქვენ ისეთ ასაკში ხართ, ალბათ გსიამოვნებთ კიდევ, უფროსად რომ გამოიყურებით.
  - კარგა ხანია სამოცდამეთექვსმეტეში გადავდექი.
  - უნდა მომეჩონოს თქვენი ხუმრობა?
  - სამწუხაროდ, მე არ ვხუმრობ.
  - კარგით, შევეშვით ზედმეტ ლაპარაკს. პირდაპირ მიპასუხეთ, რატომ დამირეკეთ?
  - მე თქვენ მიყვარხართ, მაკა!
  - რა ბრძანეთ? - დაიბნა ქალიშვილი.
  - მე თქვენ მიყვარხართ, მაკა, მოვედი, რომ ხელი გთხოვოთ!
- „მე თქვენ მიყვარხართ, მაკა, მოვედი, რომ ხელი გთხოვოთ!“

„რატომ ამიტანა სიხარულმა?“

„იქნებ იმიტომ, რომ ქალი ვარ და მიხარია, ვიღაცას რომ ვუყვარვარ?“

„განა სხვა დროს არ აუხსნიათ ჩემთვის სიყვარული? რატომ მაშინ არ მივლიდა ტანში საოცარი ურულოა, ახლა რომ ნერვები და სული ამითრთოლდა?“

„ვითომ მიყვარს?“

„ვითომ...“

„მე თქვენ მიყვარხართ, მაკა, მოვედი, რომ ხელი გთხოვოთ!“

- თქვენ ხომ მე არ მიცნობთ, რამაზ? - წარმოთქვა მაკამ და უმაღვე ტუჩებზე იკბინა. პირველსავე წამს გასცა თავისი თავი, ეს სიტყვები ხომ თანხმობას ნიშნავდა.

- უბრალოდ, მაინტერესებს, განა შეიძლება ადამიანი ასე ერთი ნახვით შეგიყვარდეთ? - შეეცადა გამოესწორებინა წელანდელი შეცდომა, - ერთის ნახვით სიყვარული მე წმინდა წყლის ლიტერატურული გამონაგონი მგონია.

- ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთის ნახვით ჩნდება, მაკა, ყველა დანარჩენი სიყვარული შეგუებაა, მორიგებაა, სიტუაციების აწონ-დაწონვაა, ანგარიშია, მომავალი ცხოვრების ანალიზია. ერთის ნახვით სიყვარული კი ნამდვილი სიყვარულია ყოველგვარი ანალიზის, შეჩვევისა და დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონ-დაწონვის გარეშე.

მაკამ ვერაფერი უპასუხა, ვაჟს მხოლოდ დაეჭვებული თვალებით შეხედა.

- იცით, რომ მე განცხადება დავწერე? - იპოვა უცებ გამოსავალი.

- რა განცხადება? - ვერ გაერკვა რამაზ კორინთელი.
- ტელეფონიც იმიტომ გამომეცვალა. მე ხომ მთავარი რედაქტორის მოადგილე ვიყავი. ყურად ვიღე თქვენი მოსაზრებანი და რიგით რედაქტორად გადავედი.
- ხუმრობთ? - შეცბა კორინთელი.
- რატომ უნდა ვხუმრობდე?!. იმიტომ ვერ მიგიღეთ ჩემს ოთახში, სადაც ოთხი რედაქტორი ვართ შეყრილი.
- რატომ ჩაიდინეთ ასეთი სისულელე?
- იმიტომ, რომ ჩემთვის არც თქვენ და არც სხვას პირში თუ ზურგსუკან არ ეკადრებინა ის სიტყვები, რაც იმ დღეს მაკადრეთ. არც ესაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ თქვენ მართალი ბრძანდებოდით. მთავარი ისაა, რომ მე ჩემით მინდა გავიკვლიო გზა და არა მამაჩემის ავტორიტეტით.
- ვაი შენ, ჩემო თავო!
- გენყინათ?! მე მეგონა, გაგიხარდებოდათ.
- გამიხარდა კიდევ, ძალიან გამიხარდა. აღტაცებული ვარ თქვენი კეთილშობილებით, მაგრამ..
- რა მაგრამ...
- მაგრამ მენყინა კიდევ. ვინ დააფასებს თქვენს საქციელს? დაფასებას ვინ დაეძებს, სასაცილოდაც არავის ეყოფა თქვენი კეთილშობილება!

- არავის მადლობას და დაფასებას არ ველოდები. არც მიფიქრია ვინმეს ელიარებინა ჩემი მორალური გმირობა, - „მორალური გმირობა“ ირონიული ინტონაციით წარმოთქვა მაკა ლანდიამ, - მე ისიც მყოფნის, რომ მართალი ვარ საკუთარი თავის წინაშე... და კიდევ იმ კაცის წინაშე, ვისაც მე ვუყვარვარ.

- მინდა ჩავთვალო, რომ ის კაცი მე ვარ!

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. საერთოდ კი, არ გიფიქრიათ, რომ ყოველგვარი ბლიცკრიგი მარცხით მთავრდება?

- რატომ? როგორ გგონიათ, განა თვითონ მე ბლიცკრიგის მსხვერპლი არა ვარ?

მაკამ გაიცინა.

- მომილოცავს დიდი წარმატება. თუ დამიჯერებთ, გულწრფელად გამიხარდა!

- გმადლობთ. მჯერა, რომ გაგიხარდათ.

- თქვენ უკვე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ხართ, თანაც სრულიად ახალგაზრდა. კვლავ ხომ არ გვეფიქრა ერთნაწილიან დოკუმენტურ ფილმზე?

- მაკა, ორ თვეზე მეტ ხანს ვფიქრობდი და ვემზადებოდი დღევანდელი დღისათვის. ძალიან გთხოვთ, ნუ გააუბრალოებთ ჩემთვის უძვირფასეს წუთებს.

- ძალიან გიყვართ თქვენი და? - ჰკითხა უცებ მაკამ.

რამაზ კორინთელი გაფითრდა, თვალები უაზროდ გაუშეშდა. უგარმაზარ დარბაზში ერთბაშად ჩამოხნულდა.

- რატომ მეკითხებით?

- ნელან ისეთი სიყვარულით დაიფიცეთ, თვალზე ცრემლი მომადგა. გულწრფელად რომ გითხრათ, იმ დაფიცებამ განაპირობა ჩვენი შეხვედრა. ლამაზია თქვენი და?

- ძალიან ლამაზი, მადონასავით ნათელი და წმინდა!

- მე არც და მყავს და არც ძმა! - გულწრფელი სინანულით თქვა ქალიშვილმა.

დარბაზი ნელ-ნელა ისევ განათდა.

„მხოლოდ მაკა მიხსნის, მხოლოდ მაკა ამაცდენს უფსკრულში გადაჩეხვას!“

- მე თქვენ მიყვარხართ, მაკა.

- გულახდილად გეტყვით, - გაიღიმა ქალიშვილმა, - მე მსიამოვნებს თქვენი სიტყვების მოსმენა. გაფრთხილებთ, ჩემმა გულწრფელობამ არ გამოგატანიოთ მცდარი დასკვნები. უბრალოდ, ქალი ვარ და მიხარია სასიამოვნო სიტყვების მოსმენა.

- შეიძლება დავუკრა?

- თქვენ უკრავთ?

- ვახერხებ!

რამაზ კორინთელი როიალს მიუჯდა. სახურავი ფრთხილად ახადა. ერთ წუთს დაფიქრდა. ალბათ ფიქრობდა, რა დავუკრაო. ბოლოს შუბერტის სერენადა აირჩია.

მაკა ლანდიას არასდროს არ მოსწონდა შუბერტის ეს ნაღვლიანი და წყნარი მელოდია. ახლა კი... ახლა რა დაემართა? თითქოს ამ წუთებში აღიქვა პირველად მისი გენიალობა, თითქოს ახლა იგრძნო ჯადოსნური მელოდიის ბრწყინვალეობა. იქნებ იმიტომ, რომ სერენადას რამაზ კორინთელი ასრულებდა? კორინთელის მაგივრად როიალთან რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, თუნდაც სახელმწიფოებრივი მუსიკოსი, ნეტავ მაშინაც დაეუფლებოდა ასეთივე ამაღლებული და ღვთიური გრძნობა?!

ქალიშვილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რამაზ კორინთელი უყვარდა. უფრო მეტიც, ახალაა მიხვდა, ახალგაზრდა მეცნიერი იმ პირველი წუთებიდანვე უყვარდა, სადიპლომო შრომის დაცვაზე რომ ნახა.

რამაზ კორინთელმა როიალის სახურავი ფრთხილად დაუშვა და ფეხზე წამოდგა.

- მგონი, ბოროტად ვისარგებლე თქვენი ყურადღებით! - თქვა ნაღვლიანი ღიმილით.

- პირიქით, უსაზღვრო სიამოვნება მომანიჭეთ. არ მეგონა, თუ ფიზიკოსს შეეძლო ასეთი დაკვრა.

- ფიზიკოსს სხვაც ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ მოდიოთ, საქმეზე ვილაპარაკოთ. ხვალ რა დროს შეგიძლიათ, რომ შევხვდეთ ერთმანეთს?

- ხვალ? - დაფიქრდა მაკა, - ეტყობა, ხვალ ვერ მოვახერხებ, რადაც საქმე მაქვს გასაკეთებელი.

- მაკა, ძალიან გთხოვთ, იხელმძღვანელოთ ჩემი ფორმულით: არასდროს არ გააკეთოთ ის საქმე ხვალ, რომლის გაკეთებაც შეიძლება ზეგ!

- გენიალურია! - გაიცინა მაკამ.

- მაშ რომელ საათზე?

- სჯობია, თორმეტისათვის დამირეკოთ. მაშინ უფრო ზუსტად გეტყვით, როდის შევძლებ.

უცებ პულტში მიკროფონი ჩართეს.

- მაკა, ოცი წუთია, მოცეკვავეები დარბაზში ვერ შემოსულან!

- მოვდივართ! - თქვა ხმამაღლა მაკამ, თუმცა კარგად იცოდა, დარბაზში მიკროფონი არ იყო ჩართული და მის ხმას ვერავინ გაიგონებდა.

ვესტიბულში უამრავი მოცეკვავე ირეოდა. ზოგი იჯდა, ზოგი ტანსაცმელს ისწორებდა. რამდენიმე თავისთვის ხტუნაობდა და რაღაც ილეოს ხვეწდა.

უხერხულობისაგან ლოყებშენითლებულმა მაკამ რამდენიმე წყვილი მტრული თვალიც იგრძნო. მათმა გამომწვევმა და შურიანმა გამოხედვამ ქალიშვილი გაანანყენა. უხერხულობის გრძნობა სადღაც გაუქრა, თავი ამაყად ასწია და მაღალი, თხელი და მოქნილი სხეული ისე ლამაზად წაიღო, რამაზ კორინთელმა საბოლოოდ დაასკვნა:

„მხოლოდ მაკა მისხნის დაღუპვისაგან. მხოლოდ მაკა და სხვა არავინ!“

# თავი მეოცე

- რამაზ, ჩვენ შვილი გვეყოლება! - თქვა მარინემ და ვაჟს თვალებში შეხედა.

- რა თქვი? - ლამის იყვირა სასონარკვეთილმა კორინთელმა და ლოგინში წამოცდა.

მარინე შეკრთა, ავად ენიშნა რამაზ კორინთელის გაბოროტებული გამოსხედა.

- ჩვენ შვილი გვეყოლება, რამაზ! - გაიმეორა ნაზად.

რამდენი რამ იყო ერთდროულად ქალის ხმაში: სიხარული, შიში, ვედრება, უმწეობა, იმედის გაცრეება...

რამაზ კორინთელი ქალს გაშეშებული მისჩერებოდა, თითქოს ელოდა, მარინე სადაცაა გაიციინებს და იტყვის, რამ დაგაფეთა, გეხუმრეო. მიხვდა, მარინე არ ხუმრობდა, გაცეცხლებულს გულზე თითქოს ცხელი გუდრონი გადაესხა. საშინელი სურვილი მოაწვა, ქალს ყელში სწვდომოდა და მიეხრჩო.

ნერვები ძლივს დაიმორჩილა, თვალები დახუჭა და ლოგინზე გულადმა დაეგდო.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, საშინელი, დამუხტული სიჩუმე.

მარინემ აღარ იცოდა, რა ექნა. იდაყვებზე დაყრდნობილი გაქცევებული იწვა ლოგინში. ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. განძრევისაც ეშინოდა. შეშინებული და სასონარკვეთილი თვალებდახუჭულ ვაჟის სახეს დასჩერებოდა. ზღვის წყალქვეშა მღელვარება არ გაეგონა, მაგრამ რატომღაც რამაზ კორინთელის მღელვარება სწორედ ზღვის წყალქვეშა ღელვას მიაშგავსა.



- შენ ბავშვს არ გააჩენ! - თქვა ჩუმად რამაზ კორინთელმა. არ განძრეულა, თვალები არ გაუხელია.

- მე ძალიან მინდა ბავშვი, რამაზ! - ვედრებით გაისმა ქალის ხმა.

- შენ ბავშვს არ გააჩენ! - უფრო ხმადაბლა, მაგრამ მუქარით და რისხვით გაიმეორა კორინთელმა... - დღესვე მონახავ ექიმს!

- უკვე გვიანაა, რამაზ! - თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ მარინემ.

- რატომ? - კორინთელმა თვალი გაახილა და მარინეს კითხვის ნიშნით შეხედა.

- მეხუთე თვეში გადავდექი.

- იტყუები!

- არ ვიტყუები, შენს თავს ვფიცავ!

- რომ არაფერი გეტყობა?!

- როდის შემხედე? ორი თვეა, არ გინახივარ. ახლაც, მოხვედი და...

- მერე ადრე ვერ მიხედე შენს თავს?

- მე შვილი მინდა, რამაზ!

- შენ კი გინდა, მაგრამ მე მინდა? - კორინთელს ისევ მოუარა საშინელმა სურვილმა, ქალს ყელში სწვდომოდა და იქვე მიეხრჩო. - განა ჩვენი სიყვარული შვილს ან, საერთოდ

რაიმე პირობას ითვალისწინებდა? იქნებ მე წამომცდა, ცოლად შეგირთავ-მეთქი, იქნებ თანხმობა მოგეცი, შვილი გაგეჩინა? რა უნდა დავარქვა შენს საქციელს, შანტაჟი? ავანტიურა?

- შენ ხომ გიყვარდი, რამამ?!

- „გიყვარდი“! - გაიმეორა გაცოფებულმა კორინთელმა, - დიახ, მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ. სიყვარული ერთია, გარიგება და ვალდებულება მეორე. შენ ისარგებლე ჩემი სიყვარულით და გააკეთე ის, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა ამ ქვეყანაზე!

რამამ კორინთელს თვითონვე უკვირდა, თავს როგორ იკავებდა. მიხვდა, გაცოფებასთან ერთად ქალის მიმართ ზიზღიც დაეუფლა.

„როგორ ვწვებოდი ამ ქალთან?“ - გაიფიქრა უნებურად.

ოთახში კვლავ დამუხტული სიჩუმე ჩამოწვა.

მარინემ ვერ გაუძლო ვაჟის თვალებს და ცრემლებით თვალებდანამულმა თავი ბალიშზე დადო.

რამამ კორინთელი მიხვდა, ნუთიც და მარინეს ისტერიკა დაემართებოდა.

ქალს საბანი გადახადა და მუცელზე დააშტერდა:

საეჭვო აღარაფერი იყო, საერთოდ ფერხორციან ქალს აშკარად ეტყობოდა გამოზურცული მუცელი.

თავი ძლივს შეიკავა, არ წამომხტარიყო და მუცელში წიხლი არ ჩაერთყა.

მარინემ საბანი მცირეოდენი პაუზის შემდეგ დაიხურა.

თითქოს აცალა კორინთელს დარწმუნებულებაც, რომ არ ტყუოდა. მიტკალივით გაფითრებული კვლავ თვალდახუჭული იწვა და ჩუმად ტიროდა. გრძნობდა, ვაჟი გაცოფებული თვალებით დასჩერებოდა. ქალური გემანით მიხვდა, რამაზ კორინთელს უკვე ეზიზღებოდა. იმასაც მიხვდა, ყველაფერი დასრულდა, ყველაფერი დაიღუპა. თავი უფსკრულის პირას წარმოიდგინა. კლდის ქიმზე შედგა და დაბლა გადაიხედა. ნისლიან და ჩაბნელებულ სივრცეში უფსკრულის უზარმაზარი ლოდებით მოფენილმა ფსკერმა საშინლად შეაშინა. უკან შემობრუნდა. რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად გადადგა, უფსკრულის კლდოვან ქიმს მოშორდა და მთის უკან მიმალული მზის ცაში ატყორცნილ სხივებს იმედის თვალით შეხედა.

- არ მეგონა, თუ ასეთი უსინდისო იყავი! - თქვა უცებ კორინთელმა.

მთის უკნიდან კონებად ამოფრქვეული მზის სხივები ისე ერთბაშად ჩაქრა, თითქოს პროუექტორი გამოთიშესო. ათასფერად აჭრელელებული მთები ერთბაშად დაიმონა შავმა ფერმა.

- მაგას შენ მეუბნები?! - მცირეოდენი დუმილის შემდეგ აღმოხდა მარინეს, - თუმცა ახია ჩემზე. ალბათ მართალი ხარ, სიყვარულით დაბრმავებული რომ აგყევი და მონაწილე რომ გავხდი შენი ბინძური საქმეებისა. ამდენი ხნის მანძილზე განა არ უნდა მეგრძნო, რომ არ გიყვარდი! განა ძნელი მისახვედრი იყო, მხოლოდ შენი ბნელი საქმეებისთვის რომ გჭირდებოდი? ვერ მივხვდი, სამწუხაროდ, ვერ მივხვდი! ჯერ თვითონ ვიყავი სიყვარულით დარეტიანებული, მერე ვერ გავითვალისწინე, ბებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა კაცს რომ მშვენივრად შეეძლო, გულუბრყვილო, მთელი ცხოვრების მანძილზე დამაგრული და უეცრად გაბედნიერებული ქალის მოტყუება.

- მე ახლაც ძალიან მიყვარხარ, მარინე! - თქვა ხმადაბლა კორინთელმა. უცებ მიხვდა,

საქმის გართულება არ ღირდა. უკან დასახევი გზა არ უნდა მოეჭრა. ჯერ კარგად დაფიქრება, საქმეში გარკვევა მართებდა. ცხელ გულზე გამოტანილი გადანყვეტილებანი ვერაფერს უშველიდა. - ეჭვი გეპარება, რომ კვლავ ძველებურად მიყვარხარ?

- აღარაფერი აღარ მჯერა შენი! - ამოისლოკინა საცოდავად ქალმა.

რამაზ კორინთელი ცოტა დამშვიდდა. უმწეო და სასონარკვეთილ ქალს ხმაზე შეატყო, მზად იყო, ხავსს ჩაბლაუჭებოდა.

- მე შენ ძალიან მიყვარხარ. - გაიმეორა კორინთელმა უფრო დინჯად, - ბავშვის ამბავი ელდასავით მეცა გულზე, დამაბნია და გამაცოფა. განა არ იცი, რომ ახლა ბავშვისთვის არ მცალია და საერთოდ, დაინტერესებულხარ როდისმე, რა აზრისა ვარ შვილის გაჩენაზე?

- რამაზ!

- მოდი, ამ თემაზე დღეს ნუ ვილაპარაკებთ! - შეანყვეტინა კორინთელმა მარინეს, - ცოტა მაცალე. იქნებ გადავხარშო და მოვიწილო, რაც მითხარი, ან იქნებ ხსნის რაიმე გზა გამოვანახო.

ქალს გული ერთბაშად მოუბრუნდა. რამაზ კორინთელის სიტყვებისა აღარ სჯეროდა, მაგრამ მაინც სცადა ჩასტიდებოდა იმედის ერთადერთ ძაფს.

კორინთელმა თავი ისევ ბალიშზე დადო და თვალები დახუჭა. თვალდახუჭული უფრო სწრაფად და ზუსტად აზროვნებდა.

მარინე ვაჟს ყურადღებით დასჩერებოდა. ორი თვის განმორების შემდეგ უღვაშებმოშვებული რომ ნახა, გულმა რეჩხი უყო. ქვეშეცნეულად მიხვდა, რამაზ

კორინთელის გამოხედვაში უფრო მეტი რაღაც შეიცვალა, ვიდრე უღვაშების მოშვება გამოიწვევდა.

კორინთელი გრძნობდა, მარინე რომ დაუინებით დასცქეროდა. ნერვები ეშლებოდა, მაგრამ ცდილობდა, სახეზე არაფერი გამოხატვოდა. თვითონაც უკვირდა, გულის სიღრმეში შეძრული და გაცოფებული, სიმშვიდეს როგორ ინარჩუნებდა.

სახე ქანდაკებასავით ცივი და უძრავი ჰქონდა, მაგრამ მისი შუბლის ქვეშ ელვის სისწრაფით დაბადებული აზრები ისე ირეოდნენ ერთმანეთში, როგორც ყინულით გადაღვსილ ტბაში ჟანგბადის უკმარისობით აწრიალებული თევზები.

ისინი ყინულის სქელ ფენას აწყდებოდნენ, გამწარებულები ნაპრალს ეძებდნენ, იქნებ როგორმე მაღლა ამოვხტეთო.

„დაიღუპა, ყველაფერი დაიღუპა!“

„თუ მაკამ ბავშვის ამბავი გაიგო, არაფრის იმედი აღარ უნდა მქონდეს!“

„რასაკვირველია, გაიგებს. თბილისში რაშე დაიმალება?!“

ორ თვეზე მეტი იყო, რამამ კორინთელს მარინე არ ენახა. მანამდეც აპირებდა, მარინეს როგორმე ჩამოშორებოდა. ჯერ იყო და, დიდი ხნით წავიდა მოსკოვში, შემდეგ მილიონი საქმე, როგორც იგი მარინეს ეუბნებოდა, ხელს უშლიდა ახალგაზრდა ქალთან მისულიყო. დაეჭვებულ მარინეს თბილი სიტყვებით ამშვიდებდა, შორიდან ეალერსებოდა. არ უნდოდა მარინესთან განშორება სკანდალით დამთავრებულიყო. იცოდა, მარინე ყველაფერს იკადრებდა, რომ რამამ კორინთელი ხელიდან არ გაეშვა. ამიტომაც ცდილობდა, ქალი ნელ-ნელა შეეგუებინა მოსალოდნელი უბედურებისათვის. მთავარი იყო, დრო მოეგო. მარინე იმედებით შეეყოლიებინა, რომ მათი სასიცვარულო ისტორია არავის გაეგო.

რამაზ კორინთელმა იცოდა, მკა ლანდიასთან მისი ურთიერთობის ამბავი თუ მარინეს ყურში ჩასწვდებოდა, გამწარებული ქალი უკან აღარაფერზე დაიხვედა. ძნელი მისახვედრი არ იყო, მაშინ გადამცემი აპარატის საიდუმლოებაც გამომჟღავნდებოდა და სეიფის გახსნის შესაძლებლობის ჰიპოთეზაც დაიბადებოდა. კიდევ კარგი, რომ მარინემ სეიფის გახსნის თაობაზე არაფერი იცოდა. და თუ მარინე იპაზონური გადამცემის საიდუმლოს გაამხელდა, რა იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ამ ფაქტს ინსტიტუტის დირექტორი ოსტატურად არ მოსდებდა ქვეყანას?! მოსკოვში გამგზავრების დღიდან გადამცემი აპარატურა აღარ გამოუყენებია. უკვე ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა და ოთარ კახიშვილის საუბრები და ბრახვანი აღარ აინტერესებდა. დირექტორის მაგიდის ქვეშ მიხრახნილი ფოლადის პატარა დაფა მაინც რჩებოდა სამხილად. მისი მოხსნაც იოლი იყო, მაგრამ შურუპების ნახვრეტებიც საკმარისი იქნებოდა ნივთმტკიცებად.

რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ აურზაურს? ჭორები, რომლებიც, თავისთავად, ჭორები არ იქნებოდა; მითქმა-მოთქმა, სახელის გატეხა და, რაც მთავარია, დოქტორის ხარისხის მინიჭებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში თავისას გაიტანდა. ფიზიკის უცოდინარობას ვერავინ დასწამებდა, ლექციებით, სტატიებით, შემდგომი გამოკვლევებით უნიჭიერესი მეცნიერის რეპუტაციას ისევ განიმტკიცებდა. ენების ცოდნასაც ვერავინ წაართმევდა, მაგრამ რამდენი დრო და შრომა, რამდენი ბრძოლა და ენერჯია დასჭირდებოდა იმ მიღწევათა ხელახლა მოპოვებას, რომელიც უკვე გუშინ, თუნდაც დღეს, ერთი საათის უკან რომ მოპოვებული და განადგებული ჰქონდა. მართალია, მეცნიერულ კარიერას კიდევ მოუხერხებდა რამეს, მაგრამ მკა ლანდიამ ფიქრს სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა. რამაზ კორინთელმა შესანიშნავად იცოდა, რომ ამ სასკანდალო ამბის გამომჟღავნების პირველი წუთიდანვე მკა მისი სახელის გაგონებასაც აღარ მოისურვებდა. ამაყი მკა, რომელსაც უნდა ეხსნა რამაზ კორინთელი საკუთარი დის სიყვარულისაგან, რომელიც თვითონ უნდა გამხდარიყო მისი საოცნებო და უსაყვარლესი თანამგზავრი.

თუ მკა ლანდიას დაკარგვა არ უნდოდა, გამოსავალი ერთადერთი რჩებოდა, მარინე უნდა მოეკლა.

შებლზე წვრილმა ოფლმა დაასხა. მერე მთელი ტანი გაეწუნა. ისეთი განცდა ჰქონდა, წვიმა თითქოს სხეულიდან ამოდებოდა.

„მარინე უნდა მოკვდეს!“ - ჩასძახა ვიღაცამ ხმამაღლა ყურში.

შეშინებულმა თვალი გაახილა და ქალს შეხედა.

მარინეს სახეზე ისეთი ტანჯვა ეხატა და ისე საცოდავად იყურებოდა, რკინის გული უნდა გქონოდა, რომ არ შეგცოდებოდა.

„იქნებ ძველებურად შევიყოლიო, სანამ მაკაზე დავქორწინდები?“ - თითქოს ოდნავ გაღვხვა რამაზ კორინთელის ყინულის ლოდად ქცეული გული.

„მერე?“

„ვთქვით, შევიყოლიე და მაკაზე დავქორწინდი. მერე რა იქნება? როგორ შეხვდება მაკა საკავშირო და იქნებ მეტი მასშტაბის სკანდალს? ან მაცლის კი დაქორწინებას? მაკა თბილისში ცნობილი ქალიშვილია და სახელოვანი მამის შვილი. ჩემი სახელი ხომ ახლა ყველას პირზე აკერია. განა შევძლებ საქმე ქორწინებამდე ისე მივიყვანო, რომ მარინემ ვერაფერი გაიგოს? რასაკვირველია, ვერ შევძლებ“.

„რა ვქნა? რა გავაკეთო? როგორ დავიხსნა თავი მარინესაგან?“

„ხსნის გზა მხოლოდ ერთია... მარინე უნდა მოკვდეს!“

- რამაზ! - იყვირა საშინელი ხმით ქალმა.

მოხდა საოცრება, მარინემ კი არ წაიკითხა, კი არ გამოიცნო რამაზ კორინთელის ფიქრი,

თვალნათლივ დაინახა რაღაც გულისამრევად საზიზღარი, უფორმო, წითელი და ლორწოიანი ცხოველივით როგორ დაიბადა ეს აზრი ახალგაზრდა კაცის ტვინში.

რამაზ კორინთელი ქალის ისტერიულმა შეკვივლებამ გონს მოიყვანა. თვალელებში ბოროტი გამოხედვა დაბვაშესუსტებულ ნათურასავით ნელ-ნელა ჩაქრა. ლოგინზე გულადმა დაწვა და თვალი დახუჭა.

- რა გაყვირებს?

- თვალელებში შემომხედე, რამაზ!

კორინთელმა თვალეები გაახილა, მარინეს შეხედა და შეკრთა. მიხვდა, ახალგაზრდა ქალმა გამოიცილა მისი გადანყვეტილება. გაღიმება სცადა. არ გამოუვიდა.

- ეგ რა გაიფიქრე, რამაზ!

- რა გავიფიქრე?!

ვაჟის გაოცებულმა მხერამ მარინე ჯერ დააბნია, მერე ოდნავ დაამშვიდა. ცოტა შეწუხდა კიდევ.

„საიდან დავასკვენი, რომ ჩემი მოკვლა გადანყვეტა?! განა იოლია ადამიანის მოკვლა?“

- სჯობია, ნახვიდე! - თქვა ოდნავ დარცხვენილმა მარინემ და პერანგი ჩაიცვა. - ცალ-ცალკე ალბათ უფრო დავმშვიდდებით.

ქალი წამოდგა და სააბაზანოში გავიდა.

რამაზ კორინთელმა თვალი ზიზღით გააყოლა.



რა სიამოვნებით ჩაახრჩობდა აბაზანაში, კვალის დაფარვა რომ შესძლებოდა.

„რა ვენა? რა მოვიმოქმედო?“

თავს უნდა მოვერიო, ნერვები უნდა მოვთოვო. ნელ-ნელა და თანდათანობით უნდა მოვლბე, ვითომ ბედს შევეგეუე. ახლა რომ ქალაქგარეთ წავიყვანო, შეიძლება ეჭვი შეეპაროს, შეშინდეს და არ გამომყვეს. ერთი კვირის მანძილზე, როცა მე ვითომ დავმშვიდდები და ბედს საბოლოოდ შევერიგდები, როცა მარინეს ნდობას კვლავ მოვიპოვებ, ისევ ფასანაურში წავიყვან...”

„არმაზის ხეობაში სჯობია, იქ სადმე მოვკლავ და მტკვარში გადავაგდებ“.

„ღმერთო ჩემო, ისევ მდინარეში!“

„ღმერთია მონმე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. განა ჩემი ბრალია რამე?! განა რაიმეს შევპირდი და პირი ვუტეხე? ყველაფერი თავის თავს დააბრალოს!“ - რამაზ კორინთელის გადანწყვეტილება მტკიცე იყო და საბოლოო.

მარინეს არმაზის ხეობაში გაიყვანდა. წინასწარ შერჩეულ ადგილზე მოკლავდა, წელზე საგანგებოდ გამზადებულ რკინის ნაჭერს შეაბამდა და მტკვარში გადააგდებდა.

რამაზ კორინთელის გონებაში უმაღვე ჩაირთო ვიდეოკასეტა. ეკრანზე ნელ-ნელა გამოისახა არმაზის ხეობა მცხეთიდან ძეგვამდე. შემდეგ ფირი უკან გადაახვია და იმ ადგილზე გააჩერა, სადაც მისი აზრით, ყველაზე უმტკივნეულოდ შეიძლებოდა გვამის თავიდან მოშორება.

\* \* \*

რამაზ კორინთელი სიხარულით ცაში ფრინავდა. მაკა ლანდიამ შინ მიიწვია. ჯერ გადანყვითა, საგანგებოდ ჩაეცვა. უმაღვე გადაიფიქრა. არ უნდოდა აღტაცება და მღელვარება დასტყობოდა. სპორტულად ჩაიცვა და სარკეში ჩაიხედა. მოეწონა საკუთარი თავი. არჩევანის სისწორეში დარწმუნდა, ტყავის კურტკაში უფრო მოხდენილი, ლაღი და ძლიერი ჩანდა. ერთი გაიფიქრა, უღვაშები ხომ არ მოვიპარსოო, მაგრამ უმაღვე გადანყვითა, არ ღირს, რატომ უნდა იფიქროს მაკამ, რომ მის გადაკრულად გამონათქვამ მოსაზრებას უსიტყვოდ ვემორჩილებით.

სიხარულით აღსავსეს დროდადრო გულზე ნაღველი გადაეცლებოდა. მარინეს გახსენება გულს უკლავდა, სასონარკვეთილებში აგდებდა. გაფიქრებაც კი არ უნდოდა, რომ მის სხეულში ბავშვის გული ფეთქავდა.

სასონარკვეთილებას უმაღვე იმედი ენაცვლებოდა, დიდი იმედი და სიხარული. მომავლის რწმენა და საკუთარი ღირსების შეგრძნება მწუხარებას სადღაც გულის შორეულ კუნჭულში ჰკუჭავდა.

სადგურის ახლოს, ბაზარში თეთრი მიხაკები იყიდა და მანქანაში ფრთხილად ჩადო. საათს დახედა, დრო ისე გათვალა, რომ მაკა ლანდიასთან მუსტად რვა საათზე ყოფილიყო.

ჩელუსკინელების ხიდზე შეჯგუფებული ხალხი შენიშნა. ყველანი დაბლა იცქირებოდნენ.

მანქანა ხიდზე გააჩერა და გადმოვიდა. ბევრის თვალებში შეშფოთება წაიკითხა, ბევრს ცნობისმოყვარეობა უფრო დაუფლებოდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა რამაზ კორინთელმა ერთ ახალგაზრდა კაცს.

- მტკვარში გვამია ქვაზე გამოდებული. ეტყობა, საიდანღაც ჩამოიტანა?

- გვამი?! - რამაზ კორინთელის გული, თითქოს ვიტრინის მინას ქვა მოხვდაო, წვრილ-წვრილად დაიმსხვრა და მუცელში ჩაიხბნა. სასწრაფოდ მოაჯირთან მივიდა და დაბლა გადაიხედა.

ქვემოთ კარგად მოჩანდა ქვას გამოდებული გვამის ხელი. მილიციელები მტკვრის ნაპირზე იდგნენ და ცნობისმოყვარე ხალხს ახლოს არ უშვებდნენ. იქვე, ნაპირზე მიბმულ ნავთან სამი ახალგაზრდა იდგა და ერთმანეთს გაცხარებული ელაპარაკებოდნენ, თან გვამისკენ ხელს იშვერდნენ. ხიდამდე მათი ხმა არ ამოდიოდა, მაგრამ დიდი მიხვედრა არ უნდოდა, გვამთან მისვლის გეგმას ამუშავებდნენ.

რამაზ კორინთელი დენდარტყმულივით შეხტა, მანქანაში ჩაჯდა და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას.

ახალგაზრდა ვაცმა ირონიული ღიმილი გააყოლა რამაზ კორინთელს და კვლავ მოაჯირს გადაეკიდა.

რამაზ კორინთელი დაძაბული მიაქროლებდა მანქანას. მარინე და უმწეო ქალის მიმართ გამოტანილი უღმობელი განაჩენი გაახსენდა. თავი მტკიცედ გაიქნია. გადანწყვეტილებას ველარავითარი ძალა ველარ შემაცვლევინებსო, დაასკვნა კვლავ და შეეცადა ფიქრი დღევანდელ საღამოზე გადაეტანა.

იოლად შესძლო თავის დამორჩილება, იოლად დაივიწყა მტკვარში ქვას გამოდებული გვამიც და მარინეს სამუდამოდ თავიდან მოშორების პრობლემაც.

„როგორ დავიჭირო თავი?“

„გამომწვევად?!“

„არ ივარგებს!“

„ჯობია, ჩემთვის ვიყო, სანამ არ დამელაპარაკებიან, საუბარში არ ჩავერევი“.

„ჩემი სახელი და გვარი ისედაც მიიქცევს ყურადღებას“.

„თვითონ მაკას ჩემდამი გამორჩეული ყურადღებაც საკმარისი იქნება, რომ საღამოს მთავარ ფიგურად ვიქცე“.

უსიამოვნო განცდა უკვალოდ აორთქლდა. კვლავ სიხარული დაეუფლა.

სწრაფად უახლოვდებოდა მაკას სახლს და მღელვარებას მატულობდა, მღელვარება და სასიამოვნო მოლოდინი უცხო გარემოსთან, უცხო საზოგადოებასთან და, თუ გნებავთ, უცხო სამყაროსთან შეხვედრისა.

\* \* \*

კარი მაკამ გაუღო.

- პირველი მოვედი? - ჰკითხა ღიმილით რამაზ კორინთელმა და ყვავილები მიართვა.

- პირიქით, ყველაზე ბოლოს მობრძანდით.

- მე არ დამგვიანებია?! - დახედა საათს შემოფოთებულმა კორინთელმა და ჰოლში შეაბიჯა.

- ნუ ღელავთ. არ მინდოდა, რომ უცნობ საზოგადოებაში მოლოდინით დამეღალეთ. ამიტომ დანარჩენები ნახევარი საათით ადრე მოვიწვიე.

მაკა ლანდიაშვილმა ბოლომდე არ გაუზიარა ჩანაფიქრი. არ უნდოდა, რამაზ კორინთელი

ცალ-ცალკე წარედგინა დაგვიანებით მოსული სტუმრებისათვის. ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა, როგორ ეფექტს მოახდენდა ყველაზე ბოლოს მისი გამოჩენა. კაცმა რომ თქვას, თავის ჩანაფიქრს ბოლომდე ვერც გაუზიარებდა რამაზ კორინთელს, მაშინ ხომ უნდა გაეცა ვაჟით თავისი აღტაცება, რაც ბუნებრივია, ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა.

- მომწონს თქვენი წინდახედულება! - თქვა სახუმარო ინტონაციით კორინთელმა, - როგორ გიხდებათ თეთრი კაბა!

- მართლა? - გახარებულ ქალიშვილს თვალი სარკისკენ გაექცა.

მაღალ და სიფრიფანა მკვას თეთრი საღამოს კაბა კიდევ უფრო მატებდა სინაზესა და მოქნილობას.

სარკეში თვალნათლივ დაინახა, რომ თითქმის ვაჟის სიმაღლისა იყო. მიუხედავად ამისა, კორინთელის მძლავრი, დაკუნთული სხეულის ფონზე კიდევ უფრო ქალური და ჰეროვანი ჩანდა.

„რა მოცეკვავე იქნებოდა!“ - გაივლო გულში კორინთელმა, როცა მკა დაარბამისაკენ გაუძღვა. რამაზ კორინთელი პირველი არ იყო, ვისაც მკვას დანახვისას ეს აზრი უჩნდებოდა.

კორინთელს გაეხარდა, დაარბამში რომ სულ ათიოდე კაცი დაინახა.

ისინი ჯერ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ორი წარდს თამაშობდა, სამი კაცი იქვე იდგა და თამაშს თვალყურს ადევნებდა. ქალები სავარძელში ისხდნენ და საუბრობდნენ.

ერთი წარმოსადეგი, მაღალი კაცი ფეხზე იდგა და მეორე, დაახლოებით თავისი ასაკის კაცს ხმადაბლა, მაგრამ საქმიანად ელაპარაკებოდა. ხელში ორთავეს მინერალური წყლით სავსე, მაღალფეხიანი ჭიქები ეჭირათ.

რამაზ კორინთელის გამოჩენისთანავე დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. კორინთელი მიხვდა, ყველანი მას ელოდნენ. არც მათი ცნობისმოყვარეობით წამონთებული თვალები დარჩენია შეუმჩნეველი.

უცებ ერთი ახალგაზრდა ქალის თვალებიდან, როგორც ორლულიანი თოფიდან, ისე გამოვარდა ორი ტყვია. კორინთელი შეკრთა: მის პირდაპირ, ტყავის ყავისფერ სავარძელში ღია რამიშვილი იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ქალს ტუჩებთან მიტანილი სიგარეტიანი ხელი თითქოს გაუშეშდა.

რამაზ კორინთელი დაიბნა, მაგრამ გონს უმაღვე მოეგო. ვითომც აქ არაფერიყო, ყველას ღიმილით დაუკრა თავი და ბოლოს მაღალ, წარმოსადეგ კაცს შეხედა. მარტო სოლიდურობით, ასაკით და სიმაღლით კი არა, სახის იერით მიხვდა, რომ ის იყო მაკა ლანდიას მამა.

გიორგი ლანდია ორმოცდაათ წელს იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ მუცელი ოდნავადაც არ ეტყობოდა. მაღალ კაცს ასეთი თხელი და სუსტი ტანი ერთი შეხედვით თითქოს არც უხდებოდა, მაგრამ წლების მანძილზე დიდ თანამდებობებზე ნამუშევარს საკუთარი ძალისა და ღირსების შეგრძნება თვითდაჯერებული და ძლიერი კაცის იერს აძლევდა. მაღალფეხიანი ჭიჭა ხელი ისე მოხდენილად ეჭირა, ეტყობოდა, უაღრესად დახვეწილი მანერები ჰქონდა.

- რამაზ კორინთელი! - გამოაცხადა ღიმილით მაკამ.

ქალიშვილმა სტუმარი პირველად მამას წარუდგინა.

- რამაზ, გაიცანით მამაჩემი გიორგი ლანდია.

კორინთელმა თავი დაუკრა და ხელის გამოწოდებას დაელოდა.

- მართალია, ქიმიკოსი ვარ, - ღიმილით მიმართა მასპინძელმა, - მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად ჩავწვდი თქვენი აღმოჩენის სიღრმეს.

- ჩემთვის დიდი ჯილდოა თქვენი შეფასება! - მადლობის ნიშნად თავი დაუკრა კორინთელმა.

- ბატონი ირაკლი ბერიშვილი, ალბათ გეცოდინებათ, მთელ საქართველოში სახელგანთქმული კარდიოლოგი და ჩენი კარის მემბოხელი.

- სასიამოვნოა! - კორინთელმა ექიმს ხელი გაუწოდა.

- ესენი კი ჩემი სკოლისა და უნივერსიტეტის განუყრელი მეგობრები არიან. დღეს მხოლოდ ძალზე ახლობელი ხალხი მოვიწვიე.

ქალიშვილები ფეხზე წამოდგნენ, კორინთელს ხელი გაუწოდეს და თან ყურადღებით შეათვალიერეს.

რამაზ კორინთელმა იგრძნო, ქალიშვილებმა მოწონება ვერ დამალეს.

სითამამე და რწმენა კიდევ უფრო შეემატა. ღია რამიშვილის სავარძელთან რომ მივიდა, იგრძნო, სრულებით არ ღელავდა და კიდევ უფრო გათამამდა.

- რამაზ, გაიცანი, ასევე ჩემი კარის მემბოხელი და ჩენი ოჯახის ახლო მეგობარი ღია რამიშვილი. მისი მეუღლეც მალე მობრძანდება.

- სასიამოვნოა, რამაზ კორინთელი! - პირველად წარმოთქვა თავისი სახელი და გვარი კორინთელმა.

ღია რამიშვილი სავარძლიდან არ წამომდგარა. კორინთელს თავი მძიმედ დაუკრა და სიგარეტი ნაზად მიიტანა ტუჩებთან.

„ნეტავ თუ მიცნო?“

„უღვაშებიანი ხომ არ ვუნახივარ?!“

წამიერად შეხედნენ მათი თვალები ერთმანეთს და კორინთელმა უმაღვე იგრძნო, ახალგაზრდა ქალის გულში რა ცვეხლი ბობოქრობდა, მაგრამ, ვითომც აქ არაფერიაო, კვლავ მაკას მიჰყვა.

- გივი კობახიძე, ჩვენი სტუდიის მთავარი რედაქტორი.

- სასიამოვნოა! - კორინთელმა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამსხვილებულ კაცს ხელი გაუნოდა და თან რატომღაც დამცინავად გაუღიმა.

„რატომ არ მომეწონა მთავარი რედაქტორი? ალბათ იმიტომ, მაკას უფროსი რომ არის“,  
- დაასკვნა რამაზ კორინთელმა.

მოთამაშებებს ნარდი უკვე აეკეცათ და გვერდზე მიენიათ.

- ესენიც ჩემი მეგობრები არიან სკოლიდან და უნივერსიტეტიდან.

- სასიამოვნოა, - გაიმეორა კორინთელმა და ყველას ხელი ჩამოართვა, თუმცა აზრადაც არ მოსვლია მათი სახელები დაემახსოვრებინა.

-აი, აქ დაბრძანდით. - მაკამ სავარძელი შესთავაზა.



რამაზ კორინთელი სავარძელში ჩაჯდა და ჯიბიდან „უინსტონი“ ამოიღო. „უინსტონის“ დანახვაზე ლია რამიშვილს თვალები გაუფართოვდა.

„ნუთუ ის არის? ნუთუ ის არის?!“ - დატრიალდა ერთადერთი ფრაზა ახალგაზრდა ქალის გონებაში.

„უინსტონმა“ კიდევ უფრო დააეჭვა. გაახსენდა, რომ ნოდარ ბარამიძე მოსკოვში მხოლოდ „უინსტონს“ ეწოდა.

„ხმაც რომ ძალიან მიუგავს?!“

„საეჭვო აღარაფერია, ის არის! ნამდვილად ის არის!“

„იქნებ ვცდები?“

„ვითომ? განა შეიძლება ყველაფერი ასე ემთხვეოდეს ერთმანეთს?“

„უღვაშები?“ - ერთადერთი ჭაბუკის უღვაშები იყო, გულში რომ იმედად ოდნავდა უჭიატებდა.

ახალგაზრდა ქალმა კორინთელისკენ თვალი მალულად გააპარა და შეეცადა ჭაბუკი მეცნიერი უუღვაშოდ წარმოედგინა.

„შეუძლებელია, წარმოუდგენელია!“ - დაასკვნა გულში ენერგიულად. თუმცა უმაღვე მიხვდა, დასკვნის ენერგიულობა საქმეს არ შველოდა.

კიდევ ერთხელ გააპარა თვალი. თითქოს კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საეჭვო აღარაფერი იყო, მაგრამ იმედი ჩამქრალ ნაღვერდალში ჩარჩენილი ერთადერთი პატარა ნაკვერჩხალივით უღვიოდა.

„ხომ შეიძლება ადამიანები ტყუპი ძმებით ჰგავდნენ ერთმანეთს?!“

„განა ცოტას ჰყოლია თავისი ორეული?!“

„ან კი იმოდენა ტალანტის მეცნიერი, სრულიად ახალგაზრდამ რომ მთელი ქვეყანა აალაპარაკა, იკადრებდა ასეთ უსინდისობას?!“

ჩამქრალ ნაღვერდალში ისევ გაკიაფდა პატარა ნაკვერჩხალი.

„არადა ის არის, ნამდვილად ის არის!“ - დაასკვნა საბოლოოდ გულდამდურულმა ახალგაზრდა ქალმა.

„რატომ მომატყუა, რატომ გამეცნო სხვისი სახელით და გვართ? განა ჩემთვის სულერთი არ იყო, რამაზ კორინთელი იქნებოდა თუ ნოდარ ბარამიძე?“

„დამცინა და იმიტომ! გამამასხარა და იმიტომ! მე კი მეგონა, რომ ნამდვილად ვუყვარდი; მჯეროდა, რომ გულწრფელი იყო მისი სიტყვა, მისი თვალები, მისი საქციელი...“

„ალბათ რამდენს იცინოდა და ტრაბახობდა მეგობრებში, ასე იოლად რომ გამაცურა“.

„ნუთუ ამდენი უნამუსობა შეიძლება ჩაიდინოს ინტელიგენტმა ადამიანმა? ნუთუ ასე შეუძლია ითვალთმაქცოს ასეთმა განათლებულმა პიროვნებამ და უკვე ახალგაზრდობაშივე სახელგანთქმულმა მეცნიერმა?“

„ღმერთო ჩემო! ვერაფერი გამიგია!“

„შური უნდა ვიძიო, აუცილებლად უნდა ვიძიო შური, მაგრამ როგორ? განა შემიძლია ხმის ამოღება? განა თვითონ არ მოვიჭერი ყველა გზა?“

- თუ არ ვცდები, თქვენს ასაკში ჯერ არავის დაუცავს სადოქტორო დისერტაცია! - წამოიწყო საუბარი ბატონმა გიორგიმ.

რამაზ კორინთელი მიხვდა, თჯახის უფროსამდე საუბრის დაწყებას ვერავინ გაბედავდა.

- გულწრფელად გითხრათ, არ დავინტერესებულვარ ამ პრობლემით! - გააბოლა სიგარეტი რამაზ კორინთელმა.

მაკამ საფერფლე მიუტანა, კორინთელმა ჩინური დრაკონებით მოხატული საფერფლე ჩამოართვა და სავარძლის ფართო სახელურზე დაიდგა.

- ნამდვილად არავის დაუცავს! - ავტორიტეტულად განაცხადა კარდიოლოგმა პროფესორმა.

- უნდა მოგახსენოთ, რომ მე დისერტაცია არ დამიცავს, - თანდათან უფრო გათამამდა კორინთელი. თვითონვე იგრძნო, ხმაში სიმტკიცემ იმძლავრა და მღელვარებამაც გაუარა, - მე, უბრალოდ, წარვადგინე ჩემი ახალი გამოკვლევა. მოსკოვში ჩათვალეს, რომ ნაშრომი, როგორც მინიმუმი, იმსახურებდა სადოქტორო ხარისხს. იგივე ნაშრომისათვის ალბათ მომავალ წელს სახელმწიფო პრემიაზეც წარმადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გადამწყვეტილება მიიღეს მოსკოვში.

მაკა აღტაცებული შესჩერებოდა რამაზ კორინთელს. მოსწონდა მისი ჯდომის მანერა, თავისუფალი ლაპარაკი, ხელის მოძრაობაც კი, როცა სიგარეტის ნამწვს საფერფლეზე ფერფლავდა.

- თქვენ ხომ საკანდიდატოც დაუცველად მოგანიჭეს! - თქვა უცებ მაკამ.

- დიახ, მხოლოდ დიპლომი დავიცავი. სამეცნიერო საბჭომ ჩემი დიპლომი საკანდიდატო ხარისხის ტოლფასად მიიჩნია.

- წელანაც მოგახსენეთ, მე, როგორც ქიმიკოსს, მესმის თქვენი გამოკვლევის სიღრმე და გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, გაოცებული ვარ, ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ასაკში რომ ამოდენა წარმატებას მიაღწიეთ. თქვენ უკვე გააკეთეთ ის, რითაც ბევრ სახელოვან მეცნიერს შეეძლო თავისი კარიერა დაესრულებინა.

- კიდევ ერთხელ მინდა გადაგიხადოთ დიდი მადლობა. როგორც წელან მოგახსენეთ, თქვენი შეფასება ძალზე დიდი ჯილდოა ჩემთვის.

- ბევრი მეცნიერი ხომ გაცილებით გვიან ამუღავნებს თავის შესაძლებლობებს, - დაიწყო უცებ ერთმა ტანმორჩილმა, ნაზი შესახედაობის ჭაბუკმა, - ვუნდერკინდები კი, როგორც წესი, პირველივე წარმატების შემდეგ იფერფლებიან და შემდგომ ძალზე ორდინარული, ჩვეულებრივი მეცნიერები ხდებიან.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. არავის არ მოეწონა ახალგაზრდა კაცის უტაქტოდ გამონათქვამი.

განაწყენებულმა მაკამ უკმაყოფილება ვერ დამალა და სკოლის ამხანაგს რისხვაშერეული დაცივით შეხედა.

„ბავშვობაში ალბათ მაკა უყვარდა. ეტყობა, ახლაც არ განელებია მასზე ერთი თავით მაღალი ქალიშვილის სიყვარული და შურიანობამ წონასწორობიდან გამოიყვანა!“ - დამცინავად და ბოღმიანად დაასკვნა რამაზ კორინთელმა. მან ხომ თავიდანვე შეატყო სტუმრებს, რომ მშვენივრად ხედავდნენ კორინთელისადმი მაკა ლანდიას სიმპათიას. სჯეროდა, ქალიშვილს ერთი სიტყვითაც არ გამოუხატავს ვაჟისადმი თავისი დამოკიდებულება, მაგრამ მისი ლამაზი, სიყვარულით გაბრწყინებული თვალები გაცილებით უკეთ ამბობდნენ სათქმელს.

- თქვენ მუსიკოსი ბრძანდებით, გია - დაიწყო თავაზიანი ღიმილით ოჯახის უფროსმა, -

გეპატიებათ, რომ ფიზიკაში ვერ ერკვეოდეთ, მაგრამ არ გეპატიებათ მეცნიერების უცნობ სფეროში მოღვაწე კაცის მიმართ ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ბატონმა გიორგიმ არ აკადრა ახალგაზრდა კაცს, პირდაპირ ეთქვა, „უტაქტო და მცდარი“ დასკვნების გამოტანაო.

- წელან მოგახსენეთ და კიდევ ვიმეორებ, ასეთი დიდებული გამოკვლევით ბევრ სახელოვან მეცნიერს შეეძლო თავისი კარიერა დაესრულებინა. პატივცემულმა რამაზმა კი, სპორტული ტერმინოლოგიით რომ გამოვხატოთ სათქმელი, ფინიში სტარტად აქცია.

- უკეთესად პასუხს ნამდვილად ვერ ჩამოვაცალიებებდი, ბატონი გიორგი, რისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ და, საერთოდ, მგონი, შევანყინეთ კიდევ თავი საზოგადოებას ჩემს მეცნიერულ ნაცოდვილარზე საუბრით, - თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ თქვა კორინთელმა. ხმაში აშკარად შეეპარა სუსხი და წამონთებული თვალები გიას მიაპყრო, - ვუნდერკინდობა ოცდაოთხი წლის ასაკში, სხვათა შორის, მე უკვე ოცდამეხუთეში გადავდექი, ცოტა სასაცილოდ უღერს. თანაც მეცნიერების, კერძოდ ფიზიკისა და ასტრონომიის, განვითარების დღევანდელ დონეზე რაიმე პრობლემის მხოლოდ ვუნდერკინდული მონაცემებით გადაჭრა, სასაცილოა. დღეს თვით უმნიშვნელო პრობლემასაც ვერ გადაჭრით დიდი ცოდნის, პრობლემათა ღრმა ანალიზისა და სწორად წარმართული ექსპერიმენტის გარეშე. თავისთავად ბატონო... - რამაზ კორინთელმა კითხვის ნიშნით შეხედა მუსიკოსს.

- გია! - შეაშველა რამდენიმემ.

- დიახ, ბატონო გია. მეცნიერებაში მხოლოდ ცოდნა არაფერს ნიშნავს, თუ არ გაქვს ამ ცოდნის აღქმისა და ანალიზის ერთიანი სისტემა. მეგობრებო, - მიუბრუნდა დანარჩენებს ღიმილით, - არ იფიქროთ, თავს ვიცავდე. უბრალოდ, რაკი საკითხი წამოიჭრა, მეც გამოვთქვი ჩემი აზრი.

- სხვათა შორის, ძვირფასო გია, რამაზ კორინთელი შესანიშნავად უკრავს როიალზე! - ნიშნის მოგებით მიუბრუნდა სკოლის ამხანაგს მაკა ლანდია.

- ოჰო! ძალზე სასიამოვნოა! - დამცინავად წარმოთქვა გიამ.

რამაზ კორინთელს არ გამოჰარვია ახალგაზრდა კაცის თვალეზში გაელვებული სიბრაზე.

- ძალიან გთხოვთ, ბატონო გია, მაკას ნათქვამს პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ. მაკას, უბრალოდ, უნდოდა ეთქვა, რომ მე უკეთ ვერკვევი მუსიკაში, ვიდრე თქვენ ფიზიკაში.

ყველამ გაიცინა ღია რამიშვილის გარდა. მაკა ლანდიას კიდევ უფრო დაეუფლა სიამაყის გრძნობა და თვალეზგაბრწყინებული აშკარად გამოხატავდა სტუმრისადმი თავის სიმპათიას. უფრო მეტიც, აღტაცებას.

- ერთი შეკითხვა მაქვს, ბატონო რამაზ, თქვენთან, - დაიწყო უცებ კარდიოლოგმა მოწინებით.

- ბრძანეთ! - კორინთელი მიხვდა, მის მიმართ მოკრძალებას მეცნიერები უფრო იჩენდნენ. სხვებს ახალგაზრდა მეცნიერის სენსაციური წარმატების ფაქტი უფრო აღელვებდათ.

- აი, თქვენ თურმე შესანიშნავად უკრავთ როიალზე. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ფიზიკოსთა და ლირიკოსთა დავა? გააჩნია ამ საყოველთაო კამათს რეალური საფუძველი?

- ბატონო ირაკლი, ჯერ ერთი, ცოტა გადამტეხული მეჩვენება მაკას შეფასება, რომ თურმე შესანიშნავად ვუკრავ. მეორეც, არაფერი ისე არ მაღიზიანებს, როგორც

ჟურნალისტების მიერ მოთრეული და მონაგონი პრობლემები. „ფიზიკოსებისა და ლირიკოსების“ დავაც მხოლოდ ჟურნალისტთა ტვინის ჭყლეტის შედეგია. არავინ არავის არ ედავება, მეგობრებო. რატომ ვქმნით ხელოვნურ აჟიოტაჟს? რატომ ვებრძვით ქარის წისქვილებს? ნუთუ მკითხველების მისაზიდად სხვა თემები არ გავაჩნია? ნუთუ ყველა საინტერესო პრობლემა გავაშუქეთ, რომ თითიდან გამოწოვილი დისკუსიებით ხალხი არ დავაბნოთ? - რამაზ კორინთელს თვალეები წამოენთო, ლაპარაკისას ხელებსაც უფრო ენერგიულად იშველიებდა, სავარძელში ბორგავდა, ერთი სული ჰქონდა, ფეხზე წამოვარდნილიყო. - ვერ გამიგია, რატომ უკვირთ, აინშტაინი რომ ვილინიზმზე უკრავდა, ან რატომ უნდა მივიჩნიოთ სენსაციად, რომ მაქს პლანკი შესანიშნავი პიანისტი იყო?! ამ თითქმის სამი ათეული წლის წინ, უფრო ზუსტად, 1959 წელს, ჰაიზენბერგს პირველად შევხვდი კიევში. მე გამაოცა დიდი ფიზიკოსის ფილოსოფიურმა დებულებებმა. იმ დღიდან მოყოლებული მჯერა, რომ ყოველ ფიზიკოსში ფილოსოფოსი თვლემს...

- რომელ წელს? - შეაწყვეტინა გაოცებულმა გიორგი ლანდიამ.

- 1959 წელს, კიევში, მაღალი ენერჯის ნაწილაკების ფიზიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე! - ვერ მიხვდა შეცდომას რამაზ კორინთელი. დაბნეულმა მოავლო თვალი მსმენელთა გაოცებულ სახეებს. ყველაზე მეტად მაკას ალენილმა ლოყებმა შეაკრთო.

- კი, მაგრამ... - ვერ მოუყარა სათქმელს თავი ბატონმა გიორგიმ, - თქვენ ხომ ოცდაოთხი წლისა ბრძანდებით?

- დიახ, ახლახან გადავდექი ოცდამეხუთეში.

- აგაშენათ ღმერთმა! 1959 წელს ჰაიზენბერგს როგორ შეხვდებოდით კიევში, თქვენ ხომ მაშინ დაბადებულ იყ არ იყავით... ალბათ რაღაც გადატანითი, სიმბოლური მნიშვნელობით გინდოდათ გეთქვათ სათქმელი, არა?

რამაზ კორინთელი გამოერკვა. მიხვდა, შეტოპა, კონტროლი დაკარგა, სათქმელი ვერ მოზომა.

დაბნეულობამ მხოლოდ წამიერად გასტანა. უმაღვე გონს მოეგო და უდარდელად გაიცინა.

- აი, ხომ ხედავთ, მაინც რამოდენა ზეგავლენა აქვთ ჩვენზე უერნალისტებს. წედან მთელი ტირადა წარმოვთქვი მათ გასაბიებრუებლად. თვითონ კი ვერც შევამჩნიე, როგორ დავიწყე მათი ტერმინებით და კალკებით აბროვნება. გავისხენოთ გამოთქმები, რომლებიც ხშირად გვესმის ტელეეკრანებიდან: „დღეს თქვენ გელით შეხვედრა მერლინ მონროსთან“, ან „ინგმარ ბერგმანთან ყოველი ახალი შეხვედრა დიდი სიხარულია კინოხელოვნების ჭეშმარიტი მოყვარულებისათვის“. დიახ, ჩემი პირველი დაუსწრებელი შეხვედრა ჰაიზენბერგთან სულ ხუთიოდე წლის წინ მოხდა, სწორედ მაშინ გავეცანი 1959 წლის კიევის სიმპოზიუმის მასალებს. დიახ, ბატონებო, ყოველ ფიზიკოსში ფილოსოფოსი თვლემს, - ვითომც აქ არაფერიაო, გააგრძელა წედან შეწყვეტილი სიტყვა რამაზ კორინთელმა. მიხვდა, ლაბირინთიდან იოლად გამოვიდა; წამიერად დარწმუნდა, რომ უკლებლივ ყველას სახეზე უკვალოდ წაიშალა წედანდელი დაბნეულობა და გაოცება. დამშვიდებულმა ღრმად ამოისუნთქა და ლაპარაკი წედანდელი აბარტით გააგრძელა, - მამ რატომ არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ყოველ ფიზიკოსში პოეტი ან მუსიკოსი თვლემს? ანდა პირიქით, იქნებ ყოველ პოეტში, მხატვარში ან მუსიკოსში ფიზიკოსი თვლემს? მე თვითონ ბევრს ვიცნობ პოეტებსაც და მუსიკოსებსაც, რომლებიც უსამღვროდ არიან დაინტერესებული ფიზიკის, ასტრონომიის, გენეტიკის საკითხებითა და პრობლემებით. ადამიანი ყველა დარგს ვერ დაეუფლება. უამრავი პროფესიიდან თუ სპეციალობიდან ერთს ირჩევს. დანარჩენი დარგებისათვის აღარ სცალია. მწერლობა, მხატვრობა და მუსიკა კი უფრო მეტია, ვიდრე სპეციალობა. ამიტომაც, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველ ადამიანში ხელოვანი თვლემს...

„საეჭვო არაფერია. ისაა, წამდვილად ისაა!“ - დაასკვნა საბოლოოდ ლია რამიშვილმა



და გულში მწარედ გაიცინა. განა პირველი წუთიდანვე, პირველი წამიდანვე იყო რაიმე საეჭვო? საკუთარ თავს საბოლოოდ გამოუტყდა, რომ ხავსს ამაოდ ეჭიდებოდა. შურაცხყოფის, სირცხვილისა და შურისძიების გრძნობა ერთმანეთში აირია და აიმღვრა. ჯერ მაკას გახედა. ქალიშვილის ბედნიერებით გაბრწყინებულმა გამოხედვამ კიდევ უფრო გააცოფა. მერე ისევ კორინთელს მიაპყრო გაბოროტებული თვალები.

„შევიმჩნო, რომ ვიცანი?“

„იქნებ სულაც სჯობს გამოთავყვანებული ქალის როლი ვითამაშო? ვითომ ვერაფერს მივხვდი, ვითომ ვერ ვიცანი... თუმცა ჩემი მსახიობობა რა საჭიროა. თვითონ იქცევა ისე, თითქოს ვერ მიცნო!“

„იქნებ მართლა ვერ მიცნო?“

„რა სულელი ვარ!“

ღია რამიშვილს, ამაყ და თბილისში საყოველთაოდ ცნობილ ახალგაზრდა ქალს, ასე დამცირებულად და მიწასთან გასწორებულად არასდროს უგრძნია თავი. გულს კიდევ უფრო ის უკლავდა, შურისძიების გმებს რომ ვერ ხედავდა. უფრო მეტიც, გავარჯარებულ, ორთქლად ქცეულ სათქმელს, გულს რომ ლამის გახეთქვით ეშუქებოდა, უწვრილესი ნასვრეტიდანაც კი ვერ გამოუშვებდა. სიტყვას ვერავის ეტყოდა, მტანჯველ ფიქრს ვერავის გაუზიარებდა. სადაცაა მისი ქმარიც შემოაღებდა კარს და შურაცხყოფის, სულიერად განადგურების შეგრძნებაც ერთი ათად გაიზრდებოდა.

„რა მოვიმიზეზო? როგორ წავიდე შინ?“

„იქნებ ჯიბრზე არაფერი შევიმჩნო და წარსული სულაც ფეხებზე დავიკვიდო?“

„ვაი, რომ არ შემძლია!“

„შური უნდა ვიძიო! სასტიკად უნდა ვიძიო შური, მაგრამ როგორ? ყოველმხრივ რომ მაქვს ხელფეხი შეკრული?“

„რა უნდა მოვიმოქმედო, როცა ყველა გზა თვითონ მოვიჭერი?!“

„ვაი, რომ ხმის ამოღების უფლებაც არა მაქვს!“

დარბაზში სადად ჩაცმული სიმპათიური ქალი გამოჩნდა.

- ნება მიბოძეთ, შეგანყვეტინოთ საინტერესო საუბარი, - თქვა მან ღიმილით, - უმორჩილესად გთხოვთ, სუფრასთან მობრძანდეთ!

ყველანი წამოიშალნენ.

მაკამ სტუმარი დედას წარუდგინა.

- დედა, აი, ეს გახლავს რამაზ კორინთელი.

- სასიამოვნოა, თქვა ქალმა და სტუმარს ხელი გაუწოდა.

კორინთელმა გამონვდილი ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

უცებ ვიღაცამ შეჰკვივლა.

ყველამ იქით მიიხედა.

რამაზ კორინთელმა დიასახლისის ხელი გაანთავისუფლა და თვითონაც უკან მიტრიალდა?

ტყავის სავარძლის სახელურზე გადაკიდებული გულწასული ღია რაშიშვილი იატაკს უაზრო თვალებით დასჩერებოდა.

# თავი ოცდამეერთე

რამაზ კორინთელი რაღაც უცნაურ და უსიუუეტო სიმზარს ხედავდა, ტელეფონის ხმა რომ ჩაესმა.

ყურადღება არ მიაქცია. ვერც კი გაერკვა, ტელეფონი სიმზარში რეკავდა თუ ცხადში.

ზარი განმეორდა.

სიმზარი შეწყდა. რამაზ კორინთელმა ძილს ნელ-ნელა წაართვა თავი.

ყურში უკვე გარკვევით ჩაესმა ტელეფონის ზარის ხმა. ყურადღება არ მიაქცია. თვალეები ჭერს მიაპყრო და შეეცადა აღედგინა, რა სიმზარი ნახა.

უწინ თითქმის კვირა არ გავიდოდა, თავისი ძველი სახლი და დედა არ დასიმზრებოდა.

ახლა?

ერთხელ მაინც რატომ არ დაესიმზრა მშობლების ძველებური, ფართო სადარბაზოიანი, მოჩუქურთმებული სახლი და როიალთან მიმჯდარი დედა?

რატომ ხედავდა ყოველ დამე ულოგიკო, უსიუუეტო და კომპარულ სიმზრებს?

იქნებ...

იქნებ იგი სხვის სიმზრებს ხედავდა?!

რატომ სხვისას? განა ის „სხვა“ თვითონ არ იყო?!

„ვინ იყო ის ახალგაზრდა ქალი, გიმნაზიელის ტანსაცმელი რომ ამშვენებდა?“ - გაახსენდა უცებ კორინთელს. თვალი დახუჭა და კვლავ ნათლად დაინახა მისკენ ღიმილით მომავალი თეთრწინსაფრიანი ქალიშვილი.

სიზმარი თითქოს გაგრძელდა.

„ღმერთო ჩემო, ეს ხომ დედაჩემია!“

მომღიმარე ქალიშვილი ნელ-ნელა მიუახლოვდა და მოხდა საოცრებაა: იგი ერთბაშად დაბერდა, მიხრწნილ დედაკაცად გადაიქცა, ზუსტად ისეთად, დედის სახე სიკვდილის დღეს რომ ჩაებეჭდა გონებაში.

შეშინებულმა თვალი გაახილა.

მაინც რა საშინელი დასანახი იყო გიმნაზიელის ტანსაცმელში გამოწყობილი მიხრწნილი ქალი!

ტელეფონის ბარი არ წყდებოდა. ვიღაც ჯიუტად რეკავდა.

იატაკზე დადებული აპარატისკენ ხელი ისე წაიღო, იქით არც გაუხედია.

- გისმენთ!

უსიამოდ შეაურუოლა, პირველი სიტყვიდანვე იცნო მთავარი ექიმი.

არ ესიამოვნა. საერთოდ, რამაზ კორინთელს აღარაფერი აღარ სიამოვნებდა, რაც ოპერაციასა და წარსულს გაახსენებდა. ცდილობდა, ძველი ცხოვრებისათვის ხაზი გადაესვა, ტვინის ყოველი უჯრედიდან ამოეძირკვა და საბოლოოდ დაევიწყებინა. იცოდა,

მხოლოდ წინისაკენ, მომავლისაკენ უნდა ეცქირა. სჯეროდა, უკან მოხედვა არ შეიძლებოდა. გრძნობდა, წარსული უკან მოსდევდა და გრძელი, მძლავრი, საცეცებიანი ხელებით მის დაჭერას ლამობდა.

მთავარი ეჭიმის ხმის გაგონებაც კი ზარავდა. საკმარისი იყო ზურაბ თორაძეს ტელეფონით დაერეკა, ან მისთვის თვალი სადმე მოეკრა, რომ უმაღვე გულში შხამი გადავლებოდა.

- ხომ არსად მიდიხართ? - ჰკითხა ზურაბ თორაძემ.

- რომელი საათია?

- რვა სრულდება.

- ასე უთენია რამ დაგარეკინათ? - გაბრაზდა რამაზ კორინთელი და ლოგინზე წამოჯდა. ძილი საბოლოოდ გაუტყდა.

- აუცილებელი საქმეა. არსად გახვიდეთ. კიდევ უნდა დავაზუსტო რაღაც ფაქტები. ათ საათზე თქვენთან ვიქნები! - მთავარი ეჭიმი პასუხს ადარ დაელოდა და ყურმილი სასწრაფოდ დაუკიდა.

გულმოსულმა რამაზ კორინთელმა ყურმილი აპარატზე დააგდო და ფეხზე წამოდგა.

არ მოეწონა ზურაბ თორაძის ხმა.

„მანც რა მოხდა, ასე უთენია რომ გამაღვიძა?“

სააბაზანოში პირი სწრაფად გაიპარსა, ცივი შხამი მიიღო და პირსახოცზემოხვეული ჰოლში სარკესთან გაჩერდა.

ღრმად შეისუნთქა, მკერდი გამოსწია, კუნთები დაჭიმა. მოენონა საკუთარი თავი. დაძარღვული კისერი კიდევ ერთხელ შეათვალიერა კმაყოფილებით და უმაღლვე ფიქრი მავა ლანდიაზე გადაიტანა.

გუშინ საბოლოოდ მოილაპარაკეს. გადანწყიტეს თვის ბოლოს დაქორწინებულიყვნენ. დღეს მაკას მშობლები საღამოს შვიდ საათზე ელოდნენ რამამ კორინთელს. ქალიშვილს საგანგებოდ სთხოვა, ბევრ ხალხს ნუ შეჰყრიო. მაკამ აღუთქვა, რომ მხოლოდ მისი ორი განუყრელი მეგობარი გოგონა დაესწრებოდა ხელის თხოვნის ცერემონიალს. შენი სურვილი რომ ადრე მცოდნოდა, მათაც არ დავისწრებდიო, უთხრა ღიმილით მაკამ.

„მიყვარს მაკა?“

„რასაკვირველია, მიყვარს!“

„რომ არ მიყვარდეს, არც შევირთავდი. მადლობა ღმერთს, მამამისის თანამდებობით არ მოვხიბლულვარ. დიდი თანამდებობა, რასაკვირველია, ბევრს ნიშნავს, მაგრამ არც იმდენს, უსიყვარულოდ რომ დავქორწინდე. განა რაიმე კეთილდღეობა შეცვლის მეუღლის სიყვარულს? განა რაიმე ხელის წაშველება და წინსვლა ღირს იმად, ოჯახში მოსვლა და ცოლის დანახვა რომ ტანში გზარავდეს?! ბოლოს და ბოლოს, ბატონ გიორგი ლანდიას მხოლოდ ორიოდე წლით შეუძლია დააჩქაროს ის წარმატებები, რასაც მე ჩემი ნიჭითა და უნარით მაინც მივაღწევ“.

რამამ კორინთელმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავისი ათლეტური ტანი, საკუთარ თავსაც გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და გარდერობთან მივიდა.

„რა ჩავიცვა დღეს?“

„აუცილებლად კოსტიუმით უნდა ვეახლო ბატონ გიორგის. თავიდანვე ხომ არ გავანანყენებ მასპინძლებს!“

ისევ მაკა წარმოუდგა თვალწინ.

„მაკას ალბათ თეთრი კაბა ეცმევა. მეც რომ თეთრი კოსტიუმი ჩავიცვი, არ ივარგებს“.

„იქნებ ლურჯი?“

„ცხელა, სოფლიდან ჩამოსულ ხელმძღვანელ ამხანაგს დავემსგავსები“.

„ჯობია, ზოლებიანი სპორტული პიჯაკი და ნაცრისფერი შარვალი ჩავიცვა!“

რამაზ კორინთელმა ტანსაცმელი გადმოაწყო, გულდასმით შეათვალიერა და სკამზე გადადგინა.

„ხომ არ მეჩვენება, ხომ ნამდვილად მიყვარს?“

„ვაითუ, ჩემი გრძნობა მხოლოდ ნამიერი გატაცებაა? განა ცოტა მქონია მსგავსი შემთხვევები?“

„არა, მაკა მიყვარს. ნამდვილად მიყვარს. დღეს ცოტაა მაკასნაირი გოგონები. მართო სილამაზეს როდი ვგულისხმობ. დღეს განა ბევრს იპოვი მაკასნაირ დახვეწილ ქალიშვილს?!“

„ინგა?“

გულში ისევ მოხვდა ტყვია.

„განა ინგა მაკაზე ნაკლებია?! მერე რა, რომ ობლად გაიზარდა! ამქვეყნად ინგას გარდა აქვს კიდევ ვინმეს ღვთისმშობლის თვალები?“



„ინგა სულ სხვაა, ინგა ერთადერთია ამ ქვეყანაზე!“

გაოგნებული რამაზ კორინთელი სავარძელში ჩაჯდა. თვითონაც ვერ მიხვდა, საკუთარ თავთან კამათში რატომ დაიჭირა ინგას მხარე. უფრო სწორად, მიხვდა და იმიტომაც შეშფოთდა.

„განა მე კიდევ ვფიქრობ ინგაზე?“

„არავითარი ინგა! ინგა ჩემი დაა. მისი გულისათვის თუნდაც ამ წუთში მოვკვდები. მაგრამ იგი მხოლოდ დაა ჩემი და მეტი არაფერი!“

„მე მაკა მიყვარს, ჩემი მაკა, მაღალი, ლამაზი, დახვეწილი!“

რამაზ კორინთელმა უმაღლვე წარმოიდგინა ქუჩაში საოცრად ნარნარად მომავალი მაკა. იქნებ ზომამე მეტად მაღალი, იქნებ ზომამე მეტი სიფრიფანა. მერე რა! იშვიათად უნახავს ქალიშვილის ასეთი პლასტიკური სხეული. იშვიათად შეუმჩნევია, ქალიშვილის ხელის, ფეხის, საერთოდ, სხეულის მოძრაობა, გრიმასები, ღიმილი, ლაპარაკის დინჯი, მომხიბვლელი მანერა ასე ერთი მუსიკალური აკორდივით ყოფილიყოს შეკრული.

თითქოს შვება იგრძნო. თავისუფლად ამოისუნთქა. ფანჯარასთან მივიდა. ჯერ ცხრა საათიც არ შესრულებულიყო, მაგრამ შემანუხებლად ცხელოდა.

გაჩეხილ გაბონებში შეყენებული მანქანები უკვე აემუშავებინათ პატრონებს. მოტორების გუგუნი და მუხრუჭების ღრჯიანი უსიამოდ ხვდებოდა ყურს. აი, დაიძრა ერთი მანქანა, მას მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე... კიდევ რამდენიმე წუთი და ეზოში ორად ორი მანქანა დარჩა.

რამაზ კორინთელმა ჯერ თავის წითელ „ჟიგულს“ შეავლო თვალი, მერე შემობრუნდა და კვლავ სავარძელში ჩაჯდა.

ისევ დაუმძიმდა გული. წამიერი აღმოჩნდა წელანდელი შვება.

„რა მემართება? იქნებ ზურაბ თორაძის ხმამ გამიფუჭა გუნება?“

„არა, გუშინ მაკას რომ დავცილდი, პირველი ნუთებიდანვე დამიმძიმდა გული“.

„ალბათ, დიდი სიხარულის წინ ადამიანს უცილებლად ეუფლება დეპრესია. განა ცოტაჯერ შეუპყრია ადამიანი სევდას უცხოეთში გამგზავრების წინ? მთელი თვის სიხარულით მოლოდინის შემდეგ, ზუსტად წასვლის წინა დღეს, განა ცოტა შეუპყრია განშორების სინანულს?“

ამაოდ ცდილობდა, თავი დაემშვიდებინა.

წამოდგა, დივანთან მივიდა, ტელეფონის ყურმილი გადადო და თავდაღმა დაეძხო.

რამაზ კორინთელს არ უნდოდა თავის თავს გამოტყდომოდა, თორემ მშვენივრად იცოდა, რაც უღრღნიდა გულს.

დღეს საღამოსვე მთელს თბილისს მოედებოდა მაკა ლანდიას მშობლებთან მოლაპარაკების ამბავი. ხვალ თუ არა, ზეგ მაინც აგორებული ტალღა ინსტიტუტამდეც მიაღწევდა. მიაღწევდა და რამაზ კორინთელმა მშვენივრად იცოდა, გამძვინვარებულ მარინე დვალს ველარაფერი დააკავებდა.

„ადრე უნდა ჩამოვშორებოდი. ადრე უნდა გამეწყვიტა კავშირი!“

კორინთელმა ხელი ჩაიქნია, წარსულზე დარდს აზრი აღარ ჰქონდა.

„თუ ხვალ არა, ზეგ უნდა მოველო ბოლო. მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ!“

„იქნებ ხვალ დილით მივაკითხო? იქნებ როგორმე დავამშვიდო, დავუყვავო, ბედს შევარიგო. თან დიდი დახმარებაც აღვუთქვა“.

„არა, არ ღირს. მაინც არაფერი გამოვა. ან რატომ უნდა შევავდო ბედი სასწორზე? განა მე ვარ დამნაშავე? განა ქორწინებას შევპირდი და პირი ვუცვალე? განა თვითონ არ მომიწყო შანტაჟი? რატომ მანამდე არ მითხრა არაფერი, სანამ მეხუთე თვეში არ გადადგა?“

„არავითარი რისკი, და საერთოდ, რატომ ფიქრობ ამდენს ერთ მდივან, პრიმიტიულ ქალზე? ხვალვე უნდა დამთავრდეს ყველაფერი!“ - რამაზ კორინთელი თვითონვე დარწმუნდა, გადაწყვეტილებას ველარაფერი შეაცვლევინებდა.

თავი ასწია და, ჩვეულებისამებრ, იქვე სკამზე დადებულ საათს დახედა. ეჭიმის მოსვლამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა.

„ზურაბ თორაძეს მაინც რა ჯანდაბა უნდა. არ დამაცლიან, ერთი დღე მაინც დილიდან საღამომდე ვიყო ბედნიერი?“

შეეცადა ფიქრი კვლავ მაკაბე გადაეტანა.

თითქოს არ უნდოდა თავის თავს გამოტყდომოდა, მაგრამ გრძნობდა, ძალზე სიამოვნებდა, რომ მაკა ლანდიანზე დაქორწინება ბევრ მნიშვნელოვან საქმესაც მოუგვარებდა. სრულიად ახალგაზრდა კაცს ხელის ერთი მოსმით შეექმნებოდა ყოველგვარი პირობა, რასაც ადამიანი გვიან სიბერემდე თუ აღწევს ხოლმე ენერგიული და თავდადებული შრომით. ოცდამეხუთე წელში გადამდგარ მეცნიერს პირველი დღეებიდანვე ექნებოდა განადგობული შემოქმედებითი თავისუფლება, მეცნიერული შრომისთვის იდეალური პირობები. არ დაჰკარგავდა დროს ათასგვარი საოჯახო წვრილმანისა თუ მსხვილმანის მოსაგვარებლად, რაც ისედაც არ ესადაგებოდა რამაზ კორინთელის გულსა და ბუნებას.

კიდევ ხუთი წუთი და მთავარი ექიმიც მოვიდოდა.

რამაზ კორინთელი წამოდგა. გადანწყვიტა ჩაეცვა. უმაღლვე გადაიფიქრა. არ ჩათვალა ღირსად ბურაბ თორაძე, ჩაცმული დახვედროდა.

კაცმა რომ თქვას, რას ერჩოდა? თვითონაც ვერ აგისხნიდათ, რატომ შეიძულა მთავარი ექიმი, რატომ აღარ სიამოვნებდა არამცტუ მისი დანახვა, ხმის გაგონებაც კი.

ბუსტად ათ საათზე გაისმა ელექტრობარის წვრიალი. რამაზ კორინთელი კარის გასაღებად გაემართა. პოლში კიდევ ერთხელ შეჩერდა სარკის წინ. ამჯერად არ მოეწონა სარკიდან შემომზირალი ჭაბუკის გამოხედვა. ძლიერი, თაფლისფერი თვალები რატომღაც ძველებურად აღარ აფრქვევდნენ ცეცხლს და ჩამქრალი ვულკანის კრატერებივით ჩაბნელებულიყვნენ. ბარმა ისევ გაიწვრიალა. ამჯერად სტუმარმა ბარის ღილაკს უფრო ხანგრძლივად დააჭირა თითი.

რამაზ კორინთელმა კარი გამოაღო. შეკრთა. ბურაბ თორაძეს ისეთი სასონარკვეთილი გამოხედვა ჰქონდა, მიხვდა, მთავარმა ექიმმა რაღაც საშინელი ამბავი მოიტანა.

- რა მოხდა?

რამაზ კორინთელმა კარი სწრაფად დახურა და სტუმარი წინ გაუშვა.

ბურაბ თორაძე ოთახში მძიმე ნაბიჯებით შევიდა, ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ასაკისათვის შეუფერებელი გაჭირვებით ჩაჯდა და მწარედ ამოიოხრა.

- მგონი უკვე გკითხე, რა მოხდა-მეთქი! - მთელი ამდენი ხნის ნაცნობობის მანძილზე ბურაბ თორაძეს მეორედ მიმართა შენობით.

მთავარმა ექიმმა დანისლული თვალებით შეხედა რამაზ კორინთელს.

- მოხდა ის, რასაც დიდი ხანია შინაგანად შეგუებულნი ვიყავით თქვენც და მეც! - ზურაბ თორაძემ ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

- მაინც?

- რასაკვირველია, კაცი იმედით ცოცხლობს, მაგრამ...

- ქარაგმულად ლაპარაკს თავი დაანებე! - იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა კორინთელმა.

- იმედი მაქვს, მამაკაცურად შეეგებებით გასაჭირს. ამ ოთხი დღის წინ თქვენი შვილი იბოვეს, თქვენი დათო.

- მკვდარი?! - ამოიხრიალა რამაზ კორინთელმა და მუხლმოკვეთილი ჩაეშვა სავარძელში.

- სამწუხაროდ, მკვდარი! - თავი დახარა ზურაბ თორაძემ და ცხვირსახოცს დაუნყო ნვალემა.

დუმილი ჩამოვარდა, საშინელი, დამუხტული დუმილი. მთავარ ექიმს გულწრფელად ეგონა, სადაცაა მეხი გავარდებოა, და თავის აწევას ვერ ბედავდა. გრძნობდა, რამაზ კორინთელი დაუინებით მისჩერებოდა.

დუმილს ვეღარ გაუძლო, თავი ასწია და კორინთელს შეხედა. ჭაბუკის ჩაშავებული თვალები მთავარ ექიმს თოფის ლულეებით ჰქონდა დამიზნებული. შეკრთა და მონუსხულივით გაქვავდა. მორჩილად ელოდა, ორლულა თოფი როდის დაიქუხებდა. მალე მიხვდა, კორინთელი მას ვერ ხედავდა, ვერც აღიქვამდა. ჭაბუკის დიდრონი, მაგრამ უაზრო და ჩამუქებული თვალები ელექტროქსელიდან გამოთიშულ ხელსაწყოს ჰგავდა.

- სად იპოვეს, ან როდის იპოვეს? - იკითხა უცებ ყრუდ რამაზ კორინთელმა.

- ამ ოთხი დღის წინ, მტკვარში, ჩელუსკინელების ხიდთან!

რამაზ კორინთელის გული ქვამოხვედრილი ვიტრინის მინასავით ისევ დაიმსხვრა უნვრილეს ნატეხებად და ისევ ჩაიბნა უძირო სხეულის ბნელ უფსკრულში.

- მამ ის ჩემი შვილი იყო? - ამოიხრიალა ვიღაცამ ჭაბუკის სხეულიდან.

ბურაბ თორაძე შიშმა აიტანა. კარგად დაინახა, რამაზ კორინთელს ბაგეები არც კი გაუნძრევია, ხოლო ხმა, განსვენებული აკადემიკოსის ხმას რომ ჰგავდა, სადღაც მკერდიდან თუ მუცლიდან მოესმა.

- როგორ, თქვენ შეესწართ მტკვრიდან გვამის გამოტანას? - ჰკითხა შეშფოთებულმა ბურაბ თორაძემ.

- შეცდომა გამორიცხულია? - რამაზ კორინთელმა უპასუხოდ დატოვა მთავარი ეჭიმის შეკითხვა, - ნუთუ ამდენი დროის განმავლობაში გვამი არ გაფუჭდა? იქნებ რაღაც ეშლებათ? იქნებ ვიღაცაში აერიათ? იქნებ...

- სამწუხაროდ, შეცდომა გამორიცხულია. ექსპერტმა იოლად დაადგინა მიცვალებულის ვინაობა. ქალბატონმა ანამაც უმაღვე ამოიცნო თავისი შვილი. ეტყობა, ცხედარი მტკვარმა მისილა. მთელი წლის განმავლობაში სილამ კარგად შეინახა სხეული. შემდეგ, როგორც ჩანს, მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისის წყალდიდობებმა გვამი მაინც დასძრა ადგილიდან. ვარაუდობენ, რომ უბედური სადღაც იქვე ახლოს უნდა იყოს წყალში გადაგდებული.

- გადაგდებული?

- ჰო, გადაგდებული. იგი ჯერ მოკლეს, შემდეგ კაპრონის თოკით რელსის გადანაჭერი შეაბეს და მტკვარში გადააგდეს.

„ღმერთო ჩემო, ისევ მტკვარი!“ - უნებურად მარინე დვალი გაახსენდა და სისხლი აემღვრა. თავს მაინც მოერია და იკითხა: - მაინც რას ამბობს ექსპერტი, რითია მოკლული?

- რევოლვერის სამი ტყვიით. მარკაც კი დაადგინეს - „ტტ“. ერთი ტყვია მკერდში აქვს უბედურს მოხვედრილი, მეორე მუცელში!

- „ტტ“-ს სამი ტყვიით? - აღმოხდა რამაზ კორინთელს.

- ჰო, სამი ტყვიით.

„და საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“ - ჩაესმა უცებ ყურში სოსო შადურის ხმა.

- შეუძლებელია, გესმის, შეუძლებელი! - იყვირა უცებ საშინელი ხმით რამაზ კორინთელმა, სავარძლიდან წამოიჭრა, ექიმს მივარდა, პიჯაკის ბორტებზე ხელი მოავლო და ჰერში აიტაცა, - შეუძლებელია, გესმის შეუძლებელი!

- რა არის შეუძლებელი? - შეშინებული ზურაბ თორაძე საცოდავად ფართხალებდა.

- შეუძლებელია, გესმის? შეუძლებელი! - კორინთელმა ექიმს ხელი უშვა. ზურაბ თორაძე უმწეოდ დაეხეთქა სავარძელს.

რამაზ კორინთელი დივანზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. მთავარი ექიმი შეშინებული შესცქეროდა ჭაბუკის მოცახცახე მხრებს და თვალის დახამხამებასაც ვერ ბედავდა.

- სად არის ახლა ცხედარი?

- აკადემიკოსის სახლში. - ზურაბ თორაძემ ვერ გაბედა ეთქვა, თქვენს სახლშიო.

- მაინც რა თქვა მილიციამ, რატომ მოკლესო? - იკითხა ყრუდ კორინთელმა.

მთავარ ექიმს კვლავ შორიდან შემოესმა ჭაბუკის ხმა.

- მილიციის გამომძიებელმა დაახლოებით ასეთი ვერსია წამოაყენა. თქვენი შვილი... ესე იგი, აკადემიკოს დავით გიორგაძის შვილი დათო გიორგაძე, - მთავარი ექიმი მთლად დაიბნა, - ადრეც ყოფილა შემჩნეული ფულზე თამაშში. ვარაუდობენ, რომ მან ვიღაცას მოუგო დიდი თანხა, წაგებულმა კი მოკლა და მტკვარში გადააგდო. გაიტაცა მოკლულის მანქანა და კვალის დასათარავად ვიღაცას განგებ დააჯახა. მანქანა მსხვერპლთან მიატოვა და გაიქცა. თავისას მიაღწია კიდეც. გამოძიება გზას ააცდინა. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ის უბედური დათო გიორგაძემ გაიტანა და შეშინებული სადღაც გადაიხვეწა.

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“

- აქვთ რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი?

ზურაბ თორაძე დაიბნა. შუბლზე ოფლმა დაასხა. დადგა დრო, ეთქვა უფრო საშინელი რამ, ვიდრე შვილის სიკვდილი იყო.

- თავს როგორ გრძნობთ? თუ ცუდად ხართ, მე ყველაფერი მაქვს წამოღებული. ვიცოდი, უჩემოდ მაინც გაიგებდით შვილის დაღუპვის სამწუხარო ამბავს. ამიტომაც ვამჯობინე, პირველს მე მეთქვა. ეს დღეები სულ თქვენთან ვიქნები. რას იზამთ. დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ თავს უნდა სძლიოთ, სასონარკვეთა არ უნდა დაგეუფლოთ.



- მილიციას აქვს რამე ხელჩასაჭიდი საბუთი? - გაიმეორა მრისხანედ რამაზ კორინთელმა და ამღვრეული თვალები მთავარ ექიმს მიაპყრო.

ბურაბ თორაძე დაიბნა. კორინთელის არეულმა სახემ შეაშინა. აღარ იცოდა, რა ექნა.

- სახეზე გეტყობა, რაღაცას მიმაღავ! - ისევ წამოიჭრა ფეხზე გაცოფებული რამაზ კორინთელი და ექიმს ისევ ჩაავლო პიჯაკის საყელოში ღონიერი ხელები.

- გეტყვით, ყველაფერს ახლავე მოგახსენებთ, ოღონდ ხელი გამიშვით! - თავის განთავისუფლებას შეეცადა ბურაბ თორაძე.

რამაზ კორინთელმა ხელი უშვა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. შეშინებული ექიმი ქვემოდან საცოდავად შესჩერებოდა.

- გთხოვთ, ერთი ნაბიჯით უკან დაიწიოთ. თავზე ნუ დამდგომიხართ სულთამხუთავივით.

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“

- ჩქარა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია!

- რაიმეს დამალვას აზრი არა აქვს. თვითონ მოვლენ და გაგაგებინებენ. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, ნებისყოფა მოიკრიბოთ. რასაც მე გეტყვით, ძნელი მოსასმენი იქნება, მაგრამ რას იზამ, ვიცი, თავს ზემოთ ძალა არაა...

- პირდაპირ მითხარი, ყოველგვარი შესავლის გარეშე!

- გუშინ ჩემთან საავადმყოფოში მოვიდა ახალგაზრდა გამომძიებელი.

- თუ გახსოვს, ნაცრისფერი „ვოლგით“ ხომ არა?
- დიახ, როცა წავიდა, ფანჯრიდან გადმოვხედე, ნაცრისფერი „ვოლგის“ სატეს თვითონ მიუტდა.
- ავადმყოფურად გამხდარი და საფეთქლებზეჭადარავებული ახალგაზრდა კაცი, არა?
- დიახ, დიახ! თქვენ ეგ საიდან იცით?
- განაგრძე, ჯერ შენი სათქმელი მოათავე!
- გამომძიებელმა მომატანიხა რამაზ კორინთელის ავადმყოფობის ისტორია, - მთავარმა ექიმმა კიდევ გაუსვა ხაზი, რომ რამაზ კორინთელს კი არა, ავადმყოფობის დავით გიორგაძეს ელაპარაკებოდა, - იმ ნუთში არც კი ვიცოდი, თუ დათო გიორგაძის გვამი ნაპოვნი იყო. დანვრილებით გამომკითხა, ავადმყოფობის პერიოდში დათო გიორგაძის სახელი ხომ არ წამოუბოდავს, ან ავტოავარია ხომ არ უხსენებიაო. თქვენთვის გასაგებია რასაც ვეტყვოდი. გამომძიებელს თურმე ადრეც ჰქონია თქვენზე ეჭვი. ეტყობა, ჩუმ-ჩუმად დაგდევდათ კიდევ. დაახლოებით სცოდნია, თუ დათო გიორგაძე ფულზე ვისთანაც თამაშობდა. ყველანი გამოუძახია და დაუკითხავს. გუმინ შუადღისას კი ვილაცას ტელეფონით დაურეკავს და უთქვამს, იმ საბედისწერო საღამოს დათო გიორგაძემ რამაზ კორინთელს მოუგო დიდი თანხა, შემდეგ ორთავენი გიორგაძის მანქანით სადღაც ერთად წავიდნენო.
- მეტი არაფერი?
- მეტი არაფერი.
- თუკი რამაზ კორინთელი ვილაცამ დაასმინა, რატომ არ მოვიდა გამომძიებელი ჩემთან?

- თქვენისთანა საქვეყნოდ სახელგანთქმული კაცის დაკითხვა იოლი არაა. უნდა არსებობდეს დაკითხვის იურიდიული საფუძველი. ტელეფონის ანონიმური ზარი საბუთად არ გამოდგება. გამოძიებელი, ალბათ, სანამ ყველა დეტალს არ დააზუსტებს, თქვენთან მოსვლას ვერც გაბედავს. თანაც, რატომ უნდა მივიჩნიოთ სიმართლედ, რომ დათო გიორგაძე რამაზ კორინთელმა მოკლა? რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამდვილი მკვლელი ცდილობს გზა აუბნოს გამოძიებას? მით უმეტეს, რომ დარწმუნებულნი არიან, სენსაციურად სახელგანთქმულ ახალგაზრდა მეცნიერს იოლად ვერ წამოკრავენ ხელს...

- და თუ დათო გიორგაძე ჩემი მოკლულია?! - იყვირა რამაზ კორინთელმა.

- თქვენი მოკლული საიდან იქნება, თქვენ ხომ აკადემიკოსი დავით გიორგაძე ბრძანდებით?!

- ამ ხელებმა ხომ მოკლეს, ამ სხეულში ჩაბუდებულმა ბოროტმა გენმა ხომ მოკლა: გენმა, რომელმაც პირველი დღიდანვე დათრგუნა და დაიმორჩილა, თავისი ვნებების სამსახურში ჩააყენა აკადემიკოს დავით გიორგაძის ინტელექტი?!

- ჩუმაღ, თუ ღმერთი გწამთ!

- ღმერთო რომ მწამდეს, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი!

- ნუ ყვირიხართ, მეზობლები გაიგონებენ.

- გაიგონონ. აწი ყველაფერი სულერთია!

- ჯერ არაფერი არაა დაკარგული! ვიდაცის მიერ ტელეფონით ნათქვამი ფრაზა რა მოსატანია. დარწმუნებული ვარ, ნამდვილი მკვლელი განგებ გახოცავთ ხელს! ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, ყველაფერი მოგვარდება. მე მოვაგვარებ ყველაფერს!

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“ - კვლავ საოცრად ცხადად ჩაესმა კორინთელს სოსო შადურის ხმა.

- საქმე არც ისე კატასტროფულად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს! - უფრო მხნედ წარმოსთქვა ზურაბ თორაძემ.

- ჩემად! - ამოიღმეკლა რამაზ კორინთელმა. - ჩემად! აღარ მინდა შენი ხმა გავიგონო! გესმის მაინც, რას მეუბნები?! მართლმსაჯულების წინაშე წარვსდგე და თავი დავიცვა, რომ საკუთარი შვილისათვის რევოლვერი სამჯერ არ დამიხლია-მეთქი მუცელში?!

- ჯერ ხომ ისიც არ არის დასაბუთებული, ნამდვილად რამაზ კორინთელმა მოკლა თუ არა დათო გიორგაძე. კიდევ ვიმეორებ, არაფერს არ ნიშნავს ტელეფონის ანონიმური ზარი. დარწმუნებული ვარ, მკვლელი ცდილობს გამოძიება გზიდან ააცდინოს, თქვენს ავტორიტეტს ჩამოეფაროს. დარწმუნებულია, რომ თქვენი ხათრით ძველ საქმეს აღარ ჩაულრმავდებიან და აღარ გამოევიდებიან. ხოლო საბოლოოდ თუ მაინც დაადასტურებენ საშინელ ფაქტს, რომ დათო გიორგაძე რამაზ კორინთელის მოკლულია, ბუნებრივია, საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, მაგრამ ეს ხომ სულაც არ ნიშნავს, რომ მკვლელი თქვენა ხართ?! - ზურაბ თორაძე შეჩერდა, სული მოითქვა და ოფლით დაცვარული შუბლი ისევ ჩამოიწმინდა თეთრი ცხვირსახოცი.

რამაზ კორინთელი ენით აუნერელი ზიზღით მისჩერებოდა.

- დიას, - განაგრძო ზურაბ თორაძემ, - თუ ფაქტი დადასტურდა და მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებით, უკან არ დავიხვევ, ჩემს ნამოქმედარზე მე ვაგებ პასუხს. დაე, დამსაჯონ. ბოლოს და ბოლოს, ტვინის გადანერგვის ოპერაცია თქვენის ნებართვით გავაკეთე. თუ გახსოვთ, ხელწერილითაც გავაფორმეთ თქვენი თანხმობა. რამაზ კორინთელს თანხმობის ხელწერილს, კარგად მოგეხსენებათ, ვერ დავანერინებდი. ბუნებრივია, ძნელი იქნება დავამტკიცოთ, რომ კორინთელის დადამბლავებული ტვინის

განკურნება არ შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ ხომ მაინც იცით, რომ მართალი ვარ. დაე დამსაჯონ, სინდისის წინაშე ხომ მართალი ვიქნები, რომ ამოდენა ნაბიჯი მხოლოდ მედიცინის, მეცნიერების წინსვლისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის გადავდგი. ასე რომ, ამ მხრივ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. მე საჯაროდ განვაცხადებ ჩემი ოპერაციის ამბავს, მე გავაგებინებ მართლმსაჯულებასაც და ქვეყანასაც, ვინა ხართ სინამდვილეში თქვენ!

- აღარ დაგვირდებათ ამოდენა გმირობის ჩადენა, ბატონო ექიმო! - რამაზ კორინთელი ნელა წამოდგა, კარადასთან მივიდა, უკრა გამოაღო და ხელი ჩაყო. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, სახის ყველა კუნთი უცახცახებდა, უკრაში ჩაყოფილი ხელი უცახცახებდა, მაგრამ ამოლებას არ ჩქარობდა.

ზურაბ თორაძე უკრას თვალს არ ამორებდა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რამაზ კორინთელი იქიდან სასიკეთოს არაფერს ამოიღებდა.

- პირველ რიგში შენ უნდა დაისაჯო, ბატონო ექიმო, რადგან შენ გაილაშქრე განგების წინააღმდეგ!

რამაზ კორინთელმა უკრიდან ხელი ნელა ამოსწია. ზურაბ თორაძეს მუხლი მოეკვეთა. გული შეეკუმშა და აღარ გაეშალა. ჩასუნთქული ჰაერი ვერ იქნა და ვედარ ამოისუნთქა. გონებააბნეული კორინთელის ხელში გრძელი, ფინური დანა ლაპლაპებდა.

რამაზ კორინთელმა უკრა უხეშად მიკვტა და თვალეზგადმოკარკლული ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით ექიმისკენ დაიძრა.

ზურაბ თორაძემ უმწეოდ მიმოიხედა, მაგიდასთან კარის მოპირდაპირე მხარეს იდგა. კართანაც რომ მდგარიყო, გაქცევას მაინც ვერ მოასწრებდა. არ იცოდა, რკინის ურდულიანი საკეტი როგორ უნდა გაეღო. გონება სწრაფად მუშაობდა, მაგრამ

გამოსავალს მაინც ვერ პოულობდა. ეყვირა? არ ივარგებდა, გონებაამღვრეულ რამაზ კორინთელს კიდევ უფრო გააცოფებდა. მიხვდა, ხვეწნა-მუდარა თულა გადაარჩენდა.

- ბატონო დავით! - საცოდავად დაიღრია ბურაბ თორაძე. სწორად განსაზღვრა, დათო გიორგაძის მკვლელს, რამაზ კორინთელს კი არა, შვილის სიკვდილით გაუბედურებულ მამას უნდა შევედრებოდა.

უცებ რამაზ კორინთელს ხარხარი აუტყდა, საშინელი, ამაზრზენი ხარხარი. თითქოს მთელი ტანით ხარხარებდა, გულ-მკერდი შემამძრუნებლად უთახთახებდა, თვალებიდან კი რისხვას აფრქვევდა.

- აღარავის წინაშე აღარ მოგიწევს პასუხისგება, ბატონო ექიმო, - ხარხარებდა კორინთელი და მსხვერპლს ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

- ბატონო დავით! - სასონარკვეთილმა შეჰყვირა ექიმმა და მაგიდის ირგვლივ დაიწყო სირბილი. მეოთხედ თუ მეხუთედ შემოურბინეს მაგიდას. ბურაბ თორაძე მიხვდა, კორინთელი შურისძიების სიამოვნებას იხანგრძლივებდა, თორემ მსხვერპლს ორი გრძელი ნაბიჯით დაეწეოდა. თუ მოინდომებდა, დაწევაც არ უნდოდა, გრძელი მკლავებით დასწვდებოდა და შეთხელებულ თმაში ხელს ჩაავლებდა.

რამაზ კორინთელს თითქოს სიამოვნებდა, ექიმის ნაწილებად დაშლილ სახეს რომ ხედავდა; თითქოს ტკბებოდა, მისი თვალებიდან ხვეწნა-მუდარა რომ იღვრებოდა.

ბურაბ თორაძეს მეტი აღარ შეეძლო. სირბილმა და მოლაპლაპე დანის შიშმა კი არა, კორინთელის ამაზრზენმა ხარხარმა დათრგუნა და დაადამბლავა.

- გვედრები, გემუდარები, ნუ მომკლავ! - იყვირა უცებ საცოდავი, ტირილშერეული ხმით და მუხლებზე დაემხო.

რამაზ კორინთელი ხარხართ დაადგა თავზე. დანიანი ხელი ნელ-ნელა მაღლა ასწია, მაგრამ დარტყმას არ ჩქარობდა, ფეხებგალაჯული იდგა და ხარხარისაგან ისე ცახცახებდა, თითქოს მაღალი ძაბვის დენთან იყო შეერთებული.

უცებ დენი ვიღაცის უხილავმა ხელმა გამორთო. რამაზ კორინთელმა ხარხარი შეწყვიტა, მოცახცახე სხეულიც ერთბაშად დაუნყნარდა. ირგვლივ დუმილი ჩამონვა, თითქოს ყველაფერი გაქვავდა და გაირინდა.

ზურაბ თორაძეს იმედი ჩაესახა, იქნებ დაწყნარდა და გული მოუღბაო. აღარ იცოდა, რა ექნა. კიდევ შეხვეწნოდა, თუ გაჩუმებულიყო. ხმის ამოღება მაინც ვერ გაბედა. ვაითუ, კიდევ უფრო გავაღიზიანოო. მუხლებზე დაცემული, კორინთელს საცოდავად შესჩერებოდა, შიშისაგან ნამწამებსაც არ ახამხამებდა.

რამაზ კორინთელი გაქვავებული დასჩერებოდა ექიმს. უცებ საშინელი ხმით ამოიბღავლა, ზურაბ თორაძეს მარცხენა ხელით თმებში დასწვდა და მარჯვენათი ყელი გამოლადრა. გადაჭრილი არტერიიდან სისხლმა თითქმის ერთი მეტრის სიგრძეზე გადაასხა.

ზურაბ თორაძემ ერთი კი შეჰყვირა, მაგრამ გაცოფებულმა რამაზ კორინთელმა უმაღვე ყრონტი გადაუჭრა და ხმა ჩააკმენდინა. საშინელმა ხროტინმა, გადაჭრილი ყრონტიდან რომ ამოდიოდა, ვერ გამოარკვია რამაზ კორინთელი. ექიმის თმა მანამდე ჰქონდა ჩაბღუჯული, სანამ სისხლის შადრევანმა ნელ-ნელა არ დაიკლო და ბოლოს სულ არ შეწყდა.

- ჩაძაღლდა! - სიამოვნებით წარმოთქვა კორინთელმა და თმას ხელი უშვა.

ზურაბ თორაძის უსიცოცხლო სხეული იატაკზე დაეხეთქა.

უცებ შენიშნა, მომაკვდავის მარცხენა ფეხი დროდადრო ისევ ტოკავდა. რამაზ კორინთელი თავის მსხვერპლს მანამდე დასჩერებოდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ ფეხი აღარ იმძრეოდა. შედედებული სისხლით განებოიანებულ მარჯვენა ხელზე დაიხედა. დანა მაგიდაზე დააგდო, გვამს ფეხებში სწვდა და აბაზანისაკენ წაათრია. გადაჭრილი ყელიდან ხელახლა ამოასხა შედედებულმა სისხლმა.

სიკვდილით დამძიმებული სხეული ძლივს შეათრია ვიწროკარებიან სააბაზანოში. მერე დაიხარა, წელზე ხელები შემოხვია, ნელ-ნელა ასწია და აბაზანაში ჩააგდო.

სასწრაფოდ გარეთ გამოვარდა, გასისხლიანებული ხელების გადაბანა არ გახსენებია, მაგიდასთან მივიდა, დანას დასწვდა და უმაღვე ჰოლში დაკიდებულ გრძელ სარკეს მიაშურა.

სარკეში მთლიანად გამოჩნდა ჭაბუკის ათლეტური სხეული. მარჯვენა ხელი და მკერდი ეჭიმის სისხლით ჰქონდა საზიზღრად მოსვრილი. სისხლიანმა დანამ კიდევ უფრო გააცოფა და გაახელა. აჩქარებული სუნთქავდა. მძლავრი მკერდი კიდევ უფრო და სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა. დაფართოებულ ძარღვებში თითქოს ხედავდა, სისხლი როგორ მიმოდიოდა.

ო, როგორ ეზიზღებოდა ეს ღონიერი, დაძარღვული მკლავები, მაღალი, ჩამოსხმული ფეხები, გრძელი კისერი, ხშირი, წაბლისფერი თმა, ოდნავ კეხიანი ცხვირი და თაფლისფერი თვალები. უცებ გულმა რეჩი უყო. სად უნახავს ეს ახალგაზრდა კაცი? გაოცებისაგან კინაღამ შეჰყვირა. გონება წამიერად გაუნათდა. გაახსენდა, ერთბაშად გაახსენდა, თითქოს გუშინ იყო ის დღე, სამსახურიდან შინ ფეხით წასვლა რომ გადანწყობა. ფართო ეკრანზე ერთბაშად გამოჩნდა გაქვავებული ადამიანებით და გაჩერებული მანქანებით გაჭვდილი გრძელი და ფართო ქუჩა. საიდანღაც მონადენი გაცრეცილი შუქი, ქუჩას რომ ოდნავ ანათებდა, სიკვდილის ფერში ხვევდა ყველაფერს. აი ისიც, დავით გიორგაძე, შეშინებული და თავზარდაცემული დაბორილებს გაქვავებულ,



მანეკენებად ქცეულ ადამიანებს შორის. უცებ ისევ შემოესმა ადამიანის ფეხის ხმა და ნათლად დაინახა სრულიად ახალგაზრდა კაცი, ალბათ ოცდაორი-ოცდასამი წლისა. მოდიოდა წელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით, თან მოხუც აკადემიკოსს თვალს არ აშორებდა. ისეთი მრისხანე გამოხედვა ჰქონდა, აკადემიკოსი სიხარულმა კი არა, შიშმა შეიპყრო, წელან ალბათ მზე ამ ჭაბუკმა გამოართო, მანვე გააქვავა პლანეტაზე მთელი სიცოცხლე და მოხუცს გაოცებული, თან განრისხებული მისჩერებოდა, შენ როგორღა გადამირჩიო.

„ღმერთო ჩემო, განა საავადმყოფოში, ოპერაციის შემდეგ არ შემეპარა პირველად ეჭვი, რომ ეს ახალგაზრდა სადღაც მინახავს? მაშინ ვერ გავისხენე, ვერ აღვადგინე გონებაში. ახლა კი... რაღა ახლა, რაღა მაინცდამაინც დღევანდელ დღეს? ნუთუ ესეც ბედისწერაა?“

სხეული ისევ ავესო შურისძიების გრძნობით. ო, როგორ უნდოდა ახლავე აეჩეხა, ნაკუნებად ექცია ენით აუნერლად საძულველი ადამიანი, სარკიდან რომ უნამუსოდ შემოსცქეროდა.

სისხლიანი დანა მაღლა ასწია, მაგრამ არ ჩქარობდა, უნდოდა მიზლით ბოლომდე ავსებულიყო, შურისძიების წყურვილით ბოლომდე ანთებულიყო. შეეცადა თვალნათლივ წარმოედგინა, რამაზ კორინთელმა როგორ დაახალა სამჯერ ტყვია დათო გიორგაძეს, როგორ შეაბა კაპრონის თოკით რკინის ნაჭერი და როგორ გადააგდო მტკვარში.

- გვიან, შვილო, მაგრამ მაინც დადგა შურისძიების წამი! - წარმოთქვა გაცოფებულმა და გასისხლიანებული დანის ტარს მეორე ხელიც მოავლო. წამიერად შეფოვნდა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი დაკუნთულ სხეულს, უცებ არაადამიანური ხმით იყვირა და დანა მთელი ძალით ჩაიცა მუცელში.

ო, როგორი შვება იგრძნო.

არ იცოდა, თუ შურისძიება ამოდენა სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს.

მეცლიდან დანა უმაღვე გამოიძრო და კვლავ მაღლა აღმართა. ჭრილობიდან გამოვარდნილმა სისხლის ნაკადმა სარკე წითლად შეღება.

გაცოფებულმა და სისხლის სუნით დამტკვარმა კიდევ რამდენიმეჯერ ჩაიცა დანა მეცელში.

- ესეც შენ! ესეც შენ! - ყვიროდა გამწარებული და საკუთარ სხეულს საოცარი ნეტარებით კეპავდა.

- გული, გული უნდა გავუბო, ბინძური გული! - საბარელი, სისხლში ამოვლებული ხმით გაჰყვიროდა შურისძიებით გონებადაბნელებული.

დანა ტარით მიადო სარკეს. უნდოდა, კარგად დაენახა, საძულველი სხეული როგორ წამოეგებოდა გრძელ და ბასრ დანას.

- გული, გული! - ყვიროდა გაცოფებული, მაგრამ ყრონტიდან მხოლოდ ხრიალი და სისხლი ამოსდიოდა.

სარკეზე, ჩარჩოსთან მიბჯენილი დანის წვერი გულზე მიიძო და მთელი ძალით მიანვა. გრძელ, ბასრ დანას ჯერ თითქოს გაუჭირდა, შემდეგ სწრაფად შევიდა სხეულში, ნეკნი გაგლიჯა და გულამდე მიადწია. თითქოს იგრძნო, დანის წვერი რომ გულს ედებოდა. კიდევ უფრო დატკვა სიამოვნებით. მიხვდა, ჭაბუკის ნავარჯიშევი, ღონიერი გული ხაფანგში მომწყვდეული მხეცივით ფართხალებდა, ნეკნებს ეხეთქებოდა, მაგრამ მიბჯენილ დანას ვეღარსად გაურბოდა. კიდევ ერთი მოძრაობა იყო საჭირო, კიდევ ერთი ენერგიული მიწოლა და საძულველი სხეული უსიცოცხლო გვამად იქცეოდა.

ო, რა სიამოვნება მიანიჭა ამ მოძრაობამ. კედელთან მიმწყვდეულმა გულმა თითქოს ადამიანივით იყვირა, პარკუჭებით დანას შემოესალტა, თითქოს ცდილობდა, ბასრი დანა

როგორმე შეეკავებინა, მაგრამ ამაოდ. ორად გაპოხილი და დანაბე გადაკიდებული გული რიყებზე ამოგდებული თევზის ლაყუჩებით ფეთქავდა.

უკან დაიხია, გულში ტარამდე ჩარტობილი დანა აღარ გამოუღია. სისხლში ამოვლებულ და მუცელგაფატრულ სხეულს სიამოვნებით შეავლო თვალი და ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით ოთახისაკენ გაემართა. არ უნდოდა ჰოლში ნაქცეულიყო. როგორც იქნა, გადააბიჯა ოთახის ბლურბლს, ცალი ფეხით მუცლიდან გადმოვარდნილი ნაწლავი გაგლიჯა და იატაკზე გაიშხლართა.

საოცარი ნეტარება დაეუფლა. მიხვდა, სულ მალე დასტოვებდა ჯერჯერობით კიდევ მფეთქავ საძულველ სხეულს.

სული, დავით გიორგაძის სული, როგორც დამფრთხალი ჩიტი გალიის კედლებს, ისე ასკდებოდა დანით დაფლეთილ მუცელს და გულმკერდს. ნაპრალს ეძებდა, რომ როგორმე გამომძვრალიყო და თავი დაეხსნა დღემდე გაუგონარი, ენით აუნერელი საზიზღარი ტყვეობიდან.

„ცოტაც კიდევ, დათო, ცოტაც მოითმინე და შენთან ვიქნები. შური უკვე ნაძიებია! ახლა მთავარია, როგორმე გამოვძვრე ამ მძორიდან. ცოტაც მოითმინე, შვილო!“

დავით გიორგაძე მიხვდა, გულში გარტობილი დანა უშლიდა ხელს, რამაზ კორინთელის მომაკვდავი სხეულიდან რომ თავი დაეღწია. მარჯვენა ხელი შეანძრია. გაეხარდა, რომ დაემორჩილა. თითები ნელ-ნელა მუცელზე ააცოცა, მკერდამდე ძლივს მიიტანა და დანის ტარს ჩაებდაუჭა. მეტი ვეღარ შესძლო. საშინელი შიში დაეუფლა, ვაითუ, თავი ვეღარ დავაღწიო, ვერ ამოვძვრე ამ საზიზღარი მძორიდანო. ვაითუ, მეც ამ ლემთან ერთად უნდა მოვკვდე და სამუდამოდ ჩავრჩე ბოროტი გენებით სავსე სხეულშიო.

კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა, დანის ტარს თითები მაგრად შემოუჭირა და ნელ-ნელა

ამოსწია. როგორც იქნა, ამოაძრო. დანას შედედებული სისხლი ამოჰყვა და ჭრილობაში საცობივით გაიჩხირა.

სასონარკვეთილებამ შეიპყრო, სულმა მაინც ვერ იპოვა გამოსავალი. ვერ იქნა და გამწარებულმა რამაზ კორინთელის სისხლჩაგუბებულ სხეულს თავი ვეღარ დაადნია.

კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალ-ღონე, უკანასკნელად სცადა ბედი. მიხვდა, ან ახლა გაითავისუფლებდა თავს, ან სამუდამოდ შეახმებოდა რამაზ კორინთელის საძულველ სხეულს.

გვამში გამეფებულ საშინელ სიბნელეში უპაერობა ახრჩობდა. კიდევ ერთხელ დაეძგერა გაპოხილ მკერდს ხაფანგში მომწყვდეულ გამძვინვარებულ ავაზასავით.

უცებ საოცარი სიმსუბუქე და შვება იგრძნო. ჟანგბადით სავსე მაცოცხლებელი ჰაერი სწრაფად ჩაისუნთქა. მიხვდა, თავი უკვე სამშვიდობოს ჰქონდა გამოყოფილი. უსაზღვრო სიხარული დაეუფლა, საბოლოოდ დარწმუნდა, რამაზ კორინთელის საძულველ სხეულს სამუდამოდ ეთიშებოდა.

კიდევ ერთი მონდომება, კიდევ ერთი გაფართხალება და აკადემიკოს დავით გიორგაძის სული საშინელი სისწრაფით აიჭრა ცაში.

- მოვდივარ, შვილო, მოვდივარ, სულ მალე შენთან ვიქნები! - შეჰყვირა ცას.

მილიონობით ექომ უბარმაზარ სივრცეს მოჰფინა დავით გიორგაძის ხმა.

თვითონ კი მიჰქროდა და მიჰქროდა, უკან გამოხედვის სურვილიც აღარ ჰქონდა. შავ სივრცეს საშინელი ძალით მიაპობდა, თითქოს ცდილობდა, დასწეოდა საკუთარ ხმას, რომელიც შორს, შორს, უსასრულობაში ინთქმებოდა და იკარგებოდა.

შავად მოლაპლაპე ცა თანდათან ემსგავსებოდა უზარმაზარ, უკიდევანო სასაფლაოს, სადაც ყოველი საფლავის თავთან ვარსკვლავი ციმციმებდა.